

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების
ინსტიტუტი



**Tbilisi Ivane Javakishvili State University
Arnold Chikobava Institute of Linguistics**

**Тбилисский государственный университет имени
Иванэ Джавахишвили
Институт языкознания имени Арнольда Чикобава**

Arn. Chikobava

**Works
IX**

А. С. Чикобава

**Труды
IX**

Tbilisi 2014 Тбилиси

არნოლდ ჩიქობავა

შრამები

IX

თბილისი
2014

ს ა რ ე დ ა ქ ც ი ო ს ა ბ ჯ ო

ი. აბდულაევი (მაჰაჩყალა), **ა. არაბული** (თავმჯდომარე, თბილისი),
შ. აფრიდონიძე (თბილისი), **ბ. ბერსიროვი** (მაიკოპი), **ი. ბრაუნი** (პოლონეთი),
თ. გამყრელიძე (თბილისი), **გ. გოგოლაშვილი** (თბილისი), **ტ. გურიევი** (ვლადი-
კავკაზი), **კ. ვამლინგი** (შვედეთი), **ხ. თაოვი** (ნალჩიკი), **ა. თიმაევი** (გროზნო),
ნ. მაჭავარიანი (თბილისი), **ე. ოსიძე** (თბილისი), **ს. პაზოვი** (კარაჩაევსკი),
თ. უთურგაიძე (თბილისი), **ბ. უტიე** (საფრანგეთი), **ი. ჩანტლაძე** (თბილისი),
ლ. ჭკადუა (სოხუმი), **ზ. ჭუმბურიძე** (თბილისი), **რ. ჯანაშია** (თბილისი),
ა. ჰარისი (აშშ)

ს ა რ ე დ ა ქ ც ი ო კ ო ლ ე გ ი ა

ც. ბარამიძე, ლ. ეზუგბაია, გ. კვარაცხელია, მ. სუნიშვილი,
ვ. შენგელია (მთავარი რედაქტორი), **მ. ჩუხუა**

ტომის რედაქტორი **მ. სუნიშვილი**

Editorial Council

I. Abdulaev (Makhachkala), **Sh. Apridonidze** (Tbilisi), **A. Arabuli** (Chairman, Tbilisi), **B. Bersirov** (Maikop), **I. Brown** (Poland), **I. Chantladze** (Tbilisi), **Th. Gamkrelidze** (Tbilisi), **G. Gogolashvili** (Tbilisi), **T. Guriev** (Vladikavkaz), **A. Harris** (USA), **R. Janashia** (Tbilisi), **N. Matchavariani** (Tbilisi), **E. Osidze** (Tbilisi), **B. Outtier** (France), **S. Pazov** (Karachaevsk), **Kh. Taov** (Nalchik), **L. Tchkadua** (Sokhumi), **Z. Tchumburidze** (Tbilisi), **A. Timaev** (Grozny), **T. Uturgaidze** (Tbilisi), **K. Vamling** (Sweden)

Editorial Board

Ts. Baramidze, M. Chukhua, L. Ezugbaia, G. Kvaratskhelia,
V. Shengelia (Editor-in-chief), **M. Sukhishvili**

Editor of the volume **M. Sukhishvili**

© არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი
ISBN 978-9941-10-068-0 (მრავალტომეული)
ISBN (ტომი IX)

ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში

I

**ნომინატიური და ერგატიული კონსტრუქციის
ისტორიული ურთიერთობა ძველი ქართული
სალიტერატურო ენის მონაცემთა მიხედვით**

**Problem of ergative construction in the
Iberian-Caucasian languages**

I

**Historical relation between nominative
and ergative constructions according to
Old Georgian literary data**

**Проблема эргативной конструкции
в иберийско-кавказских языках**

I

**Историческое взаимоотношение
номинативной и эргативной конструкций
по данным древне-грузинского литературного
языка**

სარჩევი

წინასიტყვაობა	9
„ რუსულ ენაზე	11
§ 1. საკითხის დასმისათვის	13
§ 2. ტერმინებისათვის „ხოლმეობითი“, „პერმანსივი“, permansiv .	20
§ 3. ხოლმეობითი ახალსა და ძველ ქართულში	22
§ 4. თქუა ზმნის ხოლმეობითი -თქვს- და მისი ფუნქცია ძველ ქართულში	25
§ 5. ხოლმეობითი აწმყოს ფუნქციით სხვა გარდამავალ ზმნებთან	47
§ 6. ხოლმეობითი აწმყოს ფუნქციით გარდაუვალ ზმნებთან	57
§ 7. ხოლმეობითისა და აწმყოს პარალელური ხმარების ნიმუშები	65
§ 8. ხოლმეობითის ხმარებისათვის ნამყო უსრულის..., კავშირებისათვის ბაღლად	71
§ 9. ხოლმეობითისაგან ნაწარმოები ნამყო უსრული (არქაული ნამყო უსრული)	80
§ 10. ერგატიული კონსტრუქცია არქაულ ნამყო უსრულთან	92
§ 11. უწყის , როგორც ხოლმეობითი (= აწმყო) ძველ ქართულში	94
§ 12. იცის , როგორც ხოლმეობითი (= აწმყო) ძველ ქართულში	97
§ 13. უწყის და იცის ზმნათა ისტორიული ურთიერთობისათვის ძველ ქართულში	99
§ 14. პრქვან , როგორც ხოლმეობითი (= აწმყო) ძველს ქართულში	100
§ 15. პრქვს , იცის , უწყის — ზმნები და ხოლმეობითის ისტორია . .	102
§ 16. ხოლმეობითი და აწმყო მკის-ტიპის ზმნებში	103
§ 17. ხოლმეობითი, როგორც მოქმედების განგრძობითი ასპექტი (და არა დრო)	107
§ 18. ფშაურ-ხევსურული ხოლმეობითი და არქაული ნამყო უსრული . .	112
§ 19. თურმეობითი პირველის წარმოება და ხოლმეობითის ადგილის საკითხი	125

§ 20.	ხოლმეობითის ადგილი ნაკვთა სისტემაში და ნამყო უსრულის წარმოება - ავ -, - ამ - სუფიქსიან ზმნათა	134
§ 21.	ხოლმეობითის საკითხი ზანურში	138
§ 22.	ხოლმეობითის საკითხი სვანურში	140
§ 23.	ხოლმეობითი და გარდაუვალი სტატიკური ზმნები	143
§ 24.	დიურატიულობა და სტატიკურობა გარდაუვალ და გარდამავალ ზმნებთან	146
§ 25.	სტატიკური გარდამავალი ზმნის საკითხისათვის	149
§ 26.	ხოლმეობითი და უღვლილების ნაკვთა სისტემა ქართულში	150
§ 27.	ხოლმეობითი და ერგატიული კონსტრუქციის, როგორც ენის განვითარების სტადიის საკითხი	154
	დასკვნითი დებულებები	160
	რეზიუმე რუსულ ენაზე	176

წინასიტყვაობა

ერგატიული კონსტრუქცია გულია იბერიულ-კავკასიურ ენათა სტრუქტურისა: აქ თავს იყრის ბრუნებისა და უღვლილების საკვანძო მომენტები, ზმნისა და სახელის სინტაქსური ურთიერთობის საკითხი წინადადებაში.

გენეზისის თვალსაზრისით ერგატიული (მოთხრობითიანი) კონსტრუქციის პრობლემა ადის ზმნისა და სახელის **ფუძეთა წარმოქმნისა** და ამ **ფუძეთა პირვანდელი ბუნების** საკითხამდის და, თავის თავად ცხადია, მათში ასახული აზროვნების საკითხამდის.

იბერიულ-კავკასიურ (ე. ი. ქართველურ და მთის კავკასიურ) ენებში ვპოულობთ ერგატიული კონსტრუქციისა და მასში შემავალი ელემენტების სხვადასხვა ვარიაციას, და ამ ვარიაციებში უკუფენილია ერგატიული კონსტრუქციის განვითარების ეტაპები.

კერძოდ, ქართული სამწერლო ენის ხუთმეტსაუკუნოვანი ისტორია **დოკუმენტობრივ** ასახავს სათანადო პროცესებს (ასეთი რამ არც ერთ სხვა იბერიულ-კავკასიურ ენაში არა გვაქვს): **ქართული ენის ისტორიის მონაცემთა სათანადო ანალიზის გარეშე ერგატიული კონსტრუქციის პრობლემის რკვევა მტკიცე ისტორიულ საფუძველს მოკლებული იქნება.**

ერგატიული და ნომინატიური კონსტრუქციების ისტორიულ ურთიერთობათა გარკვევის მაგალითზე ცხადი ხდება ის ადგილი, რომელიც განეკუთვნება ქართულ ენას ერგატიული კონსტრუქციის პრობლემის გადაწყვეტისას, — პრობლემისა, რომელიც ამჟამად სავსებით კანონზომიერად წარმოგვიდგება ზოგადი ენათმეცნიერების პრობლემის სახითაც¹.

ერგატიული კონსტრუქციის რაობა ვერ გაირკვევა მისი წარმოქმნის ისტორიის გაუთვალისწინებლად; ეს კიდევ დაკავშირებულია ნომინატიურ (სახელობითიანი) და ინდეფინიტურ (ოდენფუძიანი) კონსტრუქციათა წარმოქმნისა და რაობის საკითხთან.

ამგვარად, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა მოითხოვს ისეთი საკითხების განხილვას, როგორცაა:

1. **ერგატიულ და ნომინატიურ კონსტრუქციათა ისტორიული ურთიერთობა;**
2. **გარდამავალ ზმნებთან ნომინატიური კონსტრუქციის წარმოქმნა ქართულში;**
3. **ერგატიული კონსტრუქციის ჩასახვა იბერიულ-კავკასიურ ენებში.**

¹ ამის შესახებ იხ. აკად. ი. ი. მეშჩანინოვის „ზოგადი ენათმეცნიერება“. ლენინგრადი, 1945 (რუს. ენაზე).

და დასასრულ, 4. **ერგატიული კონსტრუქციის რაობა.**

აქ წარმოდგენილი შრომა ეხება პირველ საკითხს. და ავტორი მას თვლის გრცელი მონოგრაფიის ერთ-ერთ მონაკვეთად. ეს მონაკვეთი დამთავრებული გვქონდა ჯერ კიდევ 1942 წელს¹. ავტორი არც ვარაუდობდა მის ცალკე გამოქვეყნებას, რომ ორი გარემოება არა: ჯერ ერთი, ქართული ენის ზოგი სპეციალისტი დააინტერესა ქართული ენის ისტორიული მორფოლოგიის საკითხებმა, რაც ამ შრომაშია განხილული. მეორეცაა, გარდამავალ ზმნებთან ერგატიული კონსტრუქციის პირველობა (ნომინატიურ კონსტრუქციასთან შედარებით) ბოლო ხანებში რუსულ სპეციალურ ლიტერატურაში კამათის საგანი გახდა; ამ შრომაში კი ეს საკითხი გარკვეულია დოკუმენტობრივ ჩვენებათა მიხედვით.

ავტორი ვარაუდობს, — თუ ჯანმრთელობამ ამის საშუალება მისცა, — მონოგრაფიულად დაამუშაოს მეორე და მესამე საკითხიც² (მეოთხე საკითხი ნაწილობრივ დამუშავებულიცა გვაქვს: ერგატიული კონსტრუქციის თეორიათა კრიტიკული ანალიზი მოცემულია რიგ მოხსენებაში, რომლებიც წაკითხული იყო ენის ინსტიტუტში)³.

არნ. ჩიქობავა

21.XII.1948.

თბილისი.

¹ ძირითადი დებულებები მოხსენდა საქართვე. მეცნ. აკად. საზოგ. მეცნ. განყოფ. IX სესიას 28.XII.1942; დაიბეჭდა ჩვენი აკადემიის მოამბეში ტ. IV (1943) ნ. I, გვ. 91-98 სათაურით: „პერმანსივის („ხლომეობითის“) ისტორიული ადგილისათვის ქართული ზმნის უღვლილების სისტემაში“.

² ამ მონაკვეთების დამუშავებასთან დაკავშირებული ზოგი წინასწარი სამუშაოები გამოქვეყნებულიც გვაქვს: „მოთხრობითი ბრუნვის გენეზისისათვის ქართველურ ენებში“ უნივერს. შრომ. X (1939); „ერგატივის წარმოქმნის ისტორიისათვის ხუნძურში“ — „იბერ.-კავკას. ენათმეცნიერება, II, (1948); „ერგატივის წარმოქმნის ისტორიიდან ხუნძურში“ — დალესტნის ისტ. ენისა და ლიტერ. ინსტ. შრომებში I (1948); „ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა კავკასიურ ენებში: ამ კონსტრუქციის სტაბილური და ლაბილური ვარიანტები“ — ენიმკის მოამბე XII (1942; „სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში“ თბილ. 1942 წ. (მეცნ. აკად. გამოცემა).

წინამდებარე შრომის რუსული რეზიუმე დაიბეჭდა საკავშირო მეცნ. აკადემიის ლიტერატურისა და ენის განყოფილების მოამბეში — "Изв. Акад. Наук СССР, отд. лит. и яз. т. VII (1948), вып. 3.

³ რაკი წინამდებარე შრომა მთლიანი გამოკვლევის ერთ-ერთი ნაკვეთია, შესაძლებლად მივიჩინეთ საძიებლები დაგვერთო გამოკვლევის ბოლოს.

Предисловие

В эргативной конструкции иберийско-кавказских языков сходятся основные нити структуры данных языков: спряжения глаголов, склонения имен и взаимосвязи имени и глагола в предложении.

В плане генетическом проблема эргативной конструкции упирается в процесс формирования глагольных и именных основ, их первоначального характера, и, естественно, отображенного в них мышления.

В иберийско-кавказских (картвельских и горских кавказских) языках предлежат различные вариации данной конструкции и составляющих ее элементов, тем самым фиксируя вехи развития эргативной конструкции. В показаниях грузинского языка соответствующие процессы *документированы* в письменных памятниках на протяжении пятнадцати веков. Без должного анализа фактов истории грузинского языка решение проблемы эргативной конструкции будет лишено надежного основания.

На примере уяснения исторического взаимоотношения эргативной и номинативной конструкций по данным древнегрузинского языка может быть охарактеризовано место, по праву занимаемое грузинским языком в решении означенной проблемы, ныне закономерно выступающей и в виде проблемы общелингвистической¹.

Систематический анализ истории образования и сущности эргативной конструкции (а также конструкций, непосредственно с ней связанных – номинативной и индефинитной) требует рассмотрения вопросов, каковы:

1. *Историческое взаимоотношение эргативной и номинативной конструкций.*
2. *Становление номинативной конструкции* (при переходных глаголах).
3. *Зарождение эргативной конструкции* в иберийско-кавказских языках.
4. *Сущность эргативной конструкции.*

Публикуемая ныне работа, мыслимая автором, как раздел монографии, посвящена первому вопросу. Работа была оформлена еще в 1942 году²; автор и не собирался ее публиковать, если бы не пожелания товарищей, интересующихся затронутыми в ней вопросами исторической морфологии грузинского языка.

¹ См. акад. И. И. Мещанинов. Общее языкознание, Ленинград, 1940.

² Основные положения работы были доложены IX сессии Отд. обществ. наук Акад. Наук Груз. ССР 28.XII.1942; эксерпт (под названием "Пермансив и место, занимаемое им в истории спряжения грузинского глагола") опубликован в "Сообщениях Акад. Наук Груз. ССР", т. IV (№ 1), 1943 г., стр. 91-98.

Кроме того работа могла представлять определенный интерес, поскольку первичность эргативной конструкции (по сравнению с номинативной) при переходных глаголах, нами доказываемая документально, за последнее время была поставлена под сомнение.

В дальнейшем, если обстоятельства здоровья то позволят, автор предполагает закончить монографическую разработку второго и третьего вопросов¹ (четвертый вопрос в критической части уже закончен разработкой; соответствующие доклады были читаны в Институте Языка имени акад. Н. Марра Академии Наук Груз. ССР)².

Арн. Чикобава.

21.XII.1948.

Тбилиси.

¹ Некоторые из подготовительных работ для данных разделов уже опубликованы: "К генезису эргативного падежа в картвельских языках" – Труды Тбил. госуд. университета имени Сталина, т. X (1939); "К истории образования эргатива в аварском языке" – "Ибер.-кавказ. языковед." II (1948); "Из истории образования эргативного падежа в аварском языке" – Труды Инст. истории, языка и литературы Дагест. базы АН СССР, т. I (1948); "Проблема эргативной конструкции в кавказских языках: стабильный и лабильный варианты этой конструкции" – Изв. ИЯИМК, т. XII (1942); "Древнейшая структура именных основ в картвельских языках", Тбилиси, 1942 (изд. Академии Наук Груз. ССР).

Резюме данной работы было опубликовано в Изв. отд. литер. и яз. АН СССР, т. VII (1948), вып. 3.

² Поскольку данная работа является частью монографии, сочли возможным указать на дату в конце всей работы.

§ 1. საკითხის დასმისათვის. ქართულ ენაში გარდამავალი ზმნა, თუ მას შესაძლებელია პირში ავიღებთ, სამგვარ სინტაქსურ კონსტრუქციას ქმნის:

I. რეალური **სუბიექტი სახელობითშია**, ნივთის **ობიექტი — მიცემითში**;

აწმყო: მონადირე კლავს ირემს... დავითი აქებს სიმონს.

II. რეალური **სუბიექტი მოთხრობითშია**, ნივთის **ობიექტი — სახელობითში**:

ნამყო ძირითადი: მონადირემ მოკლა ირემი... დავითმა აქო სიმონი.

III. რეალური სუბიექტი **მიცემითშია**, ნივთის **ობიექტი — სახელობითში**:

თურმეობითი I. მონადირეს მოუკლავს ირემი... დავითს უქია სიმონი.

ეს კონსტრუქციები გაყვება სათანადო წყებებს: **აწმყოს** კონსტრუქცია ნამყო უსრულში, კავშირებითს პირველში, მყოფადში... **ნამყო ძირითადის** კონსტრუქცია — კავშირებითს მეორეში, **თურმეობითი პირველისა** — თურმეობითს მეორესა და კავშირებითს შესამეში.

იმის მიხედვით, თუ **რა ბრუნვაში** დაისმის **რეალური სუბიექტი**, ეს კონსტრუქციები იწოდება:

ნომინატიურ (სახელობითიან) კონსტრუქციად (სუბიექტი **სახელობითშია**, ნომინატივში);

ერგატიულ (მოთხრობითიან) კონსტრუქციად (სუბიექტი **მოთხრობითშია**, ერგატივში);

დატიურ (მიცემითიან) კონსტრუქციად (სუბიექტი **მიცემითშია**, დატივში).

სხვა ქართველურ ენათაგან **სვანური** გარდამავალი ზმნა ზემოხსენებულ სამ კონსტრუქციას გვაძლევს და იმავე პირობებში, როგორშიც — ქართული:

აწმყოში ნომინატიური კონსტრუქცია გვაქვს: მეთხვარ ადგარი ლაჩგ¹.

ნამყო ძირითადში — ერგატიული კონსტრუქცია: მეთხვარად ადგარ ლაჩგ².

თურმეობით პირველში — დატიური კონსტრუქცია: მეთხვარს ოთ-დაგრა ლაჩგ³.

ზანურის კილოებში სხვაობა იჩენს თავს. სახელდობრ: მეგრულში კონსტრუქციები ისევე ნაწილდება, როგორც ქართულში:

¹ მონადირე კლავს ირემს.

² მონადირემ კლა ირემი.

³ მონადირეს მოუკლავს ირემი.

აწმყო შეეფერება **ნომინატიური** კონსტრუქცია: მონადირე ცვილუნს (= კლავს) ირემს.

ნამყო ძირითადს — **ერგატიული** კონსტრუქცია: მონადირეკ დოცვილუ (= მოკლა) ირემი.

თურმეობით პირველს — **დატიური** კონსტრუქცია: მონადირეს დუუცვილუ (= მოუკლავს) ირემი.

ქართულთან შედარებით განსხვავება მაინც არის: ერგატიულ კონსტრუქციას ნამყო ძირითადში გარდაუვალი ზმნაც ქმნის:

მონადირეკ ქემორთუ „მონადირემ მოვიდა“... მონადირეკ დოღურუ „მონადირემ მოკვდა“...

ერთი სიტყვით, **ნამყო ძირითადში** (და მისი წყების ნაკვებებში) **ერგატიული კონსტრუქცია ერთად ერთ კონსტრუქციად გვევლინება**. თავისებური აქ ისაა, რომ **ერგატიული კონსტრუქცია არაა მხოლოდ გარდამავალი ზმნის კონსტრუქცია**.

ჭანურში ერგატიული კონსტრუქცია მხოლოდ და მხოლოდ გარდამავალ ზმნას შეეფერება, ოღონდ ნამყო ძირითადშიც და აწმყოშიც, თურმეობითშიაც კი, როცა იგი ინვერსიული არაა: **პირდაპირი წყობის გარდამავალმა ზმნამ ჭანურში მხოლოდ ერგატიული კონსტრუქცია იცის**.

აწმყო: ავჯიქ ცვილუმს მსქვერი¹ „მონადირემ კლავს ირემი“

ნამყო ძირითადი. ავჯიქ დოცვილუ მსქვერი „მონადირემ მოკლა ირემი“

თურმეობითი პირველი: ავჯიქ დოცვილუდორენ მსქვერი „მონადირეს მოუკლავს ირემი“, უფრო ზედმიწევნით: „მონადირემ მონაკლავა ირემი“.

როგორც მეგრულში, ისე ჭანურში ერგატიული კონსტრუქციის გამოყენების არე გაფართოებულია: **მეგრულში — გარდაუვალ ზმნათა ხარჯზე, ჭანურში — აწმყოსა და თურმეობითის მიმართულებით** (მეგრულისებური ტენდენციები შენიშნულია ქართულ დიალექტებში; უფრო ინტენსიურია ეს პროცესი გურულსა და ქვემო-იმერულში, სადაც ზანურის კვალი ხელშესახება; უფრო მკრთალია აღმოსავლურ კილოებში (ქართლურში, კახურში...), სადაც მოვლენა დამოუკიდებელივ ჩაისახა².

მეორეულია ეს პროცესი ქართულ კილოებში, მეორეულია გადახრა ერგატიული კონსტრუქციის გამოყენებისას მეგრულშიცა და ჭანურშიც³.

¹ ნიმუშად არქაბულ ვარიანტს ვიძლევი.

² იხ. ვ. თოფურია: სინტაქსური ანალოგიის ერთი შემთხვევა ქართულში დიალექტების მიხედვით „ჩვენი მეცნიერება“, 1923, №1.

³ ამ საკითხს დეტალურად სხვაგან განვიხილავთ, ამჟამად შეიძლება მივუთითოთ „ჭანურის გრამატიკულ ანალიზზე“, გვ. 201, 221, 243. ჭანურში ჯერ კიდევ იპოვის კაცი ნომინატიური კონსტრუქციის ნაშთებს აწმყოში (გარდამავ. ზმნასთან) და დატიური კონსტრუქციისას ინვერსიულ თურმეობითში. იხ. იქვე, გვ. 181-182.

სვანურში ძველი ნორმები შემოგვრჩა: **ერგატიულ კონსტრუქციას სვანურში იგივე ადგილი უჭირავს, რაც ქართულში.**

აქ ყველგან მესამე პირის ვითარებას ვგულისხმობთ (ეს თავშივე ვთქვით). თუ რეალურ სუბიექტსა და ნივთის ობიექტს პირველსა და მეორე პირში დავსვამდით, სულ სხვა სურათს მივიღებდით: სათანადო ნაცვალსახელები არც მხოლოდობითში შეიცვლებოდა, არც მრავლობითში: **კონსტრუქცია ერთად ერთი აღმოგვჩნდებოდა** აწმყოშიც, ნამყო ძირითადშიცა და თურმეობითშიც.

აწმყო: დავითი აქებს სიმონს.

შდრ.: მე გაქებ შენ ...ჩვენ გაქებთ თქვენ.

შენ მაქებ მე ... თქვენ გვაქებთ ჩვენ.

ნამყო ძირით: დავითმა აქო სიმონი.

შდრ.: მე გაქე შენ ...ჩვენ გაქეთ თქვენ.

შენ მაქე მე ... თქვენ გვაქეთ ჩვენ.

თურმეობ. I: დავითს უქია სიმონი.

შდრ.: მე მიქიხარ შენ ...ჩვენ გვიქიხართ თქვენ.

შენ გიქივარ მე ...თქვენ გიქივართ ჩვენ.

სამი კონსტრუქციის ნაცვლად (მესამე პირთან) მივიღეთ ერთი კონსტრუქცია (პირველ და მეორე პირთან). რა კონსტრუქციაა ეს: ნომინატიური, ერგატიული თუ დატიური? კაცი იტყოდა: ნომინატიურიო — მე, შენ, ჩვენ, თქვენ სახელობითად გვეჩვენება; ვამბობთ კიდევ: სახელობითში იქნება — მე, შენ ჩვენ, თქვენ-ო. მაგრამ ეს ხდება სხვა სახელების ანალოგიით: ეს საანალოგიო მასალა (— ბრუნვებიანი სახელები — იგი, მან, მას... მონადირე, მონადირემ, მონადირეს...) რომ არ გაგვჩნდეს, მე, შენ, ჩვენ, თქვენ არც მოთხრობითი გამოვიდოდა, არც სახელობითი; ეს ნაცვალსახელები ფუძის როლში გამოდიან, ისტორიულად სხვა სახელთა ფუძეს ეტოლებიან¹.

¹ შენ (← შე-ნა), ჩვენ (||ჩვე-ნა), თქვენ (|| თქვე-ნა) -ნა ნაწილაკს დაირთავს, მაშასადამე, ერთგვარად „გაფორმებულია“, აბრამ, ისააკ — შიშველი ფუძეება; მაგრამ ეს გაფორმება ეტიმოლოგიის სამყაროს ეკუთვნის, შიშველი ფუძე თუ ნაწილაკიანი ფუძე მაინც ფუძეა. ბრუნვის ფუნქცია -ნა-ნა ნაწილაკს (შე-ნ || შე-ნა) ძველ ქართულში არა აქვს: ნაცვალსახელი მე ძველს ქართულში არაოდეს დაირთავს -ნა-ნა ნაწილაკებს და ამისდა მიუხედავად ამ უნაწილაკო მე-ს ისეთივე მორფოლოგიური ღირებულება აქვს, როგორც ნაწილაკიან შენ, ჩვენ, თქვენ-ს.

შდრ. ხუნძ. სახელ. დუნ „მე“, მუნ „შენ“ — ერგ. დიცა „მე“, დუცა „შენ“ — (მიც. დიდე „მე“, დუდე „შენ“): ერგატიული კონსტრუქცია ხუნძურში სამსავე პირში თანაბრად გვაქვს.

ძველი ქართულის მაგალითი რომ გამოვიყენოთ, „**მე** გაქებ **შენ**“ (— **შენ** მაქე **მე** —) იმავე რიგისა, როგორც „**აბრამ** შვა **ისააკ**“ (შდრ. **ისააკ** შვა **აბრაამ**); ორსავე შემთხვევაში განვითარების არსებითად **ერთნაირი საფეხური გვაქვს**: არც რეალური სუბიექტია გაფორმებული და არც რეალური ობიექტი. ესაა **ოდენფუძიანი კონსტრუქცია, ინდეფინიტური კონსტრუქცია**, გაცილებით უფრო ძველი, ვინემ **ნომინატიური და ერგატიული** კონსტრუქციები (ორივე ეს კონსტრუქცია მიღებულია ამ ოდენფუძიანი კონსტრუქციის დიფერენციაციის პროცესში!) და სინტაქსურ კონსტრუქციათა ისტორიის თვალსაზრისით უაღრესად ფასეული.

ჭანურში ერგატიული კონსტრუქცია მეტად დაშორდა სხვა ქართველურ ენათა ანალოგიურ კონსტრუქციას: გარედან რომ შეგხედოთ, ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ჭანური მთის კავკასიურ ენებს ეკედლებოდეს, სახელდობრ, იმ ენებს, რომელთაც გარდამავალ ზმნასთან მხოლოდ ერთი კონსტრუქცია იციან — ერგატიული კონსტრუქცია; იგულისხმება: ხუნძური, დარგული, ლეზგიური... მართლაც, მესამე პირში თუ ავიღებთ ზმნას, სინტაქსური კონსტრუქცია ერთნაირი გამოვა, ერგატიული. მაგრამ **საკმარისია, პირველსა და მეორე პირზე გადავიდეთ, რომ მკვეთრ განსხვავებას მივიღებთ: მთის ენებში კვლავ ერგატიული კონსტრუქცია დაგვრჩება, ჭანურში კი — ინდეფინიტური.**

აქ ჭანური სხვა ქართველურ ენათა ხაზს აგრძელებს: ჭანურშიც, მეგრულშიც, სვანურშიც ისევე, როგორც ქართულში პირველმა და მეორე პირმა თანაბრად დაიცვა ძველი კონსტრუქცია: **ინდეფინიტური კონსტრუქცია ქართველურ ენათათვის საერთო სინტაქსური კონსტრუქციაა პირველსა და მეორე პირში** (მესამე პირშიაც რომ ასეთივე მდგომარეობა გვქონდეს, ერგატიული კონსტრუქციის საკითხი ახლანდელი სახით არც გვექნებოდა: სუბიექტ-ობიექტის ბრუნვათა საკითხი მოიხსნებოდა და **გარდამავალი ზმნის თავისებურების მორფოლოგიური თავისებურება** დადგებოდა თავიდანვე ყურადღების ცენტრში).

ძველმა ქართულმა **ინდეფინიტური კონსტრუქცია** შემოგვინახა ადამიანთა საკუთარ სახელებთან: სათანადო მაგალითები არც ისე ხშირია, მაგრამ — ეჭვიმუტანელი. ახალმა ქართულმა — არც სალიტერატურო ენამ, არც დიალექტებმა — ამგვარი ფაქტები არ იცის (ძველ ქართულშიც უკვე ნაშთებია გვქონდა). არც ერთს სხვა ქართველურს ენაში **ინდეფინიტური კონსტრუქცია** ადამიანთა საკუთარ სახელებთან არ შეინიშნება:

ეს კონსტრუქცია, როგორც ვთქვით, მხოლოდ პირველსა და მეორე პირთან დასტურდება. მთის კავკასიურ ენებში აქაც (ე. ი. პირველსა და მეორე პირთან) ერგატიული კონსტრუქცია ბატონობს, მაგრამ ზოგს პატარა ენას ანდიურ ხეობაში პირველსა და მეორე პირში ერგატივი არა აქვს; ისეთ მსხვილ ერთეულშიც, როგორცაა ხუნძური ენა, მოგვეპოვება უტყუარი ნიშნები იმისა, რომ პირველსა და მეორე პირთან ერგატიული კონსტრუქცია მეორეული მოვლენაა (აღამიანთა სახელებში ერგატიული ბრუნვა შედარებით ახალი წარმონაქმია).

ქართულისა და, კერძოდ, **ძველი ქართულის ჩვენება ერგატიული კონსტრუქციის პრობლემისათვის ფასდაუდებელია:** ერგატიული კონსტრუქციის მქონე არც ერთ ენას არ გააჩნია დოკუმენტაცია ხუთმეტი საუკუნის მანძილზე და ამ ძველ ძეგლებში შემონახული ასეთი არქაული ფაქტები.

ნომინატიური კონსტრუქცია ინდო-ევროპულ და სემიტურ ენათა ძირითადი კონსტრუქციაა გარდამავალ და გარდაუვალ ზმნებთან. იბერიულ-კავკასიურ ენათა წრეში ამ კონსტრუქციის გამოყენების არე შეზღუდულია: მას ვხვდებით გარდაუვალ ზმნებთან (უპირატესად) და გარდამავალ ზმნებთან (გარკვეულ ენებში და გარკვეულ პირობებში).

ერგატიული კონსტრუქცია უცხოა ინდო-ევროპული ენებისათვის, როგორც ძველისა, ისე ახლებისათვის; ყოველ შემთხვევაში, მოქმედი გრამატიკული სისტემის სახით არსად ჩანს. ერგატიული კონსტრუქცია უცხოა სემიტური ენებისათვის, თურქულ-თათრული ენებისათვის, უნგრულ-ფინური ენებისათვის.

ერგატიული კონსტრუქცია გვაქვს ჩვენს კონტინენტზე იბერიულ-კავკასიურ ენებში (ქართველურ ენებში, მთის კავკასიურ ენებში; პირენეის ნახევარკუნძულზე — ბასკურში).

ერგატიული კონსტრუქცია გარდამავალი ზმნის კონსტრუქციაა (მეგრული არღვეს ამ წესს — გარდაუვალ ზმნებთანაც ნამყო ძირითადში ერგატივი დაისმის! — მაგრამ ეს მეორეული მოვლენაა და პრინციპული ღირებულება არა აქვს). **ერგატიული კონსტრუქციის რაობას**, მაშასადამე, **გარდამავალი ზმნა განსაზღვრავს. ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა სათანადო ენათა გარდამავალი ზმნის თავისებურების პრობლემაა.**

გარდამავალი ზმნის თავისებურება რომ გაირკვეს, საჭიროა შევისწავლოთ ყველა იმ კონსტრუქციის ისტორია, რომელთაც გარდამავალი

ზმნა მოითხოვს, შევისწავლოთ ამ კონსტრუქციებში მონაწილე ზმნის **ფუქტა აგებულება-ცვლასთან** დაკავშირებით. საჭიროა, მასასადამე, შევისწავლოთ **სუბიექტად** და **ობიექტად** გამოყენებულ **ბრუნვათა ისტორია და რაობა**, ერთის მხრივ, **ზმნის ძირითად ნაკვთთა** წარმოქმნის პროცესი, მეორე მხრივ.

გარდამავალ ზმნასთან, თუ ყველა პირის ვითარებას გაუწევთ ანგარიშს, ოთხი კონსტრუქცია გვექნება: **ინდეფინიტიური, ნომინატიური, ერგატიული** და **დატიური**. პირველი ამოსავალი ჩანს სამი დანარჩენისათვის: ამას გვეუბნება პირველი და მეორე პირის ვითარება (იხ. ზემოთ). ამ ამოსავალს აქ არ ვეხებით (მას განვიხილავთ ცალკე).

დატიური კონსტრუქცია, როგორც ვნახეთ, თურმეობითს შეეფერება და **ინვერსიულ წყობას** გულისხმობს (მონადირეს უკლავს ირემი, მონადირეს ეკლა ირემი, მონადირეს ეკლას ირემი). ინვერსიული წყობა, სადაც ამოსავლად გარდამავალი ზმნა გვაქვს, მეორეულია: უკლავს \longleftrightarrow კლავს, ეკლა \longleftrightarrow უკლა || კლა, ეკლას \longleftrightarrow უკლას || კლას.

აქედან ცხადია, რომ თურმეობითის ნაკვთები შეიძლება წარმოქმნილიყო მხოლოდ მას შემდეგ, რაც შეიქმნა ის ნაკვთები, რომელთა **ინვერსიის გზითაა** მიღებული თურმეობითი პირველი, თურმეობითი მეორე და კავშირებითი მესამე. ეს კი ნიშნავს: **გარდამავალ ზმნებთან დატიური კონსტრუქცია უფრო ახალია**, ვინემ **ნომინატიური** და **ერგატიული კონსტრუქციები**.

ჩვენ გავხაზავთ, „დატიური კონსტრუქცია **გარდამავალ** ზმნებთანა“: დატიური კონსტრუქცია გარდაუვალ ზმნებთანაც გვაქვს; ეს **გარდაუვალი ზმნები ინვერსიული ზმნებია** (მას აქვს, ჰყავს, უყვარს, სძულს, სწადს, სწყურის... იგი). ეს **ზმნები დიდი სიძველისაა; მათთან დატიური კონსტრუქცია გაცილებით უფრო ძველია**, ვინემ **დატიური კონსტრუქცია გარდამავალ ზმნებთან**, უფრო ძველია, ვინემ ნომინატიური და ერგატიული კონსტრუქცია იმავე გარდამავალი ზმნებისა (გარდაუვალ ზმნათა დატიური კონსტრუქციის სიბრტყეზე შეიძლება დადგეს **უფლიეს, უპყრიეს, ჰმოსიეს...** ზმნათა დატიური კონსტრუქცია: აქ საქმე გვაქვს **სტატიური ზმნების საობიექტო ქცევასთან, რაიც ინვერსიულ წყობას იძლევა**. საკითხს საგანგებო შესწავლა ესაჭიროება).

დაგვრჩა: ნომინატიური და ერგატიული კონსტრუქცია. რომელია მათში უფრო ძველი? ერთი შეხედვით, პასუხი თავის თავად ცხადია: უფრო ძველი უნდა იყოს ნომინატიური კონსტრუქცია; აქ ხომ გარდამავალი

ზმნა **აწმყო** დროშია, ერგატიული კონსტრუქცია კი **ნამყოს** შეეფერება (ნამყო ძირითადას და კავშირებით მეორეს). თითქოს ბუნებრივია ვივარაუდოთ: აწმყოიანი კონსტრუქცია იქნება უფრო ძველიაო. როგორ შეიძლება აწმყოს წარმოება არ იყოს უფრო ძველი, ვინემ ნამყოსი? როგორ შეიძლება ბოდა ნამყო ჰქონოდა ზმნას და აწმყო — არა? **ნომინატიური და ერგატიული კონსტრუქციების ურთიერთობის საკითხი აწმყოსა და ნამყო ძირითადის შემდგომადობის საკითხია.**

წინასწარს მოხსენებაში: „ერგატიული კონსტრუქციის პრობლემისათვის კავკასიურ ენებში: ამ კონსტრუქციის სტაბილური და ლაბილური ვარიანტები“¹, ჩვენ ვწერდით: „დროთა წარმოება ქართულში, თუ მას ისტორიულ ასპექტში განვიხილავთ, **გარდამავალ ზმნათთვის ამოსავლად ვარაუდობს ნამყო ძირითადის (აორისტის) ჯგუფს, აწმყოს ჯგუფი მეორეულია.** ცხადია, ამ პერსპექტივის უძველეს მომენტებს მივყავართ იმ კატეგორიებამდის, რომლებიც დროის კატეგორიას წინ უძღოდა“².

წინასწარს მოხსენებაში ეს დებულება წამოყენებული იყო, როგორც პასუხი ერთ-ერთ საკითხზე, რომელსაც სხვა საკითხებზე მსჯელობისას გვერდს ვერ ავუქცევდით.

ამ დებულების დასაბუთება, ცხადია, ხსენებულ წინასწარ მოხსენებაში შეუძლებელი იყო წარმოგვედგინა. წინამდებარე ნარკვევი მიზნად ისახავს დასაბუთოს ის დებულება, რომ **გარდამავალი ზმნების უღვლილეების** ისტორიაში **ნამყო ძირითადის (აორისტის) წყებაა** (კლა, კლის... აქო, აქის... პოვა, პოვის... აკეთა, აკეთის მან იგი) **ამოსავალი, აწმყოს წყება** კი (ჰკლავს, ჰკლვიდა... აქებს, აქებდა... ჰპოვებს, ჰპოვებდა... აკეთებს, კეთებდა იგი მას) **მეორეულია** წარმოქმნის მიხედვით.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ორი სინტაქსური კონსტრუქციიდან, რომელთაც **გარდამავალი ზმნა ქმნის**, ერგატიული კონსტრუქციაა (კლა მან იგი, აქო მან იგი) **უწინარესი, ნომინატიური კონსტრუქცია** კი (ჰკლავს იგი მას, აქებს იგი მას) **შემდეგი ხანისაა, უფრო ახალია.**

საამისო მასალას ძველი ქართული გავწვდის, კერძოდ, ზმნის უღვლილების ის ნაკვთი (ანუ დრო, როგორც იტყვიან ხოლმე), რომელსაც პერმანსივი თუ ნამყო ხოლმეობითი ეწოდება. ამ ნაკვთის ამოსავალი **ფუნქცია**, ამ ნაკვთის ძველი **ადგილი** უღვლილების სისტემაში შესაძლებელია გაირკვეს, პირველ ყოვლისა, დეფექტურ ზმნათა ჩვენების ანალიზით.

¹ მოხსენდა საკავშ. მეცნ. აკად. საქართველოს ფილიალის პირველ სესიას 28.IX.1939 წ.; დაიბეჭდა „ენიმკ-ის მოამბეში“, ტ. XII (1942 წ.), გვ. 221-247.

² იხ. დასახელებული წერილი: „ენიმკ-ის მოამბე“, XII, გვ. 223.

§ 2. ტერმინებისათვის „ხოლმეობითი“, „პერმანსივი“, permansiv.

ის ნაკვთი, რომლის შესახებაც ქვემოთ მოგვიწევს საუბარი (აკეთის, პოვის, ყვის მან იგი... გაკეთდის, იპოვის, იყვის იგი) სპეციალურ ლიტერატურაში სხვადასხვა სახელწოდებითაა ცნობილი.

ჰ. შუხარდტი მას აღნიშნავდა ტერმინით „პერპეტუალ“ (ლათ. პერპეტუუმ-იდან — „მუდმივი“, „სამარადისო“). ნ. მართან ეს ნაკვთი სულ არა ჩანს — არც „ძველი სალიტერატურო ქართული ენის გრამატიკაში“ (1925 წ. § 174, გვ. 142), არც „ძირითად ტაბულებში“ (1908 წ.). 1931 წ. ნ. მარს ნახმარი აქვს (ზოგი ზმნის უღვლილებისას) „აორისტი ჩვეულებითი“ — aoriste d'habitude — ("La langue géorgienne", გვ. გვ. 144, 192, 194), მაგრამ უღვლილების ნ. მარისეულ რვა ნაკვთში ეს ერთეული არც აქ შედის (§ 163, გვ. 136).

აკ. შანიძე ჯერ ხმარობდა **ნამყო მრავალგზითს**, შემდეგ — **ხოლმეობითს** (აწმყოს ხოლმეობითი, წყვეტილის ხოლმეობითი); ხოლმეობითის პარალელურად, როგორც ხოლმეობითის სინონიმი, აკ. შანიძესვე ნახმარი აქვს **ნამყო ჩვეულებითი**¹. წინათ, როცა აკ. შანიძის შრომა პრეფიქსების შესახებ რუსულად იბეჭდებოდა, ავტორს რუსულ ტექსტში უხმარია **პერმანსივი**. პერმანსივს იყენებს გ. დეეტერსიც („ქართველ მკვლევართა მაგალითის მიხედვით“).

პერმანსივი საჭირო შინაარსს სწორად წარმოგვიდგენს: ლათ. permanet „გრძელდება“, „არა წყდება“, მიმდებარე permansum „გაგრძელებული“, „შეუწყვეტელი“. რუსულსა და ევროპულ ენებზე რომ დაგვიჩვენოს ჩვენთვის საინტერესო ნაკვთისათვის ტერმინი, ასეთ ტერმინად პერმანსივი გამოდგება.

ქართულადაც შეიძლებოდა ეს ტერმინი დაგვეტოვებინა, მეტადრე თუ მის გვერდით „აორისტი“² აღმოჩნდებოდა (პერმანსივი: აკეთის მან იგი... აორისტი: აკეთა მან იგი). მაგრამ, ბუნებრივია, თუ აორისტის ნაცვლად ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ქართული ტერმინი იქნება ნახმარი; ასეთ შემთხვევაში კი ლათინური პერმანსივი უცნაურად შემოიჭრებოდა ქართულ ტერმინთა რიგში (აორისტის ნაცვლად ჩვენ ვხმარობდით და ვხმარობთ „ნამყო ძირითადს“).

¹ იხ. აკ. შანიძე: „ქართული გრამატიკა. I. მორფოლოგია“ (1930), გვ. 123.

² ტერმინი აორისტი ნ. მარის შემოღებულია (ბერძ. ἀοριστός „განუსაზღვრელი“).

რა ტერმინს უნდა მიეცეს უპირატესობა, როგორც „პერმანსივის“ ქართულ შესატყვისს? „მრავალგზითი“ არ გამოდგება: პერმანსივისთვის არსებითია არა მოქმედების გამეორება, არამედ განგრძობილად მისი ჩვენება (პერმანსივი არაა იტერატივი).

„ხოლმეობითი“ კარგად ნაწარმოები ტერმინია: „ხოლმე“ — „ხოლმეობითი“ (შდ. „თურმე“ — „თურმეობითი“, შემოღებული აკ. შანიძისავე მიერ). მისი მთავარი ნაკლი ისაა, რომ ადვილად ირევა „მრავალგზითში“: „აკეთებს ხოლმე“ შეიძლება ისე იქნეს გაგებული, თითქოს „კეთების“ განმეორებას ექცეოდეს ყურადღება, ნამდვილად კი საჭიროა გადმოიცეს, რომ მოქმედება „ჩვეულებრივ ხდება“, მოქმედებას „ჩვეულებრივად აქვს ადგილი“. ეს რომ არა, „ხოლმეობითი“ შენიშვნას არ გამოიწვევდა.

საცა წესია, უფრო ზუსტი იქნებოდა „ჩვეულებითი“, ანდა — კიდევ უფრო — „მიმდინარეობითი“, მაგრამ ეს გამოიწვევდა ახალი ტერმინის შემოღებას. ახალი ტერმინის შემატებას, რასაკვირველია, არ უნდა ვერიდოთ, თუ ძველი ტერმინი უვარგისია, ე. ი. სათანადო ცნების სწორად ათვისებას აბრკოლებს. ასეთ შემთხვევაში არც ტრადიციას უნდა დავერიდოთ, არც ახალი ტერმინის შემოღებასთან დაკავშირებულ სიძნელეებს. მაგრამ თუ უკვე ხმარებულ ტერმინს ასეთი უხერხულობა არა სდევს, ახალი ტერმინის შემოღება მიზანშეწონილი არაა (მეცნიერული აზროვნებისათვის **მთავარია ცნება და არა ტერმინი**, ტერმინს თავისთავადი ღირებულება არა აქვს, იგი ცნების გადმოცემას ემსახურება).

ამისდა კვალად შეიძლება პერმანსივის ბაღლად დავტოვოთ **ხოლმეობითი** სათანადო აქცენტით („რაც ჩვეულებრივ ხდება“, ამ გაგებით: „რაც ხდება ხოლმე“): მან **აკეთა** — ნამყო ძირითადი¹, მან **აკეთის** — ხოლმეობითი.

¹ ხოლმეობითის ისტორიული რაობის გარკვევისას ვნახავთ, რომ „ნამყო ძირითადი“ მართლაც **ძირითადია** ყველა იმ **ნაკვთს** შორის, რომელთაც ნამყო დაერქმის.

ტერმინით „ნაკვთი“ აღვნიშნავთ უღვლილების ერთეულს, სათანადო ფუძის სახით წარმოდგენილს, ე. ი. პირისა და რიცხვის ნიშანთა გამოკლებით: **-აკეთებ**, **-აკეთებდ**, **-აკეთებდე**, **-აკეთე**, **-აკეთი**, **-აკეთო** იქნება აკეთა-ზმნის ნაკვთთა ნიმუში (აწმყო წყებისა და ნამყო ძირითადის წყებისა).

ნაკვთი ტექნიკური ტერმინია და მიუთითებს **უღვლილების ერთეულზე** — ამ ერთეულის ფუნქციის აღუნიშვნელად. ამიტომ „ნაკვთი“ ვერ იქნება გრამატიკული კატეგორია („უფუნქციო კატეგორია“ არაა კატეგორია!) ისევე, როგორც გრამატიკულ კატეგორიას არ გულისხმობენ ტერმინები: „ბგერა“, „მახვილი“, „ხმოვანი“, „ფუძე“.

§ 3. ხოლმეობითი ახალსა და ძველ ქართულში. თანამედროვე სალიტერატურო ქართულში ხოლმეობითი აღარ იხმარება (ისეთი მაგალითი, როგორც გვხვდება რაფიელ ერისთავის ცნობილ ლექსში — „გადაბრუნდის ჩვენი ცივა, კოტრიელა, კოტრიელა!“ — დიალექტური წარმოშობისა უნდა იყოს). ბარის ქართულ კილოებში — ქართლურში, კახურში, იმერულში, — რამდენადაც ლიტერატურიდან ჩანს, ხოლმეობითი არ დასტურდება.

მთის კილოებში — ფშაურში, ხევსურულში, თუშურში¹, მთიულურში, მოხურში, აგრეთვე ბარის კილოებში — ქიზიყურსა და ფერეიდნულში — ხოლმეობითი დაცულია; ფერეიდნულის ჩვენება მოწმობს, რომ XVII საუკუნისათვის ხოლმეობითი კახურისთვისაც ჩვეულებრივი ყოფილა.

ხოლმეობითი არ იცის არც ზანურმა (ჭანურმა და მეგრულმა) და არც სვანურმა².

ხოლმეობითის ნიმუშები:

მთიულურში: ...რომ მოიდიან ცხენებით, მიადგიან თხრილსა, დეეცნიან და ჩაცვივდიან; ჯელები ციხეში ავიდიან, დაუჭირიან თოფები სათოფურიდამა... დაშინდიან და გაიქციანიან... სციან, სციან ათმა კაცმა ქვასა, — ვერ გატეხის; მემრე მოვიდი, გადავაბრუნი, საჯსარზე დავკრი კვერი და... დაიშალა შექარივითა...³

ფერეიდნულში: ...წავიდიან..., ჯარები ურემსაყე გომოუშიანყე, გაყიდიანყე, ფული დააქუჩიან და მისციან, მაპულეები დააგირავიანყე, ბეჩი ჩააგდიანყე და მისციან... თუ კაცი დაინახიან იმ ახლუებჩი, შემოუდგიან, დაიჭირიან, მაიყვანიან, იმ დღეს იმ წყალში ჩააგდიან...⁴

დიალექტებიდან მოყვანილს მაგალითებში ხოლმეობითი იხმარება იმის გადმოსაცემად, რაც ჩვეულებრივ ხდება (თუ ხდებოდა).

ასევეა ძველს ქართულში; ისეთს ძველში, როგორცაა „სახისა სიტყუაჲ“, ხოლმეობითის ნიმუშები უხვადაა წარმოდგენილი; ცხოველთა

¹ ფშაურის, ხევსურულისა და თუშური ხოლმეობითის პარადიგმები იხ. აკ. შანიძის მონოგრაფიაში: სუბიექტ. პრეფიქსი მეორე პირისა..., გვ. 154 და შემდ. ფშაური და ხევსურული ხოლმეობითის ნიმუშები ფრაზებში იხ. ქვემოთ § 17.

² იხ. აქვე, §§ 18, 19.

³ არნ. ჩიქობავა: მთიულურის თავისებურებანი, „ენიკი-ს მოამბე“, II, გვ. 52.

⁴ არნ. ჩიქობავა: ფერეიდნულის მთავარი თავისებურებანი, ტფილ. უნივერს. მოამბე, VII (1927, გვ. 211.

(ფრინველთა და სხვ.) ზნეა (ზღაპრულად) აღწერილი და მოთხრობილია: რას აკეთებენ ცხოველები (ფრინველები...) **ჩვეულებრივ** (ამ ძეგლში ხოლმეობითის სიხშირეზე მიუთითებდა დეეტერსი).

...სახისმეტყუელმან თქუა ირემისად. ვ'დ ჯეკმა მტერ არს გუელისა და რ'უს იხილის და ივლტინ გუელი. და შთაჯდის ჯურელად მივიდის ირემი იგი. და აღივსნის ფერდნი თჳსნი. წყლითა წყაროდსადთა და მივიდის ჯურელად, სადა იგი გუელი დამალულ არნ. და დაასხის წყალი იგი და ადავსის ჯურელი იგი ვ'დე გამოჯდის გუელი იგი და დათრგუნის ფერჯითა და მოკლის... სახისა სიტყუად, გვ. 42.

...არს მფრინველი რადმე პინდომ. სახელი ჰრქჳან მას ფჳნიქს. მეხუთასით წლით მოვიდის ხეთა ლიბანისათა და აღივსნის ფრთენი თჳსნი საკუმეველითა: და მოვიდის არეგდ ქ'ლქდ... და აუწყის ქურუმსა მას ბაგინისასა და ქურუმმან მან ვ'რ გულისხმა ყვის შევიდის ბაგინად და ადავსნის ბაგინი ნასხლევითა გინა თუ შეშითა და წარვიდის მფრინველი იგი... და შეჯდის ბაგინად და თჳთ ცეცხლი აღანთის და თავი შეიწჳს. ხუალისაგან შევიდის ქურუმი იგი და ეძიებნ ბაგინსა მას ზ'ა და პოვის მატლი ერთი ნაცარსა მას შინა... სახისა სიტყუად, გვ. 13.

...სახის მეტყუელმან თქუა გრძღაბისათჳს. რ'უს აღჯდის ვენაჯსა. ტევანნი გამომარცულნის და მოკუფხლნის და ქუე გარდამოაბნიის და გარდამოჯდის, შეაკოლტის ერთად. და ინგორის მარცუალსა მას ზ'ა და აღეკრის მარცუალი იგი ეკალსა მას მისსა. და მიართჳს მართუეთა თჳსთა და დაუტევის კერტი იგი ტევნისად მის ცუდი... სახისა სიტყუად, გვ. 22.

...სახისმეტყუელმან თქუა. კაკბისად ვ'დ სხჳსა კუერცხთა აცხოზნ და მართუენი გამოიჯადნის. რ' უცხონი კუერცხნი მოიპარნის. და თჳსა ბუდედ მიიხუნის და შეაცხვნის და მართუენი გამოიჯადნის. და ვერ დაუთმიან მართუეთა მათ: და შეკრიბის ვ'ა ქარქუეტი რად და დაუტევის განჯდომად და მით ქარქუეტითა. დაითმინის ცხორებად. და რ'უს აღორძნდიან მართუენი იგი, აღფრინდიან ურთიერთას თითოვეულად თჳსა თესლად მივიდიან თჳსთამშობელთა და იგი ვ'ა უგუნური დაუტევიან... სახისა სიტყუად, გვ. 28.

ამ ნაწყვეტებში ორმოციოდე ხოლმეობითი გვაქვს (სხვა ნაკვეთებიდან აწყობო ზოგადია წარმოდგენილი: ივლტინ, არნ, ეძიებნ, აცხოზნ).

გარდაუვალი ზმნის ხოლმეობითია: აღვდის, შთავდის, შევდის, გამოვდის, გარდამოვდის, მივიდის, მოვიდის, შევიდის, წარვიდის, აღეკრის, აღორძნდიან, აღფრინდიან.

გარდამავალი ზმნის ხოლმეობითია: იხილის, აღივნის, დაასხის, მოკლის, დათრგუნის, ჰრქვან, აღივსნის, აუწყის, ყვის, აღანთის, შეიწვს, პოვის, გამომარცულნის, მოკუფხლნის, გარდამოაბნის, შეაკოლტის, ინგორის, მიართვს, დაუტევის, გამოიჯადნის, მოიპარნის, მიიხუნის, შეაცხვინის, დაუთმიან, შეკრიბის, დაითმინის — **მან იგი / იგინი...**

ხოლმეობითი ზმნის უღვლილებს **ნაკვთა მეორე წყებაში** შედის ისევე, როგორც ნამყო ძირითადი: ორივეს საერთო ფუძე აქვს; ხოლმეობითისათვის ნიშანდობლივია საწარმოებელი სუფიქსი **-ი-**, ნამყო ძირითადს კი ან არავითარი სუფიქსი არ გააჩნია (შე-ხ-ვაბ კარი...), ანდა **-ე** სუფიქსი აქვს გამოყენებული (ვ-პოვ-ე, ვ-აკეთ-ე); **-ი** სუფიქსი აქ (შევაბ-**ი**, შევკარ-**ი**, მოგვალ-**ი**) მეორეულია...¹

ნამყო ძირითადი:

მე შე-ვ-აბ	მო-ვ-კალ	ვ-აკეთ-ე იგი
შენ შე-აბ	მო-ჰ-კალ	აკეთ-ე იგი
მან შე-აბ-ა	მო-კლ-ა	აკეთ-ა იგი
ჩვენ შე-ვ-აბ-თ	მო-ვ-კალ-თ	ვ-აკეთ-ე-თ იგი
თქვენ შე-აბ-თ	მო-ჰ-კალ-თ	აკეთ-ე-თ იგი
მათ შე-აბ-ეს	მო-კლ-ეს	აკეთ-ეს იგი

ხოლმეობითი:

მე შე-ვ-აბ-ი	მო-ვ-კლ-ი	ვ-აკეთ-ი იგი
შენ შე-აბ-ი	მო-ჰ-კლ-ი	აკეთ-ი იგი
მან შე-აბ-ი-ს	მო-კლ-ი-ს	აკეთ-ი-ს იგი
ჩვენ შე-ვ-აბ-ი-თ	მო-ვ-კლ-ი-თ	ვ-აკეთ-ი-თ იგი
თქვენ შე-აბ-ი-თ	მო-ჰ-კლ-ი-თ	აკეთ-ი-თ იგი
მათ შე-აბ-ი-ან	მო-კლ-ი-ან	აკეთ-ი-ან იგი

¹ კავშირებით მეორეს აქ განზე ვტოვებთ: წარმოების მიხედვით ის უფრო ახალია, ვინემ ნამყო ძირითადი და ხოლმეობითი. კავშირებითი **II** ნამყო ძირითადისაგან იწარმოება.

ნამყო ძირითადთან ხოლმეობითს **საერთო ფუძეც** აქვს და ერთნაირი **სინტაქსური კონსტრუქციაც**: რეალური სუბიექტი — RS — მოთხრობითშია, რეალური ობიექტი — RO — სახელობითში: **მან** აკეთა **იგი** — **მან** აკეთის **იგი**...

ამით თითქოს გარკვეული უნდა იყოს, რა ადგილიც ეკუთვნის აკეთის; შეაბის ნაკვთს ძველი ქართული ზმნის უღვლილების ისტორიაში:

ნაკვთა **აწმყოს** წყება: **აკეთებს, აკეთებდა, აკეთებდეს** — **იგი მას**

ნაკვთა **ნამყო ძირითადის** წყება: **აკეთა, აკეთის** — **მან იგი**

ხოლმეობითს ნაკვთა აწმყოს წყებასთან (პირველ წყებასთან) თითქოს არაფერი აქვს საერთო, — არც **მნიშვნელობა**, არც **წარმოება**, არც **სინტაქსური კონსტრუქცია**.

ამგვარ შთაბეჭდილებას აძლიერებს ისეთ დეფექტურ ზმნათა უღვლილებაც, როგორიცაა **იტყვს, ეტყვს**:

ნაკვთა აწმყოს წყება (პირველი წყება):

აწმყო: **იტყვს** იგი მას... **ეტყვს** იგი მას მას

ნამყო უსრული: იტყოდა იგი მას... ეტყოდა იგი მას მას

კავშირებითი I: იტყოდეს იგი მას... ეტყოდეს იგი მას მას

ნაკვთა ნამყო ძირითადის წყება (მეორე წყება):

ნამყო ძირითადი: **თქუა** მან იგი... **ჰრქუა** მან მას იგი

ხოლმეობითი: თქვს მან იგი... ჰრქვს მან მას იგი

კავშირებითი II: თქუას მან იგი... ჰრქუას მან მას იგი

აქ ნაკვთა პირველ წყებაში ერთი ფუძეა (**იტყუ-**, **ეტყუ-**), ნაკვთა მეორე წყებაში — სხვა (**თქუ-**, **რქუ-**): ეს უფრო მკვეთრად გამოგვივლენს ზღვარს ნაკვთა ამ ორ წყებას შორის და განაზავს ხოლმეობითის მტკიცე კავშირს ნაკვთა მეორე წყებასთან.

§ 4. თქუა-ზმნის ხოლმეობითი — თქვს — და მისი ფუნქცია ძველ ქართულში. მაგრამ ძველ ქართულშივე დასტურდება რიგი ფაქტები, რომელთა ჩვენებაც სხვაგვარ ვითარებაზე მიუთითებს. ეს ფაქტები ყველაზე ხელშესახებია ისევ დეფექტურ ზმნებთან. პირველ რიგში აქ სწორედ **თქუა**-ზმნაა გასათვალისწინებელი.

...ხ² თავადმან მიუგო და ჰრქუა მ²თ შერადმწუხრდის **ჰსთქვთ** ყულ-რო იყოს რ² წითს ცაჲ და განთიად **სთქუთ** ზამთარი იყოს რ² კსინავს მწუხარედ ცაჲ: ორგულნო ცისა სამე პირი იცით ცნობად: ხ² სასწაულნი ჟამთანი ვერ ძალ გისხენ გულის ჳმის ყოფად... ჰადიშის ოთხთავი, ტაბ. 34ბ², მთ 16²-4¹.

ჩვენთვის საინტერესო ზმნა აქ ორი სახითაა მოცემული: **ჰსთქვთ** და **სთქუთ**.

ჰს² პრეფიქსი — ჰაემეტობის ნაშთი ჩანს (მეორეში **ს-** თ-ს წინ სუბიექტური პრეფიქსია მეცხრე საუკუნის ნორმათა მიხედვით). განსახილველი საკითხის თვალსაზრისით უფრო არსებითია **უ** და **ჰს**-ს მონაცვლეობა:

ჰსთქვთ, სთქუთ:

სთქვთ ხოლმეობითია, **სთქუთ** — ნამყო ძირითადი:

შდრ.: ნამყო ძირითადი: მე ვთქუ	ხოლმეობითი: მე ვთქვ←ვთქუ-ი
შენ სთქუ	შენ სთქვ←სთქუ-ი
მან თქუ-ა	მან თქვს←თქუ-ის
ჩუენ ვთქუ-თ	ჩუენ ვთქვთ←ვთქუ-ით
თქუენ სთქუ-თ	თქუენ სთქვთ←სთქუ-ით
მათ თქუ-ეს	მათ თქვან←თქუ-იან

რისია აქ ეს **ჰსთქვთ, სთქუთ** — ხოლმეობითისა თუ ნამყო ძირითადი-სა? თუ: ერთს შემთხვევაში ხოლმეობითია და მეორეში — ნამყო ძირითადი?

დამახასიათებელია ბენეშევიჩის მიერ გამოცემულ ოთხთავთა ტექსტის ჩვენება: ტბეთის ოთხთავში ორსავე შემთხვევაში გვაქვს **სთქვთ** (ტბეთის ოთხთავი 995 წლითა დათარიღებული, ე. ი. მთელი საუკუნითაა დაშორებული

¹ როცა ეს შრომა იწერებოდა (1942 წ.), ჰადიშის ოთხთავი სტამბურად გამოცემული არ იყო. ამიტომ მითითება ფოტოტიპირს გამოცემაზეა (იხ. "Материалы по археологии Кавказа", XIV (1916) პ. ს. უ ვ ა რ ო ვ ი ს, ალ. ხ ა ხ ა ნ ა შ ვ ი ლ ი ს ა და ექვთ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ს რედაქციით). ჰადიშის ოთხთავის სტამბურად გამოცემის შემდეგაც (გამოიცა 1945 წ., რედაქტორი — აკ. შ ა ნ ი ძ ე) საჭირო აღმოჩნდა დაგვეტოვებინა მითითება ფოტოტიპირს გამოცემაზე.

ჯრუჭ-პარხლის ოთხთავის ტექსტს ვიმოწმებთ აკ. შ ა ნ ი ძ ი ს გამოცემის მიხედვით, ოპიზა-ტბეთისას — ვ. ბ ე ნ ე შ ე ვ ი ჩ ი ს გამოცემის მიხედვით (მხოლოდ მათე და მარკოზია გამოქვეყნებული).

² აკ. შ ა ნ ი ძ ე: ჰაემეტობა ადიშის სახარებაში — „ტფილ. უნივერ. მოამბე“, II (1922), გვ. 420. ჩენი მაგალითი ამ წერილში არაა დასახელებული, მაგრამ ანალოგიური მაგალითები — ჰსწყევე... ჰსცეს... მოჰსთხოვნა... — გარდამავალ საფეხურადაა მიჩნეული **ჰ**-აეობიდან **ჰის**-ობისაკენ.

ჰადიშის ოთხთავის გადაწერის თარიღს, 897 წელს; ბ ე ნ ე შ ე ვ ი ჩ ი ს გამოცემას საფუძვლად უდევს ტბეთის ოთხთავი); ოპიზის ოთხთავში ორივეგან **სთქუთ** ყოფილა (ოპიზის ოთხთავი თარიღდება 913 წლით). ტბეთისა და ოპიზის ტექსტებს ახასიათებს ერთგვარობა ამ სიტყვათა გადმოცემაში — ან **სთქვთ** ანდა **სთქუთ** (და არა: **ჰსთქვთ—სთქუთ**, როგორც ეს ჰადიშის ოთხთავშია).

ბ ე ნ ე შ ე ვ ი ჩ ს თავის გამოცემაში უპირატესობა მიუცია **სთქუთ**-ფორმისათვის: **ჰ**-ს წინ კვადრატულ ფრჩხილებში **ლ**-არის ჩასმული; ნაწყვეტი იკითხება ასე:

ხ¹თავადმან მიუგო და ჰრქუა მათ: შერადმწუხრდის სთქუთ (სტ¹ა¹ქ¹)¹ მ¹ყუდრო იყოს. რ¹ წითს ცაჲ და განთიად სთქუთ (სტ¹ა¹ქ¹) ზამთარი იყოს. რ¹ კსინავს მწუხარედ ცაჲ. ორგულნო პირი სამე ცისა იცით ცნობად. ხ¹ სასწაულნი ჟამთანი. ვერ ძალ გიც გულისხმის ყოფად ...ოპიზა-ტბეთ. ოთხთავი, მთ. 16².4.

ჰადიშის ტექსტთან შედარებით მცირეოდენი განსხვავება სხვა რაშიმეც გვაქვს:

ჰადიშ.: ყუდრო—**ოპიზ**. მ¹ყუდრო
 ,, ცისა სამე პირი—ოპიზა-ტბეთ.: პირი სამე ცისა
 (და არა: ცისაჲ!).

,, ძალ გისხენ—ოპიზა-ტბეთ.: ძალ გიც
 გულის ჳმის ყოფად—ოპიზა-ტბეთ.: გულის ხმის ყოფად

ჯრუჳ-პარხლის ოთხთავში ეს ადგილი ისევეა, როგორც ოპიზა-ტბეთისაში; განსხვავება იმაშიდაა, რომ ნაცვლად სიტყვისა „ცნობად“ გვაქვს „გამოცდად“ (ე. ი. დანახვად); ჩვენთვის საინტერესო ზმნა კი ორსავე შემთხვევაში **სთქვთ**-სახეს იღებს:

ხ¹თავადმან მიუგო და ჰრქუა მათ: შერადმწუხრდის, **სთქვთ** ყუდრო იყოს რ¹ წითს ცაჲ და განთიად **სთქვთ**: ზამთარი იყოს რ¹ კსინავს მწუხარედ ცაჲ ორგულნო პირი სამე ცისაჲ იცით გამოცდად,, ხ¹ სასწაულნი ჟამთანი ვერ ძალ გიც გულის ჳმის ყოფად (პარხ.: გულისხმის ყოფად)... ჯრუჳ-პარხ. ოთხთავი, მთ. 16².4.

¹ ბ ე ნ ე შ ე ვ ი ჩ ს წინასიტყვაობაში განმარტებული აქვს, რომ კვადრატულ ფრჩხილებში ჩასმულია **A** ვარიანტის — ოპიზისეული ოთხთავის — კუთვნილება.

ნაბეჭდი ოთხთავის ტექსტი¹ ჰსთქუთ-ს იძლევა—ოპიზის ტექსტის მსგავსად.

სიქუთ იკითხება **ურბნისის** ოთხთავშიც (ნახმარია მხოლოდ ერთგან): ...შერადმწუხრდის **სიქუთ** მყუდრო იყოს რ წითს ცაჲ და გწთიად — ზამთარი იყოს რ კსინავს მწუხარედ ცაჲ ორგულნო პირი სამე ცისად იცით ცნობად ხ სასწაულნი ჟმთანნი ვერ ძალ გიც გულის ჳმის ყოფად... ურბნისის ოთხთავი, ფ. 36^v².

რა უნდა გვქონოდა ამ ნაწყვეტში: ნამყო ძირითადი (**სიქუთ**) თუ ხოლმეობითი (**სიქვთ**)? რა თქმა უნდა, ხოლმეობითი (**სიქვთ**): კონტექსტი მხოლოდ მას იგუებს. ნამყო ძირითადი გამორიცხულია: აქ მომხდარი ფაქტი როდია აღნიშნული (...რომ შებინდდება, თქვენ თქვით — сказали — დარი იქნება, რადგანაც გაწითლებულია ცა...). არა, აქ ლაპარაკია ამინდის ამოცნობაზე: როცა ამას და ამას შენიშნავთ, ესა და ეს (დარი... ავდარი...) იქნებაო, ასე იტყვით ხოლმე (ამბობთ ხოლმეო), — ტექსტი ამას გულისხმობს...

ხოლმეობითი აირია ნამყო ძირითადში ფონეტიკურ ნიადაგზე **ჳ→უ**; ასეთი რამ, საერთოდ, ძველს ქართულში არაა იშვიათი, კერძოდ, ჰადიშის ოთხთავში საკმაოდ ხშირია; იხ. მაგალითად, მთ. 39: ...ნუ ჰგონებთ და იტყუთ თავით თუსით მამად გუვის ჩწ აბრაჰამი... იტყუთ=იტყვთ... თუსით=თუსით... გუვის=გვვის...

ამიტომ სწორია ჰადიშის **ჳსიქვთ**³, ტბეთისა და ჯრუჳ-პარხლისა — **სიქვთ**; ჰადიშისეული **სიქუთ** (აგრეთვე ოპიზისა და ქსნის—სთქუთ) ფონეტიკურად სახეცვლილი **სიქვთ**-აა.

ბენეშევიჩი მართებულად მოიქცა, როცა კვადრატულ ფრჩხილებში მოაქცია მის მიერ ჩამატებული **-ო**, რომელმაც მომდევნო **ჳ უ**-დ აქცია, მაგრამ უფრო სწორი იქნებოდა ნდობით მოკიდებოდა ტბეთის ოთხთავის—ბენეშევიჩისათვის ძირითადი ტექსტის — ჩვენებას და უცვლელად დაეტოვებინა **სიქვთ**: ხოლმეობითი მასინ არ აირეოდა ნამყო ძირითადში.

¹ ესაა ბიბლ. საზოგადოების გამოცემა, ტფილ. 1898; ძველი ქართულის ნორმები ამ ტექსტში ჩვეულებრივ დაცული არაა. ქვემოთ „ნაბეჭდი ოთხთავი“ ამ გამოცემაზე მიუთითებს.

² ქსნის ოთხთავში ეს ადგილი გვაკლია.

³ ჰადიშის ოთხთავის სტამბურ გამოცემაში ავ. შანიძეს **სიქუთ** ჯეროვნად გაუსწორებია და **სიქვთ** დაუსვამს (ჯრუჳ-პარხლის ტექსტიც ხომ **სიქვთ**;ს იძლევა!).

ხსენებულ ნაწყვეტში, ამრიგად, ხოლმეობითი გვაქვს; მაგრამ მთავარი იმის დადგენა კი არაა, რომ აქ ხოლმეობითი გვაქვს. **მთავარი ისაა, რომ ამ ხოლმეობითს აწმყოს მნიშვნელობა აღმოაჩნდა:** სთქვთ = ახ. ქართ. **ამბობთ**, ძვ. ქართ. **იტყვთ:** მხოლოდ ასეთ გაგებას გულისხმობს კონტექსტი.

ხ⁷ თავადმან მიუგო და ჰრქუა მათ შერაიმწუხრდის **ჰსთქვთ** ყუდრო იყოს რ⁷ წითს ცაჲ და განთიად **სთქვთ** ზამთარი იყოს: რ⁷ კსინავს მწუხარედ ცაჲ: ორგულნო ცისა სამე პირი იცით ცნობად: ხ⁷ სასწაულნი უამთანი: ვერ ძალ გისხენ გულის ჳმის ყოფად... ახალი ქართულით ეს იქნებოდა:

თვითონ 'იესომ' მიუგო და უთხრა მათ: რომ შებინდდება ხოლმე, **ამბობთ** (იტყვით ხოლმე) — დარი იქნება, რადგანაც გაწითლებულია ცა, და გათენებისას **ამბობთ** (იტყვით ხოლმე) — ავდარი¹ იქნება, რადგანაც პირქუშადაა ცა. მზაკვრებო! ცის სახის გამოცნობა იცით, დროთა ნიშნების გაგება კი არ ძალგიძთ...

სთქვთ რომ აქ უდრის ძვ. ქართ. **იტყვთ**-ს, ახ. ქართ. **ამბობთ**-ს, დასტურდება ძველი სომხური, ლათინური, ბერძნული და ძვ. სლავური ტექსტებითაც.

ძვ. სომხურში ჩვენთვის საინტერესო ადგილი ძირითად ტექსტში არა ჩანს (გვულისხმობთ ნაბეჭდ ოთხთავებს, აგრეთვე 887 წლით დათარიღებულ ხელნაწერს)², მაგრამ სქოლიოში მას უჩვენებენ ხოლმე:

და სასქ ფნითა. კირძამ ხრხკიჲ ქრხი სასქჲ აყარჲ ქრხიჲ. ფი ლარძრავესაჲ ჯ ხრქრხ. და აოაოთოჲ აკაიჲ ძირქი. ფი ჯაოაფოანხი თრომარქხამჲ ხრქრხ. არჲ ფხრხსა ხრქრხი ლარქჲ ფნხს. ხსკ ფნჯან ჭამანსაქის იჯ ლარქჲ ფხთხს — ძველი და ახალი აღთქმა, ვენეტიკის გამოცემა, 1805 წლისა, ტ. IV, გვ. 36 (წა 162.4, სქოლიოში).

სომხური ოთხთავი, 1895 წ. სტამბოლში გამოცემული, სხვაობას იძლევა (იქაც ეს ნაწყვეტი სქოლიოშია), ოღონდ **სასქჲ** აქაც გვაქვს.

სომხურ ტექსტში **სთქვთ** — ზმნა მხოლოდ ერთხელაა ნახმარი (მეორე „სთქვთ“ ნაგულისხმევია). ვენეტიკელთა გამოცემაშიც, სტამბოლისაში **სთქვთ**-ზმნა აწმყოშია: **სასქჲ** უდრის: ძვ. ქართ. **იტყვთ**, ახ. ქართ. **ამბობთ**.

¹ „ზამთარი“ აქ თბილი ქვეყნისთვის დამახასიათებელ წვიმიან ამინდს, ავდარს გულისხმობს (ასეა ეს ბერძნულ ტექსტშიც).

² ფოტოტიპურად გამოცემულია მოსკოვში, 1899 წ. იხ. ტაბ. 34_v.

ბერძნული: ὁ δὲ ἀποκριθεὶς εἶπεν αὐτοῖς Ὁψίας γενομένης λέγετε Ἐὐδία πυρράζει γὰρ ὁ οὐρανός. καὶ πρῶτ' Σήμερον χεῖμᾶν, πυρράζει γὰρ στυσγάζων ὁ οὐρανός. τὸ μὲν πρόσωπον τοῦ οὐρανοῦ γινώσκετε διακρίνειν, τὰ δὲ σημεῖα τῶν καιρῶν οὐ δύνασθε... **Mθ 16₂₋₄**.

სიქვთ აქაც ერთხელაა ნახმარი: **λέγετε** და აწმყოა = ძვ. ქართ. **იტყვთ**, ახ. ქართ. **ამბობთ**.

ლათინური: Ipse vero respondens dixit eis, Quando serum est diei, dicitis, Serenitas erit; rubet enim coelum. Et mane, hodie erit tempestas; rubet enim coelum triste. Hypocritae, faciem quidem coeli nostis discernere, signa vero temporum illorum non potestis? **Mt 16₂₋₄**.

Dicitis ერთხელაა ნახმარი და აწმყოა — ძვ. ქართ. **იტყვთ**, ახ. ქართ. **ამბობთ**.

ძვ. სლავურ ტექსტშიც სათანადო ნაწყვეტში ზის აწმყო **глаголете** = **говорите**, ამბობთ.

ამრიგად, ხსენებულ ტექსტში (მთ. 16₂₋₄) **სიქვთ** ხოლმეობითია და **აწმყოს მნიშვნელობისაა**, — უდრის ძვ. სომხ. **ասէք**, ბერძ. **λέγετε**, ლათ. **dicitis**, ძვ. სლავ. **глаголете**.

ანალოგიური შინაარსის ნაწყვეტი ლუკას თავიდან ასე იკითხება:

ჰადიშ.: ...ეტყოდა ერსაცა მას: რჴეს იხილით ღრუბელი აღმომავალი მეყსეულად **სიქუთ** ვ՛დ წჳმად მოაქუს და არნ. ეგრეთ: და რჴეს სამხრით ქრინ **სიქვთ** ვ՛დ ხორშაკი რიყოს და არნ. ეგრე: მსაკუვარნო (!) პირი ცისა და ქყნისაჲ იცით გამოცდად... (...მოცად) ...ხჴამი ესე ვ՛რ არა გამოიცადით... **ჰადიშ. ტაბ. 132b, ლკ 12₅₄₋₅₆¹**.

აქაც ორჯერაა ნახმარი **თქუა**-ზმნა; აქაც **უიჴ** მონაცვლეობს: **სიქუთ||სიქვთ**; სხვაობა (ისევე, როგორც მთ 16₂₋₄) ფონეტიკური ხასიათისაა; ორსავე შემთხვევაში ხოლმეობითი გვაქვს: **სიქვთ**.

ჯრუჭ-პარხლის ოთხთავის ამავე ნაწყვეტში ხოლმეობითი გვაქვს: **ჰსიქვთ** (ოპარხ.), **სიქვთ** (ჯრუჭ.).

ჯრუჭ-პარხ.: ...ეტყოდა იესუ ერსაცა მას რჴეს იხილით ღრუბელი აღმოსავალით და დასავალით მეყსეულად **ჰსიქვთ** (||სიქვთ — ჯრჭ.) წჳმად

¹ დაწყებული სიტყვებით „და რჴეს“ და გათავებული სიტყვით „გამოცდად“ შემდეგაა ჩაწერილი სვეტის ბოლოს უფრო მჭიდროდ და მომცრო ტანის ასოებით — 5 სტრიქონი ორი სტრიქონის ადგილას. ამ ხუთი სტრიქონიდან ორი სტრიქონი წაშლილზე მოდის. „მოცად“ დარჩენილა ახალ, მომდევნო სვეტზე... „როს“-ის ნაცვლად უნდა გვეონდეს „იყოს“. რ წინათ დაწერილის ნარჩენია.

მოაქუს და არნ ეგრეთ და რჷს სამხრით ქარი ქრინ **ჰსთქვთ** (||სთქვთ — ჯრჭ.), ვითარმედ სიცხჷ იყოს და არნ ეგრეთ. ორგულნო პირი ქუეყანისაჲ და ცისაჲ იცით გამოცდად ხჷ ჟამი ესე ვითარ არა გამოიცადეთ... ლკ 12⁵²⁻⁵⁶.

ურბნისის ოთხთავში, პირიქით, **სთქუთ** წერია (ორივეჯერ!):

...ეტყოდა იჷ ერსაცა მჷს. რჷმს იხილით ღრუბელი აღმომავალი და-სავალით მეყსეულად **სთქუთ** ვჲდ წჷმად მოაქუს და არნ ეგრჷთ და რჷმს სამხრით ქარი ქრინ **სთქუთ** ვჲდ სიცხე იყოს და არნ. ეგრეთ ორგულნო პირი სამე ქჷყნისაჲ და ცისაჲ იცით გამოცდად ხჷ ჟამი ესე ვჲრ არა გამო-იცანდეთ (!)... ურბნ. ოთხთავი, ფ. 144¹.

ძვ. სომხურში, ბერძნულში, ლათინურსა და ძვ. სლავურში სათანადო ადგილას აწმყო: **ասէք**, λέγετε, dicitis, глаголете; ეს სიტყვა ყველგან ორ-ჯერაა ნახმარი ისევე, როგორც ქართულ ტექსტში.

ძვ. ქართ. **სთქვთ** — ძვ. სომხ. **ასէք** „ამბობთ“ (აწმყო):

...ჩსაყე დ გჳიჳიჳიჳს კირჳამ

ძვ. ქართ. **სთქვთ** — ბერძნ. λέγετε „ამბობთ“ (აწმყო):

... Ἐλεγει δὲ καὶ τοῖς ὄχλοις Ὅταν ἴδητε νεφέλην ἀνατέλλουσαν ἐπὶ δυσμῶν, εὐθὺς λέγετε ὅτι Ὁμβρὸς ἔρχεται καὶ γίνεται οὕτως. καὶ ὅταν νότον πνέουτα, λέγετε ὅτι Καύσων ἔσται καὶ γίνεται... Λκ 12⁵⁴⁻⁵⁶².

ძვ. ქართ. **სთქვთ** — ლათ. dicitis „ამბობთ“ (აწმყო):

...Dicebat autem etiam turbae, Quum videritis nubem ex orientem ab occasu, statim dicitis, Imber venit; et ita fit. Et quum austrum flantem, dicitis, Aestus erit: et fit aestus... Lc 12⁵⁴⁻⁵⁶².

ძვ. ქართ. **სთქვთ** — ძვ. სლავ. глаголете (= говорите) ახ. ქართ. „ამ-ბობთ“ (აწმყო)³.

ასეთია ამ ადგილის მოწმობაც.

მაგრამ უცხო ენათა პარალელური ტექსტის ჩვენება იქნებ არაა გამოსადეგი: **იქნებ აქ სხვაგვარადაა სათანადო შინაარსი გადმოცემული და აწმყოში იმიტომ ზის თქუა-ზმნა**, რომ **ამას შინაარსის სხვაგვარად გადმოცემა განსაზღვრავს**; ერთი სიტყვით, იქნებ აწმყოს იმიტომ ხმარობს ძვ. სომხური, ბერძნული, ლათინური და ძვ. სლავური, რომ **ამას სტილის-ტიკური საჭიროება განსაზღვრავდა**. თუ ასეა, ცხადია, შეფარდება **სთქვთ** — **ასէք** — **λέγετε** — **dicitis**... — არ გამოდგებოდა ძვ. ქართულ-

¹ ქსნის ოთხთავში ეს ადგილი გვაკლია.

² „მზაკურნო“ და შემდეგი არ მოგვეყავს..

³ ტექნიკურ სიძნელეთა გამო ძვ. სლავურის სათანადო ტექსტი არ მოგვეყავს.

ლი ხოლმეობითის რაობის დასახასიათებლად: ნაწყვეტის შინაარსი ერთი და იგივეა, ნაწყვეტის შემადგენელი ნაწილები არაა ერთი და იგივეო, ვიტყოდით.

ასეთი ეჭვები, საერთოდ, კანონიერია, მაგრამ ჩვენს შემთხვევაზე ეს არ ვრცელდება: აქ ერთნაირი შინაარსი ერთნაირივე საშუალებებითაა გადმოცემული, ნაწყვეტის შინაარსიც ეფარდება ერთმანეთს და ნაწყვეტის შემადგენელი ნაწილებიც.

ამრიგად, შეფარდება, — ძვ. ქართ. ხოლმეობითი — და, ვთქვათ, ძვ. სომხ. აწმყო, — შემთხვევითი და მოჩვენებითი არაა, იგი საქმის ვითარებას შეესაბამება.

ეს რომ ასეა, ამაში ვრწმუნდებით სხვა გზითაც. პირველ ყოვლისა, აქ შემდეგი ფაქტი იქცევს ყურადღებას: **თვით ძველ ქართულში, ოთხთავის ტექსტის სხვადასხვა ვარიანტში**, ერთი და იმავე შინაარსის ერთნაირი სტილისტიკური საშუალებით გადმოცემისას, **ერთ ტექსტში/რომ თქვს ზის, მეორეში — მის შესატყვისად იტყვს წერია:**

1. ჰადიშ.: **თქვან** — ოპიზა-ტბეთ., ურბნ. ქსნ., ჯრუჭ-პარხ., ნაბეჭდი: **იტყვან:**

ჰადიშ.: ...ჰკითხვიდეს მას და ჰრქუეს ვ'დ (!) **თქვან** მწიგნობართა ჰელიადა მოსულად (!) არს პირველად... ჰადიშ. ტაბ. 83a, მკ 9¹¹.

ოპიზა-ტბეთ.: ...და ჰკითხვიდეს მას და ეტყოდეს. ვ'რ იტყვან მწიგნობარნი ვ'დ ელიადისი პირველად ჯერ არს მოსლვად... მკ 9¹¹.

ურბნ.: ...და ჰკითხეს მას და ეტყოდეს ვ'დ (!) **იტყვან** მწიგნობარნი ელიადისი ჯერ არს პ'ლდ მოსლვად... ფ. 86v.

ქსნისა: ...და ჰკითხვიდეს მას და ვ'დ (!) **იტყვან** მწიგნობარნი ელიადისა ჯერ არს პირველად მოსლვად... ფ. 42v.

ჯრუჭ-პარხ.: ...და ჰკითხვიდეს მას და ეტყოდეს ვითარმე **იტყვან** მწიგნობარნი ელიადისა ჯერ არს პირველად მოსლვად... მკ 9¹¹.

იტყვან — გვაქვს ნაბეჭდ ოთხთავშიც: ...იტყვან მწიგნობარნი... ამრიგად: ერთსა და იმავე ფრაზაში **თქვან** და **იტყვან** ენაცვლება ერთმანეთს: **თქვან** ძველია, **იტყვან** — ახალი, მისი შემცვლელი.

ძვ. სომხურში, ბერძნულში, ლათინურში, ძვ. სლავურში — **აწმყოა:**

ძვ. სომხ.: ...**ჲჩნღ...ჲყჩრღნ აսხნ ...ՄԿ** 9¹⁰ (!).

ბერძნ.: ...**ὄτι λέγουσιν οἱ γραμματεῖς...** Mk 9¹¹.

ლათინ.: ...**cur scribae dicunt...** Mc 9¹¹.

ძვ. სლავ.: (რუს. თარგმ.) ...**как говорить книжники...**

2. ჰადიმ., ოპიზა-ტბ., ჯრ.-პარხ., ურბნ., ქსნ. **სთქუთ** = **სთქვთ** — ნაბეჭდი: **იტყვთ**.

ჰადიმ.: ...ვამ თქნდა მწიგნობარნო და ფარისეველნო ორგულნო რ აშენებთ თქნ საფლაგებასა მას წინაწარმეტყუელთასა... და **სთქუთ**¹ (=სთქვთ) ვიყვენით თუმცა ჩუენ დღეთა მათ მამათა ჩუენთასა არამცა ზი-არ გვიყვენით მათ თანა სისხლსა მას წინაწარმეტყუელთასა ...ჰადიმ. ტაბ. 50 b₁₋₂, მთ 23₂₉₋₃₀.

ოპიზა-ტბეთ.: ვამ თქუენდა. მწიგნობარნო. და ფარისეველნო, ორ-გულნო. რ აშენებთ საფლაგება წინწყლთასა ...და **სთქუთ**: უკუეთუმცა ვიყვენით დღეთა მათ. მამათა ჩუენთასა. არამცა ვიყვენით. მათ თანა. ზი-არ სისხლსა მას წინაწარმეტყუელთასა... მთ 23₂₉₋₃₀.

ურბნის.: რ აშენებთ სფლვთა წყლთასა... და **სთქუთ** უკუეთუმცა ვიყვენით დღეთა მათ მამათა ჩუენთასა... (დანარჩენი ისევე, როგორც სხვა ტექსტ.)... 52v.

ქსნისა: ...რ აღაშენებთ საფლაგება წინწყლთასა... და **სთქუთ** უკუეთუმცა ვიყვენით დღეთა მათ მამათა ჩუენთასა... 9v.

ჯრუჭ-პარხ.: ვამ თქუენდა მწიგნობარნო და ფარისეველნო ორგულ-ნო რ აშენებთ საფლაგება წინაწარმეტყუელთასა... და **სთქვთ**: უკუეთუმცა ვიყვენით დღეთა მათ მამათა ჩუენთასა... (დანარჩენი, როგორც ზემოთ)... მთ 23₂₉₋₃₀.

ნაბეჭდი ოთხთავი: ვამ თქუენდა... რადმეთუ აშენებთ საფლაგება და **იტყვთ** უკუეთუმცა ვიყვენით დღეთა მათ მამათა ჩუენთასა... (დანარჩენი, როგორც ზევით ოპ.-ტბეთ. ტექსტში).

ძვ. სომხურში ნაწყვეტი ამგვარადგვა წარმოდგენილი: დამოკიდებუ-ლი წინადადების ორივე შემასმენელი აწმყოშია: **ღի ქინქ... ლ ა ა ს ქ** „რადგა-ნაც აშენებთ და ამბობთ“...

ასევე ბერძნულში: ὅτι οἰκοδομεῖτε... καὶ λέγετε...

ლათინურში: **aedificatis et dicitis...**

ძვ. სლავ. **зиджете... глаголете** — აშენებთ... ამბობთ.

ასეთ პირობებში ნაბეჭდი ქართული ოთხთავის **იტყვთ** საკმარის სა-ფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ ჰადიმისა და ოპიზა-ტბეთის **სთქუთ**=**სთქვთ** და ხოლმეობითია ისევე, როგორც ჯრუჭ-პარხლის **სთქვთ**, და ეს **სთქვთ** = **იტყვთ**, ე. ი. ახალი ქართულის „ამბობთ“.

¹ **სთქუთ** გაუსწორებლად დატოვებული ნაბეჭდ ტექსტში (ა. შ ა ნ ი ძ ი ს რედაქციით).

ამოსავალია აქ **სთქვთ**, მეორეულია — **იტყვთ**.

3. ჰადიშ.: **სთქუთ** (=სთქვთ) — ურბნ., ქსნის, ჯრუჭ-პარხ., ნაბეჭდი:

იტყვთ:

ჰადიშ.: ...არა თქენ **სთქუთ** ვრდ¹ ოთხ თველა და მკა¹დ¹ მოიწიოს აჰა გეტყ¹უ¹ თქენ¹... ტაბ. 163a₂ ინ 4₃₅.

ურბნ.: ...არა თქენ **იტყვთა** ვდ¹ ოთხლა თთუე არიან და მოვალს მკა¹დ... 181r.

ქსნისა: (სავსებით ასევეა)...

ჯრუჭ-პარხ.: ...არა თქუენ **იტყვთ** ვითარმედ ოთხლა თთუე არიან და მოვალს მკა¹დ? აჰა ესერა მე გეტყვ თქუენ... ინ 4₃₅.

ნაბეჭდი: არა თქუენ **იტყვთა**...

ძვ. სომხ.: *Ո՛չ դուք ասէք... 35*

ბერძნ.: οὐχ ἴμεῖς λέγετε ὅτι... Iv 4₃₅.

ლათინ.: Nonne vos dicitis... Jn 4₃₅.

ძვ. სლავ.: не вы ли глаголете... 4₃₅.

4. **ჰადიშ.:** **სთქუ** (= **სთქვ**), ურბნ., ქსნ., ჯრუჭ-პარხ., ნაბეჭდი: **იტყვ**.

ჰადიშ.: ...ნ¹ პილატე ჰკითხვიდა მას და ჰქა¹ შენ ხარ მეუფე ჰურიათაჲ: მან მიუგო და ჰქა¹ შენ **სთქუ**²... ტაბ. 152a₂ ლკ 23₃.

ურბნ.: ...და ჰკითხა მ¹ს პილატე და ჰქა¹ შენ ხარა მ¹ფე ჰ¹როთჲ ნ¹ თავადმან ჰქა¹ შენ **იტყვ**... 167 v.

ქსნისა: ...და ჰკითხვიდა მას პილატე და ჰქა¹ შენ ხარა მეუფე ჰურიათაჲ. ნ¹ თავადმან ჰ¹ქა¹ მას შენ **იტყვ**... 117 r.

ჯრუჭ-პარხ.: ...და ჰკითხა მას პილატე და ჰ¹ქა¹ შენ ხარა მეუფე ჰურიათაჲ ნ¹ თავადმან ჰ¹ქა¹ მას შენ **იტყვ**... ლკ 23₃.

ნაბეჭდშიც ასეა: ...შენ **იტყვ**...

აქ კონტექსტი ისეთია, რომ **სთქუ** ნამყო ძირითადის მეორე პირადაც შეგვეძლო გაგვეგო: ზმნა აღნიშნავს უკვე მომხდარ ფაქტს, კითხვაში ნავარაუდევს. აწმყოს ხმარება კი თავისებურ სტილისტიკურ ეფექტს იძლევა: რასაც ამბობ, სწორედ ისააო.

¹ ჰადიშის ნაბეჭდ ტექსტში **სთქუ** უცვლელადაა დატოვებული, ე. ი. ნამყო ძირითადადაა მიჩნეული შდრ. ჯრ.-პარხლის **იტყვ**.

² ჰადიშის ნაბეჭდ ტექსტში **სთქუ** უცვლელადაა დატოვებული, ე. ი. ნამყო ძირითადადაა მიჩნეული. შდრ. ჯრ.-პარხლის **იტყვ**.

საგულისხმოა, რომ ძვ. სომხური აქ აორისტს ხმარობს: *դու ասացեր*, "ты сказал"; ბერძნული, ლათინური და ძვ. სლავური აწმყოს იძლევიან:

ბერძ.: Σὺ λέγεις..., ლათინ.: Tu dicis... ძვ. სლავ.: ты глаго-
лещи...

ჰადიშის მხოლოდ ეს **სთქუ** რომ იძლეოდეს **იტყვ**-ს, ბუნებრივად ვი-
ვარაუდებდით, რომ ჰადიში აქ დამოკიდებულია ისეთ ტექსტზე, სადაც
ძველი სომხურის მსგავსად აორისტი იჭდა, ურბნისის, ქსნისა, ჯრუჭ-პარ-
ხლისა და ნაბეჭდი ტექსტი კი — ისეთ დედანზე, რომელიც ბერძნულ-ლა-
თინურისა და ძვ. სლავურის მსგავსად აწმყოს იყენებდაო; მაგრამ სხვა
ფაქტებს თუ გავიხსენებთ, მართებული იქნება დავასკვნათ — ჰადიშის
სთქუ აქაც ისევე, როგორც რიგ სხვა შემთხვევაში, ფონეტიკურად სახეც-
ვლილი **სთქვ** არის, ე. ი. ხოლმეობითია და ნიშნავს **იტყვ**-ს; მაშასადამე,
ჰადიში მიყვება იმ ტექსტებს, აწმყოს რომ იყენებენ, ჰადიშში **თქუ** რომ
ზის, ხოლმეობითია (და არა — ნამყო ძირითადი).

5. ჰადიში: **სთქუ** (= **სთქვ**), ურბნ., ჯრუჭ-პარხ., აგრეთვე ნაბეჭდი: **იტყვ**.

ჰადიში: ჰრქუა მას პილატე. უკუეთუ ეგრე არს მეუფც ხარ შენ. მი-
უგო ივ შენ **სთქუ** ვდ მეუფც ვარ¹... ტაბ. 192 ა₂, ინ 18₃₇.

ურბნ.: ჰქა მას პილატე უკუეთუ მფც ხარ შნ ჰქა მას ივ შნ
იტყვ რ მფც ვარ... 215 r.

ჯრუჭ-პარხ.: ...ჰრქუა მას პილატე: უკუეთუ მეუფც ხარი შენა ჰრქუა
მას იესუ: შენ **იტყვ** ვდ მეუფც ვარი მე... ინ 28₃₇.

ნაბეჭდშიც ასევეა: ...შენ **იტყვ**... (ოპიზა-ტბეთის სათანადო ნა-
წილი გამოცემული არაა).

ძვ. სომხ.: *դու ասես*... ბერძნ.: Σὺ λέγεις... ლათინ.: Tu dicis... ძვ.
სლავ.: ты глаголещи...

ამგვარად, **სთქუ** ამ შემთხვევაშიც ხოლმეობითია, ფონეტიკურ ნია-
დაგზე დამსგავსებული ნამყო ძირითადს: **სთქვ** → **სთქუ**, როგორც არა
ერთ სხვა შემთხვევაშიც.

სთქუ ჰადიშის ტექსტში ყოველთვის ხოლმეობითი არაა; ასე, მაგა-
ლითად, მთ 26₆₃;

...გაფუცებ შენ ღისა ცხოველისა რა მითხრა ჩნ უკუეთუ შენ ხარ
ქე ძე ღისა ჰრქუა მას ივ შნ **სთქუ**...

¹ ჰადიშის ნაბეჭდ ტექსტში **სთქუ** უცვლელადაა დატოვებული ტექსტში
(სქოლიოშიც შენიშვნა არა ჩანს). **სთქუ** ნამყო ძირითადადაა მიჩნეული.

სიქუ მეორდება ურბნ. (60 r), ქსნ. (20 r), ჯრუჟ-პარხ., ოპი-ზა.ტბეთ., ნაბეჭდში. რაა ეს **სიქუ**, — ხოლმეობითი **სიქვ** → **სიქუ** ფონეტიკურ ნიადაგზე, როგორც უკვე გვქონდა არა ერთგან ზემოთ, თუ ნამყო ძირითადი, დაცული უცვლელად? კონტექსტის მნიშვნელობა იგუებს ერთსაც და მეორეს: ამაში დავრწმუნდით ზემოთ, სადაც ნამყო ძირითადს მოველოდით და ხოლმეობითი აღმოგვაჩნდა. გამოდის, რომ მნიშვნელობა კონტექსტისა გაუგებრობისაგან ყოველთვის ვერ დაგვაზღვევს; ფონეტიკური ცვლილების გამო ხოლმეობითი გარეგნულად აღარ გაირჩევა ნამყო ძირითადისაგან. ეს მოწმობს, როგორ ადვილად შეიძლებოდა თქუა ზმნის ხოლმეობითისა და ნამყო ძირითადის აღრევა I და II პირში (მესამე პირში თქვს — თქუა განსხვავება რჩება).

მით უფრო საგულისხმოა, როცა **სიქუ**-ს ნაცვლად **იტყვ** გამოჩნდება. თუ ეს კრიტერიუმიც არ მოგვეპოვება — ყველა ტექსტში **სიქუ** ზის, მაშინ უცხო ენათა ჩვენებას თუ დავეყრდნობით (იგულისხმება სტილისტიკური ერთგვარობა).

ამ უკანასკნელ ჩვენს მაგალითში — შენ **სიქუ** — მთ 26₆₃ — აწმყო არც ძვ. სომხურში გვაქვს, არც ბერძნულში, არც ლათინურსა და ძვ. სლავურში. ძვ. სომხ. *դու ասացիր...*, ბერძ. *σὺ εἶπας...* ლათინ. *tu dixisti...* ძვ. სლავ. *ты рекль еси* — გვაქვს აორისტი (ძვ. სომხ., ბერძ.) და ნამყო სრული ანუ პერფექტი (ლათინ., ძვ სლავ.).

ასევე **ნამყო ძირითადია** (და არა ხოლმეობითი!) შენ **სიქუ** ჰადიმ. ტაბ. 162 b₁ ინ 4₁₇, ტაბ. 162 b₂ ინ 4₁₈, ტაბ. 57 b₁ მთ 26₂₅...

ყველა ამ შემთხვევაში საკითხი გადაწყვიტა უცხო ენათა ტექსტების ჩვენებამ: აწმყო არ ჩანს, აორისტი და პერფექტია.

პირუკუ: როცა უცხოური ტექსტები აწმყოს იძლევა და კონტექსტის მნიშვნელობაც ამას იგუებს, კანონზომიერი იქნება **სიქუ**, **ვთქუ**, **სიქუთ**, **ვთქუთ** გავიგოთ, როგორც ხოლმეობითი (**სიქუ** ← **სიქვ**... **ვთქუ** ← **ვთქვ**), აწმყოს ტოლფარდი თავისი მნიშვნელობით.

პირველ რიგში აქ ისეთი შემთხვევები იგულისხმება, როცა უცხოური ტექსტები სავსებით ერთნაირ ჩვენებას იძლევა ანდა თუ სხვაობაა, ადვილად ასახსნელი (ვთქვათ, აწმყო არაა, მაგრამ აწმყოს მიმღეობაა, ანდა სხვა ზმნაა, მაგრამ აწმყოშია დასმული).

6. ჰადიმ.: **თქუთ** — ურბნ.: **სიქუთ**, ოპი-ტბეთ.: **სიქ'ო'უთ** — ჯრ.-პარხ.: **სიქვთ** — ნაბეჭდი: **სიქუთ**...

ჰადიმ.: ...რლი ძვრსა იტყოდის მამისათჳს ანუ დედისათჳს სიკუდილით მოკუედინ: ხ თქნ **თქუთ** რნ ჰრქუას მამასა გინა თუ დედასა თჳსსა ნიჭით არს რადცა ჩემგან სარგებელ გეყოს... ტაბ. 32 b₁₋₂ მთ 15₄₋₅.

ურბნის.: ...რ^ნ თქუას ბოროტი მამისათჳს გინა დედისათჳს მოკუედინ. ხ^ნ თქ^ნ **სთქუთ** რ^ნ ჰქას მამასა **თჳსსა** გინა დედასა თჳსსა (!) ნიჭი რ^ლ ჩემგ^ნ სარგებელ გეყო... 38 r.

ქსნის ოთხთავს სათანადო ადგილი აკლია (დაზიანებულია).

ობიზა-ტბეთ.: ...რ^ნ ბოროტი თქუას მამისა თჳს. გინა დედისა თჳს მოკუედინ. ხ^ნ თქუენ სთქუათ (ობიზ.; || **სთქჳთ** — ტბეთ.) რ^ნ ჰრქუას მამასა თჳსსა გინა დედასა თჳსსა. ნიჭი. რ^ლ ი^ნ ჩემგან სარგებელ გეყო... მთ 154-5.

ჯრუჭ-პარხ.: ...რ^ნ ბოროტი თქუას მამისათჳს და დედისათჳს მოკუედინ ხ^ნ თქუენ სთქჳთ (პარხ. **თქჳთ**) რ^ნ ჰრქუას მამასა თჳსსა გინა დედასა თჳსსა ნიჭი რ^ლ ჩემგან სარგებელ გეყო... მთ 154-5.

ნ ა ბ ე ჯ დ შ ი ა : **ჰსთქუთ**...

რალაა ეს **თქუთ**, **სთქუთ**, **სთქჳთ**? **თქუთ** ნამყო ძირითადია, ბრძანებითის მნიშვნელობით ნახმარო, ვიტყოდით (სუბიექტური პრეფიქსი **ს**-არა გვაქვს!), მაგრამ კონტექსტი გულისხმობს თხრობითს; **თქუთ** და **სთქუთ** ერთი და იგივე ოდენობაა: პრეფიქსის უქონლობა ლაფსუსია თუ შეცდომა¹...

სთქუთ ნამყო ძირითადია თუ ხოლმეობითი (**სთქუთ** ← **სთქჳთ**)? უნდა იყოს ხოლმეობითი, როგორც ამას ჯრუჭ-პარხლისა და ტბეთის ტექსტები მოწმობენ; **ჳ**-ს **უ** შენაცვლება ობიზისა და ჰადიმის ტექსტებში.

ამ ხოლმეობითს აწმყოს მნიშვნელობა შეეფერება, როგორც სხვა ენებზე ტექსტებთან შეპირისპირებიდან ჩანს:

ძვ. სომხურში:	Լ ԴՈՒՔ Մ Ա Է Ք	„და თქვენ ამბობთ“ (აწმყო)
ბერძ.:	ὕμεις δὲ λέγετε	„ „ „ „
ლათინ.:	vos autem dicitis	„ „ „ „
ძვ. სლავ.:	вы же глаголете	„ „ „ „

კონტექსტიც აწმყოს ამართლებს: „ხოლო თქუენ **სთქჳთ**“ — გარკვეულ მომენტში კი არ გითქვამთ, საერთოდ ამბობთ ხოლმე („ვინც უთხრას თავის მამას გინდა დედას“...) — ლაპარაკია ნორმაზე, წესზე, რომელსაც ზოგადი დებულების ძალა აქვს: (ზოგადი) აწმყო აქ ბუნებრივია. ამ ფუნქციას ასრულებს ხოლმეობითი.

¹ ბექტურ ჰადიმის ოთხთავის სტამბურ გამოცემაში მთ 15₅ უცვლელადაა დატოვებული **თქუენ თქუთ**: არც სქოლიოშია რაიმე შენიშვნა. პრეფიქსიც უნდა დართვოდა და **უ**-ც შეგვეცვალა **ჳ**-თი.

7. ჰადიშ.: **ჰიქვთ** — ურბნ., ოპიზა-ტბეთ.: **სიქუთ** — ჯრუჭ-პარხ.
ჰსიქვთ — ქსნ.: **სიქუათ** (!) — ნაბეჭდ.: **ჰსიქუთ** — უცხოურში — აწმყო.

ჰადიშ.: ...რ მოსწ გრქუა თავ უყავ მამასა შნსა. და დედასა შენსა და რლი ძვრს იტყოდის... სიკუდილით მოკუედინ. ხ თქნ **ჰიქვთ** უკუეთუ ვინმე ჰრქუას კაცმან მამასა თუსსა ანუ დედასა თუსსა. კორბან. რლ არს ნიჭ რლიცა რად ჩემგან სარგებელ გეყოს... ტაბ. 79 a₁ მკ 7₁₀₋₁₂.

ოპიზა-ტბეთ.: ...რ მოსე თქუა პატივ ეც მამასა შენსა და დედასა შენსა და რნ ბოროტი თქუას... სიკუდილით მოკუედინ. ხ თქუენ **სიქუთ**. უკუეთუ ჰრქუას კაცმან მამასა და დედასა კურბანა რლ არს ნიჭი... მკ 7₁₀₋₁₂.

ურბნ.: ...რნ ბოროტი თქას ...სიკუდილით მოკუედინ. ხ თქნ **სიქუთ** უკუეთუ ჰქას კცმან მამასა და დედასა კორბან... 82 r. (მოგვყავს შეკვეციოთ).

ჯრუჭ-პარხ.: ...რ მოსე თქუა პატივ ეც მამასა შენსა და დედასა შენსა და რომელმან ბოროტი თქუას მამისათუს და დედისათუს სიკუდილით მოკუედინ. ხ თქნ **ჰსიქვთ** (ჯრუჭ.; **სიქუთ** — პარხ.) უკუეთუ ჰრქუას კაცმან მამასა და დედასა, კურბან რლ არს ნიჭი... მკ 7₁₀₋₁₂.

ქსნისა: ...რნ ბოროტი თქას ...სიკუდილით მოკუედინ... ხ თქნ **სიქუათ** (!) უკუეთუ ვინმე ჰრქუას მამასა თუსა (!) და დედასა თუსა (!) კორბან... 37 r.

ნაბეჭდშია — ჰსიქუთ...

ურბნის., ოპიზა-ტბეთ., პარხ. და ნაბეჭდში **ჰ** → **უ**; ამოსავალია: სთქვთ¹; იგი შემოგვინახა ჯრუჭისა და ჰადიშის ტექსტებმა (**ჰ**-პრეფიქსით!). ამ ხოლმეობითს ზოგადი აწმყოს მნიშვნელობა აქვს: **ამბობ, იტყვით** ხოლმე... სხვა ენებზე აწმყო აქ ბუნებრივია: *глаголетъ... ἔμειν δὲ λέγειτε... vos autem dicitis... вы же глаголете...*

8. ჰადიშ.: **სიქვთ** — ოპიზა-ტბეთ., ჯრუჭ-პარხ.: **სიქვთ**, ურბნ., ქსნ.: **სიქუთ** (ნაბეჭდით: **ჰსიქუთ**) — ძვ. სომხ., ლათ. — აწმყო:

ჰადიშ.: ...გად თქნდა მწიგნობართა ბრმათა რ **სიქვთ** რნ ფუცოს ტაძარსა არარად არს... ტაბ. 49 b₂ მთ 23₁₆.

ოპიზა-ტბეთ., ჯრუჭ-პარხ.: ...გად თქუენდა წინამძღუარნო. ბრმანო, რლთა **სიქვთ** ედ რნ ფუცოს ტაძარსა მას არა რად არს... მთ 23₁₆.

¹ ქსნის ტექსტის **სიქუათ** კავშირებითია; ჩანს, გადამწერი ცდილა გაეზარებინა მისთვის გაუგებარი **სიქუთ**.

ურბნ. 51 v, **ქსნისა** 8 r.: ...რლთა **სთქუთ** ვდ რნ ფუცოს ტაძარსა...

ძვ. სომხურში იკითხება: ...**զի ասէք**... „რადგანაც ამბობთ“...

ლათინურში: ...**qui dicitis** „რომელნიც ამბობთ“...

ბერძნულსა და ძვ. სლავურში მიმღეობაა: **λέγουτες**... **глаголюши** „მეტყუელნი“, „მეტყუელთა“...

სხვა ენათა ჩვენება ან აწმყოს გვაწვდის ან აწმყოსეულ მიმღეობას.

ძვ. ქართ. **სთქუთ**, მაშასადამე, აქაც აწმყოს როლს ასრულებს.

9. ჰადიშ., ურბნ., ქსნისა: **სთქუთ** — ჯრუჭ-პარხ., ნაბეჭდი: **ჰსთქუთ** — ბერძ., ლათინ., ძვ. სლავ. — აწმყო:

ჰადიშ.: ...მოუწოდეს მშობელთა აღზილულისა მის ჰკითხვიდეს მათ და ჰრქუეს. ესე არს ძმ იგი თქნი რლისათჳს თქნ **სთქუთ** ვდ ბრმად იშვა აწ ვითარ ხედავს... ჰადიშ. ტაბ. 175 a₂ ინ 9₁₈₋₁₉.

ურბნ. 195 r, ქსნისა 157 r.: ...ესე არსა¹ ძმ იგი თქნი რისაჲ თქნ **სთქუთ** ვდ ბრმად იშვა...

ჯრუჭ-პარხ.: ...მოუწოდეს მამა-დედათა მისთა რლმან იგი აღზილნა და ჰკითხვიდეს მათ და ჰრქუეს ესე არსა ძმ იგი თქუენი რლისაჲ თქუენ **ჰსთქუთ** ვდ ბრმად იშვა ვითარ უკუე აწ ჰხედავს... ინ 9₁₈₋₁₉.

ნაბეჭდშიც ასევეა: **ჰსთქუთ**...

ბერძნ.: ...ὃν ὑμεῖς λέγετε... ლათინ.: **quem vos dicitis**... ძვ. სლავ.: ...его же вы глаголете... სამსავე შემთხვევაში აწმყო. ძვ. სომხურში — ნამყო უსრულია: **զորմէ դուքն ասէիք**... ნამყო უსრული კი ფუნქციით აწმყოსთან ახლოსაა, ნამყო ძირითადად კი არსებითად შორდება.

ძვ. ქართული **სთქუთ**² ამ შემთხვევაშიც ხოლმეობითი **სთქუთ** არის და აწმყოს ეტოლება: ეს არის თქვენი შვილი, რომლის შესახებაც თქვენ **ამბობთ**, ბრმა დაიბადაო? ახლა როგორღა ხედავს?

10. ჰადიშ., ჯრუჭ-პარხ., ურბნ., ქსნისა: **სთქუთ**, ნაბეჭდი: **ჰსთქუთ**, ბერძ., ლათ., ძვ. სლავ. — აწმყო.

ჰადიშ.: ...თქნ მხადით მე მოძღურით და უფლით და კეთილად **სთქუთ**: რ ვარვე ეგრე... ტაბ. 183 b₁ ინ 13₁₃.

ჯრუჭ-პარხ.: ...თქუენ მხადით მე მოძღუარო და უფალო და კეთილად **სთქუთ** რადმეთუ მე ვარ... ინ 13₁₃.

¹ კითხვის -ა აკლია ურბნისის ტექსტს.

² ჰადიშის ნაბეჭდ ტექსტში (ავრეთვე ჯრუჭ-პარხლისაში) ეს **სთქუთ** დატოვებულია ტექსტში გაუსწორებლად (ყოველგვარი შენიშვნის გარეშე).

ნაბეჭდი: ...კეთილად ჰსთქუთ...

ურბნ. 205 r, **ქსნისა** 171 r.: ...და კეთილად **სთქუთ** რ¹ მე¹ ვარ...

ბერძნ.: ...καλῶς λέγετε... Iv 13₁₃... ლათინ.: *benedicitis* In 13₁₃.

ძვ. სლავ.: *добрѣ глаголете*... — აწმყო იმავე თქვა-ზმნისა („ამბობთ“). ძვ. სომხურში კი უხმარიათ სხვა ზმნა: *ხ იოლჲ ა იუნჲ* „და კარგს აკეთებთ“ — მაინც აწმყოა.

სთქუთ, მაშასადამე, მიღებულია **სთქვთ**-ისაგან და აწმყოს მაგივრობას ეწევა თავისი მნიშვნელობით².

11. ჰადიშ.: **თქუან... თქვთ** — ოპიზა-ტბეთ., **ურბნ.**, **ქსნისა**: **თქვან... სთქუთ** — ჯრუჲ-პარხ.: **თქვან... სთქვთ** — ნაბეჭდი: **თქვან... ჰსთქუთ** — ბერძნ., ლათ., ძვ. სლავ. — აწმყოა.

ჰადიშ.: ...და ჰრქუა. რად **თქუან** ჩემთჲს კაცთა. ვ^ლ ვინ ვარ მე. ხ^ლ მათ მიუგეს და ჰრქუეს იოვანე ნათლისმცემელი და სხუათა ელია... მან ჰრქუა მათ თქ^ნ რად **თქვთ** ვინ ვარ... მიუგო მას პეტრე და ჰრქუა შენ ხარ ქ^შ... ტაბ. 82 a₁ მკ 8₂₇₋₃₀.

ოპიზა-ტბეთ.: ...და ეტყოდა. რად **თქვან** ჩემთჲს კაცთა ყოფად. ხ^ლ მათ მიუგეს მას. ვ^ლ იოვანე ნათლისმცემელი და სხუათა — ელია ...ჰრქუა მათ ი^ვ თქუენ რად **სთქუთ** ჩემთჲს ვინ გგონიე მე: მიუგო პეტრე და ჰრქუა მას შენ ხარ ქ^შ... მკ 8₂₇₋₃₀.

ურბნ.: ...და ეტყოდა მათ რად **თქვან** ჩემთჲს კ^ლცთა ყოფად... თქ^ნ რად **სთქუთ** ჩემთჲს ვინ ვარი მე... 85 r.

ქსნისა: ...და ჰქ^ა მათ რად **თქვან** კაცთა ჩემთჲს ყოფად... თქ^ნ რად **სთქუთ** ჩემთჲს ვინ ვარი მე... 40 v — 41 r.

ჯრუჲ-პარხ.: ...და ეტყოდა: რად **თქვან** კაცთა ჩემთჲს ყოფად ხ^ლ მათ მიუგეს და ჰრქუეს მას ვ^ლ იოვანე ნათლისმცემელი და სხუათა ელია ...ჰრქუა მათ იესუ: თქუენ რად **სთქვთ** ჩემთჲს ვინ ვარ მე მიუგო პეტრე და ჰრქუა მას შენ ხარ ქ^რისტე... მკ 8₂₇₋₃₀.

ნაბეჭდში: ...რად **თქვან** კაცთა... თქუენ რად **ჰსთქუთ**...

ძვ. სომხ.: *ღ^ო ილათხჲ ასხნ ეჩნჲნ მ^არიქ^იქ^ინ [ქ^ჲ ჩგხ^ა... [ხ^სკ იოლჲ ღ^ო ილათხჲ ასსჲ ეჩნჲნ [ქ^ჲ ჩგხ^ა... M⁴ 8₂₇₋₂₉.*

¹ ურბნისის ტექსტში **მე** გვაკლია.

² ჰადიშისა და ჯრუჲ-პარხლის ნაბეჭდ ტექსტში **სთქუთ** დატოვებულია ტექსტში რაიმე შენიშვნის გარეშე, ე. ი. გაგებულია ნამყო ძირითადად.

ბერძნ. *Τίνα με λέγουσιν οἱ ἄνθρωποι εἶναι... ὑμεῖς δὲ τίνα με λέγετε εἶναι...* Mc 8²⁷, 29.

ლათინ.: *Quemnam esse me dicunt homines? ...Vos autem quem me dicitis esse?* Mc 8²⁷⁻²⁹.

ძვ. სლავურშიც სათანადო ზმნაა: **ГЛАГОЛЮТЬ... ГЛАГОЛЕТЕ...**

უცხო ენათა სათანადო ადგილები, ამრიგად, ექვს არ ტოვებენ, რომ **თქვან... სთქვთ** ზმნა მნიშვნელობით აწმყოს უღრის.

კვლავ ყურადღებას იქცევს **ვ**-სა და **უ**-ს მონაცვლეობა: ჰადიშის ტექსტში მეორე პირის ხოლმეობითის ფორმა უცვლელადაა დაცული: **თქვთ** (აკლია ოღონდ სუბიექტის ნიშანი: უნდა გვექონოდა **სთქვთ**), მესამე პირის ფორმაში **ვ**-ს ადგილას **უ** ზის (**თქუან** ← **თქვან**)¹; ოპიზა-ტბეთისაში, პირიქით, მესამე პირის ფორმა უცვლელადაა შენახული (**თქვან**), მეორე პირისაში **უ** გვაქვს (**სთქუთ**), ხოლმეობითი ნამყო ძირითადს ემსგავსება (ასევეა ნაბეჭდშიც): **სთქუთ** ← **სთქვთ**. ჯრუჭ-პარხლისაში დაცულია ძველი ვითარება: მესამე პირიცა და მეორეც — ხოლმეობითია (ფონეტიკურ ცვლილებათა გარეშე): **თქვან... სთქვთ...**

12. ჰადიშ., ოპიზა-ტბეთ., ჯრუჭ-პარხ.: **თქვან**, ძვ. სომხ., ბერძნ., ლათინ., ძვ. სლავ. — აწმყო.

ჰადიშ.: ...**ხ** საქმეთა მათაებრ ნუ იქმთ: რ⁷ **თქვან** და არა ყვიან შეკრიან ტურთები მძიმე და ძნიად სატურთველი და დასდვიან ბეჭთა ზ^ა კაცთასა ხ⁷ მათ თითითაცა მათითა არა ჰნებავნ შეძრვად იგი... ტაბ. 49 a₁₋₂ მთ 23₃₋₅.

ოპიზა-ტბეთ.: ...**ხ** საქმეთა მათთაებრ ნუ იქმთ რ⁷ **თქვან** და არა ყვიან შეკრიბიან (?! უნდა იყოს: შეკრიან) ტურთი მძიმე. და ძნიად სატურთავი და დასდვიან მჯართა ზ^ა კაცთასა ხ⁷ მათ თითითა⁷ცა⁷ მათითა არა უნებნ შეძრვად იგი... მთ 23₃₋₅.

ჯრუჭ-პარხლის ტექსტში ზმნები იგივე გვაქვს, რაც ჰადიშისაში: **თქვან... ყვიან... შეკრიან... დასდვიან... ჰნებავნ.**

ურბნისის ტექსტში გვაქვს: **...თქვან ...ყვიან ...შეკრიან ...უნებნ...** 50 v-51 r.

ქსნისა: ...**ხ** საქმეთა მათთაებრ ნუ იქმთ რ⁷ **თქუან** და არა ყვიან რ⁷ **შეკრიან** ტურთი მძიმე და ძნიად სატურთავი და **დასდვიან** მჯართა ზ^ა კაცთა ხ⁷ მ⁷ თითითაცა ერთითა შეძრვად არა **უნებნ** იგი... 7 r.

¹ ჰადიშის ტექსტის სტამბური გამოცემის რედაქტორ აკ. შანიძეს ამჯერად **თქუან** სქოლიოში აქვს ჩამოტანილი და ტექსტში აღდგენილია სწორი ფორმა **თქვან**.

ძვ. სომხ.: ...*ჟი ასხსნ ლსჯანხსნ... შთ* 23_გ ..., ამბობენ და არ აკეთებენ“.

ბერძ.: ...*λέγουσιν γὰρ καὶ οὐ ποιοῦσιν... Μθ* 23_ვ ..., ამბობენ და არ აკეთებენ“.

ლათინ.: ...*dicunt enim et non faciunt...* ..., ამბობენ და არ აკეთებენ“.

ძვ. სლავ.: ...*глаголють бо и не творять.*

ამ ნაწყვეტში **თქვან** გამოდის სხვა ენათა აწმყოს ეკვივალენტი: მეორდება ის, რაც სხვა მაგალითებში დადასტურდა (ქსნის **თქუან** მიღებულა **თქვან**-ისაგან). ყურადღებას იქცევენ სხვა ზმნები: ყვიან... შეკრიან... დასდვიან... ჰნებავნ (||უნებნ). პირველი სამი ხოლმეობითია, უკანასკნელი ზოგადი აწმყოა ე. წ. ხოლმეობითის **-ნ**-სუფიქსით (**S₃**-ის ძველი ნიშნით). ოთხსავე ზმნას უცხო ენებში **აწმყო** შეეფერება:

ძვ. სომხ.: *იჯ აიხსნ... ღაყხსნ ეხიჩსა... ლ იჩხსნ... იჯ ღაქჩხსნ...*

ბერძნ.: *οὐ ποιοῦσιν... δεσμεύουσιν... επιτιθέασιν... οὐ θέλουσιν...*

ლათინ.: *non faciunt... ligant... imponunt... nolunt...*

ძვ. სლავ. (რუს. თარგ.): *не делают... связывают... возлагают... не хотят...*

ყველა ამ შემთხვევაში ზმნას „ზოგადი აწმყო“ მნიშვნელობა აქვს: ასე ხდება ხოლმე, ჩვეულებრივ (და არა ერთს გარკვეულ მომენტში). ესაა ხოლმეობითის მნიშვნელობაცა და ზოგადი აწმყოს მნიშვნელობაც¹. ამიტომ ბუნებრივია, თუ **თქვან... ყვიან... შეკრიან... დასდვიან**-ის გვერდით აღმოჩნდა **ჰნებავნ**. ანალოგიური მაგალითები — იხ. ქვემოთ.

13. ჰადიშ.: **თქუან** — ოპიზა-ტბეთ., ჯრუჭ-პარხ.: **იტყოდეს** — ძვ. სომხ. — ნამყო უსრული, ლათინ. და ძვ. სლავ. — აწმყო (ბერძ. — მიმღეობა).

ჰადიშ.: ...მას დღესა შინა მოუჯდეს საღუკეველნი რლთა **თქუან** ვდ არა არს აღდგომად... ჰადიშ. ტაბ. 48 a₁ მთ 22₂₃.

ოპიზა-ტბეთ., ჯრუჭ-პარხ.: მას დღესა **შა** მოუჯდეს მას საღუკეველნი იგი და იტყოდეს ვდ არა არს აღდგომად... მთ 22₂₃.

ასევეა **ქსნ**. 5 v; **ურბნისისაშიც** (49 v), ოღონდ **ეტყოდეს** გვაქვს.

ასევეა ნაბეჭდში: ...მოუჯდეს მას საღუკეველნი რლნი იტყოდეს...

ძვ. სომხ.: ...*საღიკხეჩენ ირ ასჯჩნ მჯ ჯიკ კარიოქჩხსნ... შთ* 22₂₃.

¹ ხოლმეობითისა და აწმყოს ამ **-ნ**-იანი ფორმის ფუნქციათა ურთიერთობის შესახებ საუბარი გვქონდა წერილში: „მესამე პირის სუბიექტის უძველესი ნიშანი ქართველურ ენებში“ — „ენიმკის მოამბე“, ტ. VI (1940), გვ. 21-22, 23.

ბერძნ.: ... Σαδδουκαῖοι, λέγοντες μὴ εἶναι ἀνάστασις... Mt 22₂₃.

ლათ.: ...Sadducaei, qui dicunt non esse resurrectionem... Mt 22₂₃.

ძვ. სლავ. (რუს. თარგ.): **которые говорят...**

ოპიზა-ტბეთ., ჯრუჭ-პარხლისა და ძვ. სომხური თანაბრად იყენებენ ნამყო უსრულს; ლათინური და ძველი სლავური აწმყოს იძლევიან; ბერძნულიც ამას ეკედლება, ოღონდ იქ აწმყოს მიმღეობა გვაქვს: λέγοντες „მეტყველნი“ (ე. ი. „რომელნი იტყვან“). ჰადიშის **თქუან** ← **თქვან**¹ ხოლმეობითია და ნიშნავს „იტყვან“, „ამბობენ“...

14. ჰადიშ.: თქუს (= **თქვს**), ჯრუჭ-პარხ.: **თქვს**, ძვ. სომხ., ბერძნ., ლათინ., ძვ. სლავ. — აწმყო.

ჰადიშ.: ...და არავინ სუამნ ძუელსა ღუნოსა და მეყსეულად ჰნებავნ ახალი რ **თქუს** ძუელი უტკბილეს არს... ტაბ. 114 a₁ ლკ 5₃₉.

ჯრუჭ-პარხ.: ...და არავინ სუამნ ძუელსა ღვნოსა და მეყსეულად ჰნებავნ ახალი, რადმეთუ **თქვს** ვითარმედ ძუელი უტკბილეს არს... ლკ 5₃₉.

ურბნისის ტექსტში თქს წერია: ...და მეყსეულდ ჰნებავნ ახალი რ **თქს** ძუელი უტკბილეს არს... 122 r. **თქს** = **თქვს**. ამ მხრივ ახალი აქ არაფერია.

ქნის ტექსტში თქვს-აა (ქარაგმით!): ...და არავინ სუამნ ძუელსა ღვნოსა და მეყსეულად ჰნებავნ ახალი რ **თქვს** (!) ვდ ძუელი უტკბილეს არს... 85 r.

ქარაგმის დასმა იმის მომასწავებელი უნდა იყოს, რომ გადამწერს არ ესმოდა, რატომაა **თქვს**: ის სხვა რაღაცას ვარაუდობდა (თქუას, თქუეს...).

ნაბეჭდ ოთხთავშიც **თქვს** გვაქვს.

ჰადიშის **თქუს** ← **თქვს** (შდრ. იქვე **ღუნო** ← **ღვნო**); **თქვს** დაუცავს ჯრუჭ-პარხლის ტექსტს.

მის შესატყვისად გვაქვს: ძვ. სომხ. **ասէ**, ბერძ. λέγει, ლათ. dicit, ძვ. სლავ. глаголет „ამბობს“².

15. ჰადიშ., ოპიზა-ტბეთ., ჯრუჭ-პარხ.: **თქვს** — ძვ. სომხ., ბერძნ., ლათინ. — აწმყო.

¹ ჰადიშის სტამბურ გამოცემაში **თქუან** გასწორებულია: ტექსტში **თქვან**-აა შეტანილი.

² ჰადიშის სტამბურ გამოცემაში **თქუს** გასწორებულია (**თქვს**).

ჰადიმო. ...ეძიებნ განსასუენებელსა ადგილსა და არა პოის: მაშინ **თქვ^ს**¹ მივიქცე სახიდ ჩემდა: ვინადცა იგი გამოვედ... მოვიდის... ტაბ. 26 b₁ მთ 12₄₃₋₄₄.

ჯრუჭ-პარხ.: ეძიებნ განსასუენებელსა და არა პოვის. მაშინ **თქვს** მივიქცე სახიდ ჩემდა ვინადცა გამოვედ... მთ 12₄₃₋₄₄.

ობიზა-ტბეთ.: ეძიებნ განსუენებასა. და არა პოვის მაშინ **თქვს** მივიქცე სახედ ჩემდა ვინადცა გამოვედ... მთ 12₄₃₋₄₄.

სავსებით ასევეა **ურბნისის** ტექსტში 28 r (ოლონდ **პოის** გვაქვს). ქსნის ოთხთავი ამ ნაწილში დეფექტურია.

თქვს-ის შესატყვისად გვაქვს: ძვ. სომხ. **սսტ**, ბერძ. λέγει, ლათინ. **dicit**, ძვ. სლავ. **речет** (სინონიმიа глаголет-ისა) — „ამბობს“.

სათანადო ნაწყვეტი ლუკას თავიდან ასე იკითხება:

ჰადიმო. ...ეძიებნ განსუენებასა და არა პოის და **თქს¹** მოვიქცე ¹სახ¹ლსა ჩემსა... ტაბ. 128 a₂ ლკ 11₂₄.

თქს ← **თქვს**, როგორც ეს გვაქვს ჯრუჭ-პარხლის ტექსტში.

მნიშვნელობით **თქვს** = ძვ. ქართ. იტყუს, ახ. ქართ. ამბობს, აწმყოა აგრეთვე ძვ. სომხურში, ბერძნულში, სლავურში.

16. ჰადიმო.: **თქს** (= **თქვს**) — ობიზა-ტბეთ. **თქვს** — ძვ. სომხ.: **სსტ**.

ჰადიმო.: რა აღესრულოს თქუმული იგი ოისა მიერ წინარმეტყუელისაგან (!) რლ **თქს**: ეგუბტით უწოდი ძესა ჩემსა... ტაბ. 7 a₂ მთ 2₁₅.

ობიზა-ტბეთ.: ...რა აღესრულოს. თქუმული ოისა მიერ. წწწყლისაგან რლ **თქვს** ეგუბტით უწოდი ძესა ჩემსა... მთ 2₁₅.

შდრ. **ჯრუჭ-პარხ.**: რა აღესრულოს სიტყუად უფლისაი **თქუმული** წინაწარმეტყუელისაგან ვდ ეგუბტით უწოდო ძესა ჩემსა... მთ 2₁₅.

ურბნის.: რა აღესრულოს სიტყუად იგი ოდ თქლი წწყლისა მრ ეგუბტით უწოდი ძესა ჩემსა...

ქსნის ოთხთავში ეს ადგილი არა გვაქვს (გვაკლია).

თქუმულია ნაბეჭდ ოთხთავშიც.

მიმღეობას იძლევა ბერძნული, ლათინური, ძვ. სლავური, ოლონდესაა მიმღეობა აწმყოსი („მთქმელი“): διὰ τοῦ προφήτου λέγουτος... per prophetam, dicentem... пророком, глаголющим...

¹ ქარაგმა სწორადაა გახსნილი ჰადიმის სტამბურ გამოცემაში (ჯრუჭ-პარხლის მიხედვით).

ძველი სომხური კი ზმნას იყენებს, აწმყოში: *ասացხաღ ...მარცარქին ირასაღ* „თქმული ...წინასწარმეტყველისა, რომელიც ამბობს“...

ჰადიშის **თქს**, ცხადია, **თქვს** არის¹. ამაზე ოპიზა-ტბეთის ჩვენებაც (**თქვს**) მიუთითებს. ეს **თქვს** = „ამბობს“, ძვ. სომხ. *ასაღ...*

ცალკე უნდა აღინიშნოს, რომ რეალური სუბიექტის ბრუნვად თქვს ზმნასთან **რღ** = **რომელ** გამოდის: **რომელ თქვს**. მოსალოდნელი იყო „რომელმან თქვს“. კაცი იფიქრებდა, რღ თქვს ხომ არაა „რომ იტყვის ხოლმე (ამბობს)“-ო (რომელ=რომ), მაგრამ უფრო ის უნდა ვივარაუდოთ, რომ აქ საქე გვაქვს ძველის-ძველ კონსტრუქციასთან, სადაც ფუძე მოთხრობითის მაგივრობას ეწევა² (შდრ. რომელ თქვს — აბრაამ თქვს).

ამბობს-ის მნიშვნელობით უნდა იყოს ნახმარი **თქვს** შემდეგს ფრაზაშიც: ესე ყლი იქმნა რა აღესრულოს თქუმული ოისა მიერ წინადსწარმეტყველისაგან რღი **თქვს**... ჰადიშ. ტაბ. 6 ა2 მთ 122...

აქაც **რღ** უნდა გვქონოდა, როგორც ეს ჩანს ოპიზა-ტბეთის ტექსტში: ესე ყი იქმნა რა აღესრულოს თქუმული ოისა მიერ წწწყლიღსაღან რღ **თქუეს**... მთ 122... (ალბათ, იყო **თქვს**)...

მთ 122 სხვა ენებზე თქვს-ზმნის შესაბამისად აწმყოს მიმღეობას იძლევა (ასეა — ბერძნ., ლათინ., ძვ. სლავ.); ძვ. სომხ. *ასაყაღ* — ნამყო, ვნებ. „ითქვა“.

ჯრუქ-პარს.: პირითა წინასწარმეტყუელ(ისაღ)თა **თქუმული**...

ურბნისის ტექსტში მიმღეობაა: **თქღი** = **თქუმული**... ქსნისა — ამ ნაწილში დეფექტურია.

თქვს-ზმნა ჩვენ განვიხილეთ ოთხთავის ტექსტის მასალაზე; ოთხთავს უპირატესობა მივეცი იმიტომ, რომ ვარიანტების შედარება შესაძლებელი ხდებოდა და სხვა ენათა (ძვ. სომხურის, ბერძნ., ლათინ., ძვ. სლავურის) შესატყვისი ადგილების შეპირისპირება ძვ. ქართული ტექსტის ზუსტად გაგებას აადვილებდა.

¹ აკ. შანიძეს რღ თქს გახსნილი აქვს ამგვარად: „**რომელ თქუა**“. სქოლიოში წერია: თქუეს (? თქს)... ასეთი გახსნა ქარაგმისა ნებისმიერია: **თქს=თქუა?!** -ს სადღაა?

² ასეთი მაგალითები სხვაც არის; მათ შესახებ სიტყვის გაგრძელება აქ უადგილო იქნებოდა.

თქვს-ზმნა მთელი ოთხთავის მასალაზეა გასინჯული.

განალიზებული ფაქტები, ვფიქრობთ, საკმარისია დასკვნისათვის: ძვ. ქართულში **თქვს** (ხოლმეობითი) **იხმარებოდა იტყვს** (ახ. ქართ. **ამბობს**)-ზმნის **ფუნქციით**. მაგრამ **იტყვს** ხომ გვაქვს იმავე ჰადიშის ტექსტში? ახ. ქართ. „ამბობს“-ის შესაბამისად ჰადიშის ოთხთავში **იტყვს** ჩვეულებრივია.

მაშასადამე, **თქვს**¹ ზმნის (ხოლმეობითის) **აწმყოს ნაცვლად გამოყენება ჰადიშის ოთხთავში უფრო ნარჩენია**, ვინემ — ძირითადი ნორმა. ეს კია, რომ ეს ნარჩენი იმდენად ხელშესახები და თვალსაჩინოა, რომ არ შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს, თუ გვინდა, რომ ძველი ქართული ტექსტი ადეკვატურად იყოს გაგებული.

იტყვს-ზმნის ხმარება იმავე ჰადიშის ძეგლში, რასაკვირველია, მეორეულია: **თქვს** იყო წინათ, **მისი ადგილი შემდეგში დაიკავა იტყვს**-მა. მოგვყავს **იტყვს**-ზმნის ხმარების რამდენიმე მაგალითი ჰადიშის ოთხთავიდან:

...ნუ ჰგონებთ და **იტყუთ** (= **იტყვთ**) თავით თუსით (= თუსით) მამად გუვის ჩნ აბრაჰამი... ჰადიშ. ტაბ. 8 a₂ მთ 39.

...ვინ არს ესე რი **იტყვს** გმობასა ... ჰადიშ. ტაბ. 113 a₁ ლკ 521.

...ლაღადებედ და **იტყვედ**. ვლ შნ ხარ ძე ღმ... ჰადიშ. ტაბ. 69 b₁ მკ 311.

...აღ ჰრწმენეს რ რლსა **იტყვს** ვლ იყოს იგი... ჰადიშ. ტაბ. 89 b₁ მკ 1123².

...რ მოვიდა იოვანე ნათლისმცემელი არცა ჰამდა და არცა სუმიდა: და **იტყვთ** ეშმაკეულ არს. მოვიდა ძე კაცისაი ჰამს და სუამს და **იტყვთ** აჰა კაცი მჰამელი და ღვნის მსუმელი: მეგობარი მეზუერეთა და ცოდვილთა... ჰადიშ. 118 a₁ ლკ 733-34.

ადგილი წარმოსადგენია, რა სახისაც იქნებოდა უკანასკნელი ნაწყვეტი, სანამ **იტყვთ** დაიჭერდა **თქვთ**-ის ადგილს:

¹ ეს არ ნიშნავს, რომ **თქვს** სხვა ფუნქციით არ ყოფილიყოს გამოყენებული, მაგალითად, კავშირებითისა (**respect**. ბრძანებითის) გაგებით: ...ვრ ხედავს... ჩნ. არა უწყით: მაგას ჰკითხეთ განსრულებულ არს თვთ თავისა თუსისათჳს თქვან... ჰადიშ. ტაბ. 175 b₁ ინ 921: თქვან = თქუას, იტყოდეს... მაგრამ ასეთი გამოყენება, კანონზომიერი თავის თავად, მეორეულია (სათანადო მაგალითები იხ. § 8).

² მდრ. **პარხ**: ...აღ ჰრწმენეს რამეთუ რომელი **თქუას**, იქმნეს... **ჯრუჭისაში** ყოფილა რლი **თქან**... გამომცემელს ნავარაუდევია აქვს **თქუან** (ასე ხსნის ქარაგმას). მკ 1123. თუ **თქუან** (მრავლობითი) შეიძლებაოდა გვევარაუდებინა, **თქვან** უფრო ბუნებრივი იქნებოდა: რლი **თქვან** იქმნეს = რასაც იტყვიან, იქნება.

...მოვიდა იოვანე ნათლისმცემელი არცა ჭამდა და არცა სუმიდა: და *სთქვთ ეშმაკეულ არს. მოვიდა ძე კაცისაჲ ჭამს და სუამს და *სთქვთ აჰა კაცი მჭამელი და ღვნის მსუმიელი...

გადამწერის ხელში ერთი სიტყვა ცვლიდა მეორეს — **გადამწერისათვის ჩვეულებრივი მისთვის უჩვეულოს...** ამის ნიმუშებს ბლომად ვიპოვით ძველ ტექსტებში (თქვს — იტყვს... უწყის — იცის... გუაღე — ვიღოღე — წყვილეულთა პირველი წევრი, ლიტერატურულად უფრო ძველი, ადგილს უთმობს მეორეს, ლიტერატურულად უფრო ახალს...).

იტყვს ზმნისაგან ნამყო უსრული და კავშირებითი I იწარმოებოდა (თქვს ზმნისაგან — არა!) და ესეც აძლიერებდა **იტყვს** ზმნის პოზიციას (აგრეთვე **იტყვს** — ორპირიანი ვარიანტის არსებობა...).

§ 5. ხოლმეობითი აწმყოს ფუნქციით სხვა გარდამავალ ზმნებთან. მხოლოდ **თქვს**-ზმნამ შეინარჩუნა ძველი ფუნქცია, თუ სხვა ზმნებთანაც ვპოულობთ ანალოგიურ ფაქტებს? მოსალოდნელია სხვა ზმნების ხოლმეობითიც იყოს ნახმარი აწმყოს ნაცვლად. ეს მოლოდინი დასტურდება კიდევც (საანალიზოდ აქაც ოთხთავის ფაქტებს ვიღებთ, რომ შედარება-შეპირისპირების შესაძლებლობა გვქონდეს).

1. ჰადიმ., ჯრუჭ-პარხ.: **აღმოიკითხა** — ნაბეჭდში: **აღმოიკითხავ**... ძვ. სომხ., ბერძ., ლათინ., ძვ. სლვ. — აწმყოა.

ჰადიშ: ...რჩულსა ვითარ წერილ არს გ'რ **აღმოიკითხი**?... ტაბ. 126 ა₂ ლკ 10₂₆.

ჯრუჭ-პარხ.: ...შჯულსა ვითარ წერილ არს ვითარ **აღმოიკითხი**? ასევეა ურბნისის ოთხთავში.

ნაბეჭდი ოთხთავი: ...სჯულსა ვითარ წერილ არს? ვითარ **აღმოიკითხავ**?

ძვ. სომხ.: ...*հրպէս ընթեռնուս* „როგორ კითხულობ?“

ბერძნ.: ...*πῶς ἀναγινώσκεις* „ „

ლათინ.: ...*quomodo legis?* „ „

ძვ. სლავ.: ...*кпкo чтеши?* (ე. ი. *кпк читаеш?*) „როგორ კითხულობ?“

აღმოიკითხი-ს შესაბამისად ყველგან აწმყოა. მნიშვნელობაც ნამყოს არ ვარაუდობს: წინათ წაკითხულზე კი არაა ლაპარაკი, არამედ იმაზე, რასაც კითხულობენ ხოლმე. ნაბეჭდი ოთხთავის **აღმოიკითხავ** სწორად გადმოგვცემს, რა გაგებითაც უხმარიათ **აღმოიკითხი** ჩვენს მაგალითში.

2. **მიიყვანის... პოიან** — ობ.-ტბ., ურბ., ჯრ.-პრბ.: **მიჰყავს... მიიყვანებს... ჰპოებენ...**

ჰადიშ: ...ფართო არს ბჰჰ და ვრცელ არს გზად რ^ნ მიიყვანის წარსაწყემდეღლად... იწრო არს ბჰჰ და წულილ გზად რ^ნ მიიყვანის ცხორებად: და მცირედ არიან რ^ლთა პოიან იგი... ჰადიშ. ტაბ. 15 a₁, 7₁₃₋₁₄.

ობიზა-ტბეთ: ...ვრცელ არს ბჰჰ და ფართო არს გზად. რ^ლსა მიჰყავს წარსაწყემდეღლსა... იწრო არს ბჰჰ და საჭირველ გზად, რ^{ლი} მიიყვანებს ცხოვრებასა: და მცირედნი არიან. რ^{ნი} ვლენან მას შ^ა... მთ 7₁₃₋₁₄.

ურბნის: ...ვრცელ არს ბჰჰ და ფართო არს გზად რ^ლსა მიჰყავს წარსაწყემდეღლ^დ... იწრო არს 'ბჰჰ' და საჭირველ გზად რ^ი მიიყვანებს ცხრ^ბსა და მცირედნი არიან რ^{ნი} ჰპოებენ მას... ფ. 16 r მთ 7₁₃₋₁₄.

ქსნის ოთხთავს სათანადო ნაწილი აკლია.

ჯრუჰ-პარხ: ვრცელ არს ბჰჰ და ფართო არს გზად, რ^ლსა მიჰყავს წარსაწყემდეღლად... იწრო არს ბჰჰ და საჭირველ გზად, რ^{ლი} მიიყვანებს ცხოვრებასა და მცირედნი არიან რომელნი ჰპოებენ მას... მთ 7₁₃₋₁₄.

ობიზა-ტბეთის, ურბნისისა და ჯრუჰ-პარხლის ტექსტი თანაბრად გვაძლევენ აწმყოს — **მიჰყავს... მიიყვანებს...** მესამე ზმნაც აწმყოშია: ჰპოებენ. ობიზა-ტბეთის ტექსტში სხვა ზმნაა (ვლენან), მაგრამ ისიც აწმყოშია.

მაშასადამე: ჰადიშის **მიიყვანის... ჰპოიან** ეტოლება სხვა ძეგლების აწმყოს: **მიჰყავს... მიიყვანებს... ჰპოებენ** (ვლენან). არაფერი იცვლება ამ დასკვნის თვალსაზრისით იმის გამო, რომ მიჰყავს გარდაუვალი ზმნაა: დროის თვალსაზრისით ეგეც ისეთივე აწმყოა, როგორც მიიყვანებს, ჰპოებენ.

ძვ. სომხურშიც სამსავე შემთხვევაში აწმყოა: **იო თახი... იო თახი — იო ფთახნი ფნა...**

ლათინური პირველ ორ ზმნას აწმყოთი გადმოგვცემს: **abducit... ducit**; მესამე კი — კავშირებითშია ლათინური სინტაქსური ნორმების თანახმად: **qui inveniant** (qui = ut ii)... მაგრამ უცხო ენათა ჩვენების გარეშეც საკითხი ნათელია.

3. **განწმდიით** (= განწმედთ ხოლმე):

ჰადიმ.: ...აწ თქნ ფარისეველთა გარეშე სასუმელისაჲ და პინაკისაჲ
განწმდიით... ჰადიმ. ტაბ. 129 a₁ ლკ 11₃₉.

ასევეა ჯრუჟ-პარხლისაში.

ძვ. სომხ.: *Այժմ՝ զուք, փարիսեցիք, զարտաքին ...զպնակին ս ը բ է ք...*

ბერძნ.: Νῦν ἰμᾶϊς οἱ φαρισαῖοι τὸ ἕξωθεν... τοῦ πίνακος
καθαρίζετε...

ლათინ.: Vos quidem Pharisaei exteriorem... patinae partem
purificatis... Lc 11₃₉.

ძვ. სლავურშიც აწმყოა: *очищаютъе...*

(ნაბეჭდში განწმდიდეთ-აა: გრაფიკული შეცდომა ჩანს). ძვ. სომხური, ბერძნული, ლათინური და ძვ. სლავური აწმყოში სვამს სათანადო ზმნას: **განწმდიით = განწმედთ ხოლმე**.

4. **აჰკიდით... შეახით...** (= აჰკიდებთ ხოლმე... შეახებთ ხოლმე...);

ჰადიმ.: ...და თქნდაცა რჩულის მეცნიერთა: ვაჲ არს რ^ა **აჰკიდით**
კაცსა ტვრთი ძნიაღ სატვრთავი: და თქნ ერთითა თითითა არა **შეახით**
ტვრთსა მას... ჰადიმ. ტაბ. 129 a₂-b₁ ლკ 11₄₆.

ხოლმეობითია ჯრუჟ-პარხლის ტექსტშიც.

ძვ. სომხ.: *Եւ ձեզ վայ օրինականացոյ, զի բառնայք մարդկան բեռինս
դժուարակիրս, եւ զուք մատամբ միով բեռինսն ոչ մ ե ը ն ա կ ի ք... ԼԿ 11₄₆.*

ბერძნ.: Καὶ ἰμῖν τοῖς νομικοῖς οὐαί ὅτι φορτίζετε τοὺς
ἀνθρώπους φορτία δυσβάστακτα καὶ αὐτοὶ ἐπὶ τῶν δακτύλων ἰμῶν οὐ
προσψάυετε τοῖς φορτίοις Lk 11₄₆.

ლათინ.: Vae vobis quoque legis interpretibus! quoniam oneratis
homines oneribus difficilibus portatu, sed ipsi uno ex digitis vestris nos
attingitis onera... Lc 11₄₆.

ძვ. სლავ. (რუს. თარგ.): и вам законникам горе, что накладываете на
людей бремена... и сами... не прикасаетесь (не дотрагиваетесь) до них... Лк 11₄₆.

ოთხივე ენის ჩვენება აწმყოს უჭერს მხარს: **აჰკიდით... შეახით** აღნიშ-
ნავს **მოქმედებას**, რომელიც **დამახასიათებელია სჯულის მეცნიერთათვის**.

ლათინ.: *Magister, deprecor te, respice ad filium meum; nam unigenitus est mihi; et ecce, spiritus apprehendit eum; et ipse repente clamitat et spiritus discerpit eum spumantem et vix abscedit ab eo, conterens eum... Lc 9³⁸⁻³⁹.*

ძვ. სლავ. (რუს. თარგ.): *учитель, умолю тебя, взгляни на сына моего, он – единственный у меня и вот, дух схватывает его и он внезапно вскрикивает [и дух терзает его] и он выпускает пену и насилию отходит от него, сокрушая его... Лк 9³⁹.*

პეროინ... შემუსრის... ზმნის ფორმებით არაა გადმოცემული (მიმღეობა, სახელია გამოყენებული); **შეიპყრის... დაღატყვის... დაჰკვეთის... განეშორის-**ზმნები აწმყოთია გადმოცემული.

7. ისმინიან... შეიკრძალიან... გამოილიან... აღანთის... დაფარის... შედგიან... დადგიან...

ჰადიშ: ...რლთა გლითა კეთილითა და სახიერითა ისმინიან სიტყუაჲ და **შეიკრძალიან** და ნაყოფი **გამოილიან** მოთმინებითა... არავინ სანთელი **აღანთის** და **დაფარის** ჰურჭლითა. გინა ქვეშე ცხედარსა **შედგიან**. ად სასანთლესა ზა **დადგიან** რა შემავალნი იგი ნათელსა ხედვიდენ... ჰადიშ. ტაბ. 119 ხ₂ ლკ 8¹⁵⁻¹⁶.

ურბნისის ტექსტი მთლიანად იმეორებს ამ ნაწყვეტს (129 r). ქსნისაც — აგრეთვე (ოღონდ: „ჰურჭელთა“ წერია „ჰურჭლითა“-ს ნაცვლად.

ჭრუჭ-პარს: ყველა ეს ზმნა ხოლმეობითშია.

ძვ სომხ.: *...որոց բարւոք և զուարթագին սրտիւ լուսալ զբանն ը ն դ ի ն ի ն և տան պտուղ համբերութիւն: Ոչոք լուցանէ ճրագ և թաքուցանէ ընդ կարասեալ կամ զնէ ընդ մահճոք. այլ 8¹⁵⁻¹⁶.*

ბერძნ.: *...ὁπίς εἰσιν οἵτινες ἐν καρδίᾳ καλῇ καὶ ἀγαθῇ ακούσαντες τὸν λόγον κατέχουσιν καὶ καρποφοροῦσιν ἐν ὑπομονῇ· οὐδεὶς δὲ λύχιν ἄψας καλύπτει αὐτὸν σκεύει ἢ ὑποκάτω κλίνης τιθήσιν ἀλλ' ἐπὶ λυχίας τίθησιν, ἵνα οἱ εἰσπορευόμενοι βλέπωσιν τὸ φῶς... 8¹⁵⁻¹⁶.*

ლათინ.: *qui in corde honesto ac bono auditum sermonem retinent, et fructum adferunt cum patientia. Nemo porro, qui lucernam accenderit, operit eam vase aut subter lectum ponit; sed candelabro imponit, ut qui ingrediuntur videant lumen... Lc 8¹⁵⁻¹⁶.*

ძვ. სლავ. (რუს. თარგ.): *которые добрым сердцем... услышавши слово, держат и плод творят в терпении... Никто светильник зажегши, не покрывает его сосудом или не ставит под кровать, а ставит на подсвечник, да видят свет входящие...* Лк 8₁₅₋₁₆.

ისმინიან ყველგან მიმღეობითაა გადმოცემული, სხვა ზმნები: **შეიკ-რძალიან... გამოილიან... აღანთის... დაფარის... შედგიან** — აწმყოთია წარმოდგენილი (გარდა ლათინური ტექსტის ერთი ზმნისა — *accenderit*: იგი კავშირებ. ნამყო სრულია).

8. **ყვიან... ჰყოფენ... იქმან... ფირძხნ... ποιουσιν... faciunt...**

ჰადიშ: ...უკუეთუ ჰყუარობდეთ მოყუარეთა თქუენთა: ხ^რ რად სასყიდელ გაქუნდეს თქ^ნ: არა მეზუერეთაცა ეგრე: **ყვიან...** არა წარმართთაცა ეგრევე ყვიან... ჰადიშ. ტაბ. 12 ხ₁ მთ 5₄₆₋₄₇.

ჯრუჭ-პარხ: უკუეთუ გიყუარდენ მოყუარენი ხოლო თქუენნი რად სასყიდელი გაქუს? რადმეთუ მეზუერენიცა და ცოდვილნი ამასვე ჰყოფენ... არა მეზუერეთა იგივე ყვიან...

ობიზა-ტბეთ. — ხოლმეობითს გვაწვდის ჰადიშის მსგავსად: ...უკუეთუ გიყუარდელ მოყუარენი ხ^რ თქუენნი. რად სასყიდელი გაქუს. ანუ არა მეზუერეთაცა იგივე **ყვიან...** არა მეზუერეთაცა იგივე **ყვიან...** მთ 5₄₆₋₄₇.

ურბნის: ...უკუეთუ გიყუარდენ მოყუარენი თქ^ნნი რად სასყიდელი გაქუს რ^ა მეზუერენიცა და ცოდვილნი ამასვე **იქმან...** არა მეზუერეთაცა... ეგრევე **ყვიან...**

ძვ. სომხ.: *ღի ხթჯ სիրիყჯ ფაჯნოიქ ირ სირხნნ ფძხფ, ფჩნჯ վարձք իցեն. ոչ ապաքն և մաքսաւորք ցնոյն գործեն... ոչ ապաքն մաքսաւորք և մեղաւորք ցնոյն գործեն...* Մտ 5₄₆₋₄₇.

ბერძნ.: *ἐὰν γὰρ ἀγαπήσῃτε τοὺς ἀγαπῶντας ὑμᾶς, τίνα μισθὸν ἔχετε; οὐχὶ καὶ οἱ τέλῳναι τὸ αὐτὸ ποιουσιν... οὐχὶ καὶ οἱ ἔθνικοὶ τὸ αὐτὸ ποιουσιν...* Mt 5₄₆₋₄₇.

ლათინ.: *Nam si dilexeritis eos qui diligunt vos, quam mercedem habebitis? nonne et publicani idem faciunt?... nonne et publicani ita faciunt?* Mt 5₄₆₋₄₇.

ძვ. სლავ.: *если вы любите любящих вас, какую награду имеете; не и мытари ли то же творят (делают)?; ...не и язычники ли так же поступают (делают)...* Mt 5₄₆₋₄₇.

ძვ. სომხურში, ბერძნულში, ლათინურში, ძვ. სლავურში აწმყოა: *ფირძს...* ποιοισυσ... *faciunt...* творят... აწმყოს ხმარობს ჯრუჭ-პარხ. პირველ შემთხვევაში: მეზუერენი **ჰყოფენ** (მღრ. ჰადიშის **ყვიან**), ასევე — ურბნისის ტექსტიც, ოღონდ — სინონიმური ზმნისა (**იქმან**); მეორე შემთხვევაში ჯრუჭ-პარხლის ტექსტიც ხოლმეობითს გვთავაზობს: **ყვიან**.

9. **გამოიღის... წანს...** ἐκβάλλει... profert... выносит.

ჰადიშ: ...მსგავს არს კაცსა მამასახლისსა რ^წ იგი **გამოიღის** საფასისა თვისისაგან ახალი და ძუელი... ჰადიშ. 30 ა₂ მთ 13₅₂.

ჯრუჭ-პარხ., ურბნ., ოპიზა-ტბეთ: ...**გამოიღის...**

ჰადიშ: ...კეთილმან კაცმან კეთილისაგან საუნჯისა **გამოიღის** კეთილი: და ბოროტმან კაცმან ბოროტისაგან საუნჯისა **გამოიღის** ბოროტი... ჰადიშ. 26 ა₁ მთ 12₃₅.

ოპიზა-ტბეთ., ჯრუჭ-პარხ.: გამოიღის...

ძვ. სომხ.: ...*ნმან ჭ აონ თანოთხაონ ირ წანს ჯი დანძქ ჯრძქ ვნორ ხ დჩინ...* შთ. 13₅₂.

შ არღ რ არი ჯი რარი დანძიღ ი რთი ჯი რიკ წანს ვდარიხ. ხ მარღ ჯარ ჯი ჯარ დანძიღ სრთი ჯი რიკ წანს ვჯარიხ... შთ 13₅₂.

ბერძნ.: ...*ὁμοίως ἐστιν ἀνθρώπων οἰκοδεσπότῃ, ὅστις ἐκβάλλει ἐκ τοῦ θησαυροῦ αὐτοῦ καινὰ καὶ παλαιά...* Μθ 13₅₂.

...*ὁ ἀγαθὸς ἄνθρωπος ἐκ τοῦ ἀγαθοῦ θησαυροῦ ἐκβάλλει ἀγαθὰ καὶ ὀπονηρὸς ἄνθρωπος ἐκ τοῦ πονηροῦ θησαυροῦ ἐκβάλλει πονηρά...* Μθ 13₅₂.

ლათინ.: ...*similis est cuiquam patrifamilias, qui profert e thesauro suo nova et vetera...* Mt 13₅₂.

...*Bonus homo e hono thesauro cordis profert bona: et malus homo ex malo thesauro profert mala...* Mt 12₃₅.

ორსავე შემთხვევაში ძვ. სლავური იძლევა აწმყოს *ИЗНОСИТ (= ВЫНОСИТ)*.

10. **ისმინის... ყვის... გამოიღის...**

...რ^წ სიტყუაჲ იგი ისმინის და გულის ჳმა **ყვის:** და **გამოიღის** ნაყოფი: და ყვის: რ^წნმე ასი რ^წნმე სამეოცი: რ^წლმანმე ოცდაათი... ჰადიშ. 28 ა₂ მთ 13₂₃.

ურბნის.: რ^ნ სიტყუად იგი **ისმინა** და გულისვმა **ყო** რ^ნ **გამოილო** ნაყოფი... რ^ნმე ასი... 29 r.

ოპიზა-ტბეთ., ჯრუჭ-პარხ.: **ისმინა... გულისვმა** **ყო... გამოილო** (**პარხ.**: **ისმინის**).

ძვ. სომხ.: ... ირ ხერღ სუტ ფანანს და ჩ მქით ანნილ და თაკ ყყთიღ ჭ ირ ჯირხერ და ჭ ირ ხრხიონ... *Մտ* 13₂₃.

ბერძნ.: ...ὁ τὸν λόγον ἀκούσας καὶ συσείς, ὅς δὴ καρποφορεῖ καὶ ποιεῖ ὃ μὲν ἔκατόν, ὃ δὲ ἑξήκοντα, ὃ δὲ τριάκοντα... *Μθ* 13₂₃.

ლათინ.: ...qui sermonem audivit, et intelligentiam intendit: qui videlicet fructum fert, editque, alius quidem centena, alius sexagena, alius vero tricena... *Mt* 13₂₃.

ძვ. სომხურში უკანასკნელი **ყვის**-ზმნის ნაცვლად სხვა ზმნაა ნახმარი: **ჭ^{ირ}** „არის [რომელი]მე“... და ეს ზმნა აწმყოშია ისევე, როგორც სხვა ზმნები: **სუტ ...ანნილ ...თაკ**..... ლათინურშიც ყველა ზმნა (**fert, edit, audit, intendit**) აწმყოშია. ბერძნულში პირველი ორი ზმნის (ისმინის, გულისვმა ყვის) ნაცვლად აბსოლუტივია გამოყენებული, უკანასკნელი ორი კი აწმყოთია გადმოცემული... ე. ი. ზმნა, სადაც კი ნახმარია, ყველგან აწმყოშია.

აღნიშვნის ღირსია, რომ **ოპიზა-ტბეთ., ჯრუჭ-პარხალში, ურბნისში**, აგრეთვე ნაბეჭდ ოთხთავში სათანადო ადგილას ნამყო ძირითადია: რომელმან სიტყუად იგი **ისმინა** და **გულისვმა** **ყო**, რომელმან **გამოილო** ნაყოფი და **ყო**, რომელმანმე ასი, რომელმანმე სამეოცი და რომელმანმე ოცდაათი...

ყურადღებას ისიც იქცევს, რომ პარხლის ტექსტში ერთი ზმნა ხოლმეობითი მჯდარა: **ისმინის**.

11. **განიწყუნიან**...

...რ^ნ **განიწყუნიან** პირნი მათნი რ^მცა უჩნდეს იგინი კაცთა: მარხველად.. ჰადიმ. 13 ხ₁ მთ 6₁₆.

ოპიზა-ტბეთ., ჯრუჭ-პარხ.: ასევეა.

ძვ. სომხ.: ...ირღ აყყყანანს ფხრხსა ხერხანგ... *Մտ* 6₁₆.

ბერძნ.: ἀφανίζουσιν γὰρ τὰ πρόσωπα αὐτῶν... 6₁₆.

ლათ.: de for mant enim facies suas... *Mt* 6₁₆.

ძვ. სლავ.: помрачают бо лица своя... *Мт* 6₁₆.

ყველგან აწმყოა ქართულის ხოლმეობითის ადგილას.

12. **განწყუნის... დათხარის... განიპარის... გამოიპარის...**

...ნუ დაიდებთ საფასეთა თქუენთა ქუეყანასა ზედა სადა მლილმან და მჭამელმან **გარყუნის**: და სადა მპარავთა **დათხარის** და **განიპარის** აწ დაიდებდით თქნ საფასეთა ცათა შინა: სადა არცა მლილმან არცა: მჭამელმან **განწყუნის**: და სადა მპარავთა ვერ **დათხარის** და ვერცა **გამოიპარის**... ჰადიმ. 13 ბ₁ მთ 6₁₉₋₂₁.

ობიზა-ტბეთის ტექსტში ხოლმეობითია: **განწყუნის... დათხარის... განიპარის**... ურბნისის ტექსტშიც ხოლმეობითია, ოღონდ პირველად კავშირებითია („განწყუნეს“), მეორედ — ხოლმეობითია: **განწყუნის**...

ჭრუჭ-პარხ. კავშირ. მეორეს იყენებს: **განწყუნეს... დათხარონ... განიპარონ**...

ძვ. სომხ.: *Մի գանձք ձեզ գանձս յերկրի. ուր ցხց և ուտիճ ապականեն և ուր գողք ական հատանեն և գողանան :... Այլ գանձեցք ձեզ գանձս յերկինս, ուր ոչ ցხց և ոչ ուտիճ ապականեն և ոչ գողք ական հատանեն և գողանան... Մտ* 6₁₉₋₂₁.

ბერძნ.: Μὴ θησαυρίζετε ὑμῖν θησαυροὺς ἐπὶ τῆς γῆς ὅπου σὴς καὶ βρῶσις ἀφανίζει, καὶ ὅπου κλέπται διορύσσουσιν καὶ κλέπτουσιν. θησαυρίζετε δὲ ὑμῖν θησαυροὺς ἐν οὐρανῷ, ὅπου οὐτε σὴς οὐτε βρῶσις ἀφανίζει καὶ ὅπου κλέπται οὐ διορύσσοουσιν οὐδέ κλέπτουσιν... *Μθ* 6₁₉₋₂₁.

ლათინ.: *Ne thesaurus recondite in terra, ubi tinea et erosio corrumpit, et ubi fures perfodiunt ac furantur. Sed recondite vobis thesaurus in coelo, ubi neque tinea neque erosio corrumpit et ubi fures non perfodiunt neque furantur...* 6₁₉₋₂₁.

ძვ. სლავ. (რუს. თარგ.): *Не собирайте себе сокровищ на земле, где моль и тля тлит (портит) и где воры подкапывают и крадут: собирайте же себе сокровища на небе, где ни моль, ни тля не тлит и где воры не подкапывают и не крадут...* *Мт* 6₁₉₋₂₁.

ეს ნაწყვეტი შეიძლება დავსახოთ დამახასიათებლად პერმანსივის ხმარებისათვის: მლილი **განწყუნის**... მპარავთა **დათხარის** და **განიპარის** — არც ერთგან კონკრეტული ფაქტი არ ივარაუდება, ყველგან ზოგადი დებულებაა მოცემული, რასა იქმს ხოლმე, მლილი, ქურდი, რაა ჩვეულებრივი მლილისა და ქურდისათვის...

13. **შეიკრიბნის...**

ჰადიმ: ...გა ქათამმან **შეიკრიბნის** მართვენ ქუემე ფრთეთა... ჰადიმ. 51 ა₂ მთ 23₃₇.

ქნისა (10 r), **ოპიზა-ტბეთ.**, **ჯრუჭ-პარხ.**: შეიკრიბნის მფრინველმან მართუენი თჳსნი...

ურბნის. (53 r): ...შეკრიბნის მფრინველმან...

ძვ. სომხ.: ...**ჟირორჩნასკ ძ ი ი ქ ჯ ზას დჳაჟა ჯირ რ ქსოქჳ...** Mt 23₃₇.

ბერძნ.: ...ὄν τρῶπον ὄρνις ἐπισυνάγει τὰ νοσσία αὐτῆς ὑπὸ τὰς πτέρυγας... Mt 23₃₇.

ლათინ.: quem-admodum gallina aggregat pullos suos sub alas... Mt 23₃₇.

ძვ. სლავ. (რუს. თარგ.): как курица-наседка собирает под свои крылья птенцов своих... Mt 23₃₇.

ქათმის მოქმედების წესზეა ლაპარაკი, და სათანადო ზმნაც ძვ. ქართულში ხოლმეობითშია, სხვა ენებში კი — აწმყოში.

14. გამოსცის...

ჰადიშ.: ...მოძღუარმან თქნმან არა გამოსცის ხარკი ღრამისად... ჰადიშ. 37 b₁ მთ 17₂₄.

მდრ. **ოპიზა-ტბეთ.**, **ჯრუჭ.**: მოძღუარმან თქუენმან არა **მოგუცესა** ხარკი...

ურბნის.: მოძღუარმან თქნმან არა **მოგუცეს** დიდრაქმაჲ... 39 v.

ძვ. სომხ.: **ქაროჟაყხის ძხრ იჯთაკ ჟხრკერამხანს...** Mt 17₂₃ (!).

ბერძნ.: Ὁ διδάσκαλος ὑμῶν οὐ τέλει δίδραχμα... Mt 17₂₄.

ლათინ.: Magister vester non solvit didrachma?... Mt 17₂₄.

ძვ. სლავ. (რუს. თარგ.): учитель ваш не даст ли дидрахмы... 17₂₄.

აქ თითქოს არც ხოლმეობითი იყო მოსალოდნელი და არც აწმყო (სომხ., ბერძნ., ლათ.): შემთხვევითი არ უნდა იყოს ამიტომ, რომ ოპიზა-ტბეთ., ჯრუჭ-პარხალში, ურბნისში (ნაბეჭდ ქართულ ოთხთავშიც) კავშირებითია ნახმარი: მოძღუარმან თქუენმან არა **მოგუცესა** ხარკი? ეს კავშირებითი მყოფადის მნიშვნელობისაა; იგი გამართლებულია, თუ ვივარაუდებთ, რომ კითხვა ეხება **გარკვეულ შემთხვევაში კონკრეტული** გადასახადის გაღებას...

პერმანსივისა (და შესაბამისად აწმყოს) გამოყენება სხვა შინაარსს გვავარაუდებინებს: იხდის თუ არა („იძლევა თუ არა“) თქვენი მასწავლებელი, საერთოდ, გადასახადს?! ეს რომ ასეა, ცხადი ხდება მომდევნო აბზაცოდან: აქ იესომ დაასწრო პეტრეს და იკითხა: „მეუფეთა ქყნისათა რწლთა“გან **გამოიღიან** ხარკი ანუ თუ ზუერი: ვიღლთაგან ანუ უცხოთაგან“... ჰადიშ. 37 b₂ მთ 17₂₅.

ამრიგად, საქმე ეხება იმას, თუ საერთოდ ვის უნდა გადახდეს გამო-საღები... ამიტომ **გამოსცის** ზემოთ ისევე ბუნებრივია, როგორც **გამოიღიან** იესოს კითხვაში.

ვრცელ კონტექსტს, მაშასადამე, ხოლმეობითი (და აწმყო) შეეფერება (და არა მყოფადი). ოპიზა-ტბეთისა და ჯრუჭ-პარხლის ტექსტში, მართლაც, ამ გამოიღიან-ს ენაცვლება აწმყო: მეფენი ქუეყანისანი ვიეთთაგან **მიიღებენ** ხარკსა ანუ ზუერსა: შეილთაგან ანუ უცხოთაგან?

15. დაიტიიან...

ჰადიშ.: ...არა ყ'ლთა **დაიტიიან** სიტყუად ესე ა'დ რ' ლთა მიცემულ არს... ჰადიშ. 40 b2 მთ 19₁₁.

ოპიზა-ტბეთ., ჯრუჭ-პარხ.: არა ყოველთა დაიტიონ სიტყუად ეგე... **ურბნისისაშიც** ასეა (42 v).

ძვ. სომხ.: *იჯამნხეხან ფასაკან ხნ აკუაქ განიქ, აყ ირიყ თიხსაღ...* Mt 19₁₁.

ბერძნ.: Οὐ πάντες χωροῦσιν τὸν λόγον τοῦτον, ἀλλ' οἱς δέδωται... Mt 19₁₁.

ლათინ.: Non omnes cuncta capaces hujus sermonis, sed ii quibus datum est... Mt 19₁₁.

ძვ. სლავ. (რუს. თარგ.): Не все вмещают слова сего, но те, кому дано... Mt 19₁₁.

ძვ. სომხური და ლათინური აღწერითს წარმოებას მიმართავენ: დაი-ტიიან-ის ადგილი აქ უჭირავს გამოთქმას: შემძლებელ არიან — **ფასაკან ხნ...** sunt capaces... ბერძნულსა და ძვ. სლავურში ისევე, როგორც ძვ. ქარ-თულში ზმნა გვაქვს ერთი და იმავე მნიშვნელობისა:

დაიტიიან... χωροῦσιν... **вмещают...**

ხოლმეობითის მნიშვნელობის დასახასიათებლად საკმარისია ბერძნუ-ლისა და ძველი სლავურის ჩვენება; ლათინური და სომხურიც ამათ უჭერს მხარს, რამდენადაც სათანადო შედგენილ შემასმენელში მეშველი ზმნა აწმყოში მონაწილეობს: **sunt capaces... ფასაკან ხნ...**

§ 6. ხოლმეობითი აწმყოს ფუნქციით გარდაუვალ ზმნებთან.

აქამდის მოყვანილი მაგალითები გარდამავალ ზმნათა ფორმებს იძლეოდა. და ეს გასაგებიცაა: ჩვენთვის ხოლმეობითის ვითარება საინტერესოა, პირ-ველ ყოვლისა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემის თვალსაზრისით, ეს პრობლემა კი გარდამავალ ზმნათა პრობლემაა. მაგრამ პერმანსივი **გარდა-**

უვალ ზმნებსაც მოეპოვება. როგორია აქ საქმის ვითარება? არის თუ არა ფაქტები, რომ ხოლმეობითი **ფუნქციით** აწმყოს უკავშირდებოდეს?

ქვემოთ მივუთითებთ მასალაზე, რომელიც ამ საკითხზე პასუხს გავაცემინებს.

1. **განიყიდის = განისყიდების... დავარდის = დავარდების...**

ჰადიშ.: ...არა ორი სირი ერთის დანგის **განიყიდის** და ერთი მათგანი არა **დავარდის** ქყნსა ზა თვნიერ მამისა თქნისა... ჰადიშ. 21 ბ₁ მთ 10₂₉.

„განიყიდის“ აქ ვნებითია ისევე, როგორც „დავარდის“.

ოპიზა-ტბეთის ტექსტი ორსავე შემთხვევაში აწმყოს იძლევა:

...ანუ არა ორი სირი ერთის ასარის **განისყიდების** და ერთიცა მათგანი არა **დავარდების** ქყნსა ზა თვნიერ მამისა თქუენისა... მთ 10₂₉

აწმყოა **ურბნისისა** და **ჯრუჟ-პარხლის** ტექსტშიც:

ურბნის.: ...ანუ არა ორი სირი ასარის **განისყიდების** და ერთიცა მათგანი არა **დავარდების** ქყნსა ზა თვნიერ მამისა თქნისა... 23 v.

ჯრუჟ-პარხალი: ...ანუ არა ორი სირი ერთის დანგის **განისყიდების**? და ერთიცა მათგანი არა **დავარდების** ქუეყანასა ზედა თვნიერ მამისა თქუენისა... მთ 10₂₉.

ძვ. სომხურში რყევია: **განისყიდის-ზმნას** აწმყო გადმოგვცემს, **დავარდების** ზმნისათვის მყოფადია გამოყენებული:

Ու ապաքէն երկու ճնճրուկք դանդի միող վ ա ճ ա ու ի ն, և մի 'ի նոցանէ կերկիր ոչ ա ն կ ց ի առանց հօր ձերոյ... Մտ 10₂₉.

ბერძნულში ორივე ზმნა აწმყოშია:

ὁὐχὶ δύο στρουθία ἀσπαρῖου πωλεῖται; καὶ εἷς ἐξ αὐτῶν οὐ πᾶσεῖται ἐπὶ τῆν γῆν ἄνευ τοῦ πατρὸς ἡμῶν... **ΜΘ** 10₂₉.

ლათინურის ჩვენება განსხვავდება:

Nonne duo passeruli assario veneunt? et unus ex eis non cadet in terram sine ratre vestro... **Mt** 10₂₉.

Cadet კავშირებითია, მყოფადს გადმოგვცემს და ძვ. სომხ. **ანსყი-ს** უდრის¹; **veneunt** — აწმყოა.

ძვ. სლავური სომხურის მსგავსად გადმოსცემს ამ ტექსტის შინაარსს (ვიძლევიტ ძვ. სლავური ტექსტის რუსულ თარგმანს):

¹ რამდენადაც ხოლმეობითს შეუძლია კავშირებითის ნაცვალის იყოს (იხ. § 8), სომხურისა და ლათინურის ჩვენება არსებობდა არ შორდება ჰადიშის ჩვენებას.

Не две ли «малые» птицы продаются за единый ассарий и ни одна из них не упадет на землю без «воли» отца вашего... Мт 10₂₉.

ობიზა-ტბეთის, ურბნისისა და ჯრუჭ-პარხლის ტექსტი ნათელ წარმოდგენას იძლევა იმის შესახებ, თუ როგორი ცვლილებები შედიოდა ტექსტში **მორფოლოგიური** ფაქტების მხრივაც (და არა მხოლოდ ლექსიკა-ში!) გადაწერისას თუ დედნებთან შეწამებისას. შატბერდის ტექსტი (ჰადი-შის ოთხთავი) აქ უდაოდ ძველ ვითარებას წარმოგვიდგენს ისევე, როგორც მთელ რიგ სხვა შემთხვევაში.

2. იგვემების... **შთავარდის**...

ჰადიშ.: ...ო^ა შეიწყალე ძეჴ ჩემი რ^ა ახლის პიროვან არს და ძვრ ძვრად იგვემების რ^ა მრავალგზის **შთავარდის** ცეცხლსა და მრავალგზის წყალსა... ჰადიშ. 37 a₁ მთ 17₁₅.

ურბნის.: ო^ა შ^ე ძე ჩემი რ^ა ცისად ცისად იგუეემების ბოროტად რ^ა მრავალგზის **შთავარდის** ცეცხლსა და მრავალგზის წყალსა... 38 v.

ობიზა-ტბეთ., ჯრუჭ-პარხ.: ასევეა.

ძვ. სომხ.: ...*սէր որդւմնայ որդւոյ իմում. զի լուանոսի և չարաչար Հիւսնդանայ. բազում անգամ անկանի ի հուր և երբէք չի ջուր...* Մտ 17₁₄.

ბერძნ.: Κύριε, ἐλέησόν μου τὸν υἱόν ὅτι σεληνιαζέται καὶ καθὼς ἔχει: πολλάκις γὰρ πίπτει εἰς τὸ πῦρ καὶ πολλάκις εἰς τὸ ὕδωρ... Mθ 17₁₅.

ლათინ.: Domine, miserere filii mei, quoniam lunaticus est et male afficitur: nam saepe cadit in ignem et saepe in aquam... Mт 17₁₅.

ძვ. სლავ. (რუს. თარგმ.): господи, помилуй сына моего, так как в новолуния беснуется и тяжело страдает: часто падает в огонь и часто – в воду... Мт 17₁₅.

ძვ. ქართ. **შთავარდის** — უდრ. ძვ. სომხ. **ანკანჲ**, ბერძნ. πίπτει, ლათ. cadit, ძვ. სლავ. падает.

ყველგან აწმყოა. კაცი იტყოდა: „მრავალგზის შთავარდის“ არა ერთგზის მომხდარ ფაქტზე მიუთითებს. აწმყო აქ შეუძლებელი იქნებოდაო, მაგრამ ძვ. სლავ. множицею бо падает (= многократно, часто падает) და მეტადრე ძვ. სომხ. **բազում անգամ անკანჲ** ცხადყოფენ, რომ აწმყო შეუძლებელი არ ყოფილა; და თუ მაინც ქართული ტექსტი ხოლმეობითს იყენებს, ეს აწმყოს შეუძლებლობით არ აიხსნება; ხოლმეობითის სიძველე და თავი-

სებური ფუნქციაა ამოსავალი: მრავალგზის შთავარდის-ო, რომ ამბობს ავადმყოფის მამა, ამით ხაზი ესმის არა იმას, თუ რამდენჯერ მოხდა ჩავარდნა, არამედ იმას, რომ ავადმყოფს ჩვეულებრივად მოსდის ასეთი უბედურება.

3. მოოვრდის... დაეცის...

ჰადიშ: ...ყლი მეუფებაჲ რლი თავსა თჳსსა **განველთის მოოვრდის** და სახლი სახსა (!) ზა დაეცის... ჰადიშ. 128 ა₁ ლკ 11₁₇.

ურბნ: ყი მფზაჲ რი თავსა თჳსსა **განველთის მოოვრდის** და სახლი სახლსა ზა **დაეცის...** 139 r.

ჯრუტ-პარხ: ასევეა.

ძვ. სომხ.: *Ամենայն թագաւորութիւն բաժանեալ, յանձն, աւելի, և տուն բաժանեալ յանձն, կործանի...* ՂԿ 11₁₇.

ბერძნ.: Πᾶσα βασιλεία ἐφ' ἑαυτὴν διαμερισθεῖσα ἐρημοῦται, καὶ οἶκος ἐπι οἶκον πίπτει... Λκ 11₁₇.

ლათინ.: Omne regnum dissidens adversus sese, vastatur: et domus adversus sese dissidens cadit... Lc 11₁₇.

ძვ. სლავ. (რუს. თარგ.): *всякое царство, само в себе разделившееся пустеет, и дом... падает...* Лк 11₁₇ (გადმოვცემთ შინაარსს).

ქართული ტექსტის სამი ზმნიდან ერთი — განველთის — მიმღეობითაა წარმოდგენილი სხვა ენებში, ორი დანარჩენი — აწმყოთი:

ძვ. ქართ.: მოოვრდის... დაეცის...

სომხ.: *აւելի... կործանի* „ნადგურდება“, „დაიქცევა“ — სინონიმური ზმნებია.

ბერძნ.: ἐρημοῦται... πίπτει

ლათინ.: vastatur... cadit

ძვ. სლავ.: пустеет... падает

ცხადია, **მოოვრდის... დაეცის** ფორმები აქ ეწვევიან **მოოვრდების, დაეცემის** ფორმათა მაგივრობას.

4. აღორძნდის... შურებინ... სთავნ...

ჰადიშ: ...განიცადენით შრომანნი ვრ იგი **აღორძნდის** არცა შურებინ არცა სთავნ... ჰადიშ. 131 ა₁ ლკ 12₂₇.

ურბნ: გნიცადენით შრომანნი ვრ იგი **აღორძნდის** არა შურებინს არცა სთესავს (sic!)... 142 v. იხ. მთ 28 აქვე ქვემოთ.

ჯრუჭ-პარხ.: ...აღორძნდის... შურების... ჰსთავს...

ძვ. სომხ.: *Հայեարուք ընդ շուշանս. որպէս անէ ոչ ջանայ և ոչ նիւթէ...* 12²⁷.

ბერძნ.: *κατασιήσατε τὰ κρίνα πῶς αὐξάνει οὐ κοπία οὐδὲ νῆθει* *Λκ 12²⁷* (ვარიანტი სქოლიოში; ძირითად ტექსტში *αὐξάνει* არაა შეტანილი, მომდევნო ნაწილშიც სქოლიოდანა გვაქვს აღებული).

ლათინ.: *Considerate lilia, quomodo crescant; non fatigantur, neque nent...* *Lc 12²⁷*.

ძვ. სლავ. (რუს. თარგმ.): *Смотрите на лилии, как растут: не трудятся, ни прядут...* 12²⁷.

ქართულ ტექსტში ხოლმეობითის (**აღორძნდის**) გვერდით ამგვარივე ფუნქციის ორი ზმნა აწმყოშია (**შურებინ... სთავნ...**).

სხვა ენებზე სამივე ზმნა აწმყოშია, ქართულშიაც მოსალოდნელი იყო **აღორძნდების**; მის მაგივრობას ეწევა **აღორძნდის**. წინათ სამივე ზმნა ხოლმეობითში უნდა ყოფილიყო დასმული.

შრომანთა შესახებ მოგვითხრობს მთ 6²⁸.

...მიხედეთ შრომანთა ველისათა ვითარ იგი **აღორძნდის** არა შურების არცა სთ^ეს^ავენ... ჰადიმ. 14 ^ა₂.

ძვ. სომხურში გვაქვს:

Հայեարուք ի շուշանս վայրենի որպէս անէ. ոչ ջանայ և ոչ նիւթէ Մտ. 6²⁸: „სთესავნ“ კი არაა, არამედ „სთავნ“ (იხ. *ლკ 12²⁷*).

ბერძნ.: *καταμάθετε τὰ κρίνα τὸν ἄγρον πῶς αὐξάνουσιν οὐ κοπιῶσιν οὐδὲ νῆθουσιν ...* *Μθ 6²⁸* („არცა რთავენ“).

ლათინ.: *discite quomodo lilia agrorum augescant: non fatigantur, neque nint...* *Mt 6²⁸*.

ძვ. სლავ. (რუს. თარგ.): *Смотрите на полевые лилии, как растут: не трудятся, ни прядут...* 6²⁸.

სთესავნ ზმნა აქ არც ერთ სხვა ენაზე არაა: სთავს-ზმნაა (მხოლოდ ბერძნულშია მცირეოდენი რყევა: *ლკ 12²⁷* „არც ქსოვენ“, მთ 6²⁸ „არცა სთავენ“; „სთესავს“, ყოველ შემთხვევაში, არაა); **სთესავს** შემთხვევითი ცთომილი დაწერილობა უნდა იყოს „სთავს“-ის ნაცვლად. ოპიზა-ტბეთის ტექსტიცა და ჯრუჭ-პარხლისაც, ნაბეჭდიც) **სთავს** ზმნას იძლევა:

განიცადენით შრომანნი ველისანი ვ^რ იგი აღორძნდის. არა შურების არცა სთავს... ოპიზა-ტბეთ. მთ 6²⁸.

პარხალ: ...ვითარ-იგი აღორძნდის? არცა შურების, არცა სთავს... (ჯრუჭისაში სთესავს ყოფილა).

ლექსიკური სხვაობისდა მიუხედავად მთ 828 ისევე, როგორც ლკ 1227 **აღორძნდის** ზმნას აკისრებს აწმყოს აღნიშვნას.

5. მეწყალის...

ჰადიშ: ...მეწყალის მე ერთი ესე... ჰადიშ. 80 ხ₁ მკ 82.

ასევეა **ქსნის, ურბნისისა, ოპიზა-ტბეთისა და ჯრუჭ-პარხლის** ტექსტშიც.

ნაბეჭდში გვაქვს: მეწყალვის მე ერთი ესე...

ძვ. სომხ.: *գ թ ա մ ხ ս ի վ Ե Ր Ա Յ Ժ Ո Ղ Ո Վ Ի Ր Ե Ւ Ա Ն Դ... ՄԿ* 82.

ბერძნ.: $\Sigma \pi \lambda \alpha \gamma \chi \nu \acute{\iota} \zeta \omicron \mu \alpha \iota \acute{\epsilon} \pi \iota \tau \acute{o} \nu \acute{\omicron} \chi \lambda \omicron \nu$... 82.

ლათინ.: *Intima misericordia commoveor erga turbam... Mc* 82.

ძვ. სლავ. (რუს. თარგმ.): *желею народ...* 82.

ყველგან აწმყოა „მეწყალის“-ის შესაბამისად. მეწყალის ხოლმეობითია: ნამყო ძირით.: შემეწყალა, შეგეწყალა, შეეწყალა — ხოლმეობ.: შემეწყალის, შეგეწყალის, შეეწყალის...

აწმყოს მნიშვნელობის მქონე ხოლმეობითია, ხევესურულში რომა გვაქვს: **მეწყალი** ჭირის პატრონო, ჭირის გონობა ძნელია (იხ. ბეს. გაბუჟური, „ვევესურული მასალები“, - „წელიწდეული“ I-II, გვ. 127): **მეწყალი = მებრალეობი**.

6. აღმოსცენდის... იქმნის... აღმოჰვდის...

ჰადიშ: ...და რჷს დაეთესის. **აღმოსცენდის** და **იქმნის** იგი უფროდს ყლთა მხალთა: და აღუტევენის რტონი დიდნი... ჰადიშ. 72a₂ მკ 432.

ოპიზა-ტბეთ., ურბნ: 75 v¹: ...და ოდეს დაეთესის. **აღმოჰვდის.** და **იქმნის** იგი უფროდს ყლთა მხალთა და მოიხუენის ჰრტონი (!) დიდნი... მკ 432 (ასევეა ნაბეჭდში).

ჯრუჭ-პარხ: ...დაეთესის... **აღმოვდის...** **იქმნის...** მოიხუენის...

ძვ. სომხ.: *Լ Կ Ր Ժ Ժ Ա մ ս ե Ր մ ა ն ի ղ ի, Բ Ո Ւ Լ Ը Կ Ի Ի Լ Լ Ի Ի Ի մ Ն Զ ք ա ն գ ա մ ն ն ա յ և ք ա ն ջ ա Ր, Լ Կ Բ Ժ Թ Կ Է ո ս տ ս մ Ն Զ ա մ Ն Զ Ի... ՄԿ* 432.

¹ ურბნ.: აღმოვდის... გამოიხუენის...

ბერძნ.: ...καὶ ὅταν σπαρή, ἀναβαίνει καὶ γίνεται μείζον πάντων τῶν λαχάνων καὶ ποιεῖ κλάδους μεγάλους... 4₃₂.

ლათინ.: sed quum satum fuerit, assurgit et fit maximum omnium olerum; e d i t que ramos magnos... Mc 4₃₂.

ძვ. სლავ. (რუს. თარგმ.): и когда посеяно будет, возрастает и б ы в а е т более всех злаков и т в о р и т (= пускает) ветви большие... Мк 4₃₂.

დამოკიდებული წინადადების დაეთესის ძვ. სომხ. მოფადითაა წარმოდგენილი, არსებითად ასევეა ლათინურსა და ძვ. სლავურში.

აღმოსცენდის || აღმოჰვდის... იქმნის... ყველგან აწმყოს იძლევა **բուսանի, լինի, արձակէ...** ἀναβαίνει, γίνεται, ποιεῖ... assurgit, fit, edit... возрастает, бывает, творит.

ეგვევ ითქმის გარდამავალი ზმნის შესახებაც: აღუტევენის || მოიხუნის...

ამგვარად: აღმოსცენდის = აღმოსცენდების; იქმნის = იქმნების...

იქმნის სხვაგანაც გვაქვს **იქმნების**-ფორმის ნაცვლად:

...რ⁷ ნაყოფისაგან ხმ საცნაურ იქმნის... ჰადიმ. 25 b₂ მთ 12₃₃.

ურბნ. (27 v), **ოპიზა-ტბეთისა** და **ჯრუჭ-პარხლის** ტექსტში ამას უღრის: საცნაურ არს... მთ 12₃₃.

ძვ. სომხ.: **քանի ի պտղոյ անտի ծառն ճանաչի... Մտ** 12₃₃.

ბერძნ.: ἔκ γὰρ τοῦ καρποῦ τὸ δένδρον γινώσκεται... Mθ 12₃₃.

ლათ.: nam e fructu arbor cognoscitur... Mt 12₃₃.

ძვ. სლავ. (რუს. თარგმ.): ибо по плоду дерево познается... Мт 12₃₃.

შედგენილი შემასმენლის (საცნაურ იქმნის) აღვილას ძვ. სომხურში, ბერძნულსა და ლათინურში ოდენზმნიანი შემასმენელია: **ճանաչի** — γινώσκεται — cognoscitur — ეს ზმნა აწმყოშია. ძვ. სლავურის **познано будет** რუსულად თარგმნილია: ...познаётся... (იხ. აგრეთვე ქვემოთ).

ურბნ.: ოპიზა-ტბ., ჯრ.-პარხ. საცნაურ **არს** — აწმყოა.

იქმნების-ზმნისათვის შდრ. აგრეთვე

...უნაყოფო **იქმნის**... ჰადიმ. 28 a₂ მთ 13₂₂.

...**լինի անպտიղ**... Մտ 13₂₂.

...καὶ ἄκαρπος γίνεται... 13₂₂.

...qui sit fructus expers... Mt 13₂₂.

...без плода б ы в а е т... Мт 13₂₂.

ბერძნ.: αἶρει γὰρ τὸ πλήρωμα αὐτοῦ ἀπὸ τοῦ ἱματίου καὶ χεῖρον σχίσμα γίνεται. οὐδὲ βάλλουσιν οἶνον νέον εἰς ἀσκοὺς παλαιούς. εἰ δὲ μήγε, ῥήγνυσται οἱ ἀσκοί, καὶ ὁ οἶνος ἐκχεῖται καὶ οἱ ἀσκοὶ ἀπόλλονται ἀλλὰ βάλλουσιν οἶνον νέον εἰς ἀσκοὺς καινοὺς, καὶ ἀμφοῖτεροι συντηροῦνται... Mt 9¹⁶⁻¹⁸.

ლათინ.: ...illud enim ipsius supplementum tolliit aliquid ex illo vestimento et fit peior fissura. Neque injiciunt vinum novum in utres veteres: alioqui rumpruntur utres, et vinum effunditur et utres pereunt: sed injiciunt vinum novum in utres recentes, et utraque conservantur... Mt 9¹⁶⁻¹⁸.

ძვ. სლავ. (რუს. თარგ.): ...ибо возьмет заплату (конец (?) свой) от одежды и хуже прореха будет. Не вливают также вина молодого в мехи ветхие; а иначе прорываются мехи и вино проливается, и мехи пропадают; но вливают вино новое в мехи новые и сохраняются и то и другое... Mt 9¹⁶⁻¹⁸.

იქმნის... განსტქდიან... დაითხიის... წარწყმდიან... დაიმარხნიან — ყველა გარდაუვალი ზმნაა ვნებითი გვარისა და ყველა ზოგადი აწმყოს ფუნქციით გვევლინება. ვნებითი გვარისაა **ალილის** (ოპიზ.-ტბ.), რომელსაც აწმყო შეეფერება (ძვ. სლავურის გარდა). **გამოილლიძის** ზმნა (ჰალიშ.) ცალკე განხილვას საჭიროებს, თუმცა ჩვენთვის საინტერესო საკითხის თვალსაზრისით ისიც საერთო წესს ადასტურებს — აწმყოს შეესაბამება.

გარდაუვალ ზმნათა მასალის საილუსტრაციოდ მოყვანილი მაგალითები, ვფიქრობთ, საკმარისია: გარდაუვალ ზმნებთან, როგორც მოსალოდნელი იყო დადასტურდა იგივე, რაც გარდამავალთან იყო შენიშნული: ხოლმეობითს **შეუძლია ზოგადი აწმყოს შინაარსის გადმოცემა**.

§ 7. ხოლმეობითისა და აწმყოს პარალელური ხმარების ნიმუშები. ხოლმეობითისა და აწმყოს ფუნქციათა სიახლოვე-თვისობისათვის დამახასიათებელია მათი ერთად ხმარება: შერთულ წინადადებაში (resp. რთულ წინადადებაში) ერთი და იმავე რიგის შემასმენლები ხან ხოლმეობითით გადმოიცემა, ხან კიდევ აწმყოთი — ხოლმეობითი და აწმყო სინონიმებია ფუნქციის მიხედვით (მორფოლოგიური სტრუქტურით — არა!): აწმყო ასეთ შემთხვევაში **-ნ** და **-ედ** სუფიქსიანია მეტ-წილად.

ამის ნიმუში იქნებოდა:

1. შეკრიან... დასდვიან... ჰნებავნ... იქმედ... იყვნიან... განიგრძვიან... უყუარნ...

ჰადიშ: ...**შეკრიან** ტვრთები მძიმე და ძნიად სატვრთველი და **დასდვიან** ბეჭთა ზნა კაცთასა ხ მათ თითითაცა მათითა არა **ჰნებავნ** შეძრვად იგი: ყოველთა საქმეთა მათთა **იქმედ** სახილველად კაცთა. ფართო **იყვნიან** სამოსელნი მათნი და **განიგრძვიან** ფესუები მათი **უყუარნ** მათ მვნის თაობაი ტაძრობასა: და ზეშთა ჯდომაი შესაკრებელთა შინა... ჰადიშ. 49 ა₂ მთ 23₄₋₈.

ობიზა-ტბეთ. (ურბნ. 51r): ...შეკრ ობიანი... დასდვიან... უნებნ... იქმედ... განიგრძვიან... განადიდნიან... უყუარს.

ჯრუჭ-პარს: შეკრიან... დასდვიან... ჰნებავნ... იქმედ... ფართო ყვნიან... გრძელ ყვნიან... უყუარს.

ძვ. სომხ.: *Կապեն բեռնս ծանոնս և դժուարակիրս և դենն ի վերայ ուսոց մարդկան, և մատամբ իրենանց ոչ կամին չարժեք գնոսս և գամենայն գործս իրենանց առնեն ի ցոյցս մարդկան. լայնեն զգրապանակս իրենանց և երկայնեն զքղանցս հանդերձից իրենանց. Սիրեն գյառաջագահս յրնթրիս և գնախաթրուս ի ժողովուրդս... Մտ 23₄₋₈.*

ბერძნ.: δεσμεύουσιν δὲ φορτία βαρέα καὶ ἐπιτιθέασιν ἐπὶ τοὺς ὤμους τῶν ἀνθρώπων, αὐτοὶ δὲ τῷ δακτύλῳ αὐτῶν οὐ θέλουσιν κινήσαι αὐτά. πάντα δὲ τὰ ἔργα αὐτῶν ποιοῦσιν πρὸς τὸ θεαθῆναι τοῖς ἀνθρώποις. πλατύνουσιν γὰρ τὰ φυλακτήρια αὐτῶν καὶ μεγαλύνουσιν τὰ κράσπεδα, φιλοῦσιν δὲ τὴν πρωτοκλισίαν ἐν τοῖς δείπνοις καὶ τὰς πρωτοκαθεδρίας ἐν ταῖς συναγωγαῖς... Mt 23₄₋₈.

ლათინ.: *Ligant enim onera gravia difficiliaque portatu, et imponunt in humeros hominum: digito autem suo volunt ea movere. Omnia vero opera sua faciunt, ut spectentur ab hominibus: dilatant enim phylacteria sua, et producunt fimbrias palliorum suorum; amantque prinos accubitus in coenis et primos consessus in conventibus... Mt 23₄₋₈.*

ძვ. სლავ. (რუს. თარგ.): ...связавают бремена тяжелые и трудно носимые и возлагают на плечи человеческие, перстом же своим не хотят двинуть их. Все же дела свои творят, чтобы видели их люди: расширяют же хранилища свои и увеличивают воскрилия одежд своих: любят же предвозлежания на пиршествах и председания в синагогах... Mt 23₄₋₈.

ძვ. ქართულ ტექსტში შვიდი ზმნიდან ოთხი ხოლმეობითია, სამიც აწმყო; ძვ. სომხურში, ბერძნულში, ლათინურში, ძვ. სლავურში ყველა შესაბამისი ზმნა აწმყოშია; აწმყო და ხოლმეობითი ორივე გამოსადეგია, როგორც საშუალება წესის გადმოსაცემად: ასე და ასე იციან მწიგნობრებმა და ფარისევლებმა, ასეთია მათი ქცევა.

2. ითხოვნ... ეძიებნ... პოის... ირეკნ... განელის...

ჰადიმ.: რლი ითხოვნ მოიღოს და რლი ეძიებნ პოის: და რლი ირეკნ განელის... ჰადიმ. 14 b₂ მთ 7_გ.

ძვ. სომხ.:ირ *խնդրէ առնու* *և ირ հაკցէ գտանէ* *և ირ բაխէ բացვი նამ...*
Մտ 7_გ.

ბერძნ.: *πᾶς γὰρ ὁ αἰτῶν λαμβάνει καὶ ὁ ζητῶν εὕρισκει, καὶ τῷ κρῖσιντι ἀποιγῆσται...* *Μθ 7_გ.*

ლათინ.: *Quisquis enim petit, accipit; et qui quaerit, invenit: et ei, qui pulsatur, aperietur...* *Mt 7_გ.*

ძვ. სლავ. (რუს. თარგმ.): *всякий просящий получает и ищущий обретает и стучащему отворится...* *Мт 7_გ.*

ქართულ ტექსტში სამი რთული წინადადებაა ერთნაირი სტრუქტურისა და ერთნაირი ფუნქციისა; დამოკიდებული წინადადება სამსავე შემთხვევაში აწმყოშია („ზოგადი აწმყო“ -**ნ** სუფიქსით): რლი ითხოვნ... რლი ეძიებნ... რლი ირეკნ...

მთავარი წინადადების ზმნა ორ შემთხვევაში ხოლმეობითშია (**პოის... განელის...**), ერთგან — კავშირებითს მეორეში (მოიღოს). ეს მეორეული უნდა იყოს: წინათ (ე. ი. გადაწერამდის) აქაც ხოლმეობითი უნდა ყოფილიყო: დანარჩენი ორი წინადადების აგებულება ამას მოწმობს. ამგვარად, უნდა გვქონოდა:

რლი ითხოვნ, მოიღის და რლი ირეკნ განელის...

ოპიზა-ტბეთ., ჯრუჭ-პარხლის ტექსტში, ურბნ. (16 r), ნაბეჭდ ოთხთავშიც ეს ადგილი ასე იკითხება:

...ყოველი, რომელი **ითხოვდეს, მოიღოს** და რომელი **ეძიებდეს, პოვოს** და რომელი **ირეკდეს, განელოს** მას (**მთ 7_გ**): აქ აწმყოს ადგილი ყველგან კავშირებით პირველს უჭირავს, ხოლმეობითისა — კავშირებით მეორეს.

აქედანაც ცხადია, რომ ჰადიმის ტექსტში მოიღოს ახალია, მოიღოს-ფორმის ნაცვალია.

ბერძნულსა და სლავურში განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება შეცვლილია მიმღობით, მთავარი წინადადების ზმნა აწმყოშია.

ძვ. სომხურსა და ლათინურში წინადადებათა სტრუქტურა ისეთივეა, როგორც ქართულში, ხოლმეობითისა და ზოგადი აწმყოს ნაცვლად აწმყოა გამოყენებული; მხოლოდ უკანასკნელი ზმნა — განედის — მყოფადითაა გადმოცემული.

ძვ. ქართ.: ითხოვნ... მოიღის... ეძიებნ... პოის... ირეკნ... (განედის)

ძვ. სომხ.: *խնդրէ... առնու... հայցէ... գտանէ... բასէ... (բացի նამ)*

ლათინ.: *petit... accipit... quaerit... invenit... pulsat... (aperietur)...*

ძვ. სომხური და ლათინური სავსებით უჭერენ მხარს ხოლმეობითისა და აწმყოს ურთიერთობის შესახებ ზემოთქმულს; ძვ. სლავური და ბერძნული — აგრეთვე იმ ნაწილში, სადაც წინადადების სტრუქტურა ქართულისებურია.

3. **ესმინ... ყვს... მოვიდის... მიიტაცის...**

ჰადიშ: ...რლსა **ესმინ** სიტყუაი იგი სასუფეველისაჲ: და არა გულის ჳმა **ყვს მოვიდის** უკეთური იგი და **მიიტაცის** დათესული იგი გულსა მისსა. 28 a₁ მთ 13₁₉.

ურბნ: ...რლსა **ესმის** სტყჲ სასუფეველისაი და არა გულისჳმა **ყოს** მოვიდის უკეთური იგი და მისტაცის თესლი გულისაგან... 29 v.

ასევეა ოპიზა-ტბეთის ტექსტშიც (თესლი-ს ნაცვლად: 'დათესული იგი').

ჯრუჭ-პარხ: ესმეს... გულისჳმა ყვის... მოვიდის... მისტაცის...

ძვ. სომხ.: ...*ირ լէ գբանն արքայութեան և იչ առնու ի միտ, գայ չարն և յակցտակէ գսերմանեալն ի սիրտ նորա... Մտ 13₁₆.*

ბერძნ.: παντὸς ἀκούοντος τὸν λόγον τῆς βασιλείας καὶ μὴ συσιέντος, ἔρχεται ὁ πòνηρὸς καὶ ἀρπάζει τὸ ἐσπαρμένον ἐν τῇ καρδίᾳ αὐτοῦ... Mt 13₁₉.

ლათინ.: *Quoties quispiam audit sermonem de regno illo, et non attendit, venit ille improbus et rapit quod satum est in corde ipsius... Mt 13₁₉.*

ძვ. სლავ. (რუს. თარგმ.): *всякому, слышавшему слово царствия и не разумеющему приходит л у к а в ы й и п о х и щ а е т посеянное в сердце его... Mt 13₁₉.*

ბერძნულსა და ძვ. სლავურში რლსა **ესმინ...** და გულისგმა **ყვს** მიმღეობითაა გადმოცემული, **მოვიდის** და **მიიტაცის** — აწმყოს გვაძლევს (ἔρχεται, **приходит...** ἀρπάζει, **похищает**). ძვ. სომხურსა და ლათინურში ოთხივე ზმნა გვაქვს, ყველა აწმყოა; აქედან პირველი ქართ. აწმყოს უდრის, სამი სხვა — ხოლმეობითა:

ძვ. ქართ.:	ესმინ...	გულისგმა ყვს...	მოვიდის...	მიიტაცის...
ძვ. სომხ.:	լսէ...	առնու ի միտ...	գալ...	յակիչտակէ...
ლათინ.:	audit...	attendit...	venit...	rapit...

4. გარდავლენ... დაიბანან... ჭამედ...

ჰადიშ.: ...და ჰრქუეს რადსათჳს მოწაფენი შენნი **გარდავლენ**: სწავლასა მას მღდელთასა: რ არა **დაიბანან** ველნი რჳჳს პურსა **ჭამედ...** 32 ბ₁ მთ 15₂.

ურბნ.: ...რადსათჳს მწჳფნი შნი გარდაჰვლენ მოძღურებასა ხუცესთასა რ არა დაიბანანიან ველნი რჳჳმს პურსა ჭამედ... 34 რ. ასევეა ოპიზა-ტბეთის ტექსტში.

ჯრუჭ-პარხ.: გარდაჰვლენ... დაიბანანიან... ჭამედ...

ძვ. სომხ.: **Լ ասնս, ըրդէր աշակերտքն քի անցան են գականդութեամբ ծերոցն, զի ոչ լուսնան զձեռս յորժամ հաց ուտեն...** Մთ 15₂.

ბერძნ.: **Διὰ τί οἱ μαθηταί σου παραβαίνουσιν τὴν παράδοσιν τῶν πρεσβυτέρων; οὐ γάρ νίπτονται τὰς χεῖρας ὅταν ἄρτον ἐσθίωσιν...** Mθ 15₂.

ლათინ.: **Quare discipuli tui transgrediuntur traditionem seniorum? non enim lavant manus suas, quum edunt panem...** Mt 15₂.

ძვ. სლავ. (რუს. თარგმ.): **зачем ученики твои преступают предание старцев; не умывают рук своих когда хлеб едят...** 15₂.

გარდავლენ... დაიბანან... ჭამედ...: ერთი ხოლმეობითი გვაქვს (დაიბანანიან), ერთი — აწმყო **-ედ** დაბოლოებით (აწმყო ზოგადი, ე. წ. ხოლმეობითი — ჭამედ), ერთიც — ჩვეულებრივი **-ენ-** სუფიქსიანი აწმყო (გარდავლენ); ძვ. სომხურში, ბერძნულში, ლათინურში, ძვ. სლავურში ყველგან აწმყოა:

შდრ.:	გარდავლენ...	დაიბანნიან...	ჭამედ...
ძვ. სომხ.:	անցանն...	լուսանան...	ուտն...
ბერძნ.:	παραβαίνουσιν...	νίπτονται...	ἔσθιδουσιν...
ლათინ.:	transgrediuntur...	lavant...	edunt...
ძვ. სლავ.:	преступают...	умывают...	едят...

**5. დადვის... არნ... არიედ... იხილის... დაუტევნის... ივლტინ...
წარიტაცნის... განაბნინის... გჭირნ...**

ჰადიშ.: ...მწყემსმან კეთილმან თავი თუსი დადვის საცხოვართა თუსთა ზა ხ სასყიდლითი იგი არა **არნ** მწყემსი რლისაჲ არა **არიედ** თუსნი ცხოვარნი ვა **იხილის** მგელი მომავალი **დაუტევნის** საცხოვარნი და **ივლტინ** და მგელმან **წარიტაცნის** და **განაბნინის** რ სასყიდლით დადგინებულ **არნ** და არა რაჲ **ჭჭირნ** ცხოვართა მათთუს... ჰადიშ. 176 ხ₂ ინ 10₁₁₋₁₄.

ჯრუჭ-პარხ., ურბნ. (196v—197r), **ქსნისა:** და დვის...არნ... არიედ... იხილის... დაუტევნის... ივლტინ... წარიტაცნის... განაბნინის... ჰჭჭირნ...

ძვ. სომხ.:

...հովիվ քաջ գանձն իւր դն է ի վերայ ոչխարաց: իսկ վարձկանն որ ոչ է հովիւ. որոյ ոչ իւր են ոչխարքն, իբրև տեսանէ գգալն և զի գա Ե, թողու գ ոչխարսն և փախչի, և գալն յափշտակէ գնոսս և ցրուէ. քանզի վարձկան է և չէ փոյթ նմա վասն ոչխարացն... Գն 10₁₁₋₁₄.

ბერძნ.:

ὁ ποιμὴν ὁ καλὸς τὴν ψυχὴν αὐτοῦ τίθησιν ὑπὲρ τῶν προβάτων. ὁ μισθωτὸς καὶ οὐκ ὦν ποιμὴν, οὐδ' οὐκ ἔστιν τὰ πρόβατα ἰδὲα, θεωρεῖ τὸν λύκον ἐρχόμενον καὶ ἀφίησιν τὰ πρόβατα καὶ φεύγει, - καὶ ὁ λύκος ἀρπάζει αὐτὰ καὶ σκορπίζει - ὅτι μισθωτὸς ἔστιν καὶ οὐ μέλει αὐτῷ περὶ τῶν προβάτων... Ιν 10₁₁₋₁₄.

ლათინ.:

...*Bonus pastor animam suam deponit pro ovibus. Mercenarius autem et qui non est pastor, cuius non sunt oves propriae, conspicit lupum venientem, et relinquit oves et fugit: lupus autem eas rapit et dispergit ovile: mercenarius autem fugit, quia mercenarius est, et non est ipsi cura ovium...* In 10₁₁₋₁₄.

ძვ. სლავ. (რუს. თარგ.): ...пастырь добрый душу свою полагает за овец: а наемник, который не есть пастырь, которому овцы не свои, видит волка приходящего и оставляет овец и убегает и волк расхищает их и разгоняет овец: а наемник бежит, потому что наемник есть и не радеет об овцах... In 10₁₁₋₁₄.

შდრ. დადვის... არნ... არიედ... იხილის... დაუტევნის... ივლტინ... წარიტაცნის... განაბნინის... ჰჰირნ — სულ ხუთი ხოლმეობითია და ოთხი „აწმყო ზოგადი“.

ყველა შესაბამი ზმნა შესადარებლად აღებულ უცხო ტექსტებში აწმყოშია. ძვ. სომხურში მეცხრე ზმნაცაა ნახმარი: *ყი ფაჟ* „რ“ მოვალს“, — ძვ. ქართულში აქ მიმღეობაა „მომავალი“, ასევე ბერძნულში, ლათინურსა და სლავურში...

§ 8. ხოლმეობითის ხმარებისათვის ნამყო უსრულის..., კავშირებითის ბაღდად. ხოლმეობითის შესატყვისად ყოველთვის აწმყო როდი გვაქვს; ასე რომ ყოფილიყო, ხოლმეობითს აწმყო დაერქმეოდა. ხოლმეობითი ნამყო უსრულის ეკვივალენტობასაც კისრულობს.

1. **გარდამოვარდის... ანსკანქჩნ** (მრავლ.)... *cadebant* (მრავლ.)...

ჰადიშ.: ...და სწადინ განძლომად ნაბიჭვეისა მისგან რი **გარდამოვარდის** ტაბლისაგან მის მდიდრისაჲსა... 139 ხ₂ ლკ 16₂₁.

ურბნ.: და გული ეტყოდა განძლებად ბიჭისაგან გარდამოცვენებულისა ტაბლისაგან... 152 r.

ჯრუჭ-პარხ.: და გული ეტყოდა განძლებად ნაბიჭვეისა მისგან გარდამოცვენებულისა ტაბლისაგან...

ძვ. სომხ.: *Ը ցանկայր ընուլ գորովայն իւր ի փշրանացն որ անկանქին ի սեղանույ մեზատանս... 24* 16₂₁.

ლათინ.: *et desiderants saturari micis quae cadebant e mensa divitis...* Lc 16₂₁.

ბერძნულსა და ძვ. სლავურში გარდამოვარდის ზმნის ადგილს სათანადო მიმღეობა იჭერს. ჩვენს მაგალითში ყურადღებას იპყრობს სწადინ ზმნის შესაბამისად ნამყო უსრული ძვ. სომხურში (*ցანსკაჟრ*) და ჯრუჭ-პარხ. „გული ეტყოდა“ (ნამ. უსრ.) (ლათინურში მიმღეობა გვაქვს. *desiderans*).

ძვ. სომხურსა და ლათინურში მრავლობითია, ძვ. ქართულში მხოლოდობითი (გარდამოვარდის) სათანადო სუბიექტის რიცხვის შესაბამისად.

2. სწადინ... **სცის**... ჭამედ...

ჰადიშ: ...და სწადინ აღვსებად მუცლისა თვისა რქისა მისგან რწლსა ჭამედ ღორნი და არავინ **სცის** მას... ჰადიშ. 137 ბ₁ ლკ 15₁₆.

ძვ. სომხ.: **և ցանկաք ընու գորովսն իւր յեղբրն գոր խոգքն ուսէին և ոչ ք տայր նմա... ԴԿ** 15₁₆.

ლათინ.: et desiderabat implere ventrem suum siliquis, quas edebant proci: et nemo ei dabat... Lc 15₁₆.

ბერძნ.: καὶ ἐπεθύμει γεμίσαι τῆς κοιλίας αὐτοῦ ἐκ τῶν κερατίων ὧν ἴσθιοι οἱ χοῖροι, καὶ οὐδὲς ἐδίδου αὐτῷ... Λκ 15₁₆.

ძვ. სლავ. (რუს. თარგმ.): и желал насытить чрево свое рожками которые ели свиньи: но никто не давал ему... Лк 15₁₆.

ლათინური და ძვ. სომხური ნამყო უსრულს ხმარობს იქაც, სადაც ძვ. ქართულში ხოლმეობითია (სცის) და იქაც, სადაც ძვ. ქართ. ზოგადს აწმყოს იყენებს: **სწადინ... ჭამედ**...: ხოლმეობითისა და ზოგადი აწმყოს ურთიერთობას ეს გარკვევით ახასიათებს.

სწადინ-ზმნის ადგილი ჯრუჰ-პარხ. უკავია გამოთქმას: **გული ეტყოდა** (ეტყოდა — ნამყო უსრ.); **ჰსცის... ჭამედ** მეორდება (ჰადიშის ჩვენების მსგავსად).

შდრ. **ურბნის**. (149 v): და გული **ეტყვნ** განძლებად ბიჭისაგან მუცლისა რქისა მის რწლსა იგი ჭამედ ღურნი და არავინ სცის მწს...

ამრიგად: **სწადინ... გული ეტყვნ... გული ეტყოდა** — ერთი და იმავე შინაარსის გადმოცემას ემსახურება.

3. ვთქუ... **ასქი**... dicebam...

ჰადიშ: ...ესე იყო რწლისათვს ვთქუ... ჰადიშ. 157 ა₂ ინ. 1₁₅.

ჯრ.-პარხ: ესე არს რომლისათვს იგი ვთქუ...

ძვ. სომხ.: **աս է գირմէ ას ქი... Զն** 1₁₅.

ლათინ.: hic est de quo dicebam... Jn 1₁₅.

ბერძნულსა და ძვ. სლავურში მიმღეობაა გამოყენებული.

ვთქუ ნამყო ძირითადი არაა (ძვ. სომხური და ლათინური ამას მოწმობს); ეს ხოლმეობითია: ვთქვ (= ვიტყვ). ძვ. სომხურსა და ლათინურში მას ეფარდება ნამყო უსრული.

4. **წარიტაცის... შებორკილიან... სხვედ... განხეთქის... იდევენებიან...**

ჰადიმ.: ...რ^ა მრავალგზის **წარიტაცის:** და **შებორკილიან** იგი ჯაჭვთა: და საკრველითა: და სცვედ და **განხეთქის** საკრველი და იდევენებიან ეშმაკისა მისგან უდაბნოთა... ჰადიმ. 120 b₁-b₂ ლკ 8₂₉.

ჯრ.-პარხ.: წარიტაცის... შებორკილიან... სცვედ... განხეთქის... იდევენებიან...

ასევეა **ურბნისის** ტექსტში (130 r), **ქსნისაშიც** (94 r).

ძვ. სომხ.: *ფი რაფილ ძამანსაკა კაჩუთასხაღ ჯრ ფნა ლ კაყჯრ ჰ ლქსაკა ლ აყაღჯრ კერკაშ, ლ ჯაღჯრ ეკაყანსან ს ქაიღჯრ იქაღჯრ კანსაყათ...* 24 8₂₉.

ძვ. სომხურში უკანასკნელი ოთხი ზმნა ნამყო უსრულშია.

ლათინურში *ablat. absolutus*-ია გამოყენებული ორგან და მხოლოდ სცვედ და იდევენებიან არის ნამყო უსრულით გადმოცემული; წარიტაცის-ის ადგილას *plusquamperfectum*-ია: *corripuerat*.

...nam a multo tempore corripuerat eum: itaque vincetus ille catenis et pedicis custodiebatur; sed diruptis vinculis agitabatura a daemone in desertu... Lc 8₂₉.

არსებითად ასეთვე მდგომარეობაა ბერძნულსა და ძვ. სლავურში.

აქაც მივუთითებთ **სცვედ... იდევენებიან** ზმნათა გადმოცემაზე ნამყო უსრულით ლათინურშიცა და ძვ. სომხურშიც.

5. **მოვიდის... ეტყუნ... ფაყრ... ასჯრ...** მაგრამ ლათინ.: *venit... dicents...*

...და **მოვიდის** მისა და ეტყუნ... ჰადიმ. 142 a₂ ლკ 18₃.

ასევეა: **ჯრუჭ-პარხ.**, **ურბნ.** (154 v), **ქსნ.** (98 r).

ძვ. სომხ.: *...ფაყრ არ ნა ლ ასჯრ...* 24 18₃.

ლათინ.: *...venit ad eum dicens...* Lc 18₃.

ძვ. სომხური ორსავე შემთხვევაში ნამყო უსრულს იყენებს, ძვ. ქართული — ხოლმეობითსა და ზოგად აწმყოს, ლათინური — აწმყოს ხოლმეობითის ფარდად და აწმყოს მიმღეობას (*dicens*) ეტყუნ-ზმნის შესაბამისად; ამგვარად, ეს ადგილი ძველს ეკვივალენტებსაც გვიჩვენებს (ლათინურში) და ახალსაც (ძვ. სომხურში).

კონტექსტში ლაპარაკია ქვრივის შესახებ, რომელიც სამართალს ეძიებდა, მიდიოდა მსაჯულთან და სთხოვდა „მისაჯე“ და სხვ. და ვერაფერს გახდა... ნამყო უსრული აქ ბუნებრივია. ლათ. *venit praesens historicum*-ი ჩანს.

6. **იხილიან... შეუვრდიან... ღაღადებედ... თხსანსქინ... ანსკანსქინ...**

აღაღასქინ... ასქინ... სასსქრ...

...ოდეს **იხილიან** იგი **შეუვრდიან** მას: ღაღადებედ და იტყვედ ვლ შნ ხარ ძე ლ და ფლ **შეპრისხნის** მათ... ჰადიშ. 69 b₁ მკ 3₁₁₋₁₂.

ჯრუჭ-პარხ.: და სულეები... ჰხედვიდეს მას და შეუვრდებოდეს და ღაღადებედეს და იტყოდეს... და ფრიად შეპრისხნა მათ...

ასევეა: **ურბნის**. (73 v), **ქსნ**. (33 r).

ძვ. სომხ.: *...კირძამ თხსანსქინ ფნა, ანსკანსქინ აოაღი სორა აღაღასქინ ს ასქინ, ჴილ ხა ირქინ ასთილბიკ ს ნა კიქ სასსქრ სიყა...შკ* 3₁₁₋₁₂.

ლათინ.: *quum eum conspexerant, accidebant ei ad pedes et clamabant, dicentes Tu es filius ille dei, Ipse vero multum interminabatur eis...* Mc 3₁₁₋₁₂.

ბერძნ.: *...ὅταν αὐτὸν ἐθεώρουν, προσέπιπτον αὐτῷ καὶ ἔκραζον λέγοντα ὅτι Σὺ εἶ ὁ υἱὸς τοῦ θεοῦ καὶ πολλὰ ἐπετίμα αὐτοῖς...* 3₁₁₋₁₂.

7. **დაიდგნიან... თაყვანის სცემედ... ჰნერწყუვიდეს მას...**

...და ჰნერწყუვიდეს მას და დაიდგნიან მუჟლნი და თაყვანის სცემედ მას... ჰადიშ. 98 b₂ მკ 15₁₉.

ჯრუჭ-პარხ.: ასევეა.

ძვ. სომხ.: *ს ქჷანსქინ რნჷ ხრხსა, ხ ჴ ბონერ ჴღხაღ ხრქირაყაფანსქინ...შკ* 15₁₉.

ბერძნ.: *καὶ ἐνέπτυσον αὐτῷ, καὶ τιθέυτες τὰ γόνατα προσεκύνουσ αὐτῷ...* Mk 15₁₉.

ლათინ.: *et inspuebant in eum, ac positis genibus adorabant eum...* Mc 15₁₉.

ძვ. სლავ. (რუს. თარგმ.): *и плевали на него, и преклоняя колени, поклонялись ему...* Mk 15₁₉.

შესადარებლად აღებულ ენებში ხოლმეობითის ნაცვლად მიმღეობაა (*ღღხაღ*)... *τιθέυτες τὰ γόνατα*... ანდა *ablat. absoouius-ია (positis genibus)* გამოყენებული; პოსიტის ნამყო დროის მიმღეობაა.

აღსანიშნავია ნამყო უსრული ქართული ზოგადი აწმყოსა და ნამყო უსრულის ადგილას:

შდრ.: ჰნერწყუვიდეს... თაყვანის სცემად...

ძვ. სომხ.: *ქჷანსქინ...* *ხრქირაყაფანსქინ...*

ბერძნ.: *ἐνέπτυσον...* *προσεκύνουσ...*

ლათინ.: *inspuebant...* *adorabant...*

ძვ. სლავ. (რუს. თარგმ.): *плевали...* *поклонялись...*

8. **მოვიდიან...** ეტყუედ... **ყაქინ... ასქინ...**

...და **მოვიდიან** მის წე და ეტყუედ გიხაროდენ... ჰადიმ. 192 ბ₂ ინ 19₃.

ჯრუტ-პარხ.: ასევეა.

ძვ. სომხ. **ხე ყაქინ առ նა և ასქინ, იղე լեր... ՅՆ** 19₃.

ბერძნ.: και ἤρχοντο πρὸς αὐτὸν και ἔλεγον χαίρε... Iv 19₃.

ლათინ.: Et dicebant, Ave... Jn 19₃.

ძვ. სლავ. **и говорили: радуйся...** In 19₃.

მოვიდიან-ზმნა სულ არა ჩანს ლათინურსა და ძვ. სლავურში; ძვ. სომხურში მას შეესაბამება ნამყო უსრული.

ზოგადი აწმყო: ეტყუედ ოთხსავე ენაში ნამყო უსრულითაა გადმოცემული, ე. ი. იმგვარადვე, როგორც ხოლმეობითი.

9. **წარდგიან... მიუპყრიან...** ეტყუედ...

...წარდგიან წე მიუპყრიან მას ძმარი და ეტყუედ... ჰადიმ. 153 ბ₂ ლკ 23₃₆.

ჯრუტ-პარხ.: მოუჯდიან მას და ძმარი მიუპყრიან... ლკ 23₃₆.

ძვ. სომხ.: **ხկხაլ առაღի մատուցանէին նմա քացախ, և ასქին...** ԼԿ 23₃₆.

ბერძნულში, ლათინურში მიმღეობებია:

... στρατιῶται προσερχόμενοι. ὄξος προσφέρουτες αὐτῷ και λέγοιτες... 23₃₆.

...milites accedentes, et acetum ei offerentes, dicentesque... Lc 23₃₆.

10. **გამოსცის...** თაქრ... edidit... ἔδιδის... дал...

...და **გამოსცის** ნაყოფი... და **გამოიღის** ერთმან ოცდაათი... ჰადიმ. 70 ბ₂ მკ 4₈.

ძვ. სომხ.: **თაქრ აჰთიღღეხრէր რნღ მჩიყ ხრხსინ...** ՄԿ 4₈.

ბერძნ.: και ἔδιδις καρπὸν... και ἔφερεν εἰς τριάκοντα... Mk 4₈.

ლათინ.: ediditque fructm... ettulit aliud tricena... Mc 4₈.

ძვ. სლავ. (რუს. თარგ.): и дало... плод... и принесло плодов сам тридцать... Mk 4₈.

ობიზა-ტბეთ., **ჯრუტ-პარხ.**: ...და მოსცემდა ნაყოფსა... და მოაქუნდა ოცდაათეული... მკ 4₈.

ეს მაგალითი თავისებურია: ჰადიშის ტექსტის ხოლმეობითს შეესაბამება ნამყო უსრული: **გამოსცის... გამოიღის — მოსცემდა... მოაქუნდა...**

ძვ. სომხურში ნამყო უსრულია: **տայր... բերէր...**

ლათინურში და ძვ. სლავურში ნამყო სრულია. საქმე ეხება მთესვარის იგავს: ზოგი თესლი დავარდა უხეირო ადგილას და ნაყოფი არ მოუტანია; ზოგიც კეთილ ნიადაგზე მოხვდა და კარგი ნაყოფი მოიტანა...

ქართულსა და სომხურში ეს შინაარსი გადმოცემულია თავისებური ნიუანსით: კარგ ნიადაგზე დავარდნილს მოქონდა ნაყოფიო, ზოგადად ახასიათებენ ერთ-ერთ შესაძლო შემთხვევას... ლათინურში, პირუკუ, კონკრეტული ფაქტის სახე ეძლევა ამ შესაძლებლობას: აქა და აქ დავარდნილმა ასეთი ნაყოფი მოგვიტანა. იგავის შინაარსი ორივე სახის ინტერპრეტაციას სავსებით იგუებს.

მსგავსი შემთხვევა სხვაც არის: ხოლმეობითს **აორისტი** ეფარდება.

დავდვი... განვსთესი...

...იცოდე რ მე კაცი ვარ სასტიკი: **მოვიღი** რლი არა **დავდვი**: და **მოვიმკი** სადა არა **განვსთესი...** ჰადიშ. 145 ა2 ლკ 19²².

ჯრუჭ-პარხ.: ასევეა.

ძვ. სომხ.: **գիտէիր թէ ես այր մի ստամբակ եմ, բառնամ զիր ոչ եղի, հնձեմ ուր ոչ սեբման եցի...** ԸԿ 19²².

ბერძნ.: ἦδεις ὅτι ἐγὼ ἄσθραπος αὐστῆρος εἰμι αἶρα ὄ οὐκ ἔθηκα καὶ θερίζω ὄ οὐκ ἔσπειρα... Λκ 19²².

ლათინ.: Sciebas me hominem austerum esse, qui tollam quod non de posui, et metam quod non semina vi... Lc 19²².

ძვ. სლავ. (რუს. თარგ.): ...ты знал что я человек жестокий, беру чего не клал и жну, чего не сеял... Лк 19²².

დავდვი, განვსთესი სომხურში აორისტითაა გადმოცემული, ლათინურში ნამყო სრულით (**perfectum**); ქართულში აქ მოსალოდნელი იყო: მოვიმკი, რლი არა დამითესიეს... (იხ. ქვემოთ აქვე). ასევეა მთ 25²⁴ (ჰადიშ. 55 ა1).

ჰადიშ.: ...**მოიმკი** სადა არა **სთესი** და **შეიკრიბი** რლ არა განგობნევიან... ტაბ. 55 ა1 მთ 25²⁴.

ობიზა-ტბ., ჯრუჭ-პარხ.: ...**მოიმკი** სადა არა **დასთესი** და **შეიკრიბი**, სადა არა განგობნევიედ... მთ 25²⁴.

ძვ. სომხ.: ...*Տնձնս զոր ոչ ս ხ ր մ ʼ ա ն ხ ց ք ր և ժողովես ուստի ոչ սփուեցեր...*

Mat 25₂₄.

ბერძნ.: *θερίζων ὄπου οὐκ ἔσπειρας καὶ συνάγων ὄθεν οὐ
διεσκόρπισας...* *Mθ* 25₂₄.

ლათინ.: *qui metas ubi non sevisti et inde congreges ubi non
dispersisti...* *Mt* 25₂₄.

ძვ. სლავ. (რუს. თარგ.): ...*Жнешь, где не сеял, и собираешь, где не
рассыпал...* *Мт* 25₂₄.

ხოლმეობითის ერთი წყვილი — **მოიმკი... შეიკრიბი** — იმას უდრის, რასაც ძვ. სომხურში, ძვ. სლავურში აწმყო გადმოგვცემს. **სთესი** კი აორისტისა და ნამყო სრულის (**perfect**). ადგილას დგას. ამ მხრივ განვიხილავთ ობიექტ-, ჯრ.-პარხ.: განვიხილავთ (უფრო ახლოსაა სათანადო ზმნის ფორმასთან უცხო ენებში: იგი ეტოლება *სփուեցერ*, *dispersisti*, *расточилъ еси*-ს).

უნდა ვიფიქროთ, რომ წინათ აქაც ხოლმეობითი იყო:

მოიმკი სადა არა **სთესი** და **შეიკრიბი** რლ არა **განაბნი**... მაშინ გვექნებოდა ბუნებრივი კორელაცია მთავარ და დამოკიდებულ წინადადებათა შორის (შდრ. ლკ 19₂₂: ...*მე კაცი ვარ სასტიკი მოვიდი რლი არა დადვი: და მოვიმი* სადა არა **განვსთესი**).

ეს ვარაუდი დაადასტურა კიდევ ურბნისისა და ქსნის ოთხთავის ტექსტებმა¹.

ურბნ: მოიმკი სადა არა დასთესი და შეიკრიბი სადა არა განაბნი. 56 r; მთლიანად ასევეა ქსნ. 14 v.

ხოლმეობითი, როგორც დავინახეთ, სხვადასხვა ფორმათა ადგილას აღმოჩნდა: იქაც, სადაც **აწმყოს** მოველოდით და იქაც, სადაც **ნამყო უსრული** შეიძლებოდა ყოფილიყო, დასასრულ იქ, სადაც უცხო ენათა აორისტი თუ ნამყო სრული (**perfectum**) და ქართ. თურმეობითი პირველი გამოდგება. **აწმყოსა და ნამყო უსრულის შესაბამისად ხოლმეობითის გამოყენება სავსებით ბუნებრივი გვეჩვენება, თუ მის პირველადს ფუნქციას გავითვალისწინებთ** (იხ. ქვემოთ).

¹ როცა შრომა იწერებოდა, მაშინ ურბნ. და ქსნის ტექსტები ხელმისაწვდომი არ იყო.

ხოლმეობითის მდიდარ შესაძლებლობათა დასახასიათებლად მისი ერთი ფუნქციაც შეიძლება გაკვრივთ ალგნიშნოთ: **ხოლმეობითი კავშირებითის როლში გამოდის**. უპირატესად ესაა **ნამყო უსრულის ხოლმეობითი ვარიანტი**.

1. **უწყოდის** (= უწყოდეს):

...ამცნეს მდღელთ მოძღუართა მათ და ფარისეველთა თუ ვინმე **უწყოდის** სადა არს: გუთხარნ რა შეიპყრან იგი... ჰადიშ. 180 b₁ ინ 11₅₇.

ჯრ-პარხ.: ...მიეცა მცნებად მდღელთ მოძღუართა მათ და ფარისეველთა რადთა უკუეთუ ვინმე **იცოდის**, სადა არს, აუწყოს მათ, და შეიპყრან იგი... ინ 11₅₇.

შდრ. ნაბეჭდი: ...უკუეთუ ვინმე **უწყოდეს**, სადა არს აუწყოს მათ...

უწყოდიან (= უწყოდენ, ცნან):

ამით **უწყოდიან** ყლთა რ ჩემნი მოწაფენი ხართ... ჰადიშ. 184 b₁ ინ 13₃₅.

შდრ. **ჯრუჭ-პარხ.**, **ნაბეჭდი**: ამით **ცნან** ყოველთა, რადმეთუ (ნაბეჭდი: ვითარმედ) ჩემნი მოწაფენი ხართ...

2. **გიძლოდის** (= გიძლოდეს)... **იტყოდის** (= იტყოდეს):

...რჟს მოვიდეს სული იგი ჭეშმარიტებისაი **გიძლოდის** თქნ ყლთა ჭეშმარიტებითა: რ არა თავით თვისით რას **იტყოდის** ანდ რავდენი ესმის **იტყოდის** და მოსლვათად მათ გითხრას თქნ... ჰადიშ. 188 a₁-a₂ ინ 16₁₃.

ჯრუჭ-პარხ.: გიძლოდის... იტყოდის... ესმეს... იტყოდის...

შდრ. ნაბეჭდი: ხოლო ოდეს მოვიდეს სული იგი ჭეშმარიტებისად, **გიძლოდეს** თქუენ ჭეშმარიტებასა ყოველსა, რადმეთუ არა **იტყოდეს** თავით თვისით, არამედ რაოდენი რა ესმეს, **იტყოდეს** და მომავალი იგი გითხრას თქუენ...

3. **უხაროდის** (= უხაროდეს):

...მერმე გიხილნჳ თქნ და **უხაროდის** გულთა თქნთა: და სიხარული იგი თქუენი ვერვინ მიგიღოს... ჰადიშ. 188 b₁-b₂ ინ 16₂₂.

ჯრუჭ-პარხ.: და უხაროდის გულთა თქუნთა...

მდრ. **ნაბეჭდი**: მერმე კულად გიხილნე თქუნ და **უხაროდეს** გულთა თქუნთა და სიხარული თქუნნი არავინ მიგიღოს თქუნგან...

პირუკუ, ძველს ქართულში არის შემთხვევები, როდესაც კავშირებითი I ნამყო უსრულის მნიშვნელობითაა ნახმარი (ამად ვტიროდი და ვგოდებდე დღეთა სიბერისა ჩემისათა... კიმ. I, 162²¹); ასეთი რამ ნამყო უსრულისა და კავშირ. I ისტორიული ურთიერთობისათვის ნიშანდობლივია. ჩვენ აქ გვინტერესებს ამ ურთიერთობის ერთი მხარე, — ნამყო უსრულის ფუნქციას რომ გამოავლენს, — **გასწიოს კავშირებითი პირველის მაგივრობა**. ეჭვი არაა, ესაა ძველი ვითარების მაუწყებელი, ვითარებისა, როდესაც **დიფერენციაცია ნამყო უსრულისა და კავშირებითი პირველის ფუნქციებს შორის არ იყო დამთავრებული**¹.

რაკი ნამყო უსრულის ხოლმეობითი ვარიანტი კავშირებითი პირველის მონაცვლედ შეიძლება გამოვიდეს, სრულიად ბუნებრივია, რომ იგი ბრძანებითის გამოსახატავადაც იყოს გამოყენებული²:

...ეგრე **ნათობდინ** ნათელი იგი თქნი წე კაცთა... იოანე ბოლნ. 21¹¹.

ნამყო უსრულის ფორმებზე აქ ვლაპარაკობთ იმდენად, რამდენადაც აქ მესამე პირში გარჩეულია ხოლმეობითის ვარიანტი.

რაც შეეხება ხოლმეობითს, მასაც იყენებდა ძველი ქართული მესამე პირის ბრძანებითის გადმოსაცემად: ...**წითხოვდით** და მოგეცეს თქუნ. ხეიბდით და ხპოთ. **წირეკდით** და განგელო^ს თქუნ.

რ ყოველი რი ხითხოვნ მოიღინ — ხანმეტ. ტექსტ. — ივ. ჯავახიშვილი: უნივერსიტ. მოამბე, II, გვ. 377 ...ხოლმ.: **მოიღინ = მოიღოს**.

აჰა ქალწული მიუდგეს და შვეს ძვ და უწოდინ სახელი მისი ენმანუელ... ჰადიმ. 6 ა₂, მთ 1₃₂.

...უწოდინ სახელი... ასევეა ოპიზა-ტბეთ., ჯრუჭ-პარხლის ტექსტში.

უწოდინ = უწოდონ (მდრ. **მიუდგეს, შვეს** — კავშირებითი II).

და რ ბრმაღ იშუვა ხ აწ ვრ ხედავს არა უწყით ანუ ვინ აღუხილნა თვალნი მაგისნი ჩნ არა უწყით. მაგას ჰკითხეთ გასრულებულ არს თვთ თავისა თვისისათვს **თქუნ**... ჰადიმ. 175 ა₂-ბ₁, ინ 9₂₁.

¹ იხ. არნ. ჩიქობავა: „მესამე პირის სუბიექტის უძველესი ნიშანი ქართველურ ენებში“, — ენიმკი-ს მოამბე, V-VI (1940), გვ. 26.

² სხვა მაგალითები იხ. ზემოხსენებულ წერილში — გვ. 26 და შემდ.

თქუნ = **თქუნ**¹ ხოლმეობითის მესამე პირია (სუბიექტის მესამე პირის არქ. -**ნ** სუფიქსით); თქუნ = თქვას: „სრულ ასაკოვანია, თავის თავის შესახებ თვითონ თქვას!“

ჯრუქ-პარხ. ტექსტში აქ კავშირებითი ზის კიდევ (კავშირ. I):

ჰასაკი აქუს ეგე თავისა თვისათვს **იტყოდენ**.... ინ 9₂₁.

ასეთი მაგალითები შედარებით იშვიათია. მაგრამ ასეთი რამ სავარაუდებელია: კავშირებითი პირველი ისეთსავე მიმართებაში იმყოფება ნამყო უსრულსა და მის ხოლმეობითს ვარიანტთან, როგორშიაც კავშირებითი მეორე იმყოფებოდა ნამყო ძირითადსა და ხოლმეობითთან².

უფრო დაწვრილებით არ ვჩერდებით ხოლმეობითის უნარზე — გასწიოს ნამყო უსრულისა და კავშირებითის მაგივრობა. ჩვენთვის მთავარია ის, რომ ხოლმეობითი აწმყოს მაგივრობას ეწევა: ერგატიული კონსტრუქციის პრობლემისათვის ესაა არსებითი.

§ 9. ხოლმეობითისაგან ნაწარმოები ნამყო უსრული (არქაული ნამყო უსრული). გარდამავალ ზმნათა ხოლმეობითი, როგორც ვნახეთ, აწმყოს მაგივრობას ეწეოდა. ეს გვაჩვენა ხოლმეობითის ფუნქციის ანალიზმა გარკვეულ კონტექსტებში. ამასვე მოწმობს — **უფრო დემონსტრაციულად** — ნაკვთა **წარმოება**.

ძველ ქართულში უკვე ჩამოყალიბებულია უღვლილების გარკვეული სისტემა. გვაქვს ნაკვთა ორი წყება: ერთს საფუძვლად **აწმყოს** ფუძე უდევს, მეორეს — **ნამყო ძირითადის** (აორისტის) ფუძე (უფრო ზუსტად: ის მარტივი ფუძე, რომელიც საერთოა ნამყო ძირითადისა და ხოლმეობითისათვის).

აწმყოს ფუძისაგან იწარმოება ნამყო უსრული, ნამყო უსრულისაგან — კავშირებითი პირველი. ნამყო ძირითადისაგან იწარმოება კავშირებითი მეორე:

მოგკალ — მოგკლა... მოგკუედ — მოგკუედ-ე... ვიქმენ — ვიქმენ-ე... ვწერ-ე — ვწერ-ო... ვაკეთ-ე — ვაკეთ-ო... ხოლმეობითსა და ნამყო ძირითადს საზიარო მარტივი ფუძე აქვს; ხოლმეობითი ნამყო ძირითადისაგან არ იწარმოება (მღრ. ვაკეთებ — ვაკეთებ-დ-...). ისეთ ზმნებთან, რომელ-

¹ ჰადიშის ოთხთავის სტამბურ გამოცემაში **თქუნ** დატოვებულია უცვლელად, უშენიშვნოდ.

² ამ დებულების დასაბუთება მოცემული იყო ერთ-ერთ ჩვენს მოხსენებაში, რომელიც წაკითხული იყო ქართ. საენათმეცნ. საზოგადოებაში.

თაც ნამყო ძირითადში ყველა სადა ფუძე აქვთ, ე. ი. ნამყო ძირითადის სუფიქსი არ გააჩნიათ, ხოლმეობითი იმეორებს მთელს ნამყო ძირითადს (შევბ — შევბ-ი... მოვკალ — მოვკლი...); ესეც იმას მოწმობს, რომ მარტივი ფუძეა ორივე ნაკვეთში ამოსავალი¹.

ნაკვეთა აწმყოს წყება:

აწმყო: **ვაკეთ-ებ**

ნამყო უსრ.: **ვაკეთ-ებ-დ** —
კავშირ. I. **ვაკეთ-ებ-დ-ე**

ნამყო უსრ. ხოლმ.: **ვაკეთებდ-ი**
(III ბ. აკეთებ-დ-ი-ს)

ნაკვეთა ნამყო ძირითადის წყება:

ნამყო ძირითადი: ვაკეთ-ე

ხოლმეობითი: ვაკეთ-ი

კავშირ. II: ვაკეთ-ო ←*ვაკეთ-ე-ე

ამ პირობებში **ნამყო უსრულის ფუძის შედგენილობა საკონტროლო საშუალებაა იმ ფუძის რაობის გასათვალისწინებლად, რომელიც მას საფუძვლად დასდებია**, და იმ ცვლილებათა გასარკვევად, რაც საწარმოებელ ფუძეში („აწმყოში“) მომხდარა. შეიძლება ასეც გვეთქვა: ნამყო უსრული საშუალებას გვაძლევს აღვადგინოთ აწმყოს ფუძე... მაგრამ რაღა აღვდგენა ჭირდება აწმყოს? იგი აკი მოცემულია, როგორც ამოსავალი. საქმეც ისაა, რომ ძველს ქართულში მოიპოვება რიგი ფაქტები, რომელთა გაგება შეუძლებელია, თუ აწმყოს ვივარაუდებთ ამოსავლად ნამყო უსრულის ფუძისათვის, მაგრამ სავსებით გასაგები გამოდის, თუ ასეთ **ამოსავლად ხოლმეობითი იქნებოდა ნაგულვები**.

1. ნამყო უსრ.: **ვიდ-ო-დ-ა...** **ვიდ-ო-დ-ი-ს** 2. კავშირ. I: **ვიდ-ო-დ-ე-ს**

ამ ზმნას აწმყოში ფუძედ მოუღის **ვალ-**: მე ვალ ← ვ-ვალ
შენ ხ-ვალ
იგი ვალ-ს

ნამყო ძირითადის ფუძეა **ვედ**: მე ვედ ← ვ-ვედ
შენ ხ-ვედ
იგი ვიდ-ა

¹ ამასთან დაკავშირებულ საკითხებს ცალკე განხილვა ესაჭიროება.

ვედ ფუძე **ვიდ**-ად იცვლება ყველგან, სადაც მას მოსდევს ხმოვანი, თუ კი ეს უკანასკნელი ფორმანტის ნაწილია ანდა ფორმანტია; ამიტომ ნამყო ძირითადის პირველსა და მეორე პირში **ვედ**- გვექნება; მესამე პირში **-ა**, **-ეს** სუფიქსთა დართვისას: **ვიდ. ვიდ**- ფუძეა ხოლმეობითსა და კავშირებითს მეორეშიც: **-ი** და **-ე** სუფიქსთა დართვასთან დაკავშირებით:

ნამყო ძირითადი	ხოლმეობითი	კ ა ვ შ ი რ. II
მე ვედ (← ვ-ვედ)	მე ვიდ-ი	მე ვიდ-ე
შენ ხ-ვედ	შენ ხ-ვიდ-ი	შენ ხ-ვიდ-ე
იგი ვიდ-ა (შდრ. მო-ვედ-ი-ნ ბრძან. 3 პ.)	იგი ვიდ-ი-ს	იგი ვიდ-ე-ს

ჩუენ ვედ -ი-თ (← ვ-ვედით)	ჩუენ ვიდ-ი-თ	ჩუენ ვიდ-ე-თ
თქუენ ხ-ვედ -ი-თ	თქუენ ხ-ვიდ-ი-თ	თქუენ ხ-ვიდ-ე-თ
იგინი ვიდ-ე-ს	იგინი ვიდ-ი-ან	იგინი ვიდ-ე-ნ

ამ **ვიდ**- ფუძეზეა დაფუძნებული ნამყო უსრული **ვიდ-ოდ-ა**: მომდევნო **-ო**- ცხადყოფს ამოსავალ ფუძეში **-ი**-ს თანაპოვნეობას: ვიდ-ი-ს — ვიდ-ო-დ-ა (შდრ. ყურ-ი-ს — ყურ-ო-დ-ა).

ვიდოდა: ...ხედვიდეს იჴს რ^ა **ვიდოდა** ზღუასა მას... ჰადიშ. 167 a₂ ინ 6₁₉.

ვიდოდეს: ...წიად **ვიდოდეს** ზღუასა მას კაპარნაუმდ კერძო... ჰადიშ. 167 a₂ ინ 6₁₇.

ვიდოდის: ...უკუჭთუ ვინმე **ვიდოდის** დღისი არა უბრკუმეს რ^ა ნა-თელსა ამის სოფლისასა ხედავს და თუ ვინმე **ვიდოდის** ღამე უბრკუმეს... ჰადიშ. 178 b₁ ინ 11₉₋₁₀.

ვიდოდე: ...ჴქა მას ი^აჴ **ვიდოდე** ძე იგი შენი ცოცხალ არს... ჰადიშ. 164 a₂ ინ 4₅₀.

...ჴრქუა მას ი^აჴ **ვიდოდე** და ჰყოფდ შ^ანცა ეგრეთვე... ჰადიშ. 126 b₂ ლკ 10₃₇.

განვიდოდა ...**შევიდოდა**: ...და თუთ **განვიდოდა** შ^ას სამარიასა და გალილეასა და ვ^არ **შევიდოდა** დაბასა რ^ალსამე შეემთხუნეს მას ათნი კაცნი... ჰადიშ. 141 a₁ ლკ 17₁₁.

შთავიდოდა... წარმოვიდოდა: ...მღღელი ვინმე **შთავიდოდა** მას გზასა... ეგრევე ლევიტელი მასვე ადგილსა მოვიდა... მერმე სამარიტელი ვინმე **წარმოვიდოდა** და მოვიდა მასვე ადგილსა... ჰადიშ. 126 b₁ ლკ 10₃₁₋₃₄.

გარდამოვიდოდა: კაცი ვინმე **გარდამოვიდოდა** იწლმთ იერიქოდ... ჰადიშ. 126a₂-b₁ ლკ 10₃₀.

გარდავიდოდა: და ვ^რ **გარდავიდოდა** მოეგებვოდეს მას მონანი მისნი... ჰადიშ. 164 a₂ ინ 4₅₁.

მოვიდოდა: შეიპყრეს ვინმე სიმონ კურინელი რ^ი **მოვიდოდა** აგარაკით... ჰადიშ. 153 a₂ ლკ 23₂₆.

მოვიდოდეს: გამოვიდოდეს ქალაქისა მისგან: და მოვიდოდეს მისა... ჰადიშ 163 a₂ ინ 4₂₉₋₃₀.

მოვიდოდიან: და **მოვიდოდიან** მზის აღმოსავლით და მზის დასავლით ჩრდილოდთ და სამხრით... ჰადიშ. 134 a₂ ლკ 13₂₉.

ნაბეჭდშია: **მოვიდოდნენ!**

...და მრავალნი **მოვიდოდიან** სახელითა ჩემითა და იტყოდიან... ჰადიშ. 148 b₁₋₂ ლ 21₈... ნაბეჭდშია: **მოვიდოდენ** და **იტყოდენ**...

მოვიდოდეს: ...მიეახლეს დაბასა მას რ^ლსა მივიდოდეს... ჰადიშ. 155 b₂ ლკ 24₂₈

...და ავა ორნი მათგანი **მოვიდოდეს**... ჰადიშ. 155 a₁ ლკ 24₁₃.

გამოვიდოდიან: და **გამოვიდოდიან** კეთილისა მოქმედნი... ჰადიშ. 165 b₂ ინ 5₂₉.

ნაბეჭდშია: და **გამოვიდოდენ!**

აღვიდოდიან და **გარდამოვიდოდიან:** იხილნეთ... ანგელოზნი... რ^ა **აღვიდოდიან** და **გარდამოვიდოდიან** ძესა ზ^ა კაცისასა... ჰადიშ. 159 a₁ ინ 1₅₁.

ნაბეჭდშია: აღმავალნი და გარდამომავალნი...

მოხვდოდი: მომიჯსენე მე ო^ო რ^ყს მოხვდოდი სუფევითა მით შენითა... ჰადიშ. 154 a₁ ლკ 23₄₂.

ნაბეჭდშია: ოდეს **მოჰხვდე**.

მორადვიდოდა: და იყო **მორადვიდოდა** იგი: სახლსა ვისამე... ჭამად პურისა... ჰადიშ. 134 b₂ ლკ 14₁.

ნაბეჭდშია: და იყო **მორავიდა**...

გამორადხვიდოდით: ...**გამორადხვდოდით** უბანთა მისთა არქუთ მათ... ჰადიშ. 125 a₂ ლკ 10₁₀.

ნაბეჭდშია: **გამორახვლოდეთ...**

ყველა ამას საფუძვლად უდევს **ვიდ-ის** ფუძე:

ვიდ-ის, **შთა-ვიდ-ის**, **გან-ვიდ-ის**, **შე-ვიდ-ის**, **მი-ვიდ-ის**, **მო-ვიდ-ის**, **გარდა-ვიდ-ის**, **აღ-ვიდ-ის** და სხვ.

მოყვანილი ფორმები იხმარებოდა აწმყოს მნიშვნელობით და მათ-განაა ნაწარმოები ნამყო უსრული. ამ გარაუდის უფლებას გვაძლევს ის მასალა, რაც ხოლმეობითის ფუნქციის დასახასიათებლად იყო წარმოდგენილი ზემოთ.

გარდა ამისა არის შემთხვევა, როდესაც თვით **მოვიდის** ზმნა აწმყოს მნიშვნელობით არის ნახმარი:

...რ^ა ყ^{ლი} რ^{ლი} იქმნ ბოროტსა სძულნ ნათელი და არა **მოვიდის** ნათლად: რ^ა არა ემხილნენ საქმენი მისნი. ხ^ო რ^{ლი} ჰყოფნ ჰეშმარიტებასა **მოვიდის** ნათლად რ^ა განცხადნენ საქმენი მისნი... ჰადიშ. 161 ა¹ ინ 320-21.

ჯრუქ-პარხ.: ასევეა — იქმნ... ჰსძულნ... მოვიდის...

ნაბეჭდში გვაქვს:

რ^ა მეთუ ყოველი რომელი ბოროტსა **იქმნ, სძულს** მას ნათელი და არა **მოვალს** ნათელსა, რათა არა ემხილნენ საქმენი მისნი, ხოლო რომელი **იქმნ** ჰეშმარიტებასა, **მოვალს** ნათლად, რათა ცხად იყუნეს საქმენი მისნი...

ამგვარად: **მოვიდის** ორსავე შემთხვევაში უდრის **მოვალს**...

კონტექსტი რომ აქ აწმყოს გულისხმობს, ჩანს სხვა ენათა ჩვენებიდან:

ძვ. სომხ.: **Ջի ամենայն որ գչար գործէ ատեսպ գլոյս և ոչ գայ առ լոյսն, դի մի**

յանդիմანեսցին գործք նորա: Իսկ որ առնէ դճմարտութիւն գայ առ լոյսն, գի
յայտնի լիցին գործք նորա... ԾՆ 320-21.

ბერძნ.: πᾶς γὰρ ὁ φᾶνλα πράσσω μισεῖ τὸ φῶς καὶ οὐκ ἔρχεται πρὸς τὸ φῶς, ἵνα μὴ ἐλεγχθῆ τὰ ἔργα αὐτοῦ. ὁ δὲ ποιῶν τὴν ἀλήθειαν ἔρχεται πρὸς τὸ φῶς, ἵνα φανερωθῆ αὐτοῦ τὰ ἔργα... *Ἰν 320-21.*

ლათინ.: *Quisquis enim quae mala sunt agit, odit lucem nec venit ad lucem, ne arguantur opera ipsius: qui vero dat operam veritati, venit ad lucem: ut manifesta fiant opera ipsius... Ἰნ 320-21.*

ძვ. სლავ. (რუს. თარგ.): **Всякий, делающий злое, ненавидит свет и не приходит к свету... ...творящий же истину идет к свету... Ἰн 320-21.**

ძვ. ქართ. **მოვიდის** — ძვ. სომხ. **გაყ** — ბერძ. **ἔρχεται** — ლათნ. **venit**, რუს. **приходит, идет.**

მოვიდის, ექვს გარეშეა, აწმყოს ფუნქციას ასრულებს და ესაა ზოგადი აწმყო. **მოვიდის-ზმნის** ნაცვლად შეეძლოთ ეხმარათ **მოვალს**...

მაგრამ საქმეც ისაა, რომ ვალ- ფუძე ვედ-ფუძის აწმყოდ მაშინ არ განიაზრებოდა. ვალ-ფუძე ამ ზმნის უღვლილების სისტემაში მერე შემოიჭრა ისევე, როგორც იტყვს ფუძემ დაიკავა თქვს- ფუძის ადგილი.

ამრიგად, ვედ- ფუძის უღვლილების ძველი სახე ასე წარმოიდგინება:

I. ხოლმეობითი: ვიდ-ი-ს
ნამყო უსრ.: ვიდ-ო-დ-ი-ს|ვიდ-ო-დ-ა
კავშირ. I: ვიდ-ო-დ-ე-ს

II. ნამყო ძირითადი: ვიდ-ა
კავშირ. II: ვიდ-ე-ს

ვიდის-ზმნაც აწმყოს ფუნქციისაა და თქვს-ზმნაც (იხ. § 4). განსხვავება ისაა, რომ პირველისაგან იწარმოება ნამყო უსრული (და აქედან უკვე კავშირებითი I: ვიდის — ვიდოდა — ვიდოდ-ე-ს). თქვს- ზმნისაგან ნამყო უსრული არ იწარმოება, ყოველ შემთხვევაში, ასეთი ნამყო უსრული არ შეგვრჩენია არც ძველს ქართულში, არც ახალში¹. ვგულისხმობთ სალიტერატურო ქართულს, თორემ დიალექტებში გვაქვს:

ხევსურული: ვთქვიდი, სთქვიდი („დედის ერთა ორ, რად არ სთქვიდიო“... იხ. § 18).

ფშაური: ვთქოდი, სთქოდი („მომიგონოდით, სწორებო, შანდობა სთქოდით ჩემია“ — იხ. § 18).

ხოლმეობითისაგან ნაწარმოებ ნამყო უსრულს ჩვენ ვუწოდებთ **არქაულ ნამყო უსრულს:** ვიდოდა — არქაული ნამყო უსრულის ნიმუში იქნებოდა. **აკეთებდა;** ნაწარმოები აწმყოს ფუძისაგან, ორდინარული (რიგითი) ნამყო უსრულია. მის აღსანიშნავად ბუნებრივია დარჩეს მარტივად „ნამყო უსრული“.

არქაული ნამყო უსრული აქა-იქ გარჩენილია ძველი ქართულის უძველეს ძეგლებში. ქვემოთ მივუთითებთ მის ნიმუშებზე.

არქაული ნამყო უსრულის მაგალითები:

1. ხოლმეობ. მისც-ი-ან — არქ. ნამყო უსრ. მისც-ო-დ-ი-ან:

...და საყურძენი იგი მისცეს სხუათა მოქმედთა რლთა მისცოდან მას ნაყოფი ჟამთა მათთა... ჰადიშ. 46 ხ₁ მთ 21₄₁.

¹ ჰქვი ა ზმნამ, რომელსაც თქუა-ზმნასთან საზიარო ძირი აქვს, გაიჩინა ნამყო უსრული დასავლურ კილოებში: „ქვიოდა“ (ლიტერატურულია: ერქვა).

ოპიზა-ტბეთის ოთხთავში იკითხება:

...და ვენაჯი იგი **მისცეს** სხუათა ქყნის მოქმედთა რ^ლთა **მისცენ** მას ნაყოფნი ჟამსა თუსსა... მთ 21⁴¹.

ჯრუჭ-პარხ.: ...რომელთა **მისცენ** ნაყოფი ჟამსა თუსსა.

კავშირებითი (**მისცენ**) ნამყო უსრულის ხოლმეობითის ნაცვლად არა ერთგან ზემოთაც გვქონდა (იხ. ზემოთ: მოვიდოდინან = მოვიოდენ... და მსგავსი მაგალითები, გვ. 52-56); ნამყო უსრულის ხოლმეობითის ხმარება ძველი მოვლენაა, კავშირებითის გამოყენება მის ნაცვლად შედარებით ახალია (იხ. ზევით, გვ. 53):

მისცის: მისც-ო-დ-ი-ს — ვიდ-ი-ს: ვიდ-ო-დ-ი-ს.

ძვ. სომხურში მისცეს... მისცოდინან გადმოცემულია მყოფადით (ორივე):

თ ა გ ჯ ... ი რ ე თ ა ც ხ ნ ზ ა მ ა დ ყ ს თ ი ლ უ ... *ՄԹ* 21⁴¹.

ლათინურში: qui reddent — (conjunct.).

ძვ. სლავ. (რუს. თარგმ.): которые воздают ему...

2. ხოლმეობ. **წარავლინ-ი-ს** იგი — არქაული ნამყო უსრული: **წარავლინ-ო-დ-ი-ს** იგინი; ხოლმეობ. **წარავლინ-ნ-ი-ს** იგინი — არქაული ნამყო უსრული: წარავლინ-ნ-ო-დ-ი-ს იგინი:

...და ყუნა იგინი ათორმეტ რ^ა იყუნენ იგი (!) მის თანა და მოციქულ სახელი დასდვა მათ და რ^ა **წარავლინოდის** იგინი ქადაგებად... ჰადიმ. 69 b₁ მკ 3¹⁵.

შდრ. **ოპიზა-ტბეთ.**: და ყვნა ათორმეტნი იგი. რ^ა იყვნენ მის თანა და რ^ა **წარავლინნეს** იგინი ქადაგებად... მკ 3¹⁵.

სავსებით ასევეა ჯრუჭ-პარხლის ოთხთავშიც: ...რადთა **წარავლინნეს** იგინი...

ძვ. სომხ.: ...*դի առաքեսցէ գնոսս քարոզել...* *ՄԿ* 3¹⁵.

ლათ.: ...ut mitteret eos ad praedicandum... *Mc* 3¹⁵.

3. ხოლმეობ. **გარეწარმც-ი** შენ მე იგი — არქაული ნამყო უსრული-საგან ნაწარმოები კავშირ. I: **გარეწარმც-ო-დ-ე** შენ მე იგი.

...და იტყოდა აბბა მამაო. ყ^ლი შესაძლებელ არს შენდა. **გარეწარმცოდე**¹ მე სასუმელი ესე... ხ^რ არა რად იგი მე მნებავს ა^დ რად შენ... ჰადიმ. 96 b₁-b₂ 14³⁶.

¹ აკ. შანიძეს ჰადიმის ტექსტში ამ ადგილას შეაქვს „გარეწარმცოდე“; აკ. შანიძე განმარტავს: „ზემოთ (მკ 14²⁵ ნათქვამია „რადთამცა გ არ ე წ ა რ ჰ ჳ და მას ჟამი იგი“. და ამის მიხედვით შევასწორეთ“ (წინასიტყვ., გვ. 43). ეს გამოცემა ტექსტის კრიტიკულ დადგენას მიზნად არ ისახავს და ამგვარი ცვლილების შეტანა გაუმართლებელია.

გრუქ-პარს., ნაბეჭდშიც: აბბა მამაო ჩემო ყოველივე შესაძლებელ არს შენ მიერ **თანა წარსლვად** სასუმელი ესე ჩემგან... მკ 14₃₆.

შდრ. ძვ. სომხ.: ...*Աբբա, քայր. ամենայն ինչ քեզ Հնարատր է. անցի՛ դբաժակս գայս յինչն...* Մկ 14₃₆.

ბერძნ.: ...*πα ρ ε ν ε γ κ ε τ ο ποτήριον τοῦτο ἀπ' ἐμοῦ...* Μκ 14₃₆.

ლათინ.: ...*transfer a me istud poculum...* Mc 14₃₆.

ძვ. სლავ.: ...*мимо не си от мене чашу сию...* Мк 14₃₆.

გარეწარმცოდნე ზმნის ფუძე ამგვარად **ცოდ** კი არაა, არამედ -ც-ი- (ზმნა ს-ც-ი-ს) ობიექტით პირველ პირში:

გარეწარმცი — გარეწარმც-ო-დ-ე (შდრ. მი-ს-ც-ი — მისც-ო-დ-ე); კავ-შირებითის ნაცვლად აქ შეიძლებოდა ყოფილიყო ნამყო უსრული: გარე-წარმცოდნი...

5. ხოლმეობ. **ალიდ-ი-ს** — არქაული ნამყო უსრული **ალიდ-ო-დ-ი-ს:**

...და განუთხინე აღსაღებელნი გრკალთა მათ რომელი იყვნენ კიდეთა მათ კიდობნისათა რადთა **ალილოდის** კიდობანი იგი მით... ოშკ. 105 v გამოსლ. 25₁₄.

ნაბეჭდშია: რადთა აღიღებოდის კიდობანი იგი მით...

...და განასხნა მას ოთხნი გრკალნი ოთხთა მათ კიდეთა... და **ალილოდიან** მით საკურთხეველი იგი... ოშკ. 115 r გამოსლ. 38₂₄.

ნაბეჭდშია: რადთა აღიღებოდინ მით საკურთხეველი იგი...

...და იყვნენ გრკალნი იგი განსაცუმელად აღსაღებელთა მათ რადთა **ალილოდიან** მით ტაბლაჲ იგი... და ჰქმნენ აღსაღებელნი იგი ძელთაგან ულპოლველთაჲსა და შეჰმოსნენ იგინი ოქროდთა წმიდითა და **ალილოდიან** მით ტაბლაჲ იგი... ოშკი 106 v გამოსლ. 25_{26, 27}.

ნაბეჭდ „დაბადებაში“ უკანასკნელი „ალილოდიან“ მეორდება: გამოსლ. 25₂₇: და ჰქმნენ სატურთველი მისი ხისაგან ულპოლველისა და მოაოქროო იგი ოქროდ^ჲთა წმიდითა და **ალილოდიან** მით ტაბლა^ჲ იგი... გამოსლ. 25₂₆-ში კი „ალილოდიან“ არა გვაქვს, მას სცვლის კავშირებითი II:

და იყვნენ გრკალნი იგი განსაცუმელად აღსაღებელთა მათ, რადთა აღილონ მით ტაბლა^ჲ იგი...

...ორი ერთ კერძო და ორი ერთ კერძო სივრცისაებრ მათ განსაცუმელთაჲსა რადთა **ალილოდიან** იგი მით... ოშკ. 114 r გამოსლ. 38_{3.4}.

ნაბეჭდშია: რა აღიღონ იგი...

...ორნი კარშიკნი ერთ კერძოსა კიდესა და ორნი კარშიკნი კიდესა მას მეორესა სივრცით რაღათა **აღიღოდიან** იგი უღლითა მით... ოშკ. 114 r გამოსლვ. 3810.

ნაბეჭდშიც ასეა: რა აღიღოდიან იგი უღლითა მით... გამოსლ. 384.

...და შენ დადგინენ ლევიტელნი კარავსა წამებისასა... და მათ **აღიღოდიან** კარავი იგი... რიცხ. 150.

ბ. ხოლმეობ. და-ი-ბან-ის — არქაული ნამყო უსრ. და-ი-ბან-ო-დ-ი-ან:

...ქმენ ემბაზი რვალისაჲ..., რაღათა **დაიბანოდიან** ჳელნი და ფერჯნი მათნი და დასდგა იგი შოვრის კარავსა მას საწამებლისასა და შთასახა მას წყალი.

და **დაიბანოდიან** აპრონ და ძეთა მისთა ჳელნი და ფერჯნი მათნი, ოდეს შევიდოდიან და **დაიბანოდიან** წყლითა... რჳმს მოვიდოდიან იგინი... შეწირვად მსხუერპლისა, **დაიბანოდიან** წყლითა... ოშკ. 108 r გამოსლ. 3018-20.

ნაბეჭდ ტექსტში მხოლოდ პირველ შემთხვევაშია **დაიბანოდიან** (რა დაიბანოდიან ჳელნი და ფერჯნი), მეორეშია — დაიბანდენ, მესამეში — დაიბანონ, მეოთხეში — დაიბანდენ...

...და ქმნა საბანელი იგი რაღათა იბანდენ მას შინა მოსე და აპრონ და ძენი მისნი ჳელთა და ფერჯთა მათთა შერადვიდოდიან იგინი კარვად საწამებელისა ანუ ოდეს მოვიდოდიან საკურთხეველად მსახურებად მისა, **დაიბანოდიან** მისგან ვითარცა უბრძანა უფალმან მოსეს... ოშკ. 115 v გამოსლ. 3827.

ნაბეჭდ ტექსტშიც გვაქვს **დაიბანოდიან**:

...შერა(დ)ვიდოდიან იგინი კარავად საწამებელისა ანუ ოდეს მოვიდიან საკურთხეველსა მსახურებად მისა, **დაიბანოდიან** მისგან... (ნაბეჭდში ესაა გამოსლ. 3821 და არა 27 მუხლი).

ჰადიშის ოთხთავში დაცულია **დაჰბანი დაჰბან**-ის ნაცვლად:

...და იწყო ბანად ფერჯთა მათ მოწაფეთასა და წარჰვოცდა მჩურითა მით: რლ მოერტყა: მოვალს სიმონ პეტრესა: და მან **ჰრქუა** მას ოო **შენ დაჰბანია** ფერჯთა ჩემთა მიუგო მას იჳ და ჰრქუა რასა ესე მე ვიქმ აწ არა უწყი... ჰადიშ. ტაბ. 183 ა2 ინ 135-7.

აწმყო ზის **ჯრუჲ-პარხლის** ტექსტში... ოო **შენ დამბანა** ფერჯთა ჩემთა.

ასევეა ნაბეჭდ ოთხთავშიც.

რომ აქ **დაჰბანი** აწმყოს ფუნქციისაა, სხვა ენათა ჩვენებაც ადასტურებს:

ძვ. სომხ.: ...*Տէր, դու զիմ գոտս լուսնասս... 38*

ბერძნ.: ...*Κύριε σὺ μου νίπτεις τοὺς πόδας...* 136.

ლათინ.: ...*Domine tu mihi lava pedes...* Jn 136.

ყველგან ერთნაირადაა: „უფალო შენ მბან მე ფეხებს?“

დაჰბანი ხოლმეობითია და აწმყოს მნიშვნელობა აქვს; **დაჰბანი**-საგან იწარმოებოდა ნამყო უსრული არქაული: **დაჰბანოდის** (შდრ. ზევით მოყვანილი **დაიბანის** — **დაიბანოდინ**, **იბანის** — **იბანოდინ**...). სხვა ზმნებთანაც ხომ ასეა: არქაული ნამყო უსრული გულისხმობს, რომ ამოსავალია ხოლმეობითი და ამ ხოლმეობითს აწმყოს ფუნქცია აქვს. რითაა თავისებური **დაჰბანი**-ს შემთხვევა? იმით, რომ ის ხოლმეობითია (დაჰბან-ი), მაგრამ რეალურ ობიექტს **მიცემითში** მოითხოვს, და არა **სახელობითში**, ე. ი. ხოლმეობითის აგებულება შერჩენილი აქვს, სინტაქსური კონსტრუქცია კი ერგატიული აღარაა.

7. ხოლმეობ. **დაისახ-ი-ს** — არქაული ნამყო უსრ. **დაისახ-ო-დ-ი-ან**.

...და წინა დასხნა კუერთხნი... რათა მოვიდოდინ ცხოვარნი სუმად წინაშე კუერთხთა მოსლვასა მათსა სუმად, **დაისახოდინ** ცხოვარ(ნ)ი(!) კუერთხთაებრ და შობდენ ცხოვარნი კუერთხისაებრ და შობდენ ცხოვარნი მოთეთროთა და ჭრელთა და ნაცრის ფერად სხურებულთა... შექმნ. 30₄₀₋₄₁.

ოშკის „დაბადებაში“ ეს ადგილი ასეა

...და დაუსუა კუერთხები იგი ისარნებსა მას წყლის სასუმელთასა რადთა რადჟამს მოვიდეს ცხოვარი სუმად წინაშე კუერთხებსა მას მოვიდენ სუმად და მიჰხედონ ცხოვართა მათ კუერთხებსა მას და შობდეს ცხოვარ(ნ)ი იგი სპეტაკსა და ჭრელსა და ნაცრისფერად სხურებულსა... ოკ., შექმნ. 30₃₈₋₃₉.

8. ხოლმეობ. **მოართუს** — არქაული ნამყო უსრ. **მოართ-ო-დ-ი-ან**:

...ესე არს შჯული შესაწირავთად რომელ **მოართოდინ** ძეთა აპრონისთა წინაშე ღმრთისა პირისპირ საკურთხეველსა... ოშკ. 126 v ლევიტ. 6₁₄₍₇₎.

ნაბეჭდშია: რომელ მოართმიდინ ძეთა არონისთა მღვდელთა წინაშე უფლისა...

დედანში აქ თავდაპირველად უნდა ყოფილიყო მოართოდინ; წინააღმდეგ შემთხვევაში გაუგებარი იქნებოდა რეალური სუბიექტის დასმა მოთხრობითში:

მოართმიდიან ...მლდელთა (უნდა ყოფილიყო მოართმიდიან მლდელნი). ჩანს, არქაული **მოართოდიან** შეუცვლიათ მოდერნიზებული **მოართმიდიან**-ით, სინტაქსური კონსტრუქცია კი წინანდელი დარჩენილა.

9. ხოლმეობ. **მოგართჳს... განსაჯის... აღგიმცირის...** — არქაული ნამყო უსრ. **მოგართოდიან... განსაჯოდიან... აღგიმციროდიან:**

და შჯიდენ ყოველსა ჟამსა ერსა ამას და ყოველ სიტუაჲ მძიმე **მოგართოდიან** შენ და სიტყუაჲ ადვილი **განსაჯოდიან** მათ და **აღგიმციროდიან** და შეგეწეოდიან შენ... ოშკ. 96 r გამოსლ. 1822.

ნაბეჭდშია: და სჯიდენ ერსა ამას ყოველსა ჟამსა და ყოველი სიტყუა(დ) მძიმე მოგართუან შენ და სიტყუაჲ ადვილი განსაჯონ მათ და სჯიდენ მათ და აღგიმცირონ შენ და შეგეწეოდიან შენ.

მოგართოდიან... განსაჯოდიან... აღგიმციროდიან წაქეზებითი ბრძანებითია ისევე, როგორც ფშაურში (იხ. ქვ.). ბუნებრივია, თუ ნაბეჭდს ტექსტში სათანადო ადგილას კავშირებითი მეორე ზის: მოგართუან... განსაჯონ... აღგიმცირონ.

განსაჯოდიან მათ — ნამყო უსრულია წარმოებით, რეალური სუბიექტი კი მოთხრობითშია (და არა სახელობითში!): ერთი სიტყვით, ისევეა, როგორც იცოდინან, უწყოდინან მათ... სინტაქსური კონსტრუქციითაც **განსაჯოდიან** მათ ფშაურ პერმანსივს ეკედლება, ოღონდ აქ მესამე პირის ფორმაა, სწორედ ის ფორმა, რომელიც ფშაურში -ოდ- სუფიქსით არ იწარმოება (იხ. ქვევით).

10. ხოლმეობ. **განათი-ი-ს** — არქაული ნამყო უსრ. **განათი-ო-დიან:**

...რადთა მოუკლებლად შაბათი კურიაკედ ღამე **განათიოდიან** მწუხრითვან დილეულადმდღს... ცხორ. საბა პალესტ. თ. 33 — კიმენი II, 163₁₀.

11. ხოლმეობ. **აღასრულ-ი-ს... ეზიარ-ი-ს** — ნამყო უსრ. **აღასრულ-ნ-ო-დ-ი-ან, ეზიარ-ნ-ო-დ-ი-ან:**

...შჯული შეუთხრა მათ ნეტარმან მან რადთა ევანგელს და სხუანი ლოცვანი **აღასრულნოდიან** სომეხთა ენითა, ხოლო ჟამის წირვასა შეკრბენ ბერძენთა ეკლესიასა და მათ თანა **ეზიარნოდიან**¹... ცხორ. საბა პალესტ. თ. 32 — კიმენი II, 162₂₆.

¹ განათიოდიან, აღასრულნოდიან, ეზიარნოდიან, ყოდინან ზმნათა წარმოების უცნაურობას ყურადღებას აქცევს კიმენის გამომცემელი კორნ. კეკელიძე (იხ. გვ. 136, შენიშვნა).

ო-დ-ის წინ ნ პირველ შემთხვევაში ობიექტის მრავლობითობაზე მიუთითებს (ლოცვანი აღასრულნოდინ მათ), მეორე შემთხვევაში — ვნებითის მრავლობითისთვის დამახასიათებელი **-ნ-** სუფიქსია ნაკვთა მეორე წყებაში (იგი ეზიარის — იგინი ეზიარ-**ნ**-იან).

12. ხოლმეობ. **ყვ-ი-ს** — ნამ. უსრ. **ყ-ო-დ-ი-ს** (← ყვ-ო-დ-ი-ს):

...შეჭული ესე დაღვა რადთა შაბათსა კრებად ღმრთით ქმნულსა ეკლესიასა **ყოდიან...** ცხორ. საბა პალესტ. — კიმენი II, 163გ.

შდრ. ფშაური: **ვიყოდი** (იხ. ქვევით).

13. ხოლმეობ. **აღირაცხ-ი-ს** — არქაული ნამყო უსრ. **აღირაცხ-ო-დ-ი-ს**:

...განმრავლებით განვამრავლო თესლი შენი და არა **აღირაცხოდის** სიმრავლისაგან... მოსე, შექმნათა, 16₁₀.

აქამდის განხილული მაგალითები გარდამავალ ზმნებს ეხებოდა; აღირაცხის გარდაუვალი ზმნა¹, ვნებითი გვარისა... მით უფრო საგულისხმოა ამგვარ ზმნაში ხოლმეობითის ფუძის გამოყენება (აწმყოს ფუძის ნაცვლად) ნამყო უსრულის საწარმოებლად: ვნებითი უპირისპირდება მოქმედებითს; ეს დაპირისპირება მკვეთრად იგრძნობა აწმყოში: მოსალოდნელი იყო აღირაცხ-ებ-ო-და (აწმ. აღირაცხ-ებ-ი-ს — შდრ. აწმ. მოქმედ. აღპრაცხავ-ს). აქ კი ვნებითმა (აღირაცხ-ი-ს) დაგვიდასტურა ის მდგომარეობა, როცა აღირაცხ-ი-ს — (ხოლმეობითი) ასრულებდა აღრაცხავ-ს ნაკვთის (აწმყოს) როლს, ანალოგიური მაგალითები შემდეგია:

მოგეცნენ-ი-ს — ნამყო უსრ. **მოგეცნენოდინ**:

...და იყავნ იგი ფესუსა მას თქუენსა და იხილავდით(!) მას და მოგეცნენოდინ ყოველნი მცნებანი უფლისანი... რიცხ. 15₃₉.

14. ხოლმეობ. **შეიწირ-ი-ს** — არქაული ნამყო უსრ. **შეიწირ-ო-დ-ი-ან**:

...მვარი იგი შესაწირავისა და მკერდი იგი განჩემებისა ნყოფთა თანა ცმელისათა **შეიწიროდიან** განჩემებად განჩემებული იგი... ლევიტ. 10₁₅.

¹ გარდაუვალ ზმნათა ხოლმეობითი რომ აწმყოს ფუძეებით გამოუყენებიათ, ეს პარალელური ტექსტების შეპირისპირებამ გამოავლინა (ნიმუშები იხ. § 6. გვ. 36-42). აქ ნამყო უსრულის წარმოება იმასვე ამჟღავნებს.

15. ხოლმეობ. **გამომეცხადი** — არქაული ნამყო უსრ. **გამომეცხადოდი**...
კავშირ. I: **გამოგეცხადოდე**...

...და მიქმენით მე სიწმინდჳ და **გამოგეცხადოდი** თქუენ... ოშკ. 105 v.
გამოსლ. 257.

ნაბეჭდშია: გ ა მ ო გ ე ც ხ ა დ ო დ ე...

...და **გამოგეცხადოდი** შენ მიერ და ვეტყოდი... ოშკ. 106 v გამოსლ. 2521.

ნაბეჭდშია: და გ ა მ ო გ ე ც ხ ა დ ე ბ ო დ ი შენ მათგან და მოგიტხრა შენ...

...და დასდუა იგი წინაშე საწამებელთასა და კარსა საწამებელისასა;
ვინა იგი **გამოგეცხადოდი** შენ... მოსე, გამოსლვათა, 3036.

შდრ. ...და გ ა მ ო გ ე ც ხ ა დ ე ბ ო დ ი შენ მათგან... მოსე, გამოსლვა-
თა, 2521.

...ვინა იგი გ ა მ ო გ ე ც ხ ა დ ე ბ ო დ ე შენ... მოსე, გამოსლვათა, 306.

§ 10. ერგატიული კონსტრუქცია არქაულ ნამყო უსრულთან.

ხოლმეობითის ადგილი რომ გაგვერკვია ძველი ქართული ზმნის უღვლი-
ლების სისტემაში, მივმართავდით ორ საშუალებას: 1. რა მნიშვნელობა
ქონდა ხოლმეობითს ძველ ქართულში და 2. რა ადგილი ეკავა მას ნაკვთ-
თა წარმოებაში, საუღვლებელ ფუძეთა წარმოქმნაში.

მნიშვნელობის გასარკვევად შედარებას ვიყენებდით: ქართული ოთხ-
თავის სხვადასხვა ხელნაწერის ჩვენებას ვუდარებდით ერთმანეთს, ანდა
სხვა ენათა ოთხთავის ტექსტებს ვიშველიებდით.

ნაკვთთა წარმოებისას ნამყო უსრული იდგა ყურადღების ცენტრში:
რისგანაა იგი ნაწარმოები — აწმყოს ფუძისგან თუ ხოლმეობითისგან, ჩვე-
ულებრივი ნამყო უსრულია თუ **არქაული ნამყო უსრული**.

ამ ორი საშუალებიდან პირველი უფრო რთულია მოსამარჯვებლად:
გადმოსაცემ საშუალებათა ერთგვარობაა აუცილებელი წინაპირობა შედა-
რებისას, ე. ი. სტილისტური მომენტია გასათვალისწინებელი (და მამასა-
დამე, ნიუანსებია მხედველობაში მისაღები). ამ გზით მიღებული დასკვნაც
ყოველთვის არაა სავსებით თანაბარი ძალისა.

არქაული ნამყო უსრულის წარმოება კი შესაძლებელს ხდის მარტი-
ვად და ეჭვმიუტანლად წარმოვიდგინოთ ამოსავალი ფუძე (ხოლმეობითი).

ამრიგად, არქაული ნამყოს წარმოებას განსაკუთრებული ღირებულე-
ბა აქვს ხოლმეობითის ისტორიის აღდგენის თვალსაზრისით.

არქაული ნამყო უსრული ერგატიულ კონსტრუქციას მოითხოვს:

...რ¹ლთა **„მოქმედთა“ მისცოდინ** მას **ნაყოფი: მათ** მას **იგი**...

...რ²ა **წარავლინოდის** **„მან“¹** იგინი...

...**გარეწარმცოდე** მე **„შენ“** სასუმელი ესე...

...და **აღილოდიან** მით **„მათ“** **ტაბლაჲ** იგი...

...და **მათ აღილოდიან** **კარავი** იგი...

...და **დაიბანოდიან** აპრონ და ძეთა მისთა **ველნი** და **ფერვნი** მათნი²...

...სიტყუად მძიმე მოგართოდიან **„მათ“** შენდა სიტყუად ადვილი **გან-საჯოდიან** მათ და **აღვიმციროდიან** **„მათ“** შენ ტვრთი...

...ლამე **განათიოდიან** **„მათ“**...

...სხუანი ლოცვანი **აღასრულნოდიან** **„მათ“**...

...კრებაჲ ეკლესიასა **ყოდიან** **„მათ“**...

ჩვეულებრივს ნამყო უსრულს შეეფერება ნომინატიური კონსტრუქცია, ისევე როგორც აწმყოს:

იგინი მისცემდიან მას ნაყოფსა (შდრ. მათ მისცოდინ მათ ნაყოფი)...

იგინი აღიღებდიან კარავსა მას (შდრ. მათ აღილოდიან კარავი იგი)...იგი დაიბანოდიან ველთა და ფერვთა (შდრ. მათ დაიბანოდიან ველნი და ფერვნი)...

იგინი მოგართუმიდიან სიტყუასა მძიმესა შენ (შდრ. მათ მოგართოდიან სიტყუად მძიმე შენ).

ერგატიული კონსტრუქცია ნაკვთთა პირველ წყებაში (ახლანდელ აწმყოს წყებაში) **ესაა არსებითად ახალი ვითარება სინტაქსური თვალსაზრისით**, რაიც არქაულმა ნამყო უსრულმა შეგვძინა. ამით მოიშალა ზღვარი ნაკვთთა პირველსა (აწმყოს) და მეორე წყებას (ნამყო ძირითადის წყებას) შორის; ერგატიული კონსტრუქცია (მოთხრობითიანი კონსტრუქცია) აღმოგვაჩნდა როგორც მეორე, ისე პირველი წყების ნაკვთებთან (იხ. § 26).

¹ ფრჩხილებში ჩასმულია რეალური სუბიექტი.

² „დაიბანოდიან“ გარდაუვალი ზმნის არქაული ნამყო უსრულიცაა:

რ²ჟმს მოვილოდიან... შეწირვად მსხუერპლისა დაიბანოდიან წყლითა... (აქ კონსტრუქცია ნომინატიურია: იგინი დაიბანოდიან წყლითა).

§ 11. უწყის, როგორც ხოლმეობითი ძველ ქართულში. ხოლმეობითის ისტორიის აღსადგენად მეტად ფასეულია იცის, უწყის, ჰრქვან ზმნათა ჩვენება.

უწყის:

...არავინ უწყინ რასა იგი იქმნ... კიმენი I, 35₁₅.
ნ დლისა მისთვის და ჟამისა არავინ უწყის... ჰადიმ. ტაბ. 94a₂ მკ 13₃₂.
...რ რლი ვალნ ბნელსა არა უწყინ ვე ვალნ... ჰადიმ. 182a₂ ინ 12₃₅.
...არა უწყინ მან რ თავით თვსით ქენამან მან გამოილის ნაყოფი...
ჰადიმ. 72a₁ მკ 4₄₇.

უწყი:

...მათ ჰრქუეს ჩნდა რად შენ უწყი... ჰადიმ. 60b₂ მთ 27_{4.5}.
...შენ გნებავს განცდად მისი შენ უწყი... წარტყ. ნა 31
...ვითარცა შენ მხოლომან უწყი... სასულ. ტით₁₀ ქვ.
...შენ უწყი რიცხვ დღეთა და ჟამთა ჩუნთადა... სასულ. რმდ₁₇.

ვუწყი:

...და თქუა არა ვუწყი რასა იტყვ... ჰადიმ. 60a₂ მთ 26₇₀.
მდრ. ჯრუჭ-პარხლ.: და თქუა არა ვიცი რასა იტყვ... მთ 26₇₀.
...უწყი მე უძლურებად გონებისა ჩემისადა. წარტყ. ბ₂₈.
...უწყი მე მისი დიდი სიტკბობადა... ბოლნ. 11₁₀.

უწყიან:

...აწ უწყიან რ ყლი რად მომეც მე მივეც მათ... ჰადიმ. 189b₁
ინ 17₇.

...მითხარლა ნიში იგი ნათესავისა მის შენისადა ვინ არს ვრ იგი
უწყიან... კიმენი I, 116₂₄.

...ქართველად სახელსდებენ თავთა თვსთა და არა უწყიან, თუ
რადსა ზრახვენ.. ათონ. 313₁.

უწყით:

...უწყით რ ორისა დლისა შემდგომად ზატიკი ყოფად არს... ჰადიმ.
56b₁ მთ 26₂.

...არა უწყით რასა ითხოვთ... ჰადიმ. 43a₂ მთ 20₂₂; ჰადიმ. 87 ბ₁ მკ 10₃₈.

უწყით რ მთავარნი იგი... ჰადიმ. 43b₁ მთ 20₂₅.

...რ არა უწყით ოდეს იყოს ჟამი იგი... ჰადიმ. 94a₂ მკ 13₃₃.

...აწ მლუძარე იყუეგნით რ არა უწყით დღე იგი არცა ჟამი... ჰა-
დიმ. 54 a₂ მთ 25₁₂.

ნამყო უსრული:

უწყოდა:

...და არა უწყოდა თუ ვინაჲ იყო... ჰადიშ. 159 a₂ ინ 29.

...და არვინ უწყოდა მიზეზი... კიმენი I, 167₃₄.

...უწყოდა ვ'დ სავსებაჲ მუცლისაჲ და ამპარტავნებაჲ ვერ შემძლებელ არიან მღვდარებად... კიმენი I, 15₂₈.

...ესე თუშცა იყო წ'ნწყლი უწყოდამცა რაბამი დედაკაცი შეეხე-ბის... ჰადიშ. 118 a₂ ლკ 7₃₉.

უწყოდის:

მოვიდეს ო'ი იგი მის მონისაჲ დღესა რ'ლსა არა მოელოდის და უამსა რ'ლსა არა უწყოდის... ჰადიშ. 53 b₂ მთ 24₅₀.

უწყოდეს მათ:

...უწყოდეს მშობელთა მისთა ჰგონებდეს... ჰადიშ. 107 b₁ ლკ 2₄₃.

უწყოდან მათ:

...ამით უწყოდინ ყ'ლთა რ' ჩემნი მოწაფენი ხართ... ჰადიშ. 184 b₁ ინ 13₃₅.

...რ' უწყოდინ ყოველთა რ' ქ'სს მოწამე არს... აბო 75₃₁.

უწყოდით:

...რ' უწყოდით რ' ჰემმარიტსა გითხრობ თქუენ... წარტყ. 3₅.

...უკუეთუ ვინმე უწყოდით სად არს იგი გვთხართ ჩ'ნ... ბოლნ. 78₈.

ვ' უწყოდით:

...ჰრქუა მას თომა ო'ო არა უწყით ვ'ე იგი მიხვალ და ვრ'მე გზაჲ იგი უწყოდით... ჰადიშ. 185 a₁ ინ 14₅.

კავშირებითი I:

უწყოდენ:

ჰრქუა ნეტარმან მან არტემი: ამით უწყოდენ ძლიერებაჲ თვისი... კიმენი I, 158₁₅.

უწყოდე:

და ესეცა უწყოდევე: ზ კაცო რასა იგი იქმ მოყუსისა მიმართ ძისა... ბოლნ. 83₁₀ ქვ.

...ჰემმარიტად უწყოდე შვილო ჩემო... კიმენი I, 21₂₅.

...და მომეგებოდე მე დაყენებად ჩემდა: ანუ არა უწყოდეა რ' მეფე ვიყავ... კიმენი I, 44₂₀.

...ოდეს ესე ვ^რი კაცი იყო სახლსა შინა რადსა არა მითხრობდი? ვ^რა მას ევფემიანე: ცხოველ არს ღ^ვი არა უწყოდე რ^ემე... კიმენი I, 163₃₅.

...და არა უწყოდე მე ვიყავ რად საპყრობილესა შინა... არიმათ. 29₆ ქვ.

უწყოდეთ:

ესე უწყოდეთ რ^ე არა დავპრიდოთ მცოვანებასა თქუენსა ა^ნდ ძვრ-ძვრად აღვასრულო სიბერე თქუენი... კიმენი I, 142₅.

რ^ე უწყოდეთ:

...დამეცა რ^ენ^ე ზ^ეა შიში დიდი არა უწყოდეთ, რადმცა იგი ვყავთ... კიმენი I, 36₂₃.

ნამყო უხრული ხშირად კავშირებითის მნიშვნელობითაა ნახმარი:

...უტეთუ ვინმე უწყოდით (= უწყოდეთ, იცოდეთ) თუ სადა არს იგი გვთხართ რ^ენ... (იხ. ზემოთ).

...რ^ეა უწყოდია ნ (უწყოდენ, იცოდეთ) ყოველთა... (იხ. ზემოთ).

...გრ^ემე გზად იგი უწყოდით (= როგორღა ვიცოდეთ გზა, როგორღა გვეცოდინებოდა გზა...) (იხ. ზემოთ).

უფრო საინტერესოა **აწყმოს** (= ხოლმეობითის) ხმარება კავშირებითის მნიშვნელობით:

...გარნა ესემცა უწყით რ^ე მოახლოებულ არს სასუფეველი... ჰადიშ. 125 b₁ ლკ 10₁₁.

...ნ^ე ესემცა უწყით: უკუეთუმცა იცოდა სახლისა ო^ნ: რ^ელსა ჟამსა მპარავი მოვიდეს ილუქებდამცა და არა უტევა დათხრად გუერდი სახლისა... ჰადიშ. 135 b₂ ლკ 12₃₉.

აქ კავშირებითის მნიშვნელობა **-მცა** ნაწილაკის ხმარებითაა შეპირობებული, მაგრამ ხოლმეობითს უამნაწილაკოდაც შეეძლო გადმოეცა კავშირებითი, როგორც ეს სხვა მაგალითებიდან ვიცით (იხ. § 8, გვ. 52) და **უწყის** ხომ ხოლმეობითია! მერე და: -მცა ნაწილაკი რომ კავშირებითს გადმოგვეცემს, ეს ფაქტია¹, რომელსაც ახსნა ჭირდება: **-მცა** ლექსიკური საშუალებაა და არა ზმნის მორფოლოგიური ელემენტი: იგი ზმნას შეიძლება არც დაერთოს (იხ. ესემცა უწყით...). მაგრამ ეს საკითხი ზმნის პირველადი ნაკვთების ფუნქციის რკვევას გულისხმობს და მასზე შეჩერება აქ უადგილო იქნებოდა.

¹ ამ ფაქტზე მიუთითა აკ. შანიძემ: „მცა ნაწილაკი ძველს ქართულში“, „პრომეთე“, 1918, №1, გვ. 79-80.

უწყის-ზმნა ერგატიულ კონსტრუქციას მოითხოვს; ობიექტი მასთან სახელობითში დაისმის; თუ ეს ობიექტი მრავლობითიშია, მისი აღმნიშვნელი სუფიქსი ზმნაში დაჩნდება: მან უწყის იგი — მან უწყის იგინი:

...ხ^ლ უწყის გულნი თქ^ნნი... ჰადიშ. 139 b₁ ლკ 16₁₅.

შდრ. ჯრუჟ-პრახ.: ღმერთმან იცნის გულნი თქ^უენნი... ლკ. 16₁₅.

ამ მონაცვლეობის შესახებ (უწყის II იცის) იხ. ქვემოთ.

აღსანიშნავია, რომ უწყის-რიგის მაგალითები იშვიათია. ისიც იქცევს ყურადღებას, რომ ნამყო უსრულსა და კავშირებითს პირველში **უწყის-**ზმნა არც თუ ხშირია (შედარებით **იცის-**ზმნის ფორმებთან). ნამყო უსრულსა და კავშირებითს პირველში რომ ობიექტის მრავლობითობა აისახებოდეს, ასეთი მაგალითები ჩვენს განკარგულებაში არაა: თეორიულად მოსალოდნელი უწყნოდა (შდრ. იცნოდა), უწყნოდეს (შდრ. იცნოდეს) არა გვაქვს. საამისო შემთხვევაში **იცო-**ზმნის ფორმებს გვხვდებით. უწყნოდა და მსგავს ფორმათა უქონლობა, ალბათ, იმას მიეწერება, რომ **უწყის-**ზმნა არქაულია ძველი სალიტერატურო ქართულისათვის (იხ. ქვემოთ) და ყველა შესაძლო ფორმა ამიტომ არ ეწარმოება (და არა იმიტომ, რომ მრავლ. ობიექტის აღნიშვნის ნორმები ამ ზმნაში სხვაა).

ძველს ქართულში უწყის ზმნას ობიექტი მესამე პირში დაესმის: უწყის იგი; მეორე და პირველი პირის ობიექტი (*გიწყის, *მიწყის) არსად ჩანს (შდრ. მიცი, გიცი — იხ. ქვემოთ).

§ 12. იცის, როგორც ხოლმეობითი (= აწყო) ძველ ქართულში. იცის მან იგი:

იცის-ზმნა, პირველ ყოვლისა, იმავე ფორმებითაა ცნობილი ძველს ქართულში, რომლებიც ახალ ქართულშიც იხმარება:

იცის, იცი, ვიცი — იციან, იციო, ვიციო

იცოდა, იცოდი, ვიცოდი — იცოდეს, იცოდით, ვიცოდით

იცოდეს, იცოდე, ვიცოდე — იცოდენ, იცოდეთ, ვიცოდეთ

...ვინ იცის ამისა შეიკდიმონ... ჰადიშ. 146 b₂ ლკ 20₁₃.

...კაცნი ზ^ა ვლენ და არა იციან... ჰადიშ. 129 a₂ ლკ 11₁₄.

...არავე იციოთ იგავი ესე... ჰადიშ. 71 a₁ მკ 4₁₃.

...სცთებით და არა იციოთ წიგნი... ჰადიშ. 48 a₂ მთ 22₂₉.

...არა ვიცი კაცი იგი... ჰადიშ. 60 b₁ მთ 26₇₂.

...და არა იცოდის თქუმული იგი... ჰადიშ. 144 a₁ ლკ 18₃₄.

...რ^ნ არა იცოდის... ჰადიშ. 138 a₁ ლკ 12₄₈.

ამგვარ მაგალითებზე შეჩერება საჭირო არაა.

მრავლობითში დასმული ობიექტი **იცის-ზმნაში** წარმოდგენილია ჩვეულებრივი წესისამებრ:

იცი იგი — იცნი იგინი:

...მცნებანი იცნი ნუ იმრუმებ ნუ კაც ჰკლავ... ჰადიმ. 143 a₂ ლკ 18₂₀.

...მცნებანი იცნი ნუ კაც ჰკლავ ნუ იპარავ ნუ ცილსა ჰსწამებ...
ჯრ.-პარხ. მკ 10₁₈.

იცოდა იგი — იცნოდა იგინი:

...ხ^ნ ი^წ იცნოდა გულის ზრახვანი მათნი... ჰადიმ. 124 a₂ ლკ 9₄₇.

...ხ^ნ თავადმან იცნოდა ზრახვანი მათნი... ჰადიმ. 128 a₁ ლკ 11₁₇,
ჰადიმ. 114 a₂ — b₁ ლკ 6₈.

უწყის-ზმნასაც შეეძლო აღენიშნა **მესამე პირის ობიექტის** მრავლობითობა (უწყის მან იგინი); ამ მხრივ არსებითი სხვაობა **უწყის** და **იცის-ზმნებს** შორის არაა; მაგრამ **უწყის** არ იძლევა **ობიექტის მეორე და პირველი** პირის ფორმებს, **იცის-ზმნისაგან** ასეთი ფორმებიც იწარმოება:

მიციოთ თქუენ მე: ...ჰრქუა მათ არცა მე მიციოთ არცა მამად ჩემი...
ჰადიმ. 172 a₂, ინ 8₁₉.

გიციოთ შენ ჩუენ: ...გიციოთ შენ ვინ ხარ წმიდად ეგე ღ^{ნი}... ჰადიმ.
111 a₂ ლკ 4₃₄.

გიცნი თქუენ მე: ...გრქუას თქ^ნ არა გიცნი თქ^ნ ვინანი ხართ...
ჰადიმ. 134 a₁ ლკ 13₂₅.

...მართლიად გეტყუ თქუენ არა გიცნი თქუენ... ჰადიმ. 54 a₂ მთ 25₁₂.

...არა თქ^ნ ყლ^ნთათჳ ვიტყჳ რ^ნ მე გიცნი რ^ლნი ეგე გამოგირჩიენ...
ჰადიმ. 183 b₂ ინ 13₁₈.

გიცნოდე თქუენ მე: ...არა გიცნოდენ(!) თქ^ნ განმეშორენით ჩემგან
ყ^ლნი მოქმედნი უსჯულოებისანი... ჰადიმ. 15 b₁ მთ 7₂₃.

შდრ. ტბეთ.-ობიზ.:

...არა გიცნნი(!) თქუენ განმეშორვენით ჩემ გან... მთ 7₂₃.

ვიცოდე:

...და მე არა ვიცოდე იგი ა^ნდ რ^ნ მომავლინა მე ნათლისცემად...
ჰადიმ. 158 a₁ ინ 1₃₃.

შდრ. **მიცოდეთ:**

...და თუმცა მე მიცოდეთ იცოდეთცა მამადცა ჩემი... ჰადიმ. 185
a₁ ინ 14₆.

...უკეთუმცა მე მიცოდეთ ვინ უწყის მამადცამცა ჩემი იცოდეთ...
ჰადიმ. 172 a₂ ინ 8₁₉.

§ 13. უწყის და იცის ზმნათა ისტორიული ურთიერთობისათვის ძველ ქართულში.

უწყის და **იცის** სინონიმებია:

...ჰრქუა მას არცა **ვიცი** და არცა **უწყი** რასა ეგე შენ იტყუ... ჰადიმ. 98 ხ₁ მკ 14₆₈.

ობიზა-ტბეთ.: და თქუა არა **ვიცი** და არცა **ვუწყი** რასა ეგე შენ იტყუ... მკ 14₆₈.

მათი შესატყვისებია:

ძვ. სომხურში: *იչ ճանաչեմ և იչ գիտեմ...*

ბერძნულში: *οὐτε οἶδα οὐδὲ εἶπτεμαί...*

ლათინურში: *non novi, neque scio...*

ძვ. სლავურში: *не вѣмъ, ниже знаю...*

ქართული სალიტერატურო ენის ისტორიაში ეს სიტყვები სხვადასხვა დიალექტური წრის შემონატანი უნდა იყოს, მასთან სხვადასხვა დროს: **უწყის** უფრო ძველია, **იცის** — შედარებით ახალი: ჰადიმის (შატბერდის) ოთხთავის, ობიზა-ტბეთის ოთხთავის გამოცემული ნაწილისა და ნაბეჭდი ოთხთავის ტექსტთა შედარება ცხადჰყოფს, რომ რიგს შემთხვევაში ჰადიმის ოთხთავში **უწყის** იხმარება, ობიზა-ტბეთისაში და ნაბეჭდში კი **იცის** ზის იმავე ადგილას, ანდა ორივეში **უწყის** იკითხება, ნაბეჭდი ტექსტი კი უპირატესობას აძლევს **იცის**-ზმნას.

ჰადიმის ოთხთავში **უწყის** გვაქვს } მკ 13_{32, 33}; მკ 10₃₈; მთ 20₂₂; ლკ 16₁₅;
ჯრუჭ-პარხლისაში (ნაბეჭდშიც) **იცის** } მკ 12₁₄; 12₁₅.

საწინააღმდეგო შემთხვევა თითქმის არ არის (სულ ერთი მაგალითი შეგვხვდა, მაგრამ ესეც იმის მაჩვენებელია, რომ მერმინდელმა შემთხვევით ძველი დაიცვა, ადრე გადაწერილში უწყის შეცვლილ იქნა იცის-ზმნით).

ჩვენ რომ ჰადიმის ოთხთავი იმ სახით შემოგვრჩენოდა, რაც მას გადაწერამდის ჰქონდა, ეჭვი არაა ქართული ენის უძველესი ისტორიის ძვირფასი დოკუმენტი გვექნებოდა ხელთ: გადაწერისას, ჩანს, არა ერთი სრულიად ახალი მოვლენა შეეძინა ხელნაწერს ცოცხალი მეტყველებიდან...

უწყის-ზმნა უფრო ძველია (იცის-ზმნასთან შედარებით), მასთან არა მხოლოდ სალიტერატურო ენის ისტორიის თვალსაზრისით: შესაძლოა გამოცემულ **უწყის**-ზმნის სიძველე ზეპირი მეტყველების თვალსაზრისიაც; ამის უფლებას გვაძლევს ზმნის ფუძის აგებულება, მაგრამ ამაზე აქ ვერ

შევჩერდებით; ვიტყვით მხოლოდ. ეს ზმნები (**უწყის**, **იცის** მან იგი) ისეთი სიძველისაა და უღვლილების ისტორიის თვალსაზრისით იმდენად მნიშვნელოვანია მათი ჩვენება, რომ **მონოგრაფიული შესწავლის** ღირსია — მათი ფორმები, მათი ფუნქცია, მათი გამოყენება (სინონიმებად)¹.

§ 14. ჰრქჷან, როგორც ხოლმეობითი (= აწმყო) ძველს ქართულში.

ჰრქჷან სამპირიანი ზმნაა ძველ ქართულში: **ჰრქჷან** 'მათ' იგი მას:

მე ვარქჷ II ეჰრქჷ მას იგი ჩუენ ვარქჷთ II ვჰრქჷთ მას იგი...

შენ არქჷ II ჰრქჷ „ „ თქუენ არქჷთ II ჰრქჷთ „ „

მან ჰრქჷს „ „ მათ ჰრქჷან „ „

რ⁷ მეცა კაცი ვარ ველმწიფეებასა ქუემე განწესებული და მქონან ჩემს ქუემე ერისა კაცნი. და **ვჰრქუ** (= ვჰრქჷ) მას წარვედ და წარვიდის და სხუასა **ვჰრქუ** (= ვჰრქჷ) მოვედ და მოვიდის და მონასა ჩემსა 'ვჰრქჷ' ყავ ესე და ყვის... ჰადიშ. 116 b₁ ლკ 7გ; იხ. აგრეთვე მთ 89 (შესაბამისი ადგილი).

ვჰრქჷ აქ არაა „ვუთხარი“, არამედ „ვეუბნები ხოლმე“ (говорю, скажу, бывало);

ძვ. სომხურში შესაბამის ადგილას აწმყო: **ხ ს ა ხ მ ა მ ა ხ რ ქ ს ხ რ ქ ა ყ...**²

ბერძნულშიც: **λ έ γ ω τ ο ύ τ α πο ρ ε ύ θ η τ ι και πο ρ ε ύ ε τ α ι...**¹

ლათინურშიც: **et — d i c o huic vade et vadet...**¹

ძვ. სლავურში: **и глаголю сему иди и и деть...**¹

ამგვარად, **ვჰრქჷ** ანალოგონია ვთქჷ-სა: **ვჰრქჷ** — „ვეუბნები“ (ძვ. ქართ. ვეტყვ), **ვთქჷ** — ვამბობ (ძვ. ქართ. ვიტყვ...).

ვჰრქჷ = ვეტყვი, ჰრქჷან = ეტყვან (ეძახიან, უწოდებენ):

...იყო სოფელი ერთი დიდი თავსა ზედა: დიდისა მის მდინარისასა: რომელსა **ჰრქჷან** მტკუარი. ვეგსა რომელსა **ჰრქჷან** კოლაჲ... წამებ. კოლა-ელთა, — Н. Марр: *Тексты и разыскания по армяно-грузин. филол., кн. V, (1903), გვ. 55.*

...ადვიდოდა ადგილსა მას რ⁷ლსა **ჰრქუან** (= ჰრქჷან) თხემ... ჰადიშ. 7 b₁ ინ 19₁₇.

¹ ჩვენ აქ მხოლოდ იმდენად ვეხებით ამ ზმნათა უღვლილების ფაქტებს, რამდენადაც ამას ჩვენი თემა მოითხოვს.

² მეორევერ „ვჰრქჷ“ აქ გამეორებული არაა: პირველი შემასმენელია საზიარო.

...და მოვიდა... ქალაქსა მას რ^ლსა **ჰრქვან**: ნაზარეთ... ჰადიმ. 7 b₂ მთ 2₂₃.

...არა ესე არს ხუროდსად იგი ძმ არა დედასა მისსა მარიამ **ჰრქვან** და ძმათა მისთა იაკობ და იოსებ... ჰადიმ. 30 a₁ მთ 13₅₅.

...და ჯდა იგი ადგილსა მას. რომელსა **ჰრქვან** უძღბირი... წარტყ. იგ¹⁴.

...მაშინ განვიდა ნეტარი ესე მწყემსი ერთ-ერთ ბჰესა მას. რომელსა **ჰრქვან** პროპატიკისად... იქვე კ^ზ5.

პირველი პირის ობიექტით იგივე ზმნა ასეთ სახეს იღებს:

და ჰრქუა რად **მრქუან** (= მრქვან) მე კაცთა: ვ^დ ვინ ვარ მე...

ჰადიმ. 35 a₂ მთ 16₁₂ ...მდრ. **ობიზა-ტბეთ.**: და ჰრქუა რად **თქვან** ჩემთს... მთ 16₁₂; ასევეა ჯრუჰ-პარხლის ტექსტშიც.

ჰკითხვიდა მოწაფეთა თვსთა და ჰრქუა რად **მრქუან** (= **მრქვან**) მე კაცთა: ვ^დ ვინ ვარ მე ძე კაცისად: ხ^ნ მათ **თქნ**: რ^ლთამე **თქუან** (= **თქვან**): იოვანე ნათლისმცემელი რ^ლთამე ჭელია და რ^ლთამე იერემია... მან ჰრქუა მათ თქ^ნ რად **თქვთ** ვ^დ ვინ ვარ მე: მიუგო სიმონ პეტრე და ჰრქუა... ჰადიმ. 35 a₂ მთ 16₁₃.

საინტერესოა, რომ აქაც ობიზა-ტბეთის ოთხთავი **მ-** ობიექტიანი ფორმის — მრქვან — ნაცვლად კვლავ **თქვან** ზმნას ანიჭებს უპირატესობას:

...რად **თქვან** ჩემთს... ობიზა-ტბეთ. მთ 16₁₃.

რად **მრქვან** = რას მეტყვან („რას მეძახიან“, „რას მიწოდებენ“, „რას მარქმევენ“);

რად **თქვან ჩემთს**... = რას იტყვან ჩემთს („რას ამბობენ“, „რა სახელს მდებენ“)...

მრქვან ზმნა იშვიათია, ჰრქვან — ძალზე ხშირი. უკვე ძველს ქართულში ამ ზმნასთან გაუფერულდა და დაიკარგა **RS მათ**:

მათ ჰრქვან **მას სახელი** (|| მტკუარი) → ჰრქვან **მას სახელი** (|| მტკუარი)... ზმნა ისევ სამპირიანი დარჩა: მისი ვნებითი **ერქვა** || **ერქუმის** ორპირიანია:

და იყო ილ^მს ცხოვართ საბანელსა მას რ^ლსა **ერქუმის** ჰებრავლებრ ბეთის... ჰადიმ. 164 b₁ ინ 5₂.

ვ^ა მიეახლნეს ადგილსა მას რ^ლ... **ერქუმის** თხემ და მუნ ჯუარს აცუეს იგი... ჰადიმ. 153 b₁ ლკ 23₃₃.

რაც შეეხება ფუნქციას, იგი **თქვს**-ზმნისას მოგვაგონებს, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ მას არა თუ ჰქონდა „ზოგადი აწმყოს“ მნიშვნელობა, არამედ ეს მნიშვნელობა შეინარჩუნა კიდევც (მაშინ, როდესაც **თქვს**-ზმნაზე მას ვერ ვიტყვით — იხ. ზემოთ).

§ 15. ჰრქჳს, იცის, უწყის-ზმნები და ხოლმეობითის ისტორია.

ჰრქჳს ხოლმეობითია, მას შეესაბამება **ჰრქჳა** — ნამყო ძირითადი, **ჰრქჳას** — კავშირებითი მეორე. წარმოების მიხედვით სამივე ნაკვთი ნამყო ძირითადის წყებას განეკუთვნება. რაც შეეხება მნიშვნელობას, ძველი მნიშვნელობა შეინარჩუნა მრავლობითის მესამე პირმა: **ჰრქჳან** → ჰქვია(ნ) აწმყოდ დარჩა. აღსანიშნავია, რომ ეს მესამე პირი მოწყდა სხვა პირებს: **გჰრქჳ** II **ვარქვი** აწმყოს მნიშვნელობით ქართულ სალიტერატურო ენას არ დაუცავს (აწმყოში იმავე ძირისა ვარქმევ გვექნება).

იცის-ზმნას თავისი ნამყო ძირითადი არა აქვს. ნამყო ძირითადი უნდა ყოფილიყო გ-ც-ან, ს-ც-ან, ც-ნ-ა, მაგრა **იცის** და **ცნა** ზმნათა კავშირი საგრძნობი არაა; მიზეზი, ალბათ, ისიცაა, რომ **იცის** განეკუთვნა აწმყოს, **ცნა** — მოექცა ნაკვთთა მეორე წყებაში და საკუთარი ხოლმეობითიც გაიჩინა: ცნ-ი-ს.

იცის-ზმნისაგან იწარმოება ნამყო უსრული (იცოდა) და კავშირებითი პირველი (იცოდეს), ასევე — უწყის-ზმნისაგანაც: უწყოდა, უწყოდეს. არა ჩანს, ოღონდ, ნამყო ძირითადი; არცა აქვს და არც უნდა ქონოდა. ამ მხრივ **უწყის** ზმნის ჩვენება ძალიან საყურადღებო უნდა იყოს. გარდამავალი ზმნის პირველი ნაკვთი მართოდენ ხოლმეობითი შეიძლება ყოფილიყო: **ხოლმეობითი ყველაზე ძველი ზმნური წარმონაქმნი უნდა იყოს**. ყოველ შემთხვევაში, გარდამავალ ზმნებთან (გარდაუვალ ზმნებთან — იხ. § 23 — ასეთივე ადგილი უჭირავს აწმყოს, ეს აწმყო იგივე ხოლმეობითია — იხ. § 6).

რიგ ზმნასთან ხოლმეობითს აღმოაჩნდა აწმყოს ფუნქცია. რიგმა ზმნამ ხოლმეობითისაგან აწარმოა ნამყო უსრული (არქაული ნამყო უსრული) და ნამყო უსრულში მოგვცა ერგატიული კონსტრუქცია.

იცის, უწყის ზმნებთან კი სამივე ეს თვისება მოგვეპოვება: **ორივე ზმნამ შეინარჩუნა აწმყოს მნიშვნელობა, შეინარჩუნა არქაული ნამყო უსრულის** (და კავშირებითი პირველის) წარმოება, **შეინარჩუნა ერგატიული კონსტრუქცია**. ერთი სიტყვით, ამ ზმნებთან **შემოგვრჩა ძველი მნიშვნელობა, ძველი წარმოებაც** (არქაული ნამყო უსრული) და ძველი **სინტაქსური კონსტრუქციაც** (ნაკვთთა პირველ წყებაში)¹.

¹ შდრ. აკ. შანიძე: იცის, უწყის, ჰრქჳან „თუმცა მრავალგზით ნამყოში იხმარება, მაგრამ მნიშვნელობა აწმყოსი მიიღო...“ (ხაზი ჩვენია — ა. ჩ.)... „რომ იცის და უწყის ნამყო მრავალგზითია, ამას გვიჩვენებს მათი სინტაქსური ძალა: კაცმან იცის, ღმერთმან უწყის და სხვ.“ — იხ. „სუბ. პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტ. პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში“ (1920), გვ. 6, შენიშვნა 2.

ეს ზმნები **არქაული ვითარების ნამდვილ ნაკრძალად** გვევლინება.

საინტერესოა ერთი რამ: არქაული ვითარება **იცის, უწყის**-ზმნებთან დასტურდება, ვთქვათ, არა უძველეს ძეგლებში, არამედ დღესაც, მეოცე საუკუნის ქართულში, მასთან სალიტერატურო ქართულშიცა და ცოცხალს კილოებშიც: ბავშვმა იცის წერა-კითხვა (არავინ იტყვის: ბავშვი იცის წერა-კითხვა..., თუმცა სხვა გარდამავალი ზმნები აწმყოში სწორედ სახელობითს მოითხოვენ: ბავშვი წერს და არა. ბავშვმა წერს).

§ 16. ხოლმეობითი და აწმყო მკის-ტიბის ზმნებში. მხედველობაში გვაქვს ზმნების ერთი ჯგუფი, რომელთაც აწმყოში **-ი** სუფიქსი მოუღის (ფუძის საწარმოებლად):

მკ-ი-ს, ვრწნ-ი-ს, ყიდ-ი-ს, ვსნ-ი-ს, რყუნ-ი-ს, ცვლ-ი-ს, ზრდ-ი-ს, სჯ-ი-ს... (მოგვეყავს უბრეფიქსოდ).

ამათგან ნაწილს **აწმყო და ხოლმეობითი გარჩეული აქვს**, ნაწილს **აწმყო და ხოლმეობითი საზიარო აქვს**.

აწმყო და ხოლმეობითი **გარჩეულია**:

ხოლმეობითი: ზარდ-ი-ს, საჯ-ი-ს, ცვალ-ი-ს, განჰჰად-ი-ს¹ — მან იგი აწმყო: ჰზრდ-ი-ს, ჰსჯ-ი-ს, სცვლ-ი-ს, განჰჰდ-ი-ს — იგი მას.

როგორც ამ მაგალითებიდან ჩანს, განსხვავებას ქმნის ფუძის კუმშვა: **ხოლმეობითს შეუკუმშავი ფუძე აქვს** (ისევე, როგორც ნამყო ძირითადს: შდრ. ნ. ძირით.: მან იგი ზარდა, საჯა, ცვალა, განჰჰადა... — მან იგი ზარდის, საჯის, ცვალის, განჰჰადის...), აწმყოში ფუძე შეკუმშულია, ფუძისეული **ა** გამქრალია (იგი მას ჰზრდის, ჰსჯის, ჰსცვლის, განჰჰდის). მიზეზია **-ი**-სუფიქსი; იგი ხოლმეობითშიც არის და აწმყოშიც, მაგრამ ხოლმეობითში ფუძისეული ხმოვნის რედუქციას არ იწვევს, აწმყოში ფუძისეულ ხმოვანს კარგავს.

აწმყო და ხოლმეობითი **გარჩეული არაა**:

ხოლმეობითი: მო-მკ-ი-ს, გან-ვსნ-ი-ს, გან-ყიდ-ი-ს, გან-რყუნ-ი-ს, გან-ვრწნ-ი-ს — **მან იგი**.

აწმყო: ჰ-მკ-ი-ს, ჰ-ვსნ-ი-ს, ჰ-ყიდ-ი-ს, ჰ-რყუნ-ი-ს, ჰ-ვრწნ-ი-ს — **იგი მას**.

არ უნდა ვიფიქროთ, თითქოს პრევერბის მქონებლობა-უქონლობა განმასხვავებელ საშუალებად გამოდგებოდეს — (ხოლმეობითში გვქონდეს, აწმყოში — არა): ძველს ქართულში პრევერბიანი აწმყო ჩვეულებრივია.

¹ განჰჰადის მან იგი მას — ვნებ.: განეჰადა იგი მას.

ამრიგად, ხსენებულ ზმნებში აწმყო და ხოლმეობითი საზიარო ნაკვეთითაა წარმოდგენილი, განსხვავებას სინტაქსური კონსტრუქცია ქმნის; ობიექტის ნიშნის ხმარება-უხმარებლობაც სინტაქსური კონსტრუქციის სხვაობას ასახავს: **ჯსნის მან იგი — ჰჯსნის იგი მას...**

როგორ უნდა აიხსნას ეს მოვლენა: აწმყო და ხოლმეობითი განსხვავებული იყო და მერე დაემთხვა ერთერთს თუ პირუკუ?

იმის მიხედვით, რაც გაირკვა ხოლმეობითის შესახებ, დასკვნა ერთი-და შეიძლება იყოს: სინტაქსური კონსტრუქციის სხვაობა აქ მეორეულია; განსხვავებას ადგილი დაუტრია მას შემდეგ, რაც სხვა ტიპის ზმნებში გაირჩა აწმყო და ხოლმეობითი (პოვის, აკეთის — პოვებს, აკეთებს), მოხდა დიფერენციაცია გარდამავალი ზმნების პირველი და მეორე წყების ფუძეებში (ნაკვეთებში) და ამ რიგის ზმნებში ახალი, ნომინატიური კონსტრუქცია დაუპირისპირდა ერგატიულ კონსტრუქციას.

მაშასადამე, **მკის, ჯსნის, ყიდის** ისტორიულად ხოლმეობითია, ჩვეულებრივი ხოლმეობითი (მკის, ჯსნის, განყიდის — **მან იგი**). ძველ ქართულშივე ეს ნაკვეთი საზიარო ხდება აწმყოსა და ხოლმეობითისათვის (მკის **მან იგი** — ჰმკის **იგი მას**). ახალ ქართულ სალიტერატურო მეტყველებაში ხოლმეობითი არა გვაქვს, და ხოლმეობითისეული მკის, ჯსნის... მხოლოდ აწმყოდ წარმოგვიდგება: მას მოზიარე აღარ ყავს.

ამრიგად: მკის, ჯსნის, ყიდის... ზმნები ძვ. ქართულში ისტორიულად ხოლმეობითია, მათი ფუძის საწარმოებელი -**ი**- ხოლმეობითის -**ი**- სუფიქსია.

უფრო რთული ვითარება გვაქვს -**ი**- სუფიქსიან ზმნათა მეორე წყებაში: ზარდ-ი-ს — ჰზარდ-ი-ს ტიპის ზმნებში. სუფიქსისეული -**ი**-ს იდენტიფიკაცია აწმყოსა და ხოლმეობითში გაძნელებულია იმით, რომ ეს -**ი**- ერთს შემთხვევაში იწვევს ფუძის შეკუმშვას (აწმყო: ჰზარდის), მეორეში — არა (ხოლმეობითი: ზარდის)...

ასეთი მდგომარეობა ძველად არ უნდა გვქონოდა: ზარდის-ტიპის ზმნებში ხოლმეობითი და აწმყო გარჩეული არ უნდა ყოფილიყო ისევე, როგორც არ იყო გარჩეული მკის, ჯსნის-ტიპის ზმნებში: **აწმყო-ხოლმეობითის დიფერენციაცია აქ მეორეულია**. შეკუმშულ და შეუკუმშავ ფუძეთა გარჩევა სადიფერენციაციოდ შემდგომში გამხდარა. თავდაპირველად **ორი პარალელური ვარიანტი** უნდა გვქონოდა: **შეუკუმშველი** — ერთი რიგის კილოებში და **შეკუმშული** — სხვა დიალექტებში: როცა აწმყო, როგორც გარკვეული ნაკვეთი, ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული, ეს პარალელური ვარიანტები ხოლმეობითში გვქონდა (და ხოლმეობითი ეწეოდა

აწმყოს მაგივრობას): **ზარდის მან იგი || ზრდის მან იგი** — ორივე **ხოლ-მეობითი** იყო სხვადასხვა დიალექტისთვის. ძველი ქართულიდან ცნობილი ვითარება პარალელური ვარიანტების შეხამების შედეგია (აწმ.: **ჰზრდის** — ხოლმეობ.: **ზარდის**).

საგულისხმოა, რომ აწმყოს განეკუთვნა შეკუმშული ვარიანტი; ხოლმეობითისთვის კი შეუკუმშავი ფუძე გამოიყენეს: ამაში უნდა ჩანდეს წიგნის მეტყველებასთან უფრო ძველი და მჭიდრო კავშირი ფუძე-კუმშვადი კილოსი (კილოებისა)...

რა უფლება გვაქვს ვიფიქროთ, რომ შეუკუმშავი ფუძე (ზარდის, განჯადის, საჯის...) აწმყოს წყებაში შეიძლებოდა არსებულიყო?

ძველ ქართულს შემოუნახავს რამდენიმე შემთხვევა, სადაც აწმყო შეუკუმშავ ფუძეს იყენებს, ე. ი. პირველი და მეორე წყების ნაკვთა ფუძეებს ფუძისეული **ხმოვნის ამოღება არ განასხვავებს**:

გამოიცადებიან = გამოიცილები (ახ. ქართ. გამოიცილება).

...ოქროდ იგი რავდენცა **გამოიცადებიან** უწმიდეს იპოვებინ... ბოლნ. 64₃ ქვ.

...და ორმეოც დღე **გამოიცადებოდა** ეშმაკისაგან... ჰადიშ. 109 b₂, ლკ 4₂.

...ვინაფთვან თვთ თავადმან ივნე და გამოიციადე. ძალ გიც მათდაცა შეწევნად რომელნი იგი **გამოიცადებოდიან** მახეთაგან და საცთურთა მტერისათა... ხანძთ. ომ₂ ქვ.

...უდაბნოსა ზა ეშმაკისაგან **განიცადებოდა**... ბოლნ. 16₂.

გამოითარგმანების = გამოითარგმნების (ახ. ქარ. გამოითარგმნება):

...პანდოქიონი **გამოითარგმანების** შემწყნარებელი ყლთად... ბოლნ. 64₈.

...რლსა აწ ეწოდების კურიკჷ რი **გამოითარგმანების** საუფლოდ... ბოლნ. 79₆.

...რაბი რლ **გამოითარგმანების** მოძლუარ... ჰად. 158 a₂ ინ 1₃₈.

...არს მვეცი რლსა სახელი ჰრქჷან იქნამონ. რი **ითარგმანების** ვიკტოლ... სახისმეტყ. 37₃.

შდრ. ...ბერძნულითა ენითა გიორგი მუშაკად გამოითარგმნების... ათონ. 286₄ ქვ.

იცვალების = იცვლების (ახ. ქართ. იცვლება):

...ბილწი მვეცი არს რ **იცვალების**... სახისმეტყ. 35₁₆ ქვ.

იზარდებოდა (აწმ. იზარდების) = იზრდებოდა:

...ხოლო ასაკისა ხილვითა ჩნდა მრთელად და **იზარდებოდა** ვითარცა სხუად ყრმაჲ... ხანძთ. ნა2.

..ტრაპეზისაგან რ^ლ ნეშტი დაუშთებოდის, მით **ვიზარდებოდი**... კიმ. 1634.

ველითა შურებოდა და მით **იზარდებოდა** და ყ^ლგან ვილოდა... კიმ. 169₃₄.

...რომელნი იგი **იზარდებოდეს**... მწუანვილითა და ხილითა... ხანძთ. ვ1 ქვ.

...და მარხვათა შინა **იზარდებოდა** მსგავსად წინამორბედისა... ხანძთ. გ2.

...და **იზარდებოდეთ** საზრდელითა ზეცით მოცემულითა... სასულ. რკევ.

შდრ. ნ. ძირით.: ვითარ აღ იზარდნეს ყრმანი იგი... წარტყ. მბ16.

...მონასტერსა არა დაიმჭირნის... გარე სოფელთა გაგზავნის... და მუნ აღ იზარდნიან... ათონ. 48₁₁ ქვ.

ახ. ქართულისათვის დამახასიათებელ შეკუმშულ ფუძეს გამოგვივლენს შემდეგი მაგალითები:

...და იზრდებოდა ჯორციელისა თანა ჰასაკისა სულიერიითაცა ჰასაკითა... ათონ. 287₁.

...სადა იგი ყოველი ხუასტავი ეკლესიისა უხუცბით გამოიზრდების... ათონ. 302₁₂ ქვ.

ილუაწიდის (აწმყო **ილუაწის!**) — ნაცვლად ჩვეულებრივი წარმოებისა **ილუაწის**:

...და კუალად ლიტონთა დღეთა თავისთჳს **ილუაწიდიან**..., ხოლო დღესასწაულთა ერთგან... აღასრულიან წესი ლოცვისაი... ათონ. 53₆.

შდრ. ...და ესრჳთ **ილუაწიდა** სიჭაბუკესა თჳსსა... კიმ. I, 16₃.

...ა^ლ **ილუაწიდა** ლოცვითა... კიმ. I, 16₃₄.

ილუაწიდის ნამყ. უსრულია და ნაწარმოებია ილუაწის-ისაგან: თუ **ილუაწის** აწმყოს როლს ასრულებს, იგი ხოლმეობითს დაემთხვევა (მან ილუაწა, ილუაწის), განსხვავება სინტაქსურ კონსტრუქციაშილა იქმნება. **ილუაწის**, მაშასადამე, ვსნის-ტიბისა გამოდის.

გამოიცადების, გამოითარგმანების, იცვალების, იზარდების ყველა ვნებითა, და, თუმცა ფუძე შეუკუმშავია, მაინც პირველი და მეორე წყეების ნაკვთები ერთმანეთს არ ემთხვევა; **-ებ-** სუფიქსი ქმნის განსხვავებას.

ხოლმ.: იგი გამოიცად-ი-ს, გამოითარგმან-ი-ს, იცვალ-ი-ს, იზარდ-ი-ს...

აწმყო: იგი გამოიცად-ებ-ი-ს, გამოითარგმან-ებ-ი-ს, იცვალ-ებ-ი-ს, იზარდ-ებ-ი-ს... მოქმედებითი გვარის შეუკუმშავი ფუძე აწმყოში ხოლმეობითისას გაიმეორებდა:

ხოლმ: მან იგი გამოცად-ი-ს, გამოთარგმან-ი-ს, ცვალ-ი-ს, ზარდ-ი-ს...

აწმყო: იგი მას *გამოსცად-ი-ს, *გამოსთარგმან-ი-ს¹, *სცვალ-ი-ს, *ჰზარდ-ი-ს...

მაგრამ მოქმედებითი გვარის აწმყო — უკუმშველი — არ შემოგვრჩენია; რომ ასეთი აწმყო უნდა გვქონოდა, ეჭვი არაა: ვნებითი მოქმედებითისაგანაა ნაწარმოები, თუ **ვნებითში გვაქვს შეუკუმშავი ფუძე (იცვალელების... გამოიცადების)... სწორედ იმიტომ, რომ ასეთ ფუძეს მოქმედებითი იყენებდა.**

ბუნებრივია ვიკითხოთ: იმიტომ ხომ არ შემოგვენახა ამ ზმნებთან შეუკუმშავი ფუძე ვნებითში, რომ აწმყოს ფუძეს ნამ. ძირითადის ფუძისაგან -ებ- სუფიქსი განასხვავებდა? და პირუკუ: შეკუმშულ ფუძეს (ზ რ დ ის) მოქმედებითი გვარის აწმყო იმიტომ იყენებს, რომ განასხვავოს იგი ნამყო ძირითადის ფუძისაგან (**ზარდა**)? ამრიგად კვლავ მივდივართ აწმყოს ფუძის დიფერენციაციის საკითხთან... ეს ცალკე საკითხია.

ძველი ქართულის ზემოთ მოყვანილი მაგალითები საკმაო საბუთია იმისათვის, რომ **შეუკუმშავი ფუძის რეალურობა** გარდამავალი ზმნის აწმყოს წყებაში **ვიგარძნოთ**: ასეთი ფუძეების არსებობა ვარაუდი კი არაა, ფაქტია. მაშასადამე: აწმყოში **ჰზარდის** (იგი მას) ისევე შეიძლებოდა გვქონოდა, როგორც ნამყო ძირითადში — **ზარდა** (მან იგი) და ხოლმეობითში — **ზარდის** (მან იგი).

§ 17. ხოლმეობითი, როგორც მოქმედების განგრძობითი ასპექტი (და არა დრო). ხოლმეობითის ფუნქციათა შესახებ ერთგვარი მასალა გავითვალისწინეთ.

ბუნებრივია ვიკითხოთ: რა **დროა** ეს **ხოლმეობითი, რომელსაც ასეთი ნაირ-ნაირი ფუნქციები აღმოაჩნდა?**

ფუძის აგებულების მიხედვით ხოლმეობითი ნამყო ძირითადის წყებას ეკუთვნის. **ფუნქციით** — აწმყოს მაგვირობასაც ეწვევა და ნამყო უსრულისასაც, კავშირებითის ნაცვალიცაა (ბრძანებითის გადმოსაცემადაც გამოიყენება).

¹ ამ ზმნას ახ. ქართულში შეკუმშული ფუძე აქვს ნაკვთაა ორსავე ჯგუფში: იგი თარგმნის — მან თარგმნა (მან თარგმნის)...

ეს შესაძლებელია იმიტომ, რომ ხოლმეობითი **არაა დრო, არამედ ასპექტი**. ხოლმეობითი იმას კი არ აღნიშნავს, როდის მიმდინარეობდა ესა თუ ის პროცესი — მის შესახებ ლაპარაკის **დროს**, ლაპარაკზე **ადრე** თუ **შემდეგ** —, არა, იგი მიუთითებს, როგორ **მიმდინარეობს** ეს პროცესი, რა **სახისაა** იგი. **პროცესის განგრძობილობა** — აი რის ჩვენებაა ხოლმეობითის ამოსავალი ფუნქცია.

ზევით საკმაო მაგალითი იყო დასახელებული იმის საჩვენებლად, რომ ხოლმეობითი ბუნებრივად ეწყობა ნამყო უსრულსაც და აწყმოსაც, მეტადრე **-ნ II -ედ** სუფიქსებიან აწყმოს, ე. წ. აწყმო ხოლმეობითს, ზუსტად რომ ითქვას „ზოგად აწყმოს“...

ხოლმეობითი იმ დროინდელი წარმონაქმნია, როდესაც ზმნის უღვლილება **დროთა** მიხედვით ცვლას არ გულისხმობდა, უღვლილება ასპექტების ანუ პროცესის სახეობათა აღნიშვნაში მდგომარეობდა.

ამდენადვე ხოლმეობითი ქართული ზმნის უღვლილების ძველი მონაცემია¹.

ასპექტის ანუ სახეობის კატეგორია დროის კატეგორიას წინ უსწრებს არა მხოლოდ ქართულ ენაში. დებულებას ძალა აქვს ინდო-ევროპულ ენათა მიმართაც². ამავე დასკვნის გაკეთება შესაძლებლად მიაჩნიათ სემიტურ ენათა შესახებაც. ხსენებული დებულების სისწორე დასტურდება იბერიულ-კავკასიურ ენათა ისტორიითაც; ამდენად ეს დებულება, შეიძლება ითქვას, ზოგადი ენათმეცნიერების ცნობილი დებულებაა.

ხოლმეობითი ძველი ქართულისა ასპექტის კატეგორიის მკვეთრად გამოხატული ნიმუშია. ხოლმეობითი მოქმედების **განგრძობითს, დიურატიულ სახეს (ასპექტს)** იძლევა. ამიტომაც, რომ მას შეუძლია აწყმოს მაგივრობაც გასწიოს; ამიტომაც, რომ მასთან ფუნქციურად ახლოსაა ნამყო უსრულიც: აწყმაც, ნამყო უსრულიც იმავე განგრძობითი ასპექტის ნაკვეთებია, რომლის უძველესი წარმომადგენელიც (გარდამავალ ზმნებში) ხოლმეობითია. **ერთბაში (წყვეტილი) ასპექტი** ორივესთვის უცხოა.

ამრიგად: ვთქვ, სთქვ, **თქვს** — ხოლმეობითი — **განგრძობითი სახისაა** (დიურატიული ასპექტისაა).

¹ თუმც გაკვრით, მაგრამ გარკვევით ეს აღნიშნული აქვს ა. შანიძეს: იხ. პრეფიქსები, გვ. 6, შენიშვნა 2 (დაწვრილებით იხ. აქვე, გვ. 78).

² გ. კურციუსიდან მოყოლებული ძველი ბერძნული ენის უღვლილებაში, მაგალითად, განასხვავებენ სამ სახეს (ასპექტს): **განგრძობითს, ერთბაშა და სრულს** (იხ. II. В. Никитин: "Греческая грамматика", 1884 (ლითოგრ.), გვ. 177-188).

ვთქუ, თქუ, **თქუა** — ნამყო ძირითადი — **ერთბაში, წერტილებრივი, წყვეტილი სახისა** (მომენტობრივი ასპექტისა)¹.

1920 წელს გამოსულ ნარკვევში — „სუბიექტ. პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა“ — აკ. შანიძე შენიშვნაში ხოლმეობითის (ნამყო მრავალგზითის) შესახებ წერდა: „ნამყო მრავალგზითი, კაცმა რომ თქვას, განსაზღვრული დრო არ არის: იგი გამოჰხატავს ხოლმე მოქმედებას არა რომელსამე დროში განსაზღვრულს (ნამყოს, აწმყოს თუ მყობადში), არამედ ისეთს, რომელიც ყოველთვის ჩვეულებრივია და მარად და მარად დამახასიათებელია მოქმედი პირისათვის. ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ მრავალგზითი ნამყოს ფორმები ქართული ზმნის უძველესი ფორმაციის დროდსა უნდა იყოს...“

შემდეგ აღნიშნულია, რომ ახალმა სალიტერატურო ქართულმა ეს მრავალგზითი ნამყო ხმარებიდან განდევნა, მაგრამ ზოგმა კილომ იგი შეინარჩუნა... თავდება ეს ვრცელი შენიშვნა ამგვარად: „ზოგიერთი ზმნა თუძცა მრავალგზით ნამყოში იგმარება, მაგრამ **მნიშვნელობა** აწმყოსი **მიიღო**: იცის, უწყის, ჰრქვან და სხვ. (რომ **იცის, უწყის** ნამყო მრავალგზითაა და არა აწმყო, ამას გვიჩვენებს მათი სინტაქსური ძალა: კაცმან იცის, ღმერთმან უწყის და სხვ.)“².

¹ ა. შანიძემ ნამყო ძირითადისათვის (ნ. მარის „აორისტისათვის“) იხმარა **„წყვეტილი“**, **„ნამყო წყვეტილი“** (ქართ. გრამატ., 1929), მარტივად **„წყვეტილი“** (ქართ. გრამატ. საფუძვ., 1943); ნამყო უსრულის ადგილი დაიჭირა **„ნამყო უწყვეტილმა“**; მერე — **„უწყვეტილმა“**. ამას გარკვეული საბუთი მოეპოება.

მაგრამ „წყვეტილი“ განა მხოლოდ ნამყო ძირითადია (**თქვა**)? კავშირებითი მეორეც (**თქვას**) აგრეთვე წყვეტილია... თურმეობითი I (**უთქვამს**) აგრეთვე წყვეტილია...

მეორე მხრივ: აწმყოც (**ამბობს**) არანაკლებაა **უწყვეტილი**, ვინემ ნამყოს უსრული („უწყვეტილი“ — **ამბობდა**).

ზმნის ნაკვთებში გადახლართულია ასპექტის, დროის თუ სხვა კატეგორიათა ფუნქციები — ერთ-ერთი მათგანის მიხედვით სახელდება ნაკვთისა მართებული ვერ იქნება. თანმიმდევრობას თუ დავიცავდით, ნაკვთები რიგითი ნომრებით უნდა აღგვენიშნა (პირველი, მეორე, მესამე... ნაკვთი) და დავგვეხასიათებინა: ამა და ამ დროისა, სახისა, კილოს... ფუნქციის მქონეო...

თუ ამას დავვრიდებით, „წყვეტილ“-„უწყვეტლობა“ ისევე არაზუსტი იქნება, როგორც ნამყო უსრული, ნამყო სრული... **ტრადიციის დარღვევა ამ პირობებში ვერ გამართლდება: სიზუსტე დაცული არაა, აღრევა მატულობს**. ასეთივე მდგომარეობა გვაქვს აკი ბრუნვებშიც: „ნათესაობითი“, „მიცემითი“, „მოთხრობითი“... ბრუნვა უფრო უმართლებლოა არსებითად, ვინემ „ნამყო უსრული“... ბრუნვის სახელებიც ამ ტრადიციას უღდას.

² ა. შანიძე: პრეფიქსები, გვ. 6, შენიშვნა 2. ხაზი ჩვენია — **ა. ჩ.**

ამ შენიშვნაში მარჯვედ არის დახასიათებული ხოლმეობითი: „იგი გამონხატავს მოქმედებას, რომელიც ყოველთვის ჩვეულებრივია და მარად და მარად დამახასიათებელია მოქმედი პირისათვის“-ო.

მაგრამ ამისდა მიუხედავად **იცის, უწყის** ზმნები **ნამყოდ** არის ნავარაუდები ძველად და აწმყოს მნიშვნელობა **მერე შექენილადაა** წარმოდგენილი: („აწმყოს მნიშვნელობა მიიღო“); აიხსნება ეს, ალბათ, იმით, რომ წარმოების მიხედვით ეს ზმნები ნამყო ძირითადის ჯგუფში შედიან...

ძველი ქართულის მორფოლოგიის მოკლე მიმოხილვაში აკ. შანიძე განასხვავებს „აწმყოს ხოლმეობითსა“ და „წყვეტილის ხოლმეობითს“ და „ხოლმეობითს“ ასე ახასიათებს: „ხოლმეობითის ფორმები **წარსულში** მომხდარ ამბავს გადმოგვცემენ ან კიდევ ისეთ ამბავს, რომელიც ჩვეულებრივ ხდება ხოლმე რომელიმე გარკვეული დროის აღუნიშვნელად“. ამიტომ შესაძლებელია მათი ერთმანეთში გარევაო¹: „რომელი გარდამრც საქმც **არნ**, მას აუწყიან“.

აქ „წარსულში მომხდარის აღნიშვნა“ პირველ რიგშია მოქცეული პერმანსივის ფუნქციათა ჩამოთვლისას; ის კი, რაც სპეციფიკურია ხოლმეობითისათვის, მერეა მოხსენებული; ამ ფუნქციათა ხვედრი წონისა და მათი ისტორიული ურთიერთობის შესახებაც არაფერია ნათქვამი.

გ. დეეტერსის თქმით **„პერმანსივი გამონხატავს ზოგადი მნიშვნელობის ქეშმარიტებათ, რომელთაც ძალა აქვთ დროის გარეშე...“**², „პერმანსივის ამ ფუნქციას მჭიდროდ უკავშირდება მისი გამოყენება ჩვეულებრივი მოქმედების აღსანიშნავად, ზნე-ჩვეულებათა გადმოსაცემად“³.

აწმყოსა და ხოლმეობითის ასპექტების შესახებ გ. დეეტერსი წერს: **-ნ II -ედ-**იან აწმყოსა და პერმანსივის შორის „განსხვავება ასპექტშია: აწმყო იმპერფექტიულია, პერმანსივი **ისევე, როგორც აორისტი, პერფექტიულია**“⁴.

ეს აზრი მეორე ადგილასაცაა გამეორებული: „მიუხედავად იმისა, რომ **პერმანსივი ხოლმეობითს ასპექტს გადმოგვცემს, იგი მაინც პერფექტიულია, მისი იმპერფექტული საპირისპირო წარმოება (Gegenstück) არის -ი II -ენ-ი-ანი აწმყო**“⁵.

¹ ა. შანიძე, ა. ბარამიძე, ი. აბულაძე: „ძველი ქართული ენა და ლიტერატურა“ (1939), გვ. 300, § 45, შენიშვნა 1.

² გ. დეეტერსი: „ქართველური ენების ზმნა“, 1930, გვ. 111-112 (§ 195).

³ იქვე, გვ. 112, § 196.

⁴ გ. დეეტერსი, ქართველური ენების ზმნა, გვ. 53, § 94.

⁵ იქვე, გვ. 112, § 197.

ასეთი გაგება არ შეეფერება საქმის ვითარებას, არ ეთანხმება იგი არც იმას, რაც პერმანსივის დახასიათებისას გ. დეეტერსის მიერვე იყო თქმული; სხვას რომ თავი დავანებოთ, დეეტერსი შენიშნავდა — პერმანსივი ნამყო უსრულითაც შეიძლება ითარგმნოსო; ნამყო უსრული კი (*Imperfekt*) პერფექტული ასპექტისად, ცხადია, ვერ მიიჩნევა.

ხოლმეობითის განმარტება, როგორც პერფექტული ასპექტისა, არ ეგუება ძველი ქართულის ფაქტებს: ხოლმეობითისა და **-ნ II -ედ-**იან აწმყოს გამიჯვნა არ ხერხდება: ხშირად ერთსა და იმავე ნაწყვეტში აწმყო ცვლის წინანდელ ხოლმეობითს, ზოგჯერ კიდევ — ნამყო უსრული (იხ. §§ 7, 8).

ხოლმეობითისა და აწმყოს გამიჯვნა არც არის საჭირო: ფუძის აგებულება მათ ისედაც განასხვავებს (ზოგიერთ შემთხვევათა გარდა, სადაც ძველი ვითარებაა დაცული — იხ. § 16). რაც შეეხება ფუნქციას, ამ მხრივ მათ აერთიანებს ასპექტი. **ასპექტით კი არ გაირჩევა ხოლმეობითი (პერმანსივი), -ნ II -ედ-იანი აწმყო და ნამყო უსრული, არამედ, პირუკუ, ასპექტია, მათ რომ აერთიანებს** და ეს ასპექტი **იმდენად იმპერფექტული არაა, — რამდენად განგრძობითი, დიურატიული, ხაზოვანი** (და არა ერთბაში, წერტილებრივი, წყვეტილ-წყვეტილად წარმოდგენილი). მერე: **ერთმანეთს უპირისპირდება — ასპექტების მიხედვით — არა ხოლმეობითი (პერმანსივი) და აწმყო, არამედ ხოლმეობითი (პერმანსივი) და ნამყო ძირითადი (აორისტი): ხოლმეობითი, როგორც ხაზოვანი და ნამყო ძირითადი, როგორც წერტილებრივი.**

ჩანს, მკვლევარებს ერთგვარად ზღუდავს ის გარემოება, რომ ხოლმეობითი (პერმანსივი) და ნამყო ძირითადი (აორისტი) ერთი და იმავე წყების ნაკვთია მაშინ, როდესაც აწმყოს წყებას, როგორც წესი, განსხვავებული ფუძე აქვს.

მაგრამ ისტორიულად ნამყო ძირითადის საპირისპირო აწმყო კი არ ყოფილა, არამედ — ხოლმეობითი. ხოლმეობითის **-ი** სუფიქსია, **განგრძობითს ასპექტს რომ გამოხატავს** და ხოლმეობითს ნამყო ძირითადისაგან განასხვავებს. დასაპირისპირებლად აწმყო იმიტომაც არ გამოდგება, რომ გარდამავალ ზმნებში იგი შედარებით ახალი წარმონაქმია.

ნ. მარს ხოლმეობითი (როგორც ეს აღნიშნული გვაქვს § 2, გვ. 6) ზმნის უღვლილების ნაკვთებში შეტანილი არა აქვს; ეს მით უფრო მოულოდნელია, რომ ნაკვთებად დალაგების პრინციპი (ე. ი. ფუძეთა წარმოების მიხედვით უღვლილების ერთეულთა დალაგება) ქართულ გრამატიკაში ნ. მარმა დანერგა (და ეს მნიშვნელოვანი მიღწევაა. იხ. § 26).

ხოლმეობითი დასახელებულია **მოვიდა, თქუა** ზმნებთან (მას ეწოდება „აორისტი ჩვეულებითი“; იხ. ვრცელი ქართული გრამატიკა ფრანგულ ენაზე, ბრიერის თანაავტორობით გამოცემული 1931 წელს პარიზში: "La langue géorgienne" §§ 215, 216, გვ. 192, 194), მაგრამ ზმნის უღვლილების პარადიგმებში (გვ. გვ. 406-515) ხოლმეობითი არა ჩანს (**გვსენ** ზმნასლა აქვს დართული **გვსნი** პარალელურ სახეობად — გვ. 422).

სინტაქსში (§ 378, 2, გვ. 318) ნათქვამია: „ჩვეულებითი აორისტი ფრანგულად ითარგმნება, როგორც წესი, აწმყოთი და ზოგჯერ ნამყო უსრულითაო“.

დავასკვნით: ზმნის **უღვლილების დასაწყის ეტაპებზე გარდამავალი ზმნის ორი ასპექტი გაირჩეოდა (განგრძობითი და ერთბაში) და ორი ნაკვთი გვექონდა: ხოლმეობითი და ნამყო ძირითადი**. ხოლმეობითი **ასრულებდა იმ როლს, რაც შემდეგში აწმყოს დაეკისრა**. ნამყო ძირითადი ხოლმეობითს უპირისპირდებოდა ასპექტის მიხედვით. ხოლმეობითი აწმყოს ჩამოყალიბების შემდეგაც კარგა ხანს გამოდიოდა აწმყოს მონაცვლედ: **ერთი მეორის გვერდით არსებობდა არქაული და მერმინდელი ნაკვთები თავ-თავისი ფუნქციით**.

ორი ასპექტი გაირჩეოდაო, რომ ვთქვით, ეს არ ნიშნავს, თითქოს ყველა გარდამავალ ზმნას ეს ორი ასპექტი ერთდროულად გაუჩნდა და იმთავითვე მოეპოვებოდა (უთუოდ გვაქვს ისეთი ზმნები, რომ ერთი ასპექტი თლაა ცნობილი დღემდის — მაგალ., უწყის... იხ. § 22).

§ 18. ფშაურ-ხევსურული ხოლმეობითი და არქაული ნამყო უსრული. ხოლმეობითისა და აწმყოს ისტორიული ურთიერთობის გარკვევით შუქი ეფინება ხოლმეობითის წარმოებას ფშაურსა და ხევსურულში (resp. თუშურში).

ფშაური ხოლმეობითის შესახებ აკ. შანიძე წერს: „არქაიზმი მრავალგზითი ნამყოს¹ სახით ფშაურსაც აქვს შერჩენილი, მაგრამ მისი ფორმების საწარმოებლად ნამყო სრულის წმინდა თემა აღებული აქვს მხოლოდ მესამე სუბიექტური პირისათვის, ხოლო დანარჩენ სუბიექტურ პირებში ამ თემისათვის მას დაურთავს ნამყო უსრულის სუფიქსი **-ოდ**. ამგვარად ნაწარმოების მრავალგზითი ნამყოს მეორე სუბიექტური პირის ფორმები მას

¹ „მრავალგზით ნამყოს“ იმ ხანად აკ. შანიძე ხმარობდა „ხოლმეობითის“ ნაცვლად.

უსესხებია მეორე ბრძანებითის გამოსახატავად, რომელიც პირველი ბრძანებითისაგან იმით განსხვავდება, რომ პირველი ბრძანება ერთგვითი ბუნებისაა, მეორე კი — მრავალგვითისა, როგორც ძველს ქართულში; ეს ერთი, და მეორეც ისა, რომ პირველი ბრძანება კატეგორიული ხასიათისაა, მაშინ როდესაც მეორეს თხოვნისა და ხვეწნის ელფერი გადაჰკრავს ხოლმე¹.

მაგალითად: გა-ლეწის, გა-მლეწოდი, გა-ვლეწოდი; გა-ლეწიან, გა-მლეწოდით, გა-ვ-ლეწოდით (ბრძანებითი: გა-მლეწოდი! გა-მლეწოდით!)... გადაფრინდის, გადა-მფრინდოდი, გადა-ვფრინდოდი; გადა-ფრინდიან, გადა-მფრინდოდით, გადა-ვფრინდოდით... გა-ტეხის, გა-მტეხოდი, გა-ვტეხოდი, გა-ტეხიან, გა-მტეხოდით, გა-ვტეხოდით...²

თუშურსა და ხევსურულს -ოდ- სუფიქსის ნაცვლად -იდ მოუდის:

თუშური: გა-ლესის, გა-ლლესიდი, გა-ვლესიდი; გა-ლესიან, გა-ლლესი-დით, გა-ვლესი-დით (ბრძან. გა-ლლესიდი! გა-ლლესი-დით!)...³

ხევსურული: გა-ტეხის, გა-სტეხიდი, გა-ვტეხიდი; გა-ტეხიან, გა-სტეხი-დით, გა-ვტეხი-დით...⁴

ფშაურისათვის ნიშანდობლივი წარმოება ვაჟას პოემებში დასტურდება (**ლექსებშიც**, — თუმცა აქ უფრო იშვიათად!):

შავეხუმროდით... გავთხიფოდით... გავაცინოდით... ჩავაწვინოდით...

ვათქმეინოდით:

...გვიყვარდა. შ ა ვ ე ხ უ მ რ ო დ ი თ, უწოდით ტყავსა კალთაზე
ან გ ა ვ თ ხ ი ფ ო დ ი თ ლაფითა, მაგრამ არ გაწყურის ამაზე.
ძლივ მაშინ გამოიცვალის, ძლივ მაშინ გ ა ვ ა ც ი ნ ო დ ი თ,
როცა მუგუზლით ვდაღავდით ან ლაფში ჩ ა ვ ა წ ვ ი ნ ო დ ი თ,
მაშინ ძლივ ვ ა თ ქ მ ე ი ნ ო დ ი თ სიტყვა საამო პირითა...⁵

დავიწყოდით... დავსნდოდით:

...ჩვენც დ ა ვ ი წ ყ ო დ ი თ ღრეობა, მწკრივად დ ა ვ ს ნ დ ო დ ი თ ყველანი...⁶

¹ აკ. შანიძე: „სუბიექტ. პრეფ. მეორე პირისა და ობიექტ. პრეფ. მესამე პირისა ქართულ ზმნებში“, 1920, § 68, გვ. 154-155.

² იქვე, გვ. 155, 156.

³ იქვე, გვ. 161.

⁴ იქვე, გვ. 168.

⁵ ვაჟა-ფშაველა: „ივანე კოტორაშვილის ნაამბობი“, თხზულ. III (1930), გვ. 294. ორ-ორი სტრიქონია გაერთიანებული — **ა. ჩ.**

⁶ იქვე, გვ. 292.

ჰნახოდი... დამისახოდი:

...ბერდიას რამდენ შეშა აქვ, როგორს ცეცხლს ანთებს, ჰნახოდი!
ცხოვრების მაგალითადა ბრიყვები დამისახოდი...¹

დაიწეროდი... დაიკეროდი... გამითხაროდი... მამაყაროდი:

...მთავ, შენ ის ჩემი ნათქვამი გულ-მკერდზე დაიწეროდი!
ბარო, წარბნი და წამწამნი იმ სიტყვით დაიკეროდი!..²
...მალლისა მთისა წვერზედა საფლავი გამითხაროდი,
ჩემი სამშობლოს ქვიშანი ხშირ-ხშირად მომამაყაროდი!³

ჩამაყოლოდით... უთხროდით:

...ხმალიც თან ჩამაყოლოდით, ჩემი ფრანგული ფხიანი!
ქალს, თვალ-შალ-შავას უთხროდით, მალა მოიჭრას თმანია!⁴

გამიგონოდით:

...ფშავლებო, გამიგონოდით, დიდს არას მოგცემთ ზიანსა!⁵

გაუცინოდით... მნახოდი:

...გაუცინოდით, ლამაზო, ახარე გული ბიჭისა!⁶
...არ მილალატო, ოცნებავ, მნახოდი მალე-მალეო!⁷

ვნახნოდი (= ვნახოდი ისინი):

...საკმისას ჩამოშვებულნი შუქნი ვნახნოდი მზისანი...⁸

მომიგონოდით... სთქოდით:

...მომიგონოდით, სწორებო, შანდობა სთქოდით ჩემია...⁹

ხევსურულისათვის დავიმოწმებთ ბეს. გაბუურის ტექსტებსა და „ხმით ნატირალის ნიმუშებს“.

¹ „გველის-მჭამელი“, თხზულ. IV (1932), გვ. 38.

² „სიმღერა“, ტ. I (1928), გვ. 119.

³ იქვე, გვ. 5.

⁴ „მწყემსის ანდერძი“, თხზულ. I (1928), გვ. 20.

⁵ იქვე, გვ. 21.

⁶ „სიმღერა“, I (1928), გვ. 75.

⁷ „სიმღერა“, იქვე, გვ. 200.

⁸ ვ. ხორნათლი: ფშაური მილექსებანი, გვ. 39.

⁹ იქვე, 46.

წამაიყვანიდი:

...შენ მატყუებით წამაიყვანიდი...¹

დაგვიხვდიდი... გამაიყვანიდი:

აბა, ეხლა ჩქარა წაედი, გინდა მარტუა დაგვიხვდიდი, გინდა ყმაწვილებიც კიდე გამაიყვანიდით ჩვენ საომრად. მაშინ გამაჩინდების, ეხლა კვებნა არ გვინდა...²

დაგვიბარიდი:

თუ კიდეგ რა მაუჯდ თათრებს, საჩქაროდ დაგვიბარიდი...³

უთხრიდით:

თუ გკითხნათ, აის უთხრიდით: „ქალაქ ას ბატონს თანაო!“
ბატონმ თუ გკითხასთ, უთხრიდით: „ომში ას სწორებს თანაო!“
სწორებმ თუ გკითხნათ, უთხრიდით. „სულეთ ას იარაღთანაო!“⁴
...თუშეთ უთხრიდი თუმებსა, ზეზვას დაუდგან მკარსაო...⁵

მაგკლიდით:

...მაგკლიდით სამ-სამ, ოთხ-ოთხი, მკვდარ თვალით ვერ ნახიანო...⁶

მითქვიდი:

მამას მინდიას მითქვიდი: „ნუ შეეჭევი თავსაო!“⁷

მისციდით:

აი ეს ქალაღლ მამასახლისს მისციდით!“⁸

¹ ბეს. გაბუური, „წელიწდ.“, 175₁₉.

² იქვე, 182-183.

³ იქვე, 164₁₈.

⁴ იქვე, 241₃₋₅.

⁵ იქვე, 162₁₅.

⁶ იქვე, 242₁₅.

⁷ იქვე, 187₂₅.

⁸ იქვე, 201₇.

ჩაასწავლნით:

ცოტინას ხომიზურასა ჩაასწავლნით გზანია!¹

დამაფარნით:

რა დადგას უდარობაი, დამაფარნით თბენია!²

ჩაიცვიდი... დაიწნიდი... გაზარდიდი... იარიდი... ჩაისვიდი:

...დედა გენაცვლოს, დედის ქალო, ახალ ტალავარ ჩაიცვიდიო!
ე თმანი ხუთად დაიწნიდიო, სულეთ ბიბინით იარიდიო!
ობლის ობოლი გაზარდიდიო, დედო კალთაჩი ჩაისვიდიო!³

შავიდიდი... დავალიდი:

სატუსალოჩი შავიდიდი, ციხის კარები დავალიდი...⁴

სთქვიდი:

დედის ერთა ორ, რად არ სთქვიდიო...⁵

აპატივიდი... უშველიდი... მათშორიდი... მაუმატიდი:

...თუ რა შეგაწყინან უცოდრობითა..., მანაწყენ აპატივიდი, ავს
დღესთანით უშველიდი, ...ვმა სიკვდილისა მათშორიდი, თავებით
პურსა, წულს მაუმატიდი...⁶

**გარდაუგდიდი... მაუტდინიდი... გადააყრიდი... დაუწერიდი.. მაუ-
შორიდი:**

...ავს საქმეს ეკერძებოდას, გარდაუგდიდი, ავ საქმე კაზე
მაუტდინიდი, ზაფხულობა მშვიდობით გადააყრიდი, ნაოფლარს, ნა-
მაშვრალს ჯვარ დაუწერიდი, მაქარ-მაღალატე მაუშორიდი...⁷

¹ იქვე, 237₅.

² იქვე, 251₁₂.

³ „ხმით ნატირ.“, მასალ. საქართ. ეთნ., 121.

⁴ იქვე, 120.

⁵ იქვე, 103.

⁶ ვ. ბარდაველიძე: დამწყალობნება..., მასალ. საქართვე. ეთნოგრ., გვ. 13.

⁷ იქვე, გვ. 14.

შევადართ ძვ. ქართული ხოლმეობითი ფშაურისა და ხევსურულისას:

ძვ. ქართ.:	მან	მას იგი	„მიუთხრ-ი-ს	ფშაური:	უთხრ-ი-ს
	შენ	„ „	„მიუთხრ-ი		უთხრ-ო-დ-ი
	მე	„ „	„მივ-უთხრ-ი		ვ-უთხრ-ო-დ-ი
	მათ	„ „	„მიუთხრ-ი-ან		უთხრ-ი-ან
	თქუენ	„ „	„მიუთხრ-ი-თ		უთხრ-ო-დ-ი-თ
	ჩუენ	„ „	„მივ-უთხრ-ი-თ		ვ-უთხრ-ო-დ-ი-თ

ხევსურ.:	მან	მას იგი	უთხრ-ი-ს
	შენ	„ „	უთხრ-ი-დ-ი
	მე	„ „	ვ-უთხრ-ი-დ-ი
	მათ	„ „	უთხრ-ი-ან
	თქუენ	„ „	უთხრ-ი-დ-ი-თ
	ჩუენ	„ „	ვ-უ-თხრ-ი-დ-ი-თ

მესამე პირი ერთნაირია ძველ ქართულშიცა და ფშაურ-ხევსურულ-შიც. განსხვავება პირველსა და მეორე პირშია: ძვ. ქართულის -ი სუფიქსის ნაცვლად **ო-დ-ი** და **-ი-დ-ი** სუფიქსებს ვხედავთ; **-ო-დ-ი** — ფშაურისაა. **ი-დ-ი** — ხევსურულისა. მეორე პირის ხოლმეობითი — **თხოვნა-წაქეზებას** გადმოგვცემს. თხოვნით-ბრძანებითი ფუნქციისაა; პირველსა და მესამე პირს „ხოლმეობითის“ შინაარსი აქვს, ჩვეულებრივ რაც ხდებოდა, იმას აღნიშნავს:

ფშაური: შდრ. II პ.: „ხმალიც თან ჩამაყოლოდით, ჩემი ფრანგული ფხიანი...“
 „მომიგონოდით, სწორებო, შანდლობა სთქოდით ჩემია!“ (იხ. ზემოთ).

I პ.: „გვიყვარდა. შაკეხუმროდით, უწოვდით ტყავსა კალთაზე
 „ან გავთხიფოდით ლაფითა, მაგრამ არ გაწყურის ამაზე,
 „როცა მუგუწლით ვდაღავდით ან ლაფში
 ჩავაწვინოდით,
 „მაშინ ძლივ ვათქმეინოდით სიტყვა საამო პირითა“
 (იხ. ზემოთ).

ხევსურული: შდრ. II პირი: „დედის ერთა ორ, რად არ სთქვიდო?...“

„მამას მინდიას მითქვიდი: „ნუ შექცევი თავსაო!“
„თუშეთ უთხრიდი თუმებსა, ზეზვას დაუდგან მჟარსაო!“
(იხ. ზემოთ).

III და I პირი: „სატუსალოჩი შავიდიდი, ციხისკარები

დავადიდი...

„მავკლიდით სამ-სამ, ოთხ-ოთხი, მკვდარ თვალით
ვერნახიანო! (იხ. ზემოთ).

ხოლმეობითი შინაარსი მეორე პირში აღმოგვაჩნდება ისეთ მაგალი-
თებში, როგორიცაა ხევსურული „**იცვემდიდი... იტანდიდი...**“

...ერთ დროს როსთავაურობდიდო, ქისტურ ტალავარ იც-
ვემდიდო, წელჩი დაბანჩას იტანდიდო (ამგვარი მაგალითები იხ.
ქვემოთ).

ფშაური და ხევსურული ხოლმეობითის წარმოება რიგ საკითხს აღძრავს:

1. რა მიმართებაშია **-ოდ-** II **-იდ-**იანი წარმოება პირველი და მეორე
პირისა იმავე რიგის მესამე პირის წარმოებასთან, როგორიცაა ეტოლე-
ბოდიან, განმარტავდიან, იქსენებდიან („გორს იქით ეტო-
ლებოდიან¹, ...განმარტავდიან მათ ამბავს, იქსენებდიან ქებითა“²);

2. რატომ იყენებს **-ოდ-** სუფიქსს ფშაური ყველა ზმნასთან —
გარდამავალთანაც და გარდაუვალთანაც — და ასევე ხევსურული — **-იდ-**
სუფიქსს?

3. რატომაა გათიშული პირველი და მეორის წარმოება (**-ოდ-** II **-იდ-**
სუფიქსებიანი) მესამე პირის წარმოებისაგან (ვთქვ-**ოდ-**ით — თქვ-**ი-**ან)?

4. რა წყების ნაკვთია ფშაური და ხევსურული ხოლმეობითი —
აწმყოს წყებისა თუ ნამყო ძირითადის წყებისა?

ჩვენ, პირველ ყოვლისა, ამ უკანასკნელ საკითხზე შევჩერდებით.
ერთის შეხედვით, საკითხი ნათელია, ფშაური და ხევსურული ხოლ-
მეობითი ნამყო ძირითადის (აორისტის) წყებისა ჩანს, მეორე წყების
ნაკვთად წარმოგვიდგება.

¹ „ხმით ნატირ.“, მასალ. საქართვე. ენოლოგ., გვ. 104.

² ვაჟა-ფშაველა: „გველის მჭამელი“, IV, გვ. 25.

ამას გვაფიქრებინებს:

1. **მესამე პირის აგებულება: თქვის, უთხრის, მისცის, დაწერის** — ჩვეულებრივი ხოლმეობითია ძველი ქართულისა, დამთხვევა სრულია.

2. **შეუკუმშავი ფუძე** ისეთი ზმნებისა, როგორცაა **ზრდის, გადაუტდის**; ამათი ხოლმეობითია **გაზარდიდი, გადაუტადიდი**:

...ახიელას იარალიო, ბადიას დაემადრიელიდიო, მადლობა გა და უ ჯ ა დ ი დ ი...¹ დაგვჩა ყმაწვილი აკავანთაო, თქვენი ჭირიმეთ, გა - ზ ა რ დ ი დ ი თ ო!²

ამ ზმნებს შეუკუმშავი ფუძე მეორე წყების ნაკვებშილა აქვს: გადაუტადა, გადაუტადის... გაზარდა, გაზარდის — შდრ. აწმყო-მყოფადი: გადაუტდის... გაზრდის...

3. **სინტაქსური კონსტრუქცია: -ოდ- II -იდ-** სუფიქსიან ზმნებთან ვერბალური ობიექტი სახელობითში დაისმის (და არა მიცემითში, როგორც ეს შეეფერება აწმყოს წყების ნაკვებებს):

ხმალიც³ თან ჩამაყოლოდით (იხ. ზემოთ)... **შანდობა** სთქოდით (იხ. ზემოთ)... **ყმაწვილებიც** გამაიყვანიდით (იხ. ზემოთ)... **ეს ქალაღ** მამასახლისის მისციდით (იხ. ზემოთ)...

თუ ეს ობიექტი მრავლობითშია, ზმნაში **-ნ-** სუფიქსიც შეიძლება გვქონდეს (ვაჟასთან ძველი ქართულის ეს ნორმა არაა დაცული):

...შუქნი ვნახნოლი მზიანი...: შუქი ვნახოლი — შუქნი ვნახნოლი...

...ჩაასწავლნიდით გზანი...: ჩაასწავლიდით გზა — ჩაასწავლნიდით გზანი...

...დამაფარნიდით თბენია...: დამაფარიდით თბე — დამაფარნიდით თბენი...

ყოველივე ამის მიხედვით ფშაურ-ხევსურული ხოლმეობითი ძველი ქართულის ხოლმეობითის ტოლი გამოდის და ნაკვთა მეორე წყებას ეკუთვნის; მაგრამ თუ ასეა, როგორღა მოხდა, რომ ეს ფშაურ-ხევსურული ხოლმეობითი **-ოდ-** II **-იდ** სუფიქსებს დაირთავს? ეს ხომ ნამყო უსრულის სუფიქსებია?

¹ „ხმით ნატირ.“, მასალ. საქართვ. ეთნოგრ., გვ. 110. „გ ა დ ა უ ხ ა დ ი დ ი“ ხ-ანითაა; ალბათ, კალმის შეცთომაა.

² იქვე, გვ. 128.

³ ეს სახელიც ხ-ანითაა!

ფშაურ-ხევსურული ხოლმეობითისათვის ეს სუფიქსები შემთხვევითი არაა: ფშაურ-ხევსურული ხოლმეობითი ნაკვთა პირველ წყებას ეკუთვნის. იგი ნამყო უსრულისა და ხოლმეობითის შერწყმის შედეგია, სახელდობრ, **არქაული ნამყო უსრულისა** და ხოლმეობითისა — **არქაული ნამყო უსრულისაა პირველი და მეორე პირი**, ხოლმეობითისა — მესამე პირი.

ფშაური ხოლმეობითის პირველი და მეორე პირი სავსებით ემთხვევა **არქაული ნამყო უსრულის** პირველსა და მეორე პირს: კონსტრუქცია აქაც ერგატიულია, საყრდენი ფუძე აქაც ხოლმეობითია, გარდამავალი და გარდაუვალი ზმნა აქაც თანაბრად დაირთავს **-ოდ-** სუფიქსს.

ფშაური: მანდობა ს თ ქ ო დ ი თ... ხმალიც თან ჩ ა მ ა ყ ო ლ ო დ ი თ...

მალლისა მთისა წვერზედა საფლავი გ ა მ ი თ ხ ა რ ო დ ი...

ჩემი სამშობლოს ქვიშანი ხშირ-ხშირად მ ო მ ა ყ ა რ ო დ ი...

(იხ. ზემოთ)

სთქვით — სთქოდით... ჩამაყოლით — ჩამაყოლოდით... გამითხარი — გამითხაროდი... მომაყარი — მომაყაროდი... **ამოსავალია** წარმოებისას **ხოლმეობითი**, რომელსაც აწინდელი აწმყოს მაგივრობა ეკისრებოდა, მას დაერთვის ნამყო უსრულის სუფიქსი; **კონსტრუქცია ერგატიულია, მნიშვნელობა თხოვნა-წაქეზება...**

ყველა ეს თვისება აქვს ძვ. ქართულის არქაულ ნამყო უსრულს: იხ. ...რ^ა წ ა რ ა ვ ლ ი ნ ნ ო დ ი ს იგინი ქადაგებად... და ა დ ი ლ ო დ ი ა ნ მით ტაბლად იგი... ...და დ ა ი ბ ა ნ ო დ ი ა ნ აპრონ და ძეთა მისთა ველნი და ფერვნი მათნი... რ^ა შაბათსა კრებად ყ ო დ ი ა ნ... (§ 9). ყველგან ამ არქაულ ნამყო უსრულს კავშირებითის მნიშვნელობა აქვს, ერგატიულ კონსტრუქციას მოითხოვს და ხოლმეობითის ფუძისაგანაა ნაწარმოები ნამყო უსრულის **-დ-** სუფიქსით.

ფშაური ხოლმეობითის რაობის გარკვევით წყდება ხევსურული ხოლმეობითის საკითხიც: განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ **-დ-** სუფიქსს ხევსურულში **-ი-** უსწრებს, ფშაურში — **-ო-**; **არც ერთი და არც მეორე ნამყო უსრულის სუფიქსის კუთვნილება არაა: -ი- (-ო-)** საყრდენი ფუძისა, ხოლმეობითისა; ხევსურულში იგი უცვლელად გადაყვება ნამყო უსრულში, ფშაურში — **-ი-**ს ადგილს **-ო-** იჭერს (საფიქრებელია, რომ ეს **-ომი**ლებული იყო წინამავალ **-ვ-**სთან შერწყმით; ამ **-ვ-**ს მქონებლობა დიალექტური ნორმა უნდა ყოფილიყო)...

ხევსურული **-ი-დ-**, ფშაური **-ო-დ-** და არქაული ნამყო უსრულის **-ო-დ-** სუფიქსები გარდაუვალობა-გარდამავლობას არ განასხვავებს; სალიტერატურო ქართულში კი **-ო-დ-** გარდაუვალ ზმნებთან გვხვდება, **-ი-დ-** — გარდამავალთან; ამ სუფიქსთა ასეთი გამოყენება მეორეული უნდა იყოს:

ძველ ქართულში (ახალშიც!) გარჩენილია გარდამავალი ზმნები **„იცოდა, უწყოდა — მან იგი“: -ო-დ** სუფიქსი გარდამავალ ზმნებთან ძველი ნორმის გადმონაშთია. გარკვეული დიალექტის მიხედვით უნდა გვქონოდა **-ი-დ-** სუფიქსიც გარდაუვალსა და გარდამავალ ზმნებთან — სხვა დიალექტის ნორმათა შესაბამისად.

არქაულ ნამყო უსრულს მესამე პირში წარმოგვიდგენენ ძველი ტექსტები; ეს შემთხვევითია: პირველი და მეორე პირიც უნდა გვქონოდა (შდრ. ვიცოდი იცოდი... ვუწყოდი, უწყოდი...). ფშაური და ხევსურული ხოლმეობითი არქაული ნამყო უსრულის წარმოებას მხოლოდ პირველსა და მეორე პირში იმეორებს; მესამე პირი ძველი ქართულის ხოლმეობითისაა (თქვის... უთხრის... ყვის...).

ძველ ქართულ ტექსტებში ხოლმეობითი გამოდის აწმყოს ფუნქციითაც, კავშირებითისა და ნამყო უსრულის ნაცვლაც (იხ. § 8, გვ. 47...): დიურატიულობა აერთიანებს აწმყოსა და ნამყო უსრულს; ამიტომ გასაგებია, როგორ შეიძლებოდა **თქვის, ყვის** ნამყო უსრულის მნიშვნელობით მოგველენოდა. **ვთქვოდი, სთქვოდი** შემდეგაა გართულებული ნამყო უსრულის საწარმოებელი სუფიქსებით.

თუ როგორ უნდა მომხდარიყო ეს, ერთგვარად გასაგები ხდება ხევსურული ხოლმეობითის ახალი ვარიანტის აღნაგობიდან: არქაული ნამყო უსრულის პირველი და მეორე პირი აქ კვლავ დაირთავს ნამყო უსრულის სუფიქსს — **-ი-დ-ს**. ამგვარად ვიღებთ **ორკეცს** სუფიქსაციას: **-დ-ი-დ-ი**.

ამგვარი ორკეც-სუფიქსიანი ხოლმეობითის (*resp.* არქაული ნამყო უსრულის) ნიმუშები თხრობით კილოს გადმოგვცემენ, ჩვეულებრივ რაც ხდება, იმას აღნიშნავენ:

სთაგაურობდი... იცვემდი... იტანდი...

...ერთ დროს რო ს თ ა გ ა უ რ ო ბ დ ი დ ი ო , ქისტურ ტალავარ ი ც - გ ე მ დ ი დ ი ო , წელჩი დაბანჩას ი ტ ა ნ დ ი დ ი ო...¹

სთაგაურობდი = სთაგაურობდი ხოლმე, იცვემდი = იცვამდი ხოლმე, იტანდი = იტანი ხოლმე.

მეორე პირს ხოლმეობითში თხოვნით-წაქეზებითი „ბრძანებითს“ მნიშვნელობა ქონდა (იხ. გვ. 84). აქ ეს მნიშვნელობა არა ჩანს: თხრობითი კილოს ხოლმეობითია... შემთხვევითიაო, კაცი იტყოდა, რომ იშვიათად იხმარებოდა...

¹ „ხმით ნატირ.“, მასალ. საქართ. ეთნოგრ., გვ. 119.

ვიარებოდდი: ...თიანეთ ვიარებოდი...¹

ვიარებოდდი = ვიარებოდი ხოლმე.

ვიძახდი: ...ლელავ, მიშველე, ვიძახდი...²

ვიძახდი = ვიძახდი ხოლმე.

იცოდდი: ...სკლათის ცმა არა იცოდდი...³

იცოდდი = იცოდი ხოლმე.

ღვედრიდი: ...გაჯავრებული ღვედრიდი...⁴

ღვედრიდი = ღვედრიდი ხოლმე.

ხანჯრევიდით... ავსენებდით: ...ქისტა ბუსკას რომ ხანჯრევიდითო, ავსენებდითო, ბოსელასაო...⁵
ხანჯრევიდით = ხანჯრევიდით ხოლმე; ავსენებდით = ავსენებდით ხოლმე.

-დ-ი სუფიქსის განმეორება თხრობითი კილოს შინაარსის გადმოსაცემდაა გამოყენებული: ი-ცვემი (= ჩაიცვამდე) — თხოვნი-წაქეზებითია, **იცვემი** (= იცვამდი ხოლმე) — თხრობითი კილოა ხოლმეობითის შინაარსისა.

უნდა ვიფიქროთ, ანალოგიური დანიშნულება უნდა ქონოდა **-დ-ი** სუფიქსს, როცა იგი პირველად დაერთო ხოლმეობითის პირველსა და მეორე პირს⁶.

საკითხში მაინც არაა მთლად ნათელი მესამე პირისა და პირველი ორი პირის თავისებური შეხამება: რატომ დარჩა მესამე პირი უცვლელად? საჭიროა დამატებითი შესწავლა სხვა მსგავს ფაქტებთან ერთად.

მაინცა და მაინც ფაქტია, რომ **ამოსავალია ხოლმეობითი**, და **მას დაერთვის ნამყო უსრულის დაბოლოება**: ხოლმეობითს ასეთ შემთხვევაში აწმყოს ადგილი უკავია. ფაქტია ისიც, რომ **-დ-ი** სუფიქსი პირველსა და მეორე პირთან გვაქვს, მესამე პირში არც მაშინ გავაჩნდა, არც ახლა გააჩნია ორკეც სუფიქსიან წარმოებას.

¹ იქვე, გვ. 120.

² „...ხმით ნატირ.“, მასალ.საქართ. ეთნოგრ., გვ. 119.

³ იქვე, გვ. 104.

⁴ იქვე, გვ. 110.

⁵ იქვე, გვ. 102.

⁶ ზუსტად რომ ვთქვათ, პირველ პირს: ხოლმეობითის გაცემა მას აქვს. მეორე პირი **-დ-ი** სუფიქსითაც თხრობითი არაა: თხოვნი-ბრძანებითია (თუ ასეთი მნიშვნელობა მერე არ გაუჩნდა ამ მეორე პირს).

ამგვარად, ორკეც-სუფიქსიანი წარმოება ერთკეცის წარმოქმნის მოტივებსაც გვანიშნებს და თვით წარმოების ადგილსაც ხაზგასმით გვამცნობს: **ვთქვიდი** || **ვთქოდი ნაკვთა პირველ წყებაშია** მოქცეული. ამას ხელს არ უშლის არც მესამე პირის აგებულება (თქვის), არც ერგატიული კონსტრუქცია (შ ა ნ დ ო ბ ა ს თ ქ ო დ ი თ...).

ვთქვიდი || **ვთქოდი** წარმოება არქაული ნამყო უსრულის რიგისაა, ამას ზოგი სხვა გარემოებაც მოწმობს.

1. ფშაურ (-ხევსურული) ნამყოს ფუძესთან შეიძლება აწარმოონ კავშირებითი პირველი: **-დ-ე-** სუფიქსები ამაში ეჭვს არ ტოვებენ:

დაუკრ-ო-დ-ე-ნ: სხვა მოიძიონ პატრონი, სხვას დაუკროდენ თავიო...¹

აღნიშვნის ღირსია, რომ ეს მესამე პირის ფორმაა და მასში ვპოვებთ **-ო-დ-** სუფიქსს: **-ო-დ-** სუფიქსიანი წარმოება შე ს ა ძ ლ ე ბ ე ლ ი ყოფილა სამსავე პირში!

იყოდე: მერიდე, იქით **იყოდე**, ცული მჭირს ხასიათია!²

შდრ. **ვიყოდი:** ...მე პურ არ მინდა, დედაო, გული შამეკრა რადამე!
წუხელ ცულ სიზმრები ვსინჯე, რიგში **ვიყოდი** სადამე!³

აქ **ვიყოდი** „ვიმყოფებოდი“-ს უღრის, ხოლმეობითის შინაარსი არა ჩანს, ჩვეულებრივი ნამყო უსრულია... **იყოდე** — კავშირებითი პირველია, თხოვნით-წაქეზებითი ბრძანებითი (აქ — რჩევის გადმოსაცემად ხმარებული). ამოსავალი კი ორივესათვის ხოლმეობითია: **ვიყვი, იყვი, იყვის**. ამის ფუძეს დაერთვის ნამყო უსრულისა და კავშირებითის საწარმოებელი სუფიქსი.

ახლანდელი ჩვენი გაგებით **არის**-ზმნას მხოლოდ აწმყო აქვს; ნამყოში სხვა ფუძეა: **იყო**; აქედან იწარმოება ხოლმეობითი **იყვის**, და კავშირებითი მეორე — **იყოს**.

ძველ ქართულში **იყო**-ზმნას ნაკვთა პირველი წყებაც საკუთარი მოეპოვებოდა:

აწმყოს წყება:

აწმყო: იყოფვის
ნამყო უსრ.: იყოფვოდა
კავშირ. I: იყოფვოდეს

ნამყო ძირითადის წყება:

ნამყო ძირითადი: იყო
ხოლმეობითი: იყვის
კავშირებითი II: იყოს

¹ ვაჟა-ფშაველა: „დანაბარები“, I (1946), გვ. 246.

² ვ. ხორნაული: ფშაური მილექს., გვ. 25.

³ ვაჟა-ფშაველა: ალუდა ქეთელაური, III, გვ. 205.

უფრო ძველი ვითარება სხვაგვარია: გვაქვს ორი **ნაკვთი** — **იყვის** და **იყო**. **იყვის** მერმინდელი აწმყოს ადგილს იჭერდა ნაკვთთა სისტემაში; მისგან იწარმოებოდა ნამყო უსრული და კავშირებითი პირველი:

ხოლმეობ.: **ვიყვი** — არქ. ნამყო უსრ.: **ვიყოდი** — კავშირებ. პირველი: **ვიყოდე** — ფშაური: **ვიყოდი, ვიყოდე** ამის მათუწყებელია.

2. **უარყოფითს ბრძანებითში ფშაურ და ხევსურულ ხოლმეობით-თან ნუ-** ნაწილაკია გამოყენებული:

ნუ მიტიროდით: თუ მაგათ ჯავრი შავჰამა ნუ
მიტიროდით მკვდარია!¹

ნუ გაჰჯადოდეთ: სასხვათოდ ნუ გაჰჯადოდეთ, მუხრანში
იდგა ცხვარია!
სასხვათოდ ნუ გაჰჯადოდეთ ჩემი
ნარტყამი ჯმალია!
სამადლოდ ნუ გაჰჯადოდეთ იმერელთ
ნეფის ქალია!²

მიტიროდით ხოლმეობითია (თხოვნითი შინაარსისა), **გაჰჯადოდეთ** კავშირებითი პირველია (იმავე შინაარსისა); ორივე **ნუ** ნაწილაკი უძღვის... მიტიროდით, გაჰჯადოდეთ ნამყო ძირითადის წყების ნაკვთი რომ იყოს, **არ** ნაწილაკი უნდა გამოეყენებინათ უარყოფისათვის (არ მიტირო! არ გახადო! არ მოიტანო!) და თუკი **ნუ** ნაწილაკი იგუა ზმნამ, ჩანს, პირველი წყების ნაკვთთან გვქონია საქმე (ნუ მიტირებ! ნუ გახდი! ნუ მოიტანი!).

დაგვრჩა უპასუხოდ ერთი კითხვა. ფშაურ-ხევსურულ ხოლმეობითში შეუკუმშავი ფუძე აქვს ისეთ ზმნებს, როგორცაა **გაზარდიდი**, **გადაუჯადიდი**... ასეთი ფუძე კი ნაკვთთა მეორე წყებას შეეფერება, ნაკვთთა პირველ წყებაში ფუძე შეკუმშულია: აწმყო-მყოფ. **გაზარდის**, **გადაუჯადის**... თუ ფშაურ-ხევსურული ხოლმეობითი პირველი წყების ნაკვთია, რატომაა ფუძე შეუკუმშავი? რატომ არაა ფუძე შეკუმშული?

ამაზე უნდა ვუპასუხოთ: ნაკვთთა გარჩევა ფუძის კუმშვა-უკუმშველობის მიხედვით მეორეულია. ძველად აწმყოს წყებაშიაც შევხვდებოდით შეუკუმშავ ფუძეს (იზარდებოდა — ახ. ქართ. იზრდებოდა-ს ნაცვლად).

¹ ბეს. გაბუური, „წელიწადი“, გვ. 215.

² ქართ. ხალხ. პოეზია, I, გვ. 23.

ცოცხალ მეტყველებაში უნდა გვქონოდა კილოები, რომელთაც ყველა ნაკვთში შეუკუმშული ფუძე ახასიათებდა და კილოები, რომელთაც ყველა ნაკვთში შეუკუმშავი ფუძე ქონდათ; ამ ორი განსხვავებული ტიპის შეხამებაა ცნობილი ნორმა: აწმყოს ჯგუფში შეუკუმშული ფუძით (ზრდის... შლის...) და ნამყო ძირითადის ჯგუფში შეუკუმშავი ფუძით (გაზარდა, გაზარდის... გაშალა, გაშალის...). დაწვრილებით ამაზე — აქვე, § 16.

ყოველივე ზემოთქმული გვაგალებს დავასკვნათ: ფშაური და ხევსურული (*resp.* თუშური) ხოლმეობითი ნაკვთთა პირველი წყების წევრია. ამ ხოლმეობის მესამე პირი იგივეა, რაც ძვ. ქართულის ხოლმეობითის მესამე პირი.

მეორე და პირველი პირი კი ემთხვევა **არქაულ ნამყო უსრულს**: ნამყო უსრულის საწარმოებელი სუფიქსი **-დ-ი**, საყრდენი ფუძე — ხოლმეობითი, ერგატიული კონსტრუქცია თანაბრად ახასიათებს არქაულ ნამყო უსრულსაც და ფშაურ-ხევსურულ ხოლმეობითს.

რაც შეეხება **-დ-ი** სუფიქსის წინამავალ ხმოვანს, აქ ფშაური იმეორებს ძველი ქართულის არქაულ ნამყო უსრულს¹. ხევსურულში **-ი** გვაქვს (ვთქვი-დ-ი). მაგრამ ეს ხმოვანი საყრდენი ფუძის — ხოლმეობითის — კუთვნილებაა მაშინაც, როცა უცვლელადაა წარმოდგენილი (ვთქვიდი) და მაშინაც, როცა ბაგისმიერთან **-ლ-**ს იძლევა (ვთქვილ-დ-ი).

ხოლმეობითის ისტორიული რაობის გათვალისწინება ფშაური და ხევსურული (*resp.* თუშური) ხოლმეობითის აღნაგობის თავისებურებას გასაგებს ხდის.

§ 19. თურმეობითი პირველის წარმოება და ხოლმეობითის ადგილის საკითხი². როგორც ახალს, ისე ძველს სალიტერატურო ქართულ ენაში თურმეობითი — წარმოების მიხედვით — დაკავშირებულია უპირატესად აწმყოსთან, გარკვეულ შემთხვევებში — ნამყო ძირითადის, ნაკვთთა მეორე წყების ფუძესთან.

¹ კორნ. კეკელიძე ერთგან ძველი ქართული ძველის გამოცემისას შენიშნავს: „სასურადღებოა არაჩვეულებრივი თითქოს დილექტური ფორმები ზმნისა: აღასრულნოდინან, ეზიარნოდინან, იყოდინან, განათოდინან... შდრ. ვაჟა-ფშაველა: საფლავი გამითხაროდი, ქვიშანი მომაყაროდი...“ კიმენი, II, გვ. 136. მკვლევარს ფშაური უსაფუძვლოდ არ მოგონება.

² აქ გადმოცემული ერთგვარი შეკვეცილ იმეორებს ჩვენს წერილს „თურმეობითი პირველის წარმოების ერთი თავისებურება...“ (დაიბეჭდა „ლიტერატურულ ძიებან“-ში, II (1944).

აწმყოს ფუძეს მეტწილად იყენებენ ისეთი ზმნები, რომელთაც აწმყოს ფუძეში **-ებ-**, **-ენ-**, **-ევ-** მოუღის ანდა ამ სუფიქსებს არ იყენებს, მაგრამ ფუძედრეკალია:

-ებ- :	აწმყო:	ა-შენ-ებ-ს	(ნამყო ძირითადი: აშენ-ა)	—	თურმეობ. I:	უ-შენ-ებ-ი-ა
	„	ა-კეთ-ებ-ს	(„ „ აკეთ-ა)	—	„ „	უ-კეთ-ებ-ი-ა
	„	ა-რიგ-ებ-ს	(„ „ არიგ-ა)	—	„ „	უ-რიგ-ებ-ი-ა
	„	ა-წეს-ებ-ს	(„ „ აწეს-ა)	—	„ „	უ-წეს-ებ-ი-ა
-ენ- :	„	ა-დგ-ენ-ს	(„ „ ადგინ-ა)	—	„ „	უ-დგ-ენ-ი-ა
	„	ა-ცთ-ენ-ს	(„ „ აცთინ-ა)	—	„ „	უ-ცთ-ენ-ი-ა
	„	ი-თმ-ენ-ს	(„ „ ი-თმინ-ა)	—	„ „	უ-თმ-ენ-ი-ა
	„	ა-რჩ-ენ-ს	(„ „ არჩინ-ა)	—	„ „	უ-რჩ-ენ-ი-ა
-ევ- :	„	ა-მტვრ-ევ-ს	(„ „ ამტვრი-ა)	—	„ „	უ-მტვრ-ევ-ი-ა
	„	ა-მჩნ-ევ-ს	(„ „ ამჩნი-ა)	—	„ „	უ-მჩნ-ევ-ი-ა
	„	ა-რბ-ევ-ს	(„ „ არბი-ა)	—	„ „	უ-რბ-ევ-ი-ა

-ენ- და **-ევ-** სუფიქსიან ზმნებს ნამყო ძირითადის ჯგუფში **-ი-** აღმო-აჩნდებათ: ადგინა, არჩინა, ამტვრია, არბია... თურმეობითის კავშირი აწმყოს ფუძესთან მკვეთრადაა გახაზული: უდგენია, ურჩენია... (და არა „უდგინია“, „ურჩინია“).

ეგვევ ითქმის სხვა სახის ფუძედრეკადი ზმნების შესახებაც:

აწმყო:	გრეხ-ს	(ნამ. ძირ.: გრინ-ა)	—	თურმ. I:	უ-გრეხ-ი-ა
	გლეჯ-ს	(„ „ გლიჯ-ა)	—	„ „	უ-გლეჯ-ი-ა
	კვნიტ-ს	(„ „ კვნიტ-ა)	—	„ „	უ-კვნიტ-ი-ა
	დღვებ-ს	(„ „ დღვიბ-ა)	—	„ „	უ-დღვებ-ი-ა

აწმყოს ფუძეა ამოსავალი **-ავ-** და **-ამ-** ფუძიანი ზმნებისათვის:

აწმყო:	კლ-ავ-ს	(ნამ. ძირ.: კლ-ა)	—	თურმ. I:	უ-კლ-ავ-ს
	წვ-ავ-ს	(„ „ წვ-ა)	—	„ „	უ-წვ-ავ-ს
	ზოგ-ავ-ს	(„ „ რდა ¹ ზოგ-ა)	—	„ „	რდა ¹ უ-ზოგ-ავ-ს
	მარხ-ავ-ს	(„ „ მარხ-ა)	—	„ „	უ-მარხ-ავ-ს
	კერ-ავ-ს	(„ „ კერ-ა)	—	„ „	უ-კერ-ავ-ს
	თეს-ავ-ს	(„ „ თეს-ა)	—	„ „	უ-თეს-ავ-ს
	ჩაგრ-ავ-ს	(„ „ ჩაგრ-ა)	—	„ „	უ-ჩაგრ-ავ-ს
	აბ-ამ-ს	(„ „ აბ-ა)	—	„ „	უ-ბ-ამ-ს
	სვ-ამ-ს	(„ „ სვ-ა)	—	„ „	უ-სვ-ამ-ს
	ასხ-ამ-ს	(„ „ ასხ-ა)	—	„ „	უ-სხ-ამ-ს

-ავ- და **-ამ-** სუფიქსიან ზმნებს ცოცხალს მეტყველებაში ხშირად **-ი-აც** მოუდის: უწვია, უზოგია, უკერია, უმარხია (II უმარხნია), დაუთესია (II დაუთესნია), დაუბია, დაუდგია...

კითხვა ისმის: ხომ არ ემყარება ასეთი წარმოება ე. წ. სტატიკურ ვნებითს? მარხია — უმარხია... აბია — უბია... თესია — უთესია.. (სხვა ტიპის ზმნებთან: აგდია — უგდია... წერია — უწერია, აწყვია — უწყვია)... ასეთ შემთხვევაში საორიენტაციოდ ისევ აწმყო დაგვრჩებოდა, ოღონდ არა მოქმედებითი გვარისა (მარხავს, თესავს, აბამს, აგდებს, წერს), არამედ ე. წ. სტატიკური ვნებითი. მაგრამ ამას ვერ განვაზოგადებთ: **-ია** მრავალ ისეთ ზმნას მოუდის, რომ სტატიკური ვნებითი არ გააჩნია (სვამს, დგამს, კერავს, ჩაგრავს, ასხამს... გრეხს... გვის, ყიდის...).

ამისდა კვალად უნდა დავასკვნათ: **-ია** წარმოება (**ავ, ამ-**იან ზმნათა) მეტ წილ შემთხვევაში აწმყოს არ გულისხმობს, არც მოქმედებითსა და არც ვნებითს.

როცა აწმყოში **-ი-** სუფიქსი გვაქვს, აწმყოსთან კავშირი ცხადია, თუ კი ფუძისეული ხმოვანი დაკარგული აქვს აწმყოს ფუძეს, მაგრამ შენარჩუნებული აქვს ნამყო ძირითადს:

აწმყო:	შლ-ი-ს	(ნამ. ძირ.:	შალ-ა)	—	თურმ. I:	უ-შლ-ი-ა
	სვრ-ი-ს	(„ „	სვარ-ა)	—	„ „	გა-უ-სვრ-ი-ა
	გვ-ი-ს	(„ „	გავ-ა)	—	„ „	და-უ-გვ-ი-ა
	თლ-ი-ს	(„ „	თალ-ა)	—	„ „	უ-თლ-ი-ა

მაგრამ სადაც ასეთი განსხვავება არა ჩანს და აწმყოსა და ნამყო ძირითადის ფუძე არაა გარჩეული, აწმყოს სასარგებლოდ საკითხი შეიძლება გადაწყდეს მხოლოდ ანალოგიის საფუძველზე; მაგალითად:

აწმყო:	თარგმნ-ი-ს	(ნამ. ძირით.:	თარგმნ-ა)	—	თურმ. I:	უ-თარგმნ-ი-ა
	გზავნ-ი-ს	(„ „	გზავნ-ა)	—	„ „	უ-გზავნ-ი-ა
	წონ-ი-ს	(„ „	აწონ-ა)	—	„ „	უ-წონ-ი-ა
	ტკეპნ-ი-ს	(„ „	ტკეპნ-ა)	—	„ „	უ-ტკეპნ-ი-ა

ასეთ შემთხვევაში აწმყოზე ორიენტაცია **-ი-** სუფიქსის საკითხსაც აჩენს: რა მიმართებაშია უ-თარგმნ-**ი-ა-ს** **-ი-** თარგმნ-ი-ს ფუძის **ი-**სთან; იგივეა, თუ სხვა, ორი **-ი-**დან ერთის დაკარგვის შემდეგ დარჩენილი?

მაგრამ თუნდაც რომ გამოვრიცხოთ ამგვარი ზმნები, აგრეთვე **-ავ-** **-ამ-**იანი ზმნები, რომელთაც პარალელური **-ი-**ა წარმოებაც აქვთ და ე. წ. სტატიკურ ვნებითს არ ემყარებიან, მაინც დაგვრჩება რამდენიმე ტიპი, **სა-** **დაც აწმყოს ფუძე გარკვევით ჩანს თურმეობითი პირველის ფუძეში.**

მეორე მხრით, **აწმყოს ფუძის საწარმოებელი სუფიქსი თურმეობითს პირველში არა ჩანს,** და **ამოსავლად ნამყო ძირითადის¹** ფუძეა გამოყენებული არც თუ იშვიათად ისეთ ზმნებში, რომელთა ფუძესაც **-ებ-** და **-ობ-** სუფიქსები აწარმოებს:

-ებ-:	აწმყო:	ავს-ებ-ს	(ნამ. ძირ.:	ავს-ო)	—	თურმეობ. I:	უ-ვს-ი-ა
	„	იწყ-ებ-ს	(„ „	იწყ-ო)	—	„ „	უ-წყ-ი-ა
	„	იგ-ებ-ს	(„ „	გა-იგ-ო)	—	„ „	გა-უ-გ-ი-ა
	„	ასწრ-ებ-ს	(„ „	ასწრ-ო)	—	„ „	მო-უ-სწრ-ი-ა
-ობ-:	აწმყო:	ა-შრობ-ს	(„ „	აშრ-ო)	—	თურმეობ. I:	უ-შრ-ი-ა
	„	ა-ქრობ-ს	(„ „	აქრ-ო)	—	„ „	უ-ქვრ-ი-ა
	„	ა-ლობ-ს	(„ „	ალობ-ო)	—	„ „	უ-ლობ-ი-ა
	„	ა-ხმ-ობ-ს	(„ „	ახმ-ო)	—	„ „	უ-ხმ-ი-ა
	„	ა-ცნ-ობ-ს	(„ „	ა-ცნ-ო)	—	„ „	უ-ცვნ-ი-ა
	„	სპ-ობ-ს	(„ „	მო-სპ-ო)	—	„ „	უ-სპ-ი-ა

და სხვ.

აწმყოს სუფიქსი (**-ებ-**, **-ობ-**) თურმეობითში აქ არა ჩანს; ე. წ. სტატიკური ვნებითი ამ ზმნებს არ მოეპოვებათ („შრია“, „ქვრია“, „ცვნია“... არც გვაქვს და არც წარსულში ივარაუდება). ამრიგად, ზემოხსენებულ ზმნებში ნამყო ძირითადის ფუძეა (მეორე წყების ფუძე) თურმეობითი I-თვის საყრდენი.

როგორია საქმის ვითარება ძველს ქართულში? **არებითად იმგვარი-ვე,** როგორც ახალ ქართულში აღმოჩნდა: ამოსავალი ფუძე ხან აწმყოსეულია, ხან კიდევ — ნამყო ძირითადისეული. განსხვავება იმაშია, რომ არა ერთს შემთხვევაში აწმყოს ფუძეა გამოყენებული იქ, სადაც ახალ ქართულში ნამყო ძირითადის ფუძეს მიმართავს ენა.

I. თურმეობითი პირველი აწმყოს ფუძეს იყენებს ამოსავლად ისევე, როგორც ახალ ქართულში:

¹ ზუსტად ნაკვთა მეორე წყების ფუძე.

-ებ- სუფიქსიანი ზმნები:

აწმყო: **ამზად-ებ-ს** — თურმ. I: **უ-მზადებ-ი-ე-ს** (ახ. ქართ. უმზად-ებ-ი-ა):

...სადა არს პური ანუ პირად-პირადი სანოვავც რწლი მაგას და უ მ -
ზ ა დ ე ბ ი ე ს... კიმ. I, 134₂₆.

აწმ.: **უტევ-ებ-ს** — თურმ. I: **უ-ტევებ-ი-ე-ს** (ახ. ქართ. უტოვებია):

...და აწ და უ ტ ე ვ ე ბ ი ე ს შჯული ესე ჩუენი... აბო 68₃₃.

...არა და გ ი ტ ე ვ ე ბ ი ე ს სიცოფც და უგუნურებაა შენი... აბო 73₁₁.

აწმ.: **უბრძან-ებ-ს** — თურმ. I: **უ-ბრძანებ-ი-ე-ს** (ახ. ქართ. უბრძანებია):

...მათ ჰრქუეს გ ი ბ რ ძ ა ნ ე ბ ი ე ს ოწ... კიმ. I, 159₂₉.

აწმ.: **აწეს-ებ-ს** — თურმ. I: **უ-წეს-ებ-ი-ა:**

...მაგას ნულარა იქმ თუ არა მამასა გა უ წ ე ს ე ბ ი ა რომელ გარე
გაგიყვანო... ათონ. 41₁₀.

...მიცვალეზულთა მამათათჳს ხანძთაჲ განმიწესებია... ხანძთ. იდ₁₃ ქვ.

აწმ.: **აღ-ასრულებ-ს** — თურმ. I: **აღუსრულ-ებ-ი-ე-ს** (ახ. ქართ. ა-უსრულებია):

...აწ მრავალთა წელიწადთა ჩემსა მამასახლისობასა კანონი მამისა
ჩემისაჲ საქმით ა ღ მ ი ს რ უ ლ ე ბ ი ე ს... ხანძთ. პბ₇ ქვ.

-ავ- სუფიქსიანი ზმნები:

აწმ.: **ჰკლ-ავ-ს** — თურმ. I: **მო-უ-კლ-ავ-ს** (ახ. ქართულშიც ასევეა):

...გულის ჳმა ყო ვწ მოძღუარსა მისსა მოუკლავს იგი ... საბა 8₂₉.

აწმ.: **ამო-ი-კითხ-ავ-ს** — თურმ. I: **ამო-უ-კითხ-ავ-ს** (ახ. ქართ. ამო-უკითხ-ავ-ს, დიალ. ამო-უკითხ-ნ-ი-ა).

...არცა-ლა მე იგი ა ღ მ ო მ ი კ ი თ ხ ა ვ ს რწლ იტყჳს... კიმ. I, 143₂₃.

აწმ.: **იხილ-ავ-ს** — თურმ. I: **უ-ხილ-ავ-ს:**

...არა რადსა გემოდ უ ხ ი ლ ა ვ ს... სამცხ. კლარჯ. მოწ. 17.

აწმ.: **იტჯრთ-ავ-ს** — თურმ. I: **უ-ტჯრთ-ავ-ს** (ახ. ქართ. უ-ტვირთ-ავ-ს):

...მადლისა რტოჲ უ ტ ჳ რ თ ა ვ ს... სასულ. სკა₁₀ – ქვ.

...მოვედით ჩემდა ყწნი რწლთა გ ი ტ ჳ რ თ ა ვ ს ტჯრთი მძიმც...
ბოლნ. 9₃.

-ამ- სუფიქსიანი ზმნები:

აწმყო: **«ი/უ-თქუ-ამ-ს»** — თურმ. I: **უ-თქუ-ამ-ს** (ახ. ქართ. უ-თქვ-ამ-ს, დიალ. უ-თქვია).

...არა სადა ვერე ვის უთქუამს კაცსა ვჳრ მას კაცსა... ჰადიშ.
171 b₂.

...მე აღმითქუამს... მარტოდ მყოფებაჲ... ხანძთ. თ₁₄ ქვ.

-ევ-სუფიქსიანი ზმნები :

აწმ.: **ძლ-ევ-ს** — თურმ. I: **უ-ძლევ-ი-ე-ს** (ახ. ქართ. უ-ძლევ-ი-ა):

...და ეტყოდე. მიძლევის სიკუდილსა... სასულ. ტმ₁₁.

აწმ.: **ი-რჩ-ევ-ს** — თურმ. I: **უ-რჩ-ევ-ი-ე-ს** (ახ. ქართ. უ-რჩ-ევ-ი-ა):

...სიკუდილი უფროდს ცხორებისა აღურჩევის... წარტყუნ. კდ₂₃.

ისეთ შემთხვევაში, როგორცაა: მოგიყიდიეს (კიმ. I, 150₃₅, აღუწერიეს (კიმ. I, 136₁₂), მომიქსოიეს (კიმ. I, 179₃₉), უვლიეს (საბა მვ)^{...}, ძნელი სათქმელია, აწმყოს ფუძეა საწარმოებელი თუ ნამყო ძირითადისა.

მაგრამ აწმყო გამორიცხულია, — მოქმედებითი გვარიცა და ე. წ. სტატიკური ვნებითიც—, საწარმოებელი ფუძე უდაოდ ნამყო ძირითადის ჯგუფისაა, ნაკვთა მეორე წყებისაა, ისეთ ზმნებთან, როგორცაა: უწყიეს, შეურაცხიეს, უსწავიეს, დაუმცნია...

აწმყო: **ი-წყ-ებ-ს** (ნამყ. ძირ.: ი-წყ-ო, პერმ.: ი-წყ-ი-ს) — თურმ. I:

უწყ-ი-ე-ს (ახ. ქართ. და-უწყ-ი-ა):

...და არცა წერილთა თარგმნად უწყიეს... ათონ. 297₃.

...მიწყიეს მე თხრობად საქმისა ამისა... წარტყუნ. იმ₁₆.

აწმყო: **შე-რაცხ-ავ-ს** (ნამ. ძირ.: შე-რაცხ-ა, პერმ.: შე-რაცხ-ი-ს) —

თურმ. I: **შე-ურაცხ-ი-ე-ს**:

...წმიდად შევირაცხიეს თავი შენი... წარტყუნ. ი9.

...უცხოდ შემირაცხიეს თავი ჩემი... კიმ. I, 116₁₉.

უმჯობესად შემირაცხიეს... ხანძთ. ბ₁.

აწმყო: **ასწავ-ებ-ს** (ნამყ. ძირ.: ასწავ-ა, პერმ.: ასწავ-ი-ს) — თურმ. I:

უსწავ-ი-ე-ს (ახ. ქართ. უსწავლია).

გისწავიეს სიბრძნე ეგე... კიმ. I, 49₂.

კურანი არა გისწავიესა... რავახ. 95₁₇.

აწმყო: **ამცნ-ებ-ს** (ნამ. ძირ.: ამცნ-ო, პერმ.: ამცნ-ი-ს) — თურმ. I: **უმცნ-ი-ა**:

...დამიმცნია მეტრაპეზისადა რომელ არავინ აღვიდგეს წინა...

ათონ. 51₁₄.

ამრიგად, როგორც ახალს, ისე ძველ ქართულში, საწარმოებელი ფუძის სხვაობა ფაქტია: ხან აწმყოს ფუძეა ამოსავალი და ხან ნამყო ძირითადისა, (უფრო ზუსტი იქნებოდა გვეთქვა, — ხოლმეობითისაო: თურმეობითის ფუძე, მას რომ ქცევის პრეფიქსები და -ე- სუფიქსი მოვაცილოთ, ხოლმეობითის ფუძეს დაემთხვევა:

მან	იწყ-ი-ს	—	მას	უწყ-ი-ა
„	შე-რაცხ-ი-ს	—	„	შეუ-რაცხ-ი-ე-ს
„	ამცნ-ი-ს	—	„	უმცნ-ი-ე-ს უ-მცნ-ი-ა.

აქ განზე ვტოვებთ უწყ-ი-ე-ს, უ-მოს-ი-ე-ს ტიპის ზმნებს: მათი ფუძე ე. წ. სტატიკურ ვნებითს ემყარება, თუმცა სტატიკური ვნებითისა და ხოლმეობითის ფუძე ერთმანეთს ხვდება: უწყ-ი-ე-ს — წერ-ი-ს, უ-მოს-ი-ე-ს და ჰ-მოს-ი-ს... განზე ვტოვებთ ჰ-ყიდ-ი-ს ტიპის ზმნებს: მათი ფუძე აწმყოშიც, ხოლმეობითშიც ერთნაირია (იგი ჰ-ყიდ-ი-ს — მან ყიდ-ი-ს). განზე ვტოვებთ არა იმიტომ, რომ მას ჰმოს-ი-ე-ს ტიპის ზმნის -ი-, იგი ჰ-ყიდ-ი-ს ტიპის -ი- და ხოლმეობითის -ი- (შე-ჰ-მოს-ი-ს, მან ყიდ-ი-ს) სხვადასხვა ღირებულების ოდენობაა **ისტორიულად**. პირიქით, **ისტორიულად** აქ ერთი და იმავე მნიშვნელობის -ი- ფორმანტი გვაქვს და ამ ფორმანტის ძირითადი ფუნქცია ხოლმეობითში უფრო ჩანს, ვინემ სხვა ზემოხსენებულ წარმოებაში.

ამ ტიპის ზმნებს განზე ვტოვებთ იმ მიზნით, რომ გამოიყოს უდაო მაგალითები, სადაც აწმყოს გვერდით ხოლმეობითიცაა თურმეობითის წარმოებისას გამოყენებული.

როგორღა ეს შესაძლებელი? რა აქვს საერთო აწმყოსა და ხოლმეობითს, რომ ერთი მეორეს ენაცვლებოდეს? პასუხი ცხადია: **გარდამავალი ზმნების უღვლილებაში ძველად ხოლმეობითს ეკავა ის ადგილი, რაც შემდეგ აწმყოს განეკუთვნა, ხოლმეობითისაგან იწარმოებოდა ის, რაც შემდეგში ამოსავლად აწმყოს ფუძეს იყენებდა.**

თურმეობითი პირველის წარმოებაში, მაშასადამე, ამ ძველი ვითარების ნაშთი შემოგვრჩა.

აქედან ერთი დასკვნაც გამომდინარეობს: თურმეობითი პირველის წარმოებაში **უფრო ძველია ის ტიპი, როცა ამოსავლად ხოლმეობითის ფუძეა გამოყენებული, შედარებით უფრო ახალია აწმყოს ფუძისაგან წარმოება** (მხედველობაში გვაქვს აწმყოს მოქმედებითი გვარისაგან წარმოება): **უწყ-ი-ე-ს** — ძველი ტიპის წარმოებაა, **უმზად-ე-ბ-ი-ე-ს** — ახალი ტიპისაა.

სიახლე-სიძველეზე რომ ვლაპარაკობთ, ივარაუდება ზეპირ ცოცხალ მეტყველებაში წარმოქმნა; სამწერლო ენაში ვითარება თავისებურია: ძველ ქართულში არა ერთგან გვაქვს აწმყოს ფუძისაგან ნაწარმოები თურმეობითი პირველი მაშინ, როდესაც ახალ ქართულში იგი ნაკვთა მეორე ჯგუფის ფუძეზეა დაფუძნებული:

ძვ. ქართ. აწმყო: ი-ღ-ე-ბ-ს — თურმ. I: **მი-უ-ღ-ებ-ი-ე-ს** (შდრ. ახ. ქართ. **მი-უ-ღ-ი-ა**):

...შრომათა მათთა წილ მი უ ლ ე ბ ი ე ს სიხარული... ხანძთ. ბ13 ქვ.

...რლთა ჩემგან მი უ ლ ე ბ ი ე ს ბეჭედი იგი... კიმ. I. 810.

...უსასყიდლოდ მი გ ი ლ ე ბ ი ე ს უსასყიდლოდცა მისცემდით... ჰადიმ.

20 a1.

...ამას დღეს ა ლ უ ლ ე ბ ი ე ს დავითის ქნარი იგი თჳსი და გალობს წე ჩემსა... კიმ. I, 18733.

აწმყო: შე-უ-ნდ-ობ-ს — თურმ. I: ძვ. ქართ. **შე-უ-ნდ-ობ-ი-ა / ე-ს** — (ახ. ქართ. **შე-უ-ნდ-ვ-ია**: შდრ. ძვ. ქართ. პერმანს. შე უ ნ დ ვ ი ს):

რომელი იგი გმო, მისგან შეინდოს... და მე შე მ ი ნ დ ო ბ ი ა... ათონ. 327 ქვ.

აწმყო: ს-ცნ-ობ-ს — თურმ. I: ძვ. ქართ. **უ-ცნობ-ი-ე-ს** (ახ. ქართ. **უ-ცვნ-ი-ა**):

...არცა ვის უ ც ნ ო ბ ი ე ს მამაჲ გარნა ძესა... კიმ. I, 17413.

...შეცდომილხარ... და ვერვე გ ი ც ნ ო ბ ი ე ს¹ იგი... კიმ. I, 14220.

...მი ც ნ ო ბ ი ე ს¹ მისი მრავალი სულგრძელებაჲ... მი ც ნ ო ბ ი ე ს მრავალი მისი მოწყალებაჲ... ბოლნ. 118.

აწმყო: ს-დებ-ს — თურმ. I: ძვ. ქართ. **უ-დებ-ი-ე-ს** (ახ. ქართ. **უ-დვ-ი-ა**):
...დაღაცათუ... თავს უ დ ე ბ ი ე ს დათმენაჲ... ხანძთ. დ15.

აწმყო: ი-ძინ-ებ-ს — თურმ. I: **და-უ-ძინ-ებ-ი-ე-ს** (ახ. ქართ. **და-უ-ძინ-ი-ა**):

...მჭურვალეზამან შეიპყრა ყრმაჲ იგი და უ ძ ი ნ ე ბ ი ე ს და ვერ შემძლებელს არს მოსლვდ... საბა ასურ. 1720.

...ჰემსას მივიწიე და მუნ და მ ი ძ ი ნ ე ბ ი ა მეორედ მოსლვადმდე... ხანძთ. მდ10.

...აწმცა და მ ი ძ ი ნ ე ბ ი ე ს და დყუდებულ ვარ და-მ ც ა-მ ი ძ ი ნ ე ბ ი ე ს ძილი საუკუნოდ და გან მ ი ს უ ე ნ ე ბ ი ე ს... წარტყუნ. ლმ3.

¹ „გიცნობის“ — „გაგვიცა“, „მიცნობის“ — „გამიგვიცა“.

აწმყო: ჰ-ყ-ოფ-ს — თურმ. I: ძვ. ქართ. **უ-ყ-ოფ-ი-ე-ს** || **უ-ყ-ოფ-ი-ა** (ახ. ქართ. უ-ყ-ი-ა, მაგალ.: და უყვია, უარუყვია):

...სარწმუნოებად უვარ უყოფიეს და არს იგი ურწმუნოთა უძვრს... ხანძთ. **ლე**₁₂.

...ათმვდმეტი წელი და უყოფია სახლსა შინა ჩემსა... კიმ. I, 164₁₀.

...აქამომდე ვერვის ჯელ უყოფიეს და ვერცაღავინ ჯელ ჰყოფს... ათონ. 324₁₆.

...შენ ხარ პანსოფი რლსა შეურაცხ გიყოფიეს პატივი უკუდავთა ღმერთთა... კიმ. I, 48₃₀.

...გულისწმა მიყოფიეს მისი ყოველი მოთმინებად... ბოლნ. 11₁₀.

...მოძღუარ ესე ყლი მიყოფიეს სიჭაბუკით... ჰალიშ. 86 **a**₂.

აწმყო: მი-ს-ც-ემ-ს — თურმ. I: ძვ. ქართ. **მი-უ-ც-ემ-ი-ა** || **მი-უ-ც-ემ-ი-ე-ს** (ახ. ქართ. **მი-უ-ც-ი-ა**):

...წარვედით ამიერ და განემორენით რამეთუ უფალსა მიუცემიეს ეგე ჯელთა მტერთასა... წარტყუნ. **იბ**₂₅.

...მითხარდა ...რაოდენი რად მიგიცემიეს სასყიდლად... კიმ. I, 150₃₄.

...რად იგი ჯელთა შენთა... მიმიცემიეს... თვთ უწყი... ათონ. 44₈.

...ძმათა შენთა ღღესა შინა ერთსა რად მკონ მიმიცემია... ხანძთ.

ნა₁₄ ქვ.

„უცემია“ ახალ ქართულშიც გვაქვს, ოღონდ მნიშვნელობით განსხვავებულია (ესაა სცემს, სცემა — ზმნის თურმეობითი): მისცა ზმნის თურმეობითი კი „მიუცია“ იქნება. ძვ. ქართულში კი ამ უკანასკნელისათვისაც უ-ც-ემ-ი-ე-ს (|| უ-ც-ემ-ი-ა) იხმარება.

მიუცია — წარმოებით ძველია, უცემია — წარმოებით უფრო ახალია, ახალ ქართულში აღმოჩნდება იგი თუ ძველ ქართულში.

თურმეობითი წარმოებაში მერყეობას იჩენს, ძველსა და ახალ ვარიანტებს პარალელურად ხმარობს ზოგჯერ ძველი ქართულიც.

თურმ. I: **უ-გ-ებ-ი-ე-ს** და **უ-გ-ი-ე-ს**:

...გჯუენე მეუფებად შენი რლ მოგიგებიეს... კიმ. I, 144₂₇.

...არა მომიგიეს მე საქმე, რომლითაცა უბრალო ვიბოვც წინაშე საყდართა შენთა... ხანძთ. ი₁₉ ქვ.

...ყოველთა კეთილთა საუხჯედ და მასწავლელად მოგვგიე, შიონეტარო... სასულ. **ტფ**₅.

შდრ. აგრეთვე: **უ-ფლ-ობ-ი-ე-ს** და **უ-ფლ-ი-ე-ს**:

...რადმეთუ ხედვითცა არა მიფლობიეს ხილვად მისი... წარტყუნ. მდ¹⁰.
...იჲჳ ქჲნ თქუა მიფლიეს გუამი ჩემი დადებად. მიფლიეს
მერმე აღებად იგი... სახისმეტყ. 13₆.

..თუ ფრინველსა უფლიეს მოკლვად გუამისა თვისისა... იქვე 14₇.

...უფალი იყავნ შენ თანა... მას მხოლოსა უფლიეს რადთა მიჩუენ-
ნოს მე პირი შენი... წარტყუნ. მდ²³.

...დადათუ სიტყუად არა მიფლიეს მე... შევიდე და დავდგე
ფერჯით კერძო მისა... ბოლნ. 12¹⁰.

უფლიეს ძველია, **უფლობიეს** ახალი; განსხვავება მნიშვნელობაში-
ცაა: **უფლიეს** = უფლება აქვს; იგი აწმყოს სტატიკური ვნებითი უფროა,
ვინემ თურმეობითი პირველი, ხოლმეობითის ფუძისაგან ნაწარმოები. მა-
ინც შესაძლებლად მივიჩნიეთ აქ მოგვეყვანა უფლიეს-იც: ხსენებული
ორი ოდენობა ერთმანეთთან მეტად ახლოსაა. ეს სიახლოვე უფრო ხელშე-
სახებია **უპყრიეს**-ზმნის მაგალითზე:

...რჴლსა ყოველი ქუეყანად ნებსა შინა მისსა უპყრიეს... წარტყ. გ²³.

...კუერთხი მეფობისა მე მიპყრიეს... ათონ. 332¹¹.

შდრ. ...მოჰყუეთე ეგე რადსათჳს ქჲნდ დაუპყრია უქმად... ჰადიშ.
133 a₁.

პირველ ორ მაგალითში აწმყოს შინაარსი იგრძნობა (უპყრიეს, მიპყ-
რიეს — სტატიკური აწმყო), მესამე — თურმეობითი I ჩანს (დაუპყრია).
პრევერბის უქონლობა პირველ შემთხვევაში და პრევერბის დართვა მეორეში
შემთხვევითი არ უნდა იყოს. ამით სტატიკურობა-დინამიკურობის საკითხი
ისმის.

**§ 20. ხოლმეობითის ადგილი ნაკვთა სისტემაში და ნამყო
უსრულის წარმოება -ავ-, -ამ- სუფიქსიან ზმნათა.** ხოლმეობითის ად-
გილის გარკვევას ქართული ზმნის უღვლილების ისტორიაში შეუძლია გა-
საგები გახადოს -ავ- და -ამ- სუფიქსიან ზმნათა ნამყო უსრულის წარმოე-
ბის თავისებურება ძველ ქართულში.

ახალ ქართულშიცა და ძველშიც ნამყო უსრული იწარმოება აწმყოს
ფუძისაგან; ეს უკანასკნელი მეორდება ნამყო უსრულში; მას ერთვის -დ
სუფიქსი.

აწმყო: ს-თხოვ-ს აქებ-ს გმოზ-ს ქმნ-ის ჰ-კითხ-ავ-ს
სვამ-ს დგებ-ა

ნამყო უსრ.: ს-თხოვ-დ-ა აქებ-დ-ა გმოზ-დ-ა ქმნ-ი-დ-ა ჰ-კითხ-ავ-დ-ა
სვამ-დ-ა დგებ-ო-დ-ა

-დ- სუფიქსის წინ ხმოვანი მაშინლა გვაქვს, თუ აწმყოში ხმოვანი მოგვებოვება ფუძის ბოლოკიდურად: **ქმნ-ის** — **ქმნ-ი-დ-ა...** -დ-ს ჩვეულებრივ -ო- უძღვის, თუ აწმყოში -ი გვაქვს და ზმნა გარდაუვალია: **ვ-დგებ-ი** — **ვ-დგებ-ო-დ-ი... ყვირ-ი-ს** — **ყვირ-ო-დ-ა** (მაგრამ: **შრიალ-ებ-ს** — **შრიალ-ებ-დ-ა...**). შდრ. მეორე მხრივ: გარდამავალი — **ქმნ-ის** — **ქმნ-ი-დ-ა** და გარდაუვალი **ითქმ-ის** — **ითქმ-ო-დ-ა**.

აწმყოს -ის ნამყო უსრულში -ი- II -ო- შეეფერება, ვთქვათ, ამჟამად გარდამავლობა გარდაუვალობასთან დაკავშირებით, მაგრამ მიზეზი ეს არ უნდა იყოს: **იცოდა**, **უწყოდა** გარდამავალია, მაგრამ -ო-დ აქვს, **მისცო-დის**, **წარავლინოდის**, **განათიოდის...** **მან იგი** — გარდამავალია, მაგრამ -ო-დ მოუდის... ყველა ამ ზმნას ამოსავალ ფუძეში, როგორც ვნახეთ, -ი- ახასიათებს: **იც-ის**, **უწყ-ი-ს...** **მისც-ის**, **წარავლინ-ი-ს**, **განათი-ი-ს**: არქაული ნამყო უსრული იწარმოება ხოლმეობითისაგან (§ 9).

ი-დ II -ო-დ-ის საკითხი გვარების საკითხთან ერთად ცალკე განხილვას მოითხოვს. ფაქტია ერთი: -დ-ს წინ ხმოვანი რომ გვექნდეს, **აწმყო-შიც ხმოვანი უნდა იყოს**; თუ აწმყოს ფუძეს ბოლოში -ი ხმოვანი არ მოუდის, ნამყო უსრულის -დ-ს წინ ხმოვანი არ გვექნება.

ამის გათვალისწინებით უნდა აიხსნას ნამყო უსრულის თავისებური სუფიქსაცია ძველ ქართულში. ეს თავისებურება -ავ- და -ამ- სუფიქსიან ზმნებს ეხება.

ერთი მხრით გვაქვს:

შდრ. ახ. ქართ.

აწმყო: ვ-ხედავ... ვ-ჰ-კითხ-ავ ვ-ხედავ ვ-ჰ-კითხ-ავ
ნამყო უსრ. ვ-ხედავ-დ... ვ-ჰ-კითხ-ევ-დ ვ-ხედავ-დ-ი ვ-ჰ-კითხ-ავ-დ-ი

შდრ. ახ. ქართ.

აწმყო: აღ-ვ-უთქუ-ამ... ვ-სუამ აღ-ვ-უთქვ-ამ ვ-სვ-ამ
ნამყო უსრ. აღ-ვ-უთქუ-ემ-დ... ვ-სუ-ემ-დ აღ-ვ-უთქვ-ამ-დ-ი ვ-სვამ-დ-ი

მიმართებაშია: მას ემყარება, და ამ საყრდენს, სათანადოდ დაცულს, თვალწინ გვიყენებს. ამდენად, **ვჰკითხვედ-**, **ვჰკითხვიდ-** წარმოება **მეტად ფასეულია აწმყოს ისტორიისათვის, აწმყოში მომხდარ ცვლილებათა გასათვალისწინებლად.**

-ვიდ- (ჰკითხვიდა) მესამე პირში გვხვდება, **-ევ-დ-** (ვჰკითხვედ, ჰკითხვედ) პირველსა და მეორეში; ეს მთლად ზუსტი არაა; მართალია, **-ვ-ი-დ** ჩვეულებრივად მესამე პირში დასტურდება, მაგრამ პირველსა და მეორე პირშიც შეიძლება შეგვხვდეს. ამისდა კვალად **-ვ-ი-დ-** ტიპს საკუთარი სამივე პირი ეწარმოებოდა: ვჰკითხვიდ-ი, ჰკითხვიდ-ი, ჰკითხვიდ-ა. **-ევ-დ** თითქოს მხოლოდ და მხოლოდ პირველი ორი პირითაა წარმოდგენილი; მაგრამ არ ითქმის: მესამეში არ გვხვდება, მეტად იშვიათად, მაგრამ მესამე პირშიც გვაქვს.

ეს — მეტად საყურადღებო გარემოებაა იმ წყვეტის დახასიათებისათვის, პირველ ორსა და მესამე პირს შორის რომ შეინიშნება სხვა შემთხვევებშიც (მოვიგონოთ თუნდაც ფშაური და ხევსურული ხოლმეობითი — ტიპისა: ვ-თქოდი II ვ-თქვიდი, სთქოდი II სთქვიდი — თქვის).

იმავე დროს ცხადი ხდება, როგორ შეერწყო ერთმანეთს **-ევ-დ** (პირველი ორი პირისა) და **-ვ-ი-დ** მესამე პირისა, შეერწყო სალიტერატურო ენაში, თორემ ცოცხალს მეტყველებაში მათი სიმბიოზის საკითხი არც დამდგარა: **-ევ-დ** — ერთი დიალექტური წრის ფაქტი ჩანს, **-ვ-ი-დ-** მეორისა (**-ევ-დ-** წარმოებასაც, **-ვ-ი-დ** წარმოებასაც თავისი ყველა პირი მოეპოვებოდა).

რატომ პირველ ორ პირში **-ევ-დ** გაბატონდა¹, რატომ **-ვ-ი-დ** უნდა ქცეულიყო მესამე პირის ერთად ერთ მაწარმოებლად, ამას საგანგებო განხილვა ესაჭიროება.

აქ კი იმის აღნიშვნით დაგვმაცოფილდებით, რომ **-ვ-ი-დ** წარმოება **-ი** სუფიქსიან „აწმყოს“ ემყარება და ეს **-ი-** იგივე **-ი-** ბოლოსართია, რაც ვ-ქმნ-**ი**, ვ-ზრდ-**ი** ტიპის ზმნებს ახასიათებს, ე. ი. ხოლმეობითის **-ი** სუფიქსია (იხ. § 16).

¹ **-ევ-დ** და **-ვ-ი-დ** წარმოებათა გავრცელებულობა ძვ. ქართულში აწმყოს ფუძის წარმოქმნასთან და რიგ სხვა საკითხთან დაკავშირებით ცალკე გვაქვს განხილული. შრომაში მისი შემოტანა მოუხერხებელი იყო.

§ 21. ხოლმეობითის საკითხი ზანურში. ზანურის არც ერთ დიალექტს — არც ჭანურსა და არც მეგრულს — ხოლმეობითი არ მოეპოვება. ამ მხრივ ზანური ბარის ქართულ კილოებს (მაგალ., ქართლურს) მოგვაგონებს.

ხოლმეობითი, ცხადია, ზანურშიც უნდა გვქონოდა (ისევე, როგორც ბარის ქართულ კილოებში იგი, რა თქმა უნდა, იყო).

ამას გვაგვარაუდინებს არა მხოლოდ ანალოგია; ყურადღებას იპყრობს ზანური ზმნის უღვლილების ერთი თავისებურება. მხედველობაში გვაქვს ე. წ. **პოტენციალისის ფუძის შედგენილობა**¹.

პოტენციალისი ვნებითის **ერთ-ერთი** სახეობაა მეგრულში და თითქმის **ერთად ერთი** სახეობა ჭანურში. იხმარება პოტენციალისი უპირატესად ნაკვთთა პირველ ჯგუფში (აწმყოს ჯგუფში):

ჭან.-მეგ. ი შ ვ ე (ნ)² — ისმება, ჭ.-მ. ი ჭ კ ო მ ე (ნ) — იჭმება, ჭ.-მ. ი რ დ ე ნ — „იზრდება“, შეიძლება გაიზარდოს, ჭ.-მ. ი ჭ ვ ე (ნ) — „იწვება“, შეიძლება დაიწვას, ჭ. ი ჭ კ ო რ ე ნ, მგრ. ი ჭ კ ი რ ე (ნ) — იჭრება, შეიძლება გაიჭრას, მგრ. ი კ ვ ა თ ე (ნ) — „იკვეთება“, შეიძლება გაიკვეთოს, ჭ. ი გ უ ბ ე ნ (II იგბენ)³ — „იხარშება“, შეიძლება მოიხარშოს, მგრ. ი ხ ა შ ე (ნ) — შეიძლება მოიხარშოს, ჭ. ი თ ქ ვ ე ნ — „ითქმის“, ჭ.-მ. ი ჭ ა რ ე (ნ) — „იწერება“, შეიძლება დაიწეროს...

საკმარისია პოტენციალისის ფორმას ჩამოგაცილოთ **ი-** პრეფიქსი და **-ე-ნ-** სუფიქსი და მივიღებთ ნაკვთთა **მეორე ჯგუფის ფუძეს** (ნამყო ძირითადის ფუძეს):

ი-შვ-ენ: **-შვ-**; შდრ. მგრ. მოქმ. გვ. ნ. ძირ. გე-შვ-ი „შესვი“, „დალიე“...

ზან. **-შვ-** — ქართ. **-სვ-** (ძვ. ქართ. **-სუ-**)

ი-ჭკომ-ენ: **ჭკომ-**; შდრ. ჭ. ქო-ჭკომ-უ, მგრ. ო-ჭკომ-უ, „შეჭამა“...

ზან. **-ჭკომ-** — ქართ. **-ჭამ-**.

ი-რდ-ენ: **-რდ-**; შდრ. მგრ. მო-რდ-ი „გაზარდე“...

ზან. **-რდ-** — ქართ. **ზა-რდ-**.

¹ იხ. „ჭანურის გრამატიკული ანალიზი“, § 33, გვ. 210-216; „პოტენციალისის კატეგორია ქართველ. ენებში“, ენიმკი-ს მოამბე, I, გვ. 32-39.

² ფრჩხილებში ჩასმული **-ნ** ჭანურში ყოველთვის ისმის, მეგრულში — მარტოოდენ ხმოვნის წინ.

³ ი გ ბ ე (ნ) მეგრულშიც იხმარება, ოღონდ აბრეშუმის პარკისა და აბედის ხარშვის („გბობის“) აღსანიშნავად.

ი-**ჭვ**-ენ: **-ჭვ**; შდრ. ზან. ღო-**ჭვ**-ი „დაწვი“...

ზან. **-ჭვ** — ქართ. **-წვ** (ძვ. ქართ. **-წუ**).

ი-**ჭკორ**-ენ, ი-**ჭკირ**-ენ(ნ): **-ჭკორ**- || **-ჭკირ**-; შდრ. ჭან ღო-**ჭკორ**-უ.

მგრ. ღო-**ჭკირ**-უ „გაჭრა“, „დაჭრა“...

ზან. **-ჭკორ**- — ქართ. **-ჭარ**- (ღილ. გა-**ჭარ**-ი).

ი-**კვათ**-ენ: **-კვათ**-; შდრ. მგრ. გო-**კვათ**-უ „გაკვეთა“...

ზან. **-კვათ** — ქართ. **-კვეთ**-.

ი-**თქვ**-ენ: **-თქვ**-; შდრ. ზან. **თქვ**-ი „თქვი“...

ზან. **თქვ** — ქართ. **თქვ**-, ძვ. ქართ. **-თქუ**-...

პოტენციალისის შესაბამის წარმოებაში ქართული ზმნა აწმყოს ფუძის სუფიქსებს შეიცავს:

ი-მვ-ენ, შდრ. ი-სმ-**ებ**-ა... ი-ჭკომ-ენ, შდრ. ი-ჭმ-**ებ**-ა... ი-რდ-ენ, შდრ. ი-ზ-რდ-**ებ**-ა... ი-ჭვ-ენ, შდრ. ი-წვ-**ებ**-ა... ი-ჭკორ-ენ, შდრ. ი-ჭრ-**ებ**-ა... ი-კვათ-ენ, შდრ. ი-კვეთ-**ებ**-ა... ი-თქვ-ენ, შდრ. ი-თქმ-**ებ**-ა || ი-თქმ-**ი**-ს...

ზანური ხსენებული ზმნების შესატყვისი იქნებოდა: *ი-სვ-ი-ს... *ი-ჭმ-ი-ს... *ი-ზრდ-ი-ს... *ი-წვ-ი-ს... *ი-ჭრ-ი-ს... *ი-კვეთ-ი-ს... *ი-თქვ-ი-ს...

აქედან ი-წვ-ი-ს (და-ი-წვ-ი-ს || და-ი-წვ-ებ-ა) რეალური შესაძლებლობაა, სხვები კი ამჟამად აღდგენილ ფორმებსა წარმოადგენს. ვნებითის რეალური ფორმები **აწმყოში** სათანადო მოქმედებითის ფუძისაგან იწარმოება და, ბუნებრივია, თუ შეიცავს აწმყოს მოქმედებითის სუფიქსებს, ხშირად **-ებ**- სუფიქსით გართულებულს: სვ-ამ-ს — ი-სმ-ებ-ა (← ი-სმ-ებ-ა); ჭამ-ს — ი-ჭმ-ებ-ა; ზრდ-ი-ს — ი-ზრდ-ებ-ა; წვ-ავ-ს — ი-წვ-ებ-ა... ჭრ-ი-ს — ი-ჭრ-ებ-ა; კვეთ-ს — ი-კვეთ-ებ-ა; *თქვამს — ი-თქმ-ებ-ა (← ი-თქმ-ებ-ა) || ი-თქმ-ი-ს (← ი-თქმ-ი-ს)...

რატომ „გვაკლია“ **-ებ**- სუფიქსის ეკვივალენტი ზანურ პოტენციალისში? იმიტომ, რომ იგი ნაწარმოებია მეორე წყების ნაკვთა ფუძისაგან (ნამყო ძირითადის ფუძისაგან) და არა აწმყოს ფუძისაგან.

როგორ იყო შესაძლებელი **აწმყოს** პოტენციალისი ეწარმოებინათ მეორე წყების ნაკვთა ფუძისაგან?

ისევე, როგორც **გამოგეცხადოდი** აწარმოვეს **გამოგეცხადი**-საგან, **მოგეცხენოდა** — მოგეცხენ-ი-საგან: **პოტენციალისის შესაბამისი მოქმედებითი ზანურში** უნდა ყოფილიყო **ხოლმეობითი** („ძველი აწმყო“).

ზანური პოტენციალისის ნამყო უსრული ი შ ვ ე დ უ „ისმებოდა“, იჭკომედუ „იჭმებოდა“ და მისთ. სრული ანალოგონია გამოგეცხადოდი, მოგეცხადოდა-სი (შდრ. გამოგეცხად-ებ-ო-დ-ი, მოგეცხად-ებ-ო-და... იხ. ზევ.)¹.

§ 22. ხოლმეობითის საკითხი სვანურში. ხოლმეობითს არც სვანური იცნობს; ეს ერთგვარად მოულოდნელია: სვანურ ზმნას ყველა ის ნაკვთი მოეპოვება, რასაც ძველი ქართულიდან ვიცნობთ (და რიგი სხვაც). რიგს შემთხვევაში სვანური ძალიან ახლოს დგას ერთ-ერთ დიალექტურ ინგრედიენტთან, რომელიც ძველ ქართულ სალიტერატურო ენაში გამოიყოფა.

რატომ არა გვაქვს სვანურში ხოლმეობითი? ყოველივე იმის შემდეგ, რაც ხოლმეობითისა და აწმყოს ურთიერთობის შესახებ ითქვა, ბუნებრივი იქნებოდა აწმყოს წარმოებისათვის მიგვექცია ყურადღება: ხომ არა გვაქვს აქ შემონახული ის ნაკვთი, რომელსაც შეეძლო ხოლმეობითი ყოფილიყო სვანურში?

აწმყოს საწარმოებელ სუფიქსებად სვანურში გვაქვს: **-ე**, **-ი**, **-ა** და ნოლი (ფუძე ბოლოვდება თანხმოვანზე)²:

-ე: ზსვ. აკრ-ე, ლნტ. აკპრ-ე „აღებს“; ზსვ. ანკ-ე „ავაკებს“
ბზ. ჭგშხშ-ე „ფერხულს აბამს“, ლტაჭრ-ე „ვაჭრობს“...

-ი: ზსვ. ავნი-ი, ლნტ. ავპნი-ი „ხნავს“; ზსვ. აშხი-ი „წვავს“
ზსვ. ახგრჯაშ-ი, ლნტ. ახარჯაშ-ი „ხარჯავს“
ბზ. აწხაშ-ი, ეცრ. აწუხაშ-ი „აწუხებს“

-ა: ხაჩ-ა „ეცინება“, „უხარია“, ხაყ-ა „ყავს“, ხალ-ა „წყინს“...

თანხმოვანზე დაბოლოებული (უხმოვნო):

იკედ — „იღებს“, აგემ „აგებს“,

ბზ. იღრალ, ლშხ. იღრალ „მღერის“...

¹ ჭანურისაგან განსხვავებით მეგრულში ჩვეულებრივია პოტენციალისისაგან გარჩეული ვნებითი: პოტ. იჭე ე-(ნ) — ვნ. იჭ-უ-უ(ნ), პოტ. იჭკომ-ე-ნ — ვნ. ი-ჭკომ-უ-უ(ნ), პოტ. ი-ხაშ-ე-(ნ) და ი-ხაშ-უ-ნ... (ასეთი ვნებითი ჭანურში სპორადულად თუ დაჩნდება).

მეგრულის ეს ვნებითიც არაა დამყარებული სათანადო მოქმედებითის ფუძეზე (როგორც ეს ახალს ქართულში გვაქვს).

² ვ. თოფური: სვანური ენა. I. ზმნა, §§ 21-22; გვ. 72 და შემდეგ.

-ა სუფიქსი გარდაუვალ ინვერსიულ ზმნებს ახასიათებს, თანხმოდანზე დაბოლოებული ფუძეები — ვ. თოფურიას სამართლიანი დასკვნით — მიღებულია **-ე, -ი, (-ა)** სუფიქსთა მოკვეცის შედეგად¹.

ამრიგად გვრჩება **-ე, -ი**, როგორც **ძირითადი სუფიქსები**, აწმყოს წარმოებისას.

საყურადღებოა ვ. თოფურიას დებულება, რომ „დიალექტების მიხედვით ზოგჯერ ერთსა და იმავე ზმნას აწმყოში თემისეული ბოლოსართი სხვადასხვა აქვს“²:

ბზ. ატყბ-ე „ხორცეულს წვავს“, შდრ. ლშხ. ატყბ-ი

ზსვ. ლშხ. აბაბ-ე „ანიავენს“, შდრ. ბალსქვ. აბაბ-ი

ბალსზემოურში დასტურდება: ხომეღ-**ე** და ხომეღ-**ი**...

კითხვა ისმის: ხომ არაა **-ე** სუფიქსი ზანური ვარიანტი **-ი** სუფიქსისა³ და, მაშასადამე, ხომ არა გვაქვს ამ შემთხვევაში ერთი და იგივე ფორმანტი, ორი დიალექტური (**resp.** ენობრივი) წრიდან მომდინარე სვანურში?

ასეთ შემთხვევაში ორივე სუფიქსი (**-ე, -ი**) ისტორიულად **-ი** სუფიქსამდის ავიდოდა, **-ი** სუფიქსი აღმოჩნდებოდა სვანური აწმყოს ძირითადი სუფიქსი.

მაგრამ ასეც რომ არ იყოს, **-ე** და **-ი** სუფიქსები სხვადასხვა წარმომავლობისა და რომ აღმოჩნდეს, **-ი** სუფიქსის ხვედრი წონა სვანური ზმნის აწმყოს წარმოებისას მაინც გაცილებით დიდია ქართული ანალოგიური სუფიქსის ხვედრ წონასთან (მკ-**ი**-ს, ჯსნ-**ი**-ს...) შედარებით.

სწორედ ამ **-ი**-სუფიქსიან ზმნებში უნდა იყოს დაცული სვანური ხოლმეობითი ისევე, როგორც ქართული მკ-**ი**-ს, ჯსნ-**ი**-ს, გზავნ-**ი**-ს...-ში გვაქვს გააწმყოებული ხოლმეობითი.

ქართულში ეს ზმნები ძველად, როგორც ვიცით (იხ. § 16), ერგატიულ კონსტრუქციას მოითხოვდნენ (**გზავნის, განჯსნის მან იგი**), შემდეგ კი ნომინატიური კონსტრუქციაც გაიჩინეს (**ჰგზავნ-ი-ს, გან-ჰჯსნის — იგი მას**): რიგ შემთხვევაში ხოლმეობითისა და აწმყოს დიფერენციაციაც მოხდა (**შალის, ზარდის მან იგი — ჰშლ-ი-ს, ჰზრდ-ი-ს იგი მას** (დაწვრილებით ამაზე — ზემოთ, § 15).

¹ ხსენ. შრომა, § 21, გვ. 73, აგრეთვე გვ. 79-80.

² იქვე, § 24, გვ. 89.

³ შდრ. ძვ. ქართ. ვარ-ი, ჭან. ვორ-ე, მგრ. ვორ-ე-ქ (სვ. ხ-ჟარ-ი).

სვანურში მორფოლოგიური ვითარება წინანდებური დარჩა. განსხვავება სინტაქსურ კონსტრუქციაში გამოიხატა:

ნ. ძირითადი (აორისტი):

ზსვ. -ოთ-კალაჲ ← ათჲ-აკალაჲ¹ შდრ. აწმყო: ზსვ. ა-კალაჲ-ი
 ათ-კალაჲ ← ათ-ა-კალაჲ ლნტ. ა-კალაჲ-ი
 ად-კალაჲ-ე ← ად-ა-კალაჲ-ე

აქ ორი ფუძე გვაქვს ***ა-კალაჲ** ნამყო ძირითადისა და ***ა-კალაჲ-ი** აწმყოსი. მათ შორის ისეთივე შეფარდებაა, როგორცაა ნამყო ძირითადსა და ხოლმეობითს შორის ძვ. ქართულში (ნ. ძირით.: ვ-კალ, ვ-ყავ- ვ-ჰსენ, პერმანს: ვ-კლ-ი, ვ-ყვ-ი, ვ-ჰსენ-ი...): ნ. ძირითადს დაერთვის **-ი** და აწარმოებს ხოლმეობითს. ასევეა სვანურშიც: ნ. ძირით. *ათჲ-აკალაჲ, უბრევერბოდ: **-აკალაჲ**, აწმ. **ა-კალაჲ-ი** (→ აკალაჲ-ი). ეს აწმყოა ისტორიულად ხოლმეობითი სვანურში.

ასეთი შეფარდება ნამყო ძირითადსა და ხოლმეობითს შორის გვაქვს არა ყოველთვის, არამედ ზმნათა ერთ ჯგუფში. მაგრამ ესეც საკმარისია ამ შეფარდების ისტორიული რაობის გარკვევისათვის.

საინტერესოა, რომ აწმყო-ხოლმეობითის **-ი** სვანურში გადაყვება ნამყო უსრულში; ზოგ დიალექტში ეს **-ი** ფონეტიკურ მიზეზთა გამო გაუჩინარებულა და მისი აღდგენა ხდება საჭირო; ვ. თოფურიამ ამ **-ი**-ს ასე აღადგენს:

ნ. უსრ. ბზ. ხუალაჲ-დ-ა-ს ← *ხუალაჲ-ი-დ-ა-ს ვთესავდი²
 ხალაჲ-დ-ა-ს ← *ხალაჲ-ი-დ-ა-ს თესავდი
 ალაჲ-დ-ა ← ალაჲ-ი-დ-ა თესავდი

¹ ბარადიგმა ამოღებულია ვ. თოფურიას ხსენ. შრომიდან, § 36, გვ. 140.

² ხსენ. შრომა, § 23, გვ. 75; იხ. აგრეთვე ტაბ. X. გვ. 102-103. -ი სუფიქსი, ავტორი აღადგენს კანონზომიერად; სადააო ნ. უსრულის მაწარმოებლად და-ს გამოყოფა (§ 28, გვ. 106). საამისო სუფიქსი -დ უნდა იყოს; მომდევნო -ა კი -ას- II -ასგუ სუფიქსის კუთვნილება ჩანს.

-● სუფიქსი ნამყო უსრულს ეკვეცება ლენტეხურში¹.

ბეჩოურში -● სუფიქსი ნამყო უსრულში დაცულია:

ბეჩ. აწმყო: აკლწთხ-ი „ამაღლებს“ — ნ. უსრ.: აკლწთხ-ი-ღ-ა
„ამაღლებდა“
„ აკლწთ-ი „ლეწავს“ („აკალოებს“) — ნ. უსრ.: აკლწთ-ი-ღ-ა
„ლეწავდა“
„ ავწნ-ი „ხწავს“ — ნ. უსრ. ავწნ-ი-ღ-ა
„ხწავდა“...².

აწმყო-ხოლმეობითისეული -● სვანურ ნამყო უსრულში ისევე რეა-
ლურია, როგორც ჰჰჰჰჰ-ი-ს ტიპის ზმნებში ძვ. ქართლისა (ჰჰჰჰ-●-ღ-ა)
და როგორც ხევსურულისა და თუშურის პერმანსივში (გაკეთ-●-ღ-ი...).

სვანური აწმყო-ხოლმეობითის -● რიგ საკითხს აღძრავს. ეს საკითხე-
ბი აწმყოს ფუძის ჩამოყალიბებასთანაა დაკავშირებული და ცალკე გან-
ხილვას მოითხოვს.

§ 23. ხოლმეობითი და გარდაუვალი სტატიკური ზმნები.

გარდამავალი ზმნის უღვლილებაში ძველად გაიჩნეოდა ორი ასპექტი: გან-
გრძობითი (დიურატიული) და ერთბაში, წერტილებრივი (მომენტობრივი).
ორ ასპექტს შეესაბამებოდა ორი ნაკვეთი: ხოლმეობითი და ნამყო ძირითა-
დი (პოვ-ი-ნ მან იგი, პოვ-ე-ნ მან იგი).

ხოლმეობითი ფუნქციით აწმყოს ეთვისებოდა: განგრძობითი ასპექ-
ტისა და ზოგადი აწმყოს გამიჯვნა ფუნქციათა მიხედვით შეუძლებელია.

ხოლმეობითისა და აწმყოს ფუნქციური ურთიერთობის საკითხს ვარ-
კვედით, პირველ რიგში, გარდამავალ ზმნათა უღვლილების მიხედვით.

აღირაცხოდიან, შეიწიროდიან, მოგეჰსენოდის, ევედ-
რის და სხვ. მსგავსი მაგალითები (იხ. ზევით, გვ. 63). მოწმობს, რომ
ვწნეობითი გვარის ზმნებშიც დასტურდება ხოლმეობითისა და აწმყოს
თვისობა.

¹ იქვე, § 27, გვ. 101.

² იქვე, § 25, გვ. 94.

საშუალო გვარის ზმნათაგან ვიდ-ი-ს, ვიდ-ო-დ-ა-ს მაგალითი იყო განხილული. ამ ზმნას ნამყო ძირითადიც აქვს (ვედ-ი-ნ: მო-ვედ-ი-ნ იგი) და ხოლმეობითიც (ვიდ-ი-ს: მო-ვიდ-ი-ს იგი).

ცალკე განხილვას საჭიროებს ე. წ. საშუალო გვარის დეფექტური ზმნები, — სახელდობრ, საშუალო გვარის ისეთი ზმნები, რომელთაც თავისი ფუძისა ან მხოლოდ აწმყო ეწარმოებათ ანდა მხოლოდ აწმყოს წყების ნაკვთები.

ამ ზმნებიდან პირველ რიგში იმათი საკითხი დგება, რომელთაც ფუძის საწარმოებლად -ი სუფიქსი აქვთ ანდა ჰქონდათ, მაგრამ დაეკარგათ (და ამის დამტკიცება ხერხდება). მხედველობაში გვაქვს:

1. **ერთპირიანი** ზმნები, -ი- სუფიქსი რომ დაუცავს:

a) იგი ზ-ი-ს, რბ-ი-ს, დ-ი-ს, ტყუვ-ი-ს, ოხრ-ი-ს, ძრწ-ი-ს, ყუაგ-ი-ს, ყვრ-ი-ს...

b) იგი ცრემლოვ-ი-ნ, თესლოვ-ი-ნ, პერუვ-ი-ნ, მალლოვ-ი-ნ, ნათ-ი-ნ...

2. **ორპირიანი** გარდაუვალი ზმნები, -ი- სუფიქსი რომ დაუცავს:

მას იგი ჰნატრ-ი-ს, ჰშუენ-ი-ს, სწყურ-ი-ს, ჰმში-ი-ს (← ჰმშიგ-ი-ს), ჰრცხუენ-ი-ს...

3. **ერთპირიანი** ზმნები, რომელთაც -ი- სუფიქსი ქონდათ და დაუკარგავთ: იგი დუმ-ს, დულ-ს, ბორგავ-ს...

4. **ორპირიანი** გარდაუვალი ზმნები, რომელთაც -ი- სუფიქსი ქონდა და დაუკარგავთ: სწადს, ჰსურს, სძულს...

დუმ-ს ← **დუმ-ი-ს**; შდრ. დუმ-ი-ლ-ი:

...და ს დ უ მ ი თ მკუდართა აღდგომასა... უდაბ. 30 v.

ბორგ-ავ-ს || **ბორგ-ი-ს**; შდრ. სი-ბორგ-ი-ლ-ი:

...ნუ ჰ ბ ო რ გ - ი - თ თქუენცა ს ი ბ ო რ გ ი ლ ი ს ა მაგისისა მსგავსად... კიმენი I, 143₂₄.

ს-ძულ-ს ← **ს-ძულ-ი-ს**; შდრ. სი-ძულ-ი-ლ-ი:

და ჩ^ნ გ უ ძ უ ლ ი ს იგი... უდაბ. 37 r.

ს-წად-ს ← **ს-წად-ი-ს**; შდრ. წად-ი-ლ-ი:

...გულის ვმა ყოს რად იგი ს წ ა დ ი ს სულსა ჩემსა... ბოლნ. 12₁₇.

...მრწამს რ^ს ს წ ა დ ი ს გულთა თქ^ნთა... ბოლნ. 75₁₁.

ჰსურს ← **ჰსურ-ი-ს** (← ჰსურ-ვ-ი-ს?); შდრ. სურ-ვ-ი-ლ-ი:

...ჩ^ნცა გუწადის და გ უ ს უ რ ი ს ხილვად მისი... ბოლნ. 82₃.

...და ს უ რ ი ს ნაწლევთა ჩემთა სწადის თუალთა ჩემთა ხილვად პირისა მისისა... ბოლნ. 81₁₀.

...რაღზომცა მიახლებად ს უ რ ი ნ შურს (= შორს) იპოვნიან... ითიკა ბას. 41 r.

...ლაღადებენ ს უ რ ვ ი ე ლ ა დ ეძიებენ წადიერებით წარწყმედულსა მას.. ბოლნ. 31₁₅.

ახლა ითქმის **ყარ-ს**; ძვ. ქართულში უნდა გვექონოდა ყრ-ი-ს ← ყარ-ი-ს; ამას გვაფიქრებინებს ნამყო უსრ. **ყრ-ო-ღ-ი-ს**:

ჰრქუა მას მართა ღამან მის მკუდრისამან ოო აწ ყ რ ო დ ის რ ოთხისა დღისაჲ არს... ჰადიშ. 179 b₂ ინ 11₃₉.

...და მოწყდა მყუარი და ყ რ ო და ქუეყანაჲ... გამოსლ. 8₁₄.

„წ უ ხ ს, დ უ ღ ს, ქ უ ხ ს და მსგავს ზმნებსაც ქონდა -**ი** ისევე, როგორც ს წ ყ უ რ ი ს, ყ უ ა ვ ი ს, ყ ღ ა ვ ი ს, ტ ყ უ ვ ი ს და მსგავსთა“¹. საკონტროლო საშუალებაა მასდარში შემონახული -**ი**: წუხ-ს, მაგრამ წუხ-**ი**-ღ-ი, დუღ-ს — დუღ-**ი**-ღ-ი...: სადაც მასდარში -**ი** გვაქვს, აწმყოშიც -**ი** უნდა ყოფილიყო (შდრ. დუმ-**ი**-ღ-ი, წად-**ი**-ღ-ი, სურ-ვ-**ი**-ღ-ი...).

რიგი საშუალო ზმნის აწმყოს დაკარგული აქვს ფუძის -**ი** სუფიქსი. მაგრამ ეს არ ნიშნავს, თითქოს აწმყოს ფუძეში სხვაგვარი ცვლილება არ მომხდარიყოს. არა, სხვაგვარი ცვლილებებიც მომხდარა. განსაკუთრებული მნიშვნელობისა ჩანს ის ცვლილებები, რაც -**ავ**, -**ან** სუფიქსიან ზმნებსა და მათს პარალელურ ვარიანტებში მომხდარა. გასარკვევია, კერძოდ, -**ავ**, -**ან** და -**ი** სუფიქსიან ზმნათა ურთიერთობა². აწმყოს ფუძის ჩამოყალიბების პროცესს ვერ გავარკვევთ, თუ ეს ცვლილებები არ აღინუსხა. ეს ეხება გარდაუვალ ზმნებსაც და გარდამავალთაც და სპეციალურს შესწავლას საჭიროებს. აქ ჩვენ ვიფარგლებით საშუალო გვარის -**ი**- სუფიქსიანი ზმნებით (და გაკვრით ვეხებით მათი ფუნქციის საშუალო გვარის სხვა უ-ინო ზმნებს).

-**ი** სუფიქსიანი ზმნები — ზ-ი-ს, ყუავ-ი-ს, ყვრ-ი-ს, ჰმუნ-ი-ს, ს-წყურ-ი-ს, ჰ-მში-ი-ს... და მათი რიგისა უძველესი ფორმაციისა; მათ ვერ გაიჩინეს უღვლილების ნაკვთა სტანდარტული წყება, შემოგვინახეს ის ვითარება, რაც სტანდარტების გაჩენას წინ უსწრებდა.

¹ სახელის ფუძის უძველ. აგებულება, § 94, გვ. 222.

² გაკვრით ამას გ. დეეტერსი ეხება; იხ. „ქართველური ენების ზმნა“, §§ 411, 412, გვ. 218.

რა ასპექტისაა ეს ზმნები? განგრძობითისა (დიურატიულისა) თუ წერტილებრივისა (მომენტობრივისა)? პოვ-ი-ნ, აკეთ-ი-ნ ასპექტისა თუ პოვ-ე-ნ, აკეთ-ე-ნ ასპექტისა? არჩევანი მას არა აქვს. აქ **მხოლოდ ერთი ვარიანტი გვაქვს** და ეს **ვარიანტი განგრძობითი ასპექტისაა**¹.

შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ ამ ზმნებში -ი გვაქვს: **ძველი ქართულის აწმყო იგივე ხოლმეობითია ყველა იმ ზმნისათვის, რომელთაც -ი სუფიქსი აქვთ საწარმოებლად და ნაკვთთა პირველი ჯგუფი ეწარმოებათ.** -ი სუფიქსის დანიშნულება უნდა ყოფილიყო, ეჩვენებინა განგრძობითობა ზმნის ფუძით გადმოცემული ვითარებისა: ზის = ზემყოფია, ზემყოფობს, ყუავის = აყვავებულა, ყვავილიანია; ყურის = ყვირილს გამოსცემს, მყვირალია; სწყურის = მოწყურებულია, წყურვილს განიცდის.

ხოლმეობითის -ი და ხსენებულ გარდაუვალ ზმნათა -ი ისტორიულად ერთი და იგივე ოდენობაა.

§ 24. დიურატიულობა და სტატიკურობა გარდაუვალ და გარდამავალ ზმნებთან. რა მიმართებაშია გარდაუვალ ზმნათა ეს განგრძობითი ასპექტი სტატიკურობასთან? ყველა ზემოხსენებული -ი- სუფიქსიანი ზმნა სტატიკურია. **გარდაუვალი ზმნის სტატიკურობა იგივე დიურატიულობაა: ყოველი სტატიკური ზმნა დიურატიულია; სტატიკური ზმნა არ შეიძლება იყოს მომენტობრივი, შეუძლებელია არ იყოს დიურატიული.**

მაგრამ ყოველი დიურატიული ზმნა არაა სტატიკური: დიურატიული ასპექტი სტატიკურ ზმნებს ხომ აქვს და აქვს, იგი შეიძლება აღმოაჩნდეს დინამიკურსაც, გარდამავალსაც და გარდაუვალსაც.

- | | | |
|-----|-------------------|--|
| I. | სტატიკური | ზ მ ნ ბ, ყ უ ა ვ ი ს, რ ბ ი ს... დიურატიულია |
| II. | დინამიკური | ჯ დ ე ბ ი ს, ა დ ყ უ ა ვ ნ ე ბ ი ს... და ჯ დ ი ს, ა დ ყ უ ა ვ ნ ი ს... დიურატიულია
(და გარდაუვალი) |
| | | დ ა ჯ დ ა, ა დ ყ უ ა ვ ნ ა... მომენტობრივია
(და გარდაუვ.) |
| | დინამიკური | პ ო ვ ი ნ, ა კ ე თ ი ნ... დიურატიულია
(და გარდამავალი) |
| | | პ ო ვ ე ნ, ა კ ე თ ე ნ... მომენტობრივია
(და გარდამავალი) |

¹ ანალოგიური აზრი უნდა იყოს გამოთქმული ივ. ჭავთარაძის მიერ, — ვვარაუდობთ — და ეს ფასეულია, — ჩვენგან დამოუკიდებლად. იხ. თეზისი (§ 8) საკანდიდატო დისერტაციისა: დეფექტური ზმნები ქართულში (თუმცა -ი-ზე არაა ლაპარაკი).

პირუკუ:

დიურატიული ასპექტისა შეიძლება იყოს **სტატიკური** ზმნაცა და **დინამიკურიც** (გარდაუვალიცა და გარდამავალიც).

მომენტობრივი ასპექტისა შეიძლება იყოს მხოლოდ **დინამიკური** (გარდაუვალიც, გარდამავალიც).

მომენტობრივი ასპექტისა ვერ იქნება სტატიკური ზმნა!

რა თქმა უნდა, დიურატიულობა და მომენტობრივობა, ერთი მხრივ, სტატიკურობა და დინამიკურობა, მეორე მხრივ, სხვადასხვა განზომილების მოვლენაა: პირველ შემთხვევაში ზმნის **ასპექტს** ვახასიათებთ, მეორეში — **ზმნებს** (სხვაობა ნათლად ჩანს დინამიკურობა-მომენტობრივობის შეპირისპირებისას როგორც გარდამავალ, ისე გარდაუვალ ზმნებში).

მაგრამ, ვიმეორებ, სტატიკურობა და დიურატიულობა ერთმანეთს ხვდება გარდაუვალ ზმნებში (საშუალო გვარისა); აქ **სტატიკური ასპექტი შეიძლება იყოს მხოლოდ დიურატიული**.

ზმნის ჩამოყალიბების სათავე აქაა: სტატიკურ-დიურატიული საწყისით ზმნა მინიმალურად განსხვავდება სახელისაგან. ამგვარივე სიძველის პრეტენზია შეიძლება ქონდეს წით-ს, ახ-ს ტიპის ზმნათა წარმოებას: „წით ცაჲ“ ნიშნავს „წითლად ჩანს“, „წითლობს“ (თუ შეიძლება ასე ითქვას).

ეს ტიპი ყველაზე ძველია, ოღონდ **ნასახელარ** ზმნათა ხაზით (პირველადი ზმნები ამ წესით არ იწარმოება)¹.

წითს სრული ანალოგონია აფხაზურ ნასახელარ ზმნათა: დგ-ძღაბ-უბ „ის გოგოა“ (ზედმიწვევით: „გოგობს“, — ძღაბ „გოგო“)... იხუჭ-უხ „ის (რალაც) პატარაა“ (ზედმიწვევ.: „პატარაობს“)...

დიურატიულობა ჩვენს მაგალითებში -ი სუფიქსით გადმოიცემოდა. სტატიკურ ზმნათა წყებაში ეს -ი მოგვეპოვება. ზმნათა წყებაში -ი არ მოგვეპოვება, მაგრამ ვიცით, რომ იყო და დაიკარგა (სწადს, ჰსურს, დუმს...). შეიძლება თუ არა დავასკვნათ, რომ სტატიკურობა უცილობლად გულისხმობს -ი სუფიქსის არსებობას? რასაკვირველია, არა: შეიძლება სტატიკური ზმნა გქონდეს და -ი- ფორმანტი ფუძეს არ ერთვოდეს (პირუკუ: -ი სუფიქსი დინამიკურ ზმნებთანაც დასტურდება: ჯდებ-ი-ს, დგებ-ი-ს, კუდებ-ი-ს...).

¹ წითს-ტიპის სიძველე მართებულადაა აღნიშნული ივ. ქავთარაძის მონოგრაფიაში: „დეფექტური ზმნები ძველს ქართულში“ (თეზისები § მ), ოღონდ ეს ტიპი ვერ იქნება უფრო ძველი, ვინემ რ ბ ის — ტიპი.

მაშ, რა მორფოლოგიური ნიშანია დამახასიათებელი სტატიკური ზმნებისათვის? ძველ ქართულ **სალიტერატურო** ენაში ისეთი პოზიტიური ნიშანი, საერთო რომ იყოს ყველა სტატიკური ზმნებისათვის, უკვე აღარ იქებნება.

უნდა კი ყოფილიყო: ჩვენთვის ცნობილი -**ი** სუფიქსი ნიშანდობლივი ჩანს გარკვეული დიალექტური (*resp.* ენობრივი) წრისათვის; სხვა დიალექტურ თუ ენობრივ ერთეულებს, რაც ძველი ქართული სალიტერატურო ენის შედგენილობაში გამოიყოფა, შეიძლებოდა სხვა ნიშანი ქონოდა. ეს განსხვავებული მონაცემები შეადლდა ძველმა ქართულმა სალიტერატურო ენამ: მისი განვითარების უძველეს ეტაპზე ეს პროცესი უკვე დიდი ხნის მომხდარი ჩანს, ნაირ-ნაირი მასალა მტკიცედაა შეკრული ძველი ქართულის მორფოლოგიურ სისტემაში.

სტატიკური ზმნებია ძველ ქართულში არა მხოლოდ — ზის, ყუავის, რბის, ყივის, სწყურის, ჰმშიის, ჰხურ¹ის, სწად¹ის, დუმს..., -ი სუფიქსი რომ აქვს ანდა რომ ქონდათ, — **სტატიკურია**: წევს, დევს... დვას, ჩანს, აქუს... ჰყავს, ზრუნავს, ჰგავს, ბრწყინავს, ფრინავს, სძინავს, ღუძავს... გალობს, ნათობს, ჰმადლობს, ვაჭრობს, მეფობს... სტატიკურია: ჰმოსიეს, უპყრიეს, ჰგონიეს, უფლიეს... და სხვ. ე. წ. სტატიკური ვნებიტები.

სხვადასხვა აღნაგობისა და ნაირ-ნაირი დიალექტური კუთვნილებისაა ეს ზმნები; **საერთო დადებითი მორფოლოგიური ნიშანი მათ აღარ ეძებნებათ, საერთოა უარყოფითი ნიშანი**: არც ერთი მათგანი არ იგუებს პრევერბს (სრული სახის გადმოსაცემად)¹... პრევერბი თუ დაერთვის, მხოლოდ მოძრაობის **მიმართულების** აღსანიშნავად, სივრცეში დეტერმინაციის გადმოსაცემად; ასეთია, მაგალითად, მოჩანს, დაჰნათის, მირბის, მორბის... მიღის, მოღის... ამ მხრივ ძვ. ქართული უფრო შეზღუდულია, ვინემ ახალი ქართული. თავის მხრივ, ეს უკანასკნელი დიდად ჩამორჩება ჭანურსა და მეგრულს; აქ პრევერბი სტატიკურ ზმნებს ისევე უხვად დაერთვის, როგორც აფხაზურში².

¹ აკ. შანიძე პრევერბის დაურთველობას მედიალურ (ე. ი. საშუალო გვარის) ზმნათა დამახასიათებლად თვლის. იხ. „ქართული გრამატიკის საფუძვლები“ (II ნაკ.), გვ. 382.

² მაგ., მეგ. ხე „ზის“, გეხე „ზის რამეზე“. ელახე „გვერდით ზის“, ეკოხე „ნაპირზე ზის“, მიშახე „რალაცაში ზის“, დიშახე „რალაცის შიგნით ზის“, დინოხე „რალაც სიღრმეში ზის“, მითოხე „რალაცის ქვეშ (ღრუში) ზის“ და ასე შემდეგ. აქ ყველგან სივრცეში დეტერმინაციაა მოცემული.

ქართულ სპეციალურს ლიტერატურაში სტატიკური ვნებითა ცნობილი¹. აქ წარმოდგენილი გაგების თანახმად **სტატიკურობას ვნებითი გვარის ნაირსახეობად ვერ მივიჩნევთ**: ვნებითი გვარი უღვლილების განვითარების გარკვეულ საფეხურს გულისხმობს, სახელდობრ ისეთს, როცა მოქმედებითი გვარი უკვე ჩამოყალიბებულია. იბერიულ-კავკასიური ენებიდან მხოლოდ ქართველურ ენებშია მოქმედებითისა და ვნებითის ჩამოყალიბების პროცესი არსებითად დამთავრებული (თუმცა გვართა გაუდიფერენცირებლობის კვალი ქართველურ ენებში საბოლოოდ არაა გამქრალი!). მთის კავკასიურ ენებში ეს პროცესი ეს-ესაა იწყება: მოქმედებითისა და ვნებითის დაპირისპირება **სისტემატური სახით** არსადა გვაქვს. რაც შეეხება სტატიკურსა და დინამიკურ ზმნებს, მათ მკვეთრად განასხვავებს ისეთი არქაული წყობის ენაც კი, როგორცაა აფხაზური², რომლისთვისაც მოქმედებითისა და ვნებითის გარჩევა უცხოა.

ამგვარად, **სტატიკურობა-დინამიკურობა შეუდარებლივ უფრო ძველი ფორმაციის მოვლენებია, ვინემ მოქმედებითი და ვნებითი გვარი**. ამიტომ ცნება „სტატიკური ზმნა“ არ შეიძლება დავუქვემდებაროთ ცნებას „ვნებითი გვარი“³.

სტატიკური ზმნები **გარდაუვალ ზმნათა ერთ-ერთი სახეობაა განვითარების გარკვეულ საფეხურზე** (იგი ბუნებრივად მოიცავს შემდგომი ხანის საშუალოსაც და გარკვეული სახის ვნებითსაც).

§ 25. სტატიკური გარდამავალი ზმნის საკითხისათვის. სტატიკური ზმნა მხოლოდ გარდაუვალი იყო თუ შეიძლებოდა ყოფილიყო გარდამავალი სტატიკური ზმნაც? გარდამავალი ზმნა სტატიკური არაა არც ახალს ქართულში და არც ძველში, სტატიკური ზმნები გარდაუვალთა შორის უნდა ვიგულოთ. შეიძლება კი ვამტკიცოთ, რომ თავიდანვე

¹ გაარჩევენ **ვნებითის** ორ სახეს: **სტატიკურსა** (წერია, ხატია, ყრია) და **დინამიკურს** (იწერება, იხატება, იყრება; ეწერება, ეხატება, ეყრება...); იხ. ა. შანიძე: ქართული გრამატიკა, § 100, გვ. 15; ქართ. გრამატ. საფუძვლები § 385, გვ. 304.

² იხ. ქ. ლომთათიძე: „დროთა წარმოება აფხაზურში“, ენიმიკ-ს მოამბე, II, გვ. 180 და შემდ.

³ გვართა და სტატიკურობა-დინამიკურობის ისტორიული ურთიერთობა არაა მხედველობაში მიღებული აკ. შანიძის „ქართული გრამატიკის საფუძვლებში“ („გვარის თვალსაზრისით სტატიკურ ზმნებს ვნებითს ვაკუთვნებთო“ (გვ. 310), შდრ. იქვე, გვ. 301; იხ. აგრეთვე ცნება „მედიაოქტივი“ (§ 371, გვ. 295).

ასევე იყო, რომ გარდამავალი ზმნა თავისი ბუნებით და, მაშასადამე, პრინციპში გამოირიცხავს სტატიკურობას, რომ იგი უცილობლად დინამიკური უნდა ყოფილიყო? არა, ამის მტკიცება არ შეიძლება.

გარდამავალი ზმნაც შეიძლება ყოფილიყო სტატიკური (ამიტომ ვთქვით ზემოთ: სტატიკურია გარდაუვალი ზმნის განვითარების გარკვეულ საფეხურზე!). მხედველობაში გვაქვს ის გარდამავალი ზმნა, რომელიც მოქმედებითი გვარისა არ იყო, ე. ი. გარდამავალი ზმნის მოქმედებითი გვარის, კერძოდ, მისი ძველი ვარიანტის, კაუზატივის, ჩამოყალიბებამდის.

ასეთი გარდამავალი ზმნის ნიმუშს გვაწვდის **იცის, უწყის** (მან იგი) **უცილობლად გარდამავალი** და **უდაოდ სტატიკური** ზმნა (იცის = მცოდნეა!). რა გვარისა? რაკი გარდამავალია, უნდა გვეთქვას „მოქმედებითისაო“, მაგრამ ვერ ვიტყვით: მოქმედებითი გვარი აქ არა გვაქვს, ამიტომ ვეა, რომ იცის, უწყის - ზმნებს ვნებითი არ ეწარმოება. „იცის“, „უწყის“ სტატიკურია და პრევერბს არ იგუებს.

ამრიგად, გარდამავლობა ძველის ძველად, როგორც ვხედავთ, სტატიკურობას არ გამოირიცხავდა.

„იცის“, „უწყის“ ზმნები ქართულში ძვირფასი ნაშთია იმ ფორმაციისა, რომელიც განვილილ საფეხურს წარმოადგენს ქართული ზმნისათვის, მაგრამ რომელიც დღემდის დამახასიათებელია მთის კავკასიური ენებისათვის.

„იცის“, „უწყის“ ზმნები ძველი საერთო ვითარების დამახასიათებელია იბერიულ-კავკასიურ ენათა გარდამავალი ზმნის ისტორიაში.

§ 26. ხოლმეობითი და უღვლილების ნაკვთა სისტემა ქართულში. ხოლმეობითისა და გარდაუვალ სტატიკურ ზმნათა ურთიერთობას გარკვეულ დასკვნამდის მივყავართ ზმნის ნაკვთა სისტემის ისტორიის შესახებ.

გარდამავალ ზმნათა უღვლილებისას, თუ დეფექტურ ზმნებს გამოვირიცხვთ, გამოყოფენ ნაკვთა სამ წყებას. ესენია: აწმყოს, ნამყო ძირითადისა და **თურმეობითის** წყება (ანუ ჯგუფი).

აწმყოს წყება:

1. აწმყო: (აქებს¹ || აქებნ) იგი მას
2. ნამყო უსრ.: აქებდა (|| აქებდის || აქებდინ) → 3. კავშ. I: აქებდეს იგი მას

¹ ვიდრე ვით მესამე პირის მიხედვით ძვ. ქართულის ძირითად ფორმათა სქემას. ბარალელურად არქაულ სუფიქსაციასაც აღვნიშნავთ.

ნამყო ძირითადის წყება:

4. ნამყო ძირითადი: აქო (II აქენ) მან იგი → 5. კავშირებითი II: აქოს მან იგი

6. ხოლმეობითი: აქის (II აქინ) „ „

თურმეობითის წყება:

7. თურმეობითი I: უქიეს (II უქია) მას იგი

8. თურმეობითი II: ექო „ „

9. კავშირებითი III: ექოს „ „

პირველი წყების საფუძველია **აწყო**, მეორისა — **ნამყო ძირითადი**, მესამეში გაერთიანებულია ინვერსიული ფორმები. კლასიფიკაცია აგებულია **წარმოების პრინციპზე**, ოღონდ საკლასიფიკაციო ნიშანი ბოლომდის არაა გატარებული: პირველსა და მეორე წყებას საფუძველად უდევს **საწარმოებელი ფუძის ერთიანობა**, მესამეს — **წარმოების პრინციპის ერთიანობა**. საერთო საწარმოებელი ფუძე მესამე წყებას არ გააჩნია. საწარმოებელი ფუძის მიხედვით რომ გაისინჯოს, მესამე წყება დაიშლება: თურმეობითი პირველი ან ნამყო ძირითადის წყებას დაუკავშირდება (უქია) ანდა აწყოსას (უ-კლ-ავ-ს). თურმეობითი II და კავშირებითი მესამე — ნამყო ძირითადის წყებას; სახელდობრ, თურმეობითი II — ნამყო ძირითადს (ექო), კავშირებითი III — კავშირებითს II-ს.

მაგრამ ეს არათანამიმდევრული კლასიფიკაციაც თავის დროისათვის თვალსაჩინო წინსვლა იყო (მანამდის დროებს ანაწილებდენ მნიშვნელობის მიხედვით და კლასიფიკაციაც ნაირ-ნაირი გამოდიოდა). ნაკვთთა კლასიფიკაცია **წარმოების პრინციპზე დაყრდნობით ნ. მარის დამსახურებას შეადგენს**.

როგორც ვთქვით, წარმოების პრინციპს თანამიმდევრულად თუ დავიცავთ, უღვლილების ნაკვთები ორ წყებად დაიყოფა: **აწყოს წყებად** და **ნამყო ძირითადის წყებად**. პირველში მოექცევა, რაც აწყოსაგან იწარმოება, მეორეში — რაც ნამყო ძირითადისაგან იწარმოება (უშუალოდ თუ შუალობით, პირდაპირი წყობისა თუ ინვერსიულისა). ეს დაჯგუფება გამოსადეგია გარდაუვალი ზმნებისათვისაც¹.

შემდეგს ჩვენს მსჯელობაში ჩვენ ამოვდივართ დებულებიდან, რომ უღვლილების ყველა ნაკვთი ორ წყებას ქმნის: **აწყოს წყებას** და **ნამყო ძირითადის წყებას**.

¹ ამ საკითხს სპეციალური განხილვა ესაჭიროება.

I. აწმყოს წყება:

1. აწმყო } → 4. თურმეობითი I (ინვერსიული წყობისა)
 } → ახ. ქართულში: მყოფადი → პირობითი.

2. ნამყო უსრული → 3. კავშირებითი I.

II. ნამყო ძირითადის წყება:

1. ნამყო ძირითადი } → 3. კავშირებითი II → 4. კავშირებითი III
 } (ინვერს. წყობისა)
 } → 6. თურმეობითი II (ინვერს. წყ.)
 2. ხოლმეობითი → 5. თურმეობითი I (ინვერს. წყ.)

რა გამოირკვა? ხოლმეობითის ისტორიასთან დაკავშირებით გამოირკვა, რომ **გარდამავალ** ზმნას ეწარმოებოდა **ნამყო ძირითადის** წყება (ხოლმეობითი, ნამყო ძირითადი და ამ უკანასკნელისაგან — კავშირებითი მეორე), მაგრამ არ **გააჩნდა აწმყოს წყება**. **გარდაუვალ სტატიკურ** ზმნებს მოეპოვებოდა აწმყოს წყება (ზოგ ზმნას მხოლოდ აწმყო!), მაგრამ არ **ეწარმოებოდა ნამყო ძირითადის** წყება. **გარდაუვალ ზმნას, რამდენადაც ის სტატიკური იყო, მხოლოდ დიურატიული ასპექტის ნაკვთები** ეწარმოებოდა (აწმყო, ნამყო უსრული); **გარდამავალ ზმნას ორი ასპექტის შესაძლებლობა** ქონდა: **მომენტობრივისათვის — ნამყო ძირითადი** (და კავშირებითი II) იყო განკუთვნილი, **დიურატიული-სათვის — ხოლმეობითი**; აწმყოს წყების დანაკლისს ავსებდა ხოლმეობითი, როგორც განგრძობითი ასპექტის ნაკვთი: **განგრძობითი ასპექტი ერთ სიბრტყეზე აყენებს სტატიკურ ზმნათა აწმყოს და გარდამავალ ზმნათა ხოლმეობითს**.

„აწმყოზე“ რომ ვლაპარაკობთ, მხედველობაში გვაქვს ის ნაკვთი, რომელიც ამჟამად ამ ტერმინით აღინიშნება და არა ფუნქცია დროისა: ფუნქციის თვალსაზრისით ამ დროისათვის, როგორც არა ერთხელ აღგვინიშნავს ზევითაც, ასპექტები გვაქვს — **განგრძობითი** და **წერტილებრივი**.

განგრძობითი (დიურატიული) ასპექტის ნაკვთები:

- I. **სტატიკურ გარდაუვალ ზმნათა:** II. **დინამიკურ-გარდამავალ ზმნათა:**
- (აწინდელი) აწმყო: ზ-ი-ს, ყუავ-ი-ს, ხოლმეობითი. თქვს, აქ-ი-ს, წარიყვან-ი-ს, მისც-ი-ს
- (აწინდელი) ნამყო უსრ.:—ყუა-ო-დ-ა, — — წარიყვან-ო-დ-ი-ს, მისც-ო-დ-ი-ს¹

წერტილებრივი (მომენტობრივი) ასპექტი:

- I. (სტატიკურ გარდაუვალ ზმნებს არა აქვს
- II. **დინამიკურ-გარდამავალ ზმნათა** (აწინდელი) ნამყო ძირითადი: თქუ-ა, აქ-ო, წარიყვან-ა, მისც-ა

როცა გარდამავალმა ზმნებმა აწმყო გაიჩინეს, ხოლმეობითის ყოფნა-არყოფნის საკითხიც ბუნებრივად დაისვა: დიურატიულობა აწმყოსაც ახასიათებდა; ხოლმეობითი ან უნდა მოშლილიყო, ანდა აწმყოს შერწყმოდა (რეინტერპრეტაცია — სინტაქსური კონსტრუქციის სათანადო შეცვლით!).

ასპექტთა მიხედვით უღვლილება გასაგებს ხდის, რატომ არ გააჩნდა ნაკვთთა **პირველი** წყება გარდამავალ ზმნას (პერმანსივი ეწეოდა სათანადო მისიას!), ანდა რატომ აკლია სტატიკურ გარდაუვალ ზმნებს ნაკვთთა **მეორე** წყება: ნამყო ძირითადი მომენტობრივია და, მაშასადამე, სტატიკურობის ანტიპოდი.

გარდაუვალ ზმნებს, **თუ ის დინამიკურია**, ნაკვთთა მეორე წყება (ნ. ძირითადისა) დაუბრკოლებლივ ეწარმოებათ: ზ-ი-ს, ყუავის, წევს, დვას, სწყურის — ნამყო ძირითადი არ ექნება. ჯდების, აღყუავნების, წვების, დვების, მოსწყურდების-ისათვის.. ნამყო ძირითადი ისევე ჩვეულებრივია, როგორც გარდამავალი ზმნებისათვის: ჯდა, აღყუავნა, დაწვა, დადვა, მოსწყურდა...

¹ ხოლმეობითისაგან ნაწარმოები ნ. უსრული ძვ. ქართულში ხოლმეობითის ფორმიძვევა, სადაც სპორადული, ე. ი. ძველი წარმოება გვაქვს (შდრ. ვიდ-ი-ს — ვიდ-ო-დ-ი-ს, მაგრამ ვიდ-ო-დ-ა; ასევე: იცო-დ-ა, უწყო-დ-ა...).

სტატიკურობა-დინამიკურობა ქართული ზმნის ნიშანდობლივი თვისებაა უძველესი დროიდან. მისი გათვალისწინების გარეშე უღვლილების წარმოქმნის ნამდვილი ვითარება ქართულში ვერ გაირკვევა.

§ 27. ხოლმეობითი და ერგატიული კონსტრუქციის, როგორც ენის განვითარების სტადიის საკითხი. როგორც უკვე აღვნიშნეთ (იხ. § 1), ამჟამად ქართულში გარდამავალი ზმნა სამგვარ სინტაქსურ კონსტრუქციას ქმნის¹: ერგატიულს — ნაკვთა მეორე წყებაში (მან იგი აქო), ნომინატიურს — ნაკვთა პირველ წყებაში (იგი მას აქებს) და დატიურს — თურმეობითთან (მას იგი უქია). დატიური კონსტრუქცია შექცეული (ინვერსიული) წყობის დამახასიათებელია (რეალური სუბიექტი — მიცემითში, რეალური ობიექტი — სახელობითში).

პირდაპირი წყობისათვის დაგვრჩა ორი კონსტრუქცია: ერგატიული (მან იგი აქო) და ნომინატიური (იგი მას აქებს). როგორც დავინახეთ, ნომინატიური კონსტრუქცია **გარდამავალ ზმნასთან** ძველად არა გვქონდა, ორივე კონსტრუქციის ადგილი ეკავა ერგატიულ კონსტრუქციას (მან პოვა, აქო, კლა იგი — მან პოვის, აქის, კლის იგი; მესამე პირის სუბიექტის ძველი ნიშნით: მან პოვე-ნ, აქე-ნ, კალ-ნ იგი... მან პოვ-ი-ნ, აქი-ნ, კლი-ნ იგი...).

გარდამავალ ზმნებთან ნომინატიური კონსტრუქცია მერელა ჩნდება: ეს ფაქტი მტკიცედაა დადგენილი ქართული ზმნის უღვლილების ისტორიითა და ამ უღვლილებაში ხოლმეობითის ადგილის გარკვევით.

მამასადამე, **გარდამავალი ზმნის ფარგლებში ერგატიული კონსტრუქცია განვითარების წინა საფეხურია, ნომინატიური კონსტრუქცია — მომდევნო საფეხური.**

ივ. მეშჩანინოვმა სინტაქსურ კონსტრუქციათა ასეთი თანამიმდევრობა იგარაუდა შრომებში „ახალი მოძღვრება ენის შესახებ“ (1936 წ.)² და „ზოგადი ენათმეცნიერება“ (1940). ი. მეშჩანინოვი ამ შემთხვევაში ემყარებოდა პალეო-აზიურ და კავკასიურ ენათა ტიპოლოგიურ შედარებას.

ძველი ქართულის ჩვენება სავსებით ადასტურებს ივ. მეშჩანინოვის ამ ვარაუდს: ძველი ქართულის უძველესი ძეგლების მონაცემთა ანალიზი **დოკუმენტურად ადასტურებენ ივ. მეშჩანინოვის ხსენებული დებულების სისწორეს.**

¹ იგულისხმება მესამე პირის ვითარება.

² И. И. Мещанинов: "Новое учение о языке", Ленинград, 1936, მისივე "Общее языкознание", Ленинград, 1940.

კითხვა ისმის: შეიძლება თუ არა ზემოხსენებულის მიხედვით დავასკვნათ: ერგატიული კონსტრუქცია **საერთოდ** უფრო ძველია, ვინემ ნომინატიური კონსტრუქცია, ერგატიული კონსტრუქცია უღვლილების განვითარების წინა საფეხურია, ნომინატიური კონსტრუქცია — შემდგომი საფეხური.

შესაბამისად: ის ენები, რომელთაც ერგატიული კონსტრუქცია ახასიათებს (მაგალითად, იბერიულ-კავკასიური ენები) განვითარების წინა საფეხურს (სტადიას) წარმოგვიდგენენ, ხოლო ის ენები, რომელთაც ნომინატიური კონსტრუქცია აქვთ, განვითარების შემდგომ საფეხურად, სტადიად, ვცნოთ?

ვეიქრობთ, — არა, არ შეგვიძლია ასეთი დასკვნა გამოვიტანოთ. და აი რატომ.

ნომინატიურს კონსტრუქციაში რეალური სუბიექტი სახელობითს ბრუნვაშია, **ერგატიულ** კონსტრუქციას რეალური სუბიექტი **მოთხრობითში** აქვს. ამ კონსტრუქციებს რომ უპირისპირებენ, ამით სახელობითსა და მოთხრობითს უპირისპირებენ.

რა აზრსა დებენ სუბიექტის ამ ბრუნვათა დაპირისპირებაში?

აქ ორი შესაძლებლობაა. **პირველი შესაძლებლობა** ასეთია: სახელობითი პირდაპირი ბრუნვაა, მოთხრობითი (ერგატივი) — არაპირდაპირი; ჯერ ჩნდება სინტაქსური კონსტრუქცია რეალური სუბიექტით **არაპირდაპირს** ბრუნვაში (მოთხრობითში, ერგატივში), შემდეგ, უფრო გვიან, ყალიბდება კონსტრუქცია რეალური სუბიექტით **პირდაპირს** ბრუნვაში (ესაა სახელობითი ბრუნვა).

მაგრამ ერგატიული კონსტრუქციის არსებობა არ გამორიცხავს იმაგდროულად ნომინატიურის არსებობას: ძვ. ქართულ ენაში **ერგატიულ კონსტრუქციას გარდამავალ ზმნასთან გვერდით უდგას ნომინატიური კონსტრუქცია გარდაუვალ ზმნებთან (მან აქო, აქის იგი — იგი ზის... იგი უძღვს მას...)**. ერგატიული კონსტრუქციის მონოპოლია პირდაპირი წყობის გარდამავალ ზმნებთან არ ნიშნავს ამ კონსტრუქციის მონოპოლიას საერთოდ უღვლილებაში. ერგატიული კონსტრუქცია გამოხატავს ნომინატიურს კონსტრუქციას მხოლოდ **გარდამავალ ზმნასთან**, ე. ი. უპირისპირდება ნომინატიურ კონსტრუქციას ზმნის გვარობის¹ ფარგლებში და **არა** ქრონოლოგიურად, — საერთოდ, **უღვლილების განვითარების** ასპექტში.

¹ გარდამავლობა-გარდაუვალობის (და არა გვარების!).

საერთოდ, **უღვლილების განვითარების თვალსაზრისით იმავე ქართულ-ში ნომინატიური კონსტრუქცია არა ნაკლები სიძველისაა**, ვინემ ერგატიული კონსტრუქცია; არა გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ **იგი ზის... იგი უძღვს მას** და მსგავსი მონაცემები **უფრო ახალი ფორმაციისად** დავსახოთ, ვინემ **მან აქო, აქის, პოვა, პოვის იგი...**

მეორე შესაძლებლობა. საკითხი ამ შემთხვევაში ასე ისმის: საჭიროა განვასხვავოთ **სახელობითი ბრუნვა** და ე. წ. განუსაზღვრელი ბრუნვა (ანუ, რაც იგივეა, შიშველი ფუძე). სახელობითი განსაზღვრებული ფუძეა. ნომინატიური კონსტრუქცია გვექნება, თუ რეალურ სუბიექტად ასეთი სახელობითი გვაქვს.

ამისდა კვალად, მთის კავკასიურ ენათა სახელობითი, სადაც ბრუნვის ნიშანი არა გვაქვს და არც გვექონდა, სხვაა და სხვა მორფოლოგიური ოდენობაა სახელობითი ინდო-ევროპულ ენებში, სადაც ამ ბრუნვას გარკვეული ფორმატი მოეპოვება (მაგალ., -as ძვ. ინდურში: janas „გვარი“, ლათ. genus...).

ნომინატიური კონსტრუქცია ამ თვალსაზრისის შესაბამისად გვექნება ინდოევროპულ ენებში და არ გვექნება, ვთქვათ, ხუნძურ ენაში.

მაგრამ თუ ამ გზას დავადგებით ნომინატიურ კონსტრუქციაზე უარი უნდა ვთქვათ არა მხოლოდ ხუნძურ გარდამავალ ზმნასთან, არამედ ხუნძურ გარდაუვალ ზმნასთანაც; ეს კი ფაქტობრივ ვითარებას არ ეგუება: ხუნძ. ვ ა ც ვ ა ჭ უ ნ ა, რუს. брат приходит და ლათ. frater venit სინტაქსური კონსტრუქციის მიხედვით არ გაირჩევა.

მერეა და: თუ სახელობითი განსაზღვრებული ფუძეა, მას ვერ დავუპირისპირებთ ერგატივს (მოთხრობითს): ერგატივიც (მაგალ., ხუნძური ერგატივი, ქართული მოთხრობითი) აგრეთვე განსაზღვრებული ფუძეა. მასთან განსაზღვრებისთვის ორსავე ბრუნვაში არსებითად ერთნაირი საშუალებაა გამოყენებული (ნაცვალსახელური ნაწილაკი).

და ასეა ეს არა მხოლოდ იბერიულ-კავკასიურ ენათა მორფოლოგიის თვალსაზრისით, არამედ ინდო-ევროპულ ენათა ისტორიის მოწმობითაც: ბოლო ხანებში ის აზრია გამოთქმული, რომ **სახელობითი, როგორც განსაზღვრებული ფუძე, ინდო-ევროპულ ენათა მოთხრობითს** (ერგატივს) წარმოადგენს (ვაძანტი, ულენბეკი), და ამის მიხედვით შესაძლებლად თვლიან დასვან საკითხი ერგატიული კონსტრუქციისა ინდო-ევროპულ ენათა შორეულ წარსულში.

ჩვენთვის არა აქვს მნიშვნელობა, რა გამოვა ამ ცდიდან. არსებითია საკითხის დასმა: სახელობითისთვის არაა ნიშანდობლივი ფუძის განსაზღვრებულობა (სახელობითისათვის ნიშანდობლივია ნიშნის უქონლობა!), ფუძის განსაზღვრებულობა ნიშანდობლივია ერგატივისთვისაო. ასე დგას საკითხი. მაშასადამე, ამ მხრივ — განსაზღვრებულობის მიხედვით — ნომინატივსა და ერგატივს ერთმანეთს ვერ დავუპირისპირებთ (ყოველ შემთხვევაში ქართულსა და ქართველურ ენებში, ხუნძურსა და მისი რიგის სხვა დადესტნურ ენებში). ვერ დავუპირისპირებთ, ცხადია, ნომინატიურსა და ერგატიულს კონსტრუქციებსაც (უღვლილების სისტემის განვითარებაში მთლიანად — გარდამავალ ზმნათა ფარგლებს იქითაც).

ერგატიული და ნომინატიური კონსტრუქციების მიხედვით, მაშასადამე, ვერ გამოვყოფთ ენის განვითარების სტადიებს; ვერ გამოვყოფთ იმიტომ, რომ ერთი კონსტრუქცია მეორეს არ გამოორიცხავს (სხვადასხვაგვარ ზმნებში). თვით გარდამავალი ზმნების ფარგლებში ერგატიული კონსტრუქციისა და ნომინატიური კონსტრუქციის ისტორიული შემდგომადობა, როგორც ზევითაც ვთქვით, იმგვარადვე ისახება, როგორც ეს ი. მ. ე. შ. ჩ. ა. ნ. ო. ვ. ს. კონცეფციაშია წარმოდგენილი.

რა უძლოდა წინ ერგატიულ კონსტრუქციას? ინდეფინიტური კონსტრუქცია, რამდენადაც საქმე ეხება გარდამავალი ზმნის პირდაპირ წყობას (ამაზე გაკვრით უკვე გვქონდა ლაპარაკი თავში — იხ. § 1).

ამ კონსტრუქციის ნიმუში იქნებოდა, თუ მესამე პირის სახელებს ავიღებდით, ოთხთავის ცნობილი ფრაზა: **აბრაამ შვა ისააკ** (თუ ნაცვალ-სახელებს გამოვიყენებდით — ისტორიულად: მე გაქე შენ — შენ მაქე მე).

არც რეალურ სუბიექტს (აბრაამ), არც რეალურ ობიექტს (ნივთისას — ისააკ) ბრუნვის ნიშანი არ ერთვის, **წმინდა ფუძეა** ანუ, როგორც იტყვიან „განუსაზღვრელი“ ბრუნვა (casus indefinitus). ბრუნვაზე ლაპარაკი აქ შეიძლება მხოლოდ პირობით, სხვა ბრუნვათა ანალოგიით.

ამისდა კვალად **გარდამავალი ზმნის პირდაპირი წყობა** იძლევა:

1. განუსაზღვრელ (ანუ ინდეფინიტურ) კონსტრუქციას (არქაული: აბრაამ შვა ისააკ)
2. მოთხრობითიან (ანუ ერგატიულ) კონსტრუქციას (აბრაამმან შვა ისააკი)
3. სახელობითიან (ანუ ნომინატიურ) კონსტრუქციას (აბრაამი შობს ისააკს).

ეს **სამი კონსტრუქცია სამი საფეხურია პირდაპირი წყობის გარდამავალი ზმნის განვითარებაში.**

ინდეფინიტური კონსტრუქცია **მესამე პირის სახელებთან** არსებითად იმავე რიგისაა, როგორსაც მეორე და პირველი პირის გარდამავალ ზმნებთან ვპოულობთ (მე გაქე, გკითხე შენ, — შენ მაქე, მკითხე მე). განსხვავება მაინც არის: ინდეფინიტური კონსტრუქცია მესამე პირის სახელებთან არ ეგუება ინვერსიულ წყობას, პირველი და მეორე პირი ინვერსიულ ფორმებთანაც ინდეფინიტურია:

აბრაამს უშობიეს ისააკ (II ისააკი); შდრ. მე მიქე შენ — შენ გიქე მე.

პირველი და მეორე პირი აქ მეტი სიძველისა ჩანს, ვინემ მესამე პირის ინვერსიული წყობა.

ასეთია გარდამავალი ზმნის კონსტრუქციათა ისტორიული ურთიერთობა, თუ რეალური **სუბიექტის ბრუნვათა** თვალსაზრისით განვიხილავთ ვითარებას. მაგრამ ეს კონსტრუქციები და მათი ისტორიული შემდგომადობა **ობიექტის** ბრუნვის თვალსაზრისითაც შეიძლება იქნეს დახასიათებული. ეს იქნებოდა **უფრო არსებითიც, რამდენადაც კონსტრუქციათა ისტორია გვაქვს** მხედველობაში: ისტორიულად **ობიექტის ბრუნვათა** დაპირისპირება უფრო ხელშესახებიცაა და **უფრო ნიშანდობლივაც გარდამავალი ზმნის** ბუნებისათვის:

I. აბრაამ შვა ისააკ, II. აბრაამმან შვა ისააკი, III. აბრაამი შობს ისააკს. სუბიექტის ბრუნვებში (აბრაამ, აბრაამან, აბრაამი) **სხვაობა უფრო მცირეა**, ვინემ ობიექტის ბრუნვებში (ისააკ; ისააკი, ისააკს). განსაკუთრებით ეს ეხება მეორე და მესამე საფეხურის ურთიერთობას: რეალური **სუბიექტის ბრუნვები — მოთხრობითი** და **სახელობითი** — ორივე **პირდაპირი ბრუნვაა**, ორივე — ნაცვალსახელით დეტერმინირებული ფუძეა (ოღონდ სხვადასხვა ფორმაციისა), რეალური ობიექტის ბრუნვები კი — **სახელობითი და მიცემითი — მორფოლოგიურად უპირისპირდება ერთმანეთს**, როგორც პირდაპირი ბრუნვა და როგორც ირიბი ბრუნვა (სინტაქსურად კი მიცემითი — შობს ისააკს — აკუზატივს ეტოლება).

ამ დაპირისპირებაში უფრო მკვეთრად გამოისახება სათანადო ზმნის ფუძეთა სხვაობა: **შვა** არსებითად **ნეიტრალურია**, შობს — **აქტიური**.

ერგატიული კონსტრუქციის საკითხს, როგორც ეს არა ერთხის თქმულა, **გარდამავალი ზმნის თავისებურება განსაზღვრავს**. ეს თავისებურება — ისტორიულად — **ობიექტის ბრუნვათა** სხვაობაში უფრო მჟღავნდება, ვინემ — სუბიექტის ბრუნვებისაში. ყოველ შემთხვევაში ასეა ეს, რამდენადაც კონსტრუქციათა ისტორია გვაქვს მხედველობაში.

ეს ნიშნავს: ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა, რამდენადაც მას მორფოლოგიურს ასპექტში ვიხილავთ, მართო სუბიექტის ბრუნვათა საკითხი როდია, ობიექტის ბრუნვებსაც სათანადო ანგარიში უნდა გაეწიოს. ზუსტად რომ ვთქვათ, პირველ ყოვლისა, ეს საკითხი **ობიექტის ბრუნვათა** საკითხია და მხოლოდ შემდეგ — სუბიექტის ბრუნვათა.

და თუ ერგატიული კონსტრუქციის პრობლემაში **სუბიექტის ბრუნვის** — ერგატივის — საკითხი დადგა წინა რიგში, ცხადია, იმიტომ, რომ რუსული და ევროპული ერთპირიანი ზმნის ენების თვალსაზრისით სუბიექტის ბრუნვის თავისებურება იყო, მკვლევრებს რომ პირველ ყოვლისა ეცემოდათ თვალში.

ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა გარდამავალი ზმნის თავისებურების პრობლემაა. გარდამავალი ზმნის ეს თავისებურება უწინარეს ყოვლისა ობიექტის ბრუნვათა თავისებურებაში მჟღავნდება (სუბიექტის ბრუნვის თავისებურების საკითხი დაქვემდებარებულია). თუ რას მოასწავებს ეს პრობლემის რკვევისათვის, ამაზე ცალკე მოგვიწევს საუბარი.

დასკვნითი დებულებები

1. ახალს ქართულში გარდამავალი ზმნა ქმნის შემდეგ სინტაქსურ კონსტრუქციებს:

1) ნომინატიურს (სახელობითიანს), როცა რეალური სუბიექტი სახელობითს ბრუნვაშია (რეალური ობიექტი კი — მიცემითში): მონადირე კლავს ირემს,

2) ერგატიულს (მოთხრობითიანს), როცა რეალური სუბიექტი მოთხრობითს ბრუნვაშია (რეალური ობიექტი — სახელობითში): მონადირემ (მო)კლა ირემი,

3) დატიურს (მიცემითიანს), როცა რეალური სუბიექტი მიცემითს ბრუნვაშია (რეალური ობიექტი — სახელობითში): მონადირეს (მო)უკლავს ირემი.

სამივე კონსტრუქცია მესამე პირს ეხება.

4) ინდეფინიტურს (ოდენფუძიანს — ისტორიულად) — კონსტრუქციას, როცა რეალური სუბიექტი ბრუნვის ნიშნებს არ დაირთავს:

მე ვკლავ ირემს;	შენ კლავ ირემს
მე ვკალი ირემი;	შენ კალი ირემი
მე მიკლავს ირემი;	შენ გიკლავს ირემი
მე ვკლავ შენ ;	შენ მკლავ მე
მე ვკალი შენ ;	შენ მკალი მე
მე მიკლავხარ შენ ;	შენ გიკლავარ მე .

ინდეფინიტური კონსტრუქცია პირველსა და მეორე პირთან გვაქვს.

ეს განსაკუთრებით ხელშესახებია, როცა რეალურ სუბიექტადაც და რეალურ ობიექტადაც პირველი და მეორე პირია. **მე**, **შენ**, **ჩვენ**, **თქვენ** ამჟამად სახელობითის, მოთხრობითისა და მიცემითის ფუნქციისაც ჩანს მხოლოდ იმიტომ, რომ მესამე პირში ეს ბრუნვები განსხვავებულია (იგი, მან, მას... მონადირე, მონადირემ, მონადირეს).

შდრ. ხუნძური, სადაც პირველი და მეორე პირიც განასხვავებს ამ სამ ბრუნვას: დუნ (სახელობ.) მე, მუნ (სახელობ.) შენ, დიცა (მოთხ.) მე, დუცა (მოთხ.) შენ, დიდე (მიც.) მხე, დუდე (მიც.) შენ თეხე.

ეგვევ კონსტრუქციები მოეპოვება გარდამავალ ზმნას ძველს ქართულში, ოღონდ ინდეფინიტური კონსტრუქცია შესაძლებელია იქ მესამე პირთანაც (აბრაამ შვა ისააკ), თუ ეს მესამე პირი ადამიანის სახელია; თვით ძველს ქართულში ესაა ნაშთი ძველი ვითარებისა: მესამე პირთან არსებული კონსტრუქციებისათვის **ამოსავალი უნდა ყოფილიყო ინდეფინიტური კონსტრუქცია**, ის კონსტრუქცია, რომელიც პირველსა და მეორე პირში შემოგვრჩა დღემდის.

მესამე პირი რომ არა, ერგატიული კონსტრუქციის საკითხი **სინტაქსურ სიბრტყეში** აღარც დაისმოდა; პრობლემა ამით, რასაკვირველია, არ მოიხსნებოდა: **პრობლემას გარდამავალი ზმნის თავისებურება აჩენს და განსაზღვრავს**¹; შეიძლება ამ თავისებურებამ გამოხატულება პოვოს სინტაქსშიც, მაგრამ შეიძლება სინტაქსური თავისებურებები არ გვქონდეს, მხოლოდ ზმნის თავისებურების საკითხი იდგეს (ასეა ეს, მაგალ., აფხაზურში).

ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა **სინტაქსში იწყება**, რამდენადაც ამ **კონსტრუქციის შესწავლა** გვაქვს მხედველობაში; ეს პრობლემა მორფოლოგიაში (ზმნაში) **ჩნდება**, რამდენადაც კონსტრუქციის **წარმოქმნა** იგულისხმება.

ამრიგად, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემას ორი ასპექტი აქვს: **მორფოლოგიური** (გარდამავალი ზმნის თავისებურება!) და **სინტაქსური** (სუბიექტისა და ობიექტის ბრუნვათა თავისებურება). მესამე პირი რომ არა, ქართულში ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა ზმნაში გადაინაცვლებდა, პრობლემის ორი ასპექტიდან მხოლოდ ერთი — მორფოლოგიური ასპექტი — დარჩებოდა.

2. სხვა ქართველური ენებიდან:

სვანური იმგვარსავე ჩვენებას იძლევა, როგორც ახალ ქართულში გვაქვს: მასში ოთხივე კონსტრუქციაა წარმოდგენილი (ნომინატიური, ერგატიული, დატიური და ინდეფინიტური), მასთან — იმავე პირებში, როგორსაც ქართულიდან ვიცნობთ (იხ. § 1).

მეგრულიც იმეორებს ქართულს, ოღონდ ერთი განსხვავებით: ერგატიული კონსტრუქციის გამოყენების არეა გაფართოებული; ერგატიული კონსტრუქცია ნამყო ძირითადის ჯგუფში გარდამავალ ზმნასაც აქვს და

¹ უფრო დაწვრილებით იხ. ავტორისავე: „ერგატიული კონსტრუქციის პრობლემისათვის... ამ კონსტრუქციის სტაბილური და ლაბილური ვარიანტები“ — ენიმიკის მოამბე, XII (1942), გვ. 223-225.

გარდაუვალსაც — მესამე პირში (კოჩქ დოღურუ „კაცმა მოკვდა“; ბალანაქ ქიდებადღ „ბავშვმა დაიბადა“...); **ერგატიული კონსტრუქცია გარდაუვალ ზმნასთან** — ესაა ახალი და თავისებური მეგრულში.

ჭანურიც ერგატიულ კონსტრუქციას უფრო ფართო გასაქანს აძლევს: ეს კონსტრუქცია გარდამავალი ზმნის **მესამე პირში** ყველა ჯგუფის დროებშია წარმოდგენილი: ავჯიქ ცვილუმს მსქვერი „მონადირემ კლავს ირემი“; ავჯიქ ცვილუ მსქვერი „მონადირემ კლა ირემი“. ავჯიქ ცვილუდორენ მსქვერი „მონადირემ უკლავს („ნაკლავა“) ირემი“.

ერგატიული კონსტრუქცია გარდამავალი ზმნის უღვლილების მთელ სივრცეზე — ესაა ახალი და თავისებური ჭანურში.

ეს ახალი და თავისებური მეგრულსა და ჭანურში მეორეულია: ერგატიული კონსტრუქცია აქაც მხოლოდ გარდამავალ ზმნასთან უნდა გვქონოდა, მასთან ნამყო ძირითადის ჯგუფის ნაკვთებში. ამას გვაფიქრებინებს ქართული, ამას მოწმობს სვანური, ამასვე გვაგარაუდებინებს დიდი სხვაობა მეგრულისა და ჭანურისა ერგატივის გამოყენებაში; საამისო ჩვენება აქა-იქ გარჩენილია ჭანურშივე ზმნის მესამე პირთან. დასასრულ, რაც მთავარია, ამის სასარგებლოდ ლაპარაკობს პირველი და მეორე პირი: ამ შემთხვევაში ჭანურიც, მეგრულიც მიყვება სვანურსა და ქართულს — **ყველა ქართველურ ენაში აქ ერთნაირს ვითარებას ვხედავთ, ყველგან ინდეფინიტური კონსტრუქცია ჩანს.**

ქართულისა და, კერძოდ, ძველი ქართულის ჩვენება ყველაზე ძველია კონსტრუქციათა საკითხში; მისი მეტ-ნაკლები ცვლის შედეგია წარმოდგენილი მეგრულსა და ჭანურში.

3. ოთხი კონსტრუქციიდან, რაც გარდამავალ ზმნას შეეფერება ქართულში, ყველაზე ძველია ოდენფუძიანი (ინდეფინიტური) კონსტრუქცია; იგი შემოგვინახა პირველმა და მეორე პირმა, მისი კვალი შეიმჩნევა ძველს ქართულში მესამე პირთანაც (ადამიანის საკუთარ სახელებთან).

მიცემითიანი (დატიური) კონსტრუქცია ნაკვთთა (დროთა) მესამე წყებაში გვაქვს (უკლავს, ეკლა, ეკლას მას იგი), ე. ი. ინვერსიულ წყობას ახასიათებს; ეს წყობა კი პირდაპირ წყობას გულისხმობს ამოსავლად: მისთვის საორიენტაციოა ნამყო ძირითადისა და აწმყოს ფუძეები¹.

¹ ცალკე დგას უპყრიეს, უფლიეს (მას იგი) ტიპის ზმნები; ეს ზმნები ისევე ძველი ჩანს, როგორც უყუარს, სძულს, ჰყავს, აქვს (მას იგი). ოღონდ საკითხავია — არის კი უპყრიეს, უფლიეს გარდამავალი ზმნა (ჩვენ აქ გარდამა-

ნამყო ძირითადად შეეფერება ერგატიული კონსტრუქცია, აწმყოს — ნომინატიური. ინდეფინიტიური კონსტრუქციის ადგილი კონსტრუქციათა ისტორიაში ნათელია, დატიური დამოკიდებული ჩანს ერგატიულსა და ნომინატიურ კონსტრუქციებზე.

როგორია ამ ორი კონსტრუქციის ისტორიული ურთიერთობა? **გარდამავალ ზმნებთან** რა უსწრებს რას: ნომინატიური — ერგატიულსა თუ, პირუკუ, ერგატიული — ნომინატიურს?

უღვლილების ნაკვთებზე თუ გადავიტანთ, ეს ნიშნავს: აწმყო უსწრებს ნამყო ძირითადად თუ ნამყო ძირითადი — აწმყოს?

4. გარდამავალი ზმნების ჩვენებათა ანალიზი ძველს ქართულში ცხადყოფს, რომ **გარდამავალი ზმნა ძველად ერგატიულ კონსტრუქციას იყენებდა იქაც, სადაც ახლა ნომინატიური კონსტრუქცია იხმარება**, ორივე კონსტრუქციის ერგატიულსა და ნომინატიურის — ნაცვლად **მხოლოდ ერთი, ერგატიული კონსტრუქცია იხმარებოდა** (ზემოთ თქმულის შესაბამისად იგულისხმება მესამე პირი).

ერგატიულს კონსტრუქციას მოითხოვდა: I. ნამყო ძირითადი, II. ხოლმეობითი და III. კავშირებითი მეორე (I. კლა, II. კლის, III. კლას მან იგი).

ამათგან **ხოლეობითი ეწეოდა მერმინდელი აწმყოს მაგივრობას ფუნქციითაც** და ნაკვთა **წარმოების მხრივაც** (უღვლილების ნაკვთა წარმოქმნისას). უღვლილების ის ნაკვთი, რომელსაც აწმყოს სახელწოდებით ვიცნობთ, მაშინ ზმნას არ გააჩნდა (ეს ნაკვთი მერეა წარმოქმნილი).

5. ხოლმეობითი მერმინდელი აწმყოს ფუნქციას რომ ასრულებდა, ამას ადასტურებს: **თქვს ზმნა**:

თქვს (მან იგი) — ხოლმეობითია, ნაკვთა მეორე წყებისაა, ერგატიულ კონსტრუქციას მოითხოვს, მაგრამ აწმყოს მნიშვნელობითაა რიგს შემთხვევაში გარჩენილი; ეს მით უფრო საგულისხმოა, რომ ეს ზმნა ძველ ქართულში დეფექტიურია: აწმყოში სხვა ფუძეს იყენებს (**იტყვს**, ახ. ქართ. **ამბობს**).

თქვს = იტყვს (ახ. ქართ. **ამბობს**):

...ჰკითხვიდეს მას და ჰრქუეს ე՛დ **თქვან** მწიგნობართა ჰელიალა მოსულად (!) არს პირველად... ჰადიშ. მკ 9¹¹ ტაბ. 83 ა2.

შდრ. ოპიზა-ტბეთ. და ჯრუჟ-პარხლ.: ჰკითხვიდეს მას და ეტყოდეს. ვრ **იტყვან** მწიგნობარნი ვდ ელიადსი პირველად ჯერ არს მოსლვად...

თქვან = **იტყვან** (ე. ი. ამბობენ): სათანადო ადგილას გვაქვს ძვ. სომხურში *ասնս*, ბერძნ. λέγουσιν, ლათინ. *dicunt*, ძვ. სლავ. глаголют (აწმყოს მესამე პირი „ამბობენ“).

...არა თქნ **სთქუთ** ვდ ოთხ თველა და მკა^ა მოიწიოს... ჰადიშ. ინ 4₃₅ ტაბ. 163 a₂.

შდრ. ჯრუჟ-პარხ., ნაბეჭდ.: არა თქნ **იტყვთ** ვდ ოთხლა თთუე არიან და მოვალს მკად... ძვ. სომხურში, ბერძნ., ლათინურში, სლავურში აგრეთვე აწმყოა: *ասէք*, λέγετε, *dicitis*, глаголете.

...მან მიუგო და ჰქა შნ **სთქუ** (= სთქვან)... ჰადიშ. ლკ 23₃ ტაბ. 152 a₂.

შდრ. ჯრუჟ-პარხ. და ნაბეჭდ.: ...ხოლო თავადმან ჰრქუა მას შენ **იტყვ**... ბერძ. λέγεις, ლათ. *dicis*, ძვ. სლავ. глаголеши (ძვ. სომხ. აორისტი: *ասացիր*).

...მიუგო ივ შენ **სთქუ** (=სთქვან)... ჰადიშ. ინ 18₃₇ ტაბ. 192 a₂.

შდრ. ჯრ.-პარხ.: ...ჰრქუა მას ივ: შენ **იტყვ**...

ძვ. სომხ. *ասես*, ბერძნ. λέγεις, ლათინ. *dicis*, ძვ. სლავ. глаголеши...

...ჰრქუა მათ შერადმწუხრდის **ჰსთქვთ** ყუდრო იყოს რ წითს ცად და განთიად **სთქუთ** (= სთქვან) ზამთარი იყოს რ კსინავს მწუხარედ ცად... ჰადიშ. მთ 16₂₋₃ ტაბ. 34 b₂.

სთქვან = ამბობთ, იტყვიან ხოლმე: სათანადო ადგილას გვაქვს ძვ. სომხ. *ասէի*, ბერძ. λέγετε, ლათინ. *dicitis*, ძვ. სლავ. глаголете — ყველგან აწმყო („ამბობთ“, „იტყვიან ხოლმე“).

ამგვარივე ფუნქცია აქვს **თქვს** ზმნას ოთხთავის შემდეგ ადგილებში:

თქვს (= იტყვის, ამბობს ხოლმე): მთ 12₄₃₋₄₄ ჰადიშ. ტაბ. 26 b₁

ლკ 5₃₀ ჰადიშ. ტაბ. 114 a₁

ლკ 11₂₄ ჰადიშ. ტაბ. 128 a₂

თქვან (= იტყვიან, ამბობენ ხოლმე): მთ 23_{3,5} ჰადიშ. ტაბ. 49 a_{1,2}

მკ 8₂₇₋₃₀ ჰადიშ. ტაბ. 82 a₁

სთქუთ (= იტყვით, ამბობთ ხოლმე): მთ 15₄ ჰადიშ. ტაბ. 32 b₁₋₂
 მთ 23₁₆ ჰადიშ. ტაბ. 49 b₂
 მკ 7₁₀₋₁₂ ჰადიშ. ტაბ. 79 a₂
 მკ 8₂₉ ჰადიშ. ტაბ. 128 a₂
 ინ 9₁₈ ჰადიშ. ტაბ. 175 a₂
 ინ 13₁₃ ჰადიშ. ტაბ. 183 b₁

ხოლმეობითი (**თქვს**) შეიძლება **კავშირებითი მეორის როლშიც მოგვევლინოს და ბრძანებითის გადმოსაცემად იყოს გამოყენებული** (მაგალ. **თქვნ** = თქვას, loquetur... ინ 9₂₁ ჰადიშ. ტაბ. 175 b₁); შეიძლება ნამყო უსრულის მაგივრობას ეწეოდეს (გარდამოვარდის... ლკ 16₂₁ ტაბ. 139 b₂ cadebant) ანდა კავშირებითი პირველისა (გიძლოდის... იტყოდის... ინ 16₂₃ ტაბ. 188 a₁₋₂... გიხაროდის... ინ 16₂₂ ტაბ. 188 b_{1-b2}), რაც სავსებით კანონზომიერია.

6. სხვა ზმნების ხოლმეობითიც გადმოგვეცემს აწმყოს შინაარსს, როგორც ამას სათანადო ადგილების შედარებითი ანალიზი მოწმობს:

...ფართო არს ჰჰჰ და ვრცელ არს გზად, რომელმან **მიიყვანის** წარსაწყმედელად... იწრო არს ბჰჰ და წულილ გზად, რომელმან **მიიყვანის** ცხორებად და მცირედ არიან, რომელთა **პოიან** იგი... ჰადიშ. მთ 7_{13, 14} ტაბ. 15 a₁.

შდრ. ოპიზა-ტბეთ. და ჯრუჰ-პარხ.: ვრცელ არს ბჰჰ და ფართო არს გზად, რომელსა **მიჰყავს** წარსაწყმედელად (ოპ.-ტბ.: წარსაწყმედელსა)... ...იწრო არს ბჰჰ და საჭირველ გზად, რომელი **მიიყვანებს** ცხორებასა და მცირედნი არიან, რომელნი **ჰპოებენ** მას (ოპ.-ტბ.: **ვლენან** მას შა)...

ამრიგად: **მიიყვანის** = **მიჰყავს**, მიიყვანებს; **პოიან** = **ჰპოებენ**...

...არა მეზუერეთაცა ეგრე **ყვიან**... ჰადიშ. მთ 5₄₆ ტაბ. 12 b₁.

შდრ. ჯრუჰ-პარხ.: ...მეზუერენიცა... ამასვე **ჰყოფენ**...

მათ **ყვიან** = იგინი **ჰყოფენ**.

...არ ორი სირი ერთის დანგის **განიყიდის** და ერთი მათგანი არა **დავარდის** ქუეყანასა ზედა... ჰადიშ. მთ 10₂₉ ტაბ. 21 b₁.

შდრ. ჯრუჰ-პარხ.: ანუ არა ორი სირი ერთის დანგის **განისყიდების** და ერთიცა მათგანი არა **დავარდების** ქუეყანასა ზედა...

ვნებითი: იგი **განიყიდის** = **განისყიდების...** იგი **დავარდის** = **დავარდების...**

ამგვარივე შინაარსისაა ხოლმეობითი, როგორც ამას ძვ. სომხურ, ბერძნულ, ლათინურსა და ძვ. სლავურთან სათანადო ადგილის შეპირისპირება მოწმობს, მაგალითად, შემდეგს ზმნებთან (მოგვყავს მხოლოდ ზმნები და სიმარტივისთვის მხოლოდ ლათინური შესატყვისი):

...განსწმდით... ჰადიმ. ლკ 11³⁹ ტაბ. 129 a₁ = ლათ. აწმყოს: purificatis...

...დაადგის... შთაასხის... ჰადიმ. ლკ 5^{36, 37} ტაბ. 113 b₂ = ლათ. აწმ.: indit... injicit...

...ისმინის... გულისწმა **ყვის...** ნაყოფი **გამოიღის...** ჰადიმ. მთ 13²³, ტაბ. 28 a₂ = ლათ. აწმ.: audit... intelligentiam intendit... fructum fert...

განრყუნის... დათხარინ... განიპარინ... ჰადიმ. მთ 6¹⁹⁻²¹ ტაბ. 13 b₁ = ლათ. აწმ.: corrumpit... perfodiunt... furantur...

...შეიპყრის... დადადევის... დაჭკვეთის... განეშორის... ჰადიმ. ლკ 9³⁸⁻³⁹ ტაბ. 123 b₂-124 a₁ = ლათ. აწმ.: apprehendit... clamitat... discerpit... abscedit...

...(ისმინიან...) **შეიკრძალიან... გამოიღიან...** (აღანთის...) **დაფარის... შედგიან... დადგიან...** ჰადიმ. ლკ 8¹⁵⁻¹⁶ ტაბ. 119 b₂ = ლათ. აწმ.: retinent... adferunt... operit... ponit... imponit...

ვნებითი: **აღმოსცენდის... იქმნის...** ჰადიმ. მკ 4³² ტაბ. 72 a₁ = ლათ. აწმ.: assurgit... fit...

...დაემკვდრის... იქმნის... ჰადიმ. მთ 12⁴⁵ ტაბ. 26 b₂ = ლათ. აწმ.: habitant... fit...

...იქმნის... განსთქდიან... დაითხიის... დაიპარხნიან... ჰადიმ. მთ 9¹⁶⁻¹⁸ ტაბ. 18 b₂ = ლათ. აწმ.: fit... rumpruntur... effunditur... conservantur...

7. ხოლმეობითი და აწმყო ხშირად ერთსა და იმავე ფრაზაში ერთი მეორის გვერდით იხმარება, როგორც თანაბარი ღირებულების (ფუნქციის) ნაკვთი, რაიც სავსებით ბუნებრივი ჩანს, თუ წინა პარაგრაფებში ნათქვამს გავითვალისწინებთ; სხვა ენებში, როგორც წესი, აქ აწმყო გვაქვს, როგორც ძვ. ქართულის აწმყოს, ისე ხოლმეობითის შესაბამისად:

...ყოველი რომელი **ითხოვნ მოიღოს**¹ და რომელი **ეძიებნ პოის**...
ჰადიშ. მთ 7₈ ტაბ. 14 ხ₂.

Quisquis enim petit, accipit et qui quaerit invenit... Mt 7₈.

გარდავლენ... დაიბანნიან... ჭამედ... ჰადიშ. მთ 15₂ ტაბ. 32 ხ₁
ლათ. აწმ.: transgrediuntur... lavant... edunt.. Mt 15₂.

ემმინ... გულისგმა ყვს... მოვიდის... მიიტაცის... ჰადიშ. მთ 13₁₉
ტაბ. 28 ა₁, ლათ. აწმ.: audit... attendit... venit... rapit... Mt 13₁₉.

**დადვის... არნ... არიედ... იხილის... დაუტევნის... ივლტინ... წარი-
ტაცნის... განაბნის... არარაჲ ჰჭირნ**... ჰადიშ. ინ 10₁₁₋₁₄ ტაბ. 176 ხ₂,
ლათ. აწმ.: deponit... est... sunt... conspicit... relinquit... fugit... rapit... dispergit...
non est (ipsi cura)... Jn 10₁₁₋₁₄.

**შეკრიან... დასდვიან... არა ჰნებავნ... იქმედ... ფართო იყვნინან...
განიგრძენიან... უყუარნ**... ჰადიშ. მთ 23₄₋₈ ტაბ. 49 ა₂, ლათ. აწმყო
ligant... imponunt... nolunt... faciunt... dilatant... producunt... amant... Mt 23₄₋₈.

8. ხოლმეობითის თვისობა აწმყოსთან მუღავნდება არა მხოლოდ ფუნქციაში, არამედ ნაკვთთა წარმოების მხრივაც: ამჟამად აწმყოს ფუძეა ამოსავალი ნამყო უსრულის წარმოებისას; წინათ კი ნამყო უსრული ხოლმეობითზე ჩანს დაფუძნებული: **ხოლმეობითი ეწევა მერმინდელი აწმყოს მაგვირობას**. ნაკვთთა სისტემაში ხოლმეობითს უკავია ის ადგილი, რომელიც შემდეგ აწმყომ დაიკავა (გარდამავალ ზმნებთან, ვნებითებთან); ასეთ შემთხვევაში ნამყო უსრულის ფუძე საკონტროლო საშუალებაა იმ ნაკვთის აღსადგენად, რომლის ადგილიც შემდეგში აწმყომ დაიკავა.

ზმნა ვიდოდა საწარმოებლ ფუძედ გვავარაუდებინებს ვიდი-ს, ე. ი. ხოლმეობითს:

ხოლმეობ.: ვიდ-ი-ს	შდრ. აწმყო:	ვალ-ს
ნამყო უსრ.: ვიდ-ო-დ-ა	ნამყო უსრ.:	ვიდ-ო-დ-ა
კავშირ. I: ვიდ-ო-დ-ე-ს	კავშირ. I:	ვიდ-ო-დ-ე-ს

ჰადიშ. ინ 3₂₀ ტაბ. 161 ა₁: სძულნ ნათელი და არა **მოვიდის** ნათლად...

¹ აქაც ხოლმეობითი უნდა ყოფილიყო: „მოიღის“ (კავშირებითი II კონტექსტსაც უდგება, ხოლმეობითსაც, მაგრამ მეორეულია), შერთულ წინადადებათა წყობა ამას მოწმობს.

ნაბეჭდში გვაქვს: სძულს მას ნათელი და არა **მოვალს** ნათელსა...

შესაბამისად ძვ. სომხ. გვაქვს: **ჟაკ**, ბერძნ. ἔρχεται, ლათ. venit, ძვ. სლავ. **грядет** — ყველგან აწმყოა.

ამრიგად, თავდაპირველად ნაკვთა პირველი წყება ფუძეთა მონაცვლეობას არ საჭიროებდა (ვიდის, ვიდოდა, ვიდოდეს), ამოსავალი იყო ხოლმეობითი, ხოლმეობითისაგან იწარმოებოდა ნამყო უსრული, ამ უკანასკნელისაგან კავშირებითი მეორე. შემდეგში ხოლმეობითი **ვიდის** შეცვალა აწმყომ **ვალს**; ძველი ვითარების მაუწყებლად შემოგვრჩა ნამყო უსრულის ფუძე.

ხოლმეობითისაგან ნაწარმოები ნამყო უსრული ძვ. ქართულს, როგორც წესი, არ დაუტავს: აწმყომ განდევნა ხოლმეობითი, აწმყოსაგან ნაწარმოებმა ნამყო უსრულმა დაიკავა ხოლმეობითისაგან ნაწარმოები ნამყო უსრულის ადგილი. ძველი წარმოების ნამყო უსრული (აგრეთვე კავშირებითი I) აქა-იქ გარჩენილია ტექსტებში:

ხოლმ. **მისცი-ან** მათ მას იგი → ნამყო უსრ. **მისც-ო-დ-ი-ან** მათ მას იგი (შდრ. ნაწმყოვარი ნამყო უსრ.: მისციემდიან იგინი მას მას):

...და საყურძენი იგი მისცეს სხუათა მოქმედთა რ^ლთა **მისცოდთან** მას ნაყოფი ჟამთა მათთა... ჰადიშ. მთ 21₄₁ ტაბ. 46 b₁.

ხოლმ. **წარავლინ-ნ-ის** მან იგინი → ნამყო უსრ. **წარავლინ-ნ-ო-დ-ი-ს** მან იგინი (შდრ. ნაწმყოვარი ნამყო უსრ.: წარავლინებდის იგი მათ):

...რ^ა **წარავლინნოდის** იგინი ქადაგებად... ჰადიშ. მკ 3₁₅ ტაბ. 69 b₁.

ხოლმ. **წარმცი** შენ მე იგი → ნამყო უსრ. **გარეწარმც-ო-დ-ი** — კავშ. I: გარეწარმც-ო-დ-ე შენ მე იგი (შდრ. ნაწმყ. ნამყო უსრ.: გარეწარმციემდი — კავშ: I. გარეწარმციემდე შენ მე მას):

...ყ^{ლი} შესაძლებელ არს შენდა. **გარეწარმცოდე** მე სასუმელი ესე... ჰადიშ. მკ 14₃₆ ტაბ. 96 b_{1-b2}.

ხოლმ. **ადილ-ი-ან** მათ იგი → ნამყო უსრ. **ადილ-ო-დ-ი-ან** მათ იგი (შდრ. ნაწმყ. ნამყო უსრ.: ადილებდიან იგინი მას):

...რ^ა **ადილოდიან** მით ტაბლაჟ იგი... და **ადილოდიან** მით ტაბლაჟ იგი... ოშკ. 106 v, გამოსლვ. 25_{26, 27}, აგრეთვე 114 r, 38₃₋₄, 114 r, 38₁₀ (აგრეთვე ნაბეჭდ. დაბად. რიცხვ. 150).

ხოლმ. **დაიბან-ი-ან** მათ ველნი → ნამყო უსრ. **დაიბან-ო-დ-ი-ან** მათ ველნი... (შდრ. ნაწმყ. ნამყო უსრ.: დაიბანდიან იგინი მას).

ვნებ. **დაიბანის** იგი წყლითა → ნამყო უსრ. **დაიბან-ო-დ-ი-ან** იგინი წყლითა (შდრ. ნააწმყ. ნამყო უსრ. ვნებ.: დაიბანებოდიან იგინი წყლითა).

...და **დაიბანოდიან** აპრონ და ძეთა მისთა ჳელნი და ფერჯნი მათნი ოდეს შევიდოდიან და **დაიბანოდიან** წყლითა... რჴმს მოვიდოდიან... შეწირვად მსხუერპლისა **დაიბანოდიან** წყლითა... ოშკ. 108 r, გამოსლვ. 30₁₈₋₂₀; აგრეთვე ოშკ. 115 v., გამოსლვ. 38₂₇.

შდრ. ჰადიშ. ინ 13₆: ჰრქუა მას ოო შენ **დაჰბანია** ფერჯთა ჩემთა... დაჰბანი-ფუძეში დაცულია ხოლმეობითის **-ი** (შდრ. ახ. ქართ. დაჰბან), მაგრამ მოითხოვს ვერბალურ ობიექტს მიცემითში (ფერჯთა ჩემთა... და არა: ფერჯნი ჩემნი), ე. ი. სინტაქსური კონსტრუქცია შეცვლილია, ფუძის აგებულება კი ძველებურია!

ხოლმ. **დაისან-ი-ს** მან იგი → ნამყო უსრ. **დაისან-ო-დ-ი-ან** მათ იგი (შდრ. ნააწმყ. ნ. უსრ.: დაისანვიდიან იგინი მას). ნაბეჭდი დაბად. შექმნ. 30₄₀₋₄₁.

ხოლმ. **მოართუს** მან მას იგი → ნამყო უსრ. **მოართ-ო-დ-ი-ან** მათ მას იგინი (შდრ. ნააწმყ. ნ. უსრ.: მოართმიდიან იგინი მას მათ):

...შჯული შესაწირავთაჲ რლ **მოართოდინ** ძეთა აპრონისთა... ოშკ. 126 v ლევიტ. 6₁₄₍₇₎.

ხოლმ. **მოგართუს... განსაჯ-ის... აღვიმცირ-ის** მან შენ იგი → ნამყო უსრ. **მოგართ-ო-დ-ი-ან... განსაჯ-ო-დ-ი-ან... აღვიმცირ-ო-დ-ი-ან** მათ შენ იგინი (შდრ. ნააწმყ. ნ. უსრ.: განსჯიდიან იგინი მას... ...აღვიმცი-რებდიან იგინი შენ მას..):

...და ყლი სიტყუაჲ მძიმჴ **მოგართოდინ** შენ და სიტყუაჲ ადვილი **განსაჯოდინ** მათ და **აღვიმციროდინ** და შეგეწეოდინ შენ... ოშკ. 96 r₁, გამოსლვ. 18₂₂.

ხოლმ. **განათი-ი-ს** მან ლამჴ → ნამყო უსრ. **განათი-ო-დ-ი-ან** მათ ლამჴ... კიმენი, II, 163₁₀ (შდრ. ნააწმყ. ნ. უსრ.: განათევიდიან იგინი მას)...

ხოლმ. **ალასრულნ-ი-ან** მათ ლოცვანი → ნამყო უსრ. **ალასრულ-ნ-ო-დ-ი-ან** მათ ლოცვანი... კიმენი, II, 162₂₆ (შდრ. ნააწმყ. ნ. უსრ.: ალას-რულლებდიან იგინი მათ).

ხოლმ. **ყვ-ი-ან** მათ იგი → ნამყო უსრ. **ყვ-ო-დ-ი-ან** მათ კრებაჲ... კიმენი, II, 163₈ (შდრ. ნააწმყ. ნ. უსრ.: ყოფდიან იგინი მას).

ვნებ. ხოლმ. **ეზიარ-ი-ს** იგი → ნამყო უსრ. **ეზიარ-ნ-ო-დ-ი-ან** იგინი მათ თანა... კიმენი II, 162₂₈ (შდრ. ნააწყ. ნ. უსრ. ეზიარებოდიან იგინი).

ვნებ. ხოლმ. **ალირაცხ-ი-ს** იგი → ნამყო უსრ. **ალირაცხ-ო-დ-ი-ს** იგი... ნაბეჭ. დაბად., შექმნ. 16₁₀ (შდრ. ალირაცხებოდიის იგი).

ვნებ. ხოლმ. **შეიწირ-ი-ან** იგი → ნამყო უსრ. **შეიწირ-ო-დ-ი-ან...** ნაბეჭდ. დაბად., ლევიტ. 10₁₅ (შდრ. შეიწირებოდიან იგინი).

ვნებ. ხოლმ. **გამოგეცხად-ი** მე შენ → ნამყო უსრ.: **გამოგეცხად-ო-დ-ი** მე შენ... ოშკ. 105 v, გამოსლ. 257 ოშკ. 106 v, გამოსლ. 25₂₁; აგრეთვე: ნაბეჭდი დაბადებ., გამოსლგ. 30₃₆ (შდრ. გამოგეცხადებოდი მე შენ).

ნამყო უსრულის წარმოება ხოლმეობითისაგან ძველია, აწმყოსაგან წარმოება — ახალი; ამ ძველი წარმოების ნამყო უსრულს სიმოკლისათვის **არქაულ ნამყო უსრულს** ვუწოდებთ.

არქაული ნამყო უსრულის ფაქტები მეტად ფასეულია ხოლმეობითის ისტორიული ადგილის გარკვევისათვის უღვლილების სისტემაში; ხოლმეობითის ფუნქციის რკვევისას დამოკიდებული ვართ სტილისტურ მომენტზე, რაიც ართულებს ფაქტის ანალიზს. არქაული ნამყო უსრული კი მარტივად და მასთან უცთომლად წყვეტს საკითხს, რა ფუძეც იყო ამოსავალი — ხოლმეობითისა თუ აწმყოსი.

არქაული ნამყო უსრული იძლევა ერგატიულ კონსტრუქციას (**წარავლინოდის მან იგი, წარავლინოდით თქვენ იგი** — შდრ. ფშ. **შან-დობა სთქოდით ჩემია!**). ამრიგად, **ერგატიული კონსტრუქცია დასტურდება პირველი წყების ნაწარმოებ ნაკვთებში — ნამყო უსრულსა (და კავშირებით პირველში).**

9. ქართულში ორი ზმნის ხოლმეობითმა შეინარჩუნა ერგატიული კონსტრუქცია, აწმყოს **ფუნქცია** და აწმყოს ადგილიც **ნაკვთა** წარმოებაში: იცის მან იგი, უწყის მან იგი:

აწმყო:	იცის,	უწყის მან იგი
ნამყო უსრ.:	იც-ო-დ-ა,	უწყ-ო-დ-ა მან იგი
კავშირ. I:	იც-ო-დ-ე-ს,	უწყ-ო-დ-ე-ს მან იგი

იცის, უწყის (მან იგი) ისეთივე ხოლმეობითია, როგორცაა ზემოხსენებული **მისცის, წარავლინის, აღიღის, დაიბანის, განსაღის, ყვის...** (მან იგი)... **იცოდის** (იცოდა), **უწყოდის** (უწყოდა) (მან იგი) კიდევ იმგვარივე ნამყო უსრულია, როგორცაა: **მისცოდის, წარავლინოდის, აღიღოდის, დაიბანოდის, განსაჯოდის, ყოდის...** (მან იგი).

აწმყომ იკისრა ხოლმეობითის **ფუნქცია**, აწმყომ დაიკავა ხოლმეობითის **ადგილი** ნამყო უსრულის წარმოებისას. **იცის**, **უწყის** (მან იგი) ზმნებს მერე კი არ შეუძენიათ აწმყოს მნიშვნელობა, პირიქით, მათ ძველთაგანვე ქონდათ ასეთი ფუნქცია და შემოგვინახეს ეს ძველი ვითარება. ეს ორი ზმნა ძვირფასია ქართული ენის ისტორიისათვის იმიტომ, რომ წინათ მოქმედი ნორმები ქართული უღვლილების ნაკვთთა წარმოებისა და ნაკვთთა ფუნქციისა უცვლელად შემოგვინახეს და თვალნათლივ დაგვანახვეს; სხვა ზმნებთან კი ასეთი რამ საძებარია (იხ. ზემოთ §5-9).

10. აწმყოს მნიშვნელობა შეინარჩუნა **ჰრქვს**-ზმნის მრავლობითის მესამე პირმა: ჰრქვან (მათ მას იგი), ოლონდ ამჟამად იგი ორპირიან ინვერსიულ ზმნად გვევლინება: მქვია(ნ) მე სახელი, გქვია(ნ) შენ სახელი, ჰქვია(ნ) მას სახელი.

ძვ. ქართულში ეს იყო ხოლმეობითი — სამპირიანი ზმნისა, რომელსაც სუბიექტური წყობაც ეწარმოებოდა და ობიექტურიც:

სუბიექტ. წყობა:

მე ვარქვ (II ვჰრქვ) მას იგი
შენ არქვ (II ჰრქვ) მას იგი
მან ჰრქვს მას იგი

ობიექტ. წყობა:

მე გარქვ (II გრქვ) შენ იგი
შენ მარქვ (II მრქვ) მე იგი
მან გარქვს (II გრქვს) შენ იგი
მან მარქვს (II მრქვს) მე იგი

ხოლმეობითის ამ ფორმებს აწმყოს მნიშვნელობა ბუნებრივად ეთვისებოდა:

...მქონან ჩემ ქუეშე ერისა კაცნი. და **ვჰრქუ** (= ვჰრქვ) მას წარვედ და წარვიდის და სხუასა **ვჰრქუ** (= ვჰრქვ) მოვედ და მოვიდის... ჰალიშ. ლკ 78 ტაბ. 116 b₁.

აქ **ვჰრქუ** ხოლმეობითია (= ვჰრქვ) და აწმყოს როლში გამოდის: **ვეუბნები** (ძვ. ქართ. ვე ტყვ); მას შეესატყვისება ძვ. სომხ. **ասեյ**, ბერძ. λέγω, ლათ. dico, ძვ. სლავ. глаголю...

ასევე მრავლ. მესამე პირი: იყო სოფელი ერთი დიდი თავსა ზედა დიდისა მის მდინარისასა: რომელსა **ჰრქვან** მტკუარი. გევსა რომელსა **ჰრქვან** კოლაჲ... (წამება კოლაელთა...). ჰრქვან = ე ტყვან ხოლმე, უწოდებენ.

ამ უკანასკნელმა ფორმამ (ჰრქვან → ახ. ქართ. ჰქვია) შეინარჩუნა აწმყოს ფუნქცია.

11. წარმოებითა და სინტაქსური კონსტრუქციის მიხედვით ხოლმეობითი განეკუთვნება ნაკვთა მეორე წყებას (ნამყო ძირითადის წყებას). როგორღა შესაძლებელი ხოლმეობითი ეწეოდეს აწმყოს მაგივრობას? ეკავოს ის ადგილი, რაც შემდეგ აწმყომ დაისაკუთრა?

ხოლმეობითი არაა დრო, არამედ ასპექტი. ხოლმეობითის დანიშნულება იყო გადმოეცა არა ის, თუ **როდის** ხდება მოქმედება, არამედ ეჩვენებინა, **როგორ** მიმდინარეობს პროცესი; **ხოლმეობითი მიუთითებდა მოქმედების** (პროცესის) **განგრძობის** (დიურატიულ) **ხასიათზე**. ამ მხრივ იგი უპირისპირდებოდა ნამყო ძირითადს, როგორც წერტილებრივი (მომენტობრივი) ასპექტის გამომხატველს: მან **თქვს** (= იგი ამბობს ხოლმე) — მან **თქუა**... მან **აკეთის** — მან **აკეთა**... მან **წარავლინის** — მან **წარავლინა**.

ხოლმეობითი, როგორც **განგრძობითი ასპექტის** აღმნიშვნელი, ეთვისება აწმყოს, ე.წ. **ზოგად-აწმყოს**: უკანასკნელიც იმაზე მიუთითებს, რაც ჩვეულებრივ ხდება (მოწაფე სწავლობს, მასწავლებელი ასწავლის... მზე ანათებს...). ამრიგად, ხოლმეობითსა და აწმყოს **ასპექტი** აერთიანებდა.

ხოლმეობითი აწმყოს მაგივრობას ეწეოდა, როცა დროის კატეგორია ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული. დროის კატეგორიის ჩამოყალიბება და ხოლმეობითის პოზიციების დასუსტება ერთმანეთთან დაკავშირებულ პარალელურ პროცესებად გვესახება. ამჟამად ხოლმეობითი არც სალიტერატურო ქართულში გვაქვს, არც კილოთა მეტ წილში (ეს პროცესი დამთავრებული დღესაც არაა: აწმყო „ლაპარაკის დროს მიმდინარე პროცესს“ ყოველთვის ახლაც არ აღნიშნავს. აწმყო „დრო“ ერთგვარად პირობითი ტერმინია).

12. სვანურ ენას ხოლმეობითი ამჟამად არ გააჩნია (ისევე, როგორც — თანამედროვე სალიტერატურო ქართულსა და ბარის კილოებს). სვანურის აწმყოს ერთი ძირითადი სუფიქსთაგანი **-ი** (აწნი — ხნავს) ხოლმეობითისეული უნდა იყოს: ხოლმეობითი მორფოლოგიურად ცოცხლობს აწმყოში (მდრ. აწნი-ი „ხნავს“ — ქართ. შლ-ი-ს ტიპი).

ზანურში (ჰანურსა და მეგრულშიც) არა გვაქვს ხოლმეობითი, მაგრამ ვნებითის წარმოება აწმყოში (ჰან. ირდ-ენ — იზრდება, ითქვ-ენ — ითქმ-ი-ს), გვაფიქრებინებს, რომ გარდამავალ ზმნათა აწმყოს ადგილი ძველად ზანურშიც მეორე წყების ნაკვთს, ხოლმეობითს, უნდა სჭეროდა.

13. ხოლმეობითის ძველი **ფუნქციისა** და ისტორიული **ადგილის** გარკვევა ზმნის ნაკვთა სისტემაში შექსა ფენს ქართული ზმნის უღვლი-ლების რიგ თავისებურებას:

ა. **-აგ-**, **-ამ-** სუფიქსიან ზმნებს ნამყო უსრულში **-დ-** სუფიქსის წინ „უჩნდებათ“ **-ი** ძვ. ქართულში.

აწმყო:	ჰბაძავს...	სუამს
ნამყო უსრ.:	ჰბაძვ-ი-დ-ა	სუმ-ი-დ-ა

უფრო ხშირია ასეთი ფორმები მესამე პირში, უფრო იშვიათი პირ-ველსა და მეორე პირში (აქ უფრო ხშირია **-ეგ-**, **-ემ-** სუფიქსით წარმოება: ვჰბაძ-ეგ-დ, ჰბაძ-ეგ-დ... ვსუ-ემ-დ, ჰსუ-ემ-დ; ამათი მესამე პირი მეტად იშვი-ათია). **-ი-** (**-დ-** სუფიქსის წინ) უნდა მომდინარეობდეს ძველი საწარმოებე-ლი (ამოსავალი) ფუძიდან: *ვჰბაძვი, *ჰბაძვი, *ჰბაძვი-ნ... *ვჰსუმი, *ჰსუმი, *ჰსუმი-ნ...

ვჰბაძევდ, ვჰსუმედ აგრეთვე აღგვიდგენს ძველ საწარმოებელ ფუძეს („აწმყო“): ვჰბაძევ, ვჰსუმე (— სხვა დიალექტური წრისა, ვინემ *ვჰბაძვი, *ვჰსუმი).

ნამყო უსრულის ფუძე აწმყოს ფუძის აღდგენის საიმედო საშუალებაა.

14. Учет истории пермансива существенно меняет понимание некоторых основных вопросов исторической морфологии и синтаксиса грузинского языка.

В разрезе морфологическом: выясняется, что в древности характерным для спряжения грузинского глагола являлось различие *статических* и *динамических* глаголов (как то наблюдается ныне в абхазском языке).

Статические глаголы, как правило, непереходные; динамические же могли быть и переходными и непереходными.

В конъюгационных основах выражались аспекты: *длительный* (*дюративный*) и *моментный*.

Динамические глаголы могли иметь оба аспекта: *дюративный* (пермансив: თქვს tkwis "говорил, говорит, бывало", იქმნის iknmis "становился, становится, бывало") и *моментный* (аорист: თქვა tkwa "сказал"; იქმნა ikmna "стал, сделался").

Статические глаголы обладали лишь одним аспектом – *дюративным* – ზ-ის z-i-s "сидит", ყუბავ-ის qwav-i-s "цветет"): пермансив переходных глаголов и настоящее непереходных глаголов суть образования одной формации. Отнюдь не случайно, что суффикс -ი -i налицо и в пермансиве переходных глаголов (თქვს tkw-i-s)¹ и в настоящем статических глаголов (правда, не у всех): ზ-ის z-i-s. Это один и тот же суффикс -ი -i.

Как правило, переходные глаголы – динамические, но вначале (в процессе формирования глагола) они могли быть и статическими. Примерами таких статических переходных глаголов выглядят უწყის იცის მან იგი icis man igi "знает он то".

15. В разрезе синтаксическом история пермансива также ведет к определенным заключениям.

Как известно (см. § 1), эргативная и номинативная конструкции различаются в третьем лице переходных глаголов, эргативная – во временах группы аориста, номинативная – во временах группы настоящего времени: номинативная конструкция невозможна в аористе (переход. глаголов), и, наоборот, эргативная конструкция несовместима с настоящим временем (переход. глаг.). Единственное "исключение" – два синонимичных глагола – იცის icis, უწყის მან იგი uqvis man igi.

Выяснилось, что это "исключение" когда-то являлось нормой; эргативная конструкция была единственной конструкцией переходного глагола (взятого в прямой, в неинверсивной форме). Функцию настоящего времени – дюративность процесса – передавал пермансив. От него могло образовываться прошедшее несовершенное и, следовательно, эргативную конструкцию имели переходные глаголы и в прошедшем несовершенном (მან წარავლინობდის იგი man çaravlinodis igi "он, бывало, посылал его").

Номинативная конструкция при переходных глаголах – позднейшее образование. Она обусловлена формированием настоящего времени, постепенно вытеснившего пермансив в системе конъюгационных основ, и, соответственно, обусловившего образование номинативной конструкции. Сложный процесс вытеснения эргативной конструкции номинативной, по-видимому, находится во внутренней связи с трансформацией глагольной основы аориста в основу настоящего времени. Основа настоящего времени в *переходных* - глаголах в сравнении с основой аориста образование позднейшей формации.

Таким образом при переходных (неинверсивных) глаголах вначале была одна *лишь эргативная конструкция, затем образовалась номинативная конструкция.*

¹ Пермансив страд. залога также использует этот суффикс: см. იქმნ-ის ikmn-i-s.

Положение И. И. Мещанинова – вначале возникла эргативная конструкция, а затем лишь – номинативная – **находит документальное подтверждение** в фактах древнегрузинского литературного языка; это **положение бесспорно**, поскольку речь идет о **переходных глаголах**.

Но, конечно, положение меняется, если мы обобщим эту формулу на все спряжение или же будем характеризовать всю структуру языка, как стадию эргативную и стадию номинативную.

Дело в том, что эргативная и номинативная стадии сосуществуют: эргативная – при переходных глаголах, номинативная – при непереходных. Более того, как мы уже отмечали (см. § 1), параллельно с этими двумя конструкциями в первом и во втором лицах еще держится индефинитная конструкция, исторически наиболее древний тип, исходный пункт для всех остальных образований.

По-видимому, построение стадияльной схемы может привести к реальным результатам лишь в том случае, если она будет строиться не дедуктивно и а priori, а индуктивно, по языкам, с полным учетом истории этих языков, на необходимость чего, на наш взгляд, вполне справедливо указывается в последней статье И. И. Мещанинова ("Проблема стадияльности в развитии языка" – Изв. АН СССР, Отд. лит. и языка, т. VI, вып. 3).

Что же касается проблемы эргативной конструкции, то уяснение вопроса об историческом взаимоотношении эргативной и номинативной конструкций лишний раз убеждает в том, что **историческая сущность этих конструкций** (resp. **природы переходного глагола**) **находит выражение** не в падежах субъекта (эргативном и именительном – в грузинском языке оба эти падежа прямые), а **в падежах реального объекта** и в их смене: в эргативной конструкции это – **падеж именительный**, в номинативной же конструкции это – **падеж дательный** (функционально – винительный). Замена именительного дательным падежом отображает трансформацию нейтральной основы переходного глагола (в аористе) в активную основу (в настоящем времени).

**ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა
იბერიულ-კავკასიურ ენებში**

II

ერგატიული კონსტრუქციის რაობის თეორიები

Problem of ergative construction in the Iberian-Caucasian languages

II

Ergative construction essence theories

Проблема эргативной конструкции в иберийско-кавказских языках

II

Теории сущности эргативной конструкции

ს ა რ ჩ ე ვ ი

წინასიტყვაობა	203
---------------------	-----

თ ა ვ ი პ ი რ ვ ე ლ ი

ერგატიული კონსტრუქციის საკითხისათვის ზოგადად	206
---	------------

§ 1. ტერმინისათვის ერგატიული კონსტრუქცია	206
§ 2. „მოთხრობითი“ და მისი სინონიმები: „ერგატივი“, „ინსტრუქტივი“, „აქტიური ბრუნვა“	207
§ 3. ერგატიული კონსტრუქცია და ზოგადი ენათმეცნიერება ...	207
§ 4. ერგატიული კონსტრუქციის ნაირსახეობანი იბერიულ-კავკასიურ ენებში	209
§ 5. ერგატიული კონსტრუქციის პრობლემის დაფორმულება	212

თ ა ვ ი მ ე ო რ ე

ერგატიული კონსტრუქციის პასიურობის თეორიები	214
---	------------

§ 6. პ. უსლარი გარდამავალი ზმნის შესახებ ჩაჩნურსა და დაღესტნურ ენებში	214
§ 7. პ. უსლარის შეხედულებათა ანალიზი	217
§ 8. ნ. მარი მოთხრობითი ბრუნვის რაობის შესახებ ქართულში	223
§ 9. ნ. მარი გარდამავალი ზმნის შესახებ ქართულში	226
§ 10. ნ. მარის შეხედულებათა ანალიზი	229
§ 11. ჰ. შუხარდტი გარდამავალი ზმნისა და ერგატივის შესახებ კავკასიურ ენებში	245
§ 12. ჰ. შუხარდტი გარდამავალი ზმნის ბუნების შესახებ საერთოდ	260
§ 13. შუხარდტის კონცეფციის ანალიზი	263

თ ა ვ ი მ ე ს ა მ ე

ერგატიული კონსტრუქციის აქტიურობის თეორიები (ს. ბიზოვსკაია, ნ. იაკოვლევი)	272
§ 14. წინასწარი ცნობები აქტიურობის კონცეფციათა შესახებ	272
§ 15. ს. ბიზოვსკაია ერგატიული კონსტრუქციის შესახებ	272
§ 16. ს. ბიზოვსკაიას შეხედულებათა ანალიზი	278
§ 17. ნ. იაკოვლევი ერგატიული კონსტრუქციის შესახებ ჩაჩნურში	280
§ 18. ნ. იაკოვლევის ძირითად დებულებათა შეფასება	294

თ ა ვ ი მ ე ო თ ხ ე

ერგატიული კონსტრუქციის სტადიური თეორია	301
§ 19. ი. მეშჩანინოვის სტადიური თეორია და ერგატიული კონსტრუქციის საკითხი	301
§ 20. სტადიური თეორიის პირველი ვარიანტის ანალიზი	307
§ 21. სტადიური თეორია ი. მეშჩანინოვის „ზოგად ენათ-მეცნიერებაში“ და მისი ანალიზი	308

თ ა ვ ი მ ე ხ უ თ ე

ერგატიული კონსტრუქციის მითოლოგიური თეორია	314
§ 22. კ. ულენბეკი გარდამავალი ზმნისა და ერგატივის შესახებ	314
§ 23. კ. ულენბეკის შეხედულებათა ანალიზი	326

თ ა ვ ი მ ე ე ქ ვ ს ე

ნარევი თვალსაზრისი ერგატიული კონსტრუქციის საკითხში	333
§ 24. ფ. ფინკი გარდამავალი ზმნის ბუნების შესახებ	333
§ 25. ა. ტრომბეტი ერგატიული კონსტრუქციის შესახებ	341
§ 26. ა. დირი გარდამავალი ზმნის შესახებ იბერიულ-კავკასიურ ენებში	348

თ ა ვ ი მ ე შ ვ ი დ ე

ერგატიული კონსტრუქცია, როგორც გვარების მიმართ ინდიფერენტული კონსტრუქცია	355
§ 27 ზმნისა და სახელის საკითხი ერგატიული კონსტრუქციის ახსნისას	355
§ 28. გარდამავალი ზმნის პასიურობა-აქტიურობის საკითხი გვარის კატეგორიის არმქონე ენებში	356
§ 29. გარდამავალი ზმნის ბუნების საკითხი გვარის კატეგორიის მქონე იბერიულ-კავკასიურ ენებში	357
§ 30. ერგატივის საკითხი ზოგადად	359
§ 31. სახელობითის სინტაქსური უპირატესობა ერგატივის წინაშე (ობიექტური უღვლილების პირობებში) და ამ უპირატესობის საფუძველი	360
§ 32. დასკვნითი დებულებები	362
 <i>Проблема эргативной конструкции в иберийско-кавказских языках II. Теории сущности эргативной конструкции (Резюме)</i>	367

წინასიტყვაობა

ერგატიული (ანუ მოთხრობითიანი) კონსტრუქცია გარდამავალ ზმნასთან გვაქვს ნამყო ძირითადში („მონადირე მ მოკლა დათვი“... შდრ. აწმყოში: „მონადირე კლავს დათვს“...).

ერგატიული კონსტრუქციის პრობლემაში სახელთა ბრუნებისა და ზმნის უღვლილების საკვანძო საკითხები იყრის თავს. ერგატიული კონსტრუქციის აღწერითი ანალიზის სპეციფიკურ სინტაქსურ ურთიერთობას ამჟღავნებს დაახალ, თავისებურ სინტაქსურ ცნებათა ჩამოყალიბებას მოითხოვს (ეს ნაჩვენები გვაქვს მონოგრაფიაში: „მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში: I. ქვემდებარე-დამატების საკითხი ძველ ქართულში, თბილისი, 1928, გვ. 285-286).

ერგატიული კონსტრუქციის რაობა სათანადო ენის სტრუქტურის ისტორიამ შეიძლება გაგვირკვიოს. ამ მიზანს ემსახურება რიგი შრომა. მონოგრაფიაში „ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში: I. ნომინატიურ და ერგატიული კონსტრუქციის ისტორიული ურთიერთობა ძველი ქართული სალიტერატურო ენის მონაცემთა მიხედვით“ (თბილისი, 1948) ნაჩვენები გვაქვს, რომ ძველად ქართულში გარდამავალ ზმნასთან სუბიექტი სახელობითში არ დაისმოდა, აქ არ გვქონდა სახელობითიანი (ნომინატიური) კონსტრუქცია, რომ ნომინატიური კონსტრუქცია („მონადირე კლავს დათვს“) მეორეული წარმონაქმნია; ერგატიულ კონსტრუქციას წინ უსწრებდა **ინდეფინიტიური** კონსტრუქცია: „აბრაამ შვა ისაკ“: სუბიექტიც გაუფორმებელი იყო და ობიექტიც (ხსენებ. შრომა, გვ. 128, 147).

ამრიგად, ინდეფინიტიური, ერგატიული და ნომინატიური კონსტრუქცია წარმოგვიდგენს კონსტრუქციის განვითარების სამ ფაზას გარდამავალ ზმნებთან.

არსებითი მნიშვნელობა ერგატიული კონსტრუქციის ისტორიისათვის აქვს ზმნური და სახელადი ფუძეების ისტორიულ ურთიერთობას. ამ საკითხზე პასუხი გაცემული გვაქვს მონოგრაფიაში: „სახელის ფუძის უძველესი აგებულებს ქართველურ ენებში“, თბილისი, 1942, გვ.გვ. 262, 280, 298.

ერგატიული კონსტრუქციის, მისი კომპონენტების, ზმნისა და სახელის ისტორიის რიგი სხვა საკითხი განხილული გვაქვს წერილებში:

1. „ერგატიული კონსტრუქციის პრობლემისათვის კავკასიურ ენებში:

ამ კონსტრუქციის სტაბილური და ლაბილური ვარიანტები“ („ენიმკის მოამბე“, ტ. XII, 1942, გვ. 221-247);

2. „პოლიპერსონალიზმის საკითხი ხუნძურში ერგატიული კონსტრუქციის პრობლემასთან დაკავშირებით“ („ენიმკის მოამბე“, ტ. X, 1941, გვ. 55-74);

3. „მოთხრობითი ბრუნვის გენეზისისათვის ქართველურ ენებში“ (უნივერს. შრომები, ტ. X, 1940, გვ. 167-183);

4. „ერგატივის წარმოქმნის ისტორიისათვის ხუნძურში“ (იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. II, 1948, გვ. 91-116; ცოტაოდენი შემოკლებით დაიბეჭდა რუსულად კრებულში „Языки Дагестана“, II, გვ. 5-18);

5. „ნაცვალსახელთა ბრუნება ხუნძურში“ („ენიმკის მოამბე“, ტ. XII, 1942, გვ. 31-50).

6. „რამდენიმე შენიშვნა ერგატიული კონსტრუქციის შესახებ (საკითხის დასმისათვის)“ — შესავალი წერილი კრებულისა „წინადადების ერგატიული კონსტრუქცია, მოსკოვი, 1950, გვ. 5-16 (რუს. ენაზე).

7. „ზმნის უღვლილების ძირითადი ტიპები და მათი ისტორიული ურთიერთობა იბერიულ-კავკასიურ ენებში“ — მოხსენება, წაკითხული ორიენტალისტების XXV საერთაშორისო კონგრესზე მოსკოვში 1960 წ. (საბჭოთა კავშირის დელეგაციის მოხსენებები, რუსული ტექსტი გვ. 1-14, ფრანგული ტექსტი, გვ. 1-25).

ყველა ამ წერილში ის აზრია გატარებული, რომ ერგატიულ კონსტრუქციას ვერ მივიჩნევთ პასიურ კონსტრუქციად. ერგატიული კონსტრუქცია არ არის არც აქტიური კონსტრუქცია. იგი სპეციფიკური — ზმნის გვართა მიმართ — **ინდიფერენტული** (ნეიტრალური) კონსტრუქციაა. როცა ერგატიული კონსტრუქცია დაჰყავთ პასიურ კონსტრუქციამდე ანდა, როცა მას აქტიურ კონსტრუქციად სახავენ, ერგატიული კონსტრუქციის თავისებურება ამით კი არ აიხსნება, არამედ იჩრდილება. წინამდებარე ნარკვევი ერგატიული კონსტრუქციის თეორიათა (პასიურობის თეორიების, აქტიურობის თეორიების) კრიტიკულ ანალიზს იძლევა. ამოსავალი აქაც იგივეა, რაც ზემოხსენებულ წერილებშია მოცემული და რაც უკვე ჩატარებულმა ძიებამ დაადასტურა; მიზანიც იგივე რჩება: ვაჩვენოთ, რა ქმნის ერგატიული კონსტრუქციის თავისებურებას.

პასიურობისა და აქტიურობის თეორიათა კრიტიკული განხილვის შემდეგ საჭიროდ მივიჩნით დებულებათა სახით ჩამოგვეყალიბებინა პასუხი ყველა ძირითად საკითხზე, რასაც ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა შეიცავს.

ავტორი ვარაუდობს, თუ კი ამის ფიზიკური შესაძლებლობა დაურჩა, ამ დებულებათა ვრცელი დასაბუთება ცალკე წარმოადგინოს.

ერგატიული კონსტრუქციის საკითხი ამჟამად იზიდავს სხვადასხვა დარგის ენათმეცნიერთა ყურადღებას. ამას მოწმობს ისეთი საინტერესო შრომების გამოქვეყნება, როგორცაა: „ცნება ქვემდებარის შესახებ ქართულში“ — ნორვეგიელი ენათმეცნიერის ა. სომერფელტისა (1937; რუს. თარგ. — კრებულში „წინადადების ერგატიული კონსტრუქცია“, 1950); „აორისტის კონსტრუქცია ქართულში“ („Die georgische Aoristkonstruktion“) — ჰუმბოლდტის სახელობის ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორის გერტრუდ პეჩ-ისა (ჰუმბოლდტის უნივერსიტეტის სამეცნ. ჟურნ., საზოგადოებათმეცნიერული და საენათმეცნიერო სერია, II, ნაკვ. I, 1952/53, გვ. 5-13), სადაც ზოგი საყურადღებო მოსაზრება არის გამოთქმული.

ესა და რიგი სხვა ნაშრომი განხილული იქნება ცალკე — იბერიულ-კავკასიურ ენათა სინტაქსური კონსტრუქციების დაწვრილებით დახასიათებისას.

18. XII. 1960

თბილისი

არნ. ჩიქობავა

თ ა ვ ი ჰ ი რ ვ ე ლ ი

ერგატიული კონსტრუქციის საკითხისათვის ზოგადად

§ 1. ტერმინისათვის „ერგატიული კონსტრუქცია“. ერგატიული კონსტრუქცია სინტაქსური კონსტრუქციაა; მასში მონაწილეობს გარდამავალი ზმნა, მოქმედი სახელი (რეალური სუბიექტი, RS) მოთხრობით ბრუნვაში (ერგატივში) და მოქმედების საგანი (რეალური ობიექტი, RO) სახელობითში: აკეთა, აშენა, ხნა, თესა, ხატა, კერა, აქო — მან იგი.

ერგატიული კონსტრუქცია მოთხრობით-ბრუნვიანი კონსტრუქციაა, რამდენადაც ნიშანდობლივად მისთვის რეალური სუბიექტის ბრუნვას მივიჩნევთ. ხოლო თუ მხედველობაში მივიღებთ ობიექტის ბრუნვასაც, ერგატიული კონსტრუქცია უნდა დავახასიათოთ, როგორც მოთხრობით-სახელობითიანი კონსტრუქცია.

მაგრამ დასახელებისას ამოდიან რეალური სუბიექტის ბრუნვიდან და ერგატივიანი კონსტრუქციას ამბობენ იმიტომ, რომ სუბიექტის ეს ბრუნვა თავისებურია და უცხო ინდო-ევროპულ, სემიტურ, უნგრულ-ფინურ, ალთაურ (თურქულ-თათრულ) ენათა თვალსაზრისით. როცა ჩვენ მოთხრობითში ვსვამთ რეალურ სუბიექტს, ეს ენები სუბიექტისათვის სახელობითს ხმარობენ, ობიექტისათვის (პირდაპირი დამატებისათვის) — აკუზატივი (ბრალდებითი ბრუნვა) აქვთ; შდრ., მაგალითად:

მხატვარმა (ერგატ.) დახატა სურათი (სახელობ.)

რუს. художник (სახელობ.) написал картину (აკუზატივი ანუ ბრალდებითი).

ერგატიული კონსტრუქციის ნაცვლად რუსული ხმარობს ნომინატიურ კონსტრუქციას (სახელობითიანი კონსტრუქციას). უფრო სრული და ზუსტი იქნებოდა, თუ ვიტყოდით: ქართულის მოთხრობით-სახელობითიანი კონსტრუქციის ადგილას რუსულში სახელობით-ბრალდებითიანი კონსტრუქციას ვპოვებთ.

ერგატიულ კონსტრუქციაში, როგორც ვხედავთ, თავისებურია არა მხოლოდ სუბიექტის ბრუნვა, არამედ ობიექტისაც: ობიექტის ბრუნვად სახელობითის გამოყენება არა ნაკლებ საგულისხმოა ამ კონსტრუქციის რაობის თვალსაზრისით, ვინემ სუბიექტის დასმა ერგატივში. მაგრამ კონსტრუქციის დასახელებისას სუბიექტის ბრუნვის თავისებურებას ესმის ხაზი: კონსტრუქცია იწოდება ერგატიულად.

§ 2. „მოთხრობითი“ და მისი სინონიმები: „ერგატივი“, „ინსტრუქტივი“, „აქტიური ბრუნვა“. მოთხრობითი ბრუნვა პირველად ანტონი პირველის გრამატიკაშია გამოყოფილი; ტერმინიც მას ეკუთვნის (სომხ. პატმაკან-ის თარგმანს წარმოადგენს, თუმცა პატმაკანი სულ სხვა ოდენობაა). ტერმინში („მოთხრობითი“) არა ჩანს, რომ სახელი ამ ბრუნვაში მოქმედს აღნიშნავდეს, გარდამავალი ზმნის სუბიექტს გულისხმობდეს. „მოთხრობითის“ გასამართლებლად იმას თუ ვიტყვით, რომ სხვა ბრუნვათა სახელებიც (ნათესაობითი, აკუზატივი ანუ ბრალდებითი...) სათანადო ფუნქციებზე არ მიუთითებს, მეტნაკლებად პირობითია და ტრადიციითღა არის გამართლებული.

ტერმინი ერგატივი იმავე ძირისაა, რაც ბერძ. *ergon* („საქმე“, „მოქმედება“), *ergátes* (მოქმედი, ენერგიული) და შემოდებულია ბოლო ხანებში (გავრცელება პოვა ა. დირის შრომების მეოხებით): ტერმინში გახაზულია ამ ბრუნვაში დასმული სახელის ფუნქცია, — ესაა მოქმედი, აქტიური სახელი. ამგვარად, ერგატივი = მოქმედი.

ერგატივის ნაცვლად სხვადასხვა დროს უხმარიათ: ინსტრუქტივი *Instruktiv* — ა. შიფნერი), აქტიური (*activus, активный* — ა. შიფნერი, ჰ. შუხარდტი, ლ. ჟირკოვი...).

გარკვეულ ენებში ამ ბრუნვას პ. უსლარი უთანაბრებდა მოქმედებითს (*творительный* — ჩაჩნურში, ხუნძურში, დარგულში, ლეზგიურში), ნათესაობითს (*родительный* — ლაკურში).

ტერმინი „აქტიური“ უფრო მარჯვე იქნებოდა, ვინემ ერგატივი, ერთი გარემოება რომ არა: „აქტიური ბრუნვა“ მოითხოვს ვინმართ ტერმინი „აქტიური კონსტრუქცია“; ამრიგად, იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს უკვე გადაწყვეტილი იყოს, რა ბუნებისად მიგვაჩნია ეს კონსტრუქცია: იგი აქტიური გამოდის; ნამდვილად კი ამ კონსტრუქციის ხასიათი სარკვევია; მის შესახებ სხვადასხვა აზრი არსებობს; ხშირად ამ კონსტრუქციას პასიური ბუნებისად თვლიან. საჩოთირო იქნებოდა ტერმინოლოგიურად: „აქტიური კონსტრუქცია პასიურიაო“, გვეთქვა,

ტერმინი „ერგატივი“ ამ მხრივ არ გვზღუდავს, და ეს მას უპირატესობას ანიჭებს. ანგარიშგასაწევია ისიც, რომ „ერგატივი“ საკმაოდ გავრცელებულიც არის ამჟამად (მეტადრე კონსტრუქციის დასახელებისას).

§ 3. ერგატიული კონსტრუქცია და ზოგადი ენათმეცნიერება. ერგატიული კონსტრუქცია გვაქვს იბერიულ-კავკასიურ ენებში (ქართველურსა და მთის იბერ.-კავკას. ენებში), აგრეთვე — ბასკურში. ანალოგიურ კონსტრუქციის არსებობაზე მიუთითებენ ამერიკის ინდიელთა ენებში, ზოგ

ახალ ინდურ ენაშიც¹ (თუმცა აქ მეორეულ ვითარებასა და განსხვავებულ მოვლენასთან უნდა გვქონდეს საქმე).

უფრო საგულისხმო ის არის, რომ ერგატიული კონსტრუქციის კვალს ეძებენ ინდო-ევროპულ ენათა წარსულში. ამგვარი ძიებისათვის ნიადაგი შეამზადა ჰ. შუხარდტისა (იხ. ქვემოთ) და კ. ულენბეკის შრომებმა. კ. ულენბეკი ინდო-ევროპული სახელობითის -s-ში „აქტიურ ბრუნვას“ ხედავდა *cas actif*), ხოლო უნიშნო ბრუნვა პასიური-აო, ამბობდა.² 1936 წ. ანდ. ვაიანმა ამავე საკითხს უძღვნა წერილი, რომელსაც დამახასიათებელი სათაური აქვს: „ინდო-ევროპული ერგატივი“.³

აქედან ცხადია, რომ ერგატიული კონსტრუქციის საკითხს მარტოდენ იბერიულ-კავკასიურ ენათა სტრუქტურის ისტორიის საკითხად ვერ მივიჩნევთ: მას უფრო ფართო პერსპექტივები ახლავს და ზოგადი მნიშვნელობა ენიჭება.

აკად. ი. მეშჩანინოვმა ერგატიული კონსტრუქციის საკითხი განიხილა სხვა სინტაქსურ კონსტრუქციებთან (ნომინატიურ, დატიურ, გენეტიურ... კონსტრუქციებთან) ისტორიულ კავშირში, როგორც ერთ-ერთი საფეხური სინტაქსურ კონსტრუქციათა სტადიურ განვითარებაში. რა აზრისაც არ უნდა ვიყოთ სტადიური განვითარების თეორიაზე და ი. მეშჩანინოვის ძიების შედეგებზე, ერთი მაინც ცხადია: საკითხის დასმა სინტაქსურ კონსტრუქციათა შემდგომადობის შესახებ სინტაქსში იმავე რიგისად უნდა ვცნოთ, როგორსაც მორფოლოგიაში წარმოადგენს ძირეულ, აგლუტინაციურ და ფლექსიურ ენათა ისტორიული თანამიმდევრობის საკითხი (ა. შლაიხერთან). მორფოლოგიურ ტიპთა შემდგომადობის საკითხი ზოგადი ენათმეცნიერების საკითხად ითვლება. სინტაქსურ კონსტრუქციათა შემდგომადობის საკითხიც ზოგადი ენათმეცნიერების საკითხია. ამგვარად: ერგატიული კონსტრუქციის ისტორიის საკითხი იბერიულ-კავკასიურ ენათა სტრუქტურის ისტორიის პრობლემას განეკუთვნება და მასთან ზოგადი ენათმეცნიერების აქტუალურ პრობლემადაც გვევლინება. ერგატიული კონსტრუქციის სინტაქსური ანალიზი — სისტემატური, აღწერითი ხასიათისა — სპეციფიკურ სინტაქსურ ურთიერთობას ამჟღავნებს და ახალ თავისებურ სინტაქსურ ცნებათა ჩამოყალიბებას მოითხოვს. ამდენად ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა — აღწერითი (სისტე-

¹ იხ. მაგალ., W. Allen-ის წერილი: A Study in the Analysis of Hindi Sentence Structure — ჟურნ. Acta Linguistica, vol. VI, (1950) f. 2-3, გვ. 68-86.

² ჟურნ. Indogermanische Forschungen, XII (1901), გვ. 170-171.

³ A. Vaillant: "L'érgatif indo-européen" — იხ. Bulletin de la Société de Linguistique de Paris, t. 37 (1936), f. 2. გვ. 93-108.

მ უ რ ი) ანალიზის ასპექტშიც — ზოგადი ენათმეცნიერების პრობლემად წარმოგვიდგება.¹ ამ კონსტრუქციის მქონე ენებისათვის კი ესაა მათი სტრუქტურის საკვანძო საკითხი და მათი ისტორიის ერთი ძირითადი პრობლემათაგანი.

§ 4. ერგატიული კონსტრუქციის ნაირსახეობანი იბერიულ-კავკასიურ ენებში. ერგატიული კონსტრუქცია იბერიულ-კავკასიურ ენებში ყველგან ერთგვარი არ არის: გარკვეული სხვაობა იჩენს თავს. ეს სხვაობა დაკავშირებულია, ერთი მხრით, იმასთან, თუ რა ადგილი უჭირავს ერგატივს ბრუნების სისტემაში, და, მეორე მხრით, იმასთან, თუ რა შემთხვევაში (რა ნაკვებთან, დროებთან) მოითხოვს ერგატივს ზმნა ამა თუ იმ ენაში. ერგატივი ცალკე მოწოდოლოგიურ ერთეულს წარმოადგენს,² საკუთარი გაფორმება აქვს: ქართულში, ზანურში (ჭანურშიც, მეგრულშიც); ბაცბურში (სახელთა ერთ ჯგუფში), კაპუჭურ-ჰუნზიბურში, რუტულურში, წახურულში...

ერგატივს საზიარო ფორმა აქვს მოქმედებით ბრუნვასთან: ჩაჩნურ-ინგუშურში, ხუნძურში, ანდიურში, დიდოურში, დარგულში, ლეზგიურში...

ერგატივს საზიარო ფორმა აქვს ნათესაობითთან ლაკურში.

ერგატივს შეიძლება საზიარო ფორმა აღმოაჩნდეს გარდაქცევით (მიმართულებით) ბრუნვასთან (სვანურში).

აფხაზურს არ მოეპოვება ერგატივი (ისევე, როგორც მიცემითი), სათანადო ბრუნვათა ფუნქციებს ზმნის ფორმები გადმოგვცემს.

ცალკე უნდა აღინიშნოს პირის ნაცვალსახელებისა და ადამიანთა სახელების ვითარება: მთელ რიგ იბერიულ-კავკასიურ ენებში პირველისა და მეორე პირის ნაცვალსახელები ერგატივს არ განარჩევენ სახელობითისაგან; ასეა ეს ქართულში და სხვა ქართველურ ენებში (სვანურში, ზანურში), ადიღურ ენებში, ლაკურში და რიგ სხვა დაღესტნურ ენაში. ამგვარი ვითარების კვალი შემონახულა ხუნძური ენის ზოგ კილოშიც, დარგულისაშიც.

ადამიანთა სახელებს ამჟამად ქართულში მოთხრობითი ეწარმოება (დავითმა, თედომ, პეტრემ...), მაგრამ ძველ ქართულში ჯერ კიდევ გვქონდა

¹ ქართულის მასალაზე ეს საკითხი განხილული გვაქვს შრომაში: „მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში“, I, 1928, გვ. 257-280. იხ. აგრეთვე წერილი: „რა თავისებურებები ახასიათებს ქართული ენის აგებულებას“. V, ყურნ. „კულტ. მშენებლ.“ 1930, №7.

² ამას ი. მეშჩანინოვი „თავისთავადს ერგატიულს“ (эргативный самостоятельный) უწოდებს, იხ. მისი *Общее языкознание*, 1940, გვ. 20.

შემთხვევები, როცა გაუფორმებელი ფუძე მოთხრობითის (ერგატივის) ნაცვლად იხმარებოდა (აბრაამ შვა ისააკ... იაკობ შვა იუდა... ასაფ შვა იოსაფატ... შდრ. ახ. ქართ. ასაფ^{მა} შვა იოსაფატი).

ძველი ქართული ვითარება შემორჩენია ადილურ ენებს: ადამიანთა სახელები აქ ფაკულტატურად თუ აწარმოებენ ერგატივს.

ახლა — რაც შეეხება რეალური ობიექტის ბრუნვას, რომელიც აკუზატივის ნაცვლად გამოუყენებიათ. აკუზატივი არც ერთს იბერიულ-კავკასიურ ენაში არა გვაქვს. ამ მხრივ სრული ერთგვარობა შეინიშნება. აკუზატივის უქონლობა საერთო მოვლენაა, რომელიც ყველა იბერიულ-კავკასიურ ენას ახასიათებს, ერთადერთ გამონაკლისს უდური ქმნის: აქ თითქოს (აფექტივის სახით) აკუზატივიც ჩამოყალიბებულია, როგორც დამოუკიდებელი მორფოლოგიური ოდენობა. ეს ბრუნვა უდურში შედარებით ახალი წარმონაქმნია. იგი მიცემითის ვარიანტს წარმოადგენს.¹

აკუზატივის ადგილი დაღესტნურ ენებში, ნახურ ენებში, ადილურ ენებში სახელობითს უჭირავს. ქართველურ ენებში (ჭანურის გამოკლებით) საამისოდ ხან სახელობითი გვაქვს, როგორც მთის იბერიულ-კავკასიურ ენებში, ხან — მიცემითი (დავითმა აქოსიმონი, დავითი აქებს სიმონს). მიცემითს მოითხოვს გარდამავალი ზმნის აწმყო, სადაც მოქმედებითი და ვნებითი გვარები უფრო მკვეთრად უპირისპირდება ერთმანეთს, ვინემ ნამყო ძირითადში, ე. ი. აკუზატივს უფრო უახლოვდება მიცემითი. ქართულისა და უდურის ჩვენება აქ ერთმანეთს უჭერს მხარს.

ერგატიულ კონსტრუქციას გარდამავალი ზმნა ერთგვარად არ ქმნის სხვადასხვა იბერიულ-კავკასიურ ენაში:

1. რიგ ენაში გარდამავალი ზმნა ერგატიულ კონსტრუქციას ქმნის დრო-კილოთა მიუხედავად, ე. ი. ერგატიული კონსტრუქცია ერთადერთ კონსტრუქციას წარმოადგენს გარდამავალ ზმნებთან. ასეა, მაგალითად: ნახურ ენებში (ჩაჩნურ-ინგუშურ-ბაცბურში), ხუნძურში, დარგულში, ლეზგიურში... და დაღესტნურ ენათა უმეტესობაში.

2. რიგ ენაში გარდამავალი ზმნა მოითხოვს ერგატიულ კონსტრუქციას დრო-კილოთა ერთ წყებაში (ნამყო ძირითადის წყებაში: ქართული, სვანური). აწმყოს წყების ნაკვთები აქ ნომინატიურ კონსტრუქციას განსაზღვრავენ (სუბიექტი — სახელობ., ობიექტი — მიცემითში): ერგატიული

¹ ვლ. ფანჩვიძე, აკუზატივის გენეზისისათვის უდურ ენაში, — „ენიკის მოამბე“, V-VI, 1940, გვ. 137-152. ჰ. შუხარდტის აზრი აფექტივის შესახებ, აქვე § 11, გვ. 38.

კონსტრუქცია ერთ-ერთი კონსტრუქციაა გარდამავალ ზმნებთან, და არა — ერთადერთი.

არის ზოგი სხვა თავისებურებაც.

ჭანურში ამჟამად გარდამავალი ზმნა ერგატივს მოითხოვს ყველა ნაკვთთან, იქნება ეს აწმყოს წყებისა, ნამყო ძირითადისა თუ თურმეობითისა (ოღონდ მესამე პირში: პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელებს მოთხოვრებით არა აქვს): ჭან. (ხოფ.): ემუქ ზიმუ, ემუქ ზიმუფს, ემუქ ზიმერენ — იმან ზომა („იმან ზომავს“), იმას უზომავს (ზედმიწევნით: „იმან ნაზომა“). მოვლენა მეორეულია, ამოსავალი ვითარება აქაც ისეთივე უნდა ყოფილიყო, როგორც ქართულში და სვანურში გვაქვს; ამისი კვალი შემონახულია თვით ჭანურში.¹ ერთი შეხედვით, ამ მხრივ ჭანური ხუნძურს მოგვაგონებს, მაგრამ ნამდვილად დამსგავსება მეორეულია (ისიც — მესამე პირში, მეორესა და პირველ პირში ჭანურს სუბიექტად იგივე აქვს, რაც ქართულს, მეგრულსა და სვანურს).

მეგრულში ერგატიული კონსტრუქციის გამოყენების არე აგრეთვე გაფართოებულია, ოღონდ სხვა მხრივ: ნამყო ძირითადის წყების ნაკვთებში ყველა ზმნა, გარდამავალიცა და გარდაუვალიც, ერგატივში მოითხოვს რეალურ სუბიექტს: ჯიმაქ ზიმუ „ძმამ ზომა“, და ასევე: ჯიმაქ ქომორთუ „ძმამ მოვიდა“, ჯიმაქ დუღღურუ „ძმამ მოუკვდა“, ბალანაქ ქიდეებადუ „ბავშვმა (ბალანამ) დაებადა...“ ასეთი ზანიზმები ქვემო იმერულსა და გურულშიც შეინიშნება. ყველგან — მეორეულია² (თვით მეგრულში პროცესის გავრცელებას შეიძლება ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ ერგატივის ნიშნად **ქ** გვაქვს, ხოლო ზმნას თავში ქონაწილაკი (=ქუე) მოუღის ხშირად: ჯიმა ქომორთუ: ჯიმა-ქ **ქ**ომორთუ).

ბაცბურში პირველსა და მეორე პირში ზმნა, როგორც წესი, ნაცვალსახელს ერგატივში მოითხოვს გარდაუვალ ზმნაც; ას ვუიტას აღნი „მე მივდივარ ალვანს“, აჰა ვუიტაჰა აღნი „შენ მიდიხარ ალვანს“ (მესამე პირში — არა: ბაცავ ვუიტა აღნი „წოვა-თუში ალვანს მიღის“)³. მესამე პირის ჩვენება გადამწყვეტი მნიშვნელობისაა. თვით პირველსა და მეორე პირში პარალელურად გარდაუვალ ზმნასთან სახელობითიც იხმარება.⁴

ზემოხსენებული და სხვა თავისებურება ვერ აიხსნება ისტორიის და-

¹ ამის თაობაზე იხ. არნ. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, 1936, გვ. 181, 201.

² ქართულურსა და კახურშიც შეიძლება დადასტურდეს „იმან მოვიდა“-ს მსგავსი მაგალითები, როგორც სინტაქსური ანალოგიის შედეგი, მაგრამ — იშვიათად. ამის შესახებ: ვ. თოფური, სინტაქსური ანალოგიის ერთი შემთხვევა ქართულში, — „ჩვენი მეცნიერება“, 1923, I.

³ Ю. Дешерев, Бацбийский язык, Москва, 1953, გვ. 85, 223 და შემდ.

⁴ იქვე.

უხმარებლად. ჭანურისა და მეგრულის უცნაურობანი სვანურისა და ქართულის ჩვენებამ შეიძლება აგვახსნევინოს, როცა საკუთარი ზანური მასალა არა გვშველის.

ერგატიული კონსტრუქციის მქონე ენათა შორის ქართული ერთადერთი ენაა, რომლის განვითარების ისტორიასაც შეიძლება თვალი გავადევნოთ 15 საუკუნის მანძილზე (ბასკურის უძველესი სამწერლო ძეგლი 1545 წლით თარიღდება).

ასეთ პირობებში ქართულის ჩვენებას ერგატიული კონსტრუქციის გენეზისის რკვევისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, უმწერლო ენათა ჩვენებასაც ბევრი რისამე გარკვევა შეეძლება, თუ ისტორიის ძიება სწორად წარიმართა.

§ 5. ერგატიული კონსტრუქციის პრობლემის დაფორმულება.

ყველა სხვაობისა და მიუხედავად ერგატიული კონსტრუქცია გარდამავალ ზმნას უკავშირდება: ერგატიული კონსტრუქციის თავისებურება რეალური სუბიექტისა და რეალური ობიექტის ბრუნვებში მყდარდება, მაგრამ კონსტრუქციის თავისებურების წყაროა ზმნა. ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა ამგვარად ზმნის პრობლემაა, გარდამავალი ზმნის პრობლემა.

ამიტომ გასაგებია, რომ ერგატიული კონსტრუქციის საკითხი დაისმის იქაც, სადაც სახელებში ბრუნვები (სუბიექტისა, ობიექტისა) არ განირჩევა (მაგალ., აფხაზურში), თუ გარდამავალ ზმნას სათანადო თვისებები აღმოაჩნდება. ასეთ შემთხვევაში ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა გარდამავალი ზმნის უღვლილების თავისებურებებით იფარგლება. ხოლო სადაც ბრუნვაც გვაქვს, რეალური სუბიექტის (ერგატივისა) და რეალური ობიექტის (სახელობითის, აკუზატივის ნაცვლად რომ დაისმის) საკითხებიც გარკვევას მოითხოვს.

და მაინც სიმძიმის ცენტრი ზმნაზე მოდის, გარდამავალი ზმნის თავისებურებაზე, თუმცა პრობლემის დასახელებაში ზმნა ნახსენები არც არის, და მხოლოდ სუბიექტის ბრუნვა, ერგატივია წინ წამოწეული.

ერგატიული პრობლემის ამოხსნა ნიშნავს გარდამავალი ზმნის თავისებურების ახსნას.

რაში მდგომარეობს ერგატიულ კონსტრუქციაში მონაწილე გარდამავალი ზმნის თავისებურება?

ამაზე სამი, არსებითად განსხვავებული, პასუხი ყოფილა გაცემული (სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ავტორების მიერ):

1. გარდამავალი ზმნა ერგატიულ კონსტრუქციაში ვნებითი გვარისაა. საერთოდ, გარდამავალი ზმნა მოქმედებითი გვარისა უნდა იყოს, აქ

კი ვნებითი გვარისა გამოდის. თავისებურებაც ამაშია.

2. გარდამავალი ზმნა ერგატიულ კონსტრუქციაში მოქმედებითი გვარისაა; ასეთ შემთხვევაში საკითხი ისმის: რატომ ვიღებთ ამგვარ ზმნასთან თავისებურ კონსტრუქციას? რაა ამ მოქმედებითს გვარში თავისებური?

3. გარდამავალი ზმნა ერგატიული კონსტრუქციისა არც მოქმედებითია, და არც ვნებითი, იგი გვარის თვალსაზრისით ინდიფერენტულია (ვთქვათ, ისე, როგორც სახელი: სახელისა და ზმნის ფუძე არსებითად ერთნაირია).

არის ნარევი ტიპის კონცეფციებიც.

ჩვენ აქ ვიხილავთ ერგატიული კონსტრუქციის კონცეფციებს ზემოთ დასახელებული თანამიმდევრობით.

თ ა ვ ი მ ა ო რ ა

ერგატიული კონსტრუქციის პასიურობის თეორიები

**§ 6. პ. უსლარი გარდამავალი ზმნის შესახებ ჩაჩურსა და და-
ლესტურ ენებში.** ერგატიული კონსტრუქციის პასიურობას იბერიულ-კავ-
კასიურ ენებში იცავენ პ. უსლარი, პ. შუხარდტი, ნ. მარი.

ერგატიული კონსტრუქციის ინტეგრეტაცია პ. უსლარმა მოგვცა
პირველად თავის „ჩაჩურსა ენაში“ (§ 49, გვ. 64), შემდეგ იგივე გაიმეორა
ხუნძური ზმნის დახასიათებისას (იხ. „ხუნძური ენა“, § 123, გვ. 122-123).

ესაა ერგატიული კონსტრუქციის შესახები პირველი კონცეფცია, ყო-
ველ შემთხვევაში, იბერიულ-კავკასიურ ენათა მასალაზე, და ეს კონცეფცია
ერგატიული კონსტრუქციის პასიურობის დასაბუთებაა.

არსებითად, ჩაჩურსა და ხუნძურში საქმის ვითარება ერთნაირია;
ძირითადი ფაქტების კვალიფიკაცია, ბუნებრივია, თუ ერთი და იგივე
აღმოჩნდება.

პ. უსლარის ამოსავალი იყო შემდეგი ფაქტი:

1. ზმნა ჩაჩურსაშიც, ხუნძურშიც შეიძლება მხოლოდ ერთ სახელს
დაუკავშირდეს; დაკავშირება სათანადო სახელის კლასის აღნიშვნაში
მდგომარეობს, ე. ი. ზმნა მხოლოდ ერთკლასოვანი შეიძლება იყოს.

2. ერგატივი ზმნაში არაოდეს აღინიშნება.

3. ზმნაში შეიძლება აღინიშნოს მარტოოდენ იმ სახელის კლასი,
რომელიც სახელობითს ბრუნვაშია.

რა როლს ასრულებს ამ ენაში, საერთოდ, სახელობითი ბრუნვა?

a). სახელობითი შეიძლება იყოს **RS** გარდაუვალ
ზმნათა:

ვაც ვ-ექერულა „ძმა მირბის“ || **ვაც ვ**-აჭანა „ძმა მოვიდა“

ძაც ძ-ექერულა „და მირბის“ || **ძაც ძ**-აჭანა „და მოვიდა“. **RO** აქ არ
გვაქვს (**RS** — რეალური სუბიექტი, მოქმედი; **RO** — რეალური ობიექტი,
უახლოესი ობიექტი, მოქმედების საგანი სინამდვილეში. ტერმინე-
ბი **RS, RO** შემოიღო ჰუგო შუხარდტმა).

b). სახელობითი შეიძლება იყოს **RO** გარდამავალ
ზმნათა:

<p>ვაც ვ-აჩანა ინსუცა „ძმა მოიყვანა მამამ“ ააც ა-აჩანა „ „და „ „ ჩუ ბ-აჩანა „ „ცხენი „ „</p>	}	<p>RS ინსუცა („მამა“) ერგატი- ვია და ზმნა მასზე მითითე- ბას არ იძლევა.</p>
--	---	---

ც). სახელობითი შეიძლება იყოს **RO** გრძნობა-
 აღქმის ზმნათა:

<p>ვაც ვ-ოტაულა ინსუდე „ძმა უყვარს მამას“ ააც ა-ოტაულა ინსუდე „და „ „ ჩუ ბ-ოტაულა ინსუდე „ცხენი „ „</p>	}	<p>RS ინსუდე („მამას“) აქ მიცე- მითშია ისევე, როგორც შე- საბამის ქართულ ზმნებთან. ხუნძურ ზმნებში მიცემითი არ აღინიშნება.</p>
---	---	---

აგრეთვე:

<p>ვაც ვ-იხ'ულა ინსულა „ძმას ხედავს მამა“ (ზედმიწ.: „ძმა ჩანს მამისდა“) ააც ა-იხ'ულა ინსულა „დას ხედავს მამა“ (ზედმიწ.: „და ჩანს მამისდა“) ჩუ ბ-იხ'ულა ინსულა „ცხენს ხედავს მამა“ (ზედმიწ.: „ცხენი ჩანს მამისდა“)</p>	}	<p>RS აქ ლოკატივშია (ადგილო- ბითს ბრუნვაში); იგი არ აღინიშნება ზმნაში.</p>
--	---	---

როგორც ამ მაგალითებიდან ჩანს, სახელობითი ბრუნვა, იქნება იგი **RS** თუ **RO**, ზმნაში თავის კლასს მაინც ასახავს, ზმნას სახელობითი ბრუნვა ითანხმებს; მეორე მხრით, ერგატივის ზმნა ისევე არ ეთანხმება, როგორც მიცემითს ბრუნვას.

მიცემითის ანალოგიური გამოყენება რუსულიდანაც ცნობილია: *книга понравилась отцу „წიგნი მოეწონა მამას“... играть хочется детям „ბავშვებს თამაშობა უნდათ“... это кажется отцу невозможным „ეს მამას შეუძლებლად მიაჩნია“.*

პრინციპში იმავე რიგისა ჩანს ადგილობითი: ჩუ ბ-იხ'ულა ინსულა „ცხენი ჩანს მამისდა“... ბოლ მაწა ლ'ალა ვაცასდა „ხუნძური ენა იცის ძმამ...“

მაგრამ რაღაა გარდამავალი ზმნის **RS**, ერგატივი: ინსუცა... ვაცას...? რატომ ზმნა არ ეთანხმება მას? რატომ სახელობითს ეთანხმება ზმნა, თუნდაც რომ ეს სახელობითი **RO**-ს აღნიშნავდეს?

პ. უსლარმა ივარაუდა: სახელობით ბრუნვას ზმნა იმიტომ ეთანხმება, რომ ეს სახელობითი ბრუნვა ქვემდებარეა (გრამატიკული სუბიექტი) არა მხოლოდ მაშინ, როცა **RS**-ს გადმოგვეცემს, არამედ მაშინაც, როცა მის საშუალებით **RO**-ია აღნიშნული.

ეს RO გრამატიკულად ქვემდებარეა, სათანადო გარდამავალი ზმნა კი ვნებითი გვარისაა (და არა მოქმედებითისაო!):

ჩუ ბაჩანა ინსუცა¹: ამის ეკვივალენტია лошадь приведена отцом, პა-სიური კონსტრუქცია [და არა აქტიური: лошадь (коня) привел отец].

ჩუ ბაჩანა ინსუცა ისევე არ უდრის რუსულ ფარაზას лошадь (коня) привел отец, როგორც ხუნძური: ვაც ვ-ოტულა ინსუდე არაა брата любит отец (არამედ: брат любитя отцу).

ბაჩანა — გარდამავალი ზმნა — არაა მოქმედებითი გვარისა (იგი ვნებითია); გარდაუვალი ზმნა — მით უფრო ვერ იქნება მოქმედებითი გვარისა; ხუნძურში მოქმედებითი გვარის ზმნები, საერთოდ, არ მოგვეპოვება.

„ხუნძურს ენაში — წერს პ. უსლარი, — ისევე როგორც ჩაჩნურში სრულებით არ არის მოქმედებითი გვარის ზმნები, არამედ მხოლოდ ს ა - შ უ ა ლ ო და ვ ნ ე ბ ი თ ე ბ ი. ბრალდებითი ბრუნვა (აკუზატივი) არ მოეპოვება ხუნძურ ენას თვით ხუნძური ზმნის ბუნების გამო“ (ხაზი ავტორისაა — ა. ჩ.)².

გარდამავალი ზმნა ვნებითია: ჩუ ბაჩანა ინსუცა лошадь приведена отцом (ცხენი მოყვანილია მამის მიერ) — ბრალდებითი ბრუნვისათვის ასეთ პირობებში ადგილი არა რჩება: ვნებითი გვარის ზმნა აკუზატივს არ მოითხოვს, არ იგუებს.

რეალური ობიექტი გრამატიკულად სუბიექტია, ქვემდებარეა — ჩუ

¹ პ. უსლარს „ხუნძურ ენაში“ სხვა მაგალითი აქვს გააანალიზებული: დიცა რაზი ავულა ემენ „მე ვასიამოვნებ (კმაყოფილს ვხდი) მამას“ (§ 122).

² „...в аварском языке так же, как и в чеченском, вовсе нет глаголов действительных, а одни лишь средние и страдательные. Винительного падежа нет в аварском языке по самому существу аварского глагола“ — П. Услар. Аварский язык, § 123, გვ. 122-123; წიგნი დაწერილია 1863 წ., ლითოგრაფირებული — 1866 წ., შიფნერმა გერმანულად გადააკეთა 1872; რუსულად დაიბეჭდა 1889 წ.; აქ დამოწმებულია ეს ბეჭდური გამოცემა.

ეგვევა ნათქვამი უფრო ადრე ჩაჩნური ზმნის დახასიათებისას:

„...в чеченском языке вовсе нет глаголов действительных, транзитивных, а одни лишь глаголы средние и страдательные. Мы, например, говорим: я люблю брата, отец любит сына, но можем дать и другой оборот предложениям, а, именно, сказать: брат любим мною, сын любим отцом. Этот последний оборот есть единственный возможный в чеченском языке; еще ближе подойдем мы к строению чеченских предложений, если переведем их посредством; мне люблются брат, отцу люблются сын.

... Из всего сказанного понятным становится, почему, при великом изобилии падежей, нет в чеченском падежа винительного. Здесь нельзя сказать, что винительный падеж всегда сходен с именительным. Винительного падежа не может существовать по самому свойству чеченского глагола“ — П. Услар. Чеченский язык, 1888, § 39, стр. 64-65.

— „ცხენი“, და ის სახელობითშია; გასაგებია, რომ ზმნა მას ეთანხმება, როგორც ქვემდებარეს: ჩუ ბაჩანა „ცხენი მოყვანილია“, лошадь приведена.

რეალური სუბიექტი გრამატიკულად ობიექტია, დამატება: ბაჩანა ინსუცა „მოყვანილია მამის მიერ“ (отцом); ესაა ირიბი დამატება:

ინსუცა (ერგატივი)=მოქმედებითი ბრუნვა.

ცხადია, რატომ არა გვაქვს ხუნძურში მოქმედებითი ბრუნვა: თვით ეს RS-ის ბრუნვა (ინსუცა) სხვა არაფერია, თუ არა მოქმედებითი.

ისიც გასაგები უნდა იყოს, რატომ არ ეთანხმება ზმნა ამ ერგატივს: მოქმედებითს ბრუნვას ზმნა ინდო-ევროპულ ენებში (ლათინურში, ძვ. ინდურში, რუსულში) არ ეთანხმება; კანონზომიერია, თუ არც ხუნძურში შეეთანხმება RS-ის ბრუნვას (მოქმედებითს) ზმნა.

ამრიგად პ. უსლარმა სპეციფიკური სინტაქსური კონსტრუქცია — ერგატიული კონსტრუქცია — დაიყვანა ორდინარულ კონსტრუქციამდის, რომელსაც ვნებითი გვარის ზმნა ქმნის რუსულში, ლათინურში.

ამით პასუხი გასცა კითხვებზე:

ა) რატომ არ გვაქვს ბრალდებითი ბრუნვა (აკუზატივი)? ვნებითთან აკუზატივი არ შეიძლება გვექონდეს.

ბ) რატომ არა გვაქვს მოქმედებითი ბრუნვა? ერგატივია სწორედ ეს მოქმედებითი.

გ) რატომ არ ეთანხმება ერგატივს ზმნა? იმიტომ, რომ ერგატივი - მოქმედებითია და ირიბი დამატება. მას ზმნა არც უნდა ეთანხმდებოდეს.

დ) რატომ ეთანხმება ზმნა RO-ს სახელობითს ბრუნვაში? იმიტომ, რომ ესაა გრამატიკული ქვემდებარე ვნებითი გვარის ზმნისა.

გარდამავალი ზმნა ვნებითი გვარისაა — ესაა ცენტრალური დებულება. პ. უსლარისათვის ამ ფაქტის დადგენისას სახელისა და ზმნის სინტაქსური კავშირი იყო ამოსავალი: სახელობითის კლასი ზმნაში ჩანს, ერგატივისა — არა.

§ 7. პ. უსლარის შეხედულებათა ანალიზი. პ. უსლარის კონცეფცია მარტივია, მასთან მთლიანი და თანამიმდევრული. გადაუჭარბებელი შეიძლება ითქვას, რომ ესაა ერგატიული კონსტრუქციის პასიურობის კლასიკური კონცეფცია. ასეთი შინაგანი მთლიანობა სხვა ანალოგიურ კონცეფციებს არ აღმოაჩნდებათ (იხ. ქვემოთ).

ეს შესაძლებელი გახდა იმის გამო, რომ უსლარმა ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა განიხილა ჩაჩნურისა და ხუნძურის ენის მასალაზე, ე. ი. ისეთ ენათა მასალაზე სადაც:

ა) ზმნა ერთკლასოვანია.

ბ) ერგატივი და მოქმედებითი ერთს მორფოლოგიურ ოდენობას წარმოადგენს.

გ) ერგატივს ზმნა არ ეთანხმება.

რაკი ცალკე მოქმედებითი და ცალკე ერგატივი არა გვაქვს, და რაკი მასთან ეს ერგატივი მოქმედებითის ფუნქციასაც ასრულებს, არაფერი გვიშლის ერგატივი გავუტოლოთ მოქმედებითს და ირიბ დამატებად მივიჩინოთ, მით უფრო, რომ იგი ზმნას არ ითანხმებს.

პ. უსლარმა ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა გადაჭრა ოპტიმალურ პირობებში: ამოცანა ამოხსნილია მარტივ პირობებში, ამდენად ესაა საკითხის გადაჭრა კერძოობითი სახით.

მოხერხდებოდა თუ არა მიგველო ასეთი მწყობრი კონცეფცია, უკეთეს ერგატივი ცალკე მორფოლოგიური ოდენობა აღმოჩნდებოდა, თუ ზმნაში ორი სახელი იქნებოდა მორფოლოგიური საშუალებებით ასახული? რასაკვირველია, არ მოხერხდებოდა.

მართლაც: ჩუბ-აჩანა ინსუცა лошадь приведена отцом — ინსუცა = отцом; სხვა მოქმედებითი ხურძურში არა ჩანს. წარმოვიდგინოთ, რომ ცალკე ბრუნვად გვქონოდა მოქმედებითი და ცალკე რძ — ერგატივი (ვთქვათ ისე, როგორც ქართულშია: მამამ — მამით)... დაისმებოდა საკითხი: თუ ინსუცა „მამით“ მოქმედებითია, რაღაა ეს მეორე „მამამ“?...

ჩუ ბაჩანა (ინსუცა) лошадь приведена (отцом) ბ მესამე გრამატიკული კლასის ნიშანია და ჩუ-ზე მიუთითებს; პ. უსლარისთვის ესაა რუსული лошадь приведена-ს ტოლი: ზმნა ორსავე შემთხვევაში ეთანხმება სახელს (лошадь, ჩუ), ეთანხმება ქვემდებარეს, ეთანხმება გრამ. კლასში (სქესში): ანალოგია სრულია. ზ მ ნ ა ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა მ ხ ო ლ ო დ ქ ვ ე მ დ ე ბ ა - რ ე ს — ესაა ამოსავალი ზოგადი დებულება, და ეს დებულება რუსულისა (და სხვა ევროპულ ენათა) სინამდვილითაა ნაკარნახევი.

მაგრამ ხომ შეიძლება ეს ჩუ („ცხენი“) ო ბ ი ე ქ ტ ი ი ყ ო ს გ რ ა - მ ა ტ ი კ უ ლ ი თ ვ ა ლ ს ა ზ რ ი ს ი თ ა ც და მას მაინც ეთანხმებოდეს ზმნა?

ჩაჩნურსა და ხუნძურში მხოლოდ ობიექტი აღინიშნება გარდამავალი ზმნის უღვლილებაში, აფხაზურისა და ქართულისათვის ობიექტის აღნიშვნა ზმნაში არათუ შესაძლებელია, არამედ ისევე ბუნებრივია, როგორც სუბიექტის აღნიშვნა. მეტსაც ვიტყვით: გარდამავალ ზმნაში ობიექტს უპირატესობაც აქვს სუბიექტთან შედარებით; მასთან სწორედ ობიექტია, პრეფიქსით რომ აღინიშნება.

მე მ-აქებ-ს, მ-აქებ (მ-აქებ ზმნაში მხოლოდ ობიექტი ჩანს)

შენ გ-აქებ-ს, გ-აქებ (გ-აქებ ზმნაში მხოლოდ ობიექტი ჩანს, სუბიექტი — არა).

მაშასადამე, ვერ ვიტყვით: რაკი ზმნა ეთანხმება სახელს, ეს სახელი სუბიექტიაო (მე მიაჩნება: მე ქვემდებარე არაა, თუმცა ზმნაში მორფოლოგიურად ასახულია); და პირუკუ: ის სახელი, რომელსაც ზმნა არ ეთანხმება, ობიექტიაო. ობიექტად ყოფნა შეთანხმებას არ გამოირიცხავს. სუბიექტად ყოფნა შეთანხმებას აუცილებლად არ გულისხმობს.

ერგატიული კონსტრუქციის რიგ ენაში ზმნა დამატებას (ობიექტს) ისევე ეთანხმება, როგორც სუბიექტს... ეთანხმება ე. წ. პირდაპირი ობიექტსაც და ირიბსაც (ამ უკანასკნელს არა ნაკლებ, ვინემ — პირველს).

ზმნის შეთანხმებამ სახელთან შეიძლება ინდო-ევროპულ ენებში გაგვარჩევინოს სუბიექტი (ქვემდებარე) და ობიექტი (დამატება), მაგრამ ერგატიული კონსტრუქციის ენებში ეს არ გამოდგება კრიტერიუმად.

პ. უსლარმა ხუნძურის შემდეგ ლაკური და დარგუული ენებიც გამოიკვლია. ამ ენებშიც ერგატივს ცალკე ფორმა არ მოეპოვება, მაგრამ ზმნის უღვლილება განსხვავებულია... ამას პ. უსლარის კონცეფცია ველარ ხსნის. პ. უსლარი ლაკური ზმნის შესახებ წერს:

„ისევე, როგორც... საშუალო ზმნების ფორმები, მოქმედებითი ზმნების ფორმებიც ექვემდებარება ორგვარ ცვლას: ჯერ ერთი, სადაც შეიძლება, კლას-კატეგორიათა ასოები (!) იცვლება, მეორეცაა-და, იცვლება დაბოლოებები პირთა და რიცხვთა მიხედვით. საშუალო ზმნებში ორივე სახის ცვლილება ზმნის ქვემდებარეს ეთანხმება, რაიც საცხებით ბუნებრივია; მოქმედებითს ზმნებში ჩვენ ვხვდებით სრულიად თავისებურ მოვლენებს, რომლებიც ლაკურ კონსტრუქციას ანიჭებენ ისეთ ხასიათს, რომელიც მკვეთრად განსხვავდება ხუნძურ და ჩაჩურ ენათა კონსტრუქციათაგან (ხაზი ჩენია — ა. ჩ.).

„ეს მოვლენები შემდეგში მდგომარეობს:

„ა). კლას-კატეგორიათა ასოების (!) ცვლა დამოკიდებულია მხოლოდ და მხოლოდ იმ საგანზე, რომელზედაც მიმართულია მოქმედება. ესაა პასიურ ზმნათა კუთვნილება და ამ მხრივ შეიძლება ბოდა გავვეკეთებინა დასკვნა, რომ ლაკურში ისევე არა გვაქვს მოქმედებითი ზმნები, როგორც ხუნძურსა და ჩაჩურშიო. მაგრამ მეორე მხრით:

ბ). ყოველი ზმნური ფორმის დაბოლოებათა ცვლა დამოკიდებულია სულ სხვადასხვა პირობებზე: ეს დაბოლოებანი ხან იმ პირს ეთანხმებიან, რომელზედაც მიმართულია მოქმედება (ვნებითი ხასიათი **характер**

страдательный), ხან იმ პირს, რომელიც მოქმედებს (მოქმედებით ხასიათი характер действительный).

ერთი და იმავე ზმნური ფორმისათვის ეს პირობები არაიშვიათად განსხვავებულია იმისდა მიხედვით, რომელი პირი რომელზე მოქმედებს.

ც). ყოველი მოქმედებითი ზმნა გულისხმობს მოქმედ საგანს და საგანს, რომლისკენაც მიმართულია მოქმედება. მათი შეფარდებითი როლების სხვაობა გამოიხატება იმ ბრუნვათა განსხვავებით, რომლებშიც ეს სახელები დაისმის. ასე, მაგალითად, ევროპულ ენათა მეტწილში მოქმედი სახელი დასმულია სახელობითს ბრუნვაში, ხოლო საგანი რომლისკენაც მიმართულია მოქმედება — ბრალდებითში.

ხუნძურსა და ჩაჩნურში არა გვაქვს მოქმედებითი ზმნები, არამედ მხოლოდ ვნებითი: მოქმედი საგნები დაისმის მოქმედებითს ბრუნვაში (instructiv, activ-ში), ხოლო საგანი, რომელზედაც გადადის მოქმედება — სახელობითში.

ლაკურში არათუ ბრალდებითი არა გვაქვს, არამედ არა გვაქვს ცალკე ფორმა მოქმედებითის (instructiv, activ-ის), აღსანიშნავად.

თუ მოქმედებს პირველი ან მეორე პირი, მოქმედი განსხვავდება იმისაგან, რისკენაც მიმართულია მოქმედება, მხოლოდ იმით, რომ მის წინ მოექცევა: ორივე სახელობითშია დასმული. სავსებით ასეთივე კონსტრუქციაა აფხაზურში. ხოლო თუ მოქმედი მესამე პირია, ის იღებს ნათესაობითის ფორმას, ის საგანი კი, რომლისკენაც მიმართულია მოქმედება, სახელობითშია დასმული...¹

მთელს ამ მსჯელობას განსაზღვრავს ერთი ფაქტი: ლაკურში — ზმნის დაბოლოებამ შეიძლება მიუთითოს იმ სახელის პირზე, რომელიც მოქმედია. რეალური ობიექტის აღნიშვნა ზმნაში პასიურობის მაჩვენებლად იყო მიჩნეული, რეალური სუბიექტის აღნიშვნა, უსლარისათვის, პირიქით, ზმნის აქტიურობას მოწმობს (მიუხედავად იმისა, რომ არც ბრალდებითი გვაქვს და არც მოქმედებითი!).

ლაკურ გარდამავალ ზმნას აქტიური ბუნება აღმოაჩინდა. ამაშია, ლაკური ზმნა „მკვეთრად რომ განსხვავდება“, უსლარის თვალსაზრისით, ხუნძურისა და ჩაჩნურის გარდამავალ ზმნათაგან.

ამის შემდეგ ცოტა არ იყოს გაუგებარია — უსლარის თვალსაზრისით! — ინეტრპრეტაცია, რომელიც დარგული ენის ზმნას ეძლევა უსლართან. ის წერს:

„ხუნძური ენის გრამატიკულ მიმოხილვაში (ნარკვევში) ჩვენ შევნიშნეთ, რომ ხუნძური ზმნა თავის ძირითად თვისებათა მიხედვით სავსებით

¹ П. У с л а р, Лакский язык, 1890, § 183, გვ. 140-141.

ჰგავს ჩაჩნურ ზმნას. ეს ძირითადი თვისებები იმაში მდგომარეობს, რომ, ჯერ ერთი ორსავე ენაში მოგვეპოვება მხოლოდ საშუალო ზმნები; მოქმედებითები იღებენ ვნებითის ხასიათს. მეორეცაა-და, პირთა განსხვავება არავითარ გავლენას არ ახდენს ზმნის ფორმებზე.

„ლაკური ენის გრამატიკულ ნარკვევში (§ 78) ჩვენ მივაქციეთ ყურადღება იმას, რომ ლაკური ზმნის ფორმები თვალსაჩინოდ შორდება ჩაჩნურ-ხუნძურ ნიმუშს:

1. ზმნის ფორმები ამჟღავნებენ მეტ-ნაკლებ დამოკიდებულებას პირთა განსხვავებაზე:

2. ზოგი ფორმა თავის დაბოლოებით ეთანხმება მოქმედ პირს და არა იმ პირს, რომლისკენაც მიმართულია მოქმედება. ასე ისახება ცნება საშუალო და ვნებითი ზმნების განსხვავებისა.¹

მსგავსად იმისა, როგორც შენიშნული გვაქვს ჩაჩნური და ხუნძური ზმნის ძირითად თვისებათა იგივეობა, ახლა აქ მივუთითებთ ლაკური და დარგული ზმნის ძირითად თვისებათა თითქმის სრულს იგივეობას“ (ხაზი ჩვენია — ა. ჩ.).

„საშუალო და ვნებითი“ განსხვავებული, თუ „საშუალო და მოქმედებითი“? ლაკურში აკი მოქმედებითი ზმნები იყო შენიშნული!

„ლაკური ენის“ სათანადო ადგილი რომ სწორედ მოქმედებითი გვარის ზმნებს გულისხმობს, ამაში ეჭვს არ ტოვებს მეორე ადგილიც იმავე შრომიდან:

„ჩაჩნურისა და ხუნძურის საპირისპიროდო, — წერს პ. უსლარი, — ლაკურში ერთგვარი განსხვავებაა ვნებითს ანუ საშუალოსა და მოქმედებითს ზმნებს შორის, თუმცა ეს განსხვავება ბუნდოვანია: მოქმედებითი ზმნა თავის განვითარებაში თითქოს შუაგზაზე გაჩერებულა“.²

სინტაქსური კრიტერიუმი უკვე ლაკურსა და დარგულში აღარაა საიმედო, რომ გარდამავალი ზმნის პასიურობა დაასაბუთოს: ამ ენებში აქტიურობის ელემენტები დადასტურდა იმავე

¹ „Так проявляется понятие о различии между глаголом средним и страдательным“... об. П. Услар. Хюркилинский язык, 1892, § 59, გვ. 70.

² „В противоположность этим языкам [аварскому, чеченскому — А. Ч.] в лакском существует между глаголом страдательным или средним и глаголом действительным некоторое различие, хотя и довольно смутное: глагол действительный, на пути своем к развитию, как бы остановился на полудороге“ — П. Услар. Лакский язык (1890), § 78, გვ. 80 (ხაზი ჩვენია — ა. ჩ.), ყურადღებას იქცევს გამოთქმა: „ვნებითი ანუ საშუალო“... შდრ. „საშუალო და ვნებითი“ (ციტატაში ხიურკილი, ე. ი. დარგული ენიდან)!

წესით, რა წესითაც ხუნძურსა და ჩაჩნურში ამავე კრიტერიუმმა გარდამავალი ზმნა ერთთავად პასიურად გამოაცხადებინა პ. უსლარს.

თუ პ. უსლარის თეორია ლაკურსა და დარგულს ვეღარ აგვიხსნის, მით უფრო გამოუსადეგარი აღმოჩნდება იგი ქართულში, სადაც ერგატივს ზმნა ყოველთვის ეთანხმება და სადაც ერგატივი დამოუკიდებელ მორფოლოგიურ ოდენობას წარმოადგენს.

მეტიც შეიძლება ითქვას: პასიურობის კონცეფცია პ. უსლარისა ვერ გასწვდება ხუნძურსაც, როგორც კი ორკლასოვან წარმოებას მივმართავთ. ასეთი წარმოება გვაქვს მიმდებარეობაში:

ბიჩარაბ ჩუ „გაყიდული ცხენი“: **ბ** პრეფიქსიცა და სუფიქსიც **ჩუ**-ს ეხება; ჩუ **ბიჩარაუ** ემენ „ცხენის გამყიდველი მამა“ (უკეთ: „მამა, რომელმაც ცხენი გაყიდა“, лошадь продавший отец): **ბ**- პრეფიქსი ჩუ-ს (ცხენი) ნიშანია, **უ**- სუფიქსი ემენ (მამა)-სახელზე მიუთითებს.

ამგვარი მიმდებარეობის ანალიზი¹ ცხადყოფს, რომ პრეფიქსით წარმოდგენილი სახელი ჩუ („ცხენი“) არ შეიძლება დავსახოთ გრამატიკულ სუბიექტად, როგორც ამას პ. უსლარის თვალსაზრისი მოითხოვს: ჩუ („ცხენი“) ობიექტია რეალურადაც და გრამატიკულადაც. მაგრამ თუ „ჩუ“ ობიექტია გრამატიკულად, ზმნა ვნებითი გვარისა ვერ იქნება, და ერგატივიც მოქმედებითს ვერ გაუტოლდება.

ეს აპრიორიც ცხადი უნდა ყოფილიყო: თუ მოქმედებითი გვარი არა გვაქვს, ვნებითიც არ შეიძლება გვქონდეს, — ვნებითი მოქმედებითის კორელატია.

ერგატივი პ. უსლარმა მოქმედებითს გაუთანაბრა. მართლაც, ხუნძურში სხვა ბრუნვა მოქმედებისათვის არ ჩანს. მაგრამ იმ კავკასიურ ენებში, სადაც ერგატივიც არის და მოქმედებითიც, ხუნძურისებური სპეციფიკური ვითარება მაინც რჩება: **RO** სახელობითშია დასმული, ე. ი. ბრუნვაში, რომელიც გარდაუვალ ზმნებთან **RS**-ის ბრუნვად გვევლინება.

ამიტომ ერგატივისთვის დამოუკიდებელი მორფოლოგიური ერთეულის უქონლობა, რაკი ერგატიული კონსტრუქციის დამახასიათებელი სხვა პირობები გვაქვს, უფლებას არ გვაძლევს ხუნძური ერგატივი გავუთანაბროთ მოქმედებითს: არა-და გამოვა, რომ შემთხვევითი კონიუნქტურა და არსებითი მდგომარეობა ერთმანეთისაგან არ გავგირჩევია.

ხუნძური ერგატივის გათანაბრება მოქმედებითთან ისევე უმართებულო იქნებოდა, როგორც ქართ.

¹ არნ. ჩიქობავა, პოლიპერსონალიზმის საკითხისათვის ხუნძურში..., „ენიკის მოამბე“, ტ. X, 1941.

სახელობითის მიჩნევა ირიბ ბრუნვად იმიტომ, რომ ნამყო ძირითადის ჯგუფში მას უხდება ობიექტის აღნიშვნა.

ხუნძური ერგატივის გათანაბრება მოქმედებითან საკითხის მოხსნას (თუ არდანახვას) უდრის: ეს ერგატივი ვერ დაიყვანება მოქმედებითამდე იმიტომ, რომ ისაა სპეციფიკური კონსტრუქციის მონაწილე (RS-ის ბრუნვა!). ეს ამთავითვე ცხადია.

მაგრამ ხუნძური ერგატივის თავისებურებას ბრუნვათა სისტემაში მისი ადგილიც გახაზავს: ერგატივი საფუძვლად უძევს ნათესაობითსა და მიცემითს (ყოველ შემთხვევაში **ს**, **ზ** და **ლ** ნიშნიანი ერგატივი):

მხოლოობითი :			
სახელ.	ვაც „ძმა“	ვაც „და“	ჩუ „ცხენი“
ერგატ.	ვაცა- ს	ვაცა- ლ	ჩუმა- ლ
ნათეს.	ვაცა-ს-ულ	ვაცა- ლ -ულ	ჩუმა- ლ -ულ
მიცემ.	ვაცა-ს-ე	ვაცა- ლ -ე	ჩუმა- ლ -ე
მრავლობითი :			
სახელ.	ვაცა-ლ	ვაცა-ა-ლ	ჩუმა-ა-ლ
ერგატ.	ვაცა- ზ - ცა	ვაცა- ზ ცა	ჩუმა- ზ ცა
ნათეს.	ვაცა-ზ-ულ	ვაცა- ზ -ულ	ჩუმა- ზ -ულ
მიცემ.	ვაცა-ზ-ე	ვაცა- ზ -ე	ჩუმა- ზ -ე

აქედან ჩანს, რომ ერგატივი უფრო ძველია, ვინემ ნათესაობითი და მიცემითი (მაინცდამაინც იმ სახელებთან, სადაც ერგატივი ფუძედაა გამოყენებული ნათესაობითისა და მიცემითისათვის). ინდო-ევროპულ ენათა მოქმედებითი ბრუნვა კი ამგვარ ადგილს ვერ დაიჩემებს ბრუნების სისტემაში.

RS-ის, ერგატივის, ირიბ ბრუნვად მიჩნევა დამახასიათებელია არა მხოლოდ პ. უსლარისათვის, როგორც ქვემოთ დავინახავთ.

§ 8. ნ. მარი მოთხოვითი ბრუნვის რაობის შესახებ ქართულში.

ერგატიული კონსტრუქციის შესახებ ანალოგიური დასკვნა მოგვცა ნ. მარმა სრულიად დამოუკიდებლად პ. უსლარისაგან. ნ. მარს საანალიზოდ სხვა მასალა ჰქონდა. ამოსავალი დებულებაც სულ სხვა იყო.

ნ. მარი ქართულის ვითარებას ითვალისწინებდა.

ქართული ერგატივი, მოთხოვითი, მხოლოდ RS-ს აღნიშნავს გარდამავალ ზმნასთან.

ამ ბრუნვისთვის დამახასიათებელია, სხვათა შორის, ორი რამ:

ა) მოთხრობითი იწარმოება მხოლოობითში (კაც-მან); მრავლობითში საზიარო ფორმა აქვს მიცემითთან და ნათესაობითთან: კაცთა, დღეთა, მთათა.

ბ) მოთხრობითის საკუთარი წარმოება აქვს მარტოოდენ ორ ნაცვალსახელს — **მან**, **ვინ**.

სხვა ყველა **მან**-ნაცვალსახელის დართვით იწარმოებს ამ ბრუნვას მხოლოობითშიცა და მრავლობითშიც!

მოთხრობითის საკითხი ამრიგად **მან** და **ვინ** ნაცვალსახელთა საკითხია.

ნ. მარი სწორედ ამ **მან**-ნაცვალსახელის გაგებას იყენებს ამოსავლად.

მან — ნ. მარისთვის — ისტორიულად მიცემითი ბრუნვაა. რატომ? ამას წყვეტს ქართულის ნათესაობა სემიტურთან.

სემიტურ ენებში ფორმანტი ხმოვნით გადმოიცემა, თანხმოვანი ძირეული მასალაა. ასევე უნდა ყოფილიყო ქართულშიც.

ა ხმოვანი არაბულში მიცემითისა (და აკუზატივის) ნიშანია. მამასა-დამე, **მან** მიცემითია: **მ** — ძირეული მასალაა, **ნ** — თანხმოვნითი ელემენტი; იგი ბრუნვის ნიშანში შედის, მაგრამ ამა თუ იმ ბრუნვისათვის არაა სპეციფიკური. ა ხმოვანია ერთადერთი ნიშანდობლივი ელემენტი ქართული ერგატივისა.

რაკი **მან**-ნაცვალსახელი მკვლევარმა მიცემით ბრუნვად დასახა, მის საშუალებით ნაწარმოები ბრუნვა (კაც-მან, დღე-მან, მთა-მან) აგრეთვე მიცემითი უნდა გამოსულიყო, — „ნ ა ც ვ ა ლ ს ა ხ ე ლ ო ვ ა ნ ი მი ც ე მ ი თ ი“ (дательный местоименный)¹: კაც-მან.

შრომში „Основные таблицы“, სადაც „ნაცვალსახელოვანი მიცემითია“ ნახმარი, ნ. მარი მეორე გამოთქმასაც ხმარობს; ესაა არქაული მიცემითი (дательный архаичный)². ცხადია, რატომ: ამ ტაბულაში პიროვნებითი ნაცვალსახელების ბრუნება აქვს მოცემული და ტავტოლოგია გამოვიდოდა **მან** — ნაცვალსახელისათვის „ნაცვალსახელობითი მიცემითი“ ეწოდებინა ავტორს. აღსანიშნავია, რომ „ძირითად ტაბულებში“ ნ. მარი არაფერს გვეუბნება იმის შესახებ, თუ რატომაა **მან** „არქაული მიცემითი“.

„ჭანური ენის გრამატიკაში“ ბრუნვათა მიმოხილვისას ნ. მარი წერს: „ბრუნვათა რიცხვი, სამი, თანდებულებიანთა გარდა აქ აღის შვიდამდის იმის გამო, რომ ჭანურში — ისევე, როგორც ქართულში, გვაქვს ნაცვალ-

¹ Н. Марр, Основные таблицы к Грамматике древне-грузинского языка с предварительным сообщением о родстве грузинского языка с семитическими — С.-Петербург, 1908, ტაბ. V, VII.

² იქვე, ტაბ. VIII.

სახელობითი, სახელდობრ, „მიცემითი ნაცვალსახელობითი“, რომელიც იწარმოება ქართულის მიცემითი ნაცვალსახელობითისაგან (**მან**) განსხვავებული ფორმით, სახელდობრ **ქ**-ს შემწეობით: მაგალ. კოჩიქ „კაცმან“, ბაბაქ „მამამან“... თანრიქ, ლორმოთიქ — ღმერთმან: კოჩიქ თქუ — კაცმან თქვა; ბაბაქ მიკიუ — „მამამ(ან) გამიწყრა“.¹

რაიმე განმარტება ამ ტერმინს აქ არ ახლავს. მოსალოდნელი კი იყო: ჭანური მოთხრობითი **-ქ**-ს დაირთავს, **მან**-ს (ან მსგავს სხვა ნაცვალსახელს) მოთხრობითის წარმოებისას ჭანური არ საჭიროებს.

ალბათ, ამის გამოა, რომ ბრუნების პარადიგმებში „მოთხრობითის“ აღსანიშნავად ნახმარია ტერმინი „ნაცვალსახელობითი“ და არა „მიცემითი ნაცვალსახელობითი“... მაგრამ აქაც ყოველგვარი განმარტების გარეშე.

„ძველი სალიტერატურო ქართული ენის გრამატიკაში“ ტერმინი ნაწილობრივ შეცვლილია: „ნაცვალსახელოვანი მიცემითის“ ადგილი უკავია „მეორე მიცემითს“. ნ. მარი წერს:

„მიცემითი მეორე განსხვავდება (იგულისხმება „მიცემითი პირველისაგან“) **ან** ბრუნვის დაბოლოების **ნ**-თანხმოვნითი ელემენტით. მაგრამ კიდევ უფრო განიჩქევა იგი იმით, რომ იწარმოება **ჰ**. პირის ნაცვალსახელოვანი **მ** ფუძის დახმარებით. ესაა წიგნური ბრუნების გარკვეული სახის მემკვიდრეობა.

„ამგვარი წარმოების ძირითადი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ სახელური ფუძე გაუფორმებელი რჩება, იბრუნვის კი მისი თანმდევი **მ**-ნაცვალსახელი: **მ**-ან ფორმის წარმოქმნის შემდეგ ეს ნაცვალსახელი შეუერთდა საბრუნებელი სახელის ფუძეს, როგორც ამას ვამჩნევთ ძველ სალიტერატურო ქართულში.

„ამ წარმოების ფუნქციას თავდაპირველად შეადგენდა ყოფილიყო განსაზღვრული სახის ბრუნვა (падеж определенного вида), რაიც დაკარგულია ჯერ კიდევ ძველ დროში.

„მეორე მიცემითს — (**-ან**) — აწარმოებენ ორგანულად, ნაცვალსახელური ფუძის გამოუყენებლად ძველ სალიტერატურო ქართულშივე თვით ნაცვალსახელები: მ-ან, მაგ-ან.

„გარდა ამისა, მიცემითი ბრუნვის ასეთი წარმოება შენახულია ზმნისართებში, რომლებიც ქართულში წარმოადგენენ მთლიანად შეთვისებულს მათი მშობლიური წრიდან სახელის გაქვავებულ ფორმას, ასე ძოლ-ან || ძულ-ან...“² ქვემოთ შენიშნულია: „ბუნებრივია, თუ მეორე მიცემითს... მის

¹ Н. М а р р, Грамматика чанского (лазского) языка с хрестоматиею и словарем, С.-Петербург, 1910, § 16, გვ. 11-12.

² Н. М а р р, Грамматика древнелитературного грузинского языка, Ленинград, 1925, § 39, გვ. 24-25.

შედგენილობის გამო — ეწოდება აგრეთვე ნ ა ც ვ ა ლ ს ა ხ ე ლ ო ვ ა ნ ი¹.

ამგვარად: მოთხრობითს ნ. მარი უწოდებს: „ნ ა ც ვ ა ლ ს ა ხ ე ლ ო ვ ა ნ მი ც ე მ ი თ ს“, „ა რ ქ ა უ ლ მი ც ე მ ი თ ს“, „მე ო რ ე მი ც ე მ ი თ ს“ და „ნ ა ც ვ ა ლ ს ა ხ ე ლ ო ვ ა ნ ს“ (ჭანურში)...

საიდან ჩანს, რომ მოთხრობითი ისტორიულად მიცემითია? ამას ქვემოთ დავუბრუნდებით.

§ 9. მარი გარდამავალი ზმნის შესახებ ქართულში. რას გადმოგვცემს ეს „მეორე მიცემითი?“ ლოგიკურ სუბიექტს. ნ. მარი წერს: „...მით გადმოცემულია ლოგიკური სუბიექტი“, და დასძენს: „ეს დამოკიდებულია ქართული ზმნის გარკვეულ დროთა წარმოების ბუნებაზე, როგორც ეს განმარტებული გვაქვს უღვლილებაში. მოვლენა შინაგანს კავშირშია იმასთან, რომ აორისტსა და კავშირებითში, თუ ზმნა გარდამავალია და მოქმედებითი (!) გვარისა, ლოგიკური სუბიექტი აუცილებლად მიცემით მეორეშია, თუ ლოგიკური ობიექტის გადმოსაცემად სახელობითია გამოყენებული“².

რატომ უნდა აღენიშნა აორისტსა და კავშირებითს მეორეში „ლოგიკური სუბიექტი“ „მეორე მიცემითს“? პასუხი ასეთია:

„აორისტი და მისგან ნაწარმოები კავშირებითი მოქმედებითი გვარის ზმნისა არსებითად (**в основе**) პასიური წარმოშობისაა და ამ თავისებურებაშია ქართული უღვლილების გაგების გასაღები, ესაა ქართული მეტყველების მთელს წყობას რომ თავისებურ ხასიათს ანიჭებს.

„მოქმედებითი გვარის აორისტის ფორმა გამოუკლებლივ ყველა ზმნაში აღიქმის, როგორც პ ა ს ი უ რ ი წ ა რ მ ო ე ბ ა. განსაკუთრებით ხელშესახებად ეს მუდავნდება ზმნათა შემდეგს ტიპზე, რომელსაც ორივე დროის ფუძე მიმღეობის ფორმით აქვს წარმოდგენილი: აწმყოს და მისგან ნაწარმოებ დროებს ამ ზმნებთან მოქმედებითი გვარის მიმღეობის ფორმა აქვს ე-ნიშნით — **qmen** (← **qomen**...), აორისტი და მისგან ნაწარმოები ერთეულები ვნებითი გვარის მიმღეობის ფორმაში **o**-ნიშნით — **qmin** (← **qomin**...); ასე, მაგალითად, სამთანხმოვნია **კრბ** ძირისაგან — მესამე პირი აწმყ. — **კ რ ე ბ ს**, ზედმიწევნით: შემკრებ-იგი (**собирающ-он**); აორისტი კ რ ი ბ ა ზედმიწევნით: მისდა შეგროვდა (ის) **ему собрано то**; აქედან: სპასალარი კრებს (|| ჰკრებს) ლაშქარსა „**военачальник собирает** (|| **его + собирает**) **войско**“; სპასალარმან კრიბა ლაშქარი „**военачальник собрал войско**“, რაიც ზედმიწევნით ნიშნავს „სპასალარის მიერ შეკრებილია ლაშ-

¹ იქვე, § 39, გვ. 26.

² იქვე, § 39, გვ. 26.

ქარი“ („военачальником, — букв. военачальнику — собрано есть войско“).

„ბუნებრივია ამიტომ, თუ აორისტსა და მისგან ნაწარმოებ დროში — კავშირებითში — ლოგიკური სუბიექტი დგას მიცემით ბრუნვაში, სახელდობრ, „მეორე მიცემითში“, ხოლო ლოგიკური ობიექტი — სახელობითში — ლაშქარი“¹.

ეს — სინტაქსური კონსტრუქციის რაობისათვის გარდამავალი ზმნის მორფოლოგიური შედგენილობაც ნ. მარის გაგებით ამის შესაბამისია.

ნ. მარი წერს: „აორისტის პასიურ მნიშვნელობასთან კავშირშია ფორმალური მხარეც. აორისტს მომქედებითს გვარშიაც ყოველთვის აქვს ვნებითი გვარის ესა თუ ის ფორმა, სახელდობრ —

„ი. ან ესაა ვნებითი გვარის აორისტის ქართული ნიშანი (грузинский характер) ე, თავისდათავად ანდა შეზრდილი მეშველი ზმნის შემადგენლობაში, რაც (მეშვ. ზმნა) ბგერს აგრეთვე, როგორც ე (← ევ... იხ. § 152).

II. ანდა ეს არის ქართულში შეთვისებული სვანურიდან ნიშანი ვნებითი გვარის აორისტისა ა.

III. ანდა ეს არის, როგორც § 178-ში გვაქვს განმარტებული, ფუძე ვნებითი გვარის მიმღობის ფორმით: ნიშანი ი“².

რას უნდა გამოეწვია მოქმედებითი გვარის ზმნის პასიურობა? ამაზე ნ. მარს გარკვეული პასუხი აქვს მოცემული.

§ 210-ში ის წერს: „თავდაპირველად ზმნა არ არსებობდა. მოქმედება ისევე, როგორც მდგომარეობა, გამოიხატებოდა ელემენტთა თანამიმდევრობაში გარკვეული რიგით, რაც აუცილებელი იყო როგორც ერთის, ისე მეორისათვის — მოქმედებისათვის — ნაწარმოები (პირდაპირი ობიექტი), წარმოების ადგილი (ირიბი ობიექტი), მწარმოებელი (სუბიექტი) და ის მასალა (ძირი, ფუძე), რაიც დამუშავების მასალას წარმოადგენს.

მდგომარეობის გამოსახვისას მწარმოებელი არ აღინიშნებოდა (производитель отпадал).

„მდგომარეობის გამოსახვისას მწარმოებელი (სუბიექტი) წარმოგვიდგებოდა, როგორც ვნებული (страдающий), მომუშავე (работающий), ხოლო ნაწარმოები (ობიექტი), როგორც სიმშვიდის მდგომარეობა; ამიტომ თავდაპირველად სუბიექტი (ლოგიკური სუბიექტი) გადმოიცემოდა ვნების || მოქმედების ბრუნვით (პირდაპირი ბრალდებითი || მიცემითი), ობიექტი

¹ Н. М а р р. Грам. др.-лит. груз. яз., § 178, გვ. 146.

² Грам. др.-лит. груз. яз., § 179 გვ. 146-147.

კი (ლოგიკური ობიექტი) — მდგომარეობის ბრუნვით (პირდაპირი სახელობითი). შემდგომში ასეთი მდგომარეობა დამკვიდრდა წმინდა ფორმალურად (**сбытовалось чисто формально**), როგორც პასიური კონსტრუქცია¹.

ნ. მარის შრომიდან მოყვანილი ადგილები გვაჩვენებს, რომ ავტორს პასუხი გაუცია ყველა ძირითად საკითხზე, რაც ერგატიული კონსტრუქციის ახსნისას იბადება.

მოთხრობითიანი კონსტრუქცია ქართულში პასიურია ნ. მარის აზრით, იმიტომ, რომ:

1. **მან** ირიბი ბრუნვაა, სახელდობრ. „მეორე მიცემითია“.

2. გარდამავალი ზმნა (აორისტსა და კავშირებითში) ვნებითი გვარისაა (მაშინაც კი, როცა მის გვერდით მოგვეპოვება მისგან ნაწარმოები ვნებითი).

3. გარდამავალ ზმნაში ვნებითი გვარის ნიშნებს წარმოადგენს: **ე** (ვგმე): **ა** (კვალ) და **ი** (კვრიბე).

4. ლოგიკური ობიექტი სახელობითშია ზმნის ვნებითობის გამო: „სპასალარმან კრიბა ლაშქარი“ = „სპასალარის მიერ შეკრებილია ლაშქარი“.

ასეთია **მ ო რ ფ ო ლ ო გ ი უ რ - ს ი ნ ტ ა ქ ს უ რ ი** საბუთები. ამას ერთვის **ი დ ე ო ლ ო გ ი უ რ ი ხ ა ს ი ა თ ი ს** მოსაზრება-საბუთიც:

5. გარდამავალი ზმნა ვნებითი გვარისა იმიტომ არის, რომ „თავდაპირველად მოქმედი“ („ლოგიკური სუბიექტი“) ვნებული იყო, და ეს აისახა სათანადო კონსტრუქციაში.

თავისი გაგების საილუსტრაციოდ ნ. მარს შეეძლო გამოეყენებინა თურმეობითი, სადაც გარდამავალი ზმნა დატიურ კონსტრუქციას ქმნის: სპასალარს უკრებია ლაშქარი...

„ლოგიკური სუბიექტი“ აქ მიცემითშია, „ლოგიკური ობიექტი“ სახელობითში, გარდამავალ ზმნას, აქ ყოველ შემთხვევაში, მოქმედებითი გვარისად ვერ მივიჩნევთ, თუმცა შინაარსით ზმნა სპასალარის მიერ შესრულებულ მოქმედებაზე მოგვითხრობს.

ამგვარად გვექნებოდა — ნ. მარის მიხედვით — **ლოგიკური სუბიექტი** — „პირველ მიცემითში“, როცა გარდამავალი ზმნა თურმეობითშია („სპასალარს უკრებია ლაშქარი“), **ლოგიკური**

¹ „В глаголах действия производитель (субъект) являлся страдающим, работающим, а произведение (объект) — состоянием покоя, потому первоначально субъект (логический субъект) выражался падежом страдания || действия (прямой винит. || дательн.), а объект (логический объект) — падежом состояния (прямой именит.). Впоследствии такое положение сбытовалось чисто формально в пассивной конструкции“ — Н. М а р ი, იქვე, § 210, გვ. 174.

ს უ ბ ი ე ქ ტ ი — „მეორე მიცემითში“, როცა გარდამავალი ზმნა აორისტიშა („სპასალარმან კრიბა ლაშქარი“).

ნ. მარს არ გამოუყენებია თავისი შეხედულების სასარგებლოდ დატიური კონსტრუქცია, რომელსაც გარდამავალი ზმნა ქმნის თურმეობითში.

ნ. მარს ეს კონსტრუქცია საერთოდ არ აქვს განხილული არც ერგატიულ კონსტრუქციასთან დაკავშირებით და არც სხვა რაიმე კონტექსტში, თუმცა დროთა ჩამოთვლისას თურმეობითი (прошедшее совершенное) მოხსენებული აქვს (§§ 174, 199).

მაგრამ თურმეობითთან ანალოგია დავიწყებული არ უნდა იყოს: აორისტი და კავშირებითი (გარდამავალ ზმნებში) ნ. მარს ობიექტური წყობისად აქვს მიჩნეული: „...აორისტი და მისგან ნაწარმოები კავშირებითი თავის ფუძეთა ბუნების შესაბამისად ობიექტური წყობისაა, როგორც ეს უკვე განმარტებულია § 178-ში...“¹

§ 10. ნ. მარსის შეხედულებათა ანალიზი. როგორც აღვნიშნეთ, ერგატიული კონსტრუქციის პასიურობას ნ. მარსი ასაბუთებდა საკუთრივ ენობრივი (მორფოლოგიურ-სინტაქსური) და ზოგადი იდეოლოგიური მოსაზრებებით.

იდეოლოგიური მოსაზრება შემდგომში დაერთო (1925 წ.); საკუთრივ ენობრივი საბუთები ადრევე (1908-1910 წწ.) ივარაუდებოდა. ენობრივი რიგის საბუთებში ამოსავალს წარმოადგენს დებულება, რომ **მან-** ნაცვალსახელი (ისტორიულად) მიცემითს უდრის:

1. **მან-** ნაცვალსახელში ფუძისეულია **მ-**, ფორმანტია **ა**; ასეთი ფორმანტი მიცემითს აქვს: ნ. მარმა ხმოვანი ფორმანტად მიიჩნია და მიცემითის ნიშანს გაუტოლა არაბულთან დაკავშირებით. ნ. მარის აზრით, ქართული არაბულის მონათესავეა; არაბულში კი ძირეულ მასალას თანხმოვნები წარმოადგენს, ფორმანტებად ხმოვნები გვაქვს: სახელობითში **-უ**, ნათესაობითში **-ი**, მიცემითში (რაც იმავე დროს აკუზატივიც არის) **-ა** (ბადთუნ „სახლი“, ბადთინ „სახლისა“ ბადთან „სახლსა“).

2. ბოლოკიდური **ნ** (მან) **ს**-ს დიალექტური მონაცვლეა: მან=მანს მ-ა-ნ — ბრუნვის ნიშანია **-ა-** (და არა — **ნ!**).

ასე წარმოედგინა ნ. მარს **მან-** ნაცვალსახელის ისტორიული მნიშვნელობა და შედგენილობა.

პირველად ამ თავისი დებულების დასაბუთება ნ. მარმა სცადა წერილში „Где сохранилось сванское склонение?“²

აქ ნ. მარის სვამს კითხვას: რა სახისაა იაფეტურ ენათა სხვადასხვა

¹ Грам. др.-лит. груз. яз., § 198, გვ. 163.

² Известия Акад. Наук (1911), გვ. 1199-1206.

ჯგუფებში ბრუნვათა დაბოლოება, მაგალ., ქაშდ-მოსოხურსა, თუბალ-კაინურსა თუ სონ-მოსოხურში? ბრუნვათა ოდენობა იმთავითვე გარკვეულია; ბრუნვა სულ სამია: სახელობითი, ნათესაობითი და მიცემითი (იგივე აკუზატივი).¹

ამ ბრუნვათა ხმოვნითი ელემენტები არ განიცდის ისეთ რყევას, როგორსაც ადგილი აქვს იმავე დაბოლოებათა თანხმოვან ბოლოკიდურებში: „ბრუნვის დაბოლოებათა ტიპი იაფეტურ ენათა თუ რომელ ჯგუფს ანდა **resp.** რომელი ჯგუფის წარმომადგენელს ეკუთვნის, შეიძლება უდაო ზედმიწევნილობით დავადგინოთ იაფეტური შედარებითი ფონეტიკის მეოხებით. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თანხმოვანთა მიმართება იაფეტურ ენათა სხვადასხვა ჯგუფებში; რაც შეეხება ხმოვნებს, ისინი მორფოლოგიაში წარმომადგენენ კრიტერიუმს სხვადასხვა გრამატიკულ კატეგორიათა გამოსარკვევად, მაშასადამე, ბრუნებაში — სხვადასხვა ბრუნვათა, ისინი მათი დამახასიათებელი ნიშნებია და, საერთოდ, ხმოვნებში ვერ ვხვდებით ენობრივი ჯგუფების მიხედვით ძლიერ მერყეობას; მაგალითად, ყველა იაფეტურ ენაში ნათესაობითი ბრუნვის ნიშანია **-ი**, მიცემითისა და აკუზატივისა — **ა**“... შემდეგ:

„...ბრუნვების დაბოლოებათა ხმოვნითი ელემენტები საერთოდ მუდმივია ყველა ენაში და ნაკლებ ახასიათებს ამა თუ იმ ჯგუფს; რაიცა შეეხება თანხმოვნითს ელემენტებს, იგინი იდენტური არიან ბრუნვათა მიხედვით, მაგრამ განსხვავდებიან დიალექტების მიხედვით“.²

როგორია ეს თანხმოვნითი ელემენტები? ქაშდ-მოსოხურში **-ს** (ნათეს. **-ის**, მიცემ. **-ას**); თუბალ-კაინურში **-შ** (ნათეს. **-იშ→ში**, **resp.** **ეშ→შე**, მიცემ. **აშ→შა**, **resp.** **ოშ→შო**); სონ-მოსოხურში ამ ელემენტის დადგენა ისე ადვილი არ არისო, ვინაიდან — როგორც ნ. მარი ამბობს — „ამის შესახებ მსჯელობა მხოლოდ ამჟამადი ბრუნვების მიხედვით, როგორც ამას შვრებოდნენ წინათ და როგორც ნაწილობრივ ჩავდიოდი მეც, სრულიად არ შეიძლება, რადგანაც იაფეტურ ენათა ბრუნებანი ურთიერთზე ახდენ-

¹ ნ. მარი კატეგორიულად აცხადებს: ქართულში აკუზატივი გვაქვსო. ესაა მიცემითიო. იხ. Н. М а р р. К вопросу о положении абхазского языка среди яфетических, С.-Петербург, 1912, გვ. 3.

ქართულისათვის ეს საკითხი გადაწყვეტილია იმგვარადვე, როგორც არაბულისათვის, იქ ერთი და იგივე ბრუნვა მიცემითიც არის და აკუზატივიც: „...Объективный падеж есть и Дат., и Вин., и отрицать в грузинском винительный падеж, значит не знать элементов его склонения“, Н. М а р р. К вопросу... გვ. 3.

მასთან ნ. მარი შენიშნავს: „იქნებ უკეთესი იყოს ამ ბრუნვას მიცემით-აკუზატივი ვუწოდოთო“ (იქვე).

² Н. М а р р. Где сохранилось сванское склонение? — Изв. Ак. наук., 1911, გვ. 1199-1200.

დნენ გავლენას, მაგალ., ჭანურში ისევე, როგორც მეგრულს ბრუნებაში, გვაქვს მიცემითი არა შინით, არამედ სანით, ე. ი. ქაშდ-მოსოხური ჯგუფის თანხმონითი ელემენტით, ქართულს ენაში მიცემითს ბრუნვაში (ე. წ. მიცემით ნაცვალსახელობითში) მოსალოდნელი ქაშდ-მოსოხური **ს** (-ას)-ის ნაცვლად ჩნდება **-ან** (-ან). ერთი სიტყვით, ჩვენ გვაქვს თვალსაჩინო დამამტკიცებელი საბუთები თუბალ-კაინისა და ქართვების ენის მიერ მიცემითი ბრუნვის სესხების ფაქტისა, სახელდობრ, მეგრულისა და ჭანურის მიერ ქართვების ანდა ქაშდ-მოსოხური ჯგუფის ენისაგან **s**-(ს) ← **as**(-ას), ქართვების ენის მიერ **-an**(-ან)-ის სესხებისა, გამოუცნობია, რომელი ჯგუფისაგან¹.

როგორც აქედან ჩანს, მოთხრობითის **-ან** არ ყოფილა ქართულის პირვანდელი კუთვნილება, არამედ ნასესხები, შეთვისებული (ისევე, როგორც ნასესხებია მიცემითის **ს** ქართულიდან — ქართვების ენიდან — მეგრულ-ჭანურსა და სვანურში). არა ჩანს ოლონდ, რა წრიდანაა ეს **-ან** შემოსული ქართულში.

იმავე შრომაში, ოთხი გვერდის შემდეგ, ნ. მარი წერს: „მიცემითი ბრუნვის სვანური სუფიქსი **-an**, როგორც როგორც უკვე ახლა ცხადი ხდება, შემოიჭრა ქართულში, სადაც იგი გამოყენებულ იქნა მიცემითი ნაცვალსახელობითის საწარმოებლად: **m-an** მ-ან: მასში დაისმის, როგორც ცნობილია, ლოგიკური სუბიექტი აორისტსა და კონიუნქტივთან, ე. ი. მეორე ჯგუფის დროებთან; მან განდევნა ამ შემთხვევაში ქართვების **-as**“.²

ერთი წლის შემდეგ იმავე მოთხრობითის შესახებ ნ. მარი შენიშნავს: მიცემითი ნაცვალსახელობითის წარმოებისას (კაც-მან) ფუძე არ დაირთავს ბრუნვის ნიშანს, ფორმანტი **-ან** (**-an**) მიმართებაში მყოფ ნაცვალსახელს მოუდისო: „ქართულში ბრუნვის დაბოლოების ეს სახეობა (**-an**) სვანური ტიპისაა, რის გამოც ბრუნვაც ერთ დროს გვინდოდა აღგვენიშნა ახალი სახელით „სვანური“; მაგრამ ამის გამო ჩვენი საკითხისათვის მოვლენა იქნის უფრო მეტს მნიშვნელობას, ვინაიდან ყველა არსებული იაფეტური ენიდან სვანური ყველაზე ახლო დგას აფხაზურთან, როგორც საერთოდ, ისე, კერძოდ, ბრუნებაშიო“.³

ამ აბზაცს ჩვენთვის საინტერესო შენიშვნა აქვს გაკეთებული: „თუმცა არ უნდა ავჩქარდეთ ამ ბრუნვისთვის სვანურის დარქმევაში, ვინაიდან ბრუნებაში ამ თავისებურებას სვანებთან ერთად იზიარებენ ის იაფეტიდებიც, რომელთა ენაც იყო აქემენიდთა ლურსმული წარწერების მეორე კა-

¹ Н. М а р р. Где сохранилось сванское склонение? — ИАН, 1911, გვ. 1200.

² ხსენ. შრომა, გვ. 1204.

³ Н. М а р р. К вопросу о положении абхазского языка среди яфетических — С.-Петербург, 1912, გვ. 9-10.

ტეგორიის ენა და მათი მომდევნო ენებიცო.¹

ხოლო ნ. მარის გამოკვლევაში აქემენიდთა ლურსმული წარწერების მეორე კატეგორიის ენის შესახებ გკითხულობთ: „ბრუნვები წმინდა იაფეტურია ნათესაობითი ბრუნვის დამახასიათებელი ზოგად იაფეტური **i**-ს დაცვით, ხოლო თანხმონითი ელემენტით II კატეგორიის ენა ემხრობა სვანური ენის ძირითად ფენს, ააშკარავებს რა **n**-ს, მაგალ., ნათესაობ. **in**“.²

ცოტა ქვემოთ კი ყრუდ არის გადმოცემული:

„მიცემითი ბრუნვის **-an** სუფიქსი II კატეგორიის ენამ აგრეთვე შეინახა, მაგრამ მასზე მითითება ვრცელ განმარტებას მოითხოვს; იგივე [სუფიქსი] შეინახა II კატეგორიის ენიდან თუ პროტოსვანურიდან ნასესხები სახით ქართულმა: ე. წ. მიცემითი ნაცვალსახელობითი ქართულში იწარმოება არა ძირითადი ქართული **as** (→**sa**)-ს საშუალებით, არამედ ნასესხები **an**-ის საშუალებით“ (ხაზი ჩვენია — **ა. ჩ.**).³

ორი წლის შემდეგ კი ერთ თავის წერილში ნ. მარი ამბობს: „ქართული მიცემითი ბრუნვა **s**-ნიშნისანი (**as** — **sa**) შეთვისებული აქვს ჩაჩნურ ენებს და ზოგ დაღესტურსაც... თავის მხრივ ქართულში არც თუ ცოტა სიტყვაა შემოსული ხსენებული ენებიდან (იგულისხმება: ჩაჩნურ-ინგუშური ენების ჯგუფი) და მათს მორფოლოგიას ეკუთვნის, როგორც ჩანს, მათგან მომდინარეობს მიცემითი ბრუნვის **an**-ით წარმოება“.⁴

ჩვენი საკითხის თვალსაზრისით საინტერესო ჩანს ერთი ადგილი 1915 წელს გამოსული შრომიდან „ხეებისა და მცენარეთა იაფეტური სახელები“:

„...მრავლობითი რიცხვის სუფიქსის თანხმონითი ელემენტი (**n**) მთლად უცხო არ არის ქართული ენის ბრუნებისათვის: იგი წარმოდგენილია ე. წ. ნაცვალსახელობითს ანუ არქაულ მიცემითში **-an**. შეძლებისდაგვარად უკვე გამორკვეულია, რომ არქაული მიცემითის **-an** ანდა საერთოდ ბრუნვათა ნარიანი ფორმები ქართული ენის მიერ შეთვისებულია სვანურიდან („Где сохранилось сванское склонение...“ ИАН, 1911, გვ. 1203-5). სულ უკანასკნელ წლებში იაფეტიდოლოგიის ჰორიზონტი გაფართოვდა..

¹ იქვე, გვ. 10. შენიშვნა 1.

² Н. М а р р. Определение языка II категории Ахеменидских клинообразных надписей по данным яфетического языкознания, С.-Петербург, 1914, გვ. 16.

³ Н. М а р р. Определение языка II категории Ахеменидских клинообразных надписей по данным яфетического языкознания, 1914, გვ. 17.

⁴ Н. М а р р. К истории передвижения яфетических народов с юга на север — Изв. Акад. Наук, 1916, გვ. 1390. ხაზი ჩვენია — **ა. ჩ.**

ვინაიდან შედარებისათვის გამოყენებულ იქნა (привлечены к сравнению) ახალი მასალა ერთის მხრით, კავკასიის მთის ცოცხალი ენები, მეორე მხრით კი — ლურსმულ წარწერათა მკვდარი ენები. ლურსმული წარწერები პირველად თითქოს გვაიძულებდნენ ჩვენ ბრუნვათა ნარიან დაბოლოებათა წყარო სვანურის გარეშე გვეძებნა, და ამ გარემოებით იყო გამოწვეული არა ერთხელ ნახსენები შრომის „Где сохранилось сванское склонение“-ს რედაქცია. მაგრამ მალე, როგორც ლურსმულ წარწერათა, განსაკუთრებით II კატეგორიის ენის, ისევე კავკასიის მთის ენების (რომელნიც იაფეტური აღმოჩნდა) მონაცემთა შეპირისპირებამ გამოარკვია, რომ როგორც ეს აღნიშნულია ჯერ კიდევ ხსენებული წერილის ბოლოში („სად შემოგვენახა სვანური ბუნება?“ გვ. 1206), ძირითადი „სვანური“ ბრუნების გავლენა თავს იჩენს არა მხოლოდ ქართულს ენაში. თანდათანობით უფრო მკვეთრად ჩამოყალიბდა ფაქტი, რომ სვანური წარმოადგენს ორბუნე-ბოვან იაფეტურ ენას; ერთი ბუნებით იგი ეზიარება თუბალ-კაინურ ენებს (და საკუთრივ ამ ფენს უნდა მიეკუთვნოს სვანური თუ სონური ენის სახელი), მეორით კი — სპირანტულ ენას, რომელიც გამოვიდა შორეული სამხრეთით და ერთს დროს მოეფინა მთელს კავკასიას (залившим весь Кавказ). ამ ენის მატარებელი იწოდა მოსხ-ად, თუბალ-კაინურად — მოსოხ-ად, სვანური ენის ძირითადი ფენის მიხედვით მესხად (ანუ მეხ-ად)¹.

მოთხრობითის -an, — ნ. მარის აზრით, — უნდა იყოს სწორედ სპირანტული ფენის მასალა: თუბალ-კაინურ სინამდვილეს ის ვერ დაუკავშირდება. ვინ არიან ეს მესხები და როგორია მათი მეტყველება?

1917 წელს ნ. მარი წერს: „მესხი ანუ მასხი ანუ მოსოხი, იგივე მოსხი, ასურელთა და ვანის სამეფოს ქალღების მუშეები, ცნობილი არიან 1100 წლიდან ქრ. წინ. იეზეკილის მოწმობით (27, 13) ეს ტომი თუბალ-თან და იონთან ერთად ეწეოდა დიდ ვაჭრობას ტუროსთან, აწვდიდა რა მას მონებსა და „სპილენძის ჭურჭელს“. იგივე ტომი, დაწყებული სამხრეთითა და დასავლეთითგან იმ ქვეყნისა, რომელსაც შემდეგში არმენია ეწოდა, გავრცელდა კავკასიის მთებამდის და ერთ დროს გადასცილდა კიდევ მას. კავკასიაში იგი შემოვიდა იმ მხარიდან, რომელმაც შემდეგში შეინახა სახელწოდება „მესხეთი“ და ჩრდილო დასავლეთით მიაღწია შავ ზღვას, სადაც იგი დამკვიდრდა ა-ბასხ-ების (ა←მასხ-ების) სახელწოდებით, რაიც შემდეგში ქართველების გამოთქმაში დამახინჯდა აბხაზ-ად და შემდეგ აფხაზ-ად. აფხაზების აღმოსავლეთით იგინი შეერივნენ სონებს ანდა, მოვიდნენ რა მათთან შერევის შემდეგ სამხრეთიდან, დამკვიდრდნენ სონების თუ სვანების სახელით. ორი საემიგრაციო ტალღის მოწყვეტის შემდეგ,

¹ Н. М а р р. Яфетические названия деревьев и растений, Изв. Ак. Наук, 1915. 944-945.

რომელმაც შეადგინა აფხაზეთი ანდა დამკვიდრდა სვანეთში, მესხები ანუ მოსოხები დიდ ხანს განაგრძობდნენ სამხრეთშიც ყოფნას. მათი მოსახლეობა შევიწროვდა სამხრეთით, და თანდათანობით იგინი იკავებენ მტკვრის ზემო აუზს, მესხეთად წოდებულს... მესხეთში დარჩენილ ამ მესხებზე გავლენა მოახდინა სონთა მეგრულ-ჭანურმა ტომმა, რომელნიც (სონები) შეერივნენ მათ და შექმნეს სონ-მესხთა ნარევი ტომი, რომელსაც აგრეთვე სომეხს უწოდებდნენ. შემდეგში ქართველებმა ეს სახელი გადაიტანეს არმენებზე.¹

ერთგვარად მოულოდნელია, როცა ამის შემდეგ იმავე მესხის სახელწოდებას ნ. მარი ერთ-ერთ შრომაში ასე განმარტავს: „სომეხ (სვანომეხს) სხვა არაფერია, თუ არ სიბილანტური სახეობა ჰაი-ჰაიკისა, არის რა ჰიბრიდი შედგენილობისა:

„სო (←სონ), რაიც არის ეკვივალენტი ჰაჲ (←ჰაჲნ) ტერმინისა და მეხ-ჰაიკ ტერმინის ეკვივალენტი“.²

მაგრამ ეს შედარებით გვიანდელი ამბავია (1921 წ.!), როცა იაფეტური თეორია პალეონტოლოგიური მეთოდით იწყებს მუშაობას და წინანდელ შეხედულებებისათვის იშვიათად თუ კისრულობს პასუხისმგებლობას.

თავი რომ მოვუყაროთ იმას, რაც 1911-1916 წლებში ითქვა მოთხრობითის შესახებ, მივიღებთ რამდენიმე ვერსიას:

1. 1911 წლის ვერსია მოგვითხრობს, რომ ამ ბრუნვის **-an** სუფიქსი ქართულში შემოიჭრა „სონ-მოსოხურიდან“ და „ამ შემთხვევაში განდევნა ქართების **-as**“ (ისევე, როგორც ქართ. **-ბ**-მ გამოდევნა ჭან-მეგრ. **-შ**).

2. 1912 წლის ვერსიის თანახმად **-an-** დაბოლოებიანი ბრუნვა სვანურის ტიპისაა; სვანური გვინდოდა გვეწოდებინა ამ ბრუნვისათვის, მაგრამ არ უნდა ვიჩქაროთ, რადგანაც ბრუნების ამ თავისებურებას იზიარებდა იაფეტიდების ენა, აქემენიდთა მეორე კატეგორიის წარწერებში რომაა დაცულიო.

3. 1914 წლის ვერსიით — აქემენიდთა II კატეგორიის ენას შემოუნახავს მიცემითი ბრუნვის **an-** სუფიქსი, თუმცა ნ. მარი იქვე შენიშნავს: იგივე სუფიქსი შემოუნახავს ქართულს, როგორც ნასესხები ამ პროტო-სვანურიდან ან ამ წარწერების ენიდანაო.

4. 1916 წლის ვერსია ირწმუნება — მიცემითი ბრუნვის **-an** სუფიქსით წარმოება ქართულში მომდინარეობს ჩაჩნური ენებიდან, იგი ჩაჩნურ

¹ Н. М а р р. Грузинская поэма «Витязь в барсовой шкуре» Шоты из Руставы и новая культурно-историческая проблема — 1917, გვ. 439-440.

² Н. М а р р. Астрономические и этнические значения двух племенных названий армян — Зап. Вост. Отд. Рус. Археол. Общества, т. XXV (1921), გვ. 242.

ენათა მორფოლოგიის კუთვნილებათა. გამორიცხავს თუ არა ეს სვანური-დან სესხებას? არსებითად, არა: ჩაჩნურშიც, სვანურშიც (აქემენიდთა II კატეგორიის წარწერათა ენაშიც!) ივარაუდება საერთო ლინგვისტური ფენი, სპირანტული ფენი, რომლისთვისაც **-an** დაბოლოება ყოფილა დამახასიათებელი.

ეთნურად ეს სპირანტული ენობრივი ერთეული მესხ || მასხ || მოსოხ-ი უნდა ყოფილიყო: ის დასტურდება მესხეთშიც, კავკასიონის ქედთან და მის ჩრდილოეთითაც, შავი ზღვის სანაპიროზე (აფხაზეთში) და სვანეთშიც...

ამავე საკითხზე საულისხმოა ნ. მარის აზრი, გამოთქმული 1925 წ. გამოსულ „ძვ. ქართ. სალიტ. ენის გრამატიკაში“. მოთხრობითის შესახებ აქ ნათქვამია:

„მეორე მიცემითის თანხმონითი ელემენტი, **-ნ**, რომელიც დამახასიათებელია წიგნური ბრუნებისათვის, ქართულში ნასესხებია ანუ, უფრო სწორად რომა ვთქვათ, შეთვისებულია: ის შეეფერება ბუნებობათად სვანურს, საკუთრივ მესხურ ფენს სონ-მესხურის ანუ სომეხური ენისას ისევე, როგორც ელამურ ენას იაფეტურ ენათაგან და აგრეთვე ჰაიკური ენის იაფეტურ ფენს, რომელიც (ჰაიკ. ენა!) ახლა ხელმისაწვდომია ჩვენთვის მხოლოდ ძველ სალიტერატურო სომხურში.

„ამ თანხმონითი ელემენტით ქართველთა მწერლობის პირვანდელი ენის მშობლიურ წრეში იწარმოებოდა არა მხოლოდ **-ან**, არამედ **-ინ**-იც, და ნათესაობითი ბრუნვის ასეთი წარმოება შენახულია ქართულ ენაშიც, ზმნისართებში... გუშინ... *გუშ-იდან „სალამო“...¹ და კიდევ: „თანხმონითი ელემენტის წარმოშობის ხასიათის მიხედვით იგივე ბრუნვა, ნასესხები თუ შეთვისებული ქართულის მიერ წიგნური ბრუნების მშობლიური წრიდან, — სონ-მესხურიდან (სო-მესხურიდან) შეიძლება წოდებულ იქნეს სონ-მესხურად, მაგრამ რადგანაც მისი ფონეტიკური თავისებურება აღის საკუთრივ მესხურ ფენამდის სონ-მესხური ენისა, რომელიც ამჟამად სვანურითაა წარმოდგენილი, მისთვის (თანხმონ. ელემენტისთვის — **ა. ნ.**) შეიძლებოდა გვეწოდებინა მესხურიც მის ბუნების მიხედვით და სვანური შეთვისების მიხედვით (можно бы назвать и месхским природно и сванским по усвоению).²

ამრიგად, **-ნ** ელემენტი ნასესხებია სვანურიდან, ხოლო ფონეტიკურ ნორმათა მიხედვით მესხურია — ამაზე შეჩერდა საბოლოოდ ნ. მარი მოთხრობითის ფორმანტის დახასიათებისას.

¹ Н. М а р р. Грамматика древнелитературного грузинского языка, Ленинград, 1925, § 39, გვ. 25.

² იქვე, § 39, გვ. 26-27.

ბრიერის თანაავტორობით ფრანგულ ენაზე გამოცემულ ვრცელ „ქართულ გრამატიკაში“ მესხურობა-სვანურობის არაფერი ისმის, მაგრამ სხვამხრივ კი ცნობილი დებულებებია გამეორებული: მოთხრობითის აღსანიშნავად ნახმარია „ნაცვალსახელოვანი მიცემითი“... ეს „ნაცვალსახელოვანი მიცემითი“ ირიბ ბრუნვად მიიჩნევა (§ 161, გვ. 133)... „მან“-მოთხრობითს მოქმედებითის ფუნქცია აქვსო (§ 295, გვ. 259)... სათანადო გარდამავალი ზმნა წყობით ობიექტურიაო (§ 161, გვ. 133)...

ახალია: „მან“ შეიძლება განვმარტოთ, როგორც **მა-ან**: „მიცემით-ბრალდებითი ანდა როგორც „მან“ = „ხელი“: კაც-მან = კაცით, კაცის მიერ (§ 79, 2 a, გვ. 65). „მან = ხელი“ ნ. მარის პალეონტოლოგიურ თვალსაზრისს ასახავს (დაწვრილებით ქვემოთ, გვ. 27-28).

განვიხილოთ ნ. მარის პასიურობის თეორიის საყრდენი დებულება: მან = მას, მან (ისტორიულად) მიცემითია.

ჯერ ერთი, სინტაქსური ფუნქციის თვალსაზრისით ძველ ქართულში **მან** და **მას** სულ სხვადასხვა ოდენობაა: „**მან**“ ყოველთვის სუბიექტის ბრუნვად გვევლინება (არასოდეს ობიექტისად), „**მას**“ ობიექტის ბრუნვაა (და არა — სუბიექტისა). მოთხრობითი „**მან**“ („**მათ**“) ყოველთვის ითანხმებს ზმნას რიცხვში (მათ თქუეს, ჰკითხეს, აშენეს...), „**მას**“ / „**მათ**“ (მიცემითი) ძველ ქართულში ზმნას არასოდეს ითანხმებდა რიცხვში (მათ უწერიეს, უკითხავს, უშენებიეს... მათ აქუს, სწყურის, სძინავს... მათ ჰრქუა, უწოდა...).

ზმნის მორფოლოგიაც ამ ორ ბრუნვას მკვეთრად განასხვავებს: „**მან**“, როგორც სუბიექტის ბრუნვა, ზმნაში სუფიქსით აღინიშნება (მან ჰკითხა, თქუა, აშენა...) ისევე, როგორც სახელობითში დასმული სუბიექტი (იგი მოვიდა, დაჯდა, განსპეტაკა, აღეშენა, დაესრულა...).

„**მას**“, როგორც საერთოდ ყველა ობიექტი, პირს პრეფიქსით აღნიშნავს (და არასოდეს — სუფიქსით); მას სთხოვეს (მდრ. შენ გთხოვეს... მე მთხოვეს...) ...მას ჰკითხეს... მას ჰყავს...

ძველ ქართულში **მან** და **მას** პოლარული ოდენობანია როგორც წინადადების სინტაქსის, ისე ზმნის მორფოლოგიის თვალსაზრისით.

მაგრამ იქნებ **მან** ნაცვალსახელმა ასეთი მნიშვნელობა შეიძინა ქართულში, სვანურში მას სხვა მნიშვნელობა ჰქონდა და ეს ძველი მნიშვნელობა სწორედ მიცემითისაა...

მაგრამ სვანურში **-ან** ფორმა მიცემითის მნიშვნელობით არ მოიპოვება, ხოლო ის გადმონაშთები, ნ. მარი რომ ასახელებს, მიცემითად შეუძლებელია გავიგოთ; მწრან მად იკაფ ალა „კაცისაგან არ უნდა მოელოდე ამას“; მწრან = მწრანანქა ნათესაობითის ფუნქციითა გვაქვს; ასევე:

წაგაბგნქა „ვნების, წაგების გარდა“, ხოლამგნქა „სიავის გარდა“... აჩუნლო „ამის შემდეგ“, ლეთუნლო „ლამის შემდეგ“... მეთხვარნ ხოჩა „მონადირის უკეთესი“... კიჟოლნ ხოჩა დესამ სარი შედ „კიჟოს უკეთესი ჭურჭელი არ არის“... ლადედლ „დღისით“, ლეთნ „ლამით“.¹

საკითხავია: რად უნდა იყოს საძებარი **-an-** მიცემითი სვანურში? რატომ არ შეენახა ეს ბრუნვა სვანურს? იქნებ „ქართების“ მიცემითმა (**-ახ||-სა**) გამოდევნა იგი ხმარებიდან. გამოდის, რომ ქართების მიცემითი დამკვიდრდა სვანურში და მოშალა „საკუთრივ სვანური“ მიცემითი (**-ან||-ნ**), სვანური მიცემითი დამკვიდრდა ქართულში, მაგრამ **ს**-ნიშნის მიცემითის მდგომარეობაზე არავითარი გავლენა მოუხდენია. მერეა-და: ქართების მიცემითი სვანურშიც მიცემითად დარჩენილა, სვანურ მიცემითს კი ქართულში ძირ-ფესვიანად შეუცვლია მნიშვნელობა: მიცემითი (ობიექტის ბრუნვა) ქცეულა სუბიექტის ბრუნვად (მოთხრობითად), მასთან ისეთად, რომელიც არავითარ პირობებში ობიექტს არ აღნიშნავს, ყოველთვის სუბიექტია.

მასთან: ქართულისაგან შეთვისებული მიცემითი სვანურში მრავალსახელს დაერთვის (ზოგადს, საკუთარს, ნაცვალსახელს), „სვანური მიცემითი“ მხოლოდ **მან** და **ვინ** ნაცვალსახელებში და ისიც მხოლოდობითს რიცხვში (მრავლობითში **-ნ** არა ჩანს).

ყოველივე ზემოთქმული მოწმობს, რომ **ნ**. მარის ვარაუდი ხელოვნურია და სინამდვილეში არსებულ ვითარებას არ ასახავს.

რაც შეეხება ჩაჩნურს, იქ **-ნა** დაბოლოებიანი ბრუნვა მოგვეპოვება, მაგრამ ეს ბრუნვა მიცემითია (დიშინა შიენ ვაშა ვიეზა „დას თავისი ძმა უყვარს“), და ეს მიცემითი ქართული მიცემითის ტოლია და არა მოთხრობითისა; მიცემითი და მოთხრობითი (ერგატივი) ჩაჩნურში სხვადასხვა ოდენობას წარმოადგენს (მათ ჩაჩნური ისევე არ არევს, როგორც ქართული).

ზანური მოთხრობითის **-ქ**-ს ვითარება ნათელია; ეს ფორმანტი დაერთვის ნაცვალსახელებსაც (მეორე პირის ნაცვალსახელთა გარდა), არსებით სახელებსაც, დაერთვის მხოლოდობითშიც, მრავლობითშიც (ჭან. ემუ-ქ „იმან“, ჯუმა-ქ „ძმამ“, კოჩი-ქ „კაცმა“, მთუგი-ქ „თავგმა“... ენთეფე-ქ „იმათ“, შდრ. ქვ. იმერ. „იმგენმა“, ჯუმალეფე-ქ „ძმებმა“ (შდრ. გურ. „ძმანებმა“), მთუგეფე-ქ „თავგებმა“...

წარმოების მხრივ ზანური მოთხრობითი განსხვავებულია ქართულის მოთხრობითისაგან, მიცემითად მისი მიჩნევისათვის იმგვარი საბუთების მოყვანაც გაჭირდებოდა, რაც ქართულის მოთხრობითისათვის მოჰყავდა **ნ**.

¹ Н. М а р р. Где сохранилось сванское склонение: — ИАН, 1911, გვ. 1204.

მარს. შემთხვევითი არ ყოფილა, რომ „ჭანური ენის გრამატიკაში“ ნ. მარი არც ცდილა მოთხრობითის წარმოება აეხსნა თავისი თვალსაზრისით; ის დაკმაყოფილდა ლიტონსიტყვიერი განცხადებით: „ჭანურში ისევე, როგორც ქართულში მოგვეპოვება ნაცვალსახელობითი, სახელდობრ, მიცემით-ნაცვალსახელობითი ბრუნვა, რომელიც იწარმოება ქართული ნაცვალსახელობითი მიცემითისაგან, (მან) განსხვავებული ფორმით, სახელდობრ, **ქ**-ს მეშვეობით“.¹ ნაცვალსახელობითი ეს ბრუნვა მართლაც არის (ისევე, როგორც სახელობითი!), მაგრამ საიდან და როგორ იქცა ეს ბრუნვა მიცემითად, ამაზე არაფერია თქმული. თქმა კი საჭირო იყო, რაკი ნ. მარი აღნიშნავს — ჭანურში ამ ბრუნვას ქართულისაგან განსხვავებული ფორმა აქვსო.

განმარტებას სვანურის ჩვენებაც მოითხოვდა: თუ **-ნ**-იანი ფორმა სვანურში მიცემითის ფუნქციით იყო აღჭურვილი, რაღა საჭიროებამ მოიტანა ისეთი ფორმების წარმოება, როგორცაა დინა-**დ** „ქალიშვილმა“, მარე-**მ** „კაცმა“: ამათ მოთხრობითი ეწოდა, და ნ. მარისათვის სვანური მოთხრობითი ისევე უნდა იყოს მიცემითი, როგორც ქართულის „მან“ და ჭანურის **-ქ**-ფორმანტიანი (მოთხრობითი) ბრუნვა. ან იქნებ **-დ**, **-ემ**- ფორმანტიანი ბრუნვები ნ. მარისთვის არაა მიცემითი? ყოველ შემთხვევაში, ნ. მარი ამ საკითხს არ იხილავს.

ახლა ქართული **მან**-ნაცვალსახელის კვალიფიკაციის შესახებ. „**მან**“ ნ. მარისთვის „მიცემითია“;² ამისდა კვალად, მიცემითი გამოვა ყველა სახელი, სადაც **-მან** აწარმოებს მოთხრობითს (კაცმან, ძმამან, მზემან...). მაგრამ არის ერთი ნაცვალსახელი, სადაც მოთხრობითს **-ნ** მოუდის (ვინ) და ეს **-ნ**-იანი წარმოება სახელობითის როლსაც ასრულებს: ვინ? კაცი... ვინ? კაცმან...

„ვინ“ ნ. მარს მიცემითად აქვს გამოცხადებული, სადღაა მიცემითის **ა** ამ ნაცვალსახელში? რატომ არის „ვინ“ საზიარო „მიცემითისა“ და სახელობითისათვის.

ამაზე პასუხს ნ. მარი არ იძლევა.

ჩვენთვის „**მან**“ ნაცვალსახელში (ისევე, როგორც „**ვინ**“ — ნაცვალსახელში (მოთხრობითი) ბრუნვის ნიშნად **-ნ** გვევლინება, **ა** — კი ფუძის კუთვნილებას წარმოადგენს: მა-**ნ**, ვი-**ნ**,³ მა-**ნ**, მა-**ს**, მი-**ს** (←მა-ის), **მ-ით** (←მა-ით).

¹ Н. Марр. Грамматика чанского (лазского) языка с хрестоматией и словарем, 1910, § 16, а, გვ. 11-12.

² Н. Марр. Грам. др.-лит. груз. языка, 1925, § 124, გვ. 102.

³ დაწვრილებით: არნ. ჩიქობავა. მოთხრობითი ბრუნვის გენეზისისათვის ქართველურ ენებში, „თბილ. უნივერს. შრომები“, ტ. X (1940).

ამით წყდება საკითხი, გვაქვს თუ არა აქ არაბული მიცემითის ანალოგი.

თვითონ ნ. მარს გაცვრით, მაგრამ საკმაოდ გარკვევით აქვს მითითებული ერთს ფაქტზე, საიდანაც ჩანს, რომ **მან**- ნაცვალსახელში **მა**- არის ფუძე: „ძველი სალიტერატურო ქართული ენის გრამატიკის“ წინასიტყვაობაში, ის, სხვათა შორის, აღნიშნავს: მეტყველების პალეონტოლოგიამ სხვაგვარი განმარტება მოითხოვა, ვინემ „ფორმალური მიდგომა“ გვიკარნახებდაო, და ნიმუშად მუნ- ზმნისართი მოჰყავს: ეს ზმნისართი წარმოშობით ნაცვალსახელია მიცემით ბრუნვაში. როგორც ამას „წმინდა შედარებით ფორმალური მიდგომა გვიკარნახებდა“: **მუნ** ← **მონ** (შიშინა წრეში) — **მან** (სისინა წრეში). მეტყველების პალეონტოლოგია კი „ნაცვალსახელობის ფუძეში **მუ** გამოგვივლენს არსებით სახელს *mur „თავი“, შდრ. ბასკ. bur-u „თავი“, როგორც თვის-ი თუ-საგან „თავი“ და ახლა იძულებული ვართ ფორმალურადაც დავუბრუნდეთ მუნ-ის ანალიზს **-ნ** ← **ნა** სუფიქსით, რაც უკუგდებული გვქონდა, როგორც ახსნა „პირველი შთაბეჭდილების მიხედვით“.¹

აქ გარკვევით არის ნათქვამი, რომ ნაცვალსახელის ფუძეს **მუ** წარმოადგენს შიშინა წრის ნორმების მიხედვით: სისინა წრეში შესაბამისად **მა** იქნება ფუძე, ე. ი. **ა** (მა-ნ) აღარ არის ფორმანტი, არამედ ფუძის კუთვნილებად უნდა მივიჩნიოთ; მაგრამ თუ **მან**- ნაცვალსახელი ასე დავშალოთ, მიცემით ბრუნვად ველარ გამოვაცხადებთ: უარყოფილი იქნება დებულება — მოთხრობითი ნაცვალსახელოვანი მიცემითიაო. ასეთი იყო ვითარება 1925 წელს, როცა „ძველი ქართული ენის გრამატიკა“ გამოვიდა.

ბრიერის თანაგვტორობით გამოცემულ შრომაში „ქართული ენა“ (1931 წ.), ერთის მხრით, მოთხრობითი ბრუნვა ძველი ინერციით მიცემითად არის კვალიფიცირებული, მაგრამ ისეთი დანართიც მოგვეპოვება, რაც ძველ ვარაუდს არსებითად ცვლის.

„მიცემითი-ნაცვალსახელოვანი მიუგებს კითხვაზე ვინ? ნამდვილად კი კითხვაზე: ვის მიერ? (არაპირდაპირი დამატება)“². ამგვარად, მოთხრობის მოქმედებითის ფუნქცია მიეწერება.

იქვე ნ. მარი ასეთ ინტერპრეტაციასაც გვთავაზობს: „**მან**“ = „**ხელი**“... კაც-მან = „კაც-ხელ“: „კაცით“ ნამდვილი მოქმედებითიაო“.³

მოთხრობითი ამგვარად მოქმედებითიც არის, მიცემითიც (და, როგორც მიცემითი, აკუზატივისაც უდრის: მოთხრობითი — აკუზატივი!). **მა**-

¹ Н. М а р р. Грам. др.-лит. груз. яз., 1925, 1925, წინასიტყვაობა, გვ. V.

² N. M a r r et M. Brière, La langue géorgienne, Paris, 1931, § 75₁.

³ იქვე, § 79, 2a, გვ. 65.

ფუძეს განუკუთვნა ნ. მარმა; მიცემითისათვის საჭირო იყო ა-, და ეს ა-ც ნ-ს წარუმდგარა: მან ← მა-ან... მა- ფუძედ პალეონტოლოგიის წყალობით იქცა. ძველი გაგების ინერცია რომ არა, პალეონტოლოგიური გაგება იქნებოდა ერთად ერთი: „მან“ = „ხელი“; კაცმან = „კაცხელ“, ე. ი. „კაცის მიერ“, „კაცით“... არც ფუძის საკითხი ექნებოდა ავტორს სარკვევი, არც სუფიქსის შედგენილობა.

მაგრამ ნ. მარი პალეონტოლოგიურ ვარუდებსაც იცავს და „ძველ, ფორმალურ მიდგომასაც“ ვერ ელევა: რყევა შეიმჩნევა წიგნშიც, საძიებელშიც.

ანალიტურ ტაბულაში მა მესამე პირის ნაცვალსახელის ფუძედ არის მიჩნეული ირიბ ბრუნვათათვის.¹ გრამატიკას დართულ ლექსიკონში კი მა მესამე პირის ნაცვალსახელის ფუძედ ითქმის, მაგრამ იქვე (მეორე გვერდზე) ნათქვამია: „მან“ — „ხელი“: ეს სიტყვა თავდაპირველად გამოყენებული იყო მოქმედებითის საწარმოებლად, შემდეგ იქცა ნაცვალსახელად სუბიექტის (sic!) ბრუნვაში, სახელდობრ, მიცემითის ნაცვალსახელობითში (მა-ნ ანუ მ-ან).²

მა-ნ და მ-ან ორ სრულიად განსხვავებულ გაგებას შეიცავს; გაუგებარია, როგორ შეიძლება ერთი დაგიცვათ და მეორეც. ისე ხომ არაა, რომ პალეონტოლოგიურმა თვალსაზრისმა ნ. მარს „მან“ „ხელად“ მიაჩნევინა და შემდეგ „მესამე პირის ნაცვალსახელად“... და ამის შემდეგ სულ ერთია მა-ნ გვექნება თუ მ-ან...

ზედმეტი არ იქნება (ნ. მარის პალეონტოლოგიის დასახასიათებლად) მოვიგონოთ: 1925 წელს „ფ. ქართ. სალიტ. ენის გრამატიკაში“ მუნ (|| მან) „თავს“ დაუკავშირა იმ პალეონტოლოგიამ, რომელიც 1931 წ. (ფრანგულად გამოქვეყნებულ შრომაში „ქართული ენა“) იმავე მან-ში „ხელს“ ხედავს.

მოთხრობითი ბრუნვის მიცემითობა ასეთ პირობებში ძნელია დაცული იყოს.

ნ. მარის შეხედულების ამოსავალი იყო დებულება: მოთხრობითი ბრუნვა (ისტორიულად) მიცემითს წარმოადგენსო. რაკი მოთხრობითი თვითონ ნ. მარს აღარ მიაჩნია მიცემითად, ამით საფუძველი გამოეცალა მთელს კონცეფციას.

მან მიცემითად არ მიიჩნევა: მაგრამ საიდან ჩანს, რომ ეს ბრუნვა არ არის საერთოდ ირიბი ბრუნვა?

საჭიროა განვიხილოთ ის საბუთები, რომლებიც შეიძლება დაიძებნოს დამატებით იმის სასარგებლოდ, რომ მან- ნაცვალსახელი ირიბ ბრუნვას წარმოადგენს.

¹ იქვე, გვ. 771.

² იქვე, § 75, e, გვ. 648.

1. **მაწ** ნაცვალსახელს **-წ** აწარმოებს; სვანურში მის მაგივრობას **-ღ** ეწევა (დინა-ღ „ქალიშვილმა“) — ზოგად სახელებში; მესამე პირის (ჩვენ-ბითს) ნაცვალსახელში აქ **-ღ** არა გვაქვს, **-ემ** სუფიქსია გამოყენებული (ეჯნემ „იმან“...). მაგრამ სვანურში- **ღ** მიმართულებითსაც (გარდაქცევით-საც) აწარმოებს: დინაღ = 1. ქალიშვილმა; 2. ქალიშვილად. გამოდის, რომ ერთ-ერთ ქართველურ ენაში მოთხრობითსა და ირიბ ბრუნვას (გარდაქცევითს) საზიარო ფორმანტი აქვს (**-ღ**); ქართული **-წ** (მაწ) ამ **-ღ**-ს ფონეტიკური სახესხვაობა ჩანს.

2. ქართ. **მან** სახელობითისაგან გათიშულია (აქ სხვა სიტყვა-ფუძე გვევლინება: **იგი**), მაგრამ ირიბ ბრუნვებთან საერთო ფუძე აქვს: მოთხრ. **მა-წ**, მიცემ. **მა-ს**, გარდაქც. **მა-ღ**, ნათეს. მის ← **მა-ის**, მოქმედ. მით ← **მა-ით**. ამგვარად, ფუძემ გააერთიანა მოთხრ. **მა-წ** ირიბ ბრუნვებთან.

3. მრავლობითში ერთი და იგივე ფორმა სამი ბრუნვის როლს ასრულებს; ეს ბრუნვებია: მოთხრობითი, მიცემითი და ნათესაობითი: მათ თქუეს (შდრ. მხოლ. მან თქუა), მათ უთქუამს (შდრ. მხოლ. მას უთქუამს), მათთვს იტყოდა (შდრ. მხოლ. მისთვს იტყოდა)... ასევე საზოგადო სახელებში: კაცთა მათ თქუეს (მხოლ. კაცმან თქუა), კაცთა მათ უთქუამს (მხოლ. კაცსა მას უთქუამს), კაცთათვს იტყოდა (მხოლ. კაცისათვს იტყოდა...).

ყველაფერი ეს, ერთი შეხედვით, გახაზავს ქართული მოთხრობითის კავშირს ირიბ ბრუნვებთან. რა შეიძლება ითქვას ზემოხსენებულ გარემოებათა შესახებ?

სვანური გარდაქცევითი ბრუნვა საზოგადო სახელებში შეიძლება დამთხვევას მოთხრობითს, მაგრამ მესამე პირის ნაცვალსახელში მკვეთრად არის გამიჯნული მოთხრობითისაგან: ეჯნემ „იმან“ მხოლოდ მოთხრობითია (ზედსართავებშიც, თუ ზედსართავი დამოუკიდებლად იბრუნვის, ეს ორი ბრუნვა გარჩეულია: ხოჩამ „კარგმა“, „ხოჩამდ“ „კარგად“).

ეს გვაფიქრებინებს, რომ სვანურში მოთხრობითისა და გარდაქცევითის დამთხვევა (შეთავსება), სადაც ამას ადგილი აქვს, მეორეული უნდა იყოს. გასათვალისწინებელია ჭანურის ჩვენება: აქ გარდაქცევითი ბრუნვა სულ არ მოგვეპოვება.

რატომა აქვს მოთხრობითს საზიარო ფუძე მიცემითთან და სხვა ირიბ ბრუნვებთან? ეს იმიტომ, რომ წარმოქმნის თვალსაზრისით მოთხრობითი უფრო ძველია, ვინემ სახელობითი (სახელობითი გაფორმდა ცალკე მორფოლოგიურ ოდენობად უფრო გვიან, ვინემ მოთხრობითი): წარმოქმნის დრომ (და არა მორფოლოგიურ-სინტაქსურმა თვისე-

ბებმა!) გააერთიანა — ფუძით — მოთხრობითი ირიბ ბრუნვებთან და დაა-შორა სახელობითს (მიცემითი, ნათესაობითი ძველი ბრუნვებია).

ახლა — მრავლობითში არსებული ვითარების შესახებ. **ნ/თ**-იანი მრავლობითის ჩვენება მხედველობაში არ მიიღება: აქ ირიბ ბრუნვებთან საზიარო გამოდის მოთხრობითის ფუძე კი არა, მთელი ფორმა: მოთხრობითი, ნათესაობითი, მიცემითი ერთი და იგივე ოდენობაა. თუ ამის მიხედვით დავახასიათებდით მოთხრობითს, ვერ დავჯერდებოდით დასკვნას — მოთხრობითი ირიბი ბრუნვა ყოფილა ნათესაობითსა და მიცემითის მსგავსადაო, — არამედ უნდა გვეთქვა: მოთხრობითი, ნათესაობითი და მიცემითი ერთი და იგივე ოდენობა ყოფილაო (და არა ერთნაირი ოდენობა!) როგორცაა, ვთქვათ, **ვი-ნ**, მოთხრობითად და სახელობითად ხმარებულო (აქ მოთხრობითი იგივე სახელობითია, ოღონდ უფრო ძველი ფორმაციისა). მაშასადამე, მრავლობითის ჩვენება, თუ მას დავემყარებთ, მეტს ამტკიცებს, ვინემ საჭიროა: ამ ბრუნვათა ერთგვარობა უნდა გვაჩვენოს, იგივეობას გვაძლევს.

საკითხავია, როგორ მივიღეთ ეს იგივეობა მრავლობითში? როგორ უნდა აიხსნას მოთხრობითთან ნათესაობითისა და მიცემითის დამთხვევა? საქმე ისაა, რომ წარმოშობით **თა(ა)** სუფიქსს (კაც-**თ**-ა... მა-**თ**) ბრუნვასთან კავშირი არა ჰქონდა, **-თ**- მრავლობითი რიცხვის ნიშანი იყო (და არა ბრუნვისა); **-თ←ეთ** (**←ედ**) (ისევე, როგორც სახელობითში **ნ ← ენ**)... **-თ** და **-ნ** სახელთა მრავლობითში იგივეა, რაც **-თ** და **-ენ** || **-ან** ზმნის მრავლობითში (კაც-**ნ**-ი აშენებ-**ენ**... კაც-**თა** აშენ-**ედ**...).

სახელთა **-ნ/თ**-იანმა მრავლობითმა შემოგვინახა ძველის-ძველი ვითარება, როცა მრავლობითი რიცხვი იწარმოებოდა (მაგრამ ბრუნვები არ იყო ჩამოყალიბებული); მრავლობითობას ჯერ **-თ** სუფიქსი აწარმოებდა (სახელშიც, ზმნაშიც!), მერე **-ნ** სუფიქსიც გამოიყენა ენამ (ასეთი ვითარება აფხაზურს დღემდე დაუცავს: მრავლობით რიცხვს სახელებში **-ცია||ქია** სუფიქსი აწარმოებს. ბრუნვები მოთხრობითი, მიცემითი, ნათესაობითი არ იწარმოება).

ამით შეიძლება დავამთავროთ **მან-** ნაცვალსახელის საკითხის განხილვა. **მან-** ნაცვალსახელს ირიბ ბრუნვად ვერ მივიჩნევთ.

ზმნის ფუძის ვნებითობა გარდამავალ ზმნებში. ნ. მარი, როგორც ვნახეთ, პასიურად მიიჩნევა გარდამავალ ზმნას, რომელთანაც სუბიექტად **მან-** ნაცვალსახელი დაისმის. ეს პასიურობა იმით გამოიხატებოდა, რომ აორიტს (ე. ი. ნამყო ძირითადს — რა ქნა?) მემველი ზმნის მიმღეობა დაერთვის ვნებითი გვარისაო, ასე იყო განმარტებული აორისტის ფორმანტები. მაგრამ იმ ეპოქაში, როცა აორისტი ყალიბდებო-

და, მიმღეობა, ისიც (მეშველი ზმნისა და ვნებითი გვარისა) ჯერ კიდევ არ იწარმოებოდა. ვნებით გვარზე ლაპარაკი იმ დროისათვის ანაქრონიზმი იქნებოდა. მიმღეობას — თვით ნამყო დროის მიმღეობასაც კი — ზმნათა აბსოლუტურ უმეტესობაში — საფუძვლად უდევს აწმყო ს ფუძე (მშენებელი — აშენებელი — ასაშენებელი... მყოფელ-ი, მყოფ-ი, ყოფ-ილ-ი, საყოფ-ელ-ი... მკვლ-ელ-ი, მოკლულ-ი ← მოკლვ-ილ-ი, მოსაკლავი || მოსაკვლელი...). ამისდა კვალად, მეშველი ზმნის მიმღეობის ვნებითის გამოყენების საკითხი — ქართულში აორისტის საწარმოებლად — უნდა მოიხსნას.

რაკი მოთხრობითი მიცემითს გაუტოლდა, მოთხრობითიანი კონსტრუქცია, აორისტში რომ გვაქვს, თურმეობითის მიცემითიანი კონსტრუქციასთან ერთ რიგში მოექცა (მან კრიბა || მას უკრებიეს). მაგრამ თურმეობითში გარდამავალი ზმნა ობიექტური (ინვერსიული) წყობისაა: მას უკრებიეს, შენ გიკრებიეს, მე მიკრებიეს. ამის შესაბამისად ნ. მარი აორისტშიც გარდამავალ ზმნას ობიექტურ წყობას მიაწერს თუმცა აქ სათანადო ობიექტური თავსართები არ მოგვეპოვება (**გ**-კრიბე, **ჰ**-კრიბე, კრიბა); ვკრიბე პირდაპირი წყობისაა და არა ინვერსიულისა, მას სუბიექტური თავსართები აქვს, იგი სუბიექტური წყობისაა.

რაკი აორისტში გარდამავალი ზმნა ობიექტური წყობისად მიიჩნია ნ. მარმა, ამას არ შეიძლებოდა სუბიექტისა და ობიექტის თავსართების (ნიშნების) აღრევა არ გამოეწვია. „სუბიექტურს წყობაში, — წერს ნ. მარი, — მოქმედებითი და ვნებითი გვარი ფორმალურად ანუ მოჩვენებით სუბიექტური წარმონაქმნია, ე. ი. სუბიექტური ნაცვალსახელოვანი ნაწილაკების მეშვეობით წარმოება შენახულია ხუთ დროში: აწმყოში, ნამყო უსრულში, ნატვრითში, აორისტსა და კავშირებითში. მაგრამ ამ ხუთი დროდან..., რომელნიც იწარმოებიან სუბიექტურ ნაცვალსახელოვანი ნაწილაკების დახმარებით, ნამდვილად სუბიექტურია წყობის მიხედვით (по строю) მხოლოდ აწმყო და მისგან ნაწარმოები ნამყო უსრული და ნატვრითი, ხოლო აორისტი და მისგან ნაწარმოები კავშირებითი თავის ფუძეთა ბუნების მიხედვით ობიექტური წყობისაა, როგორც ეს უკვე განმარტებული გვაქვს (§ 178, შდრ. § 113a)“.¹

და კიდევ სხვაგან: „სუბიექტური ნაცვალსახელოვანი პრეფიქსები შეიძლებოდა ყოფილიყო გამოყენებული, როგორც ობიექტური და ჩვენ ამას მართლაც ვხედავთ დროთა მეორე ჯგუფში (აორისტსა და მისგან ნაწარმოებში), სადაც, მაგალ. **გ**- გვევლინება საკუთრივ ობიექტურ-ნაცვალსახე-

¹ Н. М а р р. Грамматика др.-лит. груз. яз., 1925, § 198, გვ. ხაზი ჩვენია — ა.ჩ.

ლური ელემენტის როლში, ნათესაობითში დასმული **მი**-ს ანდა მიცემითში დასმული **მა**-ს როლში“.¹

მაშასადამე, ნ. მარის მტკიცების თანახმად: **ჰკრებ**, **ჰკრებდი**, **ჰკრებ-**დე — სუბიექტური წყობისაა, **ჰკრიბე**, **ჰკრიბო** — კი, თუმცა სუბიექტურ ნაწილაკებს დაირთავს, მაგრამ სუბიექტურ წყობისად არ შეიძლება მივიჩნიოთ, **ჰკრიბე**, **ჰკრიბო** — ობიექტური წყობისაა. რის მიხედვით? „ფუ ძე-თა ბუნების მიხედვით“. **ჰ-** (**მ**-კრიბე, **ჰ**-კრიბო) ობიექტის ნიშნად დასახა ნ. მარმა: ამას ფუძის პასიურად მიჩნევა („ფუძის ბუნება“) მოითხოვდა, მაგრამ ასეთ შემთხვევაში ობიექტურ-თავსართიანი ფორმისათვის ადგილი არა რჩება (**ჰ**-კრიბა... **გუ**-კრიბა... **მ**-აქო, **გ**-აქო... **მ**-კითხა, **გ**-კითხა...). ასეთი ფორმები სუბიექტური ვერ იქნება (აორისტში — ნ. მარის ვარაუდით — მხოლოდ პასიური და ობიექტური წყობა გვაქვს); ობიექტურადაც ვერ მივიჩნევთ: ორგვარი ობიექტური წარმოება და ფორმანტები მოიყრის თავს, **ჰ**-იანი და **მ**-იანი (**ჰ**-აქე — **მ**-აქო... **ჰ**-კალ — **მ**-კლა... **ჰ**-კრიბე — **მ**-კრიბა).

ერთი სიტყვით, ნ. მარმა **ჰ**- პრეფიქსის (საერთოდ, სუბიექტური ფორმანტების) ფუნქცია მოშალა აორისტის პასიურობასთან დაკავშირებით; **ჰ**- პრეფიქსი რომ ობიექტის მაჩვენებლად იქნა გამოცხადებული (აორისტში), ამან შეარყია **მ**- პრეფიქსის პოზიცია: პრეფიქსთა სისტემა აირია.

ეს გარემოებაც მოწმობს — არაპირდაპირ, — რომ არ შეეფერება ობიექტურ ვითარებას ის დებულება, რომლის თანამიმდევრულად გამოყენებამ ასეთი შედეგი მოგვცა.

დასასრულ, იმ იდეოლოგიური საბუთის შესახებ, რომლითაც ნ. მარი გარდამავალ ზმნას პასიურად სახავდა. რატომ უნდა ყოფილიყო გარდამავალი ზმნა აორისტში პასიური? „მოქმედების ზმნებში მწარმოებელი (სუბიექტი), — წერს ნ. მარი, — წარმოადგენდა ვნებულს, მომუშავეს, ნაწარმოები (ობიექტი) — კი უძრაობის მდგომარეობას (состояние покоя), ამიტომ თავდაპირველად სუბიექტი (ლოგიკური სუბიექტი) გადმოიცემოდა ვნება || მოქმედების ბრუნვით (პირდაპ. ბრალდებ. || მიცემ.), ხოლო ობიექტი (ლოგიკური ობიექტი) — მდგომარეობის ბრუნვით (პირდაპირი სახელობითით). შემდგომში ასეთი მდგომარეობა დამკვიდრდა (сбытовалось) წმინდა ფორმალურად პასიურ კონსტრუქციაში“.²

მოქმედება ვნება იყო. მოქმედი — ვნებული (ტანჯული) და მისი აღმნიშვნელი ბრუნვაც შესაბამისი უნდა ყოფილიყო — მიცემითი (ირიბი)...

¹ იქვე, § 112, გვ. 91.

² იქვე, § 210. გვ. 174.

ასეთი გაგება ახალია ნ. მარის შეხედულებებისათვის: 1908 წ., როცა მოთხრობითი მიცემით-ნაცვალსახელობითად დაახასიათა ნ. მარმა,¹ ეს იდეოლოგიური მოსაზრებები არა ყოფილა მოხმობილი, საკითხი წყდებოდა მორფოლოგიური მოვლენების თავისებური ინტერპრეტაციის გზით; ქართული ნ. მარს არაბულის მონათესავედ მიაჩნდა, არაბული გრამატიკული სისტემა და ძირთა აგების პრინციპი ნ. მარს ამოსავლად ესახებოდა, ქართულის მოვლენებს არაბულის საფუძველზე და არაბული გრამატიკული სისტემის მიხედვით განმარტავდა... და ეს მიაჩნდა ნ. მარს საკმარისად. 1925 წელს კი ნ. მარი გრამატიკული მოვლენების მარტივ, სოციოლოგიურ ინტერპრეტაციას იძლეოდა: საზოგადოებრივი მოვლენები მორფოლოგია-სინტაქსშიც ისეთსავე მარტივ უკუფენას პოვებდნენ ნ. მარისათვის, როგორც ლექსიკისა და სტილისტიკის ფაქტები: ეს იყო ვულგარული სოციოლოგიზმი, რომელიც კლასთა ბრძოლას ხედავდა იმ დროის მოვლენებში, როცა საზოგადოება კლასებად არ იყო დაყოფილი. ვულგარული სოციოლოგიზმია, რომ მოქმედება ვნებას გაუტოლა და მოქმედი ვნებულად მიიჩნია, თითქოს უღვლილება კლასთა ბრძოლის ეპოქაში შექმნილიყოს და ეს ბრძოლა აესახოს.

ბუნებრივია ვიკითხოთ: თუ მოქმედი ვნებულს უდრის, რატომ მხოლოდ აორისტიმი გვაქვს ეს? რატომ აწმყოსთანაც არა გვაქვს? აწმყო აკი წარმოშობით უფრო ახალია და ნ. მარის ნაგარაუდვე ვითარება აქ უფრო მკვეთრად საგრძნობი უნდა ყოფილიყო... ამაზე პასუხი არა ჩანს. მთავარი კი ის არის, რომ ვულგარულ სოციოლინგვისტური ინტერპრეტაცია გრამატიკული ფაქტებისა, საერთოდ, მეცნიერული გაგებისაგან შორს არის.

§ 11. 3. შუხარდტი გარდამავალი ზმნისა და ერგატივის შესახებ კავკასიურ ენებში. 3. შუხარდტმა ერგატიული კონსტრუქციის პრობლემას კავკასიურ ენებში უძღვნა მონოგრაფია: „გარდამავალი ზმნის პასიური ხასიათის შესახებ კავკასიურ ენებში“.²

უკვე სათაურიდან იგრძნობა, რა დებულებაცაა ავტორისთვის ამოსა-

¹ ნ. მარი, ძირითადი ტაბულები ძვ. ქართ. ენის გრამატიკისა, გვ. 3, ტაბ. VII.

² H. Schuchardt. Über den passiven Charakter des Transitivs in den kaukasischen Sprachen, — ჟურნ. Sitzungsberichte der... Akad. d. Wissensch., philos. — hist. cl. f. 133, ვენა, 1895, გვ. 1-91.

რუსული თარგმანი „О пассивном характере переходного глагола в кавказских языках“ დაიბეჭდა კრებულში: „Эргативная конструкция предложения“ 1950, გვ. 33-73. რუსულ თარგმანში ტექსტი შემოკლებულია; სიზუსტეც თარგმანს აკლია. შემოკლებით: გ ა რ დ ა მ. პ ა ს. კ ა ვ კ ა.

ვალი. მართლაც, პირველი სტრიქონებიდანვე ვიგებთ, რომ გარდამავალი ზმნის პასიურობას ავტორის ყურადღება მიუმაართავს ბასკური ენიდან კავკასიური ენებისაკენ. ამ უკანასკნელთა გასაოცარი ნაირ-ნაირობისდა მიუხედავად ავტორი ცდილა ამ პასიურობის სახესხვაობანი მიეკვლია ყველა კავკასიურ ენაში.

3. შუხარდტის თქმით ეს პასიურობა დამაკავშირებელ რგოლად გვევლინება იმ შემთხვევაში, როცა ენის „გარეგნულ ფორმაში“ მსგავსება არა გვაქვს; ეს ეხება ჩრდილოკავკასიურ ენათა ურთიერთობას; ეგვევა საგულისხმო ჩრდილოკავკასიურ და ქართველურ ენათა ურთიერთობის თვალსაზრისით: გარდამავალი ზმნის პასიურობაში 3. შუხარდტი ხედავს კავკასიურ ენათა ერთობის ყველაზე ზოგადსა და ყველაზე ძლიერ დამამტკიცებელ ნიშანს¹.

ეს გარემოება გამორჩენილია ერკერტის შრომაში „კავკასიური მოდემის ენებიო“², — შენიშნავს 3. შუხარდტი.

გარდამავალი ზმნის პასიურობა, ავტორის გაგებით, ენის შინაგანი ფორმაა და მისი კვლევა მეტად ძნელია, მაგრამ აუცილებელი.

ზოგიერთი ზოგადი მოსაზრება „პასიურად გააზრებული ტრანზიტის შესახებ“ ნავარაუდევია წარმოვადგინო შრომაში, სადაც ვფიქრობ განვიხილო ბასკურისა და ჰამიტურის ნათესაობის საკითხიო, — წერს 3. შუხარდტი. — აქ მაინც ორიოდე წინასწარი შენიშვნა საჭიროა გაკეთდესო.

ეს წინასწარი შენიშვნები ცნებათა განმარტებაში მდგომარეობს; ეს ცნებებია:

1. რეალური სუბიექტი — Σ ;
2. რეალური ობიექტი — Ω ;
3. იდეალური ანუ ფსიქოლოგიური სუბიექტი — S ;
4. იდეალური ობიექტი (პირდაპ.) — O ;
5. მიზეზი, მოქმედების წყარო — U ;
6. მიზანი — არაპირდაპირი ობიექტი — Z ;
7. P — ზმნის ფუძე.

ვთქვათ, პავლე პეტრეს სცემს: პავლე $\Sigma = S$: რეალური სუბიექტი-
ცაა და იდეალურიც

პეტრე $\Omega = O$: რეალური და იდეალური (პირდაპ.) ობ.

¹ იქვე, გვ. 1

² იქვე.

პეტრე იგვემება პავლეს მიერ: პეტრე — S (იდეალური სუბ.)¹

პავლე — O (იდეალური ობიექტი)

„რეალური ვითარება მტკიცეა, მისი აღქმა კი ცვალებადიო“, მაგრამ ის (ე. ი. რეალური ვითარება) ნაწილობრივ საკმაოდ რთულია იმისათვის რომ რეალური სუბიექტის განსაზღვრა გავვიძნელოსო. და ამას მოსდევს აღქმის ზმნათა კონსტრუქციების დახასიათება:

„მე ვხედავ სახლს“ შდრ. „სახლი მხედება თვალში“ (საქმის ვითარება უკანასკნელშია უკეთ წარმოდგენილიო)...

კავკასიურ ენებში ჩვეულებრივად ამგვარ ზმნებთან ჩვენი ობიექტი სუბიექტად წარმოგვიდგება, ჩვენი რეალური სუბიექტი კი — ობიექტად: სუბიექტი მიზეზი (ანუ მოქმედების წარმომქმნელი) კი არაა, არამედ — მიზანი.

რაც შეეხება გარდამავალი ზმნის ბუნებას საერთოდ, ამაზე ამ მონოგრაფიაში ჰ. შუხარდტს იმაზე მეტი არაფერი აქვს ნათქვამი, რაც სუბიექტისა და ობიექტის ცნებათა განმარტებისას იყო აღნიშნული. ჰ. შუხარდტის მონოგრაფია, როგორც ავტორი თვითონ გვეუბნება, პასიურად გაცდილი ტრანზიტივის შესახებ ზოგადს მოსაზრებებს არ გვაწვდის. ამისდა მიუხედავად ჰ. შუხარდტის ეს მონოგრაფია საყურადღებოა იმ დაკვირვებებით, რომელთაც ცალკეული ენობრივი ფაქტების შესახებ აქ ვპოულობთ. საჭიროდ მიგვაჩნია აქ აღვნიშნოთ, რაც კი არის არსებითი ამ მხრივ.

იბერიულ-კავკასიურ ენათაგან ჰ. შუხარდტი ყველა ჯგუფის წარმომადგენელს ეხება, ოღონდ მთის იბერიულ-კავკასიურ ენებს („ჩრდილო-კავკასიურ“ ენებს, როგორც შუხარდტი უწოდებს) ძალიან მოკლედ, ქართველურ ენებს — უფრო ვრცლად;² მართო ქართულს მეტი ადგილი ეთმობა, ვინემ მთის იბერიულ-კავკასიურ ყველა ენას ერთად აღებულს. მთის ენებზე მსჯელობისას ჰ. შუხარდტი დამოკიდებულია სპეციალურ ლიტერატურაზე; რაც შეეხება ქართულს, აქ გრამატიკული ლიტერატურა საკმაო სისრულით აქვს ავტორს გამოყენებული, მასთან არსებულ შეხედულებებს ჰ. შუხარდტი კრიტიკულად ეკიდება: ქართულ მასალაზე მას ხელი მიუწ-

¹ ჰ. შუხარდტი. გარდამ. პას. კავკ. ენებში, გვ. 2.

² აფხაზურს უჭირავს გვ. 4-6; ადიღურს (ჩერქეზულს) გვ. 6-10; ჩაჩნურს გვ. 10-14; ხუნძურს (ანდიურ-დიდოურიანად) გვ. 14-18; ლაკურს (ყაზიყუმუხურს) გვ. 18-22; დარგულს გვ. 22-25; არჩიბულს გვ. 25-26; რუტულურსა და წახურულს გვ. 26-27; კიურულს, აღლულურს, ტაბასარანულს გვ. 27-28; ჯეკურს, ბუდუხურს, ხინალულურს გვ. 28-29; უდურს გვ. 29-34; სვანურს გვ. 35-55; ქართულს გვ. 55-87; მეგრულს გვ. 87-90; ჭანურს (ლაზურს) გვ. 90-ზე ერთი აბზაცი (8 სტრიქ.). ამრიგად ქართულს ეთმობა 32 გვ., სვანურს — 20 გვ., ლაკურს — 5 გვ., უდურს — 5 გვ. რუსულ თარგმანში გამოტოვებულია: აფხაზური, ადიღური, არჩიბული და ლეზგიური ჯგუფის ყველა ენა, სვანური, მეგრული, ლაზური; თარგმნისაც აკლია სიზუსტე.

ვდება, მას შეუძლია ქართული ტექსტების დამოუკიდებლად გარჩევა (ეგროპის ენათმეცნიერთა შორის XIX საუკუნეში მ. ბროსეს შემდეგ ჰ. შუხარდტი პირველი მკვლევარი-ენათმეცნიერი იყო, ქართულის მცოდნე).

ჰ. შუხარდტი იბერიულ-კავკასიურ ენებთან ბასკურმა მოიყვანა. ბასკურში ისევე, როგორც იბერიულ-კავკასიურ ენებში, გარდამავალი ზმნის რეალური სუბიექტი ერგატივში დაისმის, რეალური ობიექტი — სახელობითში (ბრალდებითის ნაცვლად). სახელობითში დგას გარდაუვალ ზმნათა სუბიექტიც: გ ა რ დ ა მ ა ვ ა ლ ი ზ მ ნ ის ო ბ ი ე ქ ტ ი და გ ა რ დ ა უ ვ ა ლ ი ზ მ ნ ის ს უ ბ ი ე ქ ტ ი ე რ თ ნ ა ი რ ა დ ა ლ ი ნ ი შ ნ ე ბ ა ზ მ ნ ე ბ შ ი. გასაგებია, რომ იბერიულ-კავკასიურ ენებში ჰ. შუხარდტი ამ საკვანძო საკითხებს აქცევს ყურადღებას: რას წარმოადგენს ერგატივი (რა ადგილი უჭირავს მას ბრუნვათა სისტემაში, კერძოდ, რა მიმართებაშია სახელობითთან), როგორ აისახება ზმნაში სახელობითი (კლასის ნიშნებით, პირის ნიშნებით), რა განსხვავება შეინიშნება ამ მხრივ სახელობითსა და ერგატივს შორის, რა დროებთან იხმარება ერგატივი, თუკი დროს საკითხს აქვს მნიშვნელობა და სხვ.

ჰ. შუხარდტი „დასავლური ენებით“ (ე. ი. აფხაზურ-ჩერქეზულით) იწყებს, მერე გადადის „აღმოსავლურ ენებზე“ (ე. ი. ჩაჩნურსა და დაღესტნურ ენებზე) და ბოლოს „სამხრულ-კავკასიურ ანუ ქართველურ“ ენებს განიხილავს.

აფხაზურშიც, ჩერქეზულშიც ყურადღება ექცევა პირის ნიშანთა თანამიმდევრობას ზმნაში.

მოთხრობითი, ნათესაობითი, მიცემითი აფხაზურში არ გაირჩევა, მაგრამ არის მოქმედებითი. ჰ. შუხარდტი შენიშნავს: აფხაზურში „ერგატივის ფუნქციით ინსტრუმენტალისი არ იხმარებაო“.¹

აფხ. ი-ზ-ბუეღტ „მას მე ვხედავ“ და ბასკ. და-კუს-ტ „მას ვხედავ მე“ ერთნაირად არის აგებულიაო: აფხაზური განსაკუთრებით საინტერესოა ბასკურთან მიმართებაში, წერს ჰ. შუხარდტი და დასძენს: მაგრამ ვ. გრუბე შორს მიდის, როდესაც ამბობს: აფხაზურს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ჩრდილო-კავკასიის ენათა შორის და რომ აფხაზური მორფოლოგიურად უფრო ახლოს დგას ბასკურთან და ამერიკის ინდიელთა ენებთან, ვინემ მის მონათესავე ენებთან (კავკასიაშიო).²

...ადილეთთან დაკავშირებით საგულისხმოა ჰ. შუხარდტის შენიშვნა თუ გარმავალ ზმნას პირდაპირი ობიექტი არ ახლავს, იგი გარდაუვლად მიიჩნევაო.³

¹ ჰ. შუხარდტი, გარდამ. პასიურ. კავკ. ენებში, გვ. 4.

² იქვე, გვ. 6.

³ იქვე, გვ. 6.

-მ-ნიშნის ბრუნვა ადილუტურში ჰ. შუხარდტს მიცემითად მიაჩნია, ის ეწევა აქტიური ბრუნვის (ერგატივის) როლსა¹ (ასე, რომ შეიძლება ერთერთს მიჰყვება ორგვარი მიცემითი)... ინსტრუმენტალისი (**-ჰე**) ადილუტურში ახალია; აღქმის ზმნები — გარდამავალივითააო, რაკი მიცემითი იმავე დროს ერგატივიც არისო.²

ნახური (ჩაჩნური) ჯგუფის ენათაგან ჰ. შუხარდტი უპირატესად ბაცბურის მასალას განიხილავს (შიფნერის შრომაზე დამყარებით). კლასის ექსპონენტები ზმნას პრეფიქსად აქვს და ყოველთვის გრამატიკულ ქვემდებარეზე (ე. ი. გარდაუვალ ზმნასთან — რეალურ ობიექტზე — **ა. ჩ.**) მიუთითებენ: ვ-აჰო, -აჰო, ბ-აჰო დ-აჰო „მე მოვყავარ“³, სწორედ ისევე, როგორც ბასკურშიო (ნა-კარ, ჰა-კარ, და-კარ „მე მატარებს, მოვყავარ“, „შენ გატარებს, მოყავარ“, „მას ატარებს, მოჰყავს“): ამაში ჩანს ჩაჩნური ზმნის პასიური ბუნებაო.

მასთან ჰ. შუხარდტი ისეთ მაგალითებსაც აქცევს ყურადღებას, სადაც გრამატიკული კლასი „არაქვემდებარეზე“ მიუთითებს.

მიმღობა და აბსოლუტივი პასიურ გაგებასთან ერთად აქტიურსაც ითავისებენ, როგორც ბასკურის მიმართებით ფორმებშიო.

ჰ. შუხარდტის ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ კლასის ექსპონენტები პირზედაც მიუთითებენ (განასხვავებენ): ჩაჩნ. **ღ**-უ „ხართ თქვენ (მამაკაცები)“, **ბ**-უ „არიან ისინი (მამაკაცები)“.

აქტიური ბრუნვის (ე. ი. ერგატივის) როლს მოქმედებითი (შიფნერის — ინსტრუქტივი) ასრულებსო; მაგრამ აღნიშნავს: ბაცბურის მაგალითებში და შიფნერის ტექსტებში რამდენიმე ადგილას აქტიურის ნაცვლად სახელობითი შემხვდაო: დალ — „ღმერთი“ (დალ**ახ** || დალ**ევ**-ის) ნაცვლადო; თუ ეს შეცდომა არ არის, განსაკუთრებული პირობებით უნდა იყოს გამოწვეული (ჩაჩნურში აქ ყველგან აქტიური ბრუნვა გვაქვსო). გვაქვს: კნათ მა ალი (კნათ — სახელ.; ერგატივი იქნებოდა კნათე) „მაგრამ შვილმა (ბიჭმა) უთხრა“, შდრ. იქვე: დადას მა ალი „მაგრამ მამამ უთხრა“ (დადას — ერგატივიო; იმავე ზმნასთან კნათ — სახელობითში!).⁴

ბაცბური გარდაუვალი ზმნა, თუ კი იგი ოდნავ მოქმედებას აღნიშნავს აქტიურ ბრუნვას მოითხოვს პირველსა და მეორე პირშიო: ას ლეი „მე ვლაპარაკობ“, აჰო ლეი „შენ ლაპარაკობ“, მაგრამ: ო ლეი „ის ლაპარაკობს“ (ას „მე“ ერგატ., აჰო „შენ“ ერგატ.).

აქ უნდა გვქონდეს უობიექტო ზმნების პასიური გადმოცემის ნიმუ-

¹ იქვე, გვ. 7.

² იქვე, გვ. 9.

³ იქვე, გვ. 10.

⁴ იქვე, გვ. 12.

შიო (ე. ი. ერგატიული კონსტრუქცია გარდაუვალ ზმნებთან ისევე, როგორც მეგრულ ნამყო ძირითადში, ოღონდ ბაცბურში მხოლოდ პირველსა და მეორე პირში დასტურდება ეს მოვლენა, მეგრულში კი ნამყო ძირითადისა და მის ჯგუფის დროთა მესამე პირში. ბაცბურშიც, მეგრულშიც მოვლენა მეორეულია — **ა. ჩ.**).

3. შუხარდტის ვარაუდი, რომ გარდაუვალ ზმნებთან აქტიური ბრუნვა ანალოგიით შეიძლება იყოს გამოწვეული, სარწმუნო ჩანს. სამართლიანია 3. შუხარდტის მოსაზრება: ვინკლერი რომ ბაცბურსა და ჩაჩნურში აკუზატივის არსებობას ვარაუდობს, სწორი არ არისო.

ხუნძურის ვითარება ერგატიული კონსტრუქციის საკითხში ჩაჩნურისას ჰგავსო. აქტიური ბრუნვა ხვდება მოქმედებითს, მაგრამ ზოგი სხვა მნიშვნელობაც აქვსო, მართებულად შენიშნავს 3. შუხარდტი.¹

პირველი პირის ნაცვალსახელი ახვახურ „კილოში“ მხოლოდობითშიც, მრავლობითშიც სახელობითს ხმარობს აქტიური ბრუნვის ნაცვლადო, ოღონდ მხოლოდ აწმყოშიო, — წერს 3. შუხარდტი ერკერტის დამოწმებით და დასძენს, მოვლენა ქართველური ენებისას მოგვაგონებსო.

არსებითად ხუნძურისებური ვითარება გვაქვს, რამდენადაც ეს შეიძლება ერკერტის მიხედვით გავარკვიოთ, ანდიურ დიალექტებშიცაო. პირველი პირის ნაცვალსახელი მოქმედებითის (=ერგატივის) ნაცვლად რომ სახელობითს („დენ“) ხმარობს, შეცდომა უნდა იყოსო (ნამდვილად კი ეს ძველი ვითარების ნაშთს წარმოადგენს — **ა. ჩ.**).

დიდოურს ჯგუფში 3. შუხარდტი დიდოურის გარდა ხვარშიულსა და კაპუჭურს გულისხმობს. დიდოურში პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელი მხოლოდობითში არ განასხვავებს აქტიურსა და სახელობითსაა.² 3. შუხარდტი ვარაუდობს: დიდოურმა აქტიური ბრუნვა იხმარა სახელობითისთვისაო (ნამდვილად კი აქაც ძველი ვითარება გვაქვს შემორჩენილი, როცა ერგატივს დადესტნის იბერიულ-კავკასიური ენები არ განასხვავებდნენ პირველისა და მეორე პირის ნაცვალსახელებში — **ა. ჩ.**).

ლაკურში აქტიური ბრუნვა არ წარმოადგენს ცალკე ბრუნვას, იგი ნათესაობითს ემთხვევა, მაგრამ, 3. შუხარდტის აზრით, ეს ისე კი არ უნდა გავიგოთ, თითქოს ლაკური ნათესაობითი აქტიური ბრუნვის როლში გამოდიოდეს (როგორც ერკერტთან გვაქვსო); პირიქით, აქტიური ბრუნვა გამოდის ნათესაობითის როლშიო (3. შუხარდტი³ მიუთითებს ანალოგიურ

¹ 3. შუხარდტი, გარდამ. პასიურ. კავკ. ენებში, გვ. 14, 15.

² იქვე, გვ. 17.

³ იქვე, გვ. 21.

მოვლენაზე გრენლანდიურში). ეს ნათესაობითი ლაკურში მოქმედებითის გამონაყოფიაო.¹

კლასის მაჩვენებელთა გამოყენება ლაკურში მთლად ნათელი არ არის... კლასის ნიშანი გარდამავალ და გარდაუვალ ზმნებთან მიუთითებს ქვემდებარეზე, მასთან გარდამავალ ზმნებთან ქვემდებარე რეალურ ობიექტს ხვდებაო (ეს კი ჰ. შუხარდტისათვის პასიურ კონსტრუქციას ახასიათებს).

„ის გარემოება, რომ ზმნის დაბოლოება გამოხატავს მიმართებას რეალურ სუბიექტთან, დასაწყისი კი — იდეალურ სუბიექტთან ანუ რეალურ ობიექტთან, კიდევ არ მოწმობს, რომ აქ აქტიური და პასიური ფორმების აღრევა გვაქვს; როგორც ცნობილია, ამავე წესით განასხვავებს ბასკური მიმართებებს **d** და **te**-ს შორის, მაგალითად, **d-u-te** „ის (ვიღაც) ნაყოლია მათ მიერ“;² მაგრამ მაშინ, როდესაც ბასკურში რეალური სუბიექტის მრავლობითის მაჩვენებელი გარდამავალსა და გარდაუვალ ზმნებთან გარჩეულია, ლაკურში ისინი ერთმანეთს ხვდებიან. ყოველ შემთხვევაში ეს მოწმობს, რომ პასიურ ფორმაში შემოიჭრა აქტიურიო...

დამახასიათებელია ჰ. შუხარდტის ასეთი მსჯელობაც: „როცა რეალური სუბიექტი გამოხატულია მესამე პირით, ზმნის ფორმის დაბოლოებას ისევე, როგორც ანლაუტს, განსაზღვრავს რეალური ობიექტი და, მაშასადამე, მთელი კონსტრუქცია მთლიანად არის პასიური“... და მაინც ამ საკითხში ბევრი რამ ჯერ კიდევ ბუნდოვანიაო, — შენიშნავს ჰ. შუხარდტი.³

და კიდევ: „რყევა აქტიურსა და პასიურ მნიშვნელობას შორის მიმღეობასა და აბსოლუტივებშიც შეინიშნება: „უსრუ დადსსა ადამინა „მეწალე“ (ზედმიწვევით: „წაღები-მკეთებელი ადამიანი“) და: ადამინალ დადსსა უსრუ „ადამიანის შეკერილი (გაკეთებული) წაღები“.⁴

დარგულის შესახებ ჰ. შუხარდტი მსჯელობს ურახული (ხიურკილი) კილოს მიხედვით, რომელიც პ. უსლარმა შეისწავლა. ჰ. შუხარდტის თქმით დარგული „მჭიდროდ უკავშირდება ლაკურ ენას, თუმცა განსხვავდება მისგან საინტერესო თავისებურებებით; ასე, მაგალითად, აქტიური ბრუნვა (**-ლი**, **-ნი**, **-ბ**) დარგულში არ ხვდება ნათესაობითს: იგი უბრალოდ მოქმედებითია, მაგრამ მოსალოდნელი იყო, რომ ზმნაში პრეფიქსები და სუფიქსები არ იქნებოდა შეთანხმებული რეალურ სუბიექტთან, არამედ რეალურ ობიექტთან („გრამატიკულ ქვემდებარესთან“). ეს ხდება, მაგრამ არათანმიმდევრულადო...“⁵

¹ იქვე, გვ. 21.

² ბასკ. **d-u-te** "er wird gehabt von ihnen" Über d. pass. Char., გვ. 19.

³ იქვე, გვ. 19-20.

⁴ იქვე, გვ. 20.

⁵ იქვე, გვ. 23.

ჰ. შუხარდტი იძლევა იმის სქემას, თუ როგორ უკავშირდება სუფიქსები რეალურ სუბიექტსა და რეალურ ობიექტს დარგულსა და ლაკურში, პირველს, მეორესა და მესამე პირში.¹

ამ სქემის განმარტებისას ჰ. შუხარდტი ეხება საკითხს, თუ რატომ არ არის გარჩეული სახელობითი და ერგატივი ლაკურ ნაცვალსახელებში „მე“, „შენ“. ჰ. შუხარდტი ვარაუდობს, რომ სახელობითსა და ერგატივს შორის განსხვავება მოშლილი უნდა იყოს, ე. ი. ახლანდელი ვითარება მეორეულია, წინათ ერგატივი პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელებშიც უნდა გვქონოდაო. ასეთი ვარაუდი ისტორიულ პერსპექტივას არ შეეფერება: ლაკურს დაცული აქვს ძველი ვითარება (ისევე, როგორც ქართულსა და სხვა ქართველურ ენებს).

დარგულის შემდეგ ჰ. შუხარდტი მოკლედ მიმოიხილავს სამხრულ-აღმოსავლურ ანუ კიურულ ჯგუფს, რომელშიაც მოქცეულია არჩიბული, რუთულური, წახურული, კიურული (ე. ი. ლეზგიური), აღულური, ტაბასარანული, ჯეკური, ბუდუხური, ხინალუდური და უდური (ყველა ამათ სულ 10 გვერდი აქვს დათმობილი, მასთან უდურს — 5, ყველა დანარჩენს — 5).

არჩიბულში კლასის ნიშნები გარდაუვალ ზმნათა სუბიექტს აღნიშნავს და გარდამავალთა ობიექტს; ინსტრუმენტალისის გარდა მოიპოვება ცალკე — აქტიური (ერგატიული) ბრუნვა (ინსტრუმენტალისი იმავე დროს კომიტატიურიც — თანაობითიც — არის).

ნაცვალსახელი მეორე პირისა მხოლოდობითში, პირველი და მეორე პირისა მრავლობითში არ განარჩევს ერგატივს (სახელობითი ერგატივის ადგილს იჭერს), აღქმის ზმნები მიცემითს მოითხოვენ.²

რუთულურსა და წახურულშიც ცალკეა აქტიური ბრ. (ერგატივი) და ცალკე — ინსტრუმენტალისი, კიურულში (ე. ი. ლეზგიურში) აქტიური და ინსტრუმენტალისი ერთს ოდენობას წარმოადგენს... კიურულში გრამატიკული კლასები არ გაირჩევა... აღულურში პირველისა და მეორე პირის ნაცვალსახელები არ განასხვავებენ ერგატივს სახელობითისაგან... ტაბასარანულში ნაცვალსახელოვანი ნაწილაკები სუფიქსებად გვაქვს.³

უდურ ენას ჰ. შუხარდტის თქმით განსაკუთრებული ადგილი უჭირავს; უდურს ეტყობა თათრულის გავლენა („ენის შინაგან ფორმაშიაც კი“).⁴

¹ იქვე, გვ. 24.

² იქვე, გვ. 26.

³ იქვე, გვ. 27.

⁴ იქვე, გვ. 29.

აქტიური ბრუნვის როლში გამოდის ინსტრუმენტალისი¹ (პირველსა და მეორე პირის ნაცვალსახელებს აქტიური ბრუნვა არა აქვთ)... ამისდა მიუხედავად „ერთნაირად აღნიშვნა გარდაუვალი ზმნის სუბიექტისა და (გარდამავალთა) სუბიექტისა ზმნის აქტიურ გაგებაზე მიგვითითებს“.² (იგულისხმება, ალბათ, სახელობითისა და ერგატივის ერთი და იმავე ფორმანტი აღნიშვნა ზმნაში).

3. შუხარდტის განმარტებით -**ხ**-ბრუნვა თავის მნიშვნელობით აკუზატივს უახლოვდება, მაგრამ არ არის აკუზატივი: ფრ. მიუღერი და ერკერტი — წერს 3. შუხარდტი — მას აკუზატივს უწოდებენ და, მართლაც, იგი, ბევრგან აკუზატივით ითარგმნება, მაგრამ ზოგჯერ მას მოქმედებითი გადმოსცემს... კითხვა ისმის: შეიძლება თუ არა პირდაპირი ობიექტი ყოველთვის გადმოვსცეთ აფექტივით? ტექსტების უბრალო გადათვლიერებაც კი — წერს ხ. შუხარდტი — ცხადყოფს, რომ პასუხი უარყოფითი იქნება: აფექტივი გადმოვსცემს ჩვენს განასაზღვრულ აკუზატივს, სახელობითი — განუსაზღვრელს...³ აღქმის ზმნები მოითხოვენ მიცემითსა და აფექტივს (სახელობითის ნაცვლად)...⁴

უღურით 3. შუხარდტი ამთავრებს მთის კავკასიურ ენათა მიმოხილვას და გადადის ქართველურ ენებზე. 3. შუხარდტის თქმით, ქართველურ ენათა ზმნა დიდ სიძნელეებს უქმნის მეცნიერულ გაგებას (ისევე, როგორც ბასკური ზმნა, თუმცა ეს სიძნელეები სხვა რიგისაა). რაც ფრ. მიუღერს აქვს ნათქვამი ქართული ზმნის შესახებ, იმაზე უკეთესს მე არ ვიცნობო.

ქართველურ ენათა მიმოხილვას სვანურით ვიწყებ: სვანურს შეუძლია ერთგვარად შუქი მოჰფინოს ქართულს, რამდენადაც სვანურს ზოგი ძველი საყურადღებო თვისება შერჩენიაო.⁵

3. შუხარდტს გამოუყენებია სვანური ენის მიმოხილვა, რომელსაც ზავადსკი იძლევა, აგრეთვე სვანური მასალა (ტექსტები, ლექსიკონი), რომელიც მოცემულია კავკასიის სასწავლო ოლქის „მასალის კრებულის“ X ტომში. 3. შუხარდტი ეხება სვანური ბრუნებისა და უღვლილების ყველა არსებით საკითხს (შეიძლება ითქვას, რომ სვანურის მორფოლოგია მანამდე არ ყოფილა ასეთი ღრმა ანალიზის საგანი). საინტერესო დაკვირვებათა მიუხედავად, რასაც 3. შუხარდტის მსჯელობაში ვპოულობთ, გარდამავალი ზმნის პასიური კონცეფციის დასაბუთებისათვის რაიმე ახალი და არსებითი სვანურს არ მოუცია. ერთგან 3. შუხარდტი აღნიშნავს: ზმნის

¹ ბასკ. d-u-te "er wird gehabt von ihnen" Über d. pass. Char., გვ. 19.

² იქვე, გვ. 29.

³ იქვე, გვ. 32.

⁴ იქვე, გვ. 33.

⁵ იქვე, გვ. 35.

ფუძის პასიურობას სვანურში აკუზატივის უქონლობა მოწმობსო,¹ მაგრამ თვით ზმნაში, მის უღვლილებაში ამ პასიურობის დამადასტურებელ ნიშნებს ჰ. შუხარდტი ვერ პოულობს: ნაცვალსახელურ ნაწილაკთა აღნაგობა, ფუნქცია და ადგილმდებარეობა არ იძლევა არავითარ სანდო საყრდენს, რომ ზმნის თავდაპირველი პასიური გაგება ვივარაუდოთო, წერს ჰ. შუხარდტი.²

ჰ. შუხარდტი განიხილავს გარდამავალი ზმნის უღვლილებისას წარმოქმნილ კონსტრუქციებს (სახელობითიანს ანუ ნომინატიურს — აწყოში, მოთხრობითიანს ანუ ერგატიულს — ნამყო ძირითადში, მიცემითიანს ანუ დატიურს — ნამყო შედეგობრივში) და შენიშნავს: არა ჩანს, რატომ არის პირველი (ნომინატიური) კონსტრუქცია აქტიურობასთან დაკავშირებული, ხოლო მეორე და მესამე (ე. ი. ერგატიული და დატიური) კონსტრუქციები — პასიურობასთან კავშირშიო.³

ჰ. შუხარდტი ჩამოთვლის სვანურში ერგატივის ნიშნებს (**-დ**, **-ემ**, **-ემდ**); ეს არის აქტიური ბრუნვის ნიშნები უპირატესად (და არა — მხოლოდ და მხოლოდაო: რადმე ქცევასაც აღნიშნავსო).⁴ აქტიური ბრუნვის ნიშნებისაგან განსხვავებულია მოქმედებითის **-შუ**... აქტიური ბრუნვის **-ემ** კავშირშია ზედსართავთა მიცემითის **-ამ**-თან⁵... საკუთრივ ინსტრუმენტალისის დაბოლოება არის **-დ**, როგორც ამას მონათესავე ენები (!) გვიჩვენებენო, — წერს ჰ. შუხარდტი. ეს **-დ** თავდაპირველადი მიცემითის **-ემ**-თან ერთად დაკავშირდა **-ემ-დ** სუფიქსად (შდრ. ჩერქეზ. **-ემ-კე**), ასევე ნათესაობითის **-იშ**, **-აშ**-თან იგივე **-დ** **-იშ-დ** **-აშ-დ**-ს გვაძლევს, რასაც ზავადსკი ცალკე ბრუნვად გამოყოფსო.⁶ არა ჩანს, რის მიხედვით მიიჩნია ჰ. შუხარდტი **-დ** ინსტრუმენტალისის საკუთრივ ნიშნად. ყოველ შემთხვევაში ის კი ცხადია, რომ სვანური მოთხრობითის ეს **-დ** ქართული მოთხრობითის **-ნ**-ს ჰ. შუხარდტთან არ უკავშირდება (თუმცა, როგორც ვნახავთ, ჰ. შუხარდტს ქართული მოთხრობითის ნიშნად სწორად აქვს გამოყოფილი **-ნ**).

ქართულის ანალიზს ჰ. შუხარდტი ერგატივის (მოთხრობითის) საკითხის განხილვით იწყებს. მას გათვალისწინებული აქვს მოთხრობითის საკითხის ისტორია ქართული ენის გრამატიკებში (მ. მაჯიო, ზ. შანშოვანი, ანტონი I, მ. ბროსე, ი. კლაპროტი, პლ. იოსელიანი, დ. ჩუბინაშვილი, დ.

¹ იქვე, გვ. 38.

² იქვე, გვ. 55.

³ იქვე, გვ. 37.

⁴ იქვე, გვ. 36.

⁵ იქვე, გვ. 38.

⁶ იქვე, გვ. 38.

ციფიანი, თ. ჟორდანიას, აგრეთვე ალ. ცაგარელი, ფრ. მიულერი). ჰ. შუხარდტი გადმოგვცემს, თუ რა კამათიც ატყდა მოთხრობითის გარშემო, რომ მოთხრობითს ცალკე ბრუნვად არ მიიჩნევდნენ (მ. ბროსე, დ. ჩუბინაშვილი¹...). ჰ. შუხარდტი სამართლიანად ასკვნის: „ახალ გრამატიკულ ლიტერატურაში მოთხრობითმა სრული უფლება მოიპოვა“, ქართულს „მოქმედებითის გარდა საკუთრივ აქტიური ბრუნვაც აქვს“ (**-მან, -მა, -მ** დაბოლოებით)... ასე დაწვრილებით იმიტომ შევჩერდი ამ ბრუნვაზე, რომ საკითხს ზოგადი ინტერესი ახლავს, ბროსეს ავტორიტეტმა არასწორი შეხედულება გაავრცელაო...

სახელობითი და მოთხრობითი ქართულში ისევე გაირჩევა, როგორც ბასკურში: აქ ერთურთს უპირისპირდება აქტიური და პასიური ბრუნვაო.

მოთხრობითის ნიშნად ჰ. შუხარდტი სამართლიანად თვლის **-ნ**-ს,² მან- ნაცვალსახელში რომ გვაქვს; ამავე **-ნ**-ს გამოყოფს ვინ- ნაცვალსახელში: თავდაპირველად ვინ აქტიური ბრუნვა იყო, სახელობითის ბრუნვის როლი მასზე შემდეგ იქნა გადატანილიო.³

მოულოდნელია, როცა ჰ. შუხარდტი წერს: „თუმცა მან ძველი ქართულის კუთვნილებაა, მაგრამ ის მე მიმაჩნია უფრო გვიანდელად, ვინემ თანამედროვე ქართულის **-მ, -მა**, რომლის ნათესაობა სვანურთან ჩემთვის უეჭველია. თუ მე ხაზს ვუსვამ იმას, რომ **-მან** დაბოლოება წარმოშობით არ არის ჩვენებითი ნაცვალსახელი მან, მაინც ამ ნაცვალსახელიდან აქვს მიღებული „ნ“.⁴ ჰ. შუხარდტის ვარაუდი, თითქოს **-მ, -მა** უფრო ძველი იყოს, ვინემ მან, არ ეგუება ცნობილ ფაქტებს. მცდარი ვარაუდი, თითქოს **-მ, -მა** უფრო ძველი იყოს, ვინემ ძველი ქართულის მან, საფიქრებელია, გამოიწვია იმ მოსაზრებამ, თითქოს **-მ, -მა** სვანური მოთხრობითის ერთ-ერთ ფორმანტს (**-ემ**) უკავშირდებოდეს.⁵ სვანური მოთხრობითის ძირითადი ნიშანი **-დ** ქართული მოთხრობითის **-ნ**-ს ფონეტიკური ვარიანტი ჩანს (ალათ, უფრო ძველი: **-დ** || → **-ნ**).

მრავლობითში მოთხრობითს ან **-ებ-მა** მოუდის ანდა **-თა**-ო, წერს

¹ დ. ჩუბინაშვილი ამბობს: დავით-მან იბრუნვისო: დავითსა მას, დავითისა მის... ჰ. შუხარდტი შენიშნავს: „ეს სწორი არ არის... დავით — ნათესაობითში დ ა ვ ი თ ი ს ა იქნებაო...“

სხვათა შორის ჰ. შუხარდტი წერს: „განსაკვიფრებელია, რომ ჩუბინოვს, რომელიც ქართველი იყო, მხედველობიდან გამოორჩა ის ფაქტი, რომ აწყოს შეცვლისას პერფექტით, იცვლება არა მარტო ქვემდებარის ბრუნვა, არამედ დამატებისაცაო“, — გარდამ. პას. კავკას. ენებში, გვ. 58-59.

² იქვე, გვ. 62.

³ ჰ. შუხარდტი, გარდამ. პასიურ. კავკ. ენებში, გვ. 62-63.

⁴ იქვე, გვ. 62.

⁵ იქვე, გვ. 61-62.

ჰ. შუხარდტი. ჩვენებითს ნაცვალსახელებში **-თა** ერთად-ერთი დაბოლოებაა; **-თა** მოთხრობითის, მიცემითისა და ნათესაობითის ფუნქციით იხმარება, და ეს მოწმობს ყველაზე მეტად, რომ არ შეიძლება მოთხრობითი სახელობითთან გავაიგივოთ, როგორც ამას მ. ბროსე ამბობსო.¹

-თა დაბოლოების გამოყენების ეს თავისებურება (კაცთა — მოთხრ., მიცემ., ნათესაობ.), ყურადღებას შემდეგშიც იქცევდა (იხ. ქვ. ი. მეშხანინოვის შეხედულებანი), **-თა** ფორმანტი წარმოშობით მრავლობითის საწარმოებელი აფიქსი იყო, და ამან შეაპირობა სამი სხვადასხვა ბრუნვის ფუნქციით **-თა**-ს გამოყენება, ჰ. შუხარდტი, ცხადია, ამას ვერ გაითვალისწინებდა.

ჰ. შუხარდტის ყურადღებას ბუნებრივად იქცევს ის გარემოება, რომ პირველისა და მეორე პირს ნაცვალსახელებში სახელობითი, აქტიური (მოთხრობითი) და მიცემითი ერთი და იგივე ოდენობაა; აგრეთვე ის, რომ ძვ. ქართულში ადამიანთა სახელებს („საკუთარ სახელებს“) მოთხრობითის ნიშანი არ დაერთვოდათ (იესო, პეტრე...).

ჰ. შუხარდტი ბრალდებითი ბრუნვის საკითხსაც ეხება: აკუზატივს ქართველი გრამატიკოსები არა სცნობენ; მაგრამ კითხვა ისმის: ხომ არა ჰქონდა ქართულ ენას ყოველგვარი მოლოდინის წინააღმდეგ აკუზატივიო...². ძველ ქართულ ტექსტებში (კერძოდ, „დაბადებაში“) **-ი** დაერთვოდა აკუზატივში (!?), თუ სახელს **-ი** არა ჰქონდა (იგულისხმება **ა, ე, ო, უ**-ზე დაბოლოებული ფუძეები — **ა. ჩ.**)... ზოგ კილოში (ინგილოურში, ფშაურში, ხევსურულში, გურულში...) ეს **-ი** დღესაც გვაქვსო. ჰ. შუხარდტი აკუზატივის საკითხს მაინც უარყოფითად წყვეტს: ხმოვანი სახელობითისა და აკუზატივის გასარჩევად ქართულში არ იხმარებო.

ზმნის უღვლილებას ქართულში ჰ. შუხარდტი საკმაოდ დაწვრილებით იხილავს. პირველ ყოვლისა, მას ნაკვთა (დრო-კილოთა) წარმოება აინტერესებს და გარდამავლობა-გარდაუვალობის საკითხი; ეს ბუნებრივიც არის: სინტაქსურ კონსტრუქციათა სხვაობა იმაზე და მოკიდებული, გარდაუვალია ზმნა თუ გარდამავალი, შემდეგ — უღვლილების რა ნაკვთია მოცემული.

რადგანაც ქართული ენის გრამატიკებში დრო-კილოების აღმნიშვნელ ტერმინთა დიდ სიჭრელეს ვხვდებით, ჰ. შუხარდტი ამაზე საგანგებოდ ჩერდება; შემდეგ სინტაქსურ კონსტრუქციებს განიხილავს დრო-კილოთა მიხედვით და რიგ საყურადღებო გარემოებას აღნიშნავს.

პერფექტში (ნამყო ძირით.) მიცემითი პირდაპირ დამატებას ვერ აღნიშნავს: პირდაპირი და ირიბი დამატება აქ მკვეთრად გარჩეულიაო:

¹ იქვე, გვ. 63.

² იქვე, გვ. 66.

მან **იგი** მისცა — მან **მას** მისცა¹... „გამოუხატავი პირდაპირი დამატება პერფექტში ყოველთვის იგულისხმებაო“ — შენიშნავს ჰ. შუხარდტი. ამიტომ ბროსე სცდება, როდესაც წესის დარღვევას ხედავს ისეთ შემთხვევებში, როგორც არის „სცხო მას მეფედ“ (ე. ი. პირდაპირი დამატება, სახელობითში, აქ იგულისხმებაო — **ა. ჩ.**).

კონსტრუქცია: მოთხრობითი + სახელობითი ახასიათებს მხოლოდ გარდამავალ ზმნებს, მაგრამ რით განსხვავდება გარდამავალი ზმნა გარდაუვალისაგანო, კითხვას სვამს ჰ. შუხარდტი და უპასუხებს: დამატების უქონლობა არაფერს მოწმობს; დამატება შეიძლება იგულისხმებოდეს („ათმა საათმა დაჭრა“, „წამალმა გაჭრა“...²); გრამატიკოსთა შეხედულებას ამ საკითხში გარკვეულობა აკლიაო.

ამ კონტექსტში ჰ. შუხარდტი მოთხრობითი ბრუნვის ხმარების თაობაზე შენიშნავს: აქტიურ ბრუნვას (მოთხრობითს) „ფართოდ ხმარობენ“ იმერლები (იგულისხმება: ქვემო-იმერული: „კაცმა მოკვდა“ — ტიპის მაგალითები — **ა. ჩ.**); სომხები ხშირად უადგილოდ ხმარობენ მასაო³ (იგულისხმება „კაცმა რას იტყვის“ და მაგვარი შემთხვევები, კომედიათა პერსონაჟის, ქალაქელების მეტყველებაში — **ა. ჩ.**).

პირველი ჯგუფის დროებში მოთხრობითის ხმარება უჩვეულოა; გამონაკლისს წარმოადგენენ ზმნები: იცის, უწყის... ამის ასახსნელად ზოგი ავტორი პრეტერიტო-პრეზენტის მიმართავს იმის ნაცვლად, რომ ძვ.-ქართულთან ეძებონ კავშირიო, — ამბობს ჰ. შუხარდტი...⁴

„სულსა დავსდებ“ და „სული დადვის“: „ზმნები არსებითად განსხვავებულია: პირველი აწმყოს წარმოგვიდგენს, მეორე — არ ეკუთვნის არც ერთ დროს, უფრო ზუსტად, ეკუთვნის გამოუკლებლივ ყველა დროს. ამის მაგალითია **-ის, -იან** (მესამე პირში), რომელიც ხშირად გვხვდება „დაბადებაში“ საყოველთაო დროის მნიშვნელობით (რომელსაც ჩვენ შეიძლება ვუწოდოთ აგრეთვე მუდმივი, ჩვეულებითი (და სხვა რამ): მეკარემანცა განუღის... დადგინებულმან იხილის... დაუტევის ცხოვარნი... არავინ სანთელი აღანთის... თ. ჟორდანიამ ამ დროს უწოდებს სამარადისოს ანდა განუორებითსაო“.⁵

„შეიძლება უცნაური გვეჩვენოს, ჩვეულებითის ფორმა რომ იწარმოება პერფექტისაგან და არა აწმყოსაგან, როგორც ეს ენათა უმეტესობაში

¹ იქვე, გვ. 70.

² იქვე, გვ. 70-71.

³ იქვე, 72.

⁴ იქვე, გვ. 72.

⁵ იქვე, გვ. 72-73.

გვაქვსო; მაგრამ მე მგონია: „ქურდი არც ერთხელ არ მოვიდა“ იგივეა, რაც „ქურდი არ მოდის“.¹

„თუ ნამყო II (ნამყო ძირითადი) წმინდა პასიური კონსტრუქციისაა, რომელიც ქვემდებარედ აქტიურ ბრუნვას მოითხოვს, ნამყო III (შედევობრივი I) პასიურ-გარდაუვალ კონსტრუქციას იძლევა და მასთან ქვემდებარე (იგულისხმება, რეალური სუბიექტი) მიცემითში დაისმის... უფრო ხმარებულია ფორმა რეალური სუბიექტით მესამე პირშიო... (გვ. 77).

„სწერია“, „აწერია“ — ზმნებთან დაკავშირებით ჰ. შუხარდტი შენიშნავს: ვერ გავარკვე, რით განსხვავდება „უწერია“ და „მწერია“, რომელთაც მეშველი ზმნა აქვთ შეზრდილიო (ვუწერივარ...)²

ჰ. შუხარდტი საგანგებოდ ჩერდება მიცემით-სუბიექტიან ინვერსიულ ზმნებზე, როგორცაა: მ გ ო ნ ი ა, მ ი ნ დ ა, მ ჭ ე რ ა, მ ე ს მ ი ს, მ შ ი ვ ა, მ ე შ ი ნ ი ა ნ, შ ე მ ი ძ ლ ი ა ნ, მ ი ხ ა რ ი ა ნ, მ ი რ ჩ ე ვ ნ ი ა, მ ჯ ო ბ ი ა, მ ყ ა ვ ს და მათს სუბიექტურ ფორმებზე, ვ უ ნ დ ი ვ ა რ, ვ ჰ ყ ე ვ ა რ ...³

მრავლობითის დაბოლოება აწმყოში (-ბ) „ხშირად შეადწევს მხოლოობითს რიცხვშიო: ვ ლ ე ნ ა ნ, დ გ ა ნ ა ნ, ს ხ ე ნ ა ნ“... და ამავე რიგში აქვს შუხარდტს მოქცეული არნ ← არნან (შდრ. ლაზ. რენან, მხოლ. რენო...)⁴

კრებითი მნიშვნელობის ზმნას მხოლოობითში ითანხმებსო: ახალი საქმეები იწყება... (მსგავსად ბერძნული საშუალო სქესისაო).⁵

ვიყვარებ-ო წარმოებაში -ი ვნებითს გამოხატავსო...⁶ და იქვე: პასიური მნიშვნელობის მქონე წმინდა ძირს -ი-ს დართვით ეძლევა მიმღებობის ხასიათი; -ე ბ ა ნ დ ა ს ხ ვ ა რ ო მ ე ლ ი მ ე ს უ ფ ი ქ ს ი ს დ ა რ თ ვ ა მ ა ს ა ქ ტ ი უ რ ხ ა ს ი ა თ ს ა ძ ლ ე ვ ს (წმინდა ზმნურ, და არა სახელურ ხასიათსაო)...⁷

ნამყო III-ში (მგონებია, მსმენია, მყვარებია, მშინებია...) გვაქვს „ნაწილობრივ პირველადი, ნაწილობრივ მეორეული შინაგანი მიმღებობაო...“⁸

მეშველზმნიანი აწმყო შეიძლება იყოს „არა მხოლოდ პასიურ-გარდაუვალი ანდა ნაწილობრივ პასიური, არამედ წმინდა გარდაუვალი (თუმცა

1 ჰ. შუხარდტი, გარდამ. პასიურ. კავკ. ენებში, გვ. 74.

2 იქვე, გვ. 79.

3 იქვე, გვ. 79-80.

4 იქვე, გვ. 80.

5 იქვე, გვ. 80.

6 იქვე, გვ. 80.

7 იქვე, გვ. 81.

8 იქვე, გვ. 81.

მათ შორის მკვეთრი განსხვავება არცა გვაქვსო): ვზივარ, ვდგავარ...¹

მეშველზმნიანი აწმყო ქართული ზმნისათვის უაღრესად დამახასიათებელია, და ფრ. მიუღერი სავსებით სწორად მოიქცა, რომ ერთი მათგანი (მი - ყ ვ ა რ - ხ ა რ - ტ ი ბ ი) ამოსავალ პუნქტად აიღო თავის გამოკვლევისათვისაო.² აქ ჰ. შუხარდტს გაუთვალისწინებელი დარჩა, რომ ძველ ქართულში მი ყ ვ ა რ ხ ა რ , ზ ი ხ ა რ , დ გ ა ხ ა რ... და მისთანანი მეშველზმნას არ დაირთავენ: მეშველზმნიანი წარმოება მეორეული მოვლენაა და ძველს ვითარებას ვერ აგვიხსნის.

საყურადღებოა ჰ. შუხარდტის დაკვირვება: ნამყო IV (შედევობრივი II) მეტრიალნა „დამაჯერებლად მოწმობს, რომ **-ნ** პერფექტიდან (ე. ი. ნამყო ძირითადიდან — **ა. ჩ.**) მომდინარეობს“-ო...³ აგრეთვე: ვმართავ — მიმართავს... ესვამ — მისვამს „ახალ დამამტკიცებელ საბუთს“ იძლევა იმის სასარგებლოდ, რომ შინაგანი კავშირი არსებობს აწყოსა და ნამყო III-ს (შედევობრივი I-ს) შორისაო... ნამყო IV (შედევობრივი II) ისეთსავე მიმართებაშია პერფექტთან, როგორშიც ნამყო III (შედევობრივი I) აწმყოსთანაო: ექო ← აქო...⁴ (შედევობრივი I და II-ის ურთიერთობა აწმყოსა და ნამყო ძირითადთან გარკვეული ჰქონდა უკვე თ. ჟორდანიას — **ა. ჩ.**).

ნაცვალსახელურ წინასართთაგან სუბიექტური თითქმის არავითარ განმარტებას არ საჭიროებენო; მეორე პირის **ხ-** პრეფიქსი მხოლოდ **ხარ** და **ხვალ-**ში გვაქვსო...⁵

მესამე პირის ობიექტის ნიშანი **-ჰ**, — წერს ჰ. შუხარდტი, — უფრო ფართოდ იხმარება, მაგრამ მას გაურბიან სასაუბრო ენაში და ხშირად იქაც კი, სადაც ფონეტიკური პირობების მიხედვით იგი სრულიად დასაშვებია. **ჰ**-ს ეკვივალენტია **ხ**... იგი გვხვდება კბილისმიერთა წინ (ბროსეს თანახმად: **დ, ზ, თ, ტ, ც, ჩ, ძ, წ, ჰ, ჯ**...); მისი ხმარების შესახებ გარკვეული აზრი არ შემიმუშავებია... თუმცა **ჰ** და **ხ** სხვადასხვა პირობებში იხმარებოდა და თავდაპირველად ერთი და იგივე მნიშვნელობა ჰქონდა, **ხ**-სთან **ჰ**-საც ვხვდებით: ვ-ჰსწერ.⁶

მრავლობითის **-თ** სუბიექტური და ობიექტური გაგებით იხმარება: სწერთ — გწერთ — ეწერთ... **-თ** და **-ნ**-ს გვერდით მრავლობითის ნიშნად ინგილოური კიდევ **-ყ**-ს ხმარობს: მოვცაყ, ალოცებსყ, ჰუყვარსყ...⁷

პირის ერთად-ერთი სუფიქსი ქართულში არის **-ბ**; იგი შეიძლე-

¹ იქვე, გვ. 82.

² იქვე, გვ. 82.

³ იქვე, გვ. 83.

⁴ იქვე, გვ. 84.

⁵ იქვე, გვ. 84.

⁶ იქვე, 85.

⁷ იქვე, გვ. 86.

ბოლა ვნებითი ნაცვალსახელებისაგან წარმოშობილიყო...¹

ყველაზე ძნელი და რთული **ა-, ე-, ი-** მაჩვენებელთა მნიშვნელობის გარკვევა არისო (**ე-**ტყვის... შე-**ა-**ხო...), შენიშნავს ჰ. შუხარდტი (ქცევის ნიშნებსა და მათ ადგილას ნახმარ ხმოვანთა შესახებ)...²

ზემოთ მოყვანილი ნათლად მოწმობს, რომ ჰ. შუხარდტი ქართული ენის ბრუნებისა და უღვლილების ყველა საკვანძო საკითხს განიხილავს ერგატიული კონსტრუქციის რაობის დასახასიათებლად. ამოსავალია მისთვის დებულება, რომ ქართულსა და მთის კავკასიურ ენებში გარდამავალი ზმნა (სუბიექტით ერგატივში) პასიური ბუნებისაა ისევე, როგორც ბასკურში. გარდაუვალი ზმნის სუბიექტისა და გარდამავალი ზმნის ობიექტის დამთხვევა (აგრეთვე აკუზატივის უქონლობა) ამ პასიურობის გამომხატველად მიიჩნევა.

§ 12. ჰ. შუხარდტი გარდამავალი ზმნის ბუნების შესახებ საერთოდ. ათიოდე წლის შემდეგ ჟურნალში „ინდოგერმანული ძიებანი“ ჰ. შუხარდტი გამოაქვეყნა წერილი „გარდამავალი ზმნის აქტიური და პასიური ხასიათის შესახებ“.³ ჰ. შუხარდტის კონცეფციის დასაბუთებას აქ უნდა ველოდეთ, აქ საკითხი ეხება არა მხოლოდ ბასკურსა და იბერიულ-კავკასიურ ენებს, არამედ ინდო-ევროპულს, სემიტურს...

წერილი სულ სამ გვერდს შეიცავს და დაწერილია ისეთი სიტყვაძვირობით, როგორც კი შეიძლება კაცმა წარმოიდგინოს: ეს უფრო თეზისებია, ვინემ დებულებათა (კონცეფციის) დასაბუთება.

ამ თეზისებში ძირითადია შემდეგი:

1. გ ა რ დ ა მ ა ვ ა ლ ი ზ მ ნ ა — ის, რასაც ზმნის ფუძეს ეტყვიან — ნ ე ი ტ რ ა ლ უ რ ი ა და არ შეიძლება სხვა რაიმე იყოს (შუხარდტის ეს დებულება არ გულისხმობს ამა თუ იმ ენათა — ვთქვათ, იბერიულ-კავკასიურ ენათა — გარდამავალ ზმნებს, ესაა ზოგადი დებულება — ის ყველა ენას ეხება). ნიმუში ნეიტრალური ფუძისა — **Schlag** „ცემა“ (მაგრამ არა **schlagen**, რომელსაც უპირისპირდება **geschlagen werden**).

ეს ნეიტრალური გარდამავალი ზმნა შეიძლება გახდეს აქტიური ან პასიური სახელურ (და ნაცვალსახელურ) ელემენტებთან დაკავშირებით — იქნება ეს გადმოცემული წინადადებაში (ივარაუდება — ანალიზური გზით) თუ ზმნის ფორმაში (ივარაუდება — სინთეზური გზით).

2. ს ა ხ ე ლ უ რ ე ლ ე მ ე ნ ტ თ ა ა დ გ ი ლ მ დ ე ბ ა რ ე ო ბ ა და

¹ იქვე, გვ. 86.

² იქვე, გვ. 87.

³ H. S c h u c h a r d t, Über den aktivischen und passivischen Charakter des Transitivs — ჟურნ. Indogermanische Forschungen. ტ. XVIII (1905/6). გვ. 528-531.

ფორმა განსაზღვრავენ გარდამავალი ზმნის ხასიათს. როცა ჩვენ რისამე შესახებ, რაც ჩვენთვის ცნობილია, გამოვთქვამთ რასმე, რაც ახალია, ბუნებრივია, თუ ეს ახალი მეორე ადგილს დაიკავებს და ხაზგასმული იქნება:

Der Vater ruft dich („მამა გეძახის შენ“): **der Vater** (მამა) რეალური სუბიექტისაა და იმავე დროს ლოგიკურიც, მას შეესაბამება სუბიექტის ფორმა, სახელობითი.

ფრაზა **dich ruft der Vater** („შენ გეძახის მამა“... ანდა: **es ruft dich der Vater** მიახლოებით: „ეს შენაა, მამა რომ გეძახის“) იმავე შინაარსისაა, მაგრამ არა იმავე ღირებულებებისა: რეალური სუბიექტი **der Vater** „მამა“ აქ ლოგიკური პრედიკატია: „შენ გეძახის“-ის შესახებ ვამტკიცებთ, რომ მამაა ამის მოქმედი (დამძახებელი).

„მამა“ (**der Vater**) აქაც სახელობითია, მაგრამ ეს — გარეგანი ფორმის მიხედვით, მის უკან, — შუხარდტის თქმით, — შინაგან ფორმაში ერგატიული ბრუნვა (**Aktivus**) იმალება.

3. რეალური სუბიექტის გრამატიკული გამოხატულება შედგება სამი კომპონენტისაგან:

- ბგერითი ფორმა: 'სახელობითი "ერგატივი
- ადგილმდებარეობა: 'ზმნის წინ "ზმნის შემდეგ
- ხმის აწევა: 'სუსტი "ძლიერი

I. ფრაზა **der Vater ruft dich** შეიძლება გამოვსახოთ ასე: **a'+b'+c'**

II. ფრაზა **dich ruft der Vater**: **a'+b''+c''**

მეორეული ვარიანტები იქნებოდა:

III. **Der Vater ruft dich a'+b'+c''**

IV. **Dich ruft der Vater: a'+b''+c''**

II. ფრაზა **dich ruft der Vater** (და IV: იგივე — ინტონაციის აუწევლად ბოლოში!) შეუძლებელია ისეთ ენაში, რომელსაც არა აქვს ბრუნვები გარჩეული...

4. **Paul ruft Karl** „პავლე ეძახის კარლოს“ ერთს ენაში, მაგალითად, გერმანულში, აქტიურია, სხვაში შეიძლება იყოს პასიური (**Paul wird von Karl gerufen**).

ამ დებულებათა რაობაში რომ გავერკვეთ, ამბობს შუხარდტი, უნდა ვიცოდეთ, რომ

a). წინადადების პასიური ხასიათის ნიშანია:

- ზმნა + სუბიექტი
- ერგატივი (**Aktivus**) = **RS**
- განუვრცობელი სახელი = **RO**

b). წინადადების აქტიური ხასიათის ნიშანია:

1. სუბიექტი + ზმნა
2. განუგრცობელი სახელი = RS
3. ბრალდებითი (Accusat) = RO

სრული სიტყვები, რომელთაც სუბიექტისა და ობიექტის გადმოცემა უხდებათ, ჩვეულებრივ ადგილს იცვლიან; მტკიცე ადგილი მათ აქვთ უფრო იშვიათად (ისეთ ენებში, როგორცაა ფრანგული).

უფრო არსებითია სათანადო ფორმანტის (აფიქსის) ადგილი ზმნაში (ამას შუხარდტი კი არ ამბობს, მაგრამ ეს იგულისხმება).

5. რა არის აკუზატივი? რას წარმოადგენს ერგატივი?

პირველ კითხვას შუხარდტი ღიად ტოვებს: „აკუზატივის წარმოშობის განხილვაში აღარ შევდივარო“.

ერგატივი (Aktivus) ისევე, როგორც ყველა სხვა ბრუნვა, ზმნისართია (მაშინ, როდესაც სახელობითი არაა ბრუნვა, ნათესაობითი კი ზედსართავია).

ერგატივი იწარმოება მიმატების (Apposition) დართვით:

მამა — ადგილი	}	მამის მხრივ... მამა — იარაღი	}	მამით, მამის მეშვეობით. ¹
---------------	---	------------------------------	---	--------------------------------------

მაგრამ ერგატივი იმთავითვე ხაზგასმული იყო, და ეს შეიძლებოდა ნაცვალსახელური დანართით ყოფილიყო გაძლიერებული:

Vater-er (c'est le père qui) „ეს მამაა, რომ“... მე ამას აღვნიშნავო, — წერს შუხარდტი, — ინდო-ევროპულ ენათა -s-ს და სემიტურ -u-ს ასახსნელადაო.

6. პასიურობა-აქტიურობის საილუსტრაციოდ დასახელებულია სხვადასხვა მაგალითი:

ქართველურ ენებში აწმყო წმინდა აქტიურია, აორისტი პასიურ-აქტიური.

საკითხი ისმისო, — წერს შუხარდტი, ხომ არაა აწმყოს ფუძის საგრცობი (Stammerweiterung), როგორც ქართველურ ენებში გვაქვს, ის საშუალებაა, რომლითაც ტრანზიტივის პასიური ფუძე აქტიურ ფუძედ გარდაიქმნაო.

ბასკურში აწმყო წმინდა პასიურია, იმპერფექტი — პასიურ-აქტიური...

სემიტურში RS გარდამავალთანაც და გარდაუვალთანაც გაფორმე-

¹ Vater-Ort } seitens des Vaters... Vater-Werkzeug } durch den Vater.

ბული სახელია („დაბოლოების მქონე სახელი“) და ამას ეწინააღმდეგება RO-ის აკუზატივით გადმოცემაო.

ზმნის ფორმა აქ აქტიურია იმპერფექტიში (ასურ. პრეტერიტი, აწმყო)... პასიურიაა — პერფექტიში.

ინდო-ევროპულში თავისუფალი (ე. ი. მოძრავი) სუბიექტისა და ობიექტის მხრივ ისეთივე მდგომარეობა გვაქვს, როგორც სემიტურ ენებში. ზმნის ფორმა მხოლოდ და მხოლოდ პასიურია.

მართლაც-და, უნდა გავითვალისწინოთო, — წერს ჰ. შუხარდტი, — ერთგვარობა: *templum aedificat rex* „ტაძარს აგებს მეფე“ ~ *filium vocat pater* „შვილს ეძახის მამა“, ერთის მხრივ, და მათ გვერდით: *templum aedificatur* „ტაძარი იგება (შენდება)“ ~ *filius vokatur* „შვილს ეძახიან“ (ზედმიწ. „შვილი 'მო'ხმობის“).

საკუთრივ ვნებითის წარმოქმნა იმის მაუწყებელია, რომ გარდამავალი ზმნის პასიურმა ხასიათმა ადგილი დაუთმო აქტიურს...

ახალ ენებში პასიურობის კვალი უფრო ინტენსიურად ისპობა; შდრ.: იტალ. *il re chiama* და ლათ. *reg-s clamat* „მეფე ეძახის (უხმობს)“. იტალიური ენის ზოგი კილო იქამდის მიდის, რომ *il re el-chiama*-ს გვაძლევს, აქ *clamat*-ში მოცემული ვითარება საგსებით შებრუნებულია.

წერილი თავდება სიტყვებით: იქნებ ამ შენიშვნამ, რომელთა დოგმატური გადმოცემის უკან გარკვეული მოსაზრებები ივარაუდება, ინდო-ევროპულ ენათა სპეციალისტები გაიტყუონ ამ ენათა ფარგლებს იქით, რათა მათ გამოიკვლიონ, თუ რა მიეწერება სხვადასხვა ენათა ამ ერთგვარობაში ხალხთა გონს (*Völkergedanken*), თავდაპირველ ნათესაობასა და სესხებასაო.

§13. ჰ. შუხარდტის კონცეფციის ანალიზი. ჰ. შუხარდტის შეხედულების განხილვისას ყველაზე ძნელია არა მისი დაფასება, არამედ გაგება. რაა ამოსავალი შუხარდტისათვის? ერგატიული კონსტრუქციის მონაწილე სახელის თვისება თუ ზმნის ბუნება? ან-და იქნებ სინტაქსური ურთიერთობა? არც ერთი და არც — მეორე. ამოსავალია ცნებები: ფსიქოლოგიური სუბიექტი და ფსიქოლოგიური პრედიკატი; კრიტიერიუმს კონსტრუქციის დაფასებისას ქმნის შეფარდება რეალურსა და ფსიქოლოგიურ სუბიექტს შორის.

ფსიქოლოგიური სუბიექტია ცნობილი ოდენობა, რომელიც მოცემულია და რომლის შესახებაც რაღაცას ვამბობთ. ეს რაღაცა, ახალი, უცნობი — იქნება ფსიქოლოგიური პრედიკატი. აქედან ჩანს, რომ გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ადგილს, რომელიც უჭირავს სახელს (სი-

ტყვას) წინადადებაში: ფსიქოლოგიური სუბიექტი ისაა, რაც უსწრებს, ფსიქოლოგიური პრედიკატი — რაც მოსდევს.

ფრაზაში **der Vater ruft dich** („მამა გეძახის შენ“), რეალური სუბიექტი უდრის ფსიქოლოგიურს (**RS=PS**); **RO** შედის **PP**-ში (ფსიქოლოგიურ პრედიკატში).

ფრაზაში **dich ruft der Vater** („შენ გეძახის მამა“) რეალური ობიექტი უდრის ფსიქოლ. სუბიექტს (**RO=PS**); **RS** შედის **PP**-ში ფსიქოლოგიურ პრედიკატში). პირველ შემთხვევაში კონსტრუქცია აქტიურია; მეორეში — პასიური. აქტიურ კონსტრუქციაში **RS** — წინ უსწრებს ზმნას და უდრის **PS**-ს (ფსიქოლოგიურ სუბიექტს), მეორეში **RS** — მოსდევს ზმნას...

რატომ უნდა იყოს ასეთი კონსტრუქცია პასიური? იმიტომ, რომ **dich ruft der Vater** იმავე ღირებულებისაა, როგორც აქვს წინადადებას **du wirst vom Vater gerufen**, სადაც ზმნა — **wirst gerufen** — ვნებიოთა, — იმავე ღირებულებებისაა, თუ **RS**-ისა და **PS**-ის შეფარდებიდან ამოვალთ: **dich, du** ფსიქოლოგიური სუბიექტია (**PS**), **der Vater, vom Vater** სუბიექტად არ მიიჩნევა, იგი ფსიქოლოგიურ პრედიკატში (**PP**-ში) შედის.

არავითარი სხვა საბუთი არა ჩანს, რომ ამ ორ ფრაზას ერთნაირი კვალიფიკაცია გავუყუეთოთ.

მაგრამ წინადადებაში სახელები ადგილს იცვლიან ხოლმე, ყოველ შემთხვევაში, ასეა ეს ენათა დიდ წილში: მამა გეძახის შენ... მამა შენ გეძახის... შენ მამა გეძახის... შენ გეძახის მამა... გეძახის შენ მამა... გეძახის მამა შენ...

ქართულისათვის შეუძლებელი არც ერთი ამათვანი არაა. ამ გარემოებას შუხარდტიც უწევს ანგარიშს, და ზმნის პირის ნიშანს იშველიებს, უკეთ იმას, თუ რა ადგილი უჭირავს პირის ნიშანს (თუ: ნიშნებს) ზმნის ფორმაში — წინ უსწრებს ის ფუძეს თუ მოსდევს მას... ეს კი, როგორც ვიცით, ყოველ ენაში მტკიცედ განსაზღვრულია. მაშასადამე: სახელთა (**RS, RO**) ადგილი წინადადებაში და, კიდევ უფრო, სახელთა აღმნიშვნელი ფორმატების ადგილი ზმნაში — ესაა საზომი კონსტრუქციის აქტიურობა-პასიურობისა შუხარდტისათვის.

ამაზე მიუთითებდა შუხარდტის დებულება: სახელურ ელემენტთა ადგილმდებარეობა განსაზღვრავს გარდამავალი ზმნის ხასიათსაო (იხ. ზემოთ, გვ. 44).

მოვაცილეთ ზმნას (**ruft**) ეს სახელური ელემენტები, დაგვრჩა ფუძე: **ruf...** ეგ რა ბუნებისაა — აქტიურია თუ პასიური? არც აქტიურია და არც პასიურიო, გვეუბნება შუხარდტი:

„გარდამავალი ზმნა — ის, რასაც ზმნის ფუძეს ეტყვიან — ნეიტრალურია“ (იხ. ზემოთ, გვ. 44). ეს ფუძე შეიძლება აქტიური თუ პასიური გახდეს სახელურ ელემენტებთან დაკავშირებით (წინადადებაში, ზმნის ფორმაში)... და ეს ეხება ყველა ენის და არა მხოლოდ კავკასიურს თუ ბასკურს...

ფრაზებს **dich ruft der Vater — der Vater ruft dich** ორივეს ერთი შინაარსი აქვს, მაგრამ განსხვავებული დირექტურები: **der Vater** „მამა“ პირველ შემთხვევაში ფსიქოლ. პრედიკატის ნაწილია, მეორეში — რეალური და ფსიქოლოგიური სუბიექტი; **der Vater** „მამა“ სახელობითია ორსავე შემთხვევაში, მაგრამ, — გვეუბნება შუხარდტი, — „ეს გარეგანი ფორმის მიხედვით, შინაგანი ფორმის მიხედვით არსებითი განსხვავებაა: პირველ წინადადებაში (**dich ruft der Vater**) **der Vater**-სახელის შინაგანი ფორმაში ერგატიული ბრუნვა (**Aktivus**) იმალებაო (იხ. ზემოთ, გვ. 44).

ადგილმდებარეობა, როგორც ვხედავთ, არა მხოლოდ იმის საკითხს წყვეტს, ფსიქოლოგიური სუბიექტია თუ პრედიკატი ესა თუ ის სახელი, არამედ იმასაც, სახელობითი ბრუნვაა თუ ერგატივი (**Aktivus**, მოთხრობითი) შინაგანი ფორმის მიხედვით ესა თუ ის სახელი: ზმნის წინ დასმული სახელობითი **RS**-იცაა (**PS**-იც) და სახელობითიც (გარეგანი ფორმა = შინაგანი ფორმა).

ზმნის მომდევნო სახელობითი **RS**-ია (შედის **PP**-ში), ხოლო ფსიქოლოგიური ფუნქციით ერგატივია (შინაგანი ფორმა არ შეესაბამება გარეგანს). ასე უნდა გავიგოთ თეზისი 3.

შინაგანი ფორმის მიხედვით, ვამბობთ, გერმანული სახელობითის შესახებ (**der Vater**).

ინდო-ევროპულ ენათა სახელობითი შუხარდტს სხვაგვარად ესმის: აქ გარეგნული ფორმაც ერგატივისაა (იგულისხმება -s დაბოლოება). სემიტურ ენათა სახელობითის **u**-ც ერგატივის ნიშანია (იხ. ზემოთ, თეზისი 5, გვ. 59).

ინდო-ევროპული და სემიტური სახელობითი ნაცვალსახელური ნაწილაკდართული ერგატივია (**Aktivus**): **Vater-er (c'est le père qui...)**. მაგრამ თუ ინდო-ევროპული -s- დაბოლოებიანი სახელობითი შეიძლება ერგატივად გავიგოთ გარეგნული ფორმის მიხედვით, არც საჭიროა და არც შესაძლებელი გერმ. **der Vater** მხოლოდ შინაგანი ფორმის მიხედვით გამოვაცხადოთ ერგატივის ტოლფარდ მონაცემად და ისიც გარკვეულ შემთხვევებში.

ამით ნაწილობრივ შემზადებულია ნიადაგი თეზისისათვის (4), სადაც პასიური და აქტიური კონსტრუქცია დახასიათებულ-

ლია **RS**-ის ადგილის მიხედვითაც და **RS**-ისა და **RO**-ის გრამატიკული გამოსახულების მხრივაც:

წინადადების პასიური ხასიათისთვის ნიშანდობლივია:

1. ზმნა + სუბიექტი: სუბიექტი მოსდევს ზმნას.
2. ერგატივი (**Aktivus**) = **RS**.
3. განუვრცობელი სახელი = **RO**.

წინადადების აქტიური ხასიათისათვის:

1. სუბიექტი + ზმნა: სუბიექტი უსწრებს ზმნას.
2. განუვრცობელი სახელი = **RS**.
3. ბრალდებითი (**Accusat.**) = **RO**.

3. შუხარდტის თვალსაზრისზე თუ დავდებთ, გასაგებია, რატომაც ზმნის მომდევნო სუბიექტი პასიურობის დამახასიათებელი და რატომ უდრის ასეთი სახელი ერგატივს, მაგრამ გაუგებარია, ასეთ შემთხვევაში, რატომ უნდა იყოს განუვრცობელი სახელი **RO**; შეიძლება იმიტომ, რომ ეს განუვრცობელი სახელი აქტიურ კონსტრუქციაში **RS**-ია, ხოლო პასიური კონსტრუქცია აქტიურის შექცეული სახეობაა... მაგრამ სრულებით გაუგებარია, რატომ უნდა იყოს აქტიურ კონსტრუქციაში **RO** ბრალდებითში?

საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ აქ 3. შუხარდტი ინდო-ევროპულ ენათა აკუზატივის სინტაქსური როლის ტრადიციულ განმარტებას ემყარებოდა: ამ ენებში გარდამავალი ზმნა ობიექტს იგუებს აკუზატივში. მაგრამ ამ შეხედულებას შუხარდტი ვერ დაემყარება; ზმნის ფორმა ინდო-ევროპულ ენებში, შუხარდტის აზრით, „მხოლოდ და მხოლოდ პასიურია“ (იხ. ზემოთ, თეზისი 6), და არა — აქტიური, მოქმედებითი გვარისა, როგორც ეს ჩვეულებრივ მიღებულია.

საქმის ვითარების თავისებური გაგება ავალედა შუხარდტს, განემარტა აკუზატივის რაობა თავისი კონცეფციის თვალსაზრისით; რას წარმოადგენს ეს ბრუნვა, რა შინაგან კავშირშია აკუზატივი და გარდამავლობა...

ამის საჭიროებას შუხარდტიც გრძნობს, მაგრამ საკითხს გვერდს უვლის: „აკუზატივის წარმოშობის განხილვაში აღარ შევდივარ“ (იხ. ზემოთ, გვ. 59, თეზ. 5).

ამრიგად: ფსიქოლოგიური კატეგორია (**RS, PP**), როგორც ამოსავალი, ამის მიხედვით სახელების დახასიათება, სახელებისა და სახელური ელემენტების მეშვეობით ზმნის დახასიათება — ასეთია შინაგანი წყობა შუხარდტის კონცეფციისა.

მორფოლოგიურ-სინტაქსური ფორმულა აქტიური და პასიური კონსტრუქციისა ამას მოსდევს, როგორც ბუნებრივი გაგრძელება, თუმცა ყველა მომენტი თანამიმდევრულად ზემოხსენებულ წინამძღვართაგან არ გამოიყვანება.

პასიურობა-აქტიურობის შუხარდტისეული ნიშნები რომ გამოვიყენოთ, გამოვა, რომ აფხაზური გარდამავალი ზმნა, ხუნძური ზმნა და ყველა იმ ენის ზმნა, სადაც სუბიექტის, აგრეთვე ნივთის ობიექტის („პირდაპირი ობიექტის“) ნიშანი წინ უსწრებს ფუძეს, აქტიური იქნება...

ინდო-ევროპული ენების გარდამავალი ზმნა პასიური გამოვა: იუღვლება სუბიექტის მიხედვით და სუბიექტის პირის ნიშნები სუფიქსად მოუდის, ე. ი. ზმნის ფუძეს მოსდევს... მაგრამ იმავე დროს: ვნებითი გარჩეულია (*vocat — vocatur*)¹ და გარდამავალი ზმნა — შუხარდტის აზრით — აქტიური უნდა იყოს.

ინდო-ევროპული სახელობითი? შუხარდტმა განმარტა: შინაგანი ფორმის მიხედვით ეს ერგატივიაო...

მაგრამ აქ ორი კითხვა მოითხოვს პასუხს: როგორ მოხდა, რომ **RS** ერგატივია და **RO** — კი აკუზატივი; ასეთი კორელაცია შუხარდტს არ მოუცია, ერგატივის კორელატია განუვრცობელი სახელი (**RO**). მერე, გარდაუვალ ზმნებშიც ხომ იგივე მორფოლოგიური ოდენობა გვაქვს **RS**-ად: *discipulus legit librum* „მოწაფე წიგნს კითხულობს“ — *discipulus venit* „მოწაფე მოდის“... როგორ შეიძლება *discipulus* (რეალური სუბიექტი) ერთ შემთხვევაში იყოს ერგატივი, მეორეში — სახელობითი? და თუ ორივეში ერგატივია, მაშინ გარდამავალისა და გარდაუვალის გარჩევას აზრი არა აქვს...

მორფოლოგიური ნიშნები და ფსიქოლოგიური კატეგორიები ერთმანეთს არ ეგუება; მათი შეუთანხმებლობა თეორიულად იმთავითვე იქცევადა ყურადღებას; აქ მას ემპირიულად ვადასტურებთ.

მერე: 1895 წელს კავკასიურ ენათა გარდამავალი ზმნის დახასიათებისას შუხარდტი ტრანზიტივთა პასიობას მიიჩნევდა ნათესაობის დამამტკიცებელ საბუთად: ბასკურიდან კავკასიურ ენებისაკენ ჩემი გულისყური ამან მიიზიდაო.

1905/6 წელს შუხარდტი ერგატივზე ლაპარაკობს ინდო-ევროპულ ენებშიც და, თუმცა ეს ხდება შინაგან ფორმისადმი აპელაციით, მაინც გარდამავალი ზმნა სრულიად კატეგორიულად პასიურადაა მიჩნეული, მაგრამ ეს ნათესაობის მათუწყებელ საბუთად ჰ. შუხარდტს არ მიაჩნია: სარკვევიაო, — წერს ის, — რა იწვევს ამგვარ მოვლენას: „ხალხის გონი!, თავდაპირველი ნათესაობა თუ სესხებაო...

ქართველური ენების შესახებ შუხარდტი გვეუბნება: აწმყო წმინდა აქტიურია, აორისტი — პასიურ-აქტიურიო. რის მიხედვით კეთდება ასეთი

¹ ამის შესახებ იხ. ა. ტრომბეტის შენიშვნა (აქვე, § 23).

დასკვნა? იმის მიხედვით, რომ აწმყოში **RS** სახელობითშია, აორისტში — ერგატივეში, **RO** — შესაბამისად მიცემითშია და სახელობითში.

მაგრამ სახელობითი ხომ განუფრცობელი ფორმა არაა; მოთხრობითის შესახებ შეიძლება ჰქონდეს ეჭვი შუხარდტს, ნაცვალსახელოვანი ნაწილაკითაა გაფორმებული იგი თუ არა, მაგრამ სახელობითის საკითხი უდავოა: აქ ნაცვალსახელოვანი **-ი** ნაწილაკი განაფრცობს ფუძეს. თუ შუხარდტმა სემიტური სახელობითი (არაბ. ბაითუ) და ინდო-ევროპული სახელობითი **s** (ძვ. ინდ. მანას → მანას) ერგატივად მიიჩნია, აქაო-და ნაცვალსახელოვანი ელემენტია დართული, — ქართულის სახელობითიც ისევე ერგატივი აღმოჩნდებოდა: ორი ერგატივი!

შეიძლებოდა გვეთქვა: იქ, სადაც სახელობითია, ძველად ფუძე — გაუფორმებელი სახელი — იჯდა და ეს გვაძლევს უფლებას აწმყო და აორისტის ერთერთს დაუპირისპიროთო (გაუფორმებელი ფუძე — ერგატივი — **RS**), მაგრამ ასეთივე უფლებით ერგატივიც დაიყვანებოდა ფუძემდის: ადამიანთა სახელებში, როგორც ერგატივის ისე სახელობითის ადგილი ფუძეს უკავია ხოლმე — ძვ. ქართულში: აბრაამ შვა ისააკ...

მაშასადამე: ვერც ახლანდელი აგებულების მიხედვით, ვერც ისტორიულ-გენეზისური თვალსაზრისით ერგატივი და სახელობითი ერთმანეთს ვერ დაუპირისპირდება, ერგატივისა და სახელობითის დაპირისპირების საფუძველზე კონსტრუქციის აქტიური თუ პასიური ბუნება ვერ გაირკვევა.

ესაა ერთი დასკვნა, რომელსაც თავიდან ვერ ავიცილებთ, შუხარდტის თვალსაზრისს თუ გავყვებით და **RS**-ისა და **RO**-ის ბრუნვებიდან თუ ამოვალთ.

მაგრამ შუხარდტს აქტიურობა-პასიურობის სხვა საზომიც მოეპოვება: სახელურ ელემენტთა ადგილი ზმნაში. რას მოგვცემდა ამ საზომის გამოყენება? სუბიექტის ნიშანს, როგორც ცნობილია, ქართულში სხვადასხვა ადგილი უჭირავს: I და II პირში სუბიექტი პრეფიქსით აღნიშნება აწმყოშიც, აორისტშიც: ვაშენებ — 'ხ'აშენებ... ვაშენე — 'ხ'აშენე... მესამე პირი სუფიქსს აჩენს (აგრეთვე დროთა მიუხედავად). პრეფიქსით აღნიშვნა სუბიექტისა შუხარდტისათვის აქტიური კონსტრუქციის მაუწყებელია, სუფიქსით აღნიშვნა — პასიურისა.

ამისდა კვალად ერთმანეთს დაუპირისპირდება პირველი და მეორე პირი, ერთის მხრით, და მესამე პირი (და არა აწმყო და აორისტის...). პირველი და მეორე პირი აქტიური კონსტრუქციისა გამოდის, მესამე პირი — პასიურისა...

ორი საზომი ერთმანეთს არ მიჰყვება: ბრუნვათა მიხედვით ერთს დასკვნას ვიღებთ, სახელურ ნაწილაკთა — პირის ნიშანთა თვალსაზრისით — სხვას...

თვით ბრუნვა **RS**-ისა და **RO**-ისა სხვადასხვა დასკვნას გვიკარნახებს (როგორც უკვე ვნახეთ).

შუხარდტმა თვითონ აღნიშნა: სემიტურში **RS** გაფორმებული სახელია (ე. ი. ერგატივი) და ამას ეწინააღმდეგება **RO**-ის აკუზატივით გადმოცემაო. კიდევ უფრო ეს ეხება ქართულს.

შემდეგ ერთი მომენტი: აორისტიში ზმნა პასიურ-აქტიურიანო. პასიური, ალბათ, იმიტომ, რომ **RS** ერგატივშია, აქტიურობაზე საქმე მიდგა კიდევ იმის გამო, რომ აორისტიში გარდამავალი ზმნა ვნებითის საგანგებო ფორმას აწარმოებს:

მან ააშენა — ის აშენდა... მან დახატა — ის დაიხატა... ამდენად გასაგებიცაა, რატომ გაჩნდა შუხარდტთან ასეთი კვალიფიკაცია: აორისტი პასიურ-აქტიურიანო... ამით უხერხულობა არ ისპობა: ტერმინი პასიურ-აქტიური იმის მაჩვენებელია, რომ ორი თვალსაზრისი ერთმანეთს შეხვდა და ერთმანეთს არ შეეგუა: შუხარდტის თანახმად **RS**-ის ბრუნვა (**RO**-ისაც) გვიკარნახებს აორისტი პასიურად მივიჩნიოთ, ვნებითის ცალკე არსებობა მოითხოვს, სათანადო გარდამავალი ზმნის აქტიური ბუნებისად ვცნოთ...

ეს ყველაფერი — შუხარდტის თვალსაზრისით. ვინც ამ თვალსაზრისით არ შეიზღუდავს თავს, მისთვის ცხადია იმ თავითვე, რომ სინტაქსური კონსტრუქციის ბუნებას ზმნის ფუძის ხასიათი განსაზღვრავს, სახელთა ფორმა გარე სიმპტომებია (და არა არსი)... და, რაც მთავარია, ზმნის ფუძის ხასიათს ვერ გაგვირკვევს სუბიექტის პირის ნიშნის ადგილმდებარეობა, კერძოდ, სრულებით შეუძლებელია, პირველსა და მეორე პირში ზმნის ფუძე იყოს ერთგვარი ბუნებისა (ვთქვათ, აქტიურისა) და მესამე პირში კი იგივე ფუძე სხვაგვარი აღმოჩნდეს (სიტყვაზე, პასიური ხასიათისა).

ასეთი შედეგი საზომის აგვარგანობას მოწმობს: ადგილმდებარეობა **RS**-ის პირის ნიშნისა **PS** და **PP** ცნებათა მიხედვითაა საზომად წამოყენებული. ეს ამოსავალი ცნებები — **PS** და **PP** — ენობრივი ფაქტის აღწერისას არაფრის მაქნისია. ეს გვაჩვენა ემპირიულმა შემოწმებამ: ეს იმთავითვე ცხადი იყო.

მეორე მხრით: **PS**-ისა და ბრუნვის ფორმათა საზომი ერთი მეორეს არ ეგუება, როგორც ზევითაც ვნახეთ ქართული წინადადების ანალიზის დროს და როგორც იმთავითვე აღვნიშნეთ თეზის 4-ის განხილვისას (იხ. ზემოთ).

პასიურობის ნიშანი — ზმნა + სუბიექტი — არც ზმნის აგებულების მიხედვითაა საიმედო და არც წინადადების კონსტრუქციის თვალსაზრისით.

პასიურობა გარდამავალ ზმნებს აღმოაჩნდათ სულ სხვადასხვა ენებში: ქართველურ ენებში, ბასკურში... ინდო-ევროპულ ენებში... სემიტურ ენებში... და ეს მიუხედავად იმისა, რომ ქართველური ენებისა და ბასკურის მორფოლოგიური სტრუქტურა არსებითად განსხვავდება ინდო-ევროპულისა და სემიტური ენების სტრუქტურისაგან: პირველში აკუზატივი არ მოიპოვება, ერგატივი გვაქვს, უკანასკნელთ აკუზატივი მოეპოვებათ, ერგატივი — არა...

და თუ მაინც პასიურობა ორივე ჯგუფს ახასიათებს, უნდა დავასკვნათ, რომ ერგატივის მქონებლობა და აკუზატივის უქონლობა არ ყოფილა დამახასიათებელი (სახელთა ფორმებისათვის) ერგატიულს კონსტრუქციაში. ეს კი ეწინააღმდეგება საქმის ვითარებასაც, და შუხარდტის მტკიცებასაც. ეს წინააღმდეგობაც ფსიქოლოგიური საყრდენი ცნებებიდან მომდინარეობს და ამ ცნებათა ნამდვილ ღირებულებას ამყდავენებს: სპეციფიკური კონსტრუქცია გაუტოლდა არასპეციფიკურს. ეს არ მოხდებოდა, ფსიქოლოგიურ ცნებათაგან ამოსვლა წინადადების კონსტრუქციისა და გარდამავალი ზმნის აგებულების არსს რომ გამოგვივლენდეს.

შუხარდტის კონცეფცია გარდამავალი ზმნის პასიურობისა შინაგან წინააღმდეგობათა შემცველ რთულ თეორიას წარმოგვიდგენს.

1920 წელს გამოქვეყნებულ შრომაში („ექსკურსი ენის წარმოშობაში“) ჰ. შუხარდტი წინანდებურად ემყარება ცნებებს ფსიქოლოგიურ სუბიექტი — ფსიქოლოგიური პრედიკატი, თუმცა არ მიაჩნია ეს გამოთქმები (Ausdrucksweise) მთლად მოხერხებულად.¹

მაგრამ იქვე სხვათა შორის მოგვითხრობს: ობიექტის განსაზღვრა ტრანზიტივით და ტრანზიტივისა — ობიექტით არაფრის მთქმელია და ცნება ობიექტისა, ისევე, როგორც ცნება ტრანზიტივისა მოკლებულია ყოველგვარ ნამდვილ საყრდენს... სახელობითი და აკუზატივი შინაგანად ერთი და იგივეა; მათ ვერ დავუპირისპირებთ სხვა ბრუნვებს. „მოკლედ: ყოველი ობიექტი არის ჩრდილში დაყენებული სუბიექტი — პრედიკატის პრედიკატიო“ — (იქვე).

1921 წელს შუხარდტი გაკვრით შენიშნავს: „პასიურობა და აქტიურობა ორივე თანაბრად დასაბამიერიაო“.²

¹ „Diese Ausdrucksweise nicht ganz passend ist“ — „Exkurs zum Sprachursprung“, III იხ. Schuchardt — Brévier, მეორე გამოცემა, 1926, გვ. 289.

² „Passivismus und Aktivismus sind beide gleich ursprünglich“ — Schuchardt — Brévier, გვ. 298.

*
* *

პასიურობის თეორია სინამდვილესთან ახლოსაა, როცა კავკასიური ენების გარდამავალ ზმნებში აქტიურობას უარყოფს, მაგრამ საქმის ვითარებას უმართებულო კვალიფიკაცია ეძლევა, რამდენადაც ის, რაც არააქტიურია, პასიურად მიიჩნევა, — და ამ არააქტიურს ინდო-ევროპულ ენათა ვნებითს უტოლებენ. ესაა არა ახსნა სპეციფიკურობისა, არამედ მოხსნა საკითხისა.

პასიური თეორიებისთვის დამახასიათებელია ერგატივის გამოცხადება ირიბ ბრუნვად: ეს თანაბრად ეხება პ. უსლარსაც, ნ. მარსაც. ერთგვარად თავისებურია შუხარდტის გაგება, მაგრამ მას შესაძლებლად მიაჩნია გამოთქმებში: „შენმა გაზრდამ“, „შენმა მზემა“, „მამაშვილობამ“, „შენმა სიცოცხლემ“... „მამი-ჩემის ცხონებამ“ — ივარაუდოს, რომ მოთხრობითს (აქტიურ ბრუნვას) ოდესღაც მოქმედებითის ფუნქცია ჰქონდა.¹

ამას მთლად არ ეგუება ის, რაც ერგატივისა და ინდო-ევროპული სახელობითის, ერგატივ-სახელობითისა და ბრალდებითის შესახებ შუხარდტმა შემდეგში განმარტა. აქაც შინაგანი წინააღმდეგობანი მკვეთრად იგრძნობა.²

¹ პ. შუხარდტი, გარდამავალი ზმნის პასიური ხასიათის შესახებ კავკასიურს ენებში, 1895, გვ. 75-76 (გერმ.).

² შუხარდტის შეხედულებათა დახასიათება მოცემულია ფ. ნ. ფინკის ვრცელ წერილში: „მოჩვენებითი პასიური ხასიათი გარდამავალი ზმნისა“ — ჟურნალში *Zeitschrift für vergleichende Sprachforschung*, B. 41 (1907) Hf. 3, გვ. 27-82 (რუსული თარგმანი: „О якобы пассивном характере переходного глагола“, კრებ. „Эргативная конструкция предложения“, 1950, გვ. 107-143). იხ. აგრეთვე ა. ტრომბეტის წერილი: „ზმნის პასიურობის თეორიის შესახებ“ — რუს. თარგმანი იმავე კრებულში, გვ. 156-162. ფ. ფინკისა და ა. ტრომბეტის ამ წერილების შესახებ იხ. აქვე §§ 22, 23.

თ ა ვ ი მ ე ს ა მ ე

ერგატიული კონსტრუქციის აქტიურობის თეორიები (ს. ბიხოვსკაია, ნ. იაკოვლევი)

§ 14. წინასწარი ცნობები აქტიურობის კონცეფციათა შესახებ.

აქტიური თეორიები არაა ისეთი ჩამოყალიბებული კონცეფციების სახით მოცემული, როგორც დამახასიათებელია პასიურობის თეორიათათვის.

და მაინც სათანადო მოსაზრებებს პრინციპული ღირებულება ენიჭება; ესაა ცდა საკითხის გადაწყვეტისა საპირისპირო მიმართულებით: აქტიურობის თეორიები ფასეულია პასიურობასთან შეპირისპირებით (პასიურობის თეორიები კი ამგვარი შეპირისპირების გარეშეც არ დაკარგავდა მნიშვნელობას).

ერგატიული კონსტრუქციის აქტიურობას იცავენ ს. ბიხოვსკაია წერილში „პასიური“ კონსტრუქცია იაფეთურ ენებში“¹ და ნ. იაკოვლევი შრომაში „ჩაჩნური სალიტერატურო ენის სინტაქსი“², აგრეთვე სპეციალურ მოხსენებაში: „იაფეთურ და ზოგ სხვა ენათა აქტიური აგებულებისათვის“ (წაკითხული იყო 1941 წ. იანვარში სსრ კავშ. მეცნ. აკად. ლიტერ. და ენის განყოფილების სესიაზე).

§ 15. „ს. ბიხოვსკაია ერგატიული კონსტრუქციის შესახებ. ს. ბი-

ხოვსკაიას შეხედულებათა სქემა ასეთია. ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა — ავტორის სამართლიანი თქმით — უკავშირდება სახელის ბრუნებისა და ზმნის უღვლილების რიგ მთავარ საკითხს.

ერგატიული კონსტრუქცია თავისებურია იმით, რომ ლოგიკური სუბიექტი გარდამავალ ზმნასთან დგას არა სახელობითში, არამედ ირიბ ბრუნვაში; ესაა:

ან სპეციალური, აქტიური, ბრუნვა (სათანადო ენათა მეტ წილში);

ან ნათესაობითი (ასეა ლაკურში, ხალღურში);

ანდა მოქმედებით-ინსტრუმენტალისი (დალესტინის ენათა უმეტესობაში). ლოგიკური ობიექტი ბრალდებით ბრუნვაში კი არაა, არამედ — სახელობითში.

შდრ. ქართ. „კაცმან ირემი მოკლა“, ლაკ. თაულ უსუდნ ბაგნ-ალ

¹ С. Л. Быховская, "Пассивная" конструкция в яфетических языках — კრებ. "Язык и мышление", II. Ленинград, 1934.

² Н. Яковлев, Синтаксис чеченского литературного языка (при участии А. Х. Хумпарова, М. С. Саидова и А. С. Бекова), Москва-Ленинград, 1940, გვ. 46-51, 93...

თურ დულდუნდი („ჩემ ძმას ბეგმა ხმალი მისცა“; ბაგნ-ალ ლაკ. ნათესაობითია: ბეგისა (|| ბეგმა).

ერგატიული კონსტრუქცია გვაქვს ბასკურში:

გიზონა-კ ლიბურუ და-კარ „კაცს (ზედმიწვევ.: „კაცმა) წიგნი მიაქვს... დაკარ ზმნა ბასკურში გარდამავალია. ბასკ.: ნ-ა-კარ-სუ „მე მიგყავართ თქვენ“; ნ-ა-ბილ „მე მივდივარ“.

ნ ბასკურში პირველი პირის ობიექტის ნიშანია გარდამავალ ზმნასთან და პირველი პირის სუბიექტის ნიშანი გარდაუვალ ზმნასთან.

აფხაზურში მესამე პირის ფორმებში — ამბობს ს. ბიხოვსკაია — გვაქვს იგივე მდგომარეობა, რაც ბასკურმა პირველი პირისთვის გვიჩვენა:

ღ-იჭუოდტ მას (აღამ.) იგი (აღამ. მამრ.) ჭამს: **ო -ღ** (აღამ.), **ს -ი** (აღამ. მამრ.)

ღგ-ლ-იჭუოდტ მას (აღამ.) იგი (აღამ. მდედრ.) ჭამს: **ო — ღ** (აღამ.), **ს — ლ** (აღამ. ქალი).

შდრ. **ღგ-ყო**უბ ის (აღამ. მამრ.) არსებობს (აღამ. = სოციალურად აქტიური).

ი-ყოუბ ის (ნივთ.) არსებობს (ნივთი = სოციალურად პასიური).

ერგატიული კონსტრუქცია პასიურად მიაჩნდათ იმიტომ, რომ სუბიექტი დასმულია არა სახელობითში, არამედ ირიბ ბრუნვაში, ხოლო პირდაპირი ობიექტი დაისმის სახელობითში და არა — ბრალდებითში: კონსტრუქცია განსხვავდება ინდო-ევროპულ ენათა აქტიური კონსტრუქციისაგან, მაგრამ გამოიყურება ისე, როგორც პასიური კონსტრუქცია იმავე ინდო-ევროპული ენებისა.

მაგრამ ერგატიული ბრუნვა, — წერს ს. ბიხოვსკაია, — არ შეიძლება გავუთანაბროთ მოქმედებითს, და ერგატიული კონსტრუქცია ვთარგმნოთ ინდო-ევროპული ვნებითი გვარის ზმნიანი წინადადებით. ს. ბიხოვსკაიას მოჰყავს ტრომბეტის აზრი, რომ ერგატიული კონსტრუქცია სრულებით არაა პასიური, არამედ ესაა ემფატიკური აქტიური, ხოლო ერგატიული ბრუნვის ნიშანი პირის ნაცვალსახელია, რომელიც გახაზავს სუბიექტის როლს; ბუნებრივია, თუ კითხვაზე „ვინ აკეთებს?“ უპასუხებენ უფრო ენერგიულად, ვინემ კითხვაზე „ვის სძინავს?“ პირველ შემთხვევაში სუბიექტი = სახელს + ემფატიკური ნაცვალსახელი.

ს. ბიხოვსკაია შენიშნავს: გარემოებისდა მიხედვით შეიძლება მეორე კითხვაზე (ვის სძინავს?) მეტის ენერგიით უპასუხონ, ვინემ პირველზე (ვინ აკეთებს?). მერე: ერგატივის დაბოლოება არ დაიყვანება ნაცვალსახელამდის (ბასკურში ემფატიკური ნაცვალსახელი გვაქვს, მაგრამ ერგატივის ნიშნად არ გამოიყენება). ქართულში ერგატივს III პ. ნაცვალსახელი **მან**

დაერთვის, მაგრამ ეს ნაცვალსახელი გაფორმებულია ან თუ ა-ს საშუალებით, და მამასადამე, ერგატიული ბრუნვის საკითხი ღია რჩება.

ესეც არ იყოს, ტრომბეტიმ უნდა ახსნას, — წერს ს. ბიხოვსკაია, — რატომაა ობიექტი სახელობითში და არა — ბრალდებითში. ერგატიული კონსტრუქცია რომ პასიური იყოს, მრავლობითში ზმნა ობიექტს შეუთანხმდებოდა და არა სუბიექტსაო, წერს ტრომბეტი. ტრომბეტი მრავალ ენას იყენებს, მაგრამ მას არც ერთი ამ ენათაგანი არ სცოდნია: ძვ. ქართულის აორისტში ზმნა ობიექტის მრავლობითობას აღნიშნავსო, წერს ს. ბიხოვსკაია. აქ ტრომბეტის ინდო-ევროპულ ენათა ჩვენება ზღუდავს.

ამგვარად, ტრომბეტის გამოკამათება ერგატიული კონსტრუქციის პასიურობის წინააღმდეგ უსაფუძვლოა, ასკვნის ს. ბიხოვსკაია.

და მაინც ერგატიული კონსტრუქცია, ს. ბიხოვსკაიას აზრით, არაა პასიური. ერგატიული კონსტრუქციის სუბიექტი ირიბი ბრუნვაა, ლოგიკური ობიექტი სახელობითშია (პირდაპირი ბრუნვაა). ამას ემყარებიან პასიურობის დამცველები.

რალა ეს „პირდაპირი“, „ირიბი“ ბრუნვა? რას ნიშნავს ბერძენთაგან მემკვიდრეობით მიღებული ეს ცნებები? რას აღნიშნავს სახელი, რომელსაც არავითარი დაბოლოება არ დაერთვის („პირდაპირი“) და სახელი, რომელსაც ბრუნვის ნიშანი მოეპოვება („ირიბი“)?

ჩვენ ვამტკიცებთ, — წერს ს. ბიხოვსკაია, — რომ საგანგებო ნიშანი ერგატიული ბრუნვისა გამოხატავს ცნების მოქმედებას, მის აქტიურობას განსხვავებით სახელობითი ბრუნვისაგან, რომელსაც განსაკუთრებული მაჩვენებელი არ მოეპოვება: როცა სახელს არავითარი ფორმანტი არ დაერთვის, იგი ცნების დასახელებაა და მიუთითებს მხოლოდ იმაზე, რომ სათანადო საგანი არსებობს — მეტი არაფერი, იმის საჩვენებლად, რომ საგანი მოქმედებს, აუცილებელია სახელს დავუერთოთ საგანგებო ფორმანტი, სახელის აქტიურობის მაჩვენებელი. ერგატივის ნიშანი სწორედ ასეთი მაჩვენებელია.¹

თავის აზრის დასამტკიცებლად ს. ბიხოვსკაია იმოწმებს ულენბეკის დებულებას: ინდო-ევროპულ ენებში (ფუძე-ენაში) სახელობითი მამრობითისა და მდედრობითი სქესის სახელებში (ე. ი. სულიერ არსებით სახელებში) s-ით ბოლოვდებოდა, საშუალო სქესის სახელებს კი ასეთი დაბოლოება არ მოეპოვებოდათ. ეს იმიტომ ხდება, რომ საშუალო სქესის სახელები უსულო საგნებია და მოქმედის როლში ვერ გამოვიდოდა, სუბიექტის ნიშანი, სახელობითის ნიშანი, მათ არ დაერთვოდათ. ინდო-ევროპულ

¹ С. Л. Быховская, "Пассивная конструкция в яфетических языках", — яз. и мышление", II. Ленинград, (1934), გვ. 63.

წინარე ენაში — ვარაუდობს კ. ულენბეკი — ისეთივე პასიური კონსტრუქცია გვქონდა, როგორც ამჟამად ბასკურსა და ჩრდილო-ამერიკის ინდიელთა ენებში დასტურდება.

ს. ბიხვსკაია შენიშნავს: სულიერი, უსულო აქ არაფერ შუაშია: მთავარია გარჩევა სოციალურად აქტიურისა და სოციალურად პასიურისა. ულენბეკს კი იმაში უნდა დავეთანხმოთ, რომ სახელობითი აქტიური ბრუნვიდან მომდინარეობს, აკუზატივი — პასიურიდან და რომ ინდო-ევროპულ ენებში ისეთივე კონსტრუქცია უნდა გვქონოდა, როგორცა გვაქვს ბასკურსა და ჩრდილო ამერიკის ინდიელთა ენებში.¹

ერგატიული კონსტრუქციის პასიურობის წინააღმდეგ ისიც ლაპარაკობს, რომ გარდაუვალ ზმნებთან სუბიექტი ერგატივში კი არ დგას, არამედ პასიურ ბრუნვაში; იაფეტურ ენებში ასეთი ბრუნვაა სახელობითი.

რალაა ბრალდებითი ბრუნვა? ესაა პირდაპირი ობიექტის ბრუნვა, ე. ი. ბრუნვა, რომელიც მიუთითებს საგნის, ვითარცა მოქმედების ობიექტის პასიურობაზე. როგორც ასეთს, მას ფორმანტი (მაჩვენებელი) არ უნდა მოეპოვებოდეს.

მართალია, o-ზე დაბოლოებულ ფუძეებს აქვს -m, -n ფორმანტი ბრალდებითში, მაგრამ ეგევე შეინიშნება სახელობითში. ეს საერთოა სახელობითისა და ბრალდებითისათვის, და, მაშასადამე, ბრუნვის ნიშანი ვერ იქნება. ეს უნდა იყოს განმსაზღვრელი ნაწევარი ანუ დეტერმინატივი, როგორც მას ჰ. ჰირტი უწოდებს. ამის გარეშე კი ბრალდებითს არავითარი ნიშანი არ მოეპოვება.²

სწორედ ასეთივეა ობიექტის ბრუნვა იაფეტურ ენებში: სახელობითი ბრუნვა, ობიექტის ბრუნვა, მოკლებულია რაიმე ნიშანს.

ქართულში, მეგრულსა და ჭანურში, მართალია, სახელობითი o-ს დაირთავს, მაგრამ როგორც ეს ნ. მარმა გამოარკვია, ეს o ბრუნვის ნიშანი კი არაა, არამედ ნაცვალსახელური აფიქსია და განმსაზღვრელი ნაწევარია.

ამრიგად: სახელობითი ბრუნვა იაფეტურ ენებში წმინდა ფუძეა ისევე, როგორც სანსკრიტში, ბერძნულსა და ლათინურში მესამე ბრუნვის სახელთა საშუალო სქესი. ინდო-ევროპულ ენათა ბრალდებითი ფუნქციითაც და ფორმითაც თანხვდება იაფეტურ ენათა სახელობითს.³

ამით პასიურობის თეორიის წარმომადგენელთა არგუმენტი — ერგა-

¹ იქვე, გვ. 64.

² С. Л. Быховская, "Пассивная конструкция в яфетических языках и мышление", II. Ленинград, (1934), გვ. 66.

³ იქვე, გვ. 66.

ტიული კონსტრუქციის ობიექტი ბრალდებითში არ დაისმის, ამიტომ კონსტრუქცია პასიურიაო — ძალას კარგავსო, წერს ს. ბიხოვსკაია.

დასკვნა: სუბიექტს უნდა მოეპოვებოდეს მოქმედებითის მაჩვენებელი, ე. ი. იგი უნდა იყოს ირიბ ბრუნვაში; იაფეტურ ენებში ესაა ერგატივი, ინდო-ევროპულ ენებში — სახელობითი. პირდაპირ ობიექტს არავითარი ბრუნვის ნიშანი არ ესაჭიროება, რამდენადაც ის მხოლოდ საგნის სახელწოდებაა, რომელიც მოქმედების საგანია, და ამით გამოიხატება მისი პასიურობა.¹ სათანადო კონსტრუქცია, მაშასადამე, სწორედ აქტიურია.

მაგრამ აქ ბუნებრივად ჩნდება კითხვა: არის კი ერგატიული კონსტრუქცია ისეთივე აქტიური, როგორცაა ინდო-ევროპულ ენათა აქტიური კონსტრუქცია?

პასუხი უარყოფითი იქნება. ინდო-ევროპულ ენებში აქტიური კონსტრუქციის გვერდით მოიპოვება პასიურიც. ვნებითი გვარის მქონებლობა კი ვარაუდობს, რომ ერთი და იგივე პირი შეიძლება იყოს — ვითარების შესაბამისად — ხან მოქმედების სუბიექტი და ხან — ობიექტი.

როცა დაყოფა სოციალურად აქტიურ და სოციალურად პასიურ სახელებად სტაბილურია, ერთი და იგივე ოდენობა ხან სუბიექტი და ხან ობიექტი ვერ იქნება. ერთი და იგივე პირი შეიძლება განვიჯროთ ან მხოლოდ როგორც სუბიექტი ან მხოლოდ როგორც ობიექტი. სოციალურად აქტიური პირი პასიურ მდგომარეობაში მაშინდა შეიძლება იყოს, თუ ის უძრაობაშია და თავდაპირველად შეიძლება ეს გადმოიცემოდეს მდგომარეობის ზმნებში.

როცა პასიური კონსტრუქცია არ უპირისპირდება აქტიურს, ძნელადღა მოხერხდება აქტიურობა-ზელაპარკი.² პასიური კონსტრუქციის პირველადობა კი გამორიცხულია.

„ყველა მონაცემი იმის სასარგებლოდ ლაპარაკობს, რომ ერგატიული კონსტრუქცია შეიძლება გავიგოთ მხოლოდ, როგორც ისეთი, რომელშიაც დიფუზურად შერწყმულია აქტიურობა და პასიურობა, გავიგოთ იგი, როგორც კონსტრუქცია აქტიურ-პასიური, რაიც შემდგომში გაიყო ორ საპირისპირო კონსტრუქციად — აქტიურად და პასიურად“.³

მართლაცდა, — განაგრძობს ს. ბიხოვსკაია, — კაცობრიობის განვი-

¹ იქვე, გვ. 66-67.

² „При отсутствии противопоставления пассивности едва ли может быть речь об активности“ იქვე, გვ. 69.

³ იქვე, გვ. 69. გაუგებარია, საიდან გაჩნდა პასიურობა. აკი პასიურობა ძველად არ შეიძლებოდა გვქონოდა! (ა. ნ.).

თარების ტოტემისტურ სტადიაზე პიროვნება არ გამოიყოფოდა კოლექტივისაგან, როგორც სოციალურად დამოუკიდებელი მნიშვნელოვანი ერთეული, მეორე მხრივ კიდეც, ტოტემი კოლექტივთან განუყოფელად შერწყმული იყო. ამგვარად, ტოტემი, კოლექტივი და კოლექტივის ცალკეული წევრი გააზრებული იყო, როგორც ერთიანი მთლიანობა. ამიტომ ცალკე პიროვნებას კოლექტივში თავი არ წარმოედგინა, როგორც დამოუკიდებლად მოქმედს: მასში და მის საშუალებით მოქმედებდა მთელი კოლექტივი მისი ტოტემითურთ; მაგრამ, რამდენადაც პიროვნება კოლექტივისა და ტოტემის განუყოფელი ნაწილი იყო, იგი ერთსა და იმავე დროს მოქმედების სუბიექტიც იყო.

ამგვარად, მოქმედების (действенность) წარმოდგენაში განუყრელად იყო დაკავშირებული პასიურობისა და აქტიურობის წარმოდგენა ჯერ კიდევ დიფუზურ მთლიანშიო, წერს ს. ბიხოვსკაია.¹

ერგატიული კონსტრუქცია ვარიაციებს იძლევა. ეს ნაირ-ნაირობა განვითარების შედეგია. ქართველურ ენებში ერგატიული კონსტრუქცია მხოლოდ აორისტის ჯგუფში გვაქვს; გარდა ამისა აქ ბრალდებითი ბრუნვაც გვაქვს: ესაა მიცემითიო, შენიშნავს ს. ბიხოვსკაია.²

აწმყოსა და მისგან ნაწარმოება დროებში გარდამავალი ზმნა უახლოვდება ინდო-ევროპულ ტიპს; ზმნის ახალ სტრუქტურასთან დაკავშირებით აუცილებელი გახდა ბრალდებითი ბრუნვაც, რისთვისაც გამოიყენეს მიცემითიო, გვეუბნება ავტორი.

ბასკურში გარდამავალი ზმნის 3 პ. imperfecti ისევეა აგებული, როგორც გარდაუვალი ზმნა: ობიექტი ნოლით აღინიშნება.

ბასკ.: დ-უ-ტ „იგი მაქვს მე“, ნ-უ-ენ „მე მქონდა“: ობიექტი არა ჩანს შდრ. ნ-ა-იზ „მე ვარ“, ნ-ა-ბილ „მე მივდივარ“.

ანალოგიური მოვლენა შეინიშნება ყაბარდოულში: თუ პირდაპირი ობიექტი გვაქვს, ერგატიულ კონსტრუქციას ვიღებთ, თუ პირდაპირი ობიექტი არა გვაქვს, კონსტრუქცია გარდაუვალი ზმნისაა:

ბესგემგ-რ მა-შხ'ს „მასპინძელი ჭამს“

ბესგემგ-მ ს'აჯაჲ-რ-ჲა-შხ' „მასპინძელი პურსა ჭამს“.

უობიექტო გარდამავალი ზმნა გარეგნულად დაემსგავსა გარდაუვალი ზმნას და მასთან ანალოგიით შეიცვალა მისი აგებულება პირველ რიგში.³

ზმნის განვითარების სქემა, რომელსაც ს. ბიხოვსკაია გვაწვდის, ასეთია:

კონკრეტული აზროვნების შესაბამისად ადამიანი პირველად აგებს

¹ იქვე, გვ. 69.

² იქვე, გვ. 70.

³ იქვე, გვ. 71.

ზმნას მისი კონკრეტული შინაარსის შესაბამისად და ამ თვალსაზრისით სამ კონსტრუქციას ვიღებთ:

1. აღქმის ზმნათა (*verba sentiendi*-ს) კონსტრუქციები („მე მინდა...“),
2. მოქმედების ზმნები: თავდაპირველად ყველა გარდამავალი,
3. მდგომარეობის ზმნები.

სუბიექტის მოქმედება თავდაპირველად ცალკე სიტყვით გადმოიცემოდა. ამის კვალია პირთა ნაცვალსახელებში (სახელობითს სხვა ფუძე აქვს, ირიბ ბრუნვებს — სხვა), გარდამავალი ზმნის სუბიექტს სხვა ნიშანი აქვს, ვინემ იმავე ზმნის ობიექტს და გარდაუვალი ზმნის სუბიექტს.

შემდგომში აქტიურობის აღსანიშნავად სუბიექტს საგანგებო სიტყვა დაერთვოდა; შემდეგ ეს სიტყვა იქცა მორფოლოგიურ ელემენტად, ერგატიული (აქტიური) ბრუნვის ნიშნად.¹

მოქმედებისა და მდგომარეობის ზმნებად დაყოფა უფრო ძველია, ვინემ გარდამავალ და გარდაუვალ ზმნებად დაყოფა: უობიექტო ზმნები ისწრაფიან გარდაუვალთა წყებაში მოექცნენ.

შემდგომი სტადია: აქტიური ზმნები დაიყო გარდამავალ და გარდაუვალ ზმნებად (იაფეტურ და ჩრდილო ამერიკის ინდიელთა ენებში რომა გვაქვს).

დასასრულ, მესამე სტადია, — ინდო-ევროპულ ენებში წარმოდგენილი: გარდამავალი და გარდაუვალი ზმნები ერთნაირად ყალიბდება (აიგება). ეს სტადია, სხვათა შორის, იმითაც ხასიათდება, რომ ყოველთვის არაა ადვილი გარდამავალი ზმნა განასხვავო გარდაუვალისაგან: *смотреть пьесу* და *смотреть на человека*; *она шьет* და *она платье шьет* — შემთხვევა სრულებით ანალოგიურია ბასკურისა და ყაბარდოულის სათანადო მოვლენებისა; ამ ენებში კი „პასიურ“ კონსტრუქციას ვადასტურებთ მისი გაქრობის პროცესის დასაწყისში.²

§ 16. ს. ბიზოვსკაის შეხედულებათა ანალიზი. კონსტრუქციის დახასიათებისას ს. ბიზოვსკაისთვის ამოსავალია სუბიექტის ბრუნვა. ერგატიულ კონსტრუქციაში იგი ირიბია, ობიექტის ბრუნვა — პირდაპირი. ირიბია ყველა ბრუნვა, თუ მას ბრუნვის ნიშანი მოეპოვება, პირდაპირია, თუ ასეთი ნიშანი არ გააჩნია.

სუბიექტის ბრუნვა ერგატიულ კონსტრუქციაში ნიშნინი, ირიბია, და ეს ნიშანი მოქმედობას, აქტიურობას გახაზავს: ირიბ ბრუნვად ერგატი-

¹ С. Л. Б и х о в с к а я, „Пассивная конструкция в яфетических языках, — Яз. и мышление“, 1934, გვ. 72.

² იქვე, გვ. 72.

ვის მიჩნევა კონსტრუქციის პასიურობის ამოსავალი იყო სხვა ავტორებთან, აქ „ირიბი“ აქტიურობას ასაბუთებს.

ერგატივიც აქტიურია და ინდო-ევროპული სახელობითიც: ორივე ერგატვია.

ობიექტის დახასიათებაც ამით განისაზღვრება: გარდამ. ზმნის ობიექტი უნიშნოა, პასიურია: უნიშნო სახელობითი კავკასიურ ენათა — ესაა აკუზატივი (შდრ. საშუალო სქესის სახელთა აკუზატივი ბერძ. ლათინ.-სანსკრ.).

ამგვარად, ერგატვიც აღმოჩნდა ინდო-ევროპულში, აკუზატივი — იაფეტურ ენებში. სხვაობა მოიშალა: ერგატიული კონსტრუქცია აქტიურია.

მაგრამ ეს აქტიურობა მაინც განსხვავდება იმისაგან, რაც ინდო-ევროპულ ენებში გვაქვს; იქ აქტიურს უპირისპირდება პასიური კონსტრუქცია, იაფეტურ ენებში ასეთი რამ არა გვაქვს.

სადაც ასეთი შეპირისპირება არ არის, არ შეიძლება აქტიურობაზე ლაპარაკი: ერგატიული კონსტრუქცია აქტიურ-პასიურია.

საფუძველი: ტოტემისტურ სტადიაზე პიროვნება კოლექტივსა და ტოტემს ვერ გამოეთიშება; ის მოქმედებს თვითონ, მაგრამ ეს მოქმედება მისიც არის და კოლექტივისაც, ტოტემისაც: მოქმედი და უმოქმედო შეთავსებულია... ასეთია ს. ბიხოვსკაიასეული ახსნა.

ეს ახსნა ხელოვნურია და არადამაჯერებელი.

გაუგებარია: როგორ იქცა აქტიური აქტიურ-პასიურად, როცა პასიურობისათვის ძველად არავითარი საფუძველი არ არსებობდა (თვით ს. ბიხოვსკაიას აზრით).

ირიბისა და პირდაპირი ბრუნვის ს. ბიხოვსკაიასეული დახასიათება ხელოვნურია; სუბიექტის აქტიურობას ის გვიჩვენებს, რომ ბრუნვას ნიშანი აქვსო; ეს დამაჯერებელი ვერ იქნება: მიცემითი არაა აქტიური, მაგრამ ნიშანი აქვს.

ქართ. სახელობითის • ნაცვალსახელოვანი ფუძეა, ნაწევარია და არა ბრუნვის ნიშანიო! ბრუნვის ნიშანი ნაცვალსახელოვან ფუძეს ისტორიულად კი არ გამოორიცხავს, არამედ გულისხმობს.

ქართულში ზმნის ახალმა სტრუქტურამ („ინდო-ევროპული ზმნის სტრუქტურას დაუახლოვდა“) აუცილებელი გახდა აკუზატივის შექმნა და ესაა მიცემითიო. არსებითად ეს აზრი სწორი ჩანს (მიცემითი აკუზატივს უახლოვდება), მაგრამ ამას უპირისპირდება ავტორის სხვა დებულება — აკუზატივის მაგივრობას სახელობითი ეწეოდაო. თუ სახელობითი (ანდა უნიშნო ფუძეა) ისტორიულად აკუზატივს უდრიდა, რაღა საჭირო იყო აკუზატივის ფუნქცია მიცემითს დაკისრებოდა.

სახელობითის აკუზატივად გამოცხადება მცდარია, და ასეთი გაგება უმართებულო თვალსაზრისითაა განსაზღვრული, თითქოს უნიშნო ბრუნვა პასიურს, ობიექტს, გამოხატავდეს.

ყაბარდოულსა და ბასკურში ლაბილური კონსტრუქცია რომ გვაქვს, მას ახალ ფაქტად ვერ მივიჩნევთ. ეს კონსტრუქცია უნდა იყოს ძველის-ძველი.

საინტერესოა ზმნათა გენეზისური კლასიფიკაცია: აღქმის ზმნები (*verba sentiendi*), მოქმედებისა და მდგომარეობის ზმნები; მერე: გარდამავალი და გარდაუვალი, მერე: „ინდო-ევროპული ტიპი“, ოღონდ მდგომარეობის ზმნებს (სტატიკურ ზმნებს) დინამიკური ეფარდება და არა მოქმედების ზმნები. ინდო-ევროპული ტიპის რაობა და ადგილიც სარკვევია.

ტრომბეტის გაკრიტიკება, როცა ტრომბეტის პრინციპითაა სუბიექტის აქტიურობა დასაბუთებული, უცნაურია.

ზმნის გვართა საკითხი ს. ბიხოვსკაიასთან არსებითად უგულვებლყოფილია.

§ 17. ნ. იაკოვლევი ერგატიული კონსტრუქციის შესახებ ჩაჩურ-

ში. ერგატიული კონსტრუქციის რაობა ნ. იაკოვლევს დახასიათებული აქვს შრომაში „ჩაჩური სალიტერატურო ენის სინტაქსი“,¹ უფრო ვრცლად კი ნ. იაკოვლევს შეხედულება გადმოცემული იყო მოხსენებაში „იაფეტურ და ზოგ სხვა ენათა აქტიური აგებულებისათვის“.²

ჩვენ აქ დავასახელებთ ამ მოხსენების ძირითად დებულებას, რომ უფრო გასაგები იყო ნ. იაკოვლევს შეხედულება ერგატიული კონსტრუქციის შესახებ ჩაჩურში, რასაც დაწვრილებით განვიხილავთ. „იაფეტურ ენებში“ (ე. ი. იბერიულ-კავკასიურ ენებში) ნ. იაკოვლევს სამგვარი კონსტრუქცია აქვს გამოყოფილი: არაპროდუქტიული (ე. ი. გარდაუვალზმნიანი), პროდუქტიული (ე. ი. გარდამავალზმნიანი) და მიცემითიანი.

ამ კონსტრუქციებს ნ. იაკოვლევი ახასიათებს მნიშვნელობის მიხედვით.

არაპროდუქტიული კონსტრუქცია აღნიშნავს მდგომარეობას, გარდაუვალ მოქმედებას (ეს კონსტრუქცია შედგება სახელო-

¹ Проф. Н. Ф. Яковлев (При участии А. Х. Хумпарова, М. С. Саидова и А. С. Беква). Синтаксис чеченского литературного языка. Москва-Ленинград, 1940.

² მოხსენება წაკითხული იყო 1941 წლის იანვარში იბერიულ-კავკასიურ ენებისადმი მიძღვნილ სესიაზე — საკავშ. მეცნიერ. აკადემ. ლიტ. და ენის განყოფილებისა. ჩვენ ხელთა გვაქვს მოხსენების ვრცელი თეზისები (რამდენადაც ვიცით, მოხსენება არ დაბეჭდილა, ამიტომ ნ. იაკოვლევს შეხედულებას გავითვალისწინებთ „ჩაჩური სალიტერატურო ენის სინტაქსის“ მიხედვით).

ბითი ბრუნვისა და გარდაუვალი ზმნისაგან).

პროდუქტიული კონსტრუქცია აღნიშნავს მოქმედების პროცესს, როგორც პროდუქტიულ პროცესს (ესაა ერგატიული კონსტრუქცია; მასში შედის გარდამავალი ზმნა, სუბიექტი ერგატიულ ბრუნვაში და ობიექტი — სახელობით-ბრალდებითში).

მიცემითიანი კონსტრუქცია (ე. ი. კონსტრუქცია, რომელსაც სუბიექტი მიცემითში აქვს) უპირატესად გამოხატავს „ობიექტური სინამდვილის ასახვას ცნობიერებაში, რომელი სინამდვილეც გაიაზრებოდა, როგორც ცნობიერების მდგომარეობა“. მიცემით-სუბიექტიანი კონსტრუქცია ფორმით არაპროდუქტიულია (გარდაუვალია), თუმცა მნიშვნელობით იგი ამყვამდ პროდუქტიულ კონსტრუქციად ქცეულა. ამ კონსტრუქციაში — ნ. იაკოვლევის თქმით — გარკვეული თავისებურებები შეიმჩნევა სხვადასხვა იბერიულ-კავკასიურ ენებში (მაგრამ ამაზე ვერ შევჩერდებით).

პროდუქტიული კონსტრუქცია უწოდა ნ. იაკოვლევმა ერგატიულ კონსტრუქციას იმიტომ, რომ გარდამავალი ზმნა სუბიექტის აქტიურობას, რაღაცის შექმნას გულისხმობს (მეტწილად).

ცნებების („პროდუქტიული“ — „არაპროდუქტიული“) აქ მოცემული განმარტება ორიგინალური არ არის;¹ მაგრამ ჩვენთვის აქ მთავარია ის, რომ ხსენებული ცნებები საყრდენად აქვს გამოყენებული ნ. იაკოვლევს ამ მოხსენებაშიც და უფრო ადრე ჩაჩნური ენის სინტაქსში.

წინეთ (§ 6) აღნიშნული გვქონდა, რომ პ. უსლარმა პირველად შრომაში „ჩაჩნური ენა“ (შემდეგ კი შრომაში „ხუნძური ენა“, § 123) წამოაყენა დებულება: ჩაჩნური გარდამავალი ზმნა (ხუნძური გარდამავალი ზმნა) პასიურიაო. ნ. იაკოვლევი, პირიქით, ამტკიცებს ჩაჩნურ გარდამავალ ზმნას პასიურად ვერ მივიჩნევთ, იგი აქტიურიო. როგორც ვიცით, უსლარისთვის ამოსავალი იყო სინტაქსური ვითარება: ერგატივში დასმული რეალური სუბიექტი ზმნას არ ითანხმებს, რეალური ობიექტი კი, რომელიც სახელობითში დგას, ზმნას ითანხმებს. მაშასადამე, რეალური ობიექტი ყოფილა ქვემდებარე (გრამატიკული სუბიექტი), რეალური სუბიექტი კი — ირიბი დამატება: რეალური სუბიექტის ბრუნვა ერგატივი = მოქმედებითს.

ნ. იაკოვლევი სწორედ ჩაჩნურ მასალაზე ცდილობს გვაჩვენოს, რომ ერგატიული კონსტრუქცია არ არის პასიური, იგი აქტიურად უნდა მივიჩნიოთ. რას ემყარება ნ. იაკოვლევის მსჯელობა? რა არის მისთვის ამოსავალი? ნ. იაკოვლევის შეხედულება იმდენად

¹ არსებითად ეს ცნებები ისევე, როგორც მათი საყრდენი ცნებები „ცენტრისკენული“, „ცენტრიდანული“ (რომელთაც აგრეთვე იყენებს ნ. იაკოვლევი), ნ. ფინკს აქვს ნახშიარი ოცდახუთმეტეოდე წლით ადრე (იხ. აქვე, § 17).

თავისებურია, რომ საჭიროდ მიგვაჩნია სრულად მოვიყვანოთ საჭირო ადგილები შრომიდან „ჩაჩნური სალიტერატურო ენის სინტაქსი“.

„ჩაჩნურს ენაში — წერს ნ. იაკოვლევი — ორი ძირითადი კონსტრუქცია გვაქვს: „გარდაუვალი (არაპროდუქტიული) და გარდამავალი (პროდუქტიული)“. გარდაუვალი კონსტრუქცია გამოხატავს ისეთ მოქმედებას, რომელსაც არა აქვს შრომის პროდუქტი ანდა საერთოდ ობიექტი. ამიტომ გარდაუვალ კონსტრუქციაში არ შეიძლება გვქონდეს არც ფორმით, არც შინაარსით პირდაპირი დამატება. მაშასადამე, ამ კონსტრუქციაში წინადადების მხოლოდ ორი მთავარი წევრია: შემასმენელი და ქვემდებარე. გარდამავალი კონსტრუქცია გამოხატავს მოქმედებას, რომელსაც აქვს შრომის პროდუქტი ანდა საერთოდ, ობიექტი. მაშასადამე, გარდამავალ წინადადებაში(!) ყოველთვის მოიპოვება ანდა იგულისხმება პირდაპირი დამატება. ამიტომ გარდამავალ კონსტრუქციაში წინადადების სამი მთავარი წევრი გვაქვს: შემასმენელი, ქვემდებარე და პირდაპირი დამატება:

გარდაუვალი კონსტრუქცია	გარდამავალი კონსტრუქცია
თრაქტორი რემონტეჰ ლათთა	თრაქტორი არმე ოხუ
„ტრაქტორი გასარემონტებლად დგას“	„ტრაქტორი მინდორსა ხნავს“. ¹

როგორც ვხედავთ, ნ. იაკოვლევი კონსტრუქციებს სახელს დებს ზმნათა მიხედვით: „გარდაუვალი“, „გარდამავალი“. ეს, იქნებ, არც ურიგო ყოფილიყო, ერთი გარემოება რომ არა: გარდაუვალია არა მხოლოდ სახელობითიანი კონსტრუქცია (რეალური სუბიექტი — სახელობითში), არამედ ისეთი კონსტრუქციაც, რომელსაც რეალური სუბიექტი მიცემითში აქვს. მერე: ნ. იაკოვლევი გარდამავალ კონსტრუქციაში სამი მთავარი წევრი გამოყო: შემასმენელისა და ქვემდებარის გარდა — პირდაპირი დამატება.

ქვემდებარესა და შემასმენელს მთავარ წევრებად მიიჩნევენ პრაქტიკული გრამატიკები — მნიშვნელობის მიხედვით: ქვემდებარე, შემასმენელი ისევეა წინადადების მთავარი წევრი, როგორც სუბიექტი და პრედიკატი მსჯელობაში (ე. ი. ლოგიკაში).

რით ხელმძღვანელობს ნ. იაკოვლევი? თუ ამავე თვალსაზრისით, მაშინ პირდაპირი დამატება „მთავარ წევრად“ შეუძლებელია მივიჩნიოთ: მნიშვნელობის მიხედვით პირდაპირს დამატებას ქვემდებარის ტოლ-

¹ ნ. იაკოვლევი, ჩაჩნური სალიტერატურო ენის სინტაქსი, 1940, გვ. 58-59. ხაზი ჩვენია — ა. ჩ.

ფარდად ვერ დავსახავთ. ლოგიკამ, საერთოდ, არ იცის მსჯელობის წევრი, პირდაპირ დამატებას რომ შეეფერებოდეს. მსჯელობის შედგენილობაში მესამე წევრად, სუბიექტისა და პრედიკატის გარდა მაკავშირებელი წევრი, კოპულა შეიძლება გვქონდეს (კოპულა მეშველი ზმნა).

ნ. იაკოვლევი განაგრძობს: „გარდაუვალ კონსტრუქცია განსხვავდება გარდამავლისაგან შემდეგი ნიშნებით: 1. გარდაუვალ კონსტრუქციაში წინადადების ორი მთავარი წევრია: ქვემდებარე და შემასმენელი, გარდამავალში — სამი: ქვემდებარე, პირდაპირი დამატება და შემასმენელი... 2. გარდაუვალ კონსტრუქციაში ქვემდებარე დგას სახელობით-ბრალდებითს ბრუნვაში, გარდამავალში კი — სპეციალურ ბრუნვაში გარდამავალი ქვემდებარისათვის — აქტიურ ბრუნვაში; სახელობით-ბრალდებითს ბრუნვაში კი დგას პირდაპირი დამატება. 3. შემასმენელი გარდაუვალ კონსტრუქციაში ეთანხმება კლასის მიხედვით ქვემდებარეს, გარდამავალ კონსტრუქციაში — პირდაპირ დამატებას. რასაკვირველია, ეს ენება მხოლოდ ისეთ ზმნებს, რომელთაც აქვთ კლასის მიხედვით შეთანხმება, თუ ზმნას ასეთი შეთანხმება არა აქვს, ის არც ქვემდებარეს ეთანხმება, არც — დამატებას“.¹

აქაც კითხვა იმის: რის მიხედვით დაერქვა სახელობითს ბრუნვას „სახელობით-ბრალდებითი?“ თუ იმის მიხედვით, რომ „სახელობითი“ სხვა ენების პირდაპირი ობიექტის გადმოსაცემად არის გამოყენებული, ეს არ იქნება მართებული: მორფოლოგიური ფაქტი ვერ დახასიათდება სინტაქსური როლის მიხედვით, რომელიც სხვა ენაში მას შეიძლება ჰქონდეს. ჩაჩნურშიც ამას გარკვეული უხერხულება ახლავს. სახელობითს ნ. იაკოვლევი „სახელობით-ბრალდებითი“ უწოდა. ამას შედეგად ის მოჰყვა, რომ ქვემდებარე სახელობით-ბრალდებითში აღმოაჩნდა გარდაუვალ ზმნას: ქვემდებარე ბრალდებითს ბრუნვაში (!); მერე: გარდამავალი ზმნა ეთანხმება პირდაპირ დამატებას (ქვემდებარეს — არა). რატომ ხდება ეს? ნ. იაკოვლევი ამაზე არაფერს ამბობს: ყველაზე საყურადღებო თავისებურება აუხსნელად არის დატოვებული.

„ჩაჩნურ ენაში მოგვეპოვება ცალკეული ზმნები, რომელთაც აქვთ როგორც გარდამავალის, ისე გარდაუვალის მნიშვნელობა... მაგალ. დუზუ: კუდალ ხიხ დუზუ „კოკა წყლით ივსება“ — დოჟა დუზუ კუდალ ხიხ „ქალიშვილი ავსებს კოკას წყლით“²... „როგორც ჩანს, აქ საქმე გვაქვს ძველისძველი წარსულის გადმონაშთთან, როდესაც გარდამავალი და გარდაუვალი წინადადებები და მასთან ერთად გარდამავალი და გარდაუვალი გვა-

¹ ნ. იაკოვლევი, ჩაჩნური სალიტერატურო ენის სინტაქსი, 1940, გვ. 58.

² იქვე, გვ. 62.

რები ზმნაში ჯერ კიდევ არ იყო გაორებული, გამიჯნული“.¹

ერგატივი (აქტიური ბრუნვა) ჩაჩნურში ზმნას არ ითანხმებს. მაშ, რატომ მიიჩნია ნ. იაკოვლევი იგი ქვემდებარედ? ამ საკითხთან დაკავშირებით ნ. იაკოვლევის შრომაში ასეთ მსჯელობას ვიპოვით: „აქამდე ჩაჩნური წინადადების სინტაქსური გარჩევისას ქვემდებარედ მიიჩნევდნენ ჩვეულებრივ იმ სიტყვას, რომელიც სახელობით-ბრალდებითს ბრუნვაში იყო დასმული... ამგვარად, ჩაჩნური ქვემდებარე ხვდებოდა ნამდვილ ქვემდებარეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა შემასმენელი-ზმნა გარდაუვალი იყო (ე. ი. როცა ქვემდებარე სახელობით-ბრალდებითს ბრუნვაში იდგა), ხოლო გარდამავალ ზმნა-შემასმენელთან (როდესაც ქვემდებარე აქტიურ ბრუნვაში დგას), ქვემდებარედ აქამდე მიიჩნდათ არა ნამდვილი ქვემდებარე, არამედ პირდაპირი დამატება... მასთან ქვემდებარის აქტიური ბრუნვა ითვლებოდა მოქმედებით ბრუნვად მაშინ, როდესაც ჩაჩნურში ცალკე არსებული ნამდვილი მოქმედებითი (მოქმედებითი-ნათესაობითი) განიმარტებოდა, როგორც თანაობითი. ეს საშუალებას უსპობდა ჩაჩნებს არა მხოლოდ სწორად გაეგოთ თავისი დედაენის აგებულება, არამედ ზუსტად და სწორად ეთარგმნათ ჩაჩნური წინადადებანი რუსულ ენაზე. არევ-დარევა წინადადების საკითხში, აგრეთვე მოქმედებითი ბრუნვის საკითხში იწვევდა იმას, რომ წინადადებას... „ას სთოლ დო“ თარგმნიდნენ როგორც „ჩემ მიერ მაგიდა კეთდება“ (мною делается стол)... ერთი სიტყვით, გარდამავალი ჩაჩნური წინადადებანი ყველგან ითარგმნებოდა რუსული ვნებითი კონსტრუქციით, თუმცა ჩაჩნურში ისევე, როგორც ბევრ სხვა აღმოსავლურ ენაში, არა გვაქვს ნამდვილი ჩამოყალიბებული ვნებითი კონსტრუქცია. გარდამავალი ზმნის კონსტრუქციის ეს უაზრო გაგება არა მხოლოდ თეორიულ არევ-დარევას იწვევდა, არამედ მას სერიოზული პრაქტიკული შედეგებიც მოჰყვებოდა. ჩაჩნური წინადადების აგებულების ასე გაგებისას და რუსულ ენაზე მის ამგვარად თარგმნისას ჩაჩანთა უმრავლესობას უადრესად გაძნელებული ჰქონდა რუსული ენის სწორად შეთვისება. ეს არის ერთ-ერთი მიზეზი — წერს ნ. იაკოვლევი, — რომელიც სერიოზულად უშლის ხელს რუსული ენის ცოდნის გავრცელებას საჩაჩნოსა და ინგუშეთში. ამის წყალობითაა, რომ მრავალი ჩაჩანის მეტყველებაში... ვხვდებით საშინლად დამახინჯებულ რუსულ მეტყველებას. მთელი ეს მავნებლური არევ-დარევა ჩაჩნური დამწერლობის არსებობის მანძილზე იყო პირდაპირი შედეგი გაუგებრობისა და ბურჟუაზიული ნაციონალისტების შეგნებული რუსიფიკატორობისა... ჩაჩნური და ინგუშური წინადადებების აგებულების ასეთ არასწორ გაგებას დასაბამი მისცა პ. კ. უსლარმა, სახელგანთქმულმა მკვლევარმა, კავკასიურ ენათა შესწავლის პიონერმა, რო-

¹ იქვე, გვ. 62.

მელიც გასული საუკუნის მესამოცე წლებში მუშაობდა. როცა უსლარი აგვიწერდა ჩაჩნურ წინადადებასა და მის თავისებურ კონსტრუქციას — ქვემდებარით აქტიურ ბრუნვაში, მან არასწორი ვარაუდი დაიჭირა, რომ ჩაჩნურს ენაში სრულიად არ მოიპოვება მოქმედებითი კონსტრუქცია, ე. წ. აქტიური კონსტრუქცია... მარტო უსლარს არ ესმოდა ამგვარად თავისებური წყობა, რომელიც განასხვავებს ბევრს იაფეტურსა და სხვა ენებს. მთელი რიგი გამოჩენილი ევროპული ბურჟუაზიული ენათმეცნიერი, როცა ხვდებოდა წინადადების კონსტრუქციის ასეთ თავისებურებებს ბასკურში, ჩრდილო-ამერიკის ინდიელთა ენებში, კავკასიის იაფეტურ ენებში და სხვ., ამ კონსტრუქციის თავისებურებებს განმარტავდა, როგორც პასიურს, ე. ი. როგორც ვნებითს კონსტრუქციას. მათ რიგს ეკუთვნიან ისეთი ცნობილი მეცნიერები, როგორიც არიან: ულენბეკი, შუხარდტი, დიუმეზილი, ერთის მხრით, დირი, ტრომბეტი, რომელმაც ბოლოსდაბოლოს უარი თქვა მიეჩნია ეს კონსტრუქცია პასიურად, — მეორე მხრით“.¹

ამგვარად ნ. იაკოვლევა არა თუ მცდარად მიიჩნია ერგატიული კონსტრუქციის პასიურობა, რომელსაც რიგი ცნობილი მეცნიერი იცავს, არამედ მავნებლურიც უწოდა მას (რუსულის შესწავლას აბრკოლებს ჩაჩნ-ინგუშთა მიერაო!).

როგორი იყო სწორი გაგება ამ კონსტრუქციისა ჩაჩნურში? ამაზე პასუხს ნ. იაკოვლევი კვლავ პასიურობის თეორიის შეჩვენებით იწყებს. „ქვემდებარის ფორმის საკითხის სწორად გადაწყვეტას ჩაჩნურს ენაში, — წერს ნ. იაკოვლევი, — აქვს არსებითად დიდი მნიშვნელობა ჩაჩნური დამწერლობისა და ჩაჩნური სალიტერატურო ენის ზრდა-განვითარებისათვის. თუ ჩაჩნურ ენაში ქვემდებარედ მივიჩნევთ პირდაპირ დამატებას, როგორც ეს აქამომდე იყო, ეს საშუალებას არ მისცემს ჩაჩნებს სწორად შეიგნონ თავისი დედა-ენის თავისებურებები, ჩაჩნების ენასა და ჩაჩნების აზროვნებას (სუბიექტის ცნება) აყენებს განმხოლოებულ მდგომარეობაში და არ აძლევს ჩაჩნებს შესაძლებლობას ადვილად შეითვისონ რუსული და სხვა ევროპული თუ ეროვნული ენები. ერთი სიტყვით, ამ შემთხვევაში ჩვენ მოგვიწევდა წასვლა ისტორიის მიერ დაგმოილი გზით, ხალხთა მტრებისა და ბურჟუაზიული ნაციონალისტების გზით“.²

ერგატიული (აქტიური) ბრუნვის მოქმედებით ბრუნვად გაგება, ერგატიული კონსტრუქციის პასიურად მიჩნევა ნ. იაკოვლევა აქ უკვე პოლიტიკურ დანაშაულად გამოაცხადა, ხალხის მტრებისა და ბურჟუაზიული ნაციონალისტების საქმიანობას დაუკავშირა: ჩაჩნების იზოლაციას გამოიწვევს, ჩაჩნებს რუსულისა და სხვა ენების შესწავლას გაუძნელებსო. ერთი

¹ ნ. იაკოვლევი, ჩაჩნური სალიტერატურო ენის სინტაქსი, გვ. 45-48.

² ნ. იაკოვლევი, იქვე, 1940, გვ. 50-51.

სიტყვით, ნ. იაკოვლევი პასიურობის თეორია კლასობრივი თვალსაზრისით შეაფასა, პასიურობის თეორია დასახა ხალხის მტრებისა და ბურჟუაზიული ნაციონალისტების საქმედ, ამგვარი „მეცნიერული“ საშუალებით ანგარიში გაუსწორა მოწინააღმდეგეთ და თავისუფალი სარბიელი მოუპოვა საკუთარ შეხედულებას.

როგორია ეს შეხედულება? ნ. იაკოვლევი წერს: „ერთადერთი სწორი, ჭეშმარიტად მეცნიერული გადაწყვეტა ამ საკითხისა იქნება, თუ ჩაჩნურ ენაში ქვემდებარედ მივიჩნევთ იმას, რაც ქვემდებარედ ესმით ყველა(!) სხვა სალიტერატურო (!) ენაში. საკითხის ეს გადაწყვეტა ემყარება არა მხოლოდ აზროვნების ფორმებს, ლოგიკას, რაც შეიძლება ჩვენ გვისაყვედურონ, არამედ ჩაჩნური წინადადების გრამატიკული ფორმის სწორ გაგებას მის ისტორიულ განვითარებაში“.¹

გაუგებარია, თუ ჩაჩნური წინადადების გრამატიკული ფორმა ნ. იაკოვლევის გაგებას უჭერს მხარს, რაღა საჭიროა „ყველა სხვა სალიტერატურო ენის“ მოხმობა იმის გასარკვევად, თუ რა უნდა მივიჩნიოთ ჩაჩნურში ქვემდებარედ: ნ. იაკოვლევის დებულების მეორე ნაწილი პირველს არ ეგუება. მერეა-და: „ყველა სხვა სალიტერატურო ენაში“ ქვემდებარის საკითხი განა ერთნიარად წყდება?

მანც რა უნდა მივიჩნიოთ ქვემდებარედ, თუ „ჩაჩნური წინადადების გრამატიკული ფორმა მის ისტორიულ განვითარებაში“ სწორად გავიგეთ? ნ. იაკოვლევი განმატავს: „აქტიური ბრუნვა არის ქვემდებარის ბრუნვა ჩაჩნურ ენაში არა მხოლოდ იმიტომ, რომ ის ყოველთვის გამოხატავს მოქმედ პირს, არამედ იმიტომაც, რომ ეს ბრუნვა თვით თავისი ფორმის მიხედვით წარმოადგენს ყოველთვის და განსაკუთრებით პროდუქტიული ქვემდებარის ბრუნვას. ამ კანონს(!) არა აქვს არავითარი გამონაკლისი ჩაჩნურ ენაში. მაშასადამე, აქტიური ბრუნვა სახელობითის გვერდით არის ქვემდებარის მეორე ბრუნვა არა მხოლოდ მნიშვნელობით, არამედ ფორმის მიხედვითაც. რომ შემასმენელი (გარდამავალი ზმნა), მას არ ეთანხმება კლასის მიხედვით, ამის ანაზღაურებას იძლევა, სახელობრ, ის გარემოება, რომ თვით აქტიურ ბრუნვას სპეციფიკური სუბიექტური მნიშვნელობა აქვს. ქვემდებარე გამოხატულია აქ არა შემასმენლის მასთან შეთანხმებით, არამედ ბრუნვის დაბოლოებით“.²

¹ იქვე, გვ. 51.

² Активный падеж есть падеж подлежащего в чеченском языке не только потому, что

სამწუხაროდ, ნ. იაკოვლევი არაფერს ამბობს იმის შესახებ, თუ როგორ არის „გამოხატული ქვემდებარე ერგატიული ბრუნვის დაბოლოებით“ (ანდა კიდევ სხვა რა ბრუნვის დაბოლოებაა, რომ წინადადების წევრს გამოხატავდეს).

მართალია, ნ. იაკოვლევს სხვა ადგილას აღნიშნული აქვს: აქტიური ბრუნვა მხოლოდ ქვემდებარისათვის იხმარება; არავითარი სხვა მნიშვნელობა და გამოყენება ჩაჩნურს ენაში აქტიურ ბრუნვას არა აქვსო; ის, რომ მოქმედებითი ბრუნვა იყოს, ქვემდებარედ ხმარება ამ ბრუნვის გამოყენების კერძო შემთხვევა იქნებოდაო.¹ ეს, რა თქმა უნდა, ანგარიშგასაწვევი გარემოებაა, მაგრამ მაინც შინაარსის თვალსაზრისით ახასიათებს ერგატივს, როგორც რეალური სუბიექტის ბრუნვას; გვრჩება დებულება: აქტიური ბრუნვა აღნიშნავს აქტიურს, მოქმედს — წინადადების შინაარსის მიხედვით — და, მაშასადამე, ქვემდებარეა.

სინტაქსური ურთიერთობა აქ უყურადღებოდ არის დატოვებული მაშინ, როდესაც „პირდაპირი დამატების“ მთავარ წევრად გამოცხადებისას ნ. იაკოვლევი სინტაქსურ ურთიერთობას ანიჭებს გადამწყვეტ მნიშვნელობას!

ნ. იაკოვლევი არაფერს ამბობს იმაზე, თუ რატომ არ ეთანხმება აქტიურ ბრუნვას ზმნა, აკი ზმნა ეთანხმება სახელობითს, მაშინაც, როცა ის სუბიექტია (ე. ი. გარდაუვალ ზმნასთან), და მაშინაც, როცა ის პირდაპირი ობიექტია (ე. ი. გარდამავალ ზმნასთან). პასუხად არ გამოდგება იმის თქმა, აქტიურ ბრუნვას შემასმენელი, მართალია, არ ეთანხმება, მაგრამ აქტიურ ბრუნვას სპეციფიკური სუბიექტური მნიშვნელობა აქვსო. უცნაურია: შეთანხმება არა გვაქვს, ამის კომპენსაციას „თვით აქტიური ბრუნვის სპეციფიკური სუბიექტური მნიშვნელობა იძლევაო“; წინადადების ცალკეული წევრის, სიტყვის, ლექსიკური მნიშვნელობა სინტაქსური ურთიერთობის კომპენსაციას, მაგვირობას როგორღა შეიძლება ეწეოდეს!?

აქტიური ბრუნვის ამგვარად დახასიათების შემდეგ ნ. იაკოვლევი გადადის სახელობითი ბრუნვის დახასიათებაზე გარდამავალ ზმნასთან; აქ

он всегда выражает лицо действующее, но и потому, что этот падеж по самой своей форме представляет собою всегда и исключительно падеж продуктивного подлежащего... Активный падеж, на ряду с именительным является вторым падежом для подлежащего не только по значению, но и по форме. Отсутствие согласования с ним сказуемого (переходного глагола) в классе возмещается именно этим, обстоятельством — специфически субъектным значением самого активного падежа. Подлежащее выражено здесь не согласованием сказуемого, а — падежным окончанием (sic! — **ა. ჩ.**). Н. Яковлев. Синтаксис чечен. литер. языка 1940. გვ. 51 (ხაზი ჩვენია — **ა. ჩ.**).

¹ ნ. იაკოვლევი, იქვე, გვ. 48.

სახელობითი ევროპულ ენათა აკუზატივის მაგივრობას ეწევა, „პირდაპირი დამატების“ ბრუნვა: ნ. იაკოვლევს წინადადების მესამე მთავარ წევრად მიაჩნია (შემასმენლისა და ქვემდებარის შემდეგ). ნ. იაკოვლევი გვარწმუნებდა: ქვემდებარედ ჩაჩნურში იგივე (მოქმედის სახელი) უნდა იყოს, რაც ყველა სხვა ლიტერატურულ ენაშიო (მიუხედავად იმისა, რომ მოქმედის სახელს ზმნა არ ეთანხმება).

მოსალოდნელი იყო, რომ მოქმედების ობიექტის აღმნიშვნელი სახელობითი აგრეთვე შინაარსობლივი ფუნქციის მიხედვით იქნებოდა დახასიათებული: აქტიური, მოქმედი, ქვემდებარეა, მოქმედების სახელი, პასიური — „პირდაპირი დამატება“ და წინადადების მეორეხარისხოვანი წევრიაო, მაგრამ — არა, ნ. იაკოვლევმა „პირდაპირი დამატება“ წინადადების მთავარ წევრად გამოაცხადა: „ჩაჩნური ქვემდებარის საკითხის ამ ერთადერთი სწორი გადაწყვეტიდან... აუცილებლობით გამომდინარეობს (!?) ჩაჩნური წინადადების მესამე მთავარი წევრის პირდაპირი დამატების აღიარება. პირდაპირი დამატება იმიტომ არის ჩაჩნური წინადადების მთავარი წევრი, რომ შემასმენელი-ზმნა ყველა იმ შემთხვევაში, როცა შეთანხმება კლასების მიხედვით შეიძლება იყოს მასში გამოხატული, ყოველთვის ეთანხმება გარდამავალ წინადადებაში პირდაპირ დამატებას“.¹

აქტიური ბრუნვა რომ ირიბ ბრუნვად მიაჩნდათ და მოქმედებითი ბრუნვით თარგმნიდნენ, ნ. იაკოვლევი ამას პოლიტიკურ დანაშაულად თვლიდა — ჩაჩნურის განმხოლოებას იწვევს, რუსულის შესწავლას უძნელებს ჩაჩნებს, ეს ბურჟუაზიული ნაციონალისტებისა და ხალხის მტრების საქმეაო. მოქმედი სახელის არმიჩნევა ქვემდებარედ ამიტომ იყო შეუწყნარებელი; როგორღა არის შესაწყნარებელი „პირდაპირი დამატების“ გამოცხადება წინადადების „მთავარ წევრად“? ასეთი რამ უცხოა ევროპული ენებისათვის, უცხოა რუსულისათვის. თუ ეს არ გააძნელებს რუსული ენის შესწავლას, რატომ აქტიური ბრუნვის თავისებურ გაგებას უნდა გაეძნელებინა რუსული ენის შესწავლა? ცნობილია, რომ დედა-ენის თავისებურებათა ჯეროვნად გათვალისწინება ხელს კი არ უშლის უცხო ენის შესწავლას, არამედ ხელს უწყობს მის შეგნებულად შეთვისებას. ხელს თუ უშლის, ისევ — თავისებურებათა მიფუჩჩეება, განსხვავების არდანახვა.

„ჩაჩნურს წინადადებაში სამი მთავარი წევრის გამოყოფა — ვკითხულობთ ნ. იაკოვლევთან — არ ართულებს გრამატიკის სწავლებას სკოლაში. პირდაპირი დამატების გამოყოფას (მთავარ წევრად) ჩაჩანი-მასწავლებლები და ყველა წიგნიერი ჩაჩნები უკვე მიჩვეული არიან, რადგანაც აქამდე ის გამოიყოფოდა, როგორც ქვემდებარე. გარდა ამისა, პირდაპირ-

¹ Н. Яковлев, Синтаксис чечен. литер. языка, 1940, გვ. 51.

რი დამატება, როგორც გრამატიკული გამოსახულება (უკუფენა) შრომის პროდუქტისა და საერთოდ ობიექტისა, აზროვნების იმდენად მნიშვნელოვან კატეგორიას წარმოადგენს, რომ იგი უნდა გამოგვეყო (მთავარ წევრად — **ა. ჩ.**) არამხოლოდ ჩაჩნურში, არამედ რუსული ენის სწავლებისას სკოლაში. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს მოსწავლეთა გონებრივი განვითარებისათვის. ის ფაქტი, რომ ჩაჩნური წინადადების თავისებურ აგებულებას აუცილებლობით მივყავართ წინადადების მთავარ წევრად პირდაპირი დამატების აღიარებასთან, წარმოადგენს ჩაჩნური გრამატიკის უცილობელ უპირატესობას. ეგვე დასკვნა უნდა გავკეთდეს ყველა იაფეტური ენის შესახებ, რომელთაც აქვთ გარდამავალი წინადადების თავისებური აქტიური წყობა და აქტიური ანუ პროდუქტიული ქვემდებარის თავისებური ფორმა მიუხედავად იმისა, მისი გამოხატვის რა განსხვავებული გრამატიკული საშუალებებიც მათ აქვთ (დალესტინის ენები, ყაბარლოული, ადიღეური, აფხაზური და აბაზური და სხვ.)¹

ნ. იაკოვლევს არ მოხსენდება, რომ „პირდაპირი ობიექტი“ ერგატივ-სუბიექტის სინტაქსურ ტოლად იყო მიჩნეული ქართული მარტივი წინადადებების შესწავლის პროცესში,² ოღონდ არა იმიტომ, რომ „პირდაპირი დამატება შრომის პროდუქტის და საერთოდ ობიექტის გამოსახულებას“ წარმოადგენს (პირდაპირი ობიექტი ყველა ენაში ობიექტს ნიშნავს), არამედ ნიშან-თვისებათა გათვალისწინებით. მთავარი კი ისაა, რომ ნ. იაკოვლევი „პირდაპირი დამატების“ დახასიათებისას სინტაქსურ მომენტს ანგარიშს უწევს (თუმცა არსებითი „შრომის პროდუქტად“ მიჩნევა ჩანს): პირდაპირი დამატება მთავარი წევრია იმიტომ, რომ ზმნას ითანხმებს; მაგრამ ამ სინტაქსურ მომენტს, როგორც ვნახეთ, სრულიად არ ეწევა ანგარიში ქვემდებარის საკითხის განხილვისას. არავითარი თანამიმდევრობა ნ. იაკოვლევს მსჯელობაში არა გვაქვს.

ერგატიული ბრუნვა ჩაჩნურში აქტიური ბრუნვაა. ცხადია, შესაბამისად უნდა შეფასდეს გარდამავალი ზმნაც (რომლის სუბიექტადაც ერგატიული ბრუნვა იხმარება) და მთლიანად ერგატიული კონსტრუქცია: ერგატიული კონსტრუქცია პასიური კი არა, აქტიურია. ამის თაობაზე ნ. იაკოვლევი წერს:

„ჩაჩნური გარდამავალი წინადადების აქტიური წყობის (აგებულების) არსი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მოქმედი პირი ანდა მოქმედი საგანი მასში ფორმითაც, აზრის მიხედვითაც არის სუბიექტი და მოე-

¹ იქვე, გვ. 51.

² არ ნ. ჩიკობავა, მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, I, 1928, გვ. 280.

პოვება საგანგებო ბრუნვის ფორმა, — აქტიური ბრუნვა, რომელიც იხმარება მხოლოდ და მხოლოდ ქვემდებარის გამოსახატავად...“¹ — მოქმედებითი ბრუნვა არსებობს ჩაჩნურში დამოუკიდებლივ... ნამდვილი მოქმედებითი ბრუნვის ფორმით იარაღის მნიშვნელობით ჩაჩნურში ვერ ვიხმართ ადამიანის სახელებს, მაგრამ შეგვიძლია დავსვათ საგნების სახელები და ყველაფერი ის, რაც ბუნების კლასს ეკუთვნის“.² და კიდევ: „...ზოგი მკვლევარი ჩაჩნურ გარდამავალ კონსტრუქციას ურევდა ვნებითიან კონსტრუქციაში. ჩაჩნური წინადადების კონსტრუქციის ამგვარად ახნისას აუცილებელი ხდებოდა იმ დასკვნის გაკეთება, რომ ჩაჩნურ ენაში მხოლოდ ვნებითი კონსტრუქცია მოგვეპოვება და არა გვაქვს მოქმედებითი. ამ შემთხვევაში ქვემდებარის აქტიურ ბრუნვას მიიჩნევდნენ მოქმედებითად, გარდამავალი ზმნის ყველა ზმნურ ფორმას — ვნებითი გვარის ფორმებად. ფაქტების ასეთ ინტერპრეტაციას დასაბამი მისცა პ. კ. უსლარმა, რომელიც წერდა: „...ჩაჩნურ ენაში სრულებით არა გვაქვს მოქმედებითი, გარდამავალი ზმნები, არამედ მხოლოდ და მხოლოდ საშუალო და ვნებითები“ („ჩაჩნური ენა“, გვ. 64)... „აქ არ შეიძლება ვთქვათ, რომ ბრალდებითი ბრუნვა ყოველთვის ჰგავს სახელობითსაო. ბრალდებითი ბრუნვა შეუძლებელია გვქონდეს თვით ჩაჩნური ზმნის თვისების გამო“ (იქვე, გვ. 65). ამისდა მიხედვით უსლარი აქტიურ ბრუნვას უწოდებს „მოქმედებითს“, ნამდვილი მოქმედებითი ბრუნვა იწოდება „ინსტრუმენტალურ-კავშირებითად“ და ჩაჩნური გარდამავალი წინადადებები ყველგან თარგმნილია რუსული ვნებითი კონსტრუქციით. შემდეგში, უსლარის ეს კონცეფცია მიიღო, თუმცა საკმაოდ შერბილებული, არანათლად ჩამოყალიბებული სახით ზ. მალსაგოვმა (ინგუშურ გრამატიკაში, ვლადიკავკაზი, 1925, გვ. 31-32). შემდეგ კი უსლარისა და ზ. მალსაგოვის გავლენით, ჩაჩნური გრამატიკების ყველა ავტორი მისდევდა ამ ძირშივე ყალბ შეხედულებას ჩაჩნური წინადადების აგებულებაზე. აქ ისდა დავგრჩენია ვთქვათ, რომ, თუ უსლარს გაყვებოდით, შეიძლებოდა მიგველო აბსურდული დასკვნა, რომ ჩაჩნურს ენაში საერთოდ არ მოიპოვება გარდამავალი წინადადება და გარდამავალი ზმნები. ფაქტი, რომელზედაც მიუთითებს უსლარი, მხოლოდ ერთ რამეზე ლაპარაკობს; ჩაჩნურ ენაში არ მოიპოვება გარჩევა მოქმედებითისა და ვნებითი კონსტრუქციებისა, მოქმედებითისა და ვნებითი გვარებისა ისეთი თანამიმდევრული ფორმით, როგორითაც ეს გვაქვს ევროპულ ენათა უმეტესობაში. იმავე უფლებით უსლარს შეეძლო ემტკიცებინა, რომ ყველა კონსტრუქცია, რომელთაც ის ვნებითს უწოდებს, არის მოქმედებითი და რომ ამგვარად ჩაჩნურს ენაში სულ არა გვაქვს ვნებითი კონ-

¹ Н. Яковлев, Синтаксис чечен. языка, 1940, гв. 48.

² იქვე, გვ. 49; იხ. აგრეთვე გვ. 90, 93..

სტრუქცია“.¹

„და მაინც, — შენიშნავს ნ. იაკოვლევი — იმ თვალსაზრისზე რომ დავმდგარიყავით, რომ ჩაჩნურში გვაქვს მხოლოდ და მხოლოდ მოქმედებითი კონსტრუქცია და სრულებით არა გვაქვს ვნებითი, ამ შემთხვევაშიაც დავუშვებდით უზუსტობას, მართალია, უფრო მცირეს, ვინემ უსლართან გვაქვს. თუმცა ჩ ა ჩ ნ უ რ მ ე ტ ყ ვ ე ლ ე ბ ა შ ი ძ ი რ ი თ ა დ ა დ გ ვ ა ქ ვ ს მ ო ქ მ ე დ ე ბ ი თ ი (გარდამავალი) და გარდაუვალი (საშუალო) კონსტრუქცია (და, მაშასადამე, გვარებიც), რიგს შემთხვევაში ნამდვილი ვნებითი კონსტრუქციის განვითარების ჩანასახებს ვამჩნევთ. მართალია, ვნებითი კონსტრუქციის ხმარება ჩაჩნურ ენაში არ არის გამოკვეთილი, არ არის საკმარისად დამდგარი და შემოიფარგლება არც თუ ბევრი შემთხვევით. ეს გვაიძულებს აღვიაროთ, რომ ჩაჩნურ ენაში ჯერ კიდევ არა გვაქვს ნამდვილი განვითარებული ვნებითი კონსტრუქცია, არამედ ამ კონსტრუქციის მხოლოდ ჩანასახები. ყველაზე ცხადი ვნებითი კონსტრუქცია გვაქვს, როცა შემასმენელი ნამყო სრულის ფორმაშია, მასთან ეს კონსტრუქცია განსხვავდება, როგორც გარდამავალი, ისე პროცესობრივ-გარდამავალი კონსტრუქციებისაგან“.²

გ ა რ დ ა მ ა ვ ა ლ ი :	ვ ნ ე ბ ი თ ი :	პ რ ო ც ე ს . - გ ა რ დ ა მ ა - გ ა ლ ი :
რხა არღე თრაქტორცა წხნა „ჩვენ მინდორი ტრაქტორით მოვხანით“	არღე თრაქტორცა „მინდორი ტრაქტორით მო- ხნულია“	რხა არღე თრაქტორცა აუ „ჩვენ მინდორი - ტრაქ- ტორით ხვანაში ვართ“ (?) (იქვე, გვ. 90).

ნ. იაკოვლევი შენიშნავს: „ვნებითის მნიშვნელობას ჩაჩნური წინადადება მაშინ იძენს, როცა იგი (ალბათ, ზმნა — **ა. ჩ.**) უპიროა, ე. ი. კარგავს თავის ნამდვილ ქვემდებარეს“.

ანალოგიური მოვლენები სხვა იბერიულ-კავკასიურ ენებშიც შეიმჩნევა, ოღონდ აქ ასეთ შემთხვევაში მაინც არა გვაქვს ნამდვილი ვნებითი; ამისდა მიუხედავად დაკვირვება საინტერესოა იმის გასათვალისწინებლად, თუ რა როლი ეკისრებოდა სუბიექტს გარდამავალ ზმნათა უღვლილებაში.

როგორც ზემომოყვანილი ადგილიდან ჩანს, ნ. იაკოვლევი, ჩაჩნურში ძირითადად მოქმედებითსა და გარდაუვალ კონსტრუქციას გამოყოფს და შესაბამისად გვარებსაც (მოქმედებითს, საშუალოს) ვარაუდობს ჩაჩნურში (ვნებითის ჩანასახილა შეიმჩნევაო).

გარდამავალი კონსტრუქცია მოქმედებითს გვარს კიდევ არ ნიშნავს:

¹ ნ. იაკოვლევი, იქვე, გვ. 89-90. ხაზი ჩვენია — **ა. ჩ.**
² იქვე, გვ. 90.

სინტაქსური კონსტრუქცია, რომელსაც ზმნა ქმნის, და მო-
რფოლოგიური კატეგორია, რომლის მიხედვითაც ზმნა იცვლება,
ერთმანეთს ვერ გაუტოლდება; ამიტომ „მოქმედებითი კონსტრუქცია“ ისე-
თივე უხერხული გამონათქვამია, როგორც იქნებოდა „გარდამავალი გვა-
რი“.

უფრო არსებითია სხვა გარემოება: გარდამავალი და გარდაუვალი
კონსტრუქციების მიხედვით ნ. იაკოვლევი მოქმედებითსა და საშუალო
გვარებს გამოყოფს, მაგრამ გვარები რომ გამოვყოთ, სა-
თანადო სხვაობა ზმნის უღვლილებაში უნდა დადას-
ტურდეს, ნ. იაკოვლევი კი წერს: „გარდამავალი და გარდაუვალი კონ-
სტრუქციები თითქმის არ განსხვავდება ერთმანეთისაგან შემასმენელ-
ზმნის ფორმითაო“.¹

აქტიური ბრუნვის შესახებ ნ. იაკოვლევის აზრი ზევით გავარჩიეთ.
საინტერესოა მოქმედებითი ბრუნვის შესახებ თქმული (ამაზე — ქვემოთ).

ვნებითის გვარი ჩაჩნურ ზმნაში მხოლოდ ისახება. ვნებითი გვარი
რომ მეორეული წარმოებაა ზმნაში, ეს ჩვენთვის უდავოა. მაგრამ ვნებითი
გვარის წარმოშობის შესახებ ნ. იაკოვლევის თავისებური შეხედულება აქვს.
„პირველყოფილი თემის პირობებში — უწერია ავტორს — ყოველი გარდა-
მავალი წინადადება, ე. ი. წინადადება, რომელიც თავდაპირველად ასახავ-
და წარმოების რეალურ პროცესს — გამოცალკევებული საგნითა ანუ
შრომის ნაყოფით, იყო აქტიური, პროდუქტიული — ფორმის მიხედვითაც
(ქვემდებარე საერთოდ ირიბსა და, უფრო გვიან, სპეციალურ აქტიურ
ბრუნვაში), გარდაუვალი წინადადება კი, რომელიც ასახავდა მდგომარეო-
ბას ანდა არაპროდუქტიული მოქმედების რეალურ პროცესს, იყო არაპრო-
დუქტიული — ფორმის მიხედვითაც (ქვემდებარე, საერთოდ, იმავე ფორმა-
ში, რაც ობიექტი — პირდაპირ ბრუნვაში ანდა, უფრო გვიან, სახელობით-
ბრალდებითს ბრუნვაში).

„პირიქით, კლასობრივს საზოგადოებაში, მონობისა და შრომის ია-
რალეზე კერძო საკუთრების გაჩენის შემდეგ, ერთი და იგივე მანამდე აქ-
ტიური წყობის (გარდამავალი) წინადადება ორგვარი ხდება და შეიძლება
გააზრებულ იქნეს და გამოითქვას არა მხოლოდ, როგორც აქტიური კონ-
სტრუქცია (მოქმედებითი გვარი), არამედ, როგორც პასიური კონსტრუქ-
ცია (ვნებითი გვარი). მაშასადამე, წინადადების აქტიური კონსტრუქციის
გვერდით, წინადადებისა, რომელიც ხელახლა და სხვაგვარად არის აქ აგე-
ბული, იქმნება მეტყველების ნამდვილი ვნებითი ანუ პასიური კონსტრუქ-
ცია მხოლოდ კლასობრივი საზოგადოების ენებში, სადაც ასეთი ფორმა მე-
ტყველებისა და აზროვნების წარმოშობილია საზოგადოების მთელი წყო-

¹ იქვე, გვ. 98.

ბილებით, საზოგადოებისა, რომელიც დამყარებულია ყველფაზე და რომელსაც იძულებით იგი მხარს უჭერს გაბატონებული კლასების ინტერესებისათვის პროლეტარიატისა და მშრომელი გლეხობის ნამდვილად აქტიური აზროვნების წინააღმდეგ. კლასობრივ საზოგადოებაში აქტიური ადამიანი, — განაგრძობს ნ. იაკოვლევი — ე. ი. უშუალო მწარმოებელი შეიძლება იაზრებოდეს და ითქმოდეს არა მხოლოდ აქტიურ (მოქმედებითს კონსტრუქციისაში), არამედ ამის გვერდით პასიურ ფორმაში (ვინებითს კონსტრუქციისაში). პირიქით, იმ საზოგადოებაში, რომელმაც ჯერ კიდევ არ იცოდა ექსპლოატაცია, — რომელშიაც ადამიანი იყო მხოლოდ სუბიექტი წარმოებაშიც, ცხოვრებაშიც, აზროვნებაშიც, — არ შეიძლებოდა გვექონოდა აზროვნებისა და მეტყველების სხვაგვარი წყობა, თუ არ აქტიური, იმ შემთხვევაში, როდესაც ადამიანი რეალურად გამოდიოდა უშუალო მწარმოებლის როლში. პირველყოფილ თემში აქტიური ადამიანი, ე. ი. უშუალო მწარმოებელი, წინადადებაში, რომელიც ასახავდა წარმოების რეალურ პროცესს, შეიძლებოდა ყოფილიყო ნააზრევი და ნათქვამი მხოლოდ აქტიურ ფორმაში (გარდამავალი და აქტიური კონსტრუქცია). მეტყველების ამ პირველყოფილი კონსტრუქციის ერთ-ერთი ნაირსახეობა შემონახულია გადმონაშთის სახით ჩაჩნურსა და აქტიური წყობის სხვა ენებში.¹

ამგვარად, ვნებითი გვარი (და სათანადო კონსტრუქცია) შესაძლებელი გახდა კლასობრივ საზოგადოებაში, სადაც ყველფა-ჩაგვრამ იჩინა თავი, უფრო ძველად უკლასო საზოგადოებაში, სადაც არ იყო ექსპლოატაცია, ვნებითი გვარი შეუძლებელი იყო. იმ ხანად, პირველყოფილ თემურ წყობილებაში, მწარმოებელი ადამიანის ექსპლოატაცია უცნობი იყო, მწარმოებელი ადამიანი „წარმოებაშიც, ცხოვრებაშიც, აზროვნებაშიც“ იყო სუბიექტი, მეტყველებამ იცოდა შესაბამისი კონსტრუქცია, აქტიური კონსტრუქცია.

ამისდა კვალად, აქტიური კონსტრუქციის პირველადობა, მოქმედებითი გვარის სიძველე სათანადო საზოგადოებრივი წყობილების ანარეკლად აქვს წარმოდგენილი ნ. იაკოვლევს. „ვნებითი გვარი და (ვნებითიანი) კონსტრუქცია არ ახასიათებს იმ ენებს, რომლებიც ჩამოყალიბდნენ უფრო არქაულ პერიოდში — პირველყოფილი თემის პირობებშიო“, — წერს ნ. იაკოვლევი.² თვით ბურჟუაზიული ენათმეცნიერების წარმომადგენლებიც (მეიე და სხვ.) ვნებით გვარს მეორეულ, უფრო ახალ მოვლენად თვლიან

¹ ნ. იაკოვლევი, გვ. 48. ხაზი ჩვენია — ა.ჩ.).

² იქვე, გვ. 47.

ინდო-ევროპულ ენებშიო.¹ „ამასთან დაკავშირებით — ასკვნის ნ. იაკოვლევი — უაღრესად ღრმა აზრი ენიჭება ენგელსის მითითებას: „როგორც კი ადამიანებმა იწყეს გაცვლა-გამოცვლა, უკვე თვითონ იქცნენ გაცვლა-გამოცვლის საგნად. მოქმედებითი გვარი იქცა ვნებითად — სურდათ ეს ადამიანებს თუ არა“ („ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა“, რუს. ტექსტი 1937, გვ. 168-169).²

ნ. იაკოვლევი, ეტყობა, ვერ შეამჩნია, რომ მოქმედებითსა და ვნებითს გვარებზე ენგელსი ფიგურალურად ლაპარაკობს („მოქმედებითი იქცა ვნებითად“ ე. ი. ვინც მანამდე აქტიური იყო, პასიური, ვნებული გახდა თვით ადამიანების სურვილების წინააღმდეგო). გრამატიკული ცნებები რომ ჰქონოდა მხედველობაში, ენგელსი იტყოდა: „ვნებითი წარმოიქმნა მოქმედებითისაგან“; არა-და, მოქმედებითი გვარი როგორ იქცეოდა ვნებითად: ვნებითის წარმოქმნისას მოქმედებითი მოქმედებითადვე რჩება, ვნებითი წარმოიქმნება მოქმედებითისაგან, როგორც მისი კორელატი, ამაზე სიტყვის გაგრძელება უხერხულიც იქნებოდა, რომ ამ უადგილოდ მოყვანილ ციტატას ნ. იაკოვლევისათვის *ultima ratio*-ს გადამწყვეტი მნიშვნელობის საბუთის, როლი არ ენიჭებოდეს.

§ 18. ნ. იაკოვლევის ძირითად დებულებათა შეფასება. თეორია, რომელიც ნ. იაკოვლევი წარმოგვიდგინა, ერთგვარად ორიგინალურია; ძალზე თავისებურია ავტორის მეცნიერული სტილიც. ამიტომ საჭიროდ დავინახეთ ნ. იაკოვლევის შეხედულებანი გადმოგვეცა ავტორის სიტყვებით, მასთან საკმაოდ ვრცლად (წინააღმდეგ შემთხვევაში ზოგი რამ შეიძლებოდა დაუჯერებელი სჩვენებოდა მკითხველს). ნ. იაკოვლევის დებულებათა გადმოცემისას გზადაგზა საჭირო კომენტარებიც დავურთეთ. ამიტომ აქ ზოგადი დახასიათება-შეფასებით დავკმაყოფილდებით.

ერგატიული კონსტრუქცია ჩაჩნური ენისა ნ. იაკოვლევისათვის აქტიურ კონსტრუქციას წარმოადგენს; ერგატივი (აქტიური ბრუნვა) სუბიექტის სპეციფიკური ბრუნვაა, ქვემდებარეს წარმოადგენს; რეალური ობიექტი, სახელობითში დასმული, „სახელობით-ბრალდებით“ ბრუნვად აქვს ავტორს მიჩნეული (მასთან: გარდაუვალ ზმნებთანაც კი!). შესაბამისად გარდამავალი ზმნაც, ერგატიულ კონსტრუქციას რომ ქმნის, მოქმედებითი გვარისა გამოდის. ამრიგად ნ. იაკოვლევი ერგატიული კონსტრუქციის აქტიურობას იცავს, მისი თეორია ერგატიული კონსტრუქციის აქტიურობის თეორიაა.

ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა, როგორც ვიცით, გააჩინა იმ

¹ ნ. იაკოვლევი, იქვე, გვ. 47.

² იქვე, გვ. 47.

თავისებურებებმა, რასაც გარდამავალ-ზმნიანი წინადადება შეიცავს: რეალური სუბიექტი სპეციალურ ბრუნვაში, ერგატივში, გვაქვს (სახელობითის ნაცვლად), რეალური ობიექტი — სახელობითში (აკუზატივის ნაცვლად).

როგორი ახსნა დაუძებნა ამ თავისებურებებს ნ. იაკოვლევა? ერგატივი (აქტიური ბრუნვა) სუბიექტის სპეციფიკური ბრუნვაა, ქვემდებარეა; რეალური ობიექტი — სახელობითი — „სახელობით-აკუზატივია“. რის მიხედვით? წინადადების წევრების დახასიათება სიტყვათა სინტაქსურ ურთიერთობას უნდა ემყარებოდეს. ასეთია მეცნიერულად გამართლებული თანამიმდევრული თვალსაზრისი: სინტაქსში წინადადება სინტაქსური თვალსაზრისით უნდა შექდებოდეს. არის სხვა თვალსაზრისიც: წინადადების წევრებს იგი ახასიათებს იმის მიხედვით, თუ რა მნიშვნელობა აქვს სათანადო სიტყვას წინადადების შინაარსის მიხედვით. შეიძლება ორივე თვალსაზრისი ერთდროულად მოიმარჯვონ (ოღონდ კრიტიკულ შემთხვევებში მაინც ან საკუთრივ სინტაქსურ თვალსაზრისს მიეცემა უპირატესობა, ანდა — ლექსიკურ-შინაარსობლივს).

ნ. იაკოვლევისათვის საკითხს წყვეტს ლექსიკურ-შინაარსობლივი მომენტი: ერგატივი (აქტიური ბრუნვა) საკუთრივ სუბიექტის ბრუნვაა, ქვემდებარის ბრუნვაა იმიტომ, რომ იგი ყოველთვის მოქმედს აღნიშნავს, მიუხედავად იმისა, რომ ზმნა ამ ქვემდებარეს არასოდეს ეთანხმება. რეალური ობიექტის ბრუნვა „პირდაპირი დამატებაა“, სახელობით-აკუზატივია, მიუხედავად იმისა, რომ ზმნა ამ „პირდაპირ დამატებას“ ეთანხმება (კლასში).

ლექსიკურ-შინაარსობლივი თვალსაზრისით ყველა ენის წინადადებაში შეიძლება ერთი და იგივე ცნებები ჩამოვყალიბოთ, მაგრამ ამით სათანადო ენის სინტაქსურ აგებულებაში ვერაფერს გავარკვევთ: ლექსიკურ-შინაარსობლივი თვალსაზრისით ერგატიული კონსტრუქციის შესწავლა ამ კონსტრუქციის თავისებურების ახსნას კი არ იძლევა, არამედ თავისებურების საკითხის მოხსნას.

უსლარს ჩაჩნურის, ხუნძურის, ლაკურის თუ სხვა ენათა შესწავლისას სწორედ ის უნდოდა აეხსნა, რაც ამ ენათა ზმნის თავისებურებასა და სათანადო წინადადების უცნაურობას იწვევდა: რეალურ სუბიექტს ზმნა არ ეთანხმებოდა, რეალური ობიექტი კი ზმნას ითანხმებდა. ეს სინტაქსური თავისებურება მოითხოვდა ახსნას, თორემ წინადადების შინაარსის მიხედვით რა სიტყვა რა როლს ასრულებს, ეს ცხადი იყო და გარკვევას არ საჭიროებდა.

რომ სწორედ შინაარსობლივი ანალიზით შეცვლა ნ. იაკოვლევა აგებულების ანალიზით (ე. ი. სტრუქტურული საკითხი), ეს თუნდაც შემდეგი გამონათქვამიდან ჩანს: „ერთად ერთი სწორი, ნამდვილად მეცნიერული გადაწყვეტა ამ საკითხისა იქნება ჩაჩნურ ენა-

ში ქვემდებარედ მივიჩნით ის, რაც ქვემდებარედ ეს-
 მით ყველა სხვა სალიტერატურო ენაშიო“.¹ რის შუაა ამ
 შემთხვევაში ჩაჩნური ენის სინტაქსი? მართალია, ამის შემდეგ ნ. იაკოვლე-
 ვი შენიშნავს: ქვემდებარე არა მხოლოდ მოქმედ პირს აღნიშნავს, არამედ
 ფორმითაც პროდუქტიულ ქვემდებარეზე მიუთითებსო, მაგრამ რაში
 მდგომარეობს ეს, ნ. იაკოვლევს, რა თქმა უნდა, არ გაუჩვევია. ნ. იაკოვ-
 ლევს ენობრივ საბუთად ის მოჰყავს, რომ ერგატივი (აქტიური ბრუნვა)
 მუდამ სუბიექტს გამოხატავს და მოქმედებით ბრუნვასთან საზიარო ფორ-
 მა არა აქვსო, მოქმედებითი სხვა ბრუნვაა, აქტიურ ბრუნვას საკუთარი
 ფორმა აქვსო, მოქმედებით ბრუნვაში ადამიანის სახელი არ დაისმისო; ეს,
 მართლაც, არსებითი გარემოებაა, მაგრამ ამის გამო, როგორც ზემოთაც
 აღვნიშნეთ, გასაგები არ ხდება, რატომ არ ეთანხმება აქტიურ ბრუნვას
 ზმნა, და სრულიად არაფრის მთქმელია: „ქვემდებარე გამოხა-
 ტულია არა ზმნასთან შეთანხმებით, არამედ ბრუნვის დაბოლო-
 ებით“, „შეთანხმების უქონლობის მაგივრობას... აქტიური ბრუნვის სპე-
 ციფიკური სუბიექტური მნიშვნელობა ეწვევაო“² (ე. ი. სიტყვის ლექსიკური
 მნიშვნელობა წინადადებაში).

რეალური ობიექტი რომ პირდაპირ დამატებად მიაჩნია ნ. იაკოვ-
 ლევს, ეს გასაგებია: მისი თვალსაზრისი ამას მოითხოვს. მაგრამ ამ თვალ-
 საზრისის სრულიად არ ეგუება დასკვნა: „პირდაპირი დამატება წინადადე-
 ბის მესამე მთავარი წევრია (ქვემდებარისა და შემასმენლის გვერდითაო);
 და ეს იმიტომ, რომ ზმნა მას ეთანხმებაო“.³ მაგრამ ეს თვალსაზრისის
 გამოცვლას ნიშნავს. ვინც ზმნის შეთანხმებას ემყარებოდა (პ. უსლარი, ზ.
 მალსაგოვი...), ის ამ რეალურ ობიექტს პირდაპირ დამატებად კი არ მიიჩ-
 ნევდა, არამედ — ქვემდებარედ. რეალური ობიექტი სინტაქსური
 თვალსაზრისით ან მთავარი წევრია და მაშინ „პირდაპირს დამატე-
 ბას“ არ წარმოადგენს; თუ მას „პირდაპირ დამატებად“ მივიჩნევთ, მაშინ
 მთავარი წევრი ვერ იქნება.

ერთი სიტყვით, რეალური ობიექტის შესახებ ნ. იაკოვლევს ნათქვა-
 მი — „პირდაპირი დამატებაა და წინადადების მესამე მთავარი წევრიაო“
 შინაგან წინააღმდეგობას შეიცავს და უსაფუძვლოა. არაფრის შველის და-
 მატებით საბუთად მოყვანილი: „პირდაპირი დამატება შრომის პროდუქტის
 (და, საერთოდ, ობიექტის) გრამატიკულ გამოხატულებას წარმოადგენსო“.⁴
 პირდაპირი დამატება — შრომის პროდუქტის გრამატიკული გამოხატულებ-

¹ ნ. იაკოვლევს, იქვე, გვ. 51.

² იქვე, გვ. 51.

³ იქვე, გვ. 51.

⁴ იქვე, გვ. 51.

ბა, ისეთივე მეცნიერული ღირებულების მტკიცებაა, როგორც იყო განცხადება: „ქვემდებარე ბრუნვის ნიშნით გამოიხატება“.

ერგატიული ბრუნვა — აქტიური ბრუნვა — სუბიექტის ბრუნვაა და „გარდამავალი ზმნა (ანუ, როგორც ნ. იაკოვლევი იტყოდა „გარდამავალი წინადადება“) აქტიური აგებულებისა“.¹ ეს იმთავითვე გადაწყვეტილი იყო ნ. იაკოვლევისათვის; არქაულ ენებში, რომლებიც პირველყოფილი თემის ეპოქაში წარმოიშვა და რომელთა წრესაც ჩაჩნური ეკუთვნის, პასიური კონსტრუქცია შეუძლებელი იყო: წინადადება ან „გარდაუვალი წყობისა“ იქნებოდა (საშუალო გვარის ზმნებთან), ან მოქმედებითის ანუ აქტიური წყობისა — გარდამავალ ზმნებთან. მოქმედებითი გვარი რომ ვნებითს უსწრებს, ცნობილია, მაგრამ ნ. იაკოვლევისათვის ვნებითი გვარის მეორეულობის საკითხი ენათა ისტორიის ჩვენებით არ ირკვევა, ენობრივი ფაქტის ჩვენება ნ. იაკოვლევის არ ესაჭიროება: საკითხს წყვეტს ზოგადი სოციოლოგიური ინტერპრეტაცია ენობრივი ფაქტებისა და, კერძოდ, გრამატიკული კატეგორიებისა. ვნებითი გვარი — გვარწმუნებს ნ. იაკოვლევი — შეუძლებელი იყო ზმნას გაერჩია იმ ეპოქის ენაში, როდესაც ადამიანი არ იყო იარაღი სხვა ადამიანის ხელში, როცა ადამიანი არ იყო ექსპლოატაციის ობიექტი.² პირველყოფილ თემში ადამიანი იყო აქტიური: რაკი იგი აქტიური იყო წარმოებაში, აქტიურადვე გაიაზრებოდა და აქტიურად ითქმოდა: აქტიური — წარმოებაში, აზროვნებაში, მეტყველებაში — გამოორიცხავს პასიურს (ვნებითს) კონსტრუქციას მეტყველებაში.

ერთი სიტყვით: საზოგადოებაში ადგილი არა აქვს ექსპლოატაციას, მეტყველებაში ვნებითი გვარი არ შეიძლებოდა გვექონდეს. საზოგადოებაში ექსპლოატაცია ჩნდება; მეტყველებაშიც ეს სათანადოდ უკუიფინება: ყალიბდება ვნებითი გვარი.

ძველი ნიშნავს აქტიურს იმიტომ, რომ პირველყოფილი თემური წყობილება უკლასო საზოგადოებას გულისხმობს. პასიური ზმნა კლასობრივ საზოგადოებას შეეფერება.

ასეთია ნ. იაკოვლევის ზოგადი კონცეფცია ენობრივი ფაქტების სოციოლოგიური ინტერპრეტაციისა; მორფოლოგია-სინტაქსის ფაქტებს ნ. იაკოვლევი ცდილობს ის ათქმევინოს, რაც ამ ზოგად თვალსაზრისს შეეფერება. ამიტომ არის, რომ ნ. იაკოვლევის „აქტიური კონცეფცია“ ნაძალადევა და სქემატური ხასიათისაა, მასთან შინაგანი წინააღმდეგობით აღსავსე.

ნ. იაკოვლევის სოციოლოგიური ინტერპრეტაცია არც ფაქტობრივ არის სწორი, არც პრინციპული თვალსაზრისით შეიძლება მივიჩნიოთ გა-

¹ იქვე, გვ. 48.

² იქვე, გვ. 48.

მართლებულად.

ძველ ინდურ ტექსტებში მოქმედებითი და ვნებითი გვარები უკვე გაირჩეოდა (ყოველ შემთხვევაში, უფრო განსხვავებული იყო, ვინემ თანამედროვე ჩაჩნურში). ძველი ინდური ტექსტების შექმნის დროს ინდოეთში კლასობრივი საზოგადოება ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული. მეორე მხრით, მთის იბერიულ-კავკასიური ენების ზმნას ვნებითი გვარი არ მოეპოვებოდა მეცხრამეტე საუკუნეში (ამ ენათა უმეტესობაში ახლაც არა გვაქვს), თუმცა მეცხრამეტე საუკუნეში კლასობრივი დიფერენციაცია დიდი ხნის მომხდარი ფაქტი იყო (მთის კავკასიის ხალხებშიც).

ამგვარი ფაქტები სხვაც ბევრია. ეს ფაქტები მოწმობენ, რომ ზმნის გვარები — მოქმედებითი, ვნებითი — საზოგადოების კლასობრივი დიფერენციაციიდან არ გამოიყვანება.

ენა საზოგადოებრივი მოვლენაა. ენის განვითარება საზოგადოების განვითარებას უკავშირდება, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ენის აგებულება, მისი ყოველი მხარე საზოგადოებრივი ცხოვრების სათანადო მოვლენის ანარეკლს წარმოადგენს, რომ ენაში მომხდარი ყოველი ცვლილება (მათ შორის: სინტაქსური, მორფოლოგიური, ფონეტიკური) საზოგადოებრივი ცხოვრების შესაბამისი ცვლილებით აიხსნება. ლექსიკის ცვლა ყველაზე უფრო ასახავს სათანადო აღსანიშნის ცვლას; აქ კავშირი ენობრივისა საზოგადოებრივი ცხოვრების სათანადო მოვლენებთან მჭიდროა. მაგრამ ფონეტიკა-მორფოლოგია-სინტაქსის სფეროში უშუალო დამოკიდებულება საზოგადოებრივი ცხოვრების „შესაბამის“ მოვლენებთან, როგორც წესი, არ დასტურდება („შესაბამისი მოვლენა“ არ მოიპოვება). ამიტომაც ყოველი ენობრივი ფაქტის დაყვანა უშუალოდ საზოგადოებრივ მოვლენამდე, ენის ისტორიის გამოყვანა უშუალოდ საზოგადოების ისტორიიდან მეცნიერული ახსნა ვერ იქნება. ასეთი რამ ვულგარულ სოციოლოგიზმს ახასიათებს.

ნ. იაკოვლევისეული „აქტიური კონცეფცია“ ერგატიული კონსტრუქციის სპეციფიკურ სინტაქსურ თავისებურებებს ვულგარულ-სოციოლოგიკური წესით განმარტავს. ნ. მარიც ამბობდა: მოქმედი ვნებული იყო, მოქმედება — „ვნება“ (ე. ი. ვინც შრომობდა, ის იყო დაჩაგრული) და ამიტომ გარდამავალი ზმნა ვნებითი გამოვიდაო (იხ. ზემოთ, გვ. 22, 35).

ნ. იაკოვლევი იმავე პრინციპს მისდევს: როცა კლასობრივ საზოგადოებაში „ვნებული ადამიანი“ გაჩნდა, ზმნაშიც ვნებითი გვარი ჩამოყალიბდაო (მანამდე გარდამავალი ზმნა იყო). განსხვავებას ისა ქმნის, რომ ნ. მარი ასეთ რასმე ძველთაგანვე ვარაუდობს (უკვე ბევრითი მეტყველების გაჩენისას საზოგადოება „კლასებად“ იყო დიფერენცირებულიო), გარდამავალი ზმნის ვნებითობაც ამისდა კვალად დასაბამიდან მოდის. ნ. იაკოვლე-

ვი ისტორიის ჩვენებას ემყარება, როცა კლასობრივი საზოგადოების გაჩენაზე ლაპარაკობს. ამ მხრივ ნ. მარისა და ნ. იაკოვლევის შეხედულება განსხვავებულია, მაგრამ მარისეული პრინციპი ნ. იაკოვლევისთვისაც სახელმძღვანელოდ რჩება. მეტი კიდევ: ნ. მარი სოციოლოგიურ ინტერპრეტაციას ურთავს თავის უკვე ჩამოყალიბებულ პასიურ თეორიას. ნ. იაკოვლევს კი თავისი აქტიური თეორიის „ძირითადი დებულება“ პირდაპირ გამოჰყავს სოციოლოგიური სქემიდან, გარკვეული ზოგადი პრინციპიდან, და ეს პრინციპი ვულგარულ სოციოლოგისტური, არამეცნიერულია.

ზოგად მოსაზრებათა საფუძველზე ცდილობდა ნ. იაკოვლევი დაემტკიცებინა, ერგატიული კონსტრუქცია აქტიური კონსტრუქციააო. ამავე მოსაზრებათა ძალით ნ. იაკოვლევი კატეგორიულად უარყოფს ერგატიული კონსტრუქციის პასიურობას, მასთან ცდას არ აკლებს პოლიტიკური სარჩული დაუძებნოს პასიურ კონცეფციას: „ყველაზე გარკვევით — წერს ნ. იაკოვლევი — ცნობილმა ჰოლანდიელმა მეცნიერმა ულენბეკმა წამოაყენა თეორია, რომ იაფეტურ, ამერიკელ ინდიელთა და სხვ. ხალხთა ენა და აზროვნება „პასიური წყობისაა... ამ თეორიის თანახმად, ველურობის უმაღლეს საფეხურზე და ბარბაროსობის დაბალ საფეხურზე ადამიანს თითქოს არ ჰქონდა იმის შესაძლებლობა მიმხვდარიყო, რომ ის თვითონ ამზადებს შრომის ამა თუ იმ პროდუქტს, მას თითქოს მიაჩნდა თავისი თავი მხოლოდ პასიურ იარაღად რაღაც საიდუმლო, ცხადია, „ღვთაებრივი“ ძალისა. თუ პირველ ხანებში ბურჟუაზიული ენათმეცნიერების ყველაზე მნიშვნელოვან წარმომადგენლებთან „პასიური წყობის“ თეორია სხვა არაფერს წარმოადგენდა თუ არ იმის შედეგს, რომ ამ ენათა თავისებურება არ გაეგებოდათ და მარტივად გადაჰქონდათ ევროპელისთვის ჩვეული პასიური კონსტრუქცია იმ მოვლენაზე, რასაც არსებითად არაფერი აქვს საერთო ვნებითს კონსტრუქციასთან (უსლარი), შემდეგში — მეცხრამეტე საუკუნის დასასრულს, მეოცე საუკუნის დასაწყისში იაფეტური და სხვა ენების ეს გაუგებლობა იქცა აშკარა კოლონიზატორულ თეორიად (ულენბეკი და სხვ.) რაკი ჩრდილოეთ ამერიკის ინდიელთა ენებში, კავკასიის იაფეტურ ენებში და სხვ. გვაქვს ვითომდა პასიური წყობა, მაშასადამე, ამ ენებზე მოლაპარაკე ხალხებს აზროვნებაც პასიური აქვს მაშინ, როდესაც ევროპელებს ენის წყობაც და აზროვნებაც მხოლოდ და მხოლოდ აქტიური აქვთ. ამ „თეორიას“, რომელსაც ეფარება კაპიტალისტური ქვეყნების მძარცველური პოლიტიკა, ხელი წაავლეს ახლა უკვე მხილებულმა მავნებლებმა, ხალხის უბოროტესმა მტრებმა“-ო,¹ აცხადებს ნ. იაკოვლევი.

¹ ნ. იაკოვლევი, იქვე, გვ. 47.

პასიურობის თეორია, როგორც თავის ადგილას არის ნათქვამი (§§ 7, 10, 13), მეცნიერულად დამაჯერებელი არ არის, მაგრამ „კოლონიზატორულ თეორიად“ მისი გამოცხადება მეცნიერული კრიტიკის მაგივრობას ვერ გასწევს.

ნეგატიური პოზიცია ნ. იაკოვლევის კონცეფციისა ისევე არ უპასუხებს მეცნიერული თეორიის მოთხოვნილებებს, როგორც — პოზიტიური.

ნ. იაკოვლევის ცდა ერგატიული კონსტრუქციის აქტიური ხასიათი გამოავლინოს, მეცნიერულად კიდევ უფრო სუსტია, ვინემ ს. ბიხოვსკაიას ანალოგიური ცდა.

ერვატიული კონსტრუქციის სტადიური თეორია

§ 19. ი. მეშჩანინოვის სტადიური თეორია და ერვატიული კონსტრუქციის საკითხი. ერვატიული კონსტრუქციის პრობლემას ეხება ი. მეშჩანინოვის შრომები: 1. „ვანის ლურსმულ წარწერათა ენა. II. მეტყველების სტრუქტურა“, 2. „ახალი მოძღვრება ენის შესახებ“, 3. წერილი: „გარდამავალი ზმნის პასიური წყობის გენეზისის საკითხისათვის“, 4. „ზოგადი ენათმეცნიერება“.¹

პირველ შრომაში ერვატიული კონსტრუქციის საკითხს ავტორი ეხება ურარტული ენის დახასიათებასთან დაკავშირებით; „ახალი მოძღვრება ენის შესახებ“ და მისი გადამუშავებული სახეობა („ზოგადი ენათმეცნიერება“) ერვატიული კონსტრუქციის პრობლემისადმი თუ არ არიან მიძღვნილი, ყოველ შემთხვევაში, ცენტრალურ ადგილს მას უთმობენ.

მცირეოდენი სხვაობის მიუხედავად ამ ორ უკანასკნელ შრომაში საკითხი ერთნაირად შუქდება. ამიტომ ბუნებრივი იქნებოდა უკანასკნელი შრომა („ზოგადი ენათმეცნიერება“) გამოგვეყენებინა ი. მეშჩანინოვის შეხედულებათა დასახასიათებლად (სპეციალური წერილი ნ. მარის კრებულისა ავტორს მთლიანად გამოყენებული აქვს „ზოგად ენათმეცნიერებაში“).

ზოგადად შევეხებით პირველ შრომაში („ვანის ლურსმულ წარწერათა, ენა“) წამოყენებულ დებულებებს.

დამახასიათებელია ამ შრომის შემდეგი ადგილები:

„...ბრუნვის დაბოლოებით გაუფორმებელი სიტყვა... თუ მეტყველება პასიური წყობისაა, — გვევლინება ობიექტის ბრუნვად ყველა იაფეტურ ენაში, მათ შორის ხალდურშიც:

ჟ ა ნ. კინჩიქ ბრინჯი ოშკომუ „ჩიტმა ბრინჯი შეჭამა“;

ქ ა რ თ. სპასალარმან კრიბა ლაშქარი (ზედმიწევნით: военачальником (военачальнику) собрано есть войско);²

უ რ ა რ ტ. მენუამე... ინი პილ-ე ავუნი „მენუამ,... ეს არხი გაიყვანა“;

¹ И. И. Мещанинов, Язык Ванской клинописи. II. Структура речи, Ленинград, 1935; მისივე: "Новое учение о языке. Стадиальная типология. Ленинград, 1936. მისივე: К вопросу пассивного строя переходного глагола, კრებულში: Памяти акад. Н. Я. Марра, 1938, გვ. 182-190. მისივე: Общее языкознание, Ленинград, 1940.

² როგორც ცნობილია, ესაა მაგალითი ნ. მარის „ძვ. ქართ. ენის გრამატიკიდან“ (1925).

რისათანაც ზოგ იაფეტურ ენაში, განსაკუთრებით მთის კავკასიურში, აგრეთვე ჭანურშიც, პასიური კონსტრუქცია გატარებულია არა მხოლოდ აორისტში არამედ აწმყოშიც.

ჭ ა ნ. ალიქ მექთუბი ჭარუმს „ალი წერილს წერს“.

უ რ ა რ ტ. არგიშტი-მე ალ-ე „არგიშტი ამბობს...“¹

„როცა მეტყველების პასიური კონსტრუქცია გვაქვს, აქტიური უღვლილების სუბიექტი გადაიქცევა პასიურის ობიექტად. ამიტომ, ს ა ხ ე - ლ ო ბ ი თ ი ბ რ უ ნ ვ ა პ ა ს ი უ რ წ ყ ო ბ ა შ ი ი ქ ც ე ვ ა ბ რ ა ლ დ ე ბ ი თ ა დ (აკუზატივად).

ქ არ თ. ლ ა შ ქ ა რ ი მ ი ე შ უ რ ე ბ ი ს — ა ქ ტ ი უ რ ი წ ყ ო ბ ა ა (!) „სპასალარმან კრიბა ლაშქარი — პასიური წყობა“.² ე. ი. გარდაუვალი ზმნა „მიეშურების“ აქტიურია, გარდამავალი ზმნა „კრიბა“ — პასიური!

„კავკასიის იაფეტურს ენებში მოქმედებითი ბრუნვა (ablativus) ნაწარმოებია ნათესაობითისაგან (genetivus): ქართ. ნათ. **-ის**, მოქმედ. **-ით**; ჭან. ნათ. — **-ში** || **-ში**, მოქმედ. — **-ეთ**.³ ურარტულში შეკვეცილი ნათესაობითი **-ე** || **-ი** ზოგ კონტექსტში მოქმედებითის (ablativus-ის) მნიშვნელობას იძენს;

...ამასთან დაკავშირებით ფრაზა: ხალდი-ე ეური-ე მენუაშე იაპუინი-ხინიშე ინი სუიე შიდიშტუნი შეიძლება იქნეს გაგებული ან... ასე: „ხალდილმრთის მფლობელის მენუამ იშპუინის შვილმა ეს წმიდათა-წმიდა აღმართა“ ანდა ასე: „ნებითა ხალდ-ლმრთის მფლობელისაგან მენუამ იშპუინის შვილმა... აღმართა“.⁴

აი ეს ნათესაობითის **-ში**, ჭანურში რომ გვაქვს, გამოყენებულია ხალდური რეალური სუბიექტის ბრუნვის დასახასიათებლად (იქაც **-ში**-ა დაბოლოება):

„წინათ... ძველი ვანის ლურსმული დამწერლობის პასიური წყობა შეიმჩნეოდა მხოლოდ თავის ცალკეულს გამოხატულებაში — როგორცაა, ობიექტის გაუფორმებელს ბრუნვაში, ზმნურ სუფიქსებში, სრულ ფორმაში ნათესაობითისა, რომელიც გამოყენებულია ლოგიკური სუბიექტის გადმოსაცემად და რომელიც შენიშნული იყო, როგორც გარკვეული ბრუნვი მისი სტრუქტურის გარე ნიშნის მიხედვით. სწორედ იგი აღმოჩნდა ურარტული მეტყველების პასიურობის პირველი საფუძველი; იგი გამომკვადგნებული იქნა არა იმდენად თვით [ურარტული] ენის შინაგანი ანალიზით, რამდენად

¹ ი. მეუჩანინოვი, ვან. წარწ. ენა, გვ. 184, 185 (შრომაში ურარტული მასალა — საერთო წესის თანახმად — ლათინური ტრანსკრიფციით არის გადმოცემული. ჩვენ მოგვყავს ქართული ტრანსკრიფციით).

² იქვე, გვ. 185.

³ იქვე, გვ. 185.

⁴ იქვე, გვ. 186.

მორფოლოგიურ ნაწილაკთა შეპირისპირებით სხვადასხვა იაფეტურ ენებში. მათს კანონზომიერ შესატყვისობებს სავსებით მიუდგა ურარტული სუფიქსიც **-შე**, როგორც ფორმა არა სახელობითი ბრუნვისა, არამედ ნათესაობითისა მის არსებულ სახესხვაობებში — სისინა ქართ. **-ის**, შიშინა მეგრული და ჭანური **-იშ ~ -ში**, ურარტული **-შე**. თვით ეს მონაცემებიც კი აღმოჩნდა საკმარისი პასიური კონსტრუქციის აღიარებისათვის (ურარტულში¹), და ასეთ კონსტრუქციას უკვე აღარ უარყოფენ ურარტული მეტყველების უახლესი მკვლევრები, არა მხოლოდ ჩვენში, არამედ დასავლეთშიც.²

„მეტყველების პასიური წყობა კავკასიურ ენებში გამოდის სხვადასხვა ფორმებში; ასე, მაგალითად, პასიური წყობისაა მხოლოდ აორისტი და მისგან ნაწარმოები დროები მაშინ, როდესაც სხვა დროებში აქტიური კონსტრუქცია გვაქვს, რამდენადაც ეს უკანასკნელი გამოვლენილია ქვემდებარით სახელობითს ბრუნვაში. ამ ბრუნვამ დაიტია (включил в себе) განუსაზღვრელი **ი**-ნაწევრით (სახელის დაბოლოება = სახელთა ფორმატივს), მაგალითად, ძველ წიგნურ მეტყველებაში, და უკვე საკუთრივ სახელობითი მისი **ი**-სუფიქსით ხალხური ბრუნვისა. ამ ორ თავის სახესხვაობაში სახელობითი გამოყენებულია აორისტსა და კავშირებითში — მათს პასიურ კონსტრუქციაში — ლოგიკური ობიექტის გადმოსაცემად ბრალდებითის ნაცვლად. ამის შესაბამისად აორისტის პასიურ წყობაში ლოგიკური სუბიექტი (მოქმედი პირი) ფორმდება პასიურს, ე. წ. ირიბ ბრუნვაში, — კერძოდ, მიცემითს ნაცვალსახელობითში **-მან**: ...სპასალარმან კრიბა ლაშქარი. ამით არ ამოიწურება გადმონათვის სახით დაცული კვალი პასიური წყობისა; პირიქით, ისინი მოქცეული არიან ქართულ ენაში გაცილებით უფრო დრმად. პასიური კონსტრუქციის უკუფენა გვაქვს ბრუნვაში, არა მხოლოდ ლოგიკური სუბიექტის ბრუნვაში, არამედ თვით ზმნის აგებულებაში, მასთან არა მხოლოდ აორისტში, რომლის გაფორმებაშიც უკვე გვაქვს ვნებითი გვარის დამხასიათებელი **ი**-: კრებს — კრიბა“.³

ასეთსავე დასკვნას გვავალებს ზმნის ფორმის ანალიზიც. **-ს** (კრებს) სუბიექტის ნიშანია, მრწამსში — ობიექტისა. სუბიექტისა და ობიექტის ნიშანთა გამოყენება სხვადასხვა ფუნქციით გვაქვს ზმნაში: კაცი სწერს-ს წერილსა: **ს**- პრეფიქსი ობიექტისაა, **-ს**-სუფიქსი — სუბიექტისა.⁴

¹ ჭან. **-ში** არაა გადასმული **-იშ**; მერე: **-იშ** ← ქართ. **-ის**; მაშასადამე: კავშირი **-ის**-თან უნდა ვამტკიცოთ; და ბოლოს: ნათესაობითი არც ქართულში, არც ჭანურში რეალური სუბიექტის ბრუნვას არ წარმოადგენს.

² ი. მეჩუანი ნოვი, ვან. წარწ. ენა, გვ. 190.

³ ი. მეჩუანი ნოვი, ვან. წარწ. ენა, გვ. 191.

⁴ იქვე, გვ. 192.

ქართული ზმნის პასიური წყობა კიდევ უფრო თვალსაჩინოაო, — ამბობს ი. მეშხანიშვილი, — ნაცვალსახელოვან პრეფიქსთა „ბრუნვის ფორმებში“: „ობიექტური პრეფიქსები იბრუნვის“:

I პირი **მ-**, ნათესაობ. **მი-**, მიცემ. **მა-**.

აი ასეთი გაფორმებული სახითაა იგი გამოყენებული ლოგიკური სუბიექტის გამოსახატავად (მი-ნილაგ-ს...).

„...ქართულ ენაში სუბიექტური სუფიქსი შეიძლება გამოხატავდეს ლოგიკურ ობიექტს, ობიექტური პრეფიქსი იყოს ლოგიკური სუბიექტის გამომსახველი. გრამატიკულისა და ლოგიკურის ეს გათიშვა (расхождение)... პასიურობის ერთ-ერთი გამოვლენაა ზმნის კონსტრუქციაში“.¹

„ჭანური ენა ისევე, როგორც ქართული, ლოგიკური სუბიექტის გადმოსაცემად იყენებს მიცემით ნაცვალსახელოვანს, თუმცა საამისოდ თავისი დაბოლოება აქვს **ქ**: კოჩი-ქ თქუ, ქართულთან შედარებით განსხვავება ისაა, რომ ჭანური იგუბებს პასიურ კონსტრუქციას არა მხოლოდ აორისტში და მისგან ნაწარმოებ დროებში, არამედ ზოგჯერ აწმყოშიც, რისათნაც, პირდაპირი ობიექტი დაისმის სახელობითში: კოჩიქ დიშკა კორობუმს „კაცმა შემა აგროვებს“, კოჩიქ დიშკა კორობუ „კაცმა შემა აგროვა“. ზმნის სტრუქტურის დარგში მეტყველების პასიური წყობა, — ი. მეშხანიშვილის თქმით, — ჭანურში მუდამდებია არა ნაკლებ გარკვეულად, ვინემ ქართულში და იმავე ნორმების მიხედვით როგორც ქართულში. პასიური კონსტრუქცია ცხადია უღვლილების მიმართებით ფორმებში...“.²

მაგალითად მოყვანილია: ჭან. მო-გი-დონარე „მოგიყვან“: „პირველი პირის სუბიექტი (მე) აღნიშნულია „ნაცვალსახელოვანი ნაწილაკით **მი-**, რაიც I. პ. ო ბ ი ე ქ ტ უ რ ი პ რ ე ფ ი ქ ს ი ს მ ი ც ე მ ი თ ი ბ რ უ ნ ვ ა ა (sic), ხოლო **გი...** II პირის ობიექტური პრეფიქსის ნათესაობითი ბრუნვაო“.³ ეს კი არავითარი თეორიით არ გამოვა: **მი-** პრევერბია და პირის ნიშანთან კავშირი არა აქვს.

„პასიური კონსტრუქციის მხრივ ჭანური ქართულზე უფრო შორს მიდის...: პასიური წყობა გვაქვს არა მხოლოდ აორისტში, არამედ ზოგჯერ — აწმყოშიც“.⁴

საგულისხმოა დანართი: ამ პასიურობას გადმონაშთის ხასიათი აქვსო: „მ ო ლ ა პ ა რ ა კ ი ს ა ზ რ ო ვ ნ ე ბ ა შ ი პ ა ს ი უ რ ი ს ტ რ უ ქ ტ უ რ ი ს ფ ო რ მ ა ა ღ ი ქ მ ე ბ ა , რ ო გ ო რ ც ა ქ ტ ი უ რ ი . ა მ ა ს თ ა ნ დ ა კ ა ვ შ ი რ ე ბ ი თ ქ რ ე ბ ა გ ა გ ე ბ ა მ ი ც ე მ ი თ ი ნ ა ც ვ ა ლ ს ა ხ ე ლ ო ვ ა ნ ი

¹ იქვე, გვ. 192.

² იქვე, გვ. 192-193.

³ იქვე, გვ. 193.

⁴ იქვე, გვ. 193.

ბ რ უ ნ ვ ი ს ა (ქართ. -მან, ჭან. -ქ) როგორც ირიბისა, და ის გააზრებულ-
ლია, როგორც ბრუნვა ლოგიკური სუბიექტისა, საერთოდ, ე. ი. როგორც
თავისებური დაბოლოება მოქმედი სახელისა, სპეციალურად მიჩემებული
აორისტისა და მისგან ნაწარმოები დროებისათვის. ამგვარად მეტყველება-
ში ჩნდება ლოგიკური სუბიექტის ბრუნვის სახესხვაობა¹. ზმნის ნაცვალ-
სახელოვან ნაწილაკებს თუ მივიღებთ მხედველობაში, „ქართულში და გან-
საკუთრებით სვანურში ისინი იძლევიან პასიური წყობის დამახასიათებელ
სურათს ყველა დროში“².

გარკვეული ვითარებაა წარმოდგენილი მთის იბერიულ-კავკასიურ
ენებშიაც. აქ პასიურობა კიდევ უფრო თავისებური სახისაა.

ლაკურში, მაგალითად, I და II პირები აქტიურია, III — პასიური; I
და II პირში სუბიექტი გაუფორმებელი ბრუნვითაა გადმოცემული, III პირ-
ში — ნათესაობითი ბრუნვით; ობიექტის ბრუნვა კი სამსავე შემთხვევაში
გაუფორმებელი ბრუნვაა.³

აფხაზურში პასიური კონსტრუქცია ხელშესახები ხდება, თუ გარდა-
მაგალ ზმნებს შევუდარებთ გარდაუვალებს: გარდამავალ ზმნათა ლოგიკუ-
რი ობიექტი აღინიშნება იმავე მაჩვენებლით, რაც გარდაუვალ ზმნათა სუ-
ბიექტის ნიშანია.

დგ-ზ-გოდტ „მას (კაცს) წაუვიყვან“

დგ-ცოდტ „ის (კაცი) მოდის“⁴.

უდურ ენაშიც გარდამავალი ზმნა პასიური წყობისაა. აქ ლოგიკური
სუბიექტი გადმოიცემა რამდენიმე ბრუნვით; ესენია:

1. მოქმედებითი ბრუნვა: ფაჩმალ-ენ ფინე ბილიჯინახ „ფადიშაჰმა
უთხრა ბრძენს“ (ზედმიწ.: „ფადიშაჰით თქვა მან ბრძენისად“ ასეა ნათარ-
გმნი!).

2. ნათესაობითი ბრუნვა: სა ყასიბუნ ხიბ ხინარრე ბუი „ერთ
ღარბს სამი ქალიშვილი ჰყავდა („იყო“).

3. მიცემითს ბრუნვაში: ზა გოლო ბუზაყსა ბეზ ადლოლოხ „მე ძალი-
ან მიყვარს ჩემი შვილები“ (ბავშვები).

4. სახელობითი ბრუნვა (საშუალო გვარის ზმნებთან): ბაბა თანესა
კუა „მამა შინ მიდის“.

უდურში რეალური ობიექტის („ლოგიკური ობიექტის“ — ი. მეშხა-
ნინოვი) ბრუნვად სახელობითიც (გაუფორმებელი ბრუნვაც) იხმარება და
ბრალდებითიც.

¹ იქვე, გვ. 193.

² იქვე, გვ. 194.

³ იქვე, გვ. 194.

⁴ იქვე, გვ. 194, 195.

მოქმედებითი ბრუნვა რეალური სუბიექტის ბრუნვაც არის და მოქმედებითსაც (ე. ი. იარაღსაც) გადმოსცემს: ადამარენ მუზინ ჯეჯერენ აითტება „ადამიანი ენით (და) ბაგეებით ლაპარაკობს“.¹

ლეზგიური (კიურული) ენის ზმნა არც პირის, არც რიცხვის მიხედვით არ იცვლება; ცვლა მხოლოდ დროთა მიხედვით გვაქვს; ამგვარად, უღვლილებაში გარდამავალი და გარდაუვალი ზმნები არ გაირჩევა, ასეთ პირობებში სახელთა ბრუნვაა ამოსავალი: გარდამავალ ზმნას ლოგიკურ სუბიექტად მოუღის მოქმედებითი ბრუნვა (**-დი**: ბაბადი „მამამ“), ლოგიკურ ობიექტად სახელობითი (იგივეა სუბიექტი გარდაუვალი ზმნისა).

ლოგიკურ სუბიექტად შეიძლება მიცემითი ბრუნვაც გვქონდეს. მიცემითსავე შეუძლია ობიექტი აღნიშნოს. ბრალდებითი ბრუნვა ლეზგიურში არა გვაქვს ისევე, როგორც სხვა კავკასიურ ენათა უმეტესობაში.²

ერთგვარ შეჯამებად მიიჩნევა, როცა ი. მეშხანიოვი წერს: „მეტყველების ი ა ფ ე ტ უ რ ი ს ტ რ უ ქ ტ უ რ ი ს ე რ თ ი ყ ვ ე ლ ა ზ ე დ ა მ ა - ხ ა ს ი ა თ ე ბ ე ლ ი ნ ი შ ა ნ თ ა გ ა ნ ი ა პ ა ს ი უ რ ი კ ო ნ ს ტ რ უ ქ ც ი ა, რომელიც სუბიექტს აფორმებს ირიბი ბრუნვის სახით, ობიექტს სვამს სახელობითში, ვლინდებიან რა ზმნებში პირდაპირი ობიექტის მოთხოვნით, პასიური წყობის ნორმები წინააღმდეგობაში იმყოფებიან თანამედროვე მეტყველის აზროვნების აქტიურ წყობასთან და გადაშენდებიან „გრამატიკულ კატეგორიებად“, რომელიც არ შეეფერებიან ფრაზის ლოგიკურ შინაარსს. ამასთან დაკავშირებით, პასიურ წყობას გამოდევნის აქტიური, როგორც გარკვეული სემანტიკის ზმნებთან, ისე დროთა მთელი ჯგუფების სტრუქტურასთან... კავკასიის სხვადასხვა ენები იმყოფებიან სხვადასხვა საფეხურზე პასიურობიდან აქტიურობისაკენ. ასე, მაგალ., აფხაზურმა და, საერთოდ, მთის კავკასიურმა ენებმა მოაღწიეს მთელი გარდამავალი ზმნის პასიური კონსტრუქციის დაცვით მაშინ, როდესაც ამიერკავკასიის ენები კერძოდ, ქართული, მეგრული, ჭანური უკვე გადავიდნენ აქტიურობაზე ყველა დროში გარდა აორისტისა და მისი ჯგუფისა. ერთგვარი გადახვევა გვაქვს ჭანურში, რომელიც იგულებს პასიურ წყობას აწმყოშიც... მაგრამ ამ ენებშიც — ქართულში, მეგრულში, ჭანურში — ჯერ კიდევ გვაქვს პასიურობის გადმონაშთები (ნაცვალსახელოვან ნაწილაკთა გამოყენებისას უღვლილებაში)...“³.

¹ ი. მეშხანიოვი, ვან. წარწ. ენა, გვ. 197-198.

² იქვე, გვ. 199-200.

³ იქვე, გვ. 201-202.

§ 20. სტადიური თეორიის პირველი ვარიანტის ანალიზი. მოყვანილ ადგილთა შინაარსი რომ შევაჯამოთ, მივიღებთ:

1. ი. მეშხანიოვი ერგატიული კონსტრუქციის პასიურობიდან ამოდის.

2. პასიურობის გაგება ნ. მარისეულია: აქედან მოდის ერგატივის გამოცხადება ირიბ ბრუნვად (მისი სახელდება ნაცვალსახელოვან მიცემითა); ნ. მარისეულია ზმნის ფუძეში ვნებითობის ელემენტის გამოყოფა (კრიბა); მაგალითიც კი — „სპასალარმან კრიბა ლაშქარი“ — და მისი თარგმანი ნ. მარის „ძვ. ქართ. ენის გრამატიკიდან“ არის აღებული. ნაცვალსახელოვან ნაწილაკთა გამოყენება — სუბიექტურისა ობიექტის აღსანიშნავად (მრწამს) და ობიექტურისა სუბიექტის აღსანიშნავად (მრწამს), აგრეთვე უცნაური დებულება, თითქოს მი-, მა-, (მიყვარს, მაქვს...) ნათესაობითსა და მიცემითში დასმული ნაცვალსახელოვანი ელემენტები (ი. მეშხანიოვის მიხედვით -მ-ს ფორმები!) იყოს, ნ. მარის დებულებებია.

ნ. მარის დებულებათა ორი სახელობითის გარჩევა: • წიგნური ბრუნებისა და ხალხური ბრუნებისა.

3. ახალია და თავისებური ნ. მართან შედარებით:

ა) ობიექტის ბრუნვის გამოყენება ერგატიული კონსტრუქციის დასახსიათებლად: ობიექტი გაუფორმებელი სახელია (სახელობითი).

ბ) მერე: გარდამავალი ზმნის ობიექტი და გარდაუვალი ზმნის სუბიექტი ერთი და იგივე მორფოლოგიური ოდენობაა (სახელობითი). ეს უკვე გულისხმობს მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა მონაცემების გამოყენებას.

გ) მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა გარდამავალი ზმნის კონსტრუქცია ნ. მარს არ განუხილავს. ი. მეშხანიოვი ეხება აფხაზურის, ლაკურის, უღურისა და ლეზგიურის წყობას, ახსიათებს ამ ენებში გარდამავალ ზმნას და განაზღვრავს მათს საერთო და განმასხვავებელ ნიშნებს.

დ) აფხაზურში ბრუნვები არა გვაქვს, ამოსავალია ზმნის უღვლილება (პრეფიქსები); ლეზგიურში (კიურულში) ზმნა ერთი დროის ფარგლებში არ იცვლება, ბრუნვათა ფორმებია კონსტრუქციის დასახსიათებლად გამოყენებული.

ე) უღურში რეალური სუბიექტის ბრუნვად გვაქვს: მოქმედებითი (ე. ი. ერგატივი), ნათესაობითი, მიცემითი და სახელობითი.

ვ) ქართველურ ენებში მიმდინარეობს პროცესი პასიური კონსტრუქციის გარდაქმნისა აქტიურ კონსტრუქციად, და მიცემითი ნაცვალსახელოვანი აღარ გაიგება როგორც ირიბი ბრუნვა. პასიურობის გადმონაშთები მაინც მოგვეპოვება: ზმნაშიც, ბრუნებაშიც.

თვით „აქტიური წყობის ყველა დროში მთელი მეტყველების პასიური ხასიათი საერთოდ იმდენად იგ-

რძნობა, რომ სრულებით არ მოგვეპოვება ბრალდებითი ბრუნვა და ლოგიკურ პირდაპირ ობიექტს გადმოგვეცემს... ირიბი ბრუნვა, ...მიცემითი: კაცი კლავს ძაღლს.¹

ზ) საკითხის დასმისათვის სიმბტომატურია დებულება: გარდაუვალი ზმნა აფხაზურისა — აქტიურ კონსტრუქციას ქმნის, და თავის ანტიპოდს — გარდამავალი ზმნის პასიურობას განსაზღვრავს.²

ქართ. „ლაშქარი მიეშურების“ — აქტიური წყობისააო, „სპასალარ-მან კრიბა ლაშქარი“ — პასიური წყობისააო...

გამოდის, რომ გარდაუვალი ზმნა „მიეშურების“ უფრო აქტიურადაა გაგებული ამ ენაზე მოლაპარაკე ადამიანის მიერ, ვინემ, გარდამავალი — „კრიბა“.

§ 21. სტადიური თეორია ი. მეშჩანინოვის „ზოგად ენათმეცნიერებაში“ და მისი ანალიზი. 1940 წელს გამოსულ შრომაში ერგატიული კონსტრუქციის საკითხი წინადადების სხვა კონსტრუქციებთან კავშირშია განხილული, მასთან იბერიულ-კავკასიურ ენათა გარდა პალეო-აზიური ენების ფაქტებიცაა საკითხის გასარკვევად მოხმობილი. ეს ენებია: უნანგანური (ალეუტური), იუიტური (ესკიმოსური), ოდულური (იუკაგირული), ლუორავეტლანური (ჩუკოტური), იტელმენური (კამჩადალური), ნიმილანური (კორიაკული).

შრომაში „ახალი მოძღვრება ენის შესახებ“ ეს ენები სამი სისტემისადაა მიჩნეული:

- | | | |
|---|---|----------------|
| I. ჯგ. (სისტემა): უნანგანური
იუიტური | } | პასიური სტადია |
| II. ჯგ. „ ოდულური | | } |
| III. ჯგ. „ ლუორავეტლანური
იტელმენური
ნიმილანური | } | |

ჩრდილო ამერიკელ ინდიელთა ენა ნემეპუ, რომელსაც აგრეთვე მი-

¹ „ვან წარწერ. ენა“, გვ. 196-197 (შდრ. იქვე, გვ. 193, 201-202).

² „...в абхазском уже выделяется активный строй непереходного глагола, обусловливающий собой свой антипод — пассивный строй переходного“ — „Язык Ванской клиноп.“ გვ. 200.

³ ი. მეშჩანინოვი, ახალი მოძღვრება ენის შესახებ, 1936, გვ. 142.

მართავს ი. მეშჩანინოვი, პირველ სტადიას განეკუთვნება: უნანგანურსა და ოდულურს შორისო.¹

„ზოგად ენათმეცნიერებაში“ პალეოაზიური ენებიცა და იბერიულ-კავკასიური ენებიც გამოყენებულია ისტორიული შემდგომადობის საჩვენებლად ენების წყობაში; საკითხი წინადადების სტრუქტურას ეხება.

პალეოაზიურისა და ინდიელთა ენების შესახებ კეთდება დასკვნა: აქ ერთდროულად წარმოდგენილია ორი ენობრივ წყობა. ერთი მათგანია — მაინკორპორირებელი (პოლისინთეზური), სადაც შესიტყვება უახლოვდება ერთ ლექსიკურ ოდენობას. მეორეში ცალკე სიტყვები გვაქვს და ეს სიტყვები სინტაქსურად დაკავშირებულია ერთმანეთთან.

ეს ორი წყობა გარკვეული ისტორიული თანამიმდევრობითაა დაკავშირებული.

იუიტურში (ესკიმოსურში) პოსესიური წყობა გვაქვს.

ლუორავეტლანურის (ჩუკოტურის) მონაცემები მოწმობს, რომ ინკორპორაცია გადადის ერგატიულ წყობაში და არა პოსესიურში...².

იუკაგირული: კრდე-დ-ილენ-გეტილ ზედმიწევ.: „კაც - ირემ - მოტანა“.³
ნიმეფოლსორომოპ ზედმიწევ.: „სახლ-შენებ-კაც“...⁴ პირველი ნიშნავს: „კაცმა ირემი მოიტანა“, მეორე — „კაცი სახლს აშენებს“.

ინკორპორაცია გილაკურში გვაქვსო.⁵

პალეოაზიურ ენათაგან უნანგანურ-იუიტურში გვაქვს პოსესიური წყობა, ლუორავეტლანურში — ერგატიულის ჩანასახი.

კონსტრუქციათა დირისეულ კლასიფიკაციას (ერგატიული, ნომინატიური, დატიური)⁶ ი. მეშჩანინოვთან ემატება პოსესიური. ხუნძური ენის მასალის დამოწმებით ი. მეშჩანინოვი იძლევა კონსტრუქციათა ასეთ სქემას:

ნომინატიური: ვაც ინევ ვუგო „ძმა მიდის“ — უობიექტო აქტიური კონსტრუქცია.

გენეტიური: დირ ჩუ ბუგო „მე ცხენი მყავს“ („ცხენი ჩემი არის“) — პასიური პოსესიური წინადადება.

ლოკატიური: დიჯ ჩუ ბუგო „მე ცხენი მყავს“ („ცხენი ჩემთან არის“) პასიური ლოკატიური წინადადება.

ლოკატიური: დიდა ჩუ ბიხ'ულა „მე ცხენს ვხედავ“ (ჩემდა ცხენი ჩანს“) — პასიური ლოკატიური წინადადება.

¹ იქვე, გვ. 142.

² ი. მეშჩანინოვი, ზოგადი ენათმეცნიერება, გვ. 126-127.

³ იქვე, გვ. 107.

⁴ ი. მეშჩანინოვი, ზოგადი ენათმეცნიერება, გვ. 112, შენიშვნა 2.

⁵ იქვე, გვ. 101.

⁶ იხ. აქვე, § 24.

დატიური: დიდე ჩუ ბოტაულა „მე ცხენი მიყვარს“ — პასიური აფექტური წინადადება.

ერგატიული: დიცა ჩუ ბოსულა „მე ცხენს ვყიდულობ“ („მე ცხენი ვყიდულობ“) — პასიური ერგატიული წინადადება.

ამათგან ნომინატიური, დატიური და ერგატიული კონსტრუქციები ყველა კავკასიურ ენაში გვაქვს.

პოსესიური კონსტრუქცია ცნობილია ხუნძურის გარდა უდურში, მაგრამ განსაკუთრებით ფართო გამოყენება აქვს მას ლაკურში, მესამე პირში; პოსესიური კონსტრუქციის ნარჩენები ცხადად ჩანს აფხაზურშიც: „წინსართები, რომელნიც აფხაზურ გარდამავალ ზმნაში აღნიშნავენ მოქმედ პირს, ე. ი. ეგრეთ წოდებული „ერგატიული წინსართები“, სხვა არაფერია, თუ არ კუთვნილებითი ნაცვალსახელოვანი მაჩვენებლები, რომლებიც შეიმჩნევა სახელშიაც და ზმნაშიც“.¹

მდრ. ს-აბ	მამა ჩემი ²	ს-ი-გოდტ	მე მიყვავარ მას (ვილაცას)
ჟ-აბ	მამა შენი (მამაკაცისა)	ჟ-ა-გოდტ	შენ (მამაკ.) მიჰყავხარ (რალაცას)
ბ-აბ	„ „ (ქალისა)		
დ-აბ	მისი (მამაკ.) მამა	დ-ი-გოდტ	ის (ადამ.) მას (ადამ.) მიჰყავს ³
ლ-აბ	მისი (ქალის) მამა		
ა-აბ	მისი (პასიურის) მამა		

აფხაზურში გარდამავალი ზმნის ერგატიული წყობა გამოსულია პოსესიურისაგან.⁴

„...პოსესიური წყობა შეინიშნება აფხაზური ზმნის ანალიზში...“ გადმონაშთის სახით წარმოდგენილი, იგი თვითონაც რავგარობით სხვანაირი ხდება, ინარჩუნებს რა მხოლოდ ფორმალურ მხარეს.⁵

და კიდევ: „რასაკვირველია, აფხაზურში გარდამავალი ზმნა არ აღიქმება, როგორც კუთვნილებითი ნასახელარი აღნაგობა დროული ზმნური დაბოლოებით, მაგრამ ფორმალურად იგი მაინც ადის ასეთ წყობამდის. კუთვნილებითმა ფორმამ იცვალა შინაარსი, იწყო გააზრიანება სხვაგვარად“.⁶

ხუნძური ენის დასახელებული კონსტრუქციებიდან ყველა პასიურია, გარდა პირველისა: გ ა რ დ ა უ ვ ა ლ ი უ ო ბ ი ე ქ ო ზ მ ნ ა ა ქ ტ ი უ -

¹ იქვე, გვ. 148.
² იქვე, გვ. 147.
³ იქვე, ი. მ ე შ ჩ ა ნ ი ნ ი ო ვ ი, ზოგადი ენათმეცნიერება, გვ. 145.
⁴ იქვე, გვ. 148
⁵ იქვე, გვ. 144.
⁶ იქვე, გვ. 140.

რია; აქ სუბიექტი სახელობითშია; ყველა სხვა კონსტრუქცია პასიურია: პოსესიური, ლოკატიური, აფექტური, ერგატიული, კონსტრუქციები.¹ რატომ? იმიტომ, რომ სუბიექტი სახელობითში არ დაისმის: ან ნათესაობითშია, ან მიცემითში, ან ლოკატივში ან ერგატივში. ეს ერგატივი ირიბი ბრუნვაა.

რას წარმოადგენს ერგატიული კონსტრუქცია? რა ადგილი უჭირავს მას სხვა კონსტრუქციათა შორის?

„ერგატიულს კონსტრუქციაში ივარაუდება წინადადების თავისებური წყობა, რომელიც არაიშვიათად იწოდებოდა სპეციალურს ლიტერატურაში „პასიურად“.²

ი. მეშჩანინოვის მიხედვით ერგატიული ბრუნვა ორგვარია: ერთს საზიარო ფორმა აქვს მოქმედებითან, ის ზმნას არ ითანხმებს; ასეთია ერგატივი ხუნძურში, დარგულში...

მეორე კი თავისთავადი მორფოლოგიური ოდენობაა; ის ზმნას ითანხმებს. ამის მაგალითი გვაქვს ქართულში, ჭანურში, მეგრულში.

ერგატივი ორსავე შემთხვევაში ირიბი ბრუნვაა, თუმცა „თავისთავადი ერგატივის“ ირიბი ხასიათი მხოლოდ მრავლობითში შეიმჩნევა.³

სხვა მხრივ იგი აქტიური შინაარსისაა; ესაა „ყველაზე აქტიური სხვა ბრუნვათა შორის, რამდენადაც მხოლოდ მოქმედ პირს გამოსახავს და ზმნას ითანხმებს“.⁴

როცა სუბიექტად არათავისთავადი ერგატიული ბრუნვა იხმარება, კონსტრუქცია პასიურია (ხუნძურში); როცა სუბიექტად თავისთავადი ერგატივია, კონსტრუქცია იწყებს გარდაქმნას აქტიურ კონსტრუქციად. ესაა ნომინატიური კონსტრუქცია. მისი ნიშნები გვაქვს ქართულსა, მეგრულსა და ჭანურში.⁵

აქ უკვე გვაქვს ნომინატიური კონსტრუქცია სახელობითითა და ბრალდებითი ბრუნვით (მიცემით-ბრალდებითით).⁶

„თავისთავადი ერგატივი“ ახალი ქართული ენისა სახელობითის ფუნქციისაა და გაუტოლდებოდა მას, რომ მხოლოდ აქტიურ სუბიექტს არ გამოხატავდეს და ისიც აორისტში და მასთან გარდამავალ ზმნებთან“.⁷

¹ იქვე, გვ. 192-193.

² იქვე, გვ. 172.

³ იქვე, გვ. 204.

⁴ იქვე, გვ. 200, აგრეთვე, გვ. 205.

⁵ იქვე, გვ. 201.

⁶ იქვე, გვ. 203.

⁷ იქვე, გვ. 206.

აწმყოს ანალოგიით აორისტშიც ჩნდება ვნებითი გვარი, რომელიც ერგატივს უპირისპირდება, როგორც მოქმედებითს; მაგრამ ერგატიული კონსტრუქცია არაა მოქმედებითი გვარისა.¹

ძვ. ქართულში ერგატივი ითანხმებს ზმნას; მაგრამ ზმნას ობიექტიც, სახელობითიც ითანხმებს; გვაქვს ორმხრივი შეთანხმება, დამახასიათებელი ერგატიული კონსტრუქციისათვის (მაგ., დარგულში).²

„ერგატიული კონსტრუქციის სინტაქსი სრულებით განსხვავებულია. ის არ თავსდება ნომინატიური წინადადების სინტაქსის ნორმებში. ამიტომაც იაფეტურს ენებში არა გვაქვს წინადადების ის წევრები, რომელთაც ვპოულობთ ინდო-ევროპული მეტყველების წინადადებაში. ერგატიული აღნაგობის ფრაზაში არა გვაქვს... ქვემდებარე და შემასმენელი — მათი ფუნქციისა და თვისებათა ჩვეულებრივი გაგებით, ...არა გვაქვს არც პირდაპირი დამატება“.³

ჭანურში გვაქვს ერგატიული კონსტრუქცია ყველა დროში ისეთივე, როგორც მთის კავკასიურ ენებში; ესაა უფრო ძველი ვითარება, ვინემ — ქართულში.

ჭანურმა „დაკარგა ორმხრივი შეთანხმების უნარი“, რადგანაც „გრამატიკული კლასები არ მოეპოვება“.⁴

ამგვარად ა) კონსტრუქციათა დახასიათებისას ამოსავალია სუბიექტის ბრუნვა;

ბ) ერგატივი ირიბი ბრუნვაა;

გ) ერგატივი გარჩეულია ორგვარი: საზიარო და თავისთავადი;

დ) თავისთავადი ითანხმებს ზმნას, საზიარო არ ითანხმებს;

ე) პირველი — აქტიური ბრუნვაა, სახელობითის ტოლი (მეორე — არა);

ვ) სადაც საზიარო ერგატივი გვაქვს, გარდამავალი ზმნა პასიურია, სადაც თავისთავადი ერგატივი — კონსტრუქცია არაა პასიური, მაგრამ არც აქტიურია, თუმცა მას უპირისპირდება ვნებითი.

ასეთი ერგატივი უფროა ქვემდებარის ბრუნვა, ვინემ სახელობითი, თუმცა სახელობითი აქტიური კონსტრუქციის ქვემდებარეა აწმყოში, და თუმცა აქ ობიექტად ბრალდებით-მიცემითი გვაქვს.

კონსტრუქციის დახასიათება სუბიექტისა და ობიექტის თვალსაზრისით აქ ერთმანეთთან არ მოდის: სუბიექტის ბრუნვის მიხედვით ქართული ერგატიული კონსტრუქცია აქტიური გამოდის, ობიექტის მიხედვით კი — პასიური.

¹ იქვე, გვ. 207.

² იქვე, გვ. 205.

³ იქვე, გვ. 211.

⁴ იქვე, გვ. 211.

ერგატიული კონსტრუქცია გარდაიქმნება ნომინატიურად: ნომინატიური მოსდევს ერგატიულს.

რა უსწრებს ერგატიულს? გვაქვს: ლოკატიური, დატიური და პოსესიური (გენეტიური) კონსტრუქციები.

დატიური კონსტრუქცია ახალიაო, ამბობს მეშჩანინოვი. რა მიმართებაშია მაშინ იგი ერგატიულ კონსტრუქციასთან? ეს საკითხი უთუოდ უნდა გაირკვეს: ან განვითარების ერთ ხაზზე მდებარეობს ყველა ეს კონსტრუქცია, და მაშინ ნომინატიური და ერგატიული გაითიშება — მათ შორის უნდა მოთავსდეს მიცემითიანი კონსტრუქცია. ანდა განვითარების ერთი ხაზი არ გვქონია, და მაშინ ძირითადი პრინციპი ირღვევა.

მერე: თუ პოსესიური კონსტრუქცია ცალკე საფეხურია, გამოდის, რომ ლაკურსა და აფხაზურში ერგატიული კონსტრუქცია არა გვქონია (მაშინ, როდესაც გარდამავალი ზმნა აქაც ისეთივეა, როგორც ხუნძურში).

ეს ფაქტები, აგრეთვე ჭანურის სიძველის მტკიცება, შედარებით ქართულთან, ისტორიულ ვითარებას არ ეგუება.

თ ა ვ ი მ ე ხ უ თ ე

ე რ ბ ა ტ ი უ ლ ი კ ო ნ ს ტ რ უ ქ ც ი ი ს მ ი თ ო ლ ო გ ი უ რ ი თ ე ო რ ი ა

§ 22. კ. უ ლ ე ნ ბ ე კ ი გ ა რ დ ა მ ა ვ ა ლ ი ზ მ ნ ის ა და ე რ გ ა ტ ი ვ ის უ ე ს ა ხ ე ბ.

გარდამავალი ზმნის პასიურობას ჩრდილოეთ ამერიკის ინდიელთა მეტყველებლაში კ. ულენბეკმა სპეციალური წერილი უძღვნა.¹ საკითხის დასმით ამ წერილს პრინციპული მნიშვნელობა აქვს.

გადმოვცემთ ავტორის მსჯელობის სქემას: როცა ახალ ენას ვეცნობით ძნელი გასარკვევია ხოლმე, ამ ენის გარდამავალ ზმნას მოქმედებითი ხასიათი აქვს თუ ვნებითი. განსაკუთრებით ეს ითქმის პრიმიტიულ ტომთა მეტყველებაზე. ჩვენ შეიძლება გაგება შევიტანოთ, ისეთი გაგება, რაც ამ ენისთვის უცხოა. შეცდომა რომ თავიდან ავიციდინოთ, საჭიროა ობიექტური კრიტერიუმით, ამბობს კ. ულენბეკი.

ის გულუბრყვილო ადამიანი, რომლისთვისაც ეს პრიმიტიული ენა დედაენაა, ვერ მოგვცემს რაიმე ახსნას. მაგალითად, როცა პრერიების მკვიდრ ინდიელს, რომელმაც ინგლისური ენა იცის, ეკითხებიან, რას ნიშნავს გარკვეული გამოთქმა „მე მოვკალი იგი“ თუ „იგი მოიკლა ჩემ მიერ“, ის უპასუხებს გაოცებული: „განა ეს სულ ერთი არააო!“ ასე უპასუხებს, რადგანაც მას მხოლოდ რეალური ვითარება აინტერესებს: „იგი მოკლულ იქმნა ჩემი ჩარევით“ — „ჩემი მეშვეობით“ და არა „ჩემ მიერ“: ინდიელს საქმის ვითარება და საკუთარი მონაწილეობა ამ საქმეში სხვაგვარად ესმის, ვინემ ჩვენ გვაქვს წარმოდგენილი. ამას ბოლოს დაეუბრუნდებითო, — შენიშნავს კ. ულენბეკი.

ჩრდილო ამერიკის ინდიელთა მეტყველების განხილვას ულენბეკი ა ლ გ ო ნ კ ი ნ უ რ ი თ ი წყებს.

უღაგო ნათესაობა არსებობს ვ ნ ე ბ ი თ ა დ მ ი ჩ ნ ე უ ლ ფ ო რ მ ა ს ა

¹ კ. უ ლ ე ნ ბ ე კ ი, გარდამავალი ზმნის ანუ მოქმედების ზმნის პასიური ხასიათის შესახებ ჩრდილოეთ ამერიკის ენებში; ჰოლანდიურ ენაზე გამოქვეყნდა ამსტერდამში, აკადემიის მოამბეში, 1917 წ. („Het passieve karakter van het verbum transitivum of van het verbum actionis in talen van Nord-Amerika, 1917“). რუსული თარგმანი შევიდა კრებულში „წინადადების ერგატიული კონსტრუქცია“, 1950, გვ. 74-96. მოიპოვება ფრანგული თარგმანიც: C. C. U h l e n b e c k, Le caractère passif du verbe transitif ou du verbe d'action dans certaines langues de l'Amérique du Nord, უტურნ. Revue des Etudes Basques, XIII, 1922. რუსული თარგმანი ადგილ-ადგილ კვეცს ტექსტს; ჩვენ მივუთითებთ როგორც რუსულ, ისე ფრანგულ თარგმანზე.

და გარდამავალ ცენტრისკენულ ფორმებს შორის, რომელსაც უკანაენისმიერი ახასიათებს:

ოჯიბვეის ენა (ალგონკინური ჯგუფისა):
 ვნებ. ნინ-ტაბამიგო „მე ვჩანვარ“ („я виден“); ცენტრ. გარდამ.: ნინ-ტაბამიგ
 „მე მხედავენ“
 კი-ტაბამიგო „შენ ჩანხარ“ კი-ტაბამიგ „შენ გხედავენ“

ასეთსავე შეფარდებას ვპოვებთ ბლეკფუტის („შავ-ფეხათა“) ენაშიც:

ვნებ. ნი-ტაინოკო „მე ვჩანვარ“ ცენტრ. გარდამ. ნი-ტაინოკ „მე მხედავენ“
 კი-ტაინოკო „შენ ჩანხარ“ კი-ტაინოკ „შენ გხედავენ“.

ამ ორი წარმოების სიახლოვემ მიიქცია მიხელსონის ყურადღება, როცა იგი სწავლობდა ფოქს-დიალექტსაო, შენიშნავს კ. ულენბეკი.

მართლაც, დაკვირვებულ მკვლევარს ეს ვერ გამოეპარებოდა. მიხელსონმა დაასკვნა: ფორმები, რომლებიც უკანაენისმიერიან ფორმანტს შეიცავენ და მოქმედებითადაა მიჩნეული (ნინ-ტაბამიგ, ნი-ტაინოკ), ვნებითი უნდა იყოს წარმოშობითაო.¹

რაკი მოქმედებითად მიჩნეული ცენტრისკენული ფორმა წარმოებით დაკავშირებული აღმოჩნდა ვნებითთან, ბუნებრივია დავასკვნათო, — ამბობს კ. ულენბეკი, — რომ ვნებითად მისაჩნევია ცენტრისკენული ფორმა მაშინაც, როცა ასეთი კავშირი ვნებითთან არაა ხელშესახები.²

თუ მოხერხდება იმის ჩვენება, რომ ცენტრიდანული ფორმების ნაწილიც გულისხმობს პასიურ გაგებას, სარწმუნოდ უნდა გვეჩვენოს დებულება, რომ გარდამავალი ზმნა მთლიანად პასიურია.

მართლაც და ძნელია იმაში დაეჭვდეს კაცი, რომ ე. წ. მოქმედებითი გვარი დაფუძნებულია მესამე პირზე, რომელიც აღიარებულია ვნებითი კონსტრუქციისად, ნაცვალსახელოური ელემენტები კი, რომლებიც დაერთვის ამ მესამე პირს, წარმოგვიდგენენ მოქმედ ბრუნვას (*un cas d'agent*), ინსტრუმენტალისის ხასიათისა, გარდამავალ ბრუნვას (*le cas transitif*)³.

ვთქვათ, ოჯიბვეი-ს ცენტრიდანული ზმნა იუღვლება ასე:
 ნინ-ტაბამა „მე მას ვხედავ“
 კი-ტაბამა „მე შენ გხედავ“
 ტაბამა „ის ჩანს“ („он виден“): აი ეს მესამე პირია, — რომელსაც კ. ულენბეკი ვნებითად თარგმნის, — დასაყრდენი პირველი და მეორე

¹ კრებ. „წინად. ერგატ. კონსტრ.“, გვ. 73; ფრ. თარგ., გვ. 400.

² იქვე.

³ იქვე, გვ. 75; ფრ. თარგ., გვ. 400.

პირისათვის, და ეს პირები, ბუნებრივია, თუ ასეთ პირობებში ვნებითი აღმოჩნდება.

ბ ლ ე კ ფ უ ტ ი ს ზმნის ფორმები:

ნი-ტანინოაუ „მე მას ვხედავ“

კი-ტანინოაუ „შენ მას ხედავ“ აშკარაა, რომ ნაწარმოებია ვნებითიდან აინოაუ „ის ჩანს („ОН ВИДЕН“).

იმავე ბლექფუტის ზმნის ფორმები: ნი-ტანინოაუაუ „ჩვენ (ექსკლ.) ვხედავთ მას“, კი-ტანინოაუაუ „თქვენ ხედავთ მას“ არის დაფუძნებული ვნებითის ფუძეზე — სულიერთათვის — აინოა, რომლიდანაც ნაწარმოებია აინოაუ („ის ჩანს“ „ОН ВИДЕН“) უ-ს, მესამე პირის ნიშნის დართვით.¹

იმავე ბლექფუტში თხრობითი კილოს გარდამავალი ზმნის ფორმა — უსულოთათვის — რომ აგრეთვე ვნებითია, ესეც ცხადად ჩანს.

მოქმედის 3. და 4. პირის ფორმათა გამოკლებით — სხვა ფორმები, სახელდობრ, პირველისა და მეორე პირის ფორმები დამყარებულია ვნებითზე:

ნი-ტანიჩხ „მე ვხედავ რაღაცას“

კი-ტანიჩხ „შენ ხედავ რაღაცას“

აინიჩხ „რაღაცა ჩანს“.

ეს აინიჩხ არის ამოსავალი ორი დანარჩენი პირისათვის.

როგორც ხედავთ — ამბობს კ. ულენბეკი, — მე ვიძლევი ე. წ. აქტიური ფორმების პირობითს თარგმანს, და, ამას პრაქტიკული მოსაზრებები მიკარნახებს, თუმცა მე ვცდილობ თქვენ დაგარწმუნოთ ამ აქტიური ზმნების პასიურ ხასიათშიო.²

ვნებითობის სასარგებლოდ სხვა მოსაზრებებიც ლაპარაკობს. ასე, მაგალ., ბლექფუტში, უარყოფითს უღვლილებაში, გვაქვს ატს- სუფიქსი; ის გამოყენებულია გარდაუვალი ზმნის მესამე პირის ფორმაში, მაგრამ გარდამავალი ზმნის უღვლილებაში — სულიერთა თუ უსულოთა ფორმებში — ეს სუფიქსი გამოყენებულია ყველა პირის (1., 2., 3., 4.) ფორმებში, თუ რეალურ ობიექტად მესამე (მეოთხე) პირი ივარაუდება.

როგორღა უნდა აიხსნას ეს ფაქტი, თუ არ იმგვარად, რომ ატს-სუფიქსი მესამე პირის გრამატიკულ სუბიექტთანაა დაკავშირებული და რომ ის ფორმები, სადაც ეს პირი რეალური ობიექტია, სინამდვილეში პასიურია: არ შეიძლება უარყოფით, რომ არსებობს პარალელიზმი გარდაუვალი ზმნის მესამე პირის სუბიექტსა და გარდამავალი ზმნის იმ ფორმებს შორის, სადაც მესამე პირი რეალური ობიექტია.

¹ კრებ. „წინად. ერგატ. კონსტრ.“, გვ. 76; ფრ. თარგ., გვ. 401

² . იქვე, გვ. 76; გვ. 401.

რაც მესამე პირის შესახებ ითქვა, ეხება მეოთხე პირსაც, რადგანაც ეს უკანასკნელი მესამე პირზეა დამყარებული.

ბლეკფუტში ინაი-სუფიქსი გარდაუვალ ზმნებში ახასიათებს ისეთ ფორმებს, რომელთაც სუბიექტად მეოთხე პირი აქვთ, ხოლო სულიერთა გარდამავალ უღვლილებაში აღნიშნავს ლოგიკურ ობიექტს. ერთხელ კიდევ მივდივართ დასკვნამდის: ლოგიკური ობიექტი არის გრამატიკული სუბიექტი. ამის შესაბამისად, ფორმები:

ნი-ტანინოინაი „მე ვხედავ მეოთხე პირს“, კი-ტანინოინაი „შენ ხედავ მეოთხე პირს“ ზედმიწევნით რომ ვთქვათ, ნიშნავს: „მეოთხე პირი ინახვის ჩემ მიერ, შენ მიერ“.¹

ზოგადი დებულება, რომლის წამოყენების შესაძლებლობასაც იძლევა ალგონკინური, ასეთია: გარდაუვალი ზმნის უღვლილებაში ხშირად უკუიფინება სუბიექტი (სულიერთა თუ უსულ-ლოთა), გარდამავალი ზმნის უღვლილებაშიც ლოგიკური ობიექტია (სულიერთა თუ უსულოთა), კანონზომიერად რომ აღინიშნება.²

განა ეს არაა ახალი საბუთი ჩვენი ჰიპოთეზისა, — ამბობს კ. ულენბეკი, — რომ გარდამავალი ზმნის ლოგიკური ობიექტი გრამატიკულად იმავე სიბრტყეზეა, რაზედაც გარდაუვალი ზმნის სუბიექტი იმყოფება და რომ გარდამავალი ზმნის უღვლილება გაგებულია პასიურად.³

ამავე დებულების განსამტკიცებლად კ. ულენბეკი ერთ მოვლენასაც იმოწმებს: ესაა სუპლექტიური წარმოება მრავლობითისა ზმნებში: გარდაუვალი ზმნის სუპლექტიური მრავლობითი ისევეა დამოკიდებული სუბიექტზე, როგორც გარდამავალი ზმნის სუპლექტიური მრავლობითი — ობიექტზე; მაშასადამე, აქაც, გარდაუვალი ზმნის სუბიექტი და გარდამავალი ზმნის ობიექტი ერთი და იმავე რიგის მონაცემი გამოდის.⁴

ასე, მაგალ., ათაბასკური ჯგუფის ერთ-ერთ ენაში (ჩიპევა-ენაში) გარდაუვალ ზმნებს „მიდის“, „მოგზაურობს“, „ვარდება“, „ზის“, „წევს“, „ცხოვრობს“ სხვადასხვა ძირი აქვთ, იმისდა მიხედვით, სუბიექტი მხოლოობითშია თუ მრავლობითში; ასევე გარდამავალ ზმნებს „კლავს“, „გადაადგილებს“, „ატარებს“... სხვადასხვა ძირები (racines) აქვთ იმისდა კვალობაზე, სათანადო ობიექტი მხოლოობითშია თუ მრავლობითში.⁵

¹ კრებ. „წინად. ერგატ. კონსტრ.“, გვ. 76-77; ფრ. თარგ., გვ. 401.

² იქვე, გვ. 77; ფრ. თარგ., გვ. 402.

³ იქვე.

⁴ იქვე, გვ. 77; ფრ. თარგ., გვ. 402.

⁵ იქვე, გვ. 78; ფრ. თარგ., გვ. 402. ჩვენი ენებიდან საანალოგიოდ გამოდგება „ზის“ — „სხედან“, „ავდებს“ — „ყრის“...

სუბლექტური მრავლობითი მოეპოვება რიგ ენას: ათაბასკურს, ჰაი-დას, ციმშიანს, ჩინუკს, კუს, პომო-ს... და იქნებ სხვებსაც, მაგრამ მე მი-ნდა მხოლოდ უდავო შემთხვევებს დავემყარო.¹

ამ კონტექსტში ულენბეკი იხსენიებს ბასკურის, ჩუკჩურისა (ლუორა-ვეტლანურისა) და ინდო-ევროპულის ვითარებას:

„ერთი და იგივე ნაცვალსახელური ელემენტები, რომელთაც უწევს გარდაუვალ ზმნაში გრამატიკული სუბიექტის აღნიშვნა, გარდამავალ ზმნაში ლოგიკურ ობიექტზე მიუთითებენო (ინკორპორირებული ელემენტები კი ლოგიკურ სუბიექტს წარმოგვიდგენენო). ამ გარემოებამ მისცა საფუძველი ფრ. მიულერს, ვ. შტემპფსა და ჰ. შუხარდტს დაესკვნა, რომ ბასკური გარდამავალი ზმნა პასიურადაა აგებული.

ამას ადასტურებს ის გარემოება, რომ სახელსა და ნაცვალსახელში მოიპოვება გარდამავალი (ტრანზიტული) ბრუნვა მოქმედებითის ხასიათისა; ეს ბრუნვა ასრულებს მხოლოდ და მხოლოდ ლოგიკური სუბიექტის როლს გარდამავალ ზმნებთან წინააღმდეგ გარდაუვალ ბრუნვისა, რომელიც აღნიშნავს გარდაუვალ ზმნის სუბიექტსა და გარდამავალი ზმნის ლოგიკურ ობიექტს.²

მეორე ჩუკჩების ენა (ციმბირის ჩრდილო აღმოსავლეთში) ბასკურის მსგავს ვითარებას გვიჩვენებს, რამდენადაც აქაც გვაქვს ორი სერია ნაცვალსახელურ აფიქსთა და მათი როლი განაწილებულია გარდაუვალ სუბიექტისა და გარდამავალი ობიექტის აღნიშვნისას.

მოქმედის ბრუნვა ანუ მოქმედებითი გამოიყენება იმგვარადვე, როგორც გარდამავალი ბრუნვა ბასკურში, ხოლო ნაცვალსახელურ ნაწილაკთა ინკორპორაცია ოდნავ განსხვავდება გამოყენების მხრივ ბასკურისაგან.

ინდო-ევროპულ ენათა სახელობითა (-s-დაბოლოება) და აკუზატივის (-m-დაბოლოება), რომელიც o-ფუძეებთან სახელობითის როლშიც გამოდის, როგორც ჩანს, წარმოშობით უნდა ჰქონოდა გარდამავალ-გარდაუვალისა ანდა, შესაძლოა, აქტიურ-არააქტიური ბრუნვების მნიშვნელობა.

ინდო-ევროპული -s-ნიშნის ბრუნვა უნდა ყოფილიყო ამოსავალი, როგორც სახელობითისა, ისე ნათესაობითისა და დაშორებითისათვის, რომელთაც სახელობითი ენათესავება.

ამის ანალოგიას ვხვდებით ესკიმოსთა ენაში, სადაც -p- ბრუნვა ერთსა და იმავე დროს გარდამავალი ზმნის მოქმედსაც აღნიშნავს და ნათესაობითსაც. ესკიმოსურში გარდამავალი ზმნა ვნებითი კონსტრუქციისაა, თუმცა მარტივი არაა ამის ჩვენება.

მრავალ ჩრდილო-ამერიკულ ენაში დასტურდება სრული იგივეობა

¹ იქვე, გვ. 77; ფრ. თარგ., გვ. 404.

² იქვე, გვ. 80; ფრ. თარგ., გვ. 404-405.

ნაცვალსახელური ელემენტებისა, რომლებიც აღნიშნავენ გარდაუვალ ზმნათა (ანდა არააქტიურ ზმნათა) სუბიექტს, და იმ ფორმანტებისა, რომლებიც გარდამავალ ზმნათა ლოგიკურ ობიექტს გადმოგვცემენ.¹

ეს ნაცვალსახელური ელემენტები უპირისპირდებიან ან მთლიანად (ანდა ნაწილობრივ) იმ ნაცვალსახელურ აფიქსებს, რომელთაც ენა იყენებს გარდამავალი ზმნის (ანდა მოქმედების ზმნის) სუბიექტის აღსანიშნავად.²

ტლინგიტ ანუ კოლომ-ენაში (ალასკის სამხ. აღმოსავლეთით...) გარჩეულია ნაცვალსახელურ პრეფიქსთა ორი წყება: ერთი — მოქმედების ზმნათა ლოგიკური სუბიექტისათვის (სულ ერთია, უზის თუ არა მათ ლოგიკური ობიექტი), მეორე კი — გარდამავალ ზმნათა ლოგიკური ობიექტისათვის და არააქტიურ ზმნათა ლოგიკური სუბიექტისათვის. ასეთივე ვითარება გვაქვს ჰაიდა-ენაში: იქაც გარჩეულია აქტიურ-გარდამავალი და არააქტიურ-გარდაუვალი წყება ნაცვალსახელოვანი პრეფიქსებისა.

მრავლობითის სუბლექტიური წარმოების მიხედვით ჰაიდა-ენაში ჩვენ დავასკვნით, — წერს კ. ულენბეკი, — რომ ყველა გარდამავალი ზმნა პასიურია; ნაცვალსახელური ფორმანტების მიხედვით კი პასიურად უნდა ვცნოთ ყველა ზმნა მოქმედებისა.

ათაბასკურის შესახებ ასე ვერ ვიმსჯელებთ: გარდამავალი ზმნის შესახებ თქმულს ვერ განვაზოგადებთ მოქმედების ყველა ზმნაზე.³ თუმცა ათაბასკურის ჩვენება შედარებით ახალი უნდა იყოს, და ნა-დენე ჯგუფში (რომელშიაც ათაბასკურიც შედის და ჰაიდაც) ჰაიდა ენას უნდა ჰქონდეს დაცული ძველი ვითარება.⁴

ციმშიან-ენაში კი — ტლინგიტისა და ჰაიდა ენებისაგან განსხვავებით — ერთმანეთს უპირისპირდება გარდამავალი და გარდაუვალი ზმნების აფიქსები, და, მაშასადამე, ვნებითად უნდა მივიჩნიოთ მხოლოდ გარდამავალი ზმნები და არა ყველა ზმნა მოქმედებისა.

მუსკოგურ ენათა ოჯახში, სადაც ზმნაში ინფიქსით აღინიშნება მიცემითიანი ობიექტი, ნაცვალსახელურ აფიქსთა ორი წყება გვაქვს: ერთი აღნიშნავს მოქმედების ზმნათა სუბიექტს, მეორე — არააქტიურ ზმნათა სუბიექტსა და გარდამავალ ზმნათა ობიექტს. ამრიგად, აქ ყველა ზმნა მოქმედებისა პასიურია.

ანალოგიური ვითარება დასტურდება სიუ (sioux) ჯგუფის ენებში, რომლებზედაც უფრო დაწვრილებით შევჩერდებით. ამ ჯგუფიდან დაკოტა-ენა (და მასთან ახლო მდგომი დიალექტები) შევარჩიე, რადგანაც

¹ კრებ. „წინად. ერგატ. კონსტრ.“, გვ. 81, ფრ. თარგ., გვ. 405.

² იქვე.

³ იქვე, გვ. 82; ფრ. თარგ., გვ. 405.

⁴ იქვე, გვ. 83; ფრ. თარგ., გვ. 405.

ზმნის ფორმათა ანალიზი აქ უფრო ადვილიაო.

დაკოტა-ენაში გარჩეულია ნაცვალსახელურ აფიქსთა ორგვარი წყება: ერთი — აქტიურ-ტრანზიტიული შინაარსისა, მეორე — არააქტიურ-პასიურისა.

გარდაუვალი ზმნის ფორმები: „შეკრა“ — გარდაუვალი ზმნა(!)

უა-კაშკა	„მე შეკრავ“
და-კაშკა	„შენ შეკრავ“
კაშკა	„ის შეკრავს“
უნ-კაშკა	„მე და შენ შეკრავთ“
უნ-კაშკა-პი	„ჩვენ შეკრავთ“
და-კაშკა-პი	„თქვენ შეკრავთ“
კაშკა-პი	„ისინი შეკრავენ“. ¹

პირველი პირის ნიშანია **უა-**, მეორისა — **და-**, მესამე პირი — უფორმანტოა; ინკლუზივის ფორმანტია **უნ-**; ინკლუზივის რომ დაერთოს **პი-** სუფიქსი, მივიღებთ მრავლობითის პირველ პირს (ექსკლუზიურს კ. ულენბეკი მარტივად პირველ პირს უწოდებს). მეორე პირი მრავლობითისა იგივეა, რაც მეორე პირი მხოლოდობითისა, ოღონდ მრავლობითის **-პი-**სუფიქსდართული; ეგვე **-პი-** სუფიქსი დაერთვის მესამე პირს.

პირის ნიშნებად აქ პრეფიქსები გვაქვს (მრავლობითის ნიშანია სუფიქსი). სხვა შემთხვევაში პირის ნიშნებად ინფიქსებიც შეიძლება გვქონდეს; ამის მაგალითს იძლევა მანონ² „ქურდობს“, „იპარავს“ (გარდაუვალი ზმნა).

მა-ჟა-ნონ ²	„მე ვქურდობ“
მა-და-ნონ ²	„შენ ქურდობ“
მა-ნონ ²	„ის ქურდობს“
მა-ჟ-ნონ ²	„მე და შენ ვქურდობთ“
მა-ჟ-ნონ ² -პი	„ჩვენ ვქურდობთ“
მა-და-ნონ ² -პი	„თქვენ ქურდობთ“
მა-ნონ ² -პი	„ისინი ქურდობენ“. ²

ამას უპირისპირდება გარდამავალი ზმნის პირის ნიშნები: გარდამავალი ზმნის ლოგიკური ობიექტის პრეფიქსები და გარდაუვალ (არამოქმედების) ზმნათა სუბიექტის ნიშნები:

მა-და-კაშკა „მე შენ შემკრავ“ შდრ. მა-ტა „მე ვკვდები“
 მა-ტაშტე „მე კარგი ვარ“

¹ კრებ. „წინად. ერგატ. კონსტრ.“, გვ. 85, ფრ. თარგმ., გვ. 405.

² იქვე, გვ. 85.

მა-კაშკა „მე ის შემკრავს“ შდრ. იგივე მა-ტა, მა-ტაშტე...

მეორე პირისათვის **ნი-** გვაქვს:

ნი-კაშკა „შენ შეგკრავს“; შდრ. ნი-ტა „შენ კვდები“
ნი-ტაშტე „შენ კარგი ხარ“

თუ **მა-** ლოგიკური ობიექტის პრეფიქსია (მა-მა-კაშკა „მე შენ შე-
მკრავ“) გარდამავალი ზმნისა, გარდაუვალ (არააქტიურ) ზმნებში იგი ლო-
გიკური სუბიექტის აღმნიშვნელად გვევლინება (მა-ტა, „მე კვდები“, მა-
ტაშტე „მე კარგი ვარ“, ვკარგობ, აფხაზური: სგ-ბზიოუბ).

კაშკა „შემკრავს ამოსავალია სხვა ფორმების წარმოებისას; ტა
„კვდები“, ტაშტე „კარგობს“ — უფორმანტო მონაცემია.

კ. ულენბეკი შენიშნავს, რომ ყველა პირში ასეთი მარტივი და ნათე-
ლი ურთიერთობა არ დასტურდება; ასე, მაგალითად, როცა ობიექტად მე-
ორე პირია, ზმნაში ჩნდება **ნი-** ელემენტი, რომლის ანალიზიც არ ხერხდე-
ბაო.¹

არის ზოგი სხვა სირთულეც: საყურადღებოა ზოგადი პრინციპი:
„გარდამავალი ზმნის უღვლილებაში მეორე კატეგორიის აფიქსები წინ უს-
წრებს პირველი კატეგორიისასო“: მა-მა-კაშკა „მე შენ შემკრავ“ (თუმცა
აქაც ყველგან მარტივი ვითარება არა გვაქვსო²).

კ. ულენბეკი შენიშნავს: „ნაცვალსახელური აფიქსები არააქტიურ-პა-
სიურ-ზმნათა ობიექტისათვის და იმ არააქტიურ
ზმნათა სუბიექტისათვის, რომელნიც გამოხატავენ
მდგომარეობას ან თვისებასაო. ამ სერიის აფიქსები გრამატი-
კულ სუბიექტს აღნიშნავენო. სხვა არა დაგვრჩენია რა, თუ არ ის, რომ
პირველი სერიის აფიქსებს (იგულისხმება, ალბათ, ტა-კაშკა-ს ტა-) მივა-
ნიჭოთ მოქმედებითი ბრუნვის ღირებულება და მოქმედების ზმნა დავახა-
სიათოთ მთლიანად, როგორც პასიური.

იმ ზმნებში, რომელთაც პირის ნიშანთა ინფიქსაცია ახასიათებს, ვი-
თარება ზემოხსენებულის მსგავსია.

არის ზოგი არაწესიერი ზმნა, რომელიც არ ეგუება წარმოდგენილ
გაგებას, მაგრამ ეს არ ცვლის ძირითად დებულებასაო, შენიშნავს კ. ულენ-
ბეკი.³

¹ კრებ. „წინად. ერგატ. კონსტრ.“, გვ. 73, ფრ. თარგ., გვ. 409.

² იქვე, 85; ფრ. თარგ., გვ. 409.

³ კრებ. „წინად. ერგატ. კონსტრ.“, ფრ. თარგ., გვ. 413; აღსანიშნავია **კი-** ელე-

სიუ-ჯგუფის სხვა დიალექტებზე დაწვრილებით აღარ შევჩერდებით, შენიშნავს კ. ულენბეკი: პირის ნიშანთა სერიების საკითხში ეს დიალექტები მეტ წილად ეთანხმება დაკოტას.

ასე, მაგალითად, ჰიდატსა ენაში 1. და 2. პირის ნიშნებია **მა-** და **და-** აქტიურ-ტრანსიტიული ზმნებისათვის, **მი-** და **დი-** — არააქტიურ-პასიური ზმნებისათვის.¹

ეს კია, რომ მესამე პირში გვაქვს **ი-** ელემენტი, რომელიც გარდამავალ ზმნაში მიუთითებს ლოგიკურ ობიექტზე, მაგრამ არააქტიურ ზმნაში სუბიექტის როლში არაოდეს გამოიყენებაო.² და მაინც ზოგადი დებულება ძალაში რჩებაო.

ჰიდატსას არც ინკლუზივი აქვს და არც მრავლობითი.

პონკა-ენაში მოქმედების ზმნათა ლოგიკური სუბიექტი წარმოდგენილია პრეფიქსებით: **ა-** — პირველ პირში, **და-** — მეორე პირში, **ან-** — ინკლუზივში; გარდამავალ ზმნათა ლოგიკური ობიექტი და არააქტიურ ზმნათა ლოგიკური სუბიექტი კი იძლევა შემდეგს პრეფიქსებს: **ან-** — პირველ პირში, **დი-** — მეორე პირში და **ჟა-** — ინკლუზივში. მრავლობითის სუფიქსია **-ი** (= დაკოტას **პი-ს**³).

პონკა უფრო უახლოვდება დაკოტა-ენას, ვინემ ჰიდატსა.

ვინებაგოში პრეფიქსთა სერია ასეთ შეფარდებას ქმნის: აქტიურ-ტრანსიტიულ ზმნათა სუბიექტის ნიშანია **ჰა-** (1. პ.), **რა-** (2. პ.) და **ჰინ-** (ინკლუზივი); არააქტიურ-პასიური წყებაა: **ჰინ-** — (1. პ.), **ნინ-** — (2. პ.), **ჟანგა** (ინკლუზივი).

მრავლ. 3 პ. ობიექტის ნიშნად პონკა და ვინებაგო **ჟა-** პრეფიქსს იყენებს.

კ. ულენბეკი ეხება კიდევ ორ ენას სიუ-ჯგუფიდან: ერთია ტუტელო (გამქრალია 1898 წლიდან), მეორეა — კატაუბა აგრეთვე გაქრობის გზაზე შემდგარი.

ტუტელო ენაში გარდამავალი ზმნის პრეფიქსთა წყებაა: **ჟა-** — (1 პ.), **მა-** (2. პ.); გარდაუვალთა — **მი-** (1. პ.) და **დი** (2. პ.). მრავლობითის პირველ პირში ფორმათა დიდი ნაირ-ნაირობაა (ამ ენის შესახებ კ. ულენბეკი იყენებს ჰორაციო ჰეილ-ის წერილს); კატაუბა ენაში სიუ-ჯგუფის სხვა ენებიდან ცნობილი შეფარდება ნაცვალსახელურ ელემენტთა აღარ დასტურდებაო, ამბობს კ. ულენბეკი.⁴

მენტი, რომელიც აღნიშნავს „ვისთვის, ვის სასარგებლოდ“ ხდება ზმნით აღნიშნული მოქმედება, ე. ი. ვერსიის შინაარსი აქვს — იქვე, გვ. 90, ფრ. თარგ., გვ. 413.

¹ იქვე, გვ. 90; ფრ. თარგ., გვ. 413.

² იქვე.

³ იქვე, გვ. 90-91; ფრ. თარგ., გვ. 414.

⁴ კრებ. „წინად. ერგატ. კონსტრ.“, გვ. 92, ფრ. თარგ., გვ. 415.

კ. ულენბეკი ცალკე გამოყოფს ორ ენას: მაიდუ (**Maidu**) და კლამათ-ს (**Clamath**). ამ ორ ენაში მოქმედების ზმნა გაგებულა, როგორც აქტიური (და არა პასიური!); ამ ენებში სახელებსა და ნაცვალსახელებს მოეპოვებათ ნამდვილი სახელობითი და ამას უპირისპირდება გრამატიკული ობიექტის ბრუნვა, სწორედ ისევე, როგორც ინდო-ევროპულ ენებშიო.¹

მაგრამ ჩრდილო-ამერიკის ინდიელთა ენები არქაული ენებია და ის, რაც მათ ახასიათებს, უნდა გვექონოდა მაიდუ და კლამათ-ენებშიც. მართლაც, კლამათ-ენაში გარდამავალ ზმნათა მრავლობითის ფორმები იხმარება იმგვარადვე, როგორც ციმშიან-ენაში, და ამ უკანასკნელში კი გარდამავალი ზმნა უცილობლად პასიურია.

უღვლილებაში წარმოდგენილ ნაცვალსახელურ ელემენტებს, — ამბობს კ. ულენბეკი, — ბრუნვათა ღირებულება აქვს.

როცა ენაში ე. წ. აქტიურ (ანდა, ყოველ შემთხვევაში, გარდამავალ) ზმნებს პასიური გაგება აქვს, ნაცვალსახელური ნაწილაკები ორგვარი ღირებულების ბრუნვას გადმოგვცემს: ერთია — ბრუნვა ენერგეტული (**cas énergétique, casus energeticus**), მეორე — ინერტული (**cas inerte, casus inertiae**). თითოეული მათგანი იძლევა ორ სახეობას იმისდა მიხედვით, მოქმედების ყველა ზმნაა პასიური, თუ მარტოოდენ გარდამავალი. ამრიგად, ენერგეტული ბრუნვა შეიძლება იყოს გარდამავალი ბრუნვა (**transitif, casus transitivus**), როგორც, მაგალითად, ბასკურში და მაშინ მისი კორელატი იქნება გარდაუვალი ბრუნვა (**casus intransitivus**); ანდა: როგორც ლოგიკური სუბიექტის ბრუნვა, მოქმედების ყველა ზმნასთან შეიძლება გვექონდეს აქტიური ბრუნვა (**casus activus**;² ასეა, მაგალითად, ეს დაკოტა-ენაში) და მისი საპირისპირო არააქტიური ბრუნვა (**cas inactif, casus inactivus**).

ინერტული ბრუნვის რაობა (იქნება ეს გარდაუვალი თუ არააქტიური ბრუნვა) ადვილი გასარკვევია: ესაა ბრუნვა პირისა თუ ნივთისა, რომელიც მისდა უნებურად იმყოფება ამა თუ იმ მდგომარეობაში — თავისით თუ სხვა პიროვნებისა თუ ნივთის ზეგავლენით.³

რალაა ენერგიის ბრუნვა (**le cas d'énergie, casus energeticus**)? ამ ბრუნ-

¹ იქვე, გვ. 93; ფრ. თარგ., გვ. 415.

² იმ ენაში, რომელთაც მიცემითი არა აქვთ, ირიბი ობიექტის აღსანიშნავადაც ეს ბრუნვა იქნება გამოყენებული (ასეა, მაგალ., ალგონკინურში).

³ „წინად. ერგატ. კონსტრ.“, გვ. 94, ფრ. თარგ., გვ. 416.

ვას ზოგი რამ მოქმედებითისა აქვს, მაგრამ ყოველ შემთხვევაში იგი ცხადად გაირჩევა ჩვეულებრივი მოქმედებითისაგან. შეიძლება ენერგიის ბრუნვისათვის გვეწოდებინა პირველადი იარაღის ბრუნვა, ხოლო მოქმედებითისათვის მეორეული იარაღის ბრუნვა.¹

პრიმიტიული ადამიანები საკუთრივ მოქმედში (*l'agent propre*) გრძნობენ საიდუმლო ძალას. ეს უკანასკნელი მქლავდება მოჩვენებითი მოქმედის მეშვეობით, ე. ი. პირველადი იარაღის მეშვეობით, რომელმაც, თავის მხრივ, შეიძლება გამოიყენოს მეორეული იარაღი.²

ავიღოთ მაგალითად ფრაზა: „ის კლავს ჩიტსა ქვით“. ბლექფუტი ამ შინაარსს გამოხატავდა ამგვარად: „ჩიტი-საშუალებით-არის მოკლული-მის მიერ-ქვა“.³ ვინცა კლავს, მას ჩვეულებრივ მოქმედს ეტყვიან, მაგრამ ნამდვილად ის მხოლოდ მოჩვენებითი მოქმედი, პირველადი იარაღი, რომელზედაც ბატონობს საიდუმლო ძალა.

მოჩვენებითი მოქმედი, თუმცა თვითონ დამოკიდებულია, გავლენას ახდენს ლოგიკურ ობიექტზე (ე. ი. გრამატიკულ სუბიექტზე) თავისი ემანაციური ორენდათი.⁴

როცა იგი გარდაუვალი მოქმედების ლოგიკური სუბიექტის როლში გამოდის (ეს ხდება მაშინ, როცა ხალხის გონისათვის გარდამავალ-გარდაუვალის დაპირისპირება უცნობია, და აქტიური უპირისპირდება არააქტიურს), იგი ისევ ამ საიდუმლო ძალის მეშვეობით მოქმედებს.

ამიტომაც რომ ენერგიის ბრუნვას — იქნება იგი მხოლოდ და მხოლოდ გარდამავალი თუ ზოგადად აქტიური — შეიძლება ეწოდოს ემანაციური ბრუნვა ანდა ემანაციური ძალის ბრუნვა (*casus emanativus*).⁵

იქ, სადაც ეს ბრუნვა აქტიურია, მას შეიძლება საგანგებოდ ეწოდოს მოქმედი ძალის ბრუნვა.⁶

იქ, სადაც ეს ბრუნვა გარდამავალია, მას შეიძლება ვუწოდოთ (სხვა რომელიმე ნივთზე) გავლენის მომხდენი ძალის ბრუნვა.⁷

მე ვთქვი, — წერს კ. ულენბეკი, — რომ ენერგიის ბრუნვას წილი უდევს მოქმედებით ბრუნვასთან. თავისი შინაგანი ბუნებით ენერგიის ბრუნვა ენათესავება დაშორებითს ბრუნვასაც (*ablatif*).

ამან შეიძლება უთქი მოფინოს იმ ფაქტს, რომ ინდო-ევროპულ ენებ-

¹ იქვე, გვ. 94; ფრ. თარგ., გვ. 417.

² იქვე, გვ. 94; ფრ. თარგ., გვ. 417.

³ „l'oiseau au-moyen-de-est-tué par lui une pierre“ „птица через-посредство-его-есть убит-а-через-него камень“ — იქვე, გვ. 94.

⁴ ფრ. თარგ., გვ. 417.

⁵ იქვე, გვ. 95: „cas émanatif ou cas de force émanante“, ფრ. თარგ., გვ. 417

⁶ „cas de force agissante“, ფრ. თარგ., გვ. 417.

⁷ „cas de force influençant quelque chose d'autre“, იქვე, გვ. 417.

ში -s- ბრუნვას აქვს ფუნქციები სახელობითისა, ნათესაობითისა და დაშორებითისა, აგრეთვე გასაგები გახადოს -p- ფორმის ღირებულება ესკიმოსურში (ეს ფორმა ნათესაობითია და გარდამავალი ზმნის სუბიექტს აღნიშნავს).

ამასთან დაკავშირებით, ამბობს კ. ულენბეკი, — მე ხაზს ვუსვამ დამახასიათებელ ფაქტს, რომელიც დღემდის აუხსნელია: მრავალ ენაში კუთვნილების აღმნიშვნელი ნაცვალსახელური აფიქსები დაკავშირებულია უფრო ზმნის ნაცვალსახელურ ინერტულ ელემენტებთან, ვინემ ენერგეტულ ელემენტებთან.¹

ხომ არ აიხსნებოდა ეს უცნაური მოვლენა იმ ფაქტით, რომ ე. წ. კუთვნილებითი ფლექსია ნამდვილ კუთვნილებას კი არ გამოხატავს, არამედ ბუნებრივს მჭიდრო კავშირს, გაუთიშველ კავშირს, ნამდვილსა თუ ნავარაუდევს, მისტიკურს თუ არა მისტიკურს იგივეობას ვისამე ან რისამე — სხვა ვინმესთან ანდა რამესთან.²

ამ მხრივ, რომ ჩვენს მსჯელობას წარმართავს ლევი-ბრიულის კვლევა-ძიება — მელანეზიურს ენებში „კუთვნილების სხვადასხვა სახეობათა გარჩევის შესახებ“.³

ესკიმოსური ენის -p- ბრუნვის შესახებ, — ამბობს კ. ულენბეკი, — ფინკი აყენებს დებულებას — ეს უნდა იყოს მიცემითის ერთ-ერთი სახეობა, და ესკიმოსთა ცხოვრების პირობებს უკავშირებს ამ ფაქტის ახსნას. მაგრამ ჩრდილოეთის სხვა მკვიდრთა ენებს ეს ფორმა არ მოეპოვება. ამგვარი ფორმები ცხოვრების საგანგებო პირობებთან დაკავშირებით ვერ აიხსნება, არამედ მისი ახსნა „პირველყოფილი“ აზროვნების თავისებურებამ უნდა მოგვცესო.

მოკლედ ეხება რა ინდონეზიური ზმნის პასიურობის საკითხს — ახალ ვითარებაში ეს პასიურობა შეიძლება დასაბუთდესო, — კ. ულენბეკი დაასკვნის:

„მე ვფიქრობ, დავამტკიცე, რომ არავითარი უფლება არა გვაქვს განვიხილოთ აქტიური კონსტრუქცია, როგორც პირველადი და ყველაზე ბუნებრივი წესი აზრის გამოთქმისა, — და პასიური წყობა, — როგორც მეორეული მონაცემი და როგორც ცივილიზაციის შედეგი.

„პირიქით, განხილული ფაქტები ცხადად გვიჩვენებენ, რომ გონის განვითარების გარკვეულ საფეხურზე პასიური კონსტრუქცია ყველაზე ბუ-

¹ „წინად. ერგატ. კონსტრ.“, გვ. 95; ფრ. თარგ., გვ. 417.

² იქვე.

³ განუსხვისებელი და განსხვისებადი კუთვნილების გარჩევა დასტურდება ჩრდილო-ამერიკის მრავალ ენაში (იქვე, გვ. 95; ფრ. თარგ., გვ. 418). შდრ. ადილეურის ვითარება — ა.ჩ.

ნებრივია.

„ბასკურის შემთხვევაში ამ კონსტრუქციამ, რომელიც ერთადერთია გარდამავალ ზმნასთან, როგორც გადმონაშთმა პრიმიტიული აზროვნებისა, საიდანაც იგი მომდინარეობს, მოაღწია ინტელექტუალური ანალიზის ეპოქამდის.

„ეს კონსტრუქცია, — ასკვნის კ. ულენბეკი, — გრამატიკული სქესის მსგავსად — გაუგებარი გადმონაშთია ძველის-ძველი ვითარებისა, როდესაც შორეული წინაპრები მოვლენებს ხედავდნენ წინასწარ აკვიატებული მაგიურ-რელიგიური რწმენის მკრთალ შუქზე“ (გვ. 419).

§ 23. კ. ულენბეკის შესხედულებათა ანალიზი. კ. ულენბეკმა წარმოადგინა გარკვეული კონცეფცია. ესაა პასიურობის თეორია გარდამავალი ზმნისა. პასიურობის სხვა თეორიათაგან — პ. უსლარი, პ. შუხარდტი, ნ. მარი — ულენბეკის თეორია განსხვავდება არა მხოლოდ საანალიზო მასალით: პ. უსლარი, პ. შუხარდტი, ნ. მარი კავკასიური ენებიდან ამოდიოდნენ, კ. ულენბეკმა კი ჩრდილო-ამერიკის ინდიელ ტომთა თავისებური მეტყველების ანალიზი მოგვცა, როგორც ვნახეთ, კ. ულენბეკი ბასკურსა და ჩუკურსაც ეხება, მიღებულ დასკვნებს ინდო-ევროპულ ენათა წარსულის გასაშუქებლადაც იყენებს.

ვიმეორებთ, საანალიზო მასალა ახალია, მაგრამ ეს არაა მთავარი. მთავარია ეთნო-ფსიქოლოგიური ინტერპრეტაცია გარდამავალი ზმნის ვნებითობისა.

კ. ულენბეკი ამბობს: არაა სწორი თითქოს ზმნის აქტიური კონსტრუქცია იყოს ძველი, ვნებითი კი — მეორეული, ნაწარმოები, შედეგი ცივილიზაციისაო.

პირიქით, პასიური კონსტრუქციაა ძველი (გრამატიკული სქესის მსგავსად). იგი გადმონაშთია მაგიურ-რელიგიური რწმენისა. ამ რწმენის თანახმად მოქმედი პირი გაგებულა, როგორც იარადი საიდუმლო ძალისა; ეს საიდუმლო ძალაა ნამდვილი მოქმედი; ის პირი კი, ვის მოქმედებაზედაც ზმნა მოგვითხრობს, მოჩვენებითაა მოქმედი. შეიძლება ეს პირი, რაიმე იარადს იყენებდეს მოქმედებისას... ეს იქნება მეორეული იარადი: „ბაშვმა მოკლა ჩიტი ქვით“.

ნამდვილი მოქმედი — საიდუმლო ძალაა, „ბაშვმა“ — მოჩვენებითი მოქმედი ანუ პირველადი იარადია, „ქვით“ — მეორეული იარადი.

„მოჩვენებითი მოქმედი“ („ბაშვმა“) თუმცა იარადია ნამდვილი მოქმედის ხელში, მაგრამ თავის მხრივ გავლენას ახდენს რეალურ ობიექტზე („ჩიტი“): ეს პირველადი იარადი ამდენად ძალის ემანაციის წყაროა.

რა სახეს იღებს ერგატივის დახასიათება ასეთ შემთხვევაში? ერგატივი მოჩვენებითს მოქმედს (ანუ პირველადს იარაღს) გადმოგვცემს. ამიტომ გასაგებია მისი სიახლოვე მოქმედების ბრუნვასთან (ინსტრუმენტალისტან): ერგატივიც იარაღს აღნიშნავს და მოქმედებითიც, ოღონდ ეს მაინც სხვადასხვა გვარი იარაღია: ერგატივი საიდუმლო ძალის იარაღზე, პირველადს იარაღზე, — მოჩვენებითს მოქმედზე — მიუთითებს, მოქმედებითი კი — ამ პირველადი იარაღის იარაღის ბრუნვაა, იგი მეორეული იარაღის აღმნიშვნელია. ცხადია, რამდენად განსაზღვრავს ერგატივის დახასიათებას რეალური ვითარების მისტიკური ინტერპრეტაცია პრიმიტიული ადამიანისა.

ამგვარად, პასიური კონსტრუქცია შემთხვევითი არაა; პასიური კონსტრუქცია ძველის ძველია და ძველის ძველ მსოფლმხედველობას ასახავს. არც უსლარს, არც შუხარდტსა და არც ნ. მარს ასეთი დასაბუთება გარდამავალი ზმნის პასიურობისა არ მოუცია (ნ. მარი — ბოლო ხანებში — ცდილობდა პასიურობა სოციალური ურთიერთობით აეხსნა). კ. ულენბეკმა სინტაქსური კონსტრუქციის თავისებურება აზროვნების თავისებურებას დაუკავშირა. გარდამავალი ზმნის პასიურობა ძველის ძველ მოვლენად დასახა და ეს თავისებურება იმდროინდელი ადამიანის მსოფლმხედველობის უკუფენად გამოაცხადა.

ერთი სიტყვით, კ. ულენბეკის ხელში, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა ენისა და აზროვნების ურთიერთობის პრობლემად წარმოგვიდგება.

რამდენად კანონზომიერია პრინციპში ასე მსჯელობა? რეალური ვითარების სხვადასხვაგვარად გაგება და ასახვა მეტყველებაში — ეს საღაო როდია; ცვალებადია არა მხოლოდ მეტყველება, არამედ აზროვნებაც: მისი კატეგორიები, მისი წესები. ლევი-ბრიულის დამსახურება სწორედ ის არის, რომ მან ეჭვმიუტანელი გახადა ლოგიკური აზროვნების მეორეული ხასიათი: ლოგიკურ აზროვნებას წინ უსწრებს ისეთი ვითარება, როდესაც ამჟამად უცილობელი წესები აზროვნებისა მნიშვნელობას მოკლებულია. სულ ერთია, რას ვუწოდებთ ამ ვითარებას, — წინარელოგიკურს თუ ალოგიკურს, — ძალაში რჩება დებალუბა: ჩვენთვის სავალდებულო ნორმები იქ არაა სავალდებულო და პირუკუ: მნიშვნელობა აქვს ისეთ წესებს, რომელნიც თანამედროვე გაგებით, მეტი რომ არა ვთქვათ, უცნაურია (ამის ნიშნულად გამოდგებოდა მიზეზობრივობის გაგება ავსტრალიის პრიმიტიულ ტომებთან). ამჟამად ისიც აღიარებულია, რომ წინარელოგიკური აზროვნების ნაშთები ლოგიკური აზროვნების ეპოქაში სავსებით აღმოფხვრილი არაა (სხვადასხვა ცრურწმენანი ამის ილუსტრაციად გამოდგებოდა).

ვიმეორებთ, ულენბეკისებურად საკითხის დასმა პრინციპულად უდა-

ვოა, საქმე მხოლოდ ისაა, რამდენად გამართლებულია საკითხის ასე დასმა ენობრივი მონაცემებით? რამდენად იძლევა განხილული მასალა საფუძველს იმგვარი გაგებისათვის, როგორც კ. ულენბეკმა წარმოგვიდგინა?

ჯერ — ერგატიული ბრუნვის შესახებ. მას კ. ულენბეკი ენერგიის ბრუნვას უწოდებს და განასხვავებს მის ორ ვარიანტს — ტრანზიტულსა და აქტიურს (იმისდა მიხედვით, მხოლოდ გარდამავალ ზმნებთან თუ მოქმედების ყველა ზმნასთან აღნიშნავს ეს ბრუნვა ლოგიკურ სუბიექტს).

რა ითქმის ამის შესახებ? არც ალგონკინურს ენებში, არც სიუ ჯგუფის ენებში (დაკოტა) ეს ბრუნვა არა გვაქვს: ამ ენებში ბრუნვა არა გვაქვს (ისეთივე მდგომარეობა ჩანს, როგორსაც აფხაზურიდან ვიცნობთ). ყოველ შემთხვევაში, კ. ულენბეკი ამაზე სიტყვას არა ძრავს (მხოლოდ ესკიმოსურ -p- ნიშნიან ბრუნვაზე ჩერდება გაკვირით).

მაშასადამე, სახელის ჩვენება მოხსნილია. სახელები შეიძლება გავუტოლოთ ამა თუ იმ ბრუნვას (ერგატივს თუ სახელობითს) იმისდა მიხედვით, თუ რა რიგის ნიშნებს აჩენს ესა თუ ის სახელი ზმნაში. სიმძიმის ცენტრი ამრიგად იმ თავითვე ზმნაში აღმოჩნდა (იმთავითვე იმიტომ, რომ საბოლოო ანგარიშში — იმ ენებშიც, სადაც ბრუნვა არა გვაქვს და იმ ენებშიც, სადაც ერგატივი და სხვა ბრუნვები დასტურდება, კონსტრუქციის თავისებურებათა სათავე ზმნაშია მოცემული).

როგორია ზმნის ჩვენება? რას გვეუბნება უღვლილება? 1. რიგს ენაში ერთი და იგივე ნაცვალსახელური ელემენტი გარდამავალი ზმნის ლოგიკურ ობიექტს აღნიშნავს, ხოლო გარდაუვალ ზმნებში (სახელდობრ, მდგომარეობისა და თვისების ზმნებში) — რეალურ სუბიექტს (კ. ულენბეკის ტერმინები რომ ვიხმართ — ლოგიკურ ობიექტს, ლოგიკურ სუბიექტს):

მა-და-კაშკა „მე“ შენ „შე“მკრავ“... **მა**-ტა „მე“ ვკვდები“; **მა**-ტაშტე „მე“ კარგი ვარ“:

მა = RO (რეალ. ობიექტი) გარდამავალი ზმნისა:

მა = RS (რეალ. სუბიექტი) გარდაუვალი ზმნისა („მდგომარეობათვისების“ ზმნისა).

ანალოგიურ სურათს იძლევა ბასკურიო, წერს კ. ულენბეკი; ჩვენი ენებიდან აფხაზური წარმოგვიდგება:

დგ-ლ-ბოფტ მას (ადამ.) იგი (ქალი) ხედავს: **ღ** — RO გარდამავ.¹

ი-ლ-ბოფტ მას (ნივთს) „ „ ხედავს: **ი** — RO გარდამავ.

დგ-ყოუბ იგი (ადამ.) არის: **ღ** — RS გარდაუვ.

ი-ყოუბ იგი (ნივთი) არის: **ი** — RS გარდაუვ.

¹ არსებითად, ამასვე ნიშნავს ქართულის ჩვენება: სახელობითი RO გარდამავალი ზმნისა (მან მოკლა **იგი**) და RS გარდაუვალისა (**იგი** დგას...).

დღ-ბზიოუბ იგი (ადამ.) კარგია
 აღსანიშნავია, რომ მა-კაშკა „შენ შეკრავ“ — გარდაუვალია კ. ულენ-
 ბეკის თქმით (ისევე როგორც: მა-მა-ნონ „შენ იპარავ“ კ. ულენბეკის თარ-
 გმანით, ნამდვილად კი „შენ ქურდობ“ და არა „იპარავ“).

2. როცა მრავლობითის სუბლექტიური წარმოება გვაქვს, იგი აღნიშ-
 ნავს გარდამავალი ზმნის რეალურ ობიექტსა და გარდაუვალი ზმნის რეა-
 ლურ სუბიექტს (მაგალითები ულენბეკს არ მოუყვანია; უნდა იგულისხმე-
 ბოდეს ისეთი ფაქტები, როგორიცაა ქართ. ზის — სხედან; აგ-
 დებს — ყრის).

პირველ შემთხვევაში სუბლექტიური წარმოება ახსიათებს სუბიექტის
 მრავლობითს, მეორეში — ობიექტის მრავლობითს: ბავშვი ზის — ბავშვები
 სხედან... ბავშვსა სვამს — ბავშვებს სხამს... ქვა გდია — ქვები ყრია... ქვას
 აგდებს — ქვებსა ყრის...

3. სუფიქსები **-იანი** (4 პ.) და **-ატს** ბლექფუტ-ენაში გარდამავალ
 ზმნებთან რეალური ობიექტის ნიშანია, გარდაუვალ ზმნებში — რეალური
 სუბიექტისა.

4. ალგონკინურს ენებში ცენტრისკენული გარდამავალი ზმნა ვნე-
 ბითთან საერთო ფუძისა აღმოჩნდაო: ოჯიბვის:

ნინტაბამიგო „მე ვჩანვარ“ — ნინტაბამიგ „მე ის მხედავს...“

ხოლო გარდამავალი: ნინტაბამა „მე მას ვხედავ“

კიუბამა „შენ მას ხედავ“

ტაბამა „ის ჩანს“ (il est vu) დაფუძნებულია

ტა-ბამა — მესამე პირზე, რომელიც ვნებთიაო...

სულ ოთხი საბუთი გვაქვს გარდამავალი ზმნის ვნებითობის დასამ-
 ტკიცებლად; აქედან პირველი სამი გარდამავალი ზმნის რეალურ-
 ობიექტისა და გარდაუვალი ზმნის რეალური სუბი-
 ექტის ტოლობის მტკიცებას შეიცავს, ხოლო უკანასკნელი
 გახაზავს გარდამავალი ზმნის მორფოლოგიურ სიახლოვეს ვნებითთან.

შეიძლება თუ არა ამ ფაქტების მიხედვით დავასკვნათ: გარდამავალი
 ზმნა პასიურიაო?

გარდამავალი ზმნის **RO** და გარდაუვალი ზმნის **RS** რომ ერთნაი-
 რად ფასდება, რასაკვირველია, არაა შემთხვევითი. ეს ფაქტი ცნობილია
 იბერიულ-კავკასიური ენებიდანაც. ის მოწმობს ერთს: ასეთ შემთხვევაში
 გარდამავალი ზმნა არაა აქტიური. იგი არ უპირისპირდება გარდაუვალს
 იმგვარად, როგორც მოქმედებითი გვარი — ვნებითს.

გარდამავალი ზმნის არააქტიური ხასიათი ბუნებრივი შედეგია გვარ-
 თა — მოქმედებითისა და ვნებითის — გაუდიფერენცირებლობისა, რაც

მთის იბერიულ-კავკასიურ ენებში დასტურდება. მაგრამ არააქტიური კილევ არაა ვნებითი. აქ ბუნებრივი იქნებოდა გვეხმარა „ნეიტრალური“, „ინდიფერენტული“ (გვართა გარჩევის თვალსაზრისით) ფუძე ზმნისა (პრინციპში იმავე რიგის ფუძე, როგორსაც სახელი გვიჩვენებს).

იბერიულ-კავკასიურ ენებში არ შეგვიძლია ზემოხსენებული საბუთით გამტკიცოთ გარდამავალი ზმნის პასიურობა, — ასევე შეუძლებელია ჩრდილო ამერიკის ინდიელ ტომთა გარდამავალი ზმნის პასიურობა დასაბუთდეს ხსენებულს გარემოებაზე მითითებით.

დავგრჩა ცენტრისკენული გარდამავალი ზმნის კავშირი ვნებითთან; აქ ყურადღებას იქცევს, ჯერ ერთი, ის, რომ ნინტაბამიგო და ნინტაბამიგ ერთმანეთთან ახლოსაა, მაგრამ მაინც განსხვავებულია და ეს სხვაობა არაა ახსნილი. მეორეცაა-და, რაა ვნებითი: ნინტაბამიგო („მე ვჩანვარ“ „je suis vu“) თუ ნინტაბამა („მე მას ვხედავ“, „je vois lui“), რომელსაც მესამე პირად მოუდის ტაბამა („ის ჩანს“, „il est vu“)? საქმის ვითარება უფრო გარკვეული იქნებოდა, ნინტაბამიგო-ს მესამე პირიც რომ იყოს მოყვანილი: მას შევუპირისპირებდით ტაბამა-ს, რომელიც აგრეთვე ვნებითადაა მონათლული. ასეთ პირობებში მწვავედ დგება საკითხი ამ ორი ვნებითის ურთიერთობისა: „რა ივარაუდება ვნებითში, როცა ტაბამა — ვნებითად ცხადდება ანდა ნინტაბამიგო-ს ვნებითით ვთარგმნით? უნდა ვიფიქროთ, აქ ევროპულ ენათა თვალსაზრისია ამოსავალი. შეუფერებელი საზომის მომარჯვების შედეგად კი განსხვავებული ოდენობა თანაბრად ცხადდება ვნებითად. საფიქრებელია, რომ ხსენებულ ენებში ამოსავლად გამოყენებული იყოს ისეთი წარმოება, როგორიცაა ქართული „ჩანს“ (ტაბამა უმაღ „ჩანს“ არის, ვინემ il est vu „ОН ВИДЕН“). აბსოლუტური და რელატიური ფორმები ამ საშუალო გვარის ზმნისა აგრეთვე უნდა ვიქონიოთ მხედველობაში (შლრ. კაშკა, ტა-კაშკა და მა-ტა-კაშკა).

ამრიგად, მეოთხე არგუმენტი ევროპულ ენათა ვითარებიდან ამოსვლითაა მოპოვებული და ინდიელ ენათა ვნებითობის საკითხს ვერ გაგვირკვევს ვერც გარდაუვალ ზმნებში და ვერც გარდამავალთა დახასიათებისას.

კ. ულენბეკის პასიურობის თეორიას ამ შემთხვევაში იგივე უცნაურობა აღმოაჩნდება, რაც სხვა ანალოგიურ თეორიებსაც: გარდამავალი ზმნა გამოდის უფრო პასიური, ვინემ გარდაუვალი.

ამ კონტექსტში ყურადღებას იქცევს კ. ულენბეკის ერთი ცნება: მოქმედების ზმნა (verbe d'action), — განსხვავებით გარდამავალ ზმნათაგან (verbe transitif). რას ნიშნავს ეს გამოთქმა? ის მოწოდებულია დაითიოს გარდამავალ ზმნათა გარდა ისეთი ზმნებიც, რომლებიც გარდამავალი არაა

სათანადო ენაში, მაგრამ მოქმედებას აღნიშნავს და მით უპირისპირდება „მდგომარეობისა და თვისების“ ზმნებს. ასე, მაგალითად, *ჟა-კაშკა* მოქმედების ზმნაა, თუმცა გარდაუვალია დაკოტა ენის თვალსაზრისით (ასევე: *მა-ჟა-ნო*⁵ „გქურდობ“)... *ჟა-კაშკა-ს კ.* ულენბეკი თარგმნის „შე]ვკრავ“ (*je lie*): ფრანგულშიც გარდამავალი გამოდის, ქართულშიც. *მა-ჟა-ნო*⁶ *je vole* („ვიპარავ“) ფრანგულში გარდამავალია, მაგრამ ქართულში შეიძლება მას გარდაუვალი შესატყვისი დაეძებნოს: „გქურდობ“ (და არა: „ვიპარავ“!).

აღსანიშნავია, რომ ქართული გარდაუვალი ზმნა მაინც არ უნდა იყოს სტრუქტურულად ეკვივალენტი დაკოტასი: *მა-ტა* „გკვდები“, *მა-ჟაშტე* „კარგი ვარ“, „გკარგობ“ პირველ პირს **მა**-თი გადმოსცემს, *მა-ჟა-ნო*⁶ **-ჟა**-თი. ანალოგია არაა სრული; შეიძლებოდა *მა-ტა* „გკვდები“ მიგვეჩნია ინვერსიულ ზმნად — მ-ძინავს — ტიპისა; *მა-ჟა-ნო*⁶ გარდაუვალ ზმნად პირდაპირი წყობისა — „გქურდობ“; მაშინ აიხსნებოდა, რატომღაც გვაქვს *მა-ჯა-კაშკა*-ში იგივე **მა-**, რაც *მა-ტა*-ში, მაგრამ ეს ვარაუდები მხოლოდ მაშინ შეიძლება შემოწმდეს, თუ დაკოტა ენის უღვლილების სრული სქემა ხელთ გვექნება და უღვლილებაში არსებულ კანონზომიერებათა დადგენისას მეორეულის პირველადისაგან გარჩევა მოხერხდება.

ამყამად მხოლოდ ერთის თქმა შეგვიძლია: თუ დაკოტა ენის ზმნის უღვლილების თავისებურებები ვერ დაიყვანება ქართულის პრინციპულად ანალოგიურ მოვლენებამდის, რაოდენ უფრო ძნელი უნდა იყოს ევროპულ ენათა ფაქტებში ეკვივალენტების დაძებნა? ამ ეკვივალენტთა მოჩვენებითი ეკვივალენტურობაა რომ უღვეს საფუძვლად მწყობრ კონცეფციასა და შორს მიმავალ დასკვნებს!

დასასრულ, ერთი გარემოებაც მოითხოვს აღნიშვნას: ულენბეკი გარდამავალ და გარდაუვალ ზმნებზე ლაპარაკობს ისე, რომ არსად არ ეხება ამ ზმნათა გვარის საკითხს: რა გვარისაა ეს გარდამავალი ზმნები? რა გვარისაა გარდაუვალი ზმნები? გვაქვს თუ არა გარჩეული მოქმედებითი და ვნებითი გვარი ჩრდილო-ამერიკის ინდიელთა ენებში?

ამის გარეშე კი ისეთი შთაბეჭდილება ჩნდება, თითქოს გარდამავალი ზმნა მოქმედებითი გვარისას (აქტიურს) უდრიდეს, რაიც, რასაკვირველია, სრულებით არაა სავალდებულო.

გარდამავალ ზმნათა ვნებითობის დასაბუთება გვართა საკითხის განუხილველად პრინციპულად უმართებულოა.

საერთო დასკვნა: ეთნოფსიქოლოგიური კონცეფცია კ. ულენბეკისა არ მართლდება საანალიზო ენების მონაცემებით. პასიურობა ჩრდილო-ამერიკის ინდიელ ენათა გარდამავალი ზმნისა ისევე არაა სარწმუნო, რო-

გორც დამაჯერებელი არაა პასიურობა იბერიულ-კავკასიურ ენათა გარდამავალი ზმნისა, რასაც სხვადასხვა გვარად ამტკიცებდნენ პ. უსლარი, ჰ. შუხარდტი, ნ. მარი.

ერგატიული ბრუნვის გამოცხადება თავისებურ მოქმედებითად (ინსტრუმენტალისად) გამომდინარეობს პასიურობის დებულებიდან და ბუნებრივია, თუ ამ დებულების ბედს გაიზიარებს.

ერგატიული ბრუნვის ქვესახეებად გამოცხადება გარდამავალი ბრუნვისა (*cas transitiv*), აქტიური ბრუნვისა (*cas actif*) არაფრის მაქნისია, რამდენადაც ამ ბრუნვის რაობა გვექნება მხედველობაში, მასთან ტავტოლოგიად ისმის: „გარდამავალ ზმნასთან ლოგიკური სუბიექტი „გარდამავალ ბრუნვაში“ დაისმისო...“.

ცალკე განხილავს მოითხოვს ინდო-ევროპულ ენათა -s- ბრუნვის ტრანზიტულ (აქტიურ, ენერგეტულ) ბრუნვად მიჩნევა და ამასთან დაკავშირებულ საკითხთა წყება.

თ ა ვ ი მ ე მ ა მ ს ე

ნარკვი თვალსაზრისი ერბატიული კონსტრუქციის საკითხში

§ 24. ფ. ფინკი გარდამავალი ზმნის ბუნების შესახებ. 1907 წელს ფრანც ნიკოლაუს ფინკმა გამოაქვეყნა ვრცელი წერილი სათაურით: „გარდამავალი ზმნის ვითომდა პასიური ხასიათის შესახებ.“¹ ფ. ფინკოს ეს შრომა გამოუწვევია ჰ. შუხარდტის წერილს: „გარდამავალი ზმნის აქტიური და პასიური ხასიათის შესახებ“. ფ. ფინკი არ იზიარებს ჰ. შუხარდტის დებულებას გარდამავალი ზმნის პასიურობის შესახებ, სამართლიანად აქვს შემჩნეული რიგი შინაგანი წინააღმდეგობა, რასაც ჰ. შუხარდტის შეხედულებები შეიცავს, აღნიშნული აქვს არა ერთი სუსტი ადგილი ჰ. შუხარდტის კონცეფციაში. ჰ. შუხარდტი ინდო-ევროპულ (კერძოდ, რომანულ) ენათა სპეციალისტი არაინდოევროპულ (ბასკურ, იბერიულ-კავკასიურ, ქამიტურ...) ენათა მასალაშიც ერკვეოდა, როგორც სპეციალისტი. ფ. ფინკის სამეცნიერო ინტერესებიც ინდო-ევროპული ენებით არ შემოიფარგლებოდა — ფ. ფინკი წერს: ენათა ფართო წრეზე მიწარმოება დაკვირვება და, თუმცა არა მაქვს პრეტენზია, რომ ყველა მოვლენა კარგად მქონდეს გაგებული, მაგრამ მოვლენათა გენეზისურ ახსნას არ ვკისრულობ, არამედ მხოლოდ აღვწერ იმ მოვლენებს, და ეს შეიძლება ბევრის მხრით სასარგებლო გამოდგესო. სხვადასხვა ტიპის ენათა შესწავლა მიუდგომლად მსჯელობის შესაძლებლობას გვაძლევს. ჩემი მკითხველები მეტწილად ინდო-ევროპულ ენათა სპეციალისტები არიან და ჩემი მიზანია მოვუთხრო მათ ენათა უცნობი ტიპების შესახებო. მოგზაურთა ნაამბობიც მთლად არ დააკმაყოფილებს მსმენელებს, მაგრამ ზოგი რამ ახალი მოგზაურმაც შეიძლება გვითხრასო.

მართლაც ფ. ფინკის წერილი ნაირ-ნაირ ენათა სამყაროში ნახულის მოთხრობას უფრო მიაგავს, ვინემ გარკვეულ დებულებათა დასაბუთების ანდა სისტემის ჩამოყალიბების ცდას.

გამოვოყოფთ რამდენიმე მოსაზრებას, ჩვენის გაგებით საინტერესოს.

სინამდვილეში არსებული პროცესების ენობრივი გამოხატულება — წერს ფ. ფინკი — მრავალგვარია. თუ ნერვული გზები იყოფა ორ წყებად

¹ წერილი დაიბეჭდა ჟურნალში *Zeitschrift für vergleichende Sprachforschung*, ტ. 41 (1907), გვ. 209-282. თარგმანი შევიდა კრებულში „წინადადების ერგატიული კონსტრუქცია“ (რუს. ენაზე), გვ. 107-143. ქვემოთ მივუთითებთ ამ თარგმანზე.

— ცენტრისკენულ (სენსორულ) გზებად და ცენტრიდანულად (მოტორულად), სავსებით ამის შესაბამისად უნდა განვასხვავოთ ორი სახის პროცესი, რომელთაც ენა გამოხატავს: ერთია ალქმის პროცესები, მეორე — მოქმედების პროცესები („მე მესმის ხმაური“ ალქმის პროცესს გადმოგვცემს, „მე ვაშენებ“ — მოქმედების პროცესის ნიმუში იქნებოდა).¹ ორივე სახის პროცესს აქვს ამოსავალი მომენტიცა და მოქმედების მიმართულება (მიზანი). პროცესის გამომხატველი ფორმებიდან უფრო გავრცელებულია ისეთები, რომლებიც მიუთითებენ ამოსავალ მომენტზე (ვინემ ისეთები, რომლებიც მოქმედების მიზანს, მიმართულებას აღნიშნავენ). ეს არის ე. წ. გარდაუვალი ზმნები.²

იმ ენის ნიმუშს, — წერს ფ. ფინკი — რომელიც თუმცა არათანამიმდევრულად, მაგრამ გარკვევით ატარებს პროცესის ამ ორი სახის განსხვავებას, ქართული ენა წარმოადგენს. მე მიყვარს — მე შევიყვარებ: პირველი ალქმის ზმნაა, მეორე — მოქმედებისა... ასევე: ალქმისაა: „მეც მინდა წიგნის კითხვა“ — მოქმედებისა: „ძალი ჰყარაულობდა ბატონის სახლს...“

ენათა უმეტესობა არ განასხვავებს ალქმისა და მოქმედების ზმნებს: ან ერთი ტიპია გაბატონებული ანდა — მეორე. ჩვეულებრივ მოქმედების ზმნები მიაჩნიათ გაბატონებულ ტიპად, ალბათ, იმის გამო, რომ ეს ტიპი აღმოჩნდა დაწვრილებით გამოკვლეულ ენათა უმეტესობაში.

ალქმის ზმნები დამახასიათებელია გრენლანდიური ენისათვის, აგრეთვე — აცტეკების ენისათვის; ბასკურისათვის — არა: ალქმის ზმნები აქ გაცილებით უფრო იშვიათია, ვინემ მოქმედების ზმნები.³

„აქტივსა და პასივს არავითარი კავშირი არა აქვს იმ განსხვავებასთან, რომელიც არსებობს მოქმედების ზმნებსა და ალქმის ზმნებს შორის, და ამიტომ ადვილი წარმოსადგენია, რომ უკანასკნელთაგან აწარმოონ ვნებითი, თუმცა მე პირადად ამის მაგალითი არ ვიციო“.⁴ ისეთი ტიპის კონსტრუქციაში, როგორცაა „ძალი დანახულია ადამიანის მიერ“, მართალია, „ძალი“ ამოსავალია ენობრივი გამოხატულებისათვის ისევე, როგორც წინადადებაში „ძალი ჩანს ადამიანისდა“ („собака видна человеку“), მაგრამ ჩვენ აღვიქვამთ მოქმედად მაინც ადამიანს...

პასივი მეორეული ჩანს, იგი აქტივის არსებობას გულისხმობს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, — ფ. ფინკის თქმით, რომ ვნებითი წარმოიქმნება

¹ იხ. წინადადების ერგატიული კონსტრუქცია, გვ. 120. ფ. ფინკს სხვა მაგალითები მოჰყავს.

² იქვე, გვ. 121.

³ იქვე, გვ. 122, 123.

⁴ იქვე, გვ. 124.

მხოლოდ მოქმედებითის საპირისპიროდ. კონსტრუქცია ტიპისა „ძალი დანახულია ადამიანის მიერ“ („собака увидена человеком“) შეიძლება წარმოქმნილიყო ისე, რომ არ გვქონოდა აქტიური კონსტრუქცია „ადამიანი ხედავს ძალს“.¹

ახალი ინდური ენები (მარათჰი, ჰინდი, ბენგალი, ბიჰარი, ორია, სინდჰი, ნეპალი...) ძველი პასიური მიმღობის სხვადასხვაგვარი გამოყენების საინტერესო სურათს იძლევა; იქმნება 1. წმინდა პასიური კონსტრუქცია (мною отвязана — მარათჰი); 2. აქტიური კონსტრუქცია („лошадь“ — აკუზ. მიც. — я отвязана(!) — ბიჰარი, ბენგალი, ორია); 3. ორი ნარევი კონსტრუქცია ა. „лошадь“ — აკუზ. მიც. — мною отвязано(!) — საშ. სქ! — მარათჰი; ბ. „лошадь мною отвязанным(!)“ — მიმღობა мною-ს ეთანხმება — ნეპალი).²

ამ ორი ნარევი კონსტრუქციიდან მეორე ძალიან ახლოს დგას ქართული გარდამავალი ზმნის აორისტის კონსტრუქციასთან, წერს ფ. ფინკი. ამ კონსტრუქციის ბუნება სწორად განმარტა შუხარდტმაო: „დედამ დაინახა მთხოვარა“ სიტყვა-სიტყვით ნიშნავს: „დედით დანახულია მთხოვარა“³ (ე. ი. ფინკისათვის ეს პასიურ კონსტრუქციას წარმოადგენს). ფ. ფინკი იქვე შენიშნავს: ეს თარგმანი არ იქნება ზუსტი: უფრო ახლოს იქნებოდა: დედით — იგი დაინახა მთხოვარა („матерью — она увидела нищего“) და იქვე დასძენს: ეს ერთგვარ წარმოდგენას იძლევაო: ქართულს კიდევ სხვა პასიური კონსტრუქცია აქვს, და იქ მოქმედი აღინიშნება არა ერგატივით (მოთხრობითით), არამედ გან-თანდებულებიანი ნათესაობითითაო („იყო ხელმწიფე ერთი, რომლისა საქმენი არ ავისაგან მოიგონებია“). მსგავს პასიურ კონსტრუქციას იძლევა ქართული „აღწერიტი პერფექტი“ (ე. ი. შედეგობრივი პირველი: „დღეს ჩემს პირს ნაწილი არ მიჰკარებია“).⁴

სინამდვილის მოვლენები ენაში შეიძლება მრავალგვარად იყოს გადმოცემული. თუ ყურადღებას მივაქცევთ არა მხოლოდ გამოხატვის ფორმალურ მხარეს, არამედ იმასაც, თუ ალქმის რა ხერხებია გამოყენებული. ერთმანეთს დაუპირისპირდება ორი საშუალება, რომელთაც ენა მიმართავს: ერთია „შეთხზვა“ (პარატაქსი), მეორე — „დაქვემდებარება“ (ჰიპოტაქსი). შეთხზვა (პარატაქსი) იმ ენებში გვაქვს, რომელთაც ელემენტების მიჯრით მიწყობა, აპოზიციური წყობა ახასიათებს და იმ ენებში, სადაც ფუძის გამხოლოება გვაქვს („ფუძე მაიზოლირებელი იქნე-

¹ იხ. წინადადების ერგატიული კონსტრუქცია გვ. 126.

² იქვე, გვ. 126.

³ იქვე გვ. 126-127.

⁴ იქვე, გვ. 127.

ბა“). აქ იგულისხმება აფრიკისა და ოკეანის ენები. ფ. ფინკის თქმით, ეს არის „ცოცხალი სანგვინიკური ანდა ქოლერიკული ტემპერამენტის გამოხატულება“.¹ დაქვემდებარება (პარატაქსი) ახასიათებს აგლუტინაციურსა და ინკორპორაციულ ენებს („ფლეგმატურ და მელანქოლიურ ხალხთა ენებს“ — აზიაში, ამერიკაში). ფ. ფინკი ამბობს: გარდამავალ საფეხურებს — ამ ორ ტიპს შორის — განზე ვტოვებო.²

ამ ორი ტიპის განსხვავებას ნათლად გვაგრძნობინებს მსაზღვრელის პოსტპოზიციური და პრეპოზიციური გამოყენება: „კატის-კნუტი პატარა, ლამაზი, მარჯვე“ — „პატარა, ლამაზი, მარჯვე კატის-კნუტი“. პირველ შემთხვევაში ჯერ საზღვრულია (კატის-კნუტი) მოცემული, მას მიერთვის მსაზღვრელები (აპოზიციურად). მეორე შემთხვევაში ჯერ მსაზღვრელები გვეძლევა და მერე ვიგებთ, რა სახელსაც ეკუთვნიან ისინი; ეს უკანასკნელი წყობა აზრის დაძაბულობას მოითხოვს.³

დაქვემდებარების მშვენიერ მაგალითებს იძლევა ესკიმოსთა ენები, აგრეთვე — თურქული.⁴ აპოზიციის ნიმუში გვექნება ბანტუ ენებში (ზამბეზი — ტონგ-ის ენაში): **მუ-ნტუ მუ-ლანძო** „კაცი მალლი“, **ბა-ნტუ ბა-ლანძო** „კაცები მალლები“; **მუ-ნტუ უ-ლედე** „კაცს სძინავს“; **ბა-ნტუ ბა-ლედე** „კაცებს სძინავთ“.⁵ ბანტუ ენები, ჰოტენტოტური ენები, ქამიტური ენები. პოლონეზიური ენები — ფ. ფინკის აზრით — ერთს ტიპს ეკუთვნის, აპოზიციურს: მათ ახასიათებს მეტყველების ელემენტთა თავისუფლად მირთვა.

რაც ახლა ზმნად არის ცნობილი — ამბობს ფ. ფინკი — წარმოშობით არის სახელი; და, თუ ჩვენი ენების ზმნა წარმოშობილია სახელისაგან, ხომ არ უნდა ვივარაუდოთ, რომ სხვადასხვაგვარმა საშუალებამ, რომელიც არსებობს სახელთა ურთიერთობის გამოსახვისას სხვადასხვა ტიპის ენებში — პარატაქსიანისა თუ ჰიპოტაქსიანისაში — ხელი შეუწყო შემდგომი განვითარების განსხვავებული გზების გამომუშავებასაო.⁶ მაშასადამე: სახელთა ურთიერთობის ტიპებმა ერთგვარად განსაზღვრეს ზმნათა ურთიერთობა (აღბათ, სახელებთან).

პროცესის გამოხატვის სხვადასხვა საშუალება შეიძლება ოთხი სახისად დავაჯუფოთ: პოსესიური გამოხატულება, პასიური გამოხატულება მოქმედების ზმნებთან, გამოსახულება აღქმის

¹ იხ. წინადადების ერგატიული კონსტრუქცია, გვ. 130.

² იქვე, გვ. 130.

³ იქვე, გვ. 130.

⁴ იქვე, გვ. 130-133.

⁵ იქვე, გვ. 134.

⁶ იქვე, გვ. 136.

ზმნების საშუალებით და ნეიტრალური გამოხატულება.¹

ამათგან სამი პირველი (პოსესიური, პასიური — მოქმედების ზმნებთან, აღქმის ზმნათა) იმ ენებში გვაქვს უპირატესად, რომელთაც დაქვემდებარების წყობა (ჰიპოტაქსი) ახასიათებს. იმისდა კვალად, თუ როგორია მოქმედების მიმართულება („მისწრაფება მამისა“ და „აღქმა მამისა“) პოსესიური წყობიდან ვითარდება მოქმედებითიანი და მიცემითიანი კონსტრუქცია („стремление отцом“ — „восприятие отцу“: „видно отцом — видно отцу“).² მეოთხე სახეობა ნეიტრალურია და პარატაქსიანი (აპოზიციური წყობის) ენებისათვის არის ნიშანდობლივი: მიჯრით მიწყობისაგან, რომელიც ბავშვის უაზრო ტიტინს მოგვაგონებს, „ალბათ, წარმოიქმნა აქტიური სუბიექტური ზმნა“.³

ფ. ფინკი დასძენს: განვითარების აქ ნაჩვენები გზები ერთადერთი არაა... თუ ამ გზებს რაღაც საფუძველი აქვს, მაინც არ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ კონსტრუქცია ტიპისა: „მისწრაფება მამისა — ძალღი“ შეიძლებოდა ქცეულიყო კონსტრუქციად: „მამა ხედავს ძალს“.⁴ ასეთი ვარაუდი არაფრით არ იქნებოდა გამართლებული. იმ შემთხვევაში, სადაც თავდაპირველად კუთვნილებითი ელემენტები სუბიექტის მაჩვენებლად იქცა; „ჩემი“ უშუალოდ არ გადასულა „მე“-ში: გარდაუვალი ზმნები ახდენდნენ გავლენას მოლაპარაკეთა აღქმაზე და გარდამავალ ზმნებზე; ასე, მაგალ., უნგრული ზმნა ვარ-**იმ** „ველი მე“ (შდრ. ნაპ-**იმ** „ჩემი დღე“), ვარ-**ოდ** „ელი შენ“ (შდრ. ნაპ-**ოდ** „შენი დღე“)... „ჩემი მოლოდინი“, „შენი მოლოდინი“... ასეთი მნიშვნელობა ჰქონდათ მათ თავდაპირველად; ეს მნიშვნელობა მათ დაკარგეს გარდაუვალი ზმნების გავლენით.⁵

დაქვემდებარების წყობის მქონე ენებში მნიშვნელობა არა აქვს საკითხს კონსტრუქციათა ურთიერთობის შესახებ. უფრო მნიშვნელოვანი ის არის, რომ არც ერთი ეს კონსტრუქცია არა დგას უფრო ახლოს მოქმედების ზმნათა პასიურ კონსტრუქციასთან, ვინემ კონსტრუქცია: „მამით მისწრაფება ძალღი...“⁶

„თუ პასიურ კონსტრუქციაში, მაგალ., ინდო-ევროპულ ენებში განსაკუთრებული ფორმალური ნიშნები მოეპოვება იმ სახელსაც, რომელიც აღნიშნავს მოქმედების რეალურ ობიექტს, ე. ი. გრამატიკულ სუბიექტს, ასეთი კონსტრუქცია განსხვავდება პასიურ კონსტრუქციისაგან მაშინაც, როცა იგი წარმოშობით დაკავშირებულია კუთვნილებითი დამოკიდებულების

¹ იხ. წინადადების ერგატიული კონსტრუქცია, გვ. 136.

² იქვე, გვ. 136.

³ იქვე, გვ. 137.

⁴ იქვე, გვ. 137.

⁵ იქვე, გვ. 137.

⁶ იქვე, გვ. 138.

გამოხატვასთან და მაშინაც, როცა იგი უკვე არ ატარებს უფრო ძველი აქტიური კონსტრუქციის გამოყენების არავითარ ნიშანს. პასივი რომ ინდო-ევროპულ ენებში მეორეული წარმონაქმნია, ეს უკვე არავის ეეჭვება.¹

ეგვევ ეხება იმ კონსტრუქციას, რომელიც საყოველთაო გაგებით აქტიურია, „შუხარდტს კი პასიურად მიაჩნია... კონსტრუქცია **filium vocat pater** („შვილს ეძახის მამა“ — **filium** — ბრალდებ. ბრ.)... არ ეფარდება პრიმიტიულ-პასიურ კონსტრუქციათა ხასიათს, რადგანაც **filium** სრულიად უდაოდ გარკვეული ბრუნვის ფორმას წარმოადგენს, და არა — ფუძეს... ინდო-ევროპულ წინადადებას სწორედ ის თავისებურება აქვს, რომ მასში ამოსავალი მომენტიც (ე. ი. სუბიექტი — **ა. ჩ.**) და მოქმედების მიმართულებაც (ე. ი. ობიექტი — **ა. ჩ.**) აღინიშნება საგანგებო ბრუნვათა საშუალებით. ეს თავისებურება, რომელიც ახასიათებს ინდო-ევროპულ ენებს ჰიპოტაქსიან ენებთან შედარებით,² პარალელურ პოვნებს აპოზიციით დახასიათებულ ენებში; ამიტომ იგი ისევე უნდა აიხსნას, როგორც მსგავსი მოვლენები ამ ენებში. „რაც უფრო მკვეთრად არის გამოხატული ენაში დაქვემდებარების პრინციპი, მით უფრო რთული და ზორზოხი ხდება პროცესის გამოხატვის ფორმა და მით უფრო ნაკლებ არის შესაძლებელი გამოიყოს საგანგებო ფორმები ამოსავალი მომენტისა და მოქმედების მიმართულებისათვის,³ ე. ი. სუბიექტისა და ობიექტისათვის — **ა. ჩ.**). „ხოლო თუ ენაში მთლიანად ბატონობს დაქვემდებარების პრინციპი, სულ ერთია, რა კონსტრუქციაც გვექნება („მამის მისწრაფება“, „მისწრაფება მამისაგან“, „მისწრაფება მამით“ თუ სხვა რამ). აქ მნიშვნელობა იმასღა აქვს, რომ ამ შემთხვევაში სუბიექტი თუ ობიექტი, როგორც დამოუკიდებელი წევრი, უპირისპირდება მთელ დანარჩენ კომპლექსს; ამიტომაც არ საჭიროებს საგანგებოდ გამოყოფას.“⁴

სულ სხვა მდგომარეობა გვაქვს იმ ენებში, სადაც გამოხატულების ცალკეული ელემენტები თანაბარი ღირებულებისაა და აპოზიციის წესით მიერთვის ერთი მეორეს. ასეთ ენებში ჩვენებითი ნაწილაკების დართვა თუ აუცილებელი არაა, ყოველ შემთხვევაში, გასაგებია, ჩვენებითი ნაწილაკები სხვა ტიპის ენებშიც არ არის შეუძლებელი, მაგრამ უფრო გავრცელებულია აპოზიციის ტიპისაში.

ცალკე განხილვას მოითხოვს ის შემთხვევები, როდესაც წინადადების სუბიექტი საგანგებო ბგერითი მაჩვენებლებით აღიჭურვება მხოლოდ მაშინ, თუ ზმნა ვნებითია. მეტ წილს შემთხვევაში აქ ისეთ კონსტრუქციასთან

¹ იხ. წინადადების ერგატიული კონსტრუქცია, გვ. 138.

² ინდო-ევროპული ენები არ ყოფილან ჰიპოტაქსიანი ტიპისა! — **ა. ჩ.**

³ იქვე, გვ. 139.

⁴ იქვე, გვ. 139.

გვაქვს საქმე, რომლის პასიური ხასიათი შეიძლება იქნეს დამტკიცებული (ამგვარი კონსტრუქციის მაგალითები უხვად არის წარმოდგენილი ტიბეტ-ბირმის ჯგუფის ენებში).¹

დასასრულ, ფ. ფინკი გახაზავს: ყველგან, სადაც კი ამოსავალი მომენტი (სუბიექტი — **ა. ჩ.**) და პროცესის მიმართულება (ობიექტი — **ა. ჩ.**) გამოხატულია წინადადების საგანგებო ელემენტებით, პირველს აღნიშნავს ფორმალურად გამომყოფი ელემენტი, მეორეს — ელემენტი, რომელიც მიუთითებს ადგილზე ანდა მოქმედების მიმართულებაზე. თვით პროცესი კი გამოიხატება ან როგორც აქტიური ანდა როგორც პასიური იმ ენებში, სადაც პასიური მეორეულია, ანდა მხოლოდ, როგორც აქტიური (მაგალ., ინდო-ევროპულ ენებში). ამასთან იმ შემთხვევებში, სადაც გაბატონებულია მოქმედების ზმნათა პასიურად აღქმა, რომელიც მოქმედებისაგან არ არის მიღებული, საგანგებო ბგერითი მაჩვენებელი მხოლოდ იმ სახელს ექნება, რომელიც მოქმედების ამოსავალს (სუბიექტს — **ა. ჩ.**) აღნიშნავს; იქ კი, სადაც ჭარბობს აღქმის ზმნებიანი წინადადების ტიპი, საგანგებო საშუალებით გადმოიცემა მხოლოდ ობიექტი, ე. ი. მიმართულების მოქმედება. ეს სხვაობა ადვილი ასახსნელია, თუ მოვიგონებთ, რა ძირითადი თავისებურებებიც მოეპოვებათ შეთხზვითი და დაქვემდებარებითი წყობის ენებს.²

ჩემი მსჯელობის შედეგი შეიძლება უმნიშვნელო ეჩვენოს მკითხველს, — ამბობს ფ. ფინკი, — მაგრამ ნათქვამის აზრი ის არის, რომ წინანდებურად მივჰყევთ დადგენილ შეხედულებებს საქმის არსის თაობაზე. ამასთან ერთად მე ვცდილობდი დამესაბუთებინა, რომ შესაძლებელია არსებობდეს ზმნის აქტიური სუბიექტური წყობა, რაიც, ჩემის აზრით, ბუნებრივად შეეფერება ენის ხასიათს მთლიანადაა.³

ასეთია სქემატურად გადმოცემული შეხედულებები ფ. ფინკისა ზმნის ხასიათის შესახებ. ფ. ფინკის წერილში რიგი საინტერესო დებულება თუ მოსაზრება იქცევა ყურადღებას; ასეთია, მაგალითად, დებულება, რომ ზმნა მეორეულია, სახელი — პირველი;⁴ ზმნური მოდის სახელისაგან; დებულება, რომ პასიური მეორეულია აქტიურთან შედარებით (მაინცდამაინც ინდო-ევროპულ ენებში). საინტერესოა, თუმცა ნაკლებ დამაჯერებელია ენათა დაყოფა ორ ძირითად ტიპად: აპოზიციურ წყობისად და ჰიპოტაქსურ წყობისად, აგრეთვე კონ-

¹ იხ. წინადადების ერგატიული კონსტრუქცია, გვ. 140-141.

² გვ. 141. ფ. ფინკი იქვე ატანს: ამის მიხედვით არ უნდა ვიფიქროთ, რომ ინდო-ევროპული ენები ფლექსიის წარმოქმნამდე აპოზიციური (შეთხზვითი) ტიპისა იყო. შდრ. ზემოთ (გვ. 106) თქმული.

³ იქვე, გვ. 142.

⁴ ამ დებულებას ჯერ კიდევ ვ. ვუნდტი იცავდა: „ხალხთა ფსიქოლოგია“, ენა, II.

სტრუქციების სახეობათა გამოყოფა და ამ სახეობათა ურთიერთობის ძიება.

ძირითადი საკითხი მაინც ის არის, რა ზმნა მიაჩნია ფ. ფინკს აქტიური სუბიექტური წყობისად — გარდამავალი ზმნა საერთოდ თუ გარდამავალი ზმნა ერგატიულ კონსტრუქციაში? უნდა ვიფიქროთ, გარკვეული, სახელდობრ, ინდო-ევროპული ენების გარდამავალი ზმნა. რაც შეეხება გარდამავალ ზმნას ერგატიულ კონსტრუქციაში, იგი ფ. ფინკისათვის აქტიური არ არის; ფ. ფინკი ეთანხმება ჰ. შუხარდტს: ქართული გარდამავალი ზმნის ბუნება აორისტში ჰ. შუხარდტმა პირველმა ახსნაო: „დედამ დაინახა მთხოვარა“ ნიშნავსო „დედის მიერ (დედით) დანახულია მთხოვარა“ (თუმცა ეს თარგმანიც ზუსტი არ არისო).¹

ფ. ფინკი იცავს ინდო-ევროპული გარდამავალი ზმნის აქტიურობას წინააღმდეგ ჰ. შუხარდტისა, რომელიც წინადადებაში *filium pater vocat* „შვილს ეძახის მამა“ *vocat*- ზმნას პასიურად აცხადებს.

ფ. ფინკი სხვადასხვა აგებულებისა (და წარმომავლობის) ენებს იცნობს და სათანადო მასალას იყენებს, მაგრამ მსჯელობას აკლია ის გარკვეულობა და შინაგანი თანამიმდევრობა, რომლის გარეშეც მეცნიერულ თეორიაზე ლაპარაკი ძნელია.

სპეციალურ წერილში „პოსესიურობა და პასიურობა“, რომელიც 1921 წელს დაიბეჭდა, ჰ. შუხარდტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ არ იზიარებს ვ. ვუნდტის შეხედულებას სახელის პირველადობის შესახებ ზმნასთან შედარებით. ჰ. შუხარდტისათვის პირველადია ზმნა. ამდენად ჰ. შუხარდტის ეს დებულება უპირისპირდება ფ. ფინკისას.

ზმნათა ოთხ ძირითად ჯგუფად დაყოფა — პროცესის გამოხატვის საშუალებათა მიხედვით (პოსესიური, პასიური — მოქმედების ზმნებთან, აღქმის ზმნათა და ნეიტრალური), იწვევს ჰ. შუხარდტის შენიშვნას, ფ. ფინკი სუბიექტურ ზმნებს ანგარიშს არ უწევსო (სუბიექტური ზმნები ნეიტრალური ზმნებიდან მომდინარედ მიაჩნიაო).

ფინკისეული დაყოფა იმავე საფუძველს ემყარება, რასაც ფრ. მიულერის დაჯგუფებამ. პოსესიური გამოხატულება, — ამბობს ჰ. შუხარდტი — ზუსტად რომ ვთქვათ, ზმნის გამოხატვა სახელის ფორმით (ნათესაობითში დასმული სუბიექტი) არ გამოორიცხავს პასიურს; წინადადებაში „მონადირის — კვლა — ირემი“ (*des Jägers Töten der Hirsch* ნიშნავს: „მონადირე კლავს ირემს“) ერთროულად მოცემულია პასიურობაცა და პოსესიურობაცაო.²

¹ იქვე, გვ. 147.

² ჰ. შუხარდტი, რჩეული წერილები (რუს. თარგმ.), მოსკოვი, 1950, გვ. 113.

ფ. ფინკის შეხედულებებს უპირისპირდება ჰ. შუხარდტი, როცა წერს: „სხვადასხვა მიმართებათა შორის, რომელთაც ნათესაობითი ბრუნვა გამოხატავს, ორი იწვევს ინტერესს: მოქმედი პირის მიმართება (პასიურობა) და ფლობა-კუთვნილების მიმართება (პოსესიურობა). პირველი უსწრებს მეორეს“.¹ ამგვარად, ჰ. შუხარდტისათვის პასიური უფრო ძველია, ვინემ პოსესიური. რაკი პასიური აქ ერგატიულს გულისხმობს, ჰ. შუხარდტის ნათქვამიდან ის დასკვნა გამომდინარეობს, რომ პოსესიური კონსტრუქცია ვერ აგვიხსნის ერგატიულ-პასიურს: ერგატიულ-პასიური უფრო ძველია პოსესიურზეო.

პოსესიურის ასე გაგება ჰ. შუხარდტის ნააზრევში ზმნის პირველადობის აღიარებიდან უნდა მომდინარეობდეს. ერგატიული კონსტრუქციის თავსებულებას პოსესიურობა ვერ აგვიხსნის, მაგრამ სახელის პირველადობა უფრო სარწმუნო ჩანს, ვინემ ზმნისა. ამ შემთხვევაში ფ. ფინკის შეხედულება ზმნის მეორეულობის შესახებ ნამდვილ ვითარებას შეეფერება.

§ 25. ა. ტრომბეტი ერგატიული კონსტრუქციის შესახებ. იმ ავტორთა შორის, რომელნიც უარყოფენ ერგატიული კონსტრუქციის პასიურ ხასიათს, საჭიროა დავასახელოთ ცნობილი იტალიელი პოლიგლოტი ალფრედო ტრომბეტი. ერგატიული კონსტრუქციის რაობის შესახებ ა. ტრომბეტის რიგი საინტერესო მოსაზრება აქვს გამოთქმული.²

ა. ტრომბეტი არ იზიარებს გარდამავალი ზმნის პოსესიურობის თეორიას (ე. ი. იმას, რომ პრედიკატიული შესიტყვება „კაცი ხედავს“ წარმოშობით განმარტებული იქნეს, როგორც ატრიბუტიული: „კაცის ხედვა“). პოსესიურობის მოძღვრების ჩანასახი — წერს ა. ტრომბეტი — უკვე ვ. ჰუმბოლდტის შრომებში გვაქვს. პოსესიურობის პრინციპს მისდევდა ფრიდრიხ მიულერი; ამ პრინციპის დამცველი იყო ფინკი, ხოლო განსაკუთრებულ მნიშვნელობას მას ანიჭებდა ჰ. ვინკლერი.³

თუ რა სახეს იღებს პოსესიურობის პრინციპი ენობრივი ფაქტების განმარტებისას, ჩანს ასეთი მაგალითებიდან. ნა-ი-კო (ვეი-ენაში, აფრ.) ნიშნავს „მე შენ გაძღევ“; ფრ. მიულერს ეს განმარტებული აქვს, როგორც „ჩემი შენი მიცემა“, „შენი ჩემით გამოწვეული მიცემა...“ ნამა-ენაში (ჰოტენტოტთა ერთ-ერთი ენაა აფრიკაში) მა-დო-გუ-ბ (ნიშნავს „გაძღევს

¹ იქვე, გვ. 118.

² ამ საკითხს მიძღვნილი აქვს რამდენიმე პარაგრაფი ა. ტრომბეტის შრომაში „ენათმეცნიერების ელემენტები“ (A. Trombetti, *Elementi di glottologia*), ბოლონია, 1923 (იტალ. ენაზე). ამ პარაგრაფების თარგმანი მოცემულია კრებულში „წინადადების ერგატიული კონსტრუქცია“ 1950, გვ. 152-166. მითითება ამ კრებულზე კეთდება (პარალელურად ნაჩვენებია პარაგრაფი *Elementi*-სა).

³ კრებ. „ერგატ. კონსტრ. წინაღ.“ გვ. 155 („ენათმეცნ. ელემენტები“, § 339).

თქვენ ის მას“) თურმე უნდა გავიგოთ, როგორც „მისი მიცემა თქვენთვის...“¹

წინადადება „მამა ხედავს ძალს“ ფინკის განმარტებით უდრის: „მამის ხედვა ძალისა“; აქ — შენიშნავს ა. ტრომბეტი — კაცი ვერ გაიგებს, რა სიტყვა გადმოგვცემს სუბიექტს, და რა — ობიექტს... თვით უბრალო ფრაზა „შენ კეთილი ხარ“ ალგონკინურში ვინკლერს უქცევია აბსურდულ გამოთქმად „შენი ყოფნა კეთილად“.²

ა. ტრომბეტი აღნიშნავს: ზმნის პოსესიურ ინტერპრეტაციას არ იზიარებდნენ ჰ. შუხარდტი, ვ. შმიდტი და სხვ. ა. ტრომბეტის წამოყენებული აქვს რამდენიმე ზოგადი მოსაზრება პოსესიური გაგების წინააღმდეგ:

1. ეს გაგება გულისხმობს, რომ სუბიექტი ნათესაობითში უნდა დაისვას; მეტად საეჭვოა, რომ კუთვნილებითი (პოსესიური) ნათესაობითის ცნება გვქონოდა ენის დასაწყისში; მალ.-პოლინეზ. მატა-კუ = მატა-აკუ „თვალი ჩემი“, ზედმიწევნით „თვალი — მე“; ასევე დაკოტა-ენაში: მი-იშტა „ჩემი თვალი“, ზედმიწევნით „მე — თვალი“... თუ კუთვნილების (ფლობის, პოსესიურობის) ცნება არა გვქონდა, ზმნაშიც ის ვერ აისახებოდა.

2. ფორმის იგივეობა არ ნიშნავს ფუნქციის იგივეობას. ჰ. შუხარდტი მარჯვედ შენიშნა, რომ ჰოლანდიის გვინეაში ზანგები ამბობენ: ვი ჰოსო „ჩვენი სახლი“ და ვი ლობბი „ჩვენ გვიყვარს“ — ვი-ს სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს სხვადასხვა გამოთქმაში.

3. თუ სუბიექტად დამოუკიდებელი ნაცვალსახელი ან სახელი გვაქვს, მას არ ექნება ნათესაობით-კუთვნილებითი (პოსესიური) ბრუნვა. მაინჰოფი თითქოს პოულობდა ასეთ ნათესაობითს ბერბერულში: — იძიქულ უ-გელლიდ „გამოვიდა მეფე“, შდრ. ტიგიმე უ-გელლიდ „სახლი მეფისა“ („მეფე“ იქნება ა-გელლიდ)... მაგრამ მაინჰოფი ცდებოდა: ი-ძიქულ ნიშნავს „ის გამოვიდა“; რაც შეეხება უ- თავსართს („მეფის“ აღმნიშვნელ სახელში), ის ჩვენებითი ნაცვალსახელია მამრობითი სქესისა (უდრის მამრ. სქესის უ- დაბოლოებას ეგვიპტურში).

4. სახელადი ფორმები, როგორიცაა „ჩემი წერა (ხატვა...)“ შედარებით ახალი წარმონაქმნია და ძნელად თუ გარდაიქმნება ნამდვილ ზმნურ ფორმებად („მე ვწერ“, „ვხატავ...“)...³

ამას ისიც უნდა დაუმატოთ — ამბობს ა. ტრომბეტი, — რომ იმ შემთხვევებში, როდესაც სუბიექტურ აფიქსს იგივე ფორმა აქვს, რაიც პოსესიურსა და ობიექტურს, უკანასკნელს ხშირად სუბიექტის აღნიშვნაც ეკისრება.

¹ იქვე.

² იქვე.

³ კრებ. „ერგატ. კონსტრ.“, გვ. 156; „ენათმეცნიერების ელემენტები“, § 340.

ახლა — გარდამავალი ზმნის პოსესიურობის შესახებ. ეს საკითხი ა. ტრომბეტის აზრით, აქტიური და პასიური სუბიექტის გარჩევასთან არის დაკავშირებული (ე. ი. ა. ტრომბეტი სახელში ეძებს საკითხის ამოხსნას). ასეთი გარჩევა კი დასტურდება: „ბასკურში, კავკასიურ ენებში, ინდო-ჩინურ ენებში, პაპუასურ-აგსტრალიურში, აგრეთვე პალეოაზიურსა და ამერიკულს (ე. ი. ამერიკის ინდიელთა — ა. ჩ.) ენებში.¹

ბასკური გარდამავალი ზმნა პასიურად მიიჩნია პირველად ფრ. მიულერმა (თავის ენათმეცნიერების ნარკვევში, III, 2, 1887 წ.); მის თვალსაზრისს მხარი დაუჭირა ჰ. შუხარდტმა (1888 წ.), ხოლო შტემპფმა სპეციალური შრომა უძღვნა ამ საკითხსაო (1890 წ.).

ამ ავტორების აზრით, ბასკურს არ მოეპოვება ნამდვილად გარდამავალი ზმნა, რადგანაც გარდამავალი ზმნა პასიური ფორმით გადმოიცემა: ნ-ა-კარ-კ „მე მატარებ შენ“ („меня несешь ты“), ზედმიწევნით „მე ვიტარები შენ მიერ“ („я несом тобою“).

ვენსონისა და ვინკლერის გარდა ბასკური გარდამავალი ზმნის პასიურობამ სპეციალისტების საერთო მხარდაჭერა პოვა.

ბასკურ გარდაუვალ ზმნაში სუბიექტი პრეფიქსებით აღინიშნება; გარდამავალ ზმნაში კი, თუ აწმყო დროს ავიღებთ, პრეფიქსები ობიექტზე მიუთითებენ, სუბიექტს კი — სუფიქსები აღნიშნავენ:

ნ -ა-ბილ მივდივარ	ნ -ა-კარ-ტე	მე მატარებენ ისინი, მე მივყავარ მათ (меня несут они)
ჰ -ა-ბილ მი-დიხარ	ჰ -ა-კარ-ტე	შენ გატარებენ ისინი
დ -ა-ბილ მი-დის	და -ა-კარ-ტე	მას ატარებენ ისინი
	ნ-ა-კარ-კ	მე მატარებ შენ (მამაკ.)
	დ-ა-კარ-კ	მას ატარებ შენ (..)
	ნ-ა-კარ-ენ	მე მატარებ შენ (ქალი)
	დ-ა-კარ-ენ	მას ატარებ შენ (..)
	ჰ-ა-კარ-ტ	შენ გატარებ მე
	დ-ა-კარ-ტ	მას ვატარებ მე
	ნ-ა-კარ-სუ	მე მატარებთ თქვენ
	დ-ა-კარ-სუ	მას ატარებთ თქვენ
	ჰ-ა-კარ-გუ	თქვენ გატარებთ ჩვენ
	დ-ა-კარ-გუ	მას ვატარებთ ჩვენ ²

გარდაუვალ ზმნაში (ნა-ბილ „მივდივარ...“) **ნა**, **-ჰა**, **-და** პრეფიქსები სუბიექტის პირზე მიუთითებენ, მაგრამ იგივე პრეფიქსები (**ნა-**, **ჰა-**, **და-**)

¹ კრებ. გვ. 156; „ენათმეცნიერების ელემენტები“, § 328.

² კრებ., „ერგატ. კონსტრ.“, გვ. 160. იქვე, § 353.

გარდამავალ ზმნაში (მატარებს, გატარებს, ატარებს...) ობიექტის აღსანიშნავად იხმარება (სავსებით ისევე, როგორც ეს გვაქვს, მაგალ., ხუნძურში: **ვ-, დ-, ბ-** გარდაუვალი ზმნის სუბიექტური და გარდამავალი ზმნის ობიექტური პრეფიქსების როლში გამოდის; განსხვავება ისაა, რომ ხუნძურში სუბიექტის თუ ობიექტის კლასები აღინიშნება, ბასკურში-კი — ქართულის მსგავსად — პირები).

ბასკურში ერგატიული ბრუნვა დამოუკიდებელ მორფოლოგიურ ოდენობას წარმოადგენს (ისევე, როგორც ქართულში); ერგატივს არა აქვს სხვა ბრუნვასთან საზიარო ფორმა, გიზონა „კაცი“, გიზონა-კ „კაცმა“:

ბასკ. გიზონა-კ იკუსტენ დუ „კაცი ხედავს მას“ (ზედმიწ.: „კაცმა ხედავს იგი“).

იკუსტენ დუ-ტ გიზონა „გხედავ მე კაცს“ (ზედმიწ.: „გხედავ მე კაცი“).

გიზონა და-ტორ „კაცი მოდის“.¹

„როცა ენაში აქტიურ სუბიექტს (აქტიურ ანუ ერგატიულ ბრუნვას) ცალკე ფორმა აქვს, პასიური სუბიექტისა და ობიექტისათვის, როგორც წესი, იხმარება უბრალო სახელი, რაიმე სუფიქსის გარეშე“.²

ერგატიული ბრუნვის ჭეშმარიტი ბუნების გარკვევა, — წერს ა. ტრომბეტი მეტად მნიშვნელოვანია, რადგანაც „მასზეა საკმარისად დამყარებული თეორია გარდამავალი ზმნის ვნებითობის შესახებ..., თეორია, რომელსაც მე არ ვიზიარებო“.³

ჰ. შუხარდტი აქტიურ ბრუნვას თავისებურ ზმნისართად მიიჩნევდა: „მამა — ადგილი → მამის მხრივ, მამა — იარაღი → მამის მეშვეობით... აქედან კი ზმნის პასიური ხასიათი გამომდინარეობს: გიზონა-კ იკუსტენ დუ უდრის „კაცით (კაცის მიერ) დანახულია იგი“ (და არა: „კაცი ხედავს მას“)... მაგრამ, — შენიშნავს ა. ტრომბეტი — ასეთი ჰიპოთეზა დამაჯერებელი არ არისო. სინამდვილესთან უფრო ახლოს ჰ. შუხარდტი მაშინ იყო, როცა ერგატივი მიაჩნდა ისეთ ბრუნვად, რომელზედაც იმ თავითვე განსაკუთრებული მახვილი მოდისო, ე. ი. რომელსაც განსაკუთრებული ხაზი ესმისო (შდრ. „შენ გეძახის მამა), და მისი კიდევ უფრო გაძლიერება შეეძლო ნაცვალსახელის დართვას: **Vater-er** „ეს მამაა, რომ“... თუ შუხარდტს შესაძლებლად მიაჩნია ინდო-ევროპული -s (ბრუნვის ნიშანი) და სემიტურ ენათა -u (ბრუნვის ნიშანი) ერთმანეთს შეუპირისპიროს, მან არ უნდა დაიცვას პასიურობის თეორიაო.⁴

¹ „ერგატ. კონსტრ.“, გვ. 152. იქვე, § 328.

² იქვე, გვ. 152.

³ იქვე, გვ. 152.

⁴ იქვე, გვ. 152-153.

„ერგატიული ბრუნვა — წერს ა. ტრომბეტი — სხვა არაფერია, თუ არ სახესხვაობა ემფატიკური სახელობითი ბრუნვისა...“ ბასკ. ნი „მე“ (სახელობ.). და კინ „მე“ (ერგატ.) ერთმანეთთან ისეთსავე მიმართებაში უნდა იყოს, როგორც მი „შენ“ და მი-კ „შენ თვითონ“ ვაშო-ენაში (ჩრდ. ამერ. ინდიელთა ენაა)... ცხადია, კითხვაზე „ეს ვინ გააკეთა?“ პასუხი უფრო გარკვეული სახით შეიძლებაოდა ყოფილიყო გაცემული, ვინემ კითხვაზე „ვის სძინავსო?“... ქართულში — აღნიშნავს ა. ტრომბეტი — კითხვაზე „ეს ვინ გააკეთა?“ უპასუხებენ ერგატივის გამოყენებით: კაცმან“ (ემფატიკური მახვილით).¹

აქტიური და პასიური სუბიექტი შეიძლება სხვადასხვა სიტყვამ გადმოსცეს: ხუნდ. მუნ „შენ“ (სახელ.) და დუცა „შენ“ (ერგატ.), ლეზგ. ვუ-ჟ „ვინ?“ (სახელ.) და ნი „ვინ“ (ერგატ.)... ბაცბ. მე „ვინ?“ (სახელ.) და პა „ვინ?“ (ერგატ.)... უ „რა?“ (სახელ.) და სტევა „რამ?“ ხუნდური მესამე პირის ნაცვალსახელის (დო-უ „ის“...) სახელობითისა და ერგატივის (დო-ს) შეპირისპირების შედეგად ა. ტრომბეტი ასკვნის: ერგატივი ბრუნვა კი არ არის, არამედ ფუძე (სხვა) ბრუნვებისთვისაო.²

ა. ტრომბეტის განხილული აქვს ჰ. შუხარდტის მიერ წამოყენებული საზომი აქტიურობა-პასიურობისა (აქტიურ.: რეალური სუბიექტი — სახელ., რეალური ობიექტი — აკუზატ.; სუბიექტის ნიშანი ზმნაში — პრეფიქსი; პასიურ.: რეალური სუბიექტი — ერგატ., რეალური ობიექტი — სახელობ., სუბიექტის ნიშანი — სუფიქსი).³ ა. ტრომბეტი სამართლიანად მიუთითებს: ამის მიხედვით ლათ. *vocat* „ეძახის“, „მოუწოდებს“ პასიური გამოდის მაშინ, როდესაც ლათინურში პასივის საგანგებო ფორმა გვაქვს (*vocatur*), ქართ. ვ-აშენებ აქტიური იქნება. ხოლო არაბულის აწმყო (თა-ქთულუ „შენ კლავ“ — პრეფიქსიანი) აქტიურად მიაჩნია შუხარდტს და კათალ-თა („შენ მოკალი“) პასიურად (სუბიექტი სუფიქსით აღინიშნება და იმიტომ):⁴ ნაცვალსახელოვან ნაწილაკთა ადგილმდებარეობას არავითარი კავშირი არა აქვს აქტიურობა-პასიურობასთანაო. საკმარისია მოვიგონოთ არაბ. კათალთა „შენ მოკალი“ (აქტ.) და კუთილთა „შენ მოკულულ იქენ“ (პას.). მხოლოდ ფსიქოლოგიური თვალსაზრისით „შენ გეძახის მამა“ შეიძლება აქტიურისაგან განსხვავდებოდეს (რადაც საშუალო აქტიურსა და პასიურს შორისო).

აქტიურ წყობაში რეალური სუბიექტი უფრო ბრუნვით (ე. ი. თავისებური ფორმით გადმოიცემა, ვინემ წმინდა ფუძით. მეორე მხრით, რეა-

¹ იქვე, გვ. 153

² კრებ. „ერგატ. კონსტრ.“, გვ. 153-154.

³ ამის შესახებ იხ. ზემოთ § 10, 11.

⁴ ამის შესახებ იხ. § 11

ლური ობიექტი უფრო ხშირად წმინდა ფუძით გადმოიცემა, ვინემ აკუზატივითაო.¹

კონსტრუქცია რომ ნამდვილად პასიური იყოს, ზმნას უნდა ჰქონდეს პასიური ფორმა, განსხვავებული აქტიურისაგან. აქედან გამონაკლისი მხოლოდ მოჩვენებითიაო, წერს ა. ტრომბეტი.²

ულენბეკი ვარაუდობდა, რომ არ არსებობს არავითარი საფუძველი, აქტიური კონსტრუქცია დავსახოთ, როგორც ძველი და უფრო ბუნებრივი, ხოლო პასიური, როგორც მეორეული და კულტურული განვითარების მაღალი ხარისხის შესაბამისი. პირუკუ: ის ფიქრობდა, რომ ადამიანის გონის განვითარების გარკვეულ საფეხურს უფრო შეეფერება პასიური ფორმა და ეს მაშინ — წერს ა. ტრომბეტი, — როდესაც ბევრ ენაში ან სულ არ მოიპოვება ზმნის პასიური ფორმები ანდა თუ გვაქვს, ისეთი პასიური ფორმები გვაქვს, რომლებიც წარმოშობით აქტიურს უკავშირდება.³

ულენბეკი უარყოფდა, თითქოს პრიმიტიულ ცნობიერებას მოქმედი პირის ისეთივე გაგება ჰქონდეს, როგორც ჩვენა გვაქვს. წინადადებაში „მონადირე კლავს ფრინველს ქვით“ პრიმიტიული წარმოდგენის მიხედვით „მონადირე“ მოქმედი პირი როდია, იგი არის პირველადი იარაღი, ქვა კი — „მეორეული (იარაღი)“. ნამდვილ მოქმედ პირად (თავდაპირველ მიზეზად) საიდუმლო ძალა მიაჩნიათ: ფრინველს კლავს არა მონადირე, არამედ საიდუმლო ძალა მონადირის მეშვეობით; ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, ქვას ხმარობს იარაღად... ეს ნამდვილი ფატალიზმიაო, შენიშნავს ა. ტრომბეტი. კარგი-და, მონადირე თუ ჭამს ფრინველს? ნუ თუ აქაც ნამდვილად ფრინველს საიდუმლო ძალა ჭამს მონადირის მეშვეობითაო... ამ წესით მსჯელობა შეუსაბამობამდე მიგვიყვანდაო, — ასკვნის ა. ტრომბეტი.⁴

ა. ტრომბეტის მოსაზრებათა შორის ზოგი უდაოა, ზოგიც — საინტერესო; ძირითადი დებულება კი უმართებულოა. სადაო არაა, მაგალითად, რომ პასიურ ზმნაზე ლაპარაკი გაუმართლებელია, თუ აქტივი და პასივი მორფოლოგიურად არ გაირჩევა. და თუ მაინც ზმნის პასიურობის საკითხს სვამენ პასიურობის დამცვალები, უნდა გაირკვეს, რა მნიშვნელობა აქვს ასეთ შემთხვევაში ტერმინს „პასიური“.

ერგატიული ბრუნვა ემფატიკურ სახელობითს წარმოვიდგენსო, წერს ა. ტრომბეტი. ეს სავსებით სამართლიანია, მაგალ., ქართული მოთხრობითის მიმართ. მაგრამ შეიძლება თუ არა ყველგან ერგატივი ასე

¹ იქვე, გვ. 158.

² იქვე, გვ. 159 (§ 352). ხაზი ჩვენია — ა.ჩ.

³ იქვე, გვ. 157.

⁴ იქვე, გვ. 157. ულენბეკის შესახებ იხ. ზემოთ § 21, 22.

განმარტოთ (თუნდაც მარტოოდენ იბერ.-კავკასიური ჯგუფის ენებში)? საქმის ვითარება ზოგან გაცილებით უფრო რთულია.

ა. ტრომბეტი საფუძვლიანად არკვევს, თუ რა უხერხულობაც ახლავს ჰ. შუხარდტის საზომს — პირის ნიშანი პრეფიქსად თუა ნახმარი, კონსტრუქცია აქტიურია, სუფიქსს თუ წარმოადგენს — პასიური იქნება.¹

ა. ტრომბეტი პასიურობას უარყოფს: გარდამავალი ზმნის ობიექტი და გარდაუვალი ზმნის სუბიექტი ბასკურში რომ ერთნაირად აღინიშნება, ეს გარდამავალი ზმნის პასიურობას არ ნიშნავს, ნაცვალსახელოვან ნაწილაკთა ფორმის (ე. ი. ბგერითი შედგენილობის) იდენტურობა და ერთნაირი ადგილმდებარეობა ფუნქციის იგივეობას არ მოასწავებს²... ეს დამაჯერებელი არა ჩანს. ა. ტრომბეტის ეს მოსაზრება რომ გავიზიაროთ, სულ ერთი გამოვა, ერთნაირი ფორმანტებით გადმოიცემა სუბიექტი (გარდაუვალ ზმნისა) და ობიექტი (გარდამავლისა), თუ — განსხვავებულით.

გარდამავალი ზმნის ობიექტისა და გარდაუვალი ზმნის სუბიექტის ერთი და იმავე ფორმანტებით აღნიშვნა საყურადღებო გარემოება არის, თავისებურ ვითარებაზე მივგითითებს, ამისათვის ანგარიშის არგაწევა საკითხის არადასახვა იქნებოდა; ყოველ შემთხვევაში გარდამავალი ზმნის თავისებურებას ვერ გავვირკვევდა.

ა. ტრომბეტი უარყოფს პოსესიურობის თეორიას (სემასიოლოგიური მომენტების გამოყენებით). ნამდვილად კი პოსესიურობის თეორია იმით არის სუსტი, რომ სუბიექტის თავისებურ ინტერპრეტაციაში ეძიებს გარდამავალი ზმნის თავისებურების ახსნას (მაშინ, როდესაც ერგატიულ კონსტრუქციაში სიმძიმის ცენტრი ობიექტზე მოდის: გარდამავალი ზმნის თავისებურება ერგატიულ კონსტრუქციაში, პირველ ყოვლისა, ობიექტს უკავშირდება).

ა. ტრომბეტი არ იზიარებს ულენბეკის კონცეფციას და ამყარებს თავის კრიტიკულ მსჯელობას თანამედროვე გაგებაზე: მას არა აქვს გათვალისწინებული, რომ მიზეზ-შედეგის გაგება პრიმიტიულ ცნობიერებას სხვაგვარი შეიძლებაოდა ჰქონოდა. ულენბეკის პრინციპული პოზიცია ამ მხრივ მკვიდრია (თუ ულენბეკის შეხედულება მიუღებელია, არა იმ მიზეზის გამო, რაზედაც მიუთითებს ა. ტრომბეტი).

ა. ტრომბეტის მსჯელობაში არა ჩანს, რა საზომით უნდა გაიზომოს გარდამავალი ზმნის თავისებურება (რაკი პასივისტებისა და პოსესივისტების კონცეფციები ვერ ხსნიან საკითხს), არ არის ცხადი, როგორ უნდა ავხსნათ ეს თავისებურება (ან, იქნებ, ა. ტრომბეტისათვის აქ საერთოდ, არავითარი თავისებურება არ არის და გარდამავალი ზმნის თავისებურებას ვერ გავვირკვევდა).

¹ დაწვრილებით ამის შესახებ აქვე, §§ 10, 11.

² გვ. 169 (§ 353).

ვისებურების საკითხი მოჩვენებითი საკითხია...).

შთაბეჭდილება ისეთია, რომ აქ ა. ტრომბეტის საინტერესო მსჯელობა თავისი შედეგით აღარ გაირჩევა იმ ავტორების შეხედულებათაგან, რომელნიც გარდამავალი ზმნის პასიურობას უარყოფენ, გარდამავალი ზმნის აქტიურობას იცავენ და... საკითხის ახსნის ნაცვლად საკითხის მოხსნას იძლევიან.

§ 26. ა. დირი გარდამავალი ზმნის შესახებ იბერიულ-კავკასიურ ენებში. ზმნის საკითხს ა. დირი ზოგადად განიხილავს შემაჯამებელ შრომაში: „შესავალი კავკასიურ ენათა შესწავლაში“.¹ ა. დირი სპეციალობით ეთნოგრაფი იყო; პირველი მსოფლიო ომის წინ ათიოდე წლის განმავლობაში მასწავლებლობდა თემირ-ხან-შურასა და თბილისში, და საშუალება ჰქონდა ადგილობრივ შეესწავლა რიგი ენა, მეტწილად დაღესტნური ჯგუფისა. ა. დირმა თბილისში რუსულ ენაზე გამოაქვეყნა მონოგრაფიები უდურის (1904 წ.), რუთულურის (1912 წ.), წახურულის (1913 წ.), ტაბასარანულის (1905 წ.), ალულურის (1907 წ.), არჩბულის (1908 წ.), ანდიურის შესახებ (1906 წ.), მოგვცა მოკლე ცნობები ანდიურ-დიდოურ ენა-კილოთა შესახებ (1909 წ.). გერმანიაში დაბრუნების შემდეგ იმოგზაურა თურქეთში, სადაც უბიხურს სწავლობდა; უბიხურსაც ცალკე მიმოხილვა უძღვნა (1927-28 წ.). ცხრაასიანი წლების დასაწყისში ა. დირმა გამოსცა პრაქტიკული გრამატიკა ქართული ენისა. ნახური (ჩაჩნური) ჯგუფის ენების გარდა ყველა სამი ჯგუფის ენა ყოფილა ა. დირის დამოუკიდებელი შესწავლის საგანი (აფხაზურ-ადიღური ჯგუფიდან — უბიხური, ქართველური ენებიდან — ქართული, დაღესტნური ჯგუფიდან — შვიდი ენა. ბუნებრივია ამიტომ, რომ მკითხველი მოელის ა. დირისაგან საყურადღებო მოსაზრებებს მაინც, ისეთი ძირითადი ენობრივი ფენომენის შესახებ, როგორც არის ზმნა იბერიულ-კავკასიურ ენებში.

მართლაც, ზმნის უღვლილების საკითხებს სხვადასხვა ენის მასალაზე ა. დირი განიხილავს, მაგრამ რაიმე განზოგადებას ანდა ზოგად დასკვნას გარდამავალი ზმნის რაობის შესახებ ა. დირთან ვერ ვიპოვიით.

ა. დირის მსჯელობა იმდენად დამახასიათებელია გარკვეული რიგის შრომებისათვის, რომ მისი გაცნობა ზოგი თვალსაზრისით მაინც საინტერესო ჩანს.

ყველაფერს, რაც ჩვენს გარშემო ხდება — წერს ა. დირი — წინადა-

¹ A. D i r r, Einführung in das Studium der kaukasischen Sprachen, München, 1928, გვ. 62-76. რუსული თარგმანი შეტანილია კრებულში „წინადადების ერგატიული კონსტრუქცია“, 1950, გვ. 17-33. ზმნის შესახებ მსჯელობა ა. დირის შრომაში წამძღვარებული აქვს ქართული ზმნის დახასიათებას.

დებით გადმოსცემთ. წინადადების გული არის ზმნა — სიტყვა, რომელიც გამოხატავს მდგომარეობას, მოქმედებას ანდა გრძნობას... ყველა ზმნა შეიძლება ორ ჯგუფად დავეყოთ: ერთში მონაწილეობს ჩვენი ნებისყოფა, მეორეში — არა; ისეთი პროცესები, როგორცაა „ძილი“, „ღვიძილი“, „საჭმლის მონელება“, არანებისმიერია; „ყურება“, „ლაპარაკი“, „სიარული“ — ნებისმიერი. გრძნობის აღმნიშვნელ ზმნებშიც შეიძლება გავარჩიოთ მსგავსივე დაპირისპირება: „ხედავს“ — არანებისმიერია, „უყურებს“ — ნებისმიერი, „ესმის“ — არანებისმიერი, „ისმენს“ („უსმენს“) — ნებისმიერი. აქ საკითხი ჩნდება — შენიშნავს ა. ღირი, — რა ჯგუფს უნდა მივაკუთვნოთ ზმნები „ფიქრობს“, „უყვარს“ და მისთ. „გფიქრობთ“ ჩვენ თვითონ, თუ ჩვენში არის „რაღაც“, რაც „ფიქრობს“... ასევე „მიყვარს“, „მძულს“ ხომ არ უნდა მივიჩნიოთ ნებისმიერი სულიერი მდგომარეობის გამოხატულებად...

თუ გერმანული და ბევრი სხვა ენა წარმოგვიდგენს ზმნებს „ვხედავ“, „უყურებს“, „ვისმენ“..., როგორც ნებისმიერ მოქმედებას, ეს სხვა ენებისათვის სავალდებულო სრულებითაც არ არის; სხვა ენებში საქმის ვითარება შეიძლება იყოს წარმოდგენილი უფრო სწორად: „ჩემდა ჩანს“ — „მე ვხედავ“-ის ნაცვლად, „მე მიყვარს“, „მე მესმის“ (სათანადო გერმანულ გარდამავალ ზმნათა ბადლად).

კავკასიურ ენებში — წერს ა. ღირი — გამოსახვის სწორედ ეს საშუალება გვაქვს გამოყენებული, თუმცა არათანამიმდევრულად... მაინც კავკასიური ენები განასხვავებენ მდგომარეობის, გრძნობისა და მოქმედების ზმნებს. ასე, მაგალითად, ქართულში ითქმის — განაგრძობს ა. ღირი — „მე ვარ“, „მივიღვივარ“, მაგრამ: „მე მიყვარს, მესმის, მძულს“ (ე. ი. მიცემითში დგას რეალური სუბიექტი). როგორღა გამოხატავს ქართული ენა მოქმედების ზმნას? — კითხულობს ა. ღირი — და მიუგებს: „აქ ჩვენ დიდ სიძნელებს ვხვდებით“. ავიღოთ მარტივი წინადადება: „მონადირე კლავს ირემს“. ამ წინადადების შინაარსი შეიძლება გადმოსცეთ ხუთი სხვადასხვაგვარი წესით:

1. ისე, როგორც ჩინურში — გრამატიკული ფორმანტების გამოუყენებლად („მონადირე კვლა ირემი“);
2. ისე, როგორც აფხაზურში გვაქვს („მონადირე იგი — მას¹ კლავს ირემი“).
3. ისე, როგორც რუსულში ითქმის: სუბიექტი სახელობითში, ობიექტი — აკუზატივში („охотник убивает оленя“);
4. დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე მაჩვენებელთა მეშვეობით („მონადირე-აქ კვლა ირემი-იქ“); არ არის ნათქვამი, რა ენას გულისხმობს ა. ღირი;

¹ უნდა იყოს: „მას — იგი“ ჯერ ობიექტი, მერე — სუბიექტი. — ა. ჩ.

5. ვნებითი გვარის მეოხებით („მონადირის მიერ იკვლება II მკვდარი ხდება ირემი“). ა. დირი დასძენს: ყველა შესაძლებლობა აქ აღნიშნულით არ ამოიწურებაო. და ასახელებს ბანტუ-ენების კლასნიშნიან გამოსახულებას...

„კონსტრუქცია პასიურია მხოლოდ იმ შემთხვევაში, — წერს ა. დირი — როდესაც ლოგიკური სუბიექტი, მოქმედების ამოსავალი წერტილი, იხმარება არა დასახელების ფორმაში, რომელშიც დგას ლოგიკური ობიექტი, და თუ ამასთანავე, რაც არც ისე სავალდებულოა, ობიექტზე მითითება ზმნაშიც გვაქვს“ — „მონადირისაგან კვდება (იკვლის) ირემი“ („ირემ“-ობიექტის ნიშანი ზმნაში უნდა მოგვეპოვებოდეს); „ზმნა არ უნდა მიუთითებდეს მოქმედების წყაროზე არც კლას-ნიშნით, არც პირის ნიშნით...“

„ჩემი იკვლის ირემი“ **мною убивается олень;**

„შენით იკვლის ირემი“ **тобою убивается олень;**

„მით (იმის მიერ) იკვლის ირემი“ **им убивается олень.**

ერთი სიტყვით, ა. დირმა ჩამოაყალიბა პასიური კონსტრუქციის კრიტერიუმი: რეალური სუბიექტი (ა. დირი მას „ლოგიკურს“ უწოდებს) არ უნდა იყოს სახელობითში, რეალური ობიექტი უნდა იდგეს სახელობითში (და ამ ობიექტს სათანადო ფორმანტი უნდა აღნიშნავდეს ზმნაში, — თუმცა ეს აუცილებელი არ არისო). ამრიგად, თუ კონსტრუქცია პასიურია: 1. რეალური ობიექტი სახელობითში დაისმის, 2. ზმნა მას შეეთანხმება, 3. რეალური სუბიექტი კი სახელობითში არ დაისმის და 4. ზმნა მას არ შეეთანხმება (რუსული პასიური კონსტრუქცია **мною убивается олень** ა. დირისეული პასიური კონსტრუქციის ნიმუში იქნებოდა).

ამის შემდეგ ა. დირი იღებს ქართულ წინადადებას „მონადირემ ირემი მოჰკლა“, „მონადირემ ირემები (!) მოჰკლა“ და შენიშნავს: „არ აფერი მიუთითებს პასიურ კონსტრუქციაზე სიტყვაში მოკლაო“ (ხაზი ჩვენია — **ა. დ.**).

ა. დირის დასკვნა, ცოტა არ იყოს, გაუგებარია, თუ მოვიგონებთ, რა ნიშნებიც გამოყო ა. დირმა, როგორც ნიშანდობლივი, პასიურობისათვის: ობიექტი სახელობითში უნდა იყოს დასმულიო: „ირემი“ სახელობითში დგას: პასიური კონსტრუქციის ერთი პირობა ამით დაკმაყოფილებულია. სახელობითში დასმული ობიექტი ზმნაში უნდა აღინიშნებოდესო (ეს სავალდებულო არ არის, მაგრამ თუ კი იქნება, ოპტიმალურ პირობად მიიჩნევა). აქ ა. დირის ეს პირობაც გვაქვს: ობიექტის პირი ქართულ ზმნაში აღინიშნება (მომკლა მე, მოგკლა შენ, მოკლა იგი — ჩვეულებრივ აქ ნოლ-ნიშანი გვაქვს, მაგრამ ა. დირს **ჰ**-პრეფიქსიანი მო-**ჰ**-კლა უწერია და, მამასადამე, ობიექტის პირი რეალური ფორმანტით არის ზმნაში წარმოდგენილი). დაგვრჩა მესამე და მეოთხე პირობა: სუბიექტი არ უნდა იყოს

დასმული სახელობითში და ზმნა ასეთ სუბიექტს არ უნდა ეთანხმებოდეს. სუბიექტი („მონადირემ“) არ დგას სახელობითში; ამ მხრივაც „მოჰკლა“-ზმნა ა. დირის კრიტერიუმს აკმაყოფილებს. ოღონდ ეს სუბიექტი („მონადირემ“) ზმნაში პირს აჩენს („მოკლა“. ა. დირის თვალსაზრისით ასეთი რამ პასიურ კონსტრუქციას არ შეეფერება. ამრიგად: ქართულ ერგატიულ წინადადებას („მონადირემ მოკლა ირემი“) აღმოაჩნდა სამი ნიშანი, რაც გარდამავალი ზმნის პასიურობას გვაუწყებს ა. დირის თანახმად (და ერთი ნიშანიდა აკლია). ამიტომაც, ვიმეორებთ, არ არის გასაგები, რატომ ასკვნის ა. დირი: არაფერი მიუთითებს მოკლა-ზმნის პასიურობაზე, როდესაც ამ ზმნაში (და მის შესაბამის წინადადებაში) პასიურობის მაუწყებელი სამი ნიშანი გვაქვს ოთხიდან.

ა. დირი არ იძლევა წინადადების — „მონადირემ მოჰკლა ირემი“ — ანალიზს, აკეთებს უარყოფითს დასკვნას (პასიური არ არისო) და განაგრძობს ზმნის განხილვას: მოჰყავს ეგვე წინადადება აწმყოში (თუ მყოფადში) — „მონადირე ირემსა მოჰკლავს“ (და „ირემსა“ განმარტებული აქვს, როგორც „მიცემით-აკუზატივი“)... შემდეგ სვამს ზმნას პერფექტში: „ირემი მომიკლამს“ და თარგმნის: „ირემი მე (მიც.) მოკლულ არის“ (მე მოგკალი ირემი და ის დევს მოკლული ჩემ წინაშე)... ქართულ აწმყომყოფადის განსამარტავად არაფერია ნათქვამი. უნდა ვიფიქროთ, აქ პასიურობა კიდევ უფრო გამორიცხული უნდა იყოს ა. დირისთვის; სუბიექტი სახელობითში დგას („მონადირე“), ობიექტი — მიცემითში („ირემი“) და ამ მიცემითს დ. დირი აკუზატივად თვლის. ერთი სიტყვით, „მონადირე მოჰკლავს ირემს“ აქტიურ კონსტრუქციად უნდა ივარაუდებოდეს; თუმცა ამას ა. დირი არ ამბობს, მისი აზრი, ცხადია, როგორც იქნებოდა. სამწუხაროდ, პერფექტიც („ირემი მომიკლავს“) ყოველგვარი განმარტების გარეშეა დატოვებული, და მკითხველმა არ იცის, რა კვალიფიკაცია ეძლევა მას.

ქართულის შემდეგ ა. დირი ხუნძურ მასალაზე გადადის, ნიმუშად დასახელებული აქვს „დიცა რაზი ჰავულა ემენ“ („მე კმაყოფილს ვხდი მამას“ — მაგალითი პ. უსლარისეულია); ა. დირი ცვლის რეალური ობიექტის კლასებს ზმნაში (სათანადო სახელთან დაკავშირებით) და ყველგან ზმნას თარგმნის ვ ნ ე ბ ი თ ი თ: „ჩემით კმაყოფილი ხდება მამა“... „დედა“... „ბავშვი“... ე. ი. ხუნძური გარდამავალი ზმნა ა. დირს მიაჩნია პასიურად ისევე, როგორც პ. უსლარს (მაგალითიც უსლარისეულია, თარგმანიც, გაგებაც).

ხუნძურის შემდეგ ა. დირს მოცემული აქვს ჩაჩნური მაგალითები (ას დაზ-დ-უო ჯადნა „მე ვწერ წერილს“), მერე — არჩიბულის (ზარი ვას ტაურ ლო „მე შენ გაძლევ ჩემ შვილს“), რუთულურის მაგალითები (ზე

დიყ—ჰრჷ „მე ვკვდები“, ზა იყ—ჰრჷჷ ჰად „მე ვკლავ მას“, ზედმიწევ. : „ჩემით კვდება იგი“...). ჩაჩნურ და დაღესტნურ ენებთან დაკავშირებით ა. დირი წერს: ზმნის ფორმებს შეუძლებელია შევეთრჩიოთ ეკვივალენტური გამოხატულება გერმანულ ენაზე; მიუხედავად ამისა ჩაჩნურ-დაღესტნურ ენათა კონსტრუქცია საკმაოდ ნათელია: მოქმედების ამოსავალი (ე. ი. რეალური სუბიექტი — **ა. ჩ.**) ერგატივში დგას, ობიექტი — სახელობითში; ზმნა მიუთითებს ობიექტზე კლასის ნიშნებით, (ქართულის მსგავსად), პირი არსად აღინიშნება.¹

მაგრამ დაღესტნურ ენათა შორის ისეთებიც გვაქვს, რომ ზმნას პირის მიხედვით ცვლიანო. ამის შემდეგ ა. დირი ეხება ტაბასარანული, უღური, ბაცბური ზმნის უღვლილებას. უღურთან დაკავშირებით ა. დირს ნათქვამი აქვს: „აკუზატივი გაიჩინა უთუოდ უცხო გავლენითაო“ (ა. შიფნერი ამ ბრუნვას უწოდებს აფექტივს და გარდა ამისა აკუზატივის ფუნქციას მიაწერსო).

ლაკურთან დაკავშირებით ნათქვამია: კლასის ნიშნები აქაც მოქმედების ობიექტზე მიუთითებს, მაგრამ ზმნის ცალკეული ფორმები ხან მოქმედს ეთანხმებიან, ხან კიდევ მოქმედების საგანს. მერეა-და, ლაკურს არა აქვს ერგატივი, რომელსაც მასში ნათესაობითი ცვლისო.² ლაკურის ნიმუშად კვლავ უსლარისეული მაგალითია მოყვანილი: ნა ინა ბიზარ არა „მე შენ გამწუხრებ“, ზედმიწევ. : „მწუხარეს გზდი“... თანალ ნა ბიზარ არა „ის მე მამწუხრებს“, — ზედმიწევ. , „მწუხარეს მზდის“... იმ ფრაზების შესახებ, სადაც რეალური სუბიექტი მესამე პირშია და ნათესაობითი ბრუნვით გადმოიცემა (თანალ „მის“ || „მან“), ა. დირი შენიშნავს: ლაკური ზმნის ვნებითი გვარით გადმოიცემა მთლად სწორი არ იქნებოდა, რადგანაც თანალ („მის“) არის ნათესაობითის ფორმა. რამდენადაც პირის ნაცვალსახელის ნათესაობითი ბრუნვა იმავე დროს კუთვნილებითი ნაცვალსახელიც არის, შეიძლება ვცდილიყავით ეს მაგალითები გადაგვეთარგმნა პოსესიურ მიმართებათა მეშვეობით, მაგრამ ეს შეუძლებელი აღმოჩნდებაო.³

დარგული მასალაც ა. დირის ანალოგიურ შენიშვნას იწვევს: გარდამავალი ზმნა ზოგჯერ შეიძლება პასიურად გადმოვსცეთ, მაგრამ ზოგჯერ — არაო (კლასის ნიშნები კი ყველა შემთხვევაში ობიექტზე მიუთითებსო).

აფხაზურ-ადიღურ ენათაგან კლასები მხოლოდ აფხაზურს აქვს, მაგრამ აფხაზური ცოტა რასმე იძლევა განსახილველი საკითხისათვისო (ალბათ, იმიტომ, რომ აფხაზური ბრუნვებს არ განარჩევს — **ა. ჩ.**). უბიხურსა

¹ ა. დ ი რ ი, „შესავალი“... გვ. 67, კრებ. „წინადადების ერგატ. კონსტ.“, გვ. 22.

² ა. დ ი რ ი, „შესავალი“... გვ. 69, კრებ., გვ. 25.

³ იქვე, გვ. 71, კრებ., გვ. 26-27.

და ყაბარდოულში კლასები არ გაირჩევა. აფხაზური, უბიხური, ყაბარდოული პირებს აღნიშნავენ ზმნაშიო.

შემდეგ მოცემულია ყაბარდოული ფრაზების წყება (ფს'გტიგ-რ მ-ვევ(!) „გლეხი ხნავს“... ფს'გტიგ-მ ს'გ-რ მე-ვევ „გლეხი მიწას ხნავს“...).

ა. დირი განმარტავს: თუ წინადადებაში არა გვაქვს პირდაპირი „ობიექტი“, მესამე პირში დასმული სუბიექტი დაირთავს **-რ-**ს და ნაცვალსახელოვანი ელემენტი მესამე პირისა **მა-** იქნება; თუ პირდაპირი ობიექტი გვაქვს, მას დაერთვის **-რ-**, სუბიექტს **-მ-**, ხოლო ზმნაში გვექნება პრეფიქსი მე-. თუ სუბიექტად პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელი გვაქვს, ობიექტს **-რ** დაერთვის, ქვემდებარეს კი რაიმე ნიშანი არ ექნება.¹

წინადადება „გლეხი მიწას ხნავს“ შეიძლება გადმოვსცეთ პასიურად: „გლეხი მიწა იგი — იხვენება“... მაგრამ როგორღა გამოვთქვათ: სე ჰუნწრ ს-ოს(!) „მე სახლს ვაშენებ“; ვერ ვიტყვით „ჩემი სახლი იგი — შენდება“, რადგანაც ასეთ თარგმანს არ იგუებს ზმნის ნაცვალსახელოვანი ელემენტი **ს...** ამგვარად, არავითარი შესაძლებლობა არ არსებობს ამ კონსტრუქციის ბადალი დაიძებნოს გერმანულშიო“.² გამოდის, რომ ზოგი გარდამავალი ზმნა ყაბარდოულში შეიძლება გავიგოთ, როგორც პასიური, ზოგს კი ასეთი ინტერპრეტაცია არ ეგუება.

ყაბარდოული **-მ-**ნიშნის ბრუნვის (ერგატივის) და უბიხური შესაბამისი **-ნ-** ნიშნის ბრუნვის ფუნქციათა ჩამოთვლის შემდეგ ა. დირი შენიშნავს: „როგორც ვხედავთ, საკითხი მეტი სმეტად რთულია და მე, უნდა აღვიარო, არ შემიძლია მისი გადაჭრა. იმის ნაცვლად, რომ ვილაპარაკო პასიური კონსტრუქციის შესახებ, მე ყველგან ვიხმარ გამოთქმას: ერგატიული კონსტრუქცია (ლოგიკური სუბიექტი ერგატივში ზის), დატიური ანუ აფექტიური კონსტრუქცია (ლოგიკური სუბიექტი მიცემითშია ანდა აფექტიურ ბრუნვაში: „მე მიყვარს“), ნომინატიური კონსტრუქცია (ლოგიკური სუბიექტი სახელობითში მოუდის: მე მივდივარ...“³).

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ტერმინები — ერგატიული კონსტრუქცია, დატიური კონსტრუქცია, ნომინატიური კონსტრუქცია — ა. დირის წყალობით ფართოდ გავრცელდა.

რაც გვეხება თვით საკითხს, — რა ბუნებისაა გარდამავალი ზმნა იბერიულ-კავკასიურ ენებში, ამაზე ა. დირს ახალი არაფერი უთქვამს: პასიურად მიაჩნია ა. დირს გარდამავალი ზმნა იქ, სადაც პასიურობას პ. უსლარი ასაბუთებდა (ხუნძურში, ჩაჩნურში)... მერყეობს ა. დირი ლაკური

¹ იქვე, გვ.74, კრებ., გვ. 30.

² იქვე, გვ.74, კრებ., გვ. 31.

³ იქვე, გვ. 75-76, კრებ., გვ. 32. ხაზი ჩემია — ა. ნ.

გარდამავალი ზმნის დახასიათებისას: მერყეობდა ამ შემთხვევაში პ. უსლარიც (გარდამავალი ზმნა პასიურია ლაკურში, მაგრამ აქტიური კონსტრუქციაც ისახება). არაფერი აქვს ნათქვამი პ. უსლარს აფხაზური გარდამავალი ზმნის პასიურობაზე, არაფერს ამბობს ა. დირიც. ქართულ ზმნაზე პ. უსლარს არაფერი დაუწერია; ა. დირმაც „მოკლა“-ზმნაში პასიურობის ვერავითარი ნიშანი ვერ იპოვა, თუმცა მისი თვალსაზრისით ქართული ზმნა პასიური გამოდის... საზომიც პასიურობისა ა. დირს პ. უსლარისეული აქვს მომარჯვებული... ა. დირს უჭირს დამოუკიდებელი აზრი გამოიმუშაოს გარდამავალი ზმნის რაობის თაობაზე (და ამას პირდაპირ ამბობს კიდევ).

ა. დირის დამსახურება მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის საქმეში უდაოა, რამდენადაც მანამდე შეუსწავლელი ენების წყება აღწერა. მაგრამ ა. დირის ყურადღების გარეშე რჩებოდა ამ ენათა ისტორიის საკითხები: ა. დირი კმაყოფილდება ზერეულ აღწერით; გარდამავალი ზმნის რაობა კი ზმნის უღვლილების ისტორიის გარკვევას მოითხოვს.

თ ა ვ ი მ ე შ ვ ი ღ ე

ერგატიული კონსტრუქცია, როგორც ბვარების მიმართ ინდივიდუალური კონსტრუქცია

§ 27. ზმნისა და სახელის საკითხები ერგატიული კონსტრუქციის ახსნისას. ჩვენ განვიხილეთ დამახასიათებელი თეორიები, რომლებიც ცდილობენ გაარკვიონ ერგატიული კონსტრუქციის არსი. ზოგი თეორია ერგატიულ კონსტრუქციას პასიურად თვლის, ზოგიც — აქტიურად. ყველა თეორია იძლევა ასე თუ ისე პასუხს იმაზე, თუ რას წარმოადგენს ერგატიული ბრუნვა და როგორია ბუნება სათანადო გარდამავალი ზმნისა.

ამასთან ზოგი ავტორი სახელის ანალიზით იწყებს, ე. ი. ერგატივის რაობას არკვევს და მერე გადადის ზმნის დახასიათებაზე, უკეთ რომ ვთქვათ, ერგატივის გარკვეულ გაგებას იძლევა და მას უფარდებს გარდამავალი ზმნის დახასიათებას (ასე, მაგალ., ნ. მარის კონცეფციაში). ზოგიც ზმნის ჩვენებათა ანალიზით იწყებს, ზმნის დახასიათებას იძლევა და ამის შესაბამისად განმარტავს ერგატივის თავისებურებას (ასეა, მაგალ., პ. უსლარის, კ. ულენბეკის... კონცეფციებში). მაგრამ თანამიმდევრობის საკითხი არსებითად არაფერს ცვლის: ზმნის რაობის საკითხს ენიჭება გადამწყვეტი მნიშვნელობა, და ამ საკითხს ყველა კონცეფცია ეხება და თავისებურად განმარტავს. სწორედ ზმნის დახასიათება განსაზღვრავს, რავარიც იქნება ერგატიული კონსტრუქციის გაგება, — პასიური თუ აქტიური (ანდა კიდევ სხვაგვარი).

ერგატიული კონსტრუქციის თეორიისათვის უფრო არსებითი მნიშვნელობა აქვს ზოგად საკითხს: რაში ეძიებენ ერგატიული კონსტრუქციის თავისებურების ახსნას — საკუთრივ ენობრივ მომენტებში თუ სოციალურს (ანდა ეთნო-ფსიქოლოგიურს) ვითარებაში. პ. უსლარი, მაგალითად, ზმნის (და სახელის) მორფოლოგიურ-სინტაქსურ ანალიზს სჯერდება, ე. ი. ერგატიული კონსტრუქციის ახსნა პ. უსლართან ენობრივ თავისებურებათა ანალიზით იფარგლება. ნ. მარსა და ნ. იაკოვლევს ასეთი ანალიზი საკმარისად არ მიაჩნიათ: ერგატიული კონსტრუქციის რაობას სოციალურ საფუძველს უძებნიან („მოქმედი“ სოციალურად „ვნებული“, ე. ი. დაჩაგრული, იყო და ამან განსაზღვრა გარდამავალი ზმნის პასიური ხასიათი, ამბობს მაგალ. ნ. მარი — იხ. § 9). კ. ულენბეკს კიდევ პირველყოფილი ადამიანის აზროვნების თავისებურებებში ეგულება ერგატიული კონსტრუქციის თავისებურებათა ახსნა. ს. ბიხოვსკაია — ტოტემისტური საზოგადოების

სტრუქტურაში ეძებს სუბიექტის აქტიურობა-პასიურობის სათავეს.

ამიტომ, ერთი საკითხი იქნება: მორფოლოგიურ-სინტაქსური თავისებურებები აგვისნიან ერგატიული კონსტრუქციის თავისებურებას, თუ ამ თავისებურების სათავე სოციალურს (თუ ეთნო-ფსიქოლოგიურ) ვითარებაში უნდა ვეძიოთ.

მეორე საკითხი უშუალოდ უკავშირდება ძირითად ამოცანას: ვგულისხმობთ, გარდამავალი ზმნისა და გვარის საკითხს, უკეთ, გარდამავლობის ურთიერთობას გვარის კატეგორიასთან. ჩვენ ამ უკანასკნელით ვიწყებთ. პირველ საკითხზე პასუხს ბოლოში მივიღებთ.

§ 28. გარდამავალი ზმნის პასიურობა-აქტიურობის საკითხი გვარის კატეგორიის არქონე ენებში. გვარი (მოქმედებითი, ვნებითი, საშუალო) ზმნის კატეგორიას წარმოადგენს, რამდენადაც ზმნის უღვლილებაში გვარი სხვადასხვაობს; თუ მორფოლოგიური განსხვავება არ აღმოაჩნდება მოქმედებითისა და ვნებითი გვარის ზმნებს, კატეგორია მოქმედებითისა და ვნებითი გვარისა, როგორც მორფოლოგიური კატეგორია ზმნისა, არც შეიძლება გაირჩეს. გარდამავლობაც ზმნის კატეგორიას წარმოადგენს, მაგრამ, ჯერ ერთი, მას სინტაქსური გამოვლენაც აქვს და, მეორეცაა და, გარდამავლობა-გარდაუვალობა უფრო ძველი და უფრო ზოგადი დახასიათებაც არის ზმნისა.

ევროპულ ენებშიც (ძველ ენებშიც — ბერძნულში, ლათინურში, ახალ ენებში — რუსულში, გერმანულში, ფრანგულში) გარდამავალი ზმნა მოქმედებითი გვარისაა, გარდაუვალი — ზოგი ვნებითისა და ზოგიც — საშუალოსი.

როდესაც ერგატიული კონსტრუქციის საკითხს განიხილავენ, გარდამავალი ზმნის საკითხი დგება. ამ გარდამავალ ზმნას ზოგი ავტორი პასიურად თვლის, ზოგიც — აქტიურად, ე. ი. ცდილობენ გარდამავალი ზმნა მიიჩნიონ ამა თუ იმ გვარისად, რომელიც ევროპულ ენებში აქვს ზმნას.

იბერიულ-კავკასიურ ენათა მეტ წილში კი გარდამავალი ზმნა გვარებს არ განარჩევს: მოქმედებითი და ვნებითი გვარები არ მოეპოვება არც აფხაზურ ზმნას, არც ჩაჩნურს, არც ხუნძურს, ლაკურს, დარგუულსა თუ ლეზგიურს. ეს ნიშნავს: არ შეიძლება გვართა მიხედვით დავახასიათოთ ზმნები, რომელთაც გვარები არ მოეპოვებათ (ისევე, როგორც შეუძლებელია მამრობითისა ანდა მდედრობითი სქესის სახელები ვიპოვოთ იმ ენებში, რომელთაც გრამატიკული სქესის კატეგორია არ მოეპოვებათ). გარდამავალი ზმნა იმ იბერიულ-კავკასიურ ენებში, სადაც გვარები არ გაირჩევა, არც ვნებითია (პასიური), არც მოქმედებითი (აქტიური), არა-

მედიანდფერენტული ანუ ამორფული (გვარის თვალსაზრისით).

გარდამავალი ზმნის ფუძის ნეიტრალური ხასიათის შესახებ ზოგადად ლაპარაკობს ერთ-ერთ თავის ადრინდელ შრომაში ა. ღირი.¹ სამწუხაროდ, მის გვიანდელ შემაჯამებელ შრომაში („შესავალი კავკასიურ ენათა შესწავლაში“, 1928) ეს დებულება არ ჩანს.²

ზმნის ფუძეს ნეიტრალურად თვლის ჰ. შუხარდტი (იხ. ზემოთ, § 10).³ მაგრამ აქ ავტორს მსხედველობაში აქვს არა იბერიულ-კავკასიური ენები, არამედ, საერთოდ, ყოველი ენა და მასში ისეთი წარმოება, როგორიცაა გერმ. Schlag „დარტყმა“, „ცემა“, ე. ი. მასდარი.

§ 29. გარდამავალი ზმნის ბუნების საკითხი გვარის კატეგორიის მქონე იბერიულ-კავკასიურ ენებში. ცალკე განხილვას მოითხოვს ის იბერიულ-კავკასიური ენები, სადაც ერგატიული კონსტრუქცია გვაქვს და გვარებიც გარჩეულია. ასეთია ქართველური ენები: ქართული, ზანური (ჭანურ-მეგრული), სვანური. გვარები აქ ყველგან გარჩეულია. მოქმედებითს სისტემატურად უპირისპირდება ვნებითი; ასეა ეს უკვე ძველ ქართულში: წერს — იწერების, კლას — იკლვის, ფარავს — იფარვის, აღმოაცენებს — აღმოცენდების... ნამყო ძირითადში: დაწერა — დაიწერა, მოკლა — მოიკლა, დაფარა — დაიფარა, აღმოაცენა — აღმოცენდა და ა. შ.

ცხადია, უღვლილების ასეთი სისტემა განასხვავებს არა მხოლოდ გარდაუვალს გარდამავალისაგან, არამედ ვნებითსაც მოქმედებითისაგან: გარდამავალი ზმნა ქართული ენისა მოქმედებითი გვარისაა (და არა ინდიფერენტული). ეგევე ითქმის გარდამავალი ზმნის შესახებ სხვა ქართველურ ენებში.

მაგრამ ასეთი ვითარება ქართულში მეორეული ჩანს ისევე, როგორც მეორეული, შედარებით ახალია გარდამავალ ზმნასთან აწმყოში ნომინატიური კონსტრუქცია: ის მას წერს, ხატავს, ფარავს, აღმოაცენებს — შდრ. მან იგი წერა, ხატა, დაფარა, აღმოცენა...

¹ А. Д и р. Арчинский язык: „Два, три слово о характере арчинского и вообще чечено-дагестанского глагола. Говорят, что он страдательного характера (passiver Sinn). Не лучше ли сказать прямо, что характера нейтрального“ — გვ. IV.

ნათქვამი არაა, რას გულისხმობს „ნეიტრალური“.

² იხ. აქვე, § 26.

³ აგრეთვე ჰ. შუხარდტის შრომა: Primitiae linguae vasconum, გვ. VIII: „Das nackte Verb (...geh.-gib- ist indifferent, d.h. weder aktivisch, noch passivisch“... დებულება ყველა ენას ეხება.

გარდამავალი ზმნის ნეიტრალურობა-ინდიფერენტულობაზე ლაპარაკობს ს. კაც-ნელსონი („К генезису номинативного предложения“, ლენინგრადი, 1936, გვ. 108), თუმცა ერგატიულ კონსტრუქციაში „პასიურობის ელემენტებსაც“ პოულობს (გვ. 56).

ძველად ზმნა განასხვავებდა ასპექტებს: მომენტობრივსა და დიურატიულს (განგრძობითს), ერთს — ნამყო ძირითადი გადმოსცემდა (წერა, ხატა, აღმოაცენა... მ ა ნ ი გ ი), მეორეს — ხოლმეობითი (პერმანსივი): წერის, ხატის, აღმოაცენის... მ ა ნ ი გ ი...

ხოლმეობითი მერმინდელ აწმყოსთან ახლოს იყო ფუნქციით, რამდენადაც დიურატიულობა ორივეს ახასიათებდა. ამიტომ გახდა შესაძლებელი, რომ ტიპობრივი ხოლმეობითი — ი ც ი ს, უ წ ყ ი ს (მ ა ნ ი გ ი) აწმყოს როლში მოგვევლინა: ერგატივი — აწმყოსთან!

ამრიგად, გ ა რ დ ა მ ა ვ ა ლ ი ზ მ ნ ა უ ლ ვ ლ ი ლ ე ბ ი ს ყ ვ ე ლ ა ნ ა - კ ვ თ შ ი ე რ გ ა ტ ი უ ლ კ ო ნ ს ტ რ უ ქ ც ი ა ს მ ო ი თ ხ ო ვ დ ა; ნ ო მ ი ნ ა - ტ ი უ რ ი კ ო ნ ს ტ რ უ ქ ც ი ა გ ა რ დ ა მ ა ვ ა ლ ზ მ ნ ა ს ა რ მ ო ე პ ო - ვ ე ბ ო დ ა.¹ ეს მდგომარეობა დღემდე შერჩა ზმნებს: ი ც ი ს, უ წ ყ ი ს, ნ ო - მ ი ნ ა ტ ი უ რ ი კ ო ნ ს ტ რ უ ქ ც ი ა ა მ ზ მ ნ ე ბ ს შ ე მ დ ე გ შ ი ც ა რ შ ე უ ქ მ ნ ი ა თ.

ასეთ პირობებში, ცხადია, მოქმედებითისა და ვნებითის გარჩევაც არ გვექნებოდა: ვნებითი ქართულში მეორეულია, იგი თანდათანობით ყალიბდებოდა. ამის კვალს ძველი ქართული ენის რიგ ფაქტებში ვპოვებთ.

არის ზმნები, რომელთაც ვნებითი საერთოდ არ ეწარმოებათ, თუმცა ზმნა გარდამავალია; ასეთია, კერძოდ, ზემოხსენებული ი ც ი ს, უ წ ყ ი ს...

დაპირისპირება მოქმედებითსა და ვნებითს შორის უფრო სუსტი ანამყო ძირითადის სერიაში, უფრო მკვეთრად იგრძნობა იგი აწმყოს სერიაში; ზმნები, როგორცაა: დ ა ი წ ე რ ა, მ ო ი ყ ვ ა ნ ა... ძვ. ქართულში შეიძლება იყოს მოქმედებითი გვარისაც და ვნებითისაც (მ ა ნ ი გ ი მ ო ი ყ ვ ა ნ ა... ი გ ი მ ო ი ყ ვ ა ნ ა = მ ო ყ ვ ა ნ ი ლ ი ქ ნ ა), მაგრამ ასეთი საზიარო წარმოება აწმყოს წყების ნაკვეთებში გამოირიცხებულია. ეს ნიშნავს: ქრონოლოგიურად ძველ ნაკვეთებში ვნებითი გვარი ისე არ არის დიფერენცირებული, როგორც შედარებით ახალ ნაკვეთებში (ასეთია აწმყო და მისი წყება).

ყ ვ ა ნ ა და ყ ო ლ ა ნ ა ზ მ ნ ა რ ი სა ხ ე ლ ე ბ ი ა, მ ა ს თ ა ნ გ ა ნ ს ხ ვ ა ვ ე ბ უ ლ ი: გ ა რ დ ა მ ა ვ ა ლ ი ზ მ ნ ი ს ა ყ ვ ა ნ ა (მ ო ი ყ ვ ა ნ ა, მ ო ყ ვ ა ნ ა...), გ ა რ დ ა უ ვ ა ლ ი ს ა ყ ო ლ ა (ჰყავს... ჰყვება...)...

წარმოშობით კი ეს ერთი და იგივე ოდენობაა, განსხვავებას ფონეტიკური მომენტი ქმნის (ყოლა ← ყვალ-ა || ყვან-ა). თავდაპირველად გან-

¹ ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა. ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში: I ნომინატიური და ერგატიული კონსტრუქციის ისტორიული ურთიერთობა ძველი ქართული ენის მონაცემთა მიხედვით, თბილისი, 1948, გვ. 128, 147.

სხვაგვარი ფონეტიკური ვარიანტები გვქონდა, შემდეგ ამ ვარიანტებს შორის მორფოლოგიურმა სხვაობამ იჩინა თავი: ფონეტიკური ვარიანტები მორფოლოგიური ფუნქციით აღიჭურვა, ფონეტიკურ სხვაობათა მორფოლოგიზაცია მოხდა.¹ ეს ფაქტი საინტერესოა ზოგადად იმის გასათვალისწინებლად, თუ რა საშუალება შეეძლო ენას გამოეყენებინა ახალი მორფოლოგიური შინაარსის (ვნებითი გვარის) გამოსახატავად.

ვნებითი გვარი მეორეულ, შედარებით ახალი წარმონაქმნია ქართულ ზმნაში, ამოსავალი ვითარება ქართულისა (და, საერთოდ, ქართველური ენებისათვის) ისეთივე უნდა ყოფილიყო, როგორც მთის იბერიულ-კავკასიურ ენებში ამ მხრივ გვაქვს: მოიპოვება გარდამავალი (და გარდაუვალი) ზმნა, მაგრამ არ გაირჩევა მოქმედებითი და ვნებითი გვარი. გარდამავალი ზმნა ინდოევროპულია გვარის კატეგორიის მიმართ, იგი არც მოქმედებითი გვარისა და არც ვნებითისა, არც აქტიურია და არც პასიური

§ 30. ერგატივის საკითხი ზოგადად. რაც შეეხება ერგატივს, იგი ადამიანის აღმნიშვნელ სახელებში არ უდრის ირიბ ბრუნვას (მოქმედებითს ან ნათესაობითს...). ერგატივი ნაცვალსახელური ნაწილაკით განსაზღვრული ფუძეა, ე. ი. იმავე რიგის ოდენობად გვევლინება, როგორც სახელობითი (ქართულში, ზანურში) ანდა სახელობითის შემცვლელად გამოდის (მაგალითად, ხუნძურში: ნაცვალსახელები I და II პირისა გაფორმებული არიან ერგატივის ფორმანტით შედარებით გვიან, მანამდე სახელობითი და ერგატივი ამ ნაცვალსახელებს არ გაერჩეოდა; პირველისა და მეორე გრამატიკული კლასის სახელები ერგატივს ჩვენებითი ნაცვალსახელის დართვით გადმოსცემდა). ცალკე განხილვას საჭიროებს ერგატივის წარმოება ნივთის კლასის სახელებში.

ერგატივის ადგილი ბრუნვათა სისტემაში, — ე. ი. ერგატივის დამოკიდებულება სხვა ბრუნვებთან, — ერთნაირი არ არის სხვადასხვა იბერიულ-კავკასიურ ენებში, როგორც თავშივე ითქვა (§ 4).

საერთო ის არის, რომ ერგატივი ყველგან გარდამავალ ზმნასთან იხმარება რეალური სუბიექტის გადმოსაცემად, რომ ყველა იბერიულ-კავკასიურ ენაში ერგატივი სახელობითის გვერდით რეალური სუბიექტის ბრუნვად გვევლინება: ამრიგად, რეალური სუბიექტის ორი ბრუნვა გვაქვს (ინდო-ევროპულ ენათა ერთი ბრუნვის, სახელობითის ნაცვლად).

¹ არნ. ჩიქობავა. ვნებითის ჩამოყალიბების ზოგი საკითხისათვის ქართულში მასდარის ჩვენების მიხედვით, იბერ.-კავკას. ენათმეცნიერება, ტ. VIII (1956).

§ 31. სახელობითის სინტაქსური უპირატესობა ერგატივის წინაშე (ობიექტური უღვლილების პირობებში) და ამ უპირატესობის საფუძველი. თავშივე (§ 4) იყო ნათქვამი, რომ „პირდაპირ ობიექტად“ ერგატიულ კონსტრუქციაში სახელობითი გვევლინება (ევროპულ ენებში კი ამ როლში აკუზატივი გამოდის).

ჯერ კიდევ პ. უსლარმა მიაქცია ყურადღება იმ ფაქტს, რომ ეს სახელობითი, რომელიც რეალურ ობიექტს აღნიშნავს და პირდაპირს დამატებას გადმოგვცემს, ითანხმებს ზმნას. ეს იმდენად მოულოდნელი და თავისებური ჩანდა, რომ მის ინტერპრეტაციაზე ააგო პ. უსლარმა თავისი კონცეფცია (გარდამავალი ზმნის პასიურობის შესახებ ჩაჩნურსა და ხუნძურში). სხვა ავტორებმა მიაქციეს ყურადღება იმ ფაქტს, რომ გარდამავალი ზმნის რეალური ობიექტი („პირდაპირი დამატება“) და გარდაუვალი ზმნის სუბიექტი ერთი და იმავე ფორმანტით აღინიშნება ზმნაში.

ეს მნიშვნელოვანი გარემოებაა, და აუხსნელად მისი დატოვება არ შეიძლება.

გარდამავალი ზმნა (ვთქვათ, ჩაჩნურში ანდა ხუნძურში) იუღვლება ობიექტის მიხედვით ისევე, როგორც გარდაუვალი ზმნა — სუბიექტის მიხედვით: ობიექტური უღვლილება გარდამავალი ზმნისა და სუბიექტური უღვლილება გარდაუვალი ზმნისა ორსავე შემთხვევაში სახელობითში დასმულ სახელზე მიუთითებს, სახელობითს აღნიშნავს (კლას-ნიშნით — ჩაჩნურშიც, ხუნძურშიც...).

რომ ეს სახელობითი ბრუნვა გარდამავალ ზმნასთან ობიექტს წარმოადგენს, ჩანს ხუნძური მიმღეობიდან: სუბიექტის ნიშანი გარდამავალი ზმნის მიმღეობას სუფიქსად მოუღის, ობიექტის ნიშანი — პრეფიქსად (ისევე, როგორც ზმნაში): ხურ ბეტულე-უ ჩი „მიწის მოქმედი“, ზედმიწევ.: „მიწა — დამმუშავებელი კაცი“: ბ — პრეფიქსი ხურ-ობიექტს („მიწა“) ეკუთვნის, -უ-სუფიქსი ჩი-სუბიექტს („კაცი“).¹

ობიექტური უღვლილება — ე. ი. სუბიექტის აღუნიშვნელობა გარდამავალ ზმნებთან იმ ენებში გვაქვს, სადაც ზმნა მხოლოდ კლასების მიხედვით იცვლება, სადაც უღვლილება ოდენკლასოვანია.

ქართულ ენას პიროვანი უღვლილება აქვს, მასთან გარდამავალი ზმნა სუბიექტსაც აღნიშნავს და ობიექტსაც. ამისდა მიუხედავად ქართული ზმნის უღვლილებაშიც — გარკვეულ შემთხვევებში — ობიექტს უპირატესობა აღმოაჩნდება სუბიექტის წინაშე, მაგალითად, როცა სუბიექტის პირველი და ობიექტის მეორე პირი ანდა სუბიექტის მეორე

¹ არნ. ჩიქობავა. „პოლიპერსონალიზმის“ საკითხი ხუნძურში ერგატიული კონსტრუქციის პრობლემასთან დაკავშირებით, „ენიკის მოამბე“, X, (1941).

პირი და ობიექტის პირველი პირი ხვდება ერთმანეთს, ობიექტის პირი აღინიშნება, სუბიექტისა — არა (მე შენ გაქვებ, შენ მე მაქვებ)... ბრძანებითის წარმოებისას (ნამყო ძირითადისაგან) სუბიექტის პირი იკარგება, ობიექტისა — არა: შენ მოხვედ — ბრძან. მოვედ! მაგრამ — სთხოვე მას! — ობიექტის სამივე პირი პრეფიქსებით აღინიშნება, სუბიექტისა — პრეფიქსით აღინიშნება მხოლოდ პირველი და მეორე: ე. ი. ობიექტის პირები გარდამავალ ზმნასთან უფრო ადრეა ჩამოყალიბებული, ვინემ — სუბიექტისა...

ყველაფერი ეს კანონზომიერია, რამდენადაც ქართული ზმნის პიროვანი უღვლილებისათვის ამოსავალი იყო კლასოვანი უღვლილება.¹

კი, მაგრამ რატომ უნდა იუღვლოდეს გარდამავალი ზმნა ობიექტის მიხედვით? ამის მიზეზი ზმნის ფუძის თავისებურებაში უნდა ვეძიოთ: სახელდობრ, იმაში, რომ იბერიულ-კავკასიური ენების ზმნური ფუძე სახელის ფუძისაგან არ გაირჩეოდა, ყველა ფუძე, საგნის აღმნიშვნელი იცა და მოქმედების აღმნიშვნელიც, სახელის ბუნებისა იყო. ზმნურ ფუძეთა სპეციფიკაცია თანდათანობით ხდებოდა. ჯერ კიდევ ძველ ქართულში არა ერთი ფორმანტი გვაქვს, რომელიც სახელის ფუძესაც აწარმოებდა და ზმნის ფუძესაც: ამაში ვლინდება ძველი გაუდიფერენცირებული მდგომარეობის გადმონაშთი.²

ზმნის ფუძის ეს თავისებურება, იწვევდა იმას, რომ **გარდამავალი ზმნა ობიექტის აღნიშვნისაკენ** მიიმართებოდა ისევე კანონზომიერად, როგორც **გარდაუვალი ზმნა — სუბიექტისაკენ**: დამუშავება მიწისა, მოკვლა ნადირისა, დახატვა სურათისა, მაგრამ: წოლა ავადმყოფისა, ადგომა სტუმრისა, სირბილი ბავშვისა, ამოვარდნა ქარისა...: მოქმედების სახელები (მასდარები) ორსავე წყებაში ნათესაობით ბრუნვას მოითხოვს, ოღონდ ეს ნათესაობითი **რეალურ ობიექტზე** მიუთითებს, თუ მასდარი **გარდამავალი ზმნისაა** (დამუშავება მიწისა: დაამუშავებს მიწას), და **რეალურ სუბიექტზე**, თუ მასდარი **გარდაუვალი ზმნისა გვაქვს** (წოლა ავადმყოფისა: წევს ავადმყოფი)...³

¹ ვ. თოფურია. დ-თავსართიანი ზმნები ქართულში, უნივერ. შრომები, 25 (1942); ი. ქავთარაძე. დ- და რ-თავსართიანი ზმნები ქართულში, უნივერ. შრომები, 31 (1947).

² ამის შესახებ იხ. არნ. ჩიქობავა. სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, 1942, თბილისი, გვ. 262, აგრეთვე გვ. 280, 298.

³ არნ. ჩიქობავა. სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში (1942), გვ. 231, 233, 234; არნ. ჩიქობავა. გრამატიკული კლას-კატეგორია და ზმნის უღვლილების ზოგი საკითხი ძვ. ქართულში, იბერ.-კავკას. ენათმეცნიერება, V

ამასთან დაკავშირებით არა ერთი საკითხი ჩნდება (კერძოდ, საკითხი ისეთი ზმნებისა, როგორიცაა უყვარს: სიყვარული ძმისა — შეიძლება ნიშნავდეს იმასაც, რომ ამოსავალია: „ძმას უყვარს“, და იმასაც, რომ „ძმა უყვართ“; პირველ შემთხვევაში „ძმისა“ *genetivus subjectivus* იქნებოდა, მეორეში „ძმისა“ — *genetivus objectivus*... პირველადი ინვერსიული ზმნები უყვარს - ტიპისა ამ მხრივ ძალზე საინტერესო ჩვენებას იძლევა).

ესა და რიგი სხვა საკითხები დაწვრილებითს განხილვას მოითხოვს. ჩვენ აქ მხოლოდ ძირითად დებულებებს გადმოვცემთ, მასთან სქემატურად.

ზემოთქმულიდან ჩვენთვის ის დასკვნაც გამომდინარეობს, რომ გარდამავალი ზმნის თავისებურება საკუთრივ ენობრივი (მორფოლოგიური) თავისებურებებით არის შეპირობებული (ზმნის ფუძისა და სახელის ფუძის გაუდიფერენცირებლობით). გარდამავალი ზმნის თავისებურება ერგატიული კონსტრუქციის ენებში სოციალური (თუ ეთნო-ფსიქოლოგიური) მიზეზებით არ ყოფილა გამოწვეული.

§ 32. დასკვნითი დებულებები. სინტაქსური კონსტრუქცია, რომელსაც ერგატიული კონსტრუქცია ეწოდება, სამი წევრისაგან შედგება: გარდამავალი ზმნისა და ორი სახელისაგან („მონადირემ მოკლა ირემი“); ამ სახელთაგან ერთი მიუთითებს რეალურ სუბიექტზე („მონადირემ“), მეორე — რეალურ ობიექტზე („უახლოეს ობიექტზე“: „ირემი“ — ეს არის ინდო-ევროპულ ენათა „პირდაპირი დამატება“).

რეალური სუბიექტის ბრუნვად ერგატივი გვაქვს („მონადირემ“).

უახლოეს ობიექტს („ნივთის ობიექტს“) ერგატიულ კონსტრუქციაში სახელობითი აღნიშნავს (ინდო-ევროპულ და სემიტურ ენათა აკუზატივის ნაცვლად: „მოკლა ირემი“ *убил оленя*): ერგატიული კონსტრუქციის ენებს აკუზატივი ეუცხოებათ.

ინდო-ევროპულ და სემიტურ ენებთან შედარებით ერგატიული კონსტრუქციის ენებში თავისებურია, ჯერ ერთი ის, რომ სუბიექტის **ორი** ბრუნვა გვაქვს: ერგატივი — გარდამავალ ზმნებთან, სახელობითი — გარდაუვალებთან (ნაცვლად ერთი ბრუნვის, სახელობითისა, ინდო-ევროპ. და სემიტ-ენებში); სახელობითი ბრუნვა სუბიექტის ბრუნვას წარმოადგენს გარდაუვალ ზმნებთან („ირემი მორბის“, „ირემი“ — სუბიექტი) და რეალური ობიექტის ბრუნვას გარდამავალ ზმნებთან („მოკლა ირემი“ — „ირემი“ — ობიექტი); ინდო-ევროპულსა

და სემიტურ ენებში კი სახელობითი ბრუნვა მხოლოდ სუბიექტის ბრუნვაა.

რაც შეეხება ზმნათა უღვლილებას, ერგატიული კონსტრუქციის ენებში გარდაუვალ ზმნათა რეალური სუბიექტი იმავე ფორმანტით აღინიშნება, რითაც რეალური ობიექტი გარდამავალ ზმნებთან (პ. შუხარდტი).

ამრიგად: თავისებურება ახასიათებს ერგატიული კონსტრუქციის შემადგენელ სამივე წევრს: რეალურ სუბიექტს, რეალურ ობიექტსა და გარდამავალ ზმნას. როცა ინდო-ევროპულ და სემიტურ ენათაგან ამოვდინვართ, ყველაზე წინ თვალში გვეცემა თავისებურება, რაც რეალური სუბიექტის ბრუნვის მხრივ გვაქვს: ორი ბრუნვა რეალური სუბიექტისათვის ინდო-ევროპულმა და სემიტურმა ენებმა არ იციან. ამიტომაც უწოდეს, როგორც ვიცით (§ 5) ამ კონსტრუქციას სახელი სუბიექტის ბრუნვის მიხედვით — „ერგატიული კონსტრუქცია“... უფრო მართებული იქნებოდა გვეთქვა „უაკუზატივო გარდამავალი ზმნის კონსტრუქცია“...

ამ კონსტრუქციის რაობის გარკვევას ცდილობდნენ იმით, რომ არკვევდნენ ერგატივის რაობას და ამის მიხედვით ახასიათებდნენ მთელ კონსტრუქციას. ეს ეხება არა მარტო პასიურობის დამცველებს (პ. უსლარს, ნ. მარს), არამედ იმ ავტორებსაც, რომლებიც ერგატიულ კონსტრუქციას აქტიურ კონსტრუქციად სახავდნენ და ერგატივს, თუნდაც ირიბ ბრუნვად, მაგრამ მაინც აქტიური სუბიექტის აღმნიშვნელად თვლიდნენ (ს. ბიხოვსკაია, ნ. იაკოვლევი...).

ერგატივის, როგორც სუბიექტის თავისებური ბრუნვის, ინტერპრეტაციაზე იყო დამყარებული პოსესიური თეორიაც: მოქმედება, როგორც სუბიექტის კუთვნილება...

ნამდვილად კი სიმძიმის ცენტრი ერგატიულ კონსტრუქციაში ზმნაზე მოდის: ერგატიული კონსტრუქციის თავისებურება სათანადო გარდამავალმა ზმნამ უნდა ამოგვახსნევინოს. გარდამავალი ზმნის თავისებურება კი, სახელთაგან, პირველ ყოვლისა, ობიექტის ბრუნვაში ჩანს: იმაში, რომ უახლოესი ობიექტი („პირდაპირი დამატება“ ინდო-ევროპულ ენათა) სახელობითში დაისმის (და არა აკუზატივში).¹

აკუზატივის უქონლობა, რეალური სუბიექტის სახელობითში დასმა რომ უფრო ძველი და უფრო არსებითია ამ გარდამავალი ზმნებისათვის,

